განათლება

რედაქტორი: თემურ ჯაგოდნიშვილი
თანარედაქტორი: რაფაელ გუსმან ტირადო

GANATLEBA

Georgian Technical University
Georgian Academy of Education Sciences

Editor: Temur Jagodnishvili
Coeditor: Rafael Guzman Tirado

№ 1 (36) 2022

ISSN 2346-8300
DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

განათლება

GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

1(36)
2022

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით

(ოქმი №7)

№ 1(36), 2022 წელი

რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თანარედაქტორი რაფაელ გუსმან ტირადო — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

რედაქტორის მოადგილე - ზურაბ ჩაჩხიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სარედაქციო კოლეგია:

ლია ქათამაძე — პასუხისმგებელი მდივანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლია მენთეშაშვილი — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ანზორ აბრალავა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ირაკლი გაბისონია — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი გაგოშიძე — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

გელა ყიფიანი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ელისაბედ ხახუტაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ივანე ჯაგოდნიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვახტანგ მაღრაძე— პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზურაბ გამეზარდაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლია მეტრეველი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ბონდარენკო — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თეა ცომაია — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ხოხობაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ჯავახიშვილი — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტატიანა მეგრელიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი ხუხუნი — მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ირჟი კლაპკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)

სესილია ოდე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

გალინა ტროფიმოვა — პროფესორი, მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი)

რედაქცია: თემურ ჯაგოდნიშვილი

რაფაელ გუსმან ტირადო

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ.: (032) 236 57 07

web-გვერდი: https://gtu.ge/Journals/newsletters/

ელ-ფოსტა: **ganatleba2018@gmail.com**

ISSN 2346-8300
DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№ 1(36), 2022

Editor – Temur Jagodnishvili, Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

Coeditor – Raphael Guzman Tirado – Professor, University of Granada (SPA)

Sub-editor – Zurab Chachkhiani, Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

EDITORIAL BOARD:

Lia Katamadze – Responsible Secretary, Associate professor Georgian Technical University
Lia Menteshashvili – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences
Anzor Abralava – Professor, Georgian Technical University
Irakli Gabisonia – Professor, Georgian Technical University
Giorgi Gagoshidze – Professor, Georgian Technical University. Full member of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician
Gela Kipiani – Professor, Georgian Technical University
Elisabeth Khakhutashvili – Associate professor, Georgian Technical University
Ivane Jagodnishvili– Professor, Georgian Technical University
Vakhtang Magradze – Professor, Georgian Technical University
Zurab Gamezardashvili– Professor, Georgian Technical University
Lia Metreveli– professor, Georgian Technical University
Tamar Bondarenko – Associate professor Georgian Technical University
Tea Tsomaia– professor, Georgian Technical University
Tamar Khokhobashvili – Professor, Georgian Technical University
Niko Javakhishvili – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tatiana Megrelishvili – Professor, Georgian Technical University
Giorgi Khukhuni –Professor, Lingvistic University of Moscow
Jiri Klapka – professor, Karlos University (CZE)
Tomas Schmidt – Professor, University of Bern (SUI)
Cecilia Ode – University of Amsterdam (NED)
Galina Trophimova – Professor, Moscow University of Friendship of People (RUS)

Editor office: Temur Jagodnishvili,
Raphael Guzman Tirado

Technical editor: Asmat Pipia

The authors are responsible for the accuracy of the facts in the article

Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU
TEL.: (032) 236 57 07
web-said's adress: http://gtu.ge/Journals/newsletters
e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300
DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

შინაარსი

ასწლოვანი ისტორიის დასაწყისი 11

საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი 15

ჩვენი იუბილარები

ვაჟა პაპასქირი 23

განათლების მეცნიერებანი

თამარ ბერიძე, მარიამ წიკლაური, სოფიო ბერიძე
დისტანციური სწავლება და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში 25

ტატიანა ვასილიევა, სვეტლანა ხომენკო
ტერმინოლოგიური ლექსიკის შესწავლა „ტექნიკური თარგმანის“ კურსის სწავლების დროს 29

ლიანა ჭიღლაძე, სამაია მამედოვა, რაია ხალილოვა
უცხოენოვანი სტუდენტები და ქართული ენობრივი – კულტურული
სამყაროს ზოგადი დიგებულებები 32

ირინა მელქაძე
განათლება დემოკრატიისთვის 36

ნათია მაისურაძე
ინკლუზიური განათლება და ქართული საზოგადოება:
პრობლემები და ხედვები 41

ჟურნალისტიკა

ქეთევან გიორგობიანი
ავსტრიის ბეჭდური მედია 46

თეონა არველაძე, თემურ ეკაგოდნიშვილი
ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა – ქართველი საზოგადოების
საერთაშორისო ტრიბუნა 50

ანა ბარაბაძე
პირადი ცხოვრების გაშუქება ქართულ მედიასივრცეში 53

ნაზი გოგოლაძე, თემურ ეკაგოდნიშვილი
ნიკო ნიკოლაძე და მისი შეხედულებები ევროპის უტოპიური სოციალიზმზე 57

ნინო კვიტაშვილი
სამეცნიერო სფეროს პროპლემატიკა ქართულ ინტერნეტ მედიაში 62

მაია კონიაშვილი, ვაჟა პაპასკირი
თანამედროვე პოლიტიკური პუბლიცისტიკის
ზნეობრივ-ეთიკური პრინციპები 67

ეკატერინე კრავიშვილი, თემურ ეკაგოდნიშვილი
პოლარიზაციის დონე და რისკები ქართულ ტელემედიაში 71

ნინო ნატრიშვილი, სოფიკო კვანტალიანი
აუდიტორიის ფაქტორი ქართული მულტიმედია ტექსტის ტრანსფორმირების პროცესში 76

თეონა ყოჩიაშვილი
„დავითი და გოლიათი, პუტინი ცდილობს მეზობლის ჩამოგდებას“ 80

ია ჩარკვიანი
ფოტოჟურნალისტიკის ტრანსფორმაცია და დიგიტალიზაცია ქართული ონლაინ გამოცემების მაგალითზე 87

თამარ ჭეჟია
ქართული მედია გლობალიზაციის ეპოქაში და დეზინფორმაციის რისკები 91

ფილოლოგია

მურმან თავდიშვილი
ფორმა მუსმა და „აბდულმესიანის“ პროგლემა 96

თამარ მებუკე
სასოწარკვეთილება და იმედი თ. ს. ელიოტის პოემაში 101

თამარ შაიშმელაშვილი
ერეკლე მეფე და პრწანისის ბრძოლა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში 106

ეკონომიკა და ბიზნესი

ელისაბედ ხახუტაშვილი
ციფრული ეკონომიკა და მისი განვითარების პერსპექტივები ტელეკომუნიკაციაში 113

არჩილ გრიგალაშვილი, ქეთევან იმერიძე
ევროპაში ჩკვიანი მრიცხველების დანერგვის შედარებითი ანალიზი 118

ბექა ბენდიანიშვილი, ვლადიმერ კეკენაძე
საბიბლიოთეკო მომსახურების მენეჯმენტის სისტემა 122

გიორგი ქიმაძე, თემურ ყანდაშვილი
დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების გავლენა საზოგადოებრივ აზრზე 126

ისტორიის მეცნიერებები

გერმანე ფიფია
ლენდ-ლიზის სამხრეთის მარშრუტი და საქართველო 134

ივანე ოსაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გმირი მეცნიერები ორაკლი ციცეშვილი 141

სამართალი

შოთა მშვენიერაძე
პოლიტიკური კალაუფლების დანაწილება ევროპული კავშირის კერითად ინსტიტუტებს შორის 146

მარიამ ჯიბლაძე
ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო გარანტიები 156

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ლალიტა დარჩიაშვილი, გივი კაპანაძე, ზურაბ ჩაჩხიანი
$Th\ Co_5$ - $Th\ Ni_5$ -ის სისტემის მყარი ხსნარების მაგნიტური თვისებები 159

ირაკლი გრძელიშვილი
ტყეკაფების თვისების და ციცაბო ფერდოებები ტყითგანახლების სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის №14 ტექნოლოგიური სქემის დამუშავება 167

სოციალური მეცნიერებები

ლელა მენაბდიშვილი
ოჯახის ტრანსფორმაცია მეორე დემოგრაფიული გადასვლის პირობებში 171

ნინა მენაბდიშვილი
განქორწინების თავისებურებები XXI საუკუნეში საქართველოში 176

ნათია აბულაძე
აზარტული თამაშების სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა საზოგადოებაზე 181

თამარ ბაგრატია
გარემოსდაცვითი საკითხები სოციოლოგიური კვლევების ფოკუსში 185

კონსტანტინე ბარაბაძე
მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის სოციალური ასპექტები 190

მარინე ბერძენაძე
მობინგი – პროფესიული წარმატების შემაფერხებელი ფაქტორი 196

ნინა ბოკუჩავა
ყურადღების განვითარების პრობლემა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე 199

ლელა ბუსხრიკიძე
გენდერული კვოტა თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში 212

თამარ დავითულიანი
პირის მნიშვნელობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმატებული საქმიანობისთვის 221

ანი კიკნაძე
ენობრივი ბარიერი, განათლების პრობლემა საქართველოში მყოფი ეთნიკური უმცირესობებისთვის 226

ეკა კორძაძე
თამბაქოს მოხმარების, როგორც ადიქციური ქცევის ფსიქოლოგია 231

ეკა ნინოშვილი
სოციალური უთანიერთობების მნიშვნელობა ინკლუზიურ განათლებაში 235

სოფიო ფაჩულია, ვაჟა გურგენიძე
გენდერული ძალადობის პრობლემა 239

ლაშა ჩეკურიშვილი
დევიაციის რისკ-ფაქტორების მოქმედებაზე სწავლის მოტივთა განსხვავებული გავლენა 246

ირინა ცერცვაძე, ირაკლი კალანდია
კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა თბილისის ისტორიული ნაწილის განვითარების ჭრილში 252

გამოსათხოვარი

დავით გოცირიძე 256

CONTENTS

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY – 100 YEARS OLD

The beginning of a century-old history 11

Department of Engineering Economics 15

OUR ANNIVERSARIES

Vaja Papaskiri 23

EDUCATION SCIENCES

Tamar Beridze, Mariam Tsiklauri, Sophio Beridze
Distance learning and prospects for its development in Georgia 25

Tatyana Vasilyeva, Svetlana Khomenko
Studying terminological vocabulary while teaching the course "Technical Translation" 29

Liana Chigladze, Samaia Mamedova, Raia Khalilova
Foreign language students and general values of the Georgian linguistic and cultural world 32

Irina Melkadze
Education for Democracy 36

Natia Maisuradze
Inclusive education and Georgian society: problems, visions 41

JOURNALIZM

Ketevan Giorgobiani
Austrian print media 46

Teona Arveladze, Temur Jagodnishvili
Georgian Emigration Journalism - International Tribune of the Georgian Society 50

Ana Barabadze
Overview 53

Nazi Gogoladze, Temur Jagodnishvili
Niko Nikoladze and his views on European utopian socialism 57

Nino Kvitashvili
Problems of Scientific Field in the Georgian Internet Media 62

Maia Koniashvili
Moral and ethical principles of modern political journalism 67

Ekaterine Kravishvili, Temur Jagodnishvili
Level of polarization and risks in Georgian television 71

Nino Natroshvili, Sofiko Kvantaliani
Audience factor in the process of Georgian multimedia text transformationi 76

Teona Kochiashvili
Country image formation in the American press 80

Ia Charkviani
Transformation and digitization of photojournalism on the example of Georgian online publications 87

Tamar Tchejia
Georgian Media in the Age of Globalization and Risks of Misinformation 91

PHILOLOGY

Murman Tavdishvili
Form ,,Muama" and the problem of "Abdulmesiani" 96

Tamar Mebuke
Despair and Hope in T.S. Eliot`s "The Waste Land" 101

Tamar Shaishmelashvili
King Heraclius and the battle of Krtsanisi in folklore 106

ECONOMICS AND BUSINESS

Elisabed khakhutashvili
Perspectives in Telecommunications 113

Archil Grigalashvili, Ketevan Iluridze
A comparative analysis of the introduction of smart meters in Europe 118

Beqa Bendianishvili, Vladimer Kekenadze
Library service management system 122

Giorgi Kimadze, Temur Kandashvili
Influence of misinformation and false news on public opinion 126

HISTORY SCIENCES

Germane Pipia
The Southern Route of Lend-lease and Georgia 134

Ivane Osadze
Hero Scientists of Georgian Technical University Irakli Tsitsishvili 141

LAW

Shota Mshvenieradze
Distribution of political power between the major institutions of the European Union 146

Mariam Jibladze
International guarantees of freedom of information 156

S C I E N C E S

Lalita Darchiashvili, Givi Kapanadze, Zurab Chachxiani
Magnetic properties of Solid solution of Th Co_5 - Th Ni_5 159

Irakli Grdzelishvili
Logging Utilization and Reforestation Works on Steep Slopes
Complex Mechanization and N14 Technological Scheme Elaboration.....167

SOCIAL SCIENCES

Lela Menabdishvili
Family transformation under conditions of a second demographic transition.....171

Nana Menabdishvili
Peculiarities of divorce in the XXI century in Georgia 176

Natia Abuladze
Social and economic impacts of Gambling on society 181

Tamar Bagratia
Environmental Protection Issues in the Focus of Sociological Researches.....185

Konstantine Barabadze
Social Aspects of Monetary Policy Communication 190

Marine Berdzenadze
Obstacle to Professional Success - Mobbing 196

Nana Bokuchava
The problem of developing attention at the elementary level of general education 199

Lela Buskhrikidze
Gender Quota in Modern Georgian Politics 212

Tamar Davituliani
The importance of PR for the successful operation of local municipalities 221

Ani Kiknadze
Language barrier, the problem of education for the ethnic minority in Georgia 226

Eka kordzadze
Psychology of Tobacco Consumption as an Addictive Behavior 231

Eka Ninoshvili
The importance of social relations in inclusive education.....235

Sophio Pachulia, Vaja Gurgenidze
The Problem of Gender-Based Violence.....239

Lasha Chekurishvili
Learning motives on the action of deviation risk factors Different influences 246

Irina Tsertsvadze
The importance of cultural heritage in the context of the development of the historical part of Tbilisi 252

Eulogy

Davit Gotsiridze 256

ასწლოვანი ისტორიის დასაწყისი



1922

SCIENTA POTESTA ES.

სსტუ

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს
სხდომის დღიური.

№ 35

„16„ ნოემბერი 1921 წ.

დესწრო: ვრცელ. დ. ლიტ. ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, ა. ბარამიძე, ს. ქურდიანი, ნ. ყიფიანი, გ. ჩუბინაშვილი, გ. მუხაძე, ა. ალადაშვილი, ი. მოსაშვილი, ა. ბენაშვილი, ა. ჯავახიშვილი, წინამძღვრიშვილი, გ. ფამბარაშვილი, ი. ქუთათელაძე, გოგიტიძე, ა. მანიძე, ი. ბერიტაშვილი, გ. ჯავახიშვილი.

არ დასწრებია:

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: დ. უზნაძე.

განიხილეს	დაადგინეს	შენიშვნა (როდის შესრულდა და სხვა)
მოხსენება უნივერსიტეტთან უმაღლესი გეოლოგიური ინსტიტუტის დაარსებისათვის არჩეული კომისიისა და ვრცელ. ა. დიდებულიძის განსაკუთრებული აზრი. ცნობა. მოხსენება და განსაკუთრებული აზრი თანერთვის ექმს.	ნაცვლად განზრახული საგეოლოგიო ინსტიტუტისა დაარსდეს უნივერსიტეტთან საგეოლოგიო ფაკულტეტი. ფაკულტეტის მოსაწყობად მესდგეს კომისია უნივერსიტეტის ამ ვრცელსორთაგან, რომელთაც მომავალს საგეოლოგიო ფაკულტეტს საავალდებულო კურსების წაკითხვა დაევალებათ ამ მიზნით, რომ მათ გამოარკვიონ, თუ რამდენი განყოფილების და კურსის გახსნა იქნება მესაძლო ამ თავითვე. ამ კო-	

განიხილეს	დაადგინეს	შენიშვნა (რიდის შესრულება და სხვა)
	მეხეთის მილგინა და მოწვევა მეინდოს ვრთ. ა. დ ი დ ი ბ ე დ ი ძ ლ ს . მილცის ალნიშნულ კომეხეთს ეუდლება კოოვგეცეთს წლეთ მცოდნე ვიერთგან თავეთი მიმადგინლობეს მივსებეს.	

განიხილეს	დაადგინეს	(რიდის შესრულება და სხვა)
	[illegible]	

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 წლისაა

საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტის) დაარსების ისტორია იწყება 1922 წლიდან, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. 1928 წელს თსუ-ს გამოეყო აღნიშნული ფაკულტეტი; მას შეუერთდა თბილისის რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ამ დროიდან ჩამოყალიბდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მისი პირველი რექტორი იყო დავით კანდელაკი, ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო და აღიარებული წარმომადგენელი. იგი დაიბადა ქ. ქუთაისში, განათლებული, ქართული ტრადიციების

დეპარტამენტის უფროსი პროფესორი
ალექსანდრე სიჭინავა

მქონე ოჯახში. დავით კანდელაკს განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული. იგი განათლებით ეკონომისტი იყო. 1921 წელს დავით კანდელაკი დაინიშნა განათლების სახალხო კომისრად (მინისტრად). 1930 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი გაიყო საქართველოს საინჟინრო-სამშენებლო, ამიერკავკასიის ენერგეტიკულ, სამთო მეტალურგიულ, ქიმიურ-ტექნოლოგიურ, გზათა ინჟინრებისა და საინჟინრო-მელიორაციულ ინსტიტუტებად.1932 წელს სამთო-მეტალურგიულ და ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტების ბაზაზე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სამთო-ქიმიური ინსტიტუტი. 1933 წლიდან ეს ინსტიტუტები გაერთიანდნენ საინჟინრო-სამშენებლო და ენერგეტიკულ ინსტიტუტებთან, რის შედეგადაც შეიქმნა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1936 წელს მას ეწოდა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1947 წელს ამ ინსტიტუტს შეუერთდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი. 1989 წლის 1 დეკემბრიდან საინჟინრო ტექნიკური კადრების აღზრდის ამ უდიდეს კერას ეწოდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

დაარსების პირველივე დღიდან აშკარა იყო საინჟინრო კადრების ტექნიკურთან ერთად, ეკონომიკური განათლების აუცილებლობა. ამ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ზემოთ აღწერილი გენეზისი გარკვეულწილად ცხადყოფს, თუ რატომაა ძნელი საარქივო დოკუმენტების მოპოვება ორმოციან წლებამდე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ეკონომიკური სწავლებისა და ამ დარგში მეცნიერული კვლევების მიმდინარეობის შესახებ. თუმცა, იმ პერიოდის ქვეყნის მმართველობის ერთპარტიული, ტოტალიტარული სისტემა მაინც იძლევა საფუძველს გამოითქვას ზოგიერთი მოსაზრება ამ მიმართულებით. ჯერ ერთი, კომუნისტური იდეოლოგიის მთავარი პრინციპი იყო მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა და საზოგადოების წევრთა აღზრდა ამ იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთება. პოლიტიკური ეკონომია განიხილებოდა როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი და ამიტომ მიჩნეული იყო,

რომ მისი სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში (მიუხედავად პროფილისა) განამტკიცებდა ახალგაზრდობის ერთგულებას კომუნისტური „იდეალებისადმი“. ამიტომ, როგორც ეს საერთოდ იყო დამახასიათებელი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური, ტოტალიტარული მმართველობის-თვის, პოლიტიკური ეკონომიის სწავლების პროგრამა დგებოდა „ერთიან ცენტრში“ - მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროში. ეს პროგრამები, როგორც აუცილებელი ორიენტირი საგნის სწავლებისათვის, „ჩამოდიოდა“ რესპუბლიკების განათლების უწყებებში,

ითარგმნებოდა და გადაეცემოდა უმაღლეს სასწავლებლებს. იმის გამო, რომ აკრძალული იყო ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა მშობლიურ ენებზე, ძირითადად გამოიყენებოდა ამ პროგრამების შესაბამისად ასევე “ცენტრში“ რუსულ ენაზე გამოცემული და მშობლიურ ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოები და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები. მოგვიანებით, ჯერ მოსკოვთან შეთანხმებით, შემდგომში ადგილობრივი პარტოკრატიის ნებართვით, შესაძლებელი გახდა ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა მშობლიურ ენაზე, მაგრამ გამოსაცემ ად წარდგენილი თითოეული სტრიქონი ექვემდებარებოდა მკაცრ “ცენზურას”. წინ გავუსწრებთ მოვლენებს და აღვნიშნავთ, რომ ქართულ ენაზე გამოცემული პოლიტიკური ეკონომიის პირველ სახელმძღვანელოებს შორის გამორჩეული ადგილი დაიკავა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგის, პროფ. რ. მელაძის ავტორობით გამოცემულმა დამხმარე სახელმძღვანელომ - “პოლიტიკური ეკონომია” (1973 წ.). იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, პარტოკრატია აკონტროლებდა უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მათ შორის

პოლიტიკური ეკონომიის კათედრების უზრუნველყოფას პედაგოგ-მეცნიერთა კადრებით. საშტატო ერთეულზე ყოველი მასწავლებლის აყვანა შეთანხმებული უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობასთან. ლექტორი რამდენად შემოქმედებითად მიუდგებოდა გადასაცემ პრობლემას, როგორ აარიდებდა თავს ცალკეულ დებულებათა დოგმატურ გადაცემას, რამდენად ასახავდა გადასაცემ სალექციო მასალაში ცხოვრებისეულ რეალობას, ეროვნულ თავისებურებებს და ნიუანსებს - მთლიანად დამოკიდებული იყო მის ერუდიციასა და უნარზე. მეორე, პარტოკრატია კარგად აცნობიერებდა, რომ მომავალი სპეციალისტისთვის, წარმოების ან თუნდაც სახელმწიფოს მმართველისთვის (დღევანდელი ტერმინი რომ გამოვთქვათ, ყოველი მენეჯერისათვის) აუცილებელი იყო საზოგადოების მეურნეობრივი ცხოვრების პროცესების არსში ჩაწვდომა, მათი მეცნიერული ანალიზი და განზოგადება, ეკონომიკური კანონზომიერებების, თეორიების და პრინციპების ჩამოყალიბება. პოლიტიკური ეკონომია კი ფუნდამენტური დისციპლინა იყო, რომლის დასკვნები ყოველთვის იყო ერთგვარი “კომპასი” მეურნეობრივი აგენტების ხელში ეკონომიკურ ლაბირინთებში გზის გასაკვლევად. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ჯანსაღი და ქმედითუნარიანია მაშინ, როდესაც იგი ეყრდნობა მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიკურ თეორიას, სიახლეთა შემცველ რეკომენდაციებსა და წინადადებებს. ეს ორი ძირითადი პრინციპი ედო საფუძვლად საბჭოთა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, ხოლო შემდეგ პოლიტიკური ეკონომიის, როგორც სასწავლო დისციპლინების სწავლებას.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრა, როგორც დღევანდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის მართვის მიმართულება, პოლიტიკური ეკონომიისა და საბჭოთა მეურნეობის თეორიის კათედრის სახელწოდებით შეიქმნა გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში. 1940 წელს მას ეწოდა პოლიტიკური ეკონომიის კათედრა. ამავე პერიოდიდან მისი გამგე ხდება რაფიელ მელაძე, რომელსაც 1945 წელს მიენიჭა დოცენტის, ხოლო 1991 წელს პროფესორის სამეცნიერო წოდება. აღესრულა 100 წლის ასაკში, 2008 წელს. ბატონი რაფიელი იმ მეცნიერთა პლეადის წარმომადგენელია, რომლებმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ინჟინერთა მრავალათასიანი კადრების აღზრდას. კათედრის გამგედ დანიშვნიდან ერთ წელიწადში, დიდი სამამულო ომის დაწყების პირველივე დღეებიდანვე, იგი ჩადგა მეომართა რიგებში. მუშაობდა სამხედრო ჰოსპიტალის კომისრად. 1942 წელს, ავადმყოფობის გამო, დემობილიზებულ იქნა არმიის რიგებიდან და დაუბრუნდა ამავე კათედ-რას, სადაც ფართოდ გაშალა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა. 1944 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იყო დაუღალავი მშრომელი, ზედმიწევნით ობიექტური, პროტექციონიზმის მიმართ შეურიგებელი პიროვ-

ნება. ბატონმა რაფიელმა ამ კათედრაზე 75 წელზე მეტი იმოღვაწა, მათ შორის 35 წელი კათედრის გამგედ. იგი იყო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენციების აქტიური ორგანიზატორი. დაჯილდოებული იყო მრავალი სამთავრობო ჯილდოთი.

მის გვერდით მოღვაწეობდა მრავალი გამორჩეული ადამიანი, მეცნიერული რომელთა ნაწილმა დიდი ხანია, რაც დაიმკვიდრა ადგილი ზეციურ მარადისობაში. მათ შორის კათედრას საამაყოდ დარჩა დოცენტ ალექსანდრე პაპავას სახელი. იგი, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში მუშაობდა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგედ. აშკარად გამოდიოდა კომუნისტური ხელისუფლების მიერ გატარებული მთელი რიგი, საზოგადოებისათვის ზიანის მომტანი, ღონისძიების წინააღმდეგ. არაერთხელ დაპირისპირება თვით ლავრენტი ბერიას. არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, ბატონ ალექსანდრეს არ უღალატია თავისი მრწამსისთვის და არ შეუწყვეტია მწვავე გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის გამო, გაათავისუფლეს ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეობიდან და გადაიყვანეს ჯერ თბილისის კონსერვატორიის, ხოლო შემდეგ, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად. ცოტა ხნის შემდეგ რეპრესირებულ იქნა და გულაგის ჯურღმულებში გაატარა ოცი წელი. თავიდან ამდენი არ ჰქონდა მისჯილი, მაგრამ, სასჯელის მოხდის შემდეგ, გამოგონილი მიზეზებით, ხელახლა უსჯიდნენ. გადასახლებიდან დაბრუნდა 1956 წელს, რამდენიმე ხნის შემდეგ შეუდგა ლექციების კითხვას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე. იგი იყო განათლებული, ფართოდ ერუდირებული პიროვნება, ინტელიგენტურობითა და გარეგნული შეხედულებითაც გამორჩეული ადამიანი.

კათედრის გადაწყვეტილებით და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის შეთავაზებით, კათედრის გამგის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეო ჩიქავა, რომელიც მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1974 წლის 1 სექტემბრიდან და იმუშავა 1983 წლამდე, სამუშაოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში გადასვლამდე. კათედრაზე სწრაფად აეწყო სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა. კათედრის სხდომა ტარდებოდა ორ კვირაში ერთხელ. ასევე ორ კვირაში ერთხელ იმართებოდა თეორიული და სასწავლო-მეთოდური მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობა. კათედრის სხდომებზე წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად განიხილებოდა არა

დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები კონფერენციაზე

მარტო მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გეგმით შესრულებული წლიური ნაშრომები, არამედ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხებიც. მაღალ დონეზე იდგა ლექცია-სემინარებზე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების საკითხიც და მისი შედეგების საჯარო განხილვა. კათედრის გამგე თავად, ან რომელიმე წევრთან ერთად, სისტემატურად ესწრებოდა ლექციებსა და სემინარებს. დასწრების შედეგების ღრმად და საფუძვლიანად განხილვამ განაპირობა კათედრის წევრთა ძალისხმევის მაქსიმალური მობილიზება უფრო უკეთესი მოღვაწეობისთვის. ასეთივე დონეზე მიმდინარეობდა წლიური მეცნიერულ-კვლევითი ნაშრომების განხილვა და მიღება. ზოგიერთ ნაშრომს კათედრის გამგე ეცნობოდა წინასწარ, ოფიციალური რეცენზენტის პარალელურად და მისი ავკარგიანობის შესახებ მოსაზრებებს ახსენებდა კათედრას. ზოგიერთს კი ეცნობოდა სხდომის მსვლელობისას (ვიდრე რეცენზენტი გააცნობდა კათედრას რეცენზიას) და იქვე პოულობდა ნაკლს, რაც დიდ უხერხულობაში აგდებდა ავტორსაც და რეცენზენტსაც. ყოველივე ამის გათვალისწინება, ცხადია, ხელს უწყობდა კვლევითი ნაშრომების მეცნიერული დონის ამაღლებას. კათედრაზე მთავარი საზრუნავთაგანი იყო მაღალკვალიფიციური კადრებით მისი შევსება და კვალიფიკაციის ამაღლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ კათედრა, პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობდა კათედრის წევრთა ურთიერთ დაახლოებასა და ურთიერთპატივისცემასაც. ფრიად საგულისხმო ფაქტია ის, რომ თავისი საქმიანობის შედეგებით 1974-1983 წლებში იგი ყოველწლიურად პირველ ადგილს იკავებდა ინსტიტუტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს შორის.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრა, სხვა კათედრებთან ერთად, თანამშრომლობდა პრაღის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და ბუქარესტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრებთან. ხშირი იყო თანამშრომელთა ურთიერთ მიმოსვლა და ერთობლივი ღონისძიებები, საინსტიტუტო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა. 1982 და 1984 წლებში პრაღის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის შრომების კრებულში „აქტაპოლიტექნიკა" გამოქვეყ-



შეხვედრა უცხოელ კოლეგებთან

ნდა პროფ. ლ. ჩიქავასა და დოც. ვ. ქირიას სტატიები. სტუ-ს პოლიტიკური ეკონომიის კათედრიდან საზღვარგარეთის ამ ორ უმაღლეს სასწავლებელში იმყოფებოდნენ პროფ. ოთარ მაღლაფერიძე და დოც. ლამარა მდივანი. ინსტიტუტის ხელმძღვანელობის თანადგომით კათედრაზე ლექციების კურსის წასაკითხად

მოწვეულნი იყვნენ ცნობილი რუსი მეცნიერები, პროფესორები – ნიკოლოზ კოლესოვი და ნიკოლოზ ჩერკასოვი. ორმოცდაათიანი წლების დასასრულამდე კათედრის წევრები ხუთ წელიწადში ერთხელ იმაღლებდნენ კვალიფიკაციას მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტთან, სანკტ-პეტერბურგის (მაშინდელი ლენინგრადის), კიევის, მინსკის და ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებში.

კათედრის ზოგიერთ წევრს რამდენიმეჯერ მოუხდა კვალიფიკაციის ამაღლება ამ ინსტიტუტებში, სადაც ისმენდნენ ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების ლექციებს, ამზადებდნენ სამეცნიერო და მეთოდურ ნაშრომებს, მონაწილეობდნენ დამუშავებული ნაშრომების განხილვასა და სემინარულ მეცადინეობებში, ჰქონდათ საშუალება გამოექვეყნებინათ საკუთარი ნაშრომები. ამ შესაძლებლობებს აქტიურად იყენებდნენ კათედრის წევრები.

1983 წლის 1 სექტემბრიდან პროფ. ლ. ჩიქავამ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა აკად. თეიმურაზ ლოლაძემ სთხოვა შეეთავაზებინა შემცვლელის კანდიდატურა. ასეთ კანდიდატურად შეთავაზებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვალერიან დათუკიშვილი, რომელსაც ჰქონდა ამ გამორჩეულ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება, დაცული ჰქონდა სადოქტორო დისერტაცია საქართველოს მანქანათმშენებლობის ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე, ჰქონდა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1983 წლიდან 1989 წლამდე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის მუშაობას გამგის სტატუსით წარმართავდა პროფესორი ვალერიან დათუკიშვილი. ამ პერიოდშიც ჯეროვან დონეზე ტარდებოდა პროფესორ-მასწავლებელთა მეთოდური და თეორიული სემინარები. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო კათედრის შევსება კვალიფიციური კადრებით.

1989 წელს, ხანდაზმულობის გამო, პროფესორმა ვალერიან დათუკიშვილმა სურვილი გამოთქვა დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა. იმ პერიოდში კათედრას შემადგენლობის მხრივ იმდენად შთამბეჭდავი ხარისხობრივი მაჩვენებელი ჰქონდა, რომ, წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, კათედრის გამგის კანდიდატურა უნდა შერჩეულიყო კათედრის შემადგენლობიდან. კენჭისყრის შედეგად კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე რეკომენდაცია მიეცა პროფ. კარლო ღურწკაიას. 1989 წელს იგი არჩეულ იქნა ამ თანამდებობაზე. ჩვენს ქვეყანაში პიკს აღწევდა ეროვნული მოძრაობა. ცხოვრება ადასტურებდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობას. აუცილებელი იყო გვეხელმძღვანელა მარქსისტული მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნებით, მაგრამ უკუ გვეგდო უსაფუძვლო, დრომოჭმული, დოგმატური შეხედულებები. საჭირო გახდა სასწავლო პროგრამების ძირეული ცვლილება. უნდა შეცვლილიყო საერთოდ პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნება საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი კონკურენციის ეპოქის შესატყვისად. მზადდებოდა უმაღლესი განათლების რეფორმა. სიახლე უნდა შეხებოდა ყველაფერს, დაწყებული სასწავლო პროგრამებიდან და სწავლების მეთოდებიდან, დამთავრებული სტუდენტთა შეფასების სისტემით. ეს უკანასკნელი უპირველესად სამთავრობო პრეროგატივა იყო. უმაღლესი სასწავლებლების გადაუდებელ ამოცანად უნდა ქცეულიყო სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა და სტუდენტებისთვის ახალი, ცხოვრების რეალობის ამსახველი სახელმძღვანელოების მიწოდება, რასაც წარამატებით გაართვა თავი პროფ. კ. ღურწკაიამ. მისი ხელმძღვანელობით ითარგმნა და ორჯერ გამოიცა მაკკონელი დ.ნ. და ბრიუს ლ. "ეკონომიკსის" ოთხტომეული; ფიშერი ს., დორნბუში ნ., შმალენზი ნ. "ეკონომიკა", სამუელსონი პ.ა., ნორდჰაუზი ვ.დ."ეკონომიკა" ოთხ ტომად. თვითონ გამოსცა "ეკონომიკური თეორიის", "ეკონომიკის პრინციპების" და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოები.

პოლიტიკური ეკონომიის კათედრას სახელის გადაერქვა და მას ეწოდა ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრა. პოლიტიკური ეკონომიის კათედრა დაარსებიდანვე იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, შემდგომში კი ტექნიკური უნივერსიტეტის დამო-

უკიდებელი, ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავდა ყველა ფაკულტეტზე. უკანასკნელ პერიოდში, სტრუქ-ტურული რეორგანიზაციის კვალობაზე, მას ეწოდა "ეკონომიკური თეორიის და ბიზნესის მართვის მიმართულება" და გაერთიანდა ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტში.

ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის მართვის მიმართულებას დღეისთვის შენარჩუნებული აქვს საუნივერსიტეტო მიმართულების ფუნქცია და სასწავლო პროცესს წარმართავს როგორც ბიზნეს ინჟინერინგის, ისე სტუ-ს სხვა ფაკულტეტებზე. იგი მრავალპროფილიანია. უძღვება ეკონომიკური თეორიის საფუძვლების, მარკეტინგის, მენეჯმენ-ტის, ბიზნესის საფუძვლების, მიკრო და მაკრო-ეკონომიკის, ეკონომიკური ანალიზის, სტატის-ტიკის, საბირჟოდა საგადასახადო საქმის, რისკებისა და დაზღვევის და სხვა ეკონომიკური დისციპლინების სწავლებას. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის სხვადასხვა მიმართულებების და ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის, ყოველდღიური ზრუნვის საგანია სასწავლო პროგრამების სრულყოფა.

წინა პერიოდებისგან განსხვავებით, ეკონომი-კისა და ბიზნესის მართვის მიმართულებაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ბაკალვრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმა-ნათლებლო პროგრამებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი გამსხვილდა და მისი მართვის ეფექტურობის გასაძლიერებლად მის ბაზაზე ჩამოყალიბდა სამი ფაკულტეტი: ბიზნეს ტექნოლოგიების. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

2013 წლის 31 იანვარს სტუ-ს აკადემიური საბ-ჭოს გადაწყვეტილებით ცალკე დეპარტამენტად გამოიყო საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი, ალექსანდრე სიჭინავას ხელმძღვანელობით.

დეპარტამენტი ახორციელებდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს. მოგვიანებით დეპარ-ტამენტმა შეიმუშავა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაც. საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი შემდგომში შევიდა საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში.

დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა, პროფე-სორი ალექსანდრე სიჭინავა. დაარსების დღიდან დეპარტამენტი გამოირჩევა სამეცნიერო, სასწავლო აღმზრდელობითი, საერთაშორისო საქმიანობით. დეპარტამენტი ახორციელებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და სადოქტორო პროგრამებს. სამივე პროგრამამ 2021 წელს მიიღო 7 წლიანი აკრედიტაცია.

დეპარტამენტში შეიქმნა ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორია, რომე-ლიც ეწევა ნაყოფიერ მუშაობას. ინოვაციური პროგრესი კომპიუტერული ტექნოლოგიების გან-ვითარებაში საშუალებას იძლევა რთული ეკონო-მიკური პროცესების გამოკვლევებში აქცენტები გაკეთდეს ფორმალიზებულ მეთოდებსა და ალგორითმებზე, როგორც ზუსტ და საიმედო ინსტრუმენტებზე. ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების ამოცანათა გადაწყვეტა, შეზ-ღუდული რესურსების ოპტიმალური განაწილება, ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების გამომუშავება და მთელი რიგი სხვა რეალური პრობლემის წარმატებული გადაჭრა თანამედროვე ეტაპზე წარმოუდგენელია ეკონო მეტრიკული და ზოგადად, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთო-დებისა და მოდელების (ემმმ) გამოყენების გა-რეშე. აქედან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, თუ რაოდენ აქტუალურია მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება, განსაკუთრებით, ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების, ასევე საინჟინრო სფეროებში. ამის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

ზემოთაღნიშნულმა გარემოებებმა განაპირო-ბეს „ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის" დაფუძნება საინჟინრო ეკონო-მიკის დეპარტამენტთან 2013 წელს. იმთავითვე ლაბორატორიის კვლევის ძირითადი მიზნები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: 1. ემმმ-ისა და ეკონო-მეტრიკის არსებული პროგრამული პაკეტების (განსაკუთრებით შესაძლებლობების მქონე) მოძიება, მოპოვება და გაანალიზება; 2. ახალი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების შექმნა; ემმმ-ისა და ეკონომეტრიკული მოდელირების სასწავლო პროცესში დანერგვის თანამედროვე მეთოდოლოგიების შემუშავება. შესაბამისი კო-რექტივების შეტანა სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში; 3.ტრეინინგების ორგანიზება პრო-ფესორ-მასწავლებელთათვის, რომლებიც მიზან-შეწონილად მიიჩნევენ სასწავლო პროცესში შესა-ბამისი პროგრამული პაკეტის გამოყენებას; 4. მოდელირების ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტურობის ხარისხის ამაღლება სამაგისტრო და სადოქტორო კვლევით კომპონენტებში; 5.

ლია კვარაცხელია და დალი გვასალია ღვაწლმოსილ პროფესორ პარმენ ლემონჯავასთან ერთად

სამეცნიერო კვლევების გაღრმავება ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებისა და ეკონომეტრიკის მიმართულებით კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვაზე ორიენტაციით. თანამედროვე ეტაპზე ლაბორატორიული მეცადინეობები კომპიუტერულ კლასში უტარდებათ როგორც ბაკალავრიატის (სასწავლო დისციპლინა -ეკონომიკური პროცესების მოდელირება), ისე მაგისტრატურის (სასწავლო დისციპლინა - ეკონომეტრიკა) საფეხურის სტუდენტებს.

ლაბორატორიული სამუშაოების თემატიკა მრავალფეროვანია და გამოიყენება პროგრამული პაკეტების ფართო სპექტრი (წრფივი და არაწრფივი პროგრამირების, მატრიცული თამაშების, დარგთაშორისი ბალანსის, რეგრესიულ-კორელაციური ანალიზისა და სხვ.). თითოეული ლაბორატორიული სამუშაო ტარდება ინტერაქტიულ რეჟიმში და მოიცავს ორ აკადემიურ საათს. პირველ საათზე ხდება ტიპიური ამოცანის ამოხსნის დემონსტრირება, ხოლო მეორე საათზე სტუდენტებს ეძლევათ ლაბორატორიული სამუშაოს დავალება. შესრულებული სამუშაო კი აიტვირთება შესაბამის ელექტრონულ ჟურნალში. ლაბორატორია ეხმარება მაგისტრანტებს და დოქტორანტებს კვლევის პროცესებში გამოიყენონ შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტები.

დეპარტამენტთან ფუნქციონირებს ორი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი: 1. ეკონომიკური განვითარებისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ხელმძღვანელი პროფესორი დ. სეხნიაშვილი) და 2. ქონების ევროპული სტანდარტებით შეფასების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ხელმძღვანელი, პროფესორი ალ. სიჭინავა). პირველი ცენტრი ატარებს კონფერენციებს, ტრენინგებს, იწვევს უცხოელ სპეციალისტებს ლექციების წასა-

კითხად სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებლებისათვის. კონფერენციები გამოირჩევა საკითხების მრავალფეროვნებით და მასში მონაწილე უცხოელი პროფესორებით.

9 წლის განმავლობაში კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 150-მე უცხოელმა მეცნიერ-ეკონომისტებმა. ეხლა ვემზადებით მეათე კონფერენციის ჩასატარებლად, რომელიც მიეძღვნება სტუს-100 წლის თავს. მეორე ცენტრი გადის ლიცენზირებას და მალე დაიწყებს ფუნქციონირება ქონების შეფასებისა და სპეციალისტთა გადამზადების მიმართულებით. საბაკალავრო პროგრამაში გვქონდა მოდული, რომელიც გაუგებარი მიზეზების გამო გაგვიუქმეს ,თუმცა ყველა ბაკალავრი, რომელმაც გაიარა მოდული დასაქმებულია საშემფასებლო საქმიანობით და მაღალ ანაზღაურებადებიც არიან. ერთ-ერთი სტუდენტი(მაია წერედიანი), რომელმაც 2017 წელს გაიარა ქონების შეფასების მოდული, ამჟამად მუშაობს დუბაიში და იღებს მაღალ ანაზღაურებას. ქონების შეფასების ცენტრი უნდა გაძლიერდეს, რადგანაც შრომის ბაზარზე დასაქმების 100%-იანი გარანტია არსებობს. მიგვაჩნია მიზანშეწონილად ქონების შეფასება ცალკე სპეციალობად უნდა იყოს შემოღებული. ამ მიმართულებით ვამზადებთ წინადადებას ზემდგომი ორგანოებისათვის.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დღეს მიმდინარე რეფორმებმა მოითხოვა საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც ამჟამად საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტში 2021 წელს ჩატარებული კონკურსის შემდეგ მოღვაწეობას განაგრძობენ: სიჭინავა ალექსანდრე, სეხნიაშვილი დალი, იაკობიძე დავითი, ჯოლია გურამი, შენგელია რევაზი, კიკვაძე ტარიელი, ჩიკვილაძე ნატო, ჭიკაიძე ნაზი, მამალაძე ირინა, კვარაცხელია დემნა, გვარუციძე აკაკი, ჭყონია ლია, მენაბდე ელენე, გეგენავა ნატო, აბუაშვილი თამარი, ბიძინაშვილი თეა, ბენია მაია, გარაყანიძე ზურაბი, ბაქანიძე თეონა, ტატიშვილი ლევანი, მახვილაძე დავითი, ჩაჩანიძე თამარი, ჯანგავაძე ირაკლი, მგელაძე ლაშა, შაკიაშვილი თემური, ბახტურიძე ირმა, ბენდიანიშვილი ნინო, გეგია დავითი, გვასალია დალი (სპეციალისტი).

საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის მთელი შემადგენლობა მზად არის პირნათლად შეასრულოს ყველა ის ამოცანა, რასაც მის წინაშე სახავს სტუ-ში მიმდინარე რეფორმები და კვლევაც გააკეთებს ყველაფერს მომავალი საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის საფუძვლიანი ეკონომიკური განათლების მიღებისათვის.

ჩვენი იუბილარები

ჟურნალ „განათლების“ რედაქციამ რამდენიმე წლის წინ სათავე დაუდო კარგ ტრადიციას – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი მუშაკების, პროფესორ-მასწავლებლების ცხოვრება-მოღვაწეობის საიუბილეო თარიღების აღნიშვნას საადრესო ფორმატის ტექსტებით. რედაქციის მხრიდან ეს იყო ერთგვარი ფორმა ჩვენი გულცივი პრაგმატულობით გამორჩეული თანამედროვეობის მიერ დამკვიდრებული უგულისყურობისადმი პროტესტისა, რომლის შედეგადაც შეუმჩნეველი რჩება არა ერთი ჩუმი, თავმდაბალი და უანგარო მუშაკის ნამუშაკევი და დატოვებული კვალი ქართული განათლების სივრცეში.

ვაჟა პაპასკირი 70 წლისაა

დაბადებიდან 70 წლისთავი შეუსრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ღვაწლმოსილ თანამშრომელს, ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს, სტუ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრს, პროფესორ ვაჟა პაპასკირს.

ვ. პაპასკირი დაიბადა 1952 წლის 9 მაისს ქალაქ სენაკში, დედულეთში, კალანდარიშვილების ქართულ ტრადიციულ ოჯახში, სადაც ჩამოყალიბდა მისი მოქალაქეობრივი მრწამსი და ცნობილი პროფესორის ვახტანგ კალანდარიშვილის მზუნრველობითა და ხელდასმით განვლო თავისი ცხოვრების დიდი გზა – სკოლის მოსწავლეობიდან თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტობამდე, ხოლო შემდეგ ქართული განათლების მუშაკობამდე.

უნივერსიტეტი ვ. პაპასკირმა 1973 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის აპარატში ინსტრუქტორის თანამდებობაზე. აქ მან 1976 წლამდე დაჰყო, 1976-1984 წწ. იყო მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე.

1984 წლიდან დღემდე არის სტუ ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი, შეთავსებით 1984-2006 წწ. – ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, 2009-2017 წწ. ამ ფაკულტეტის პროფესორი, ხოლო 2017 წლიდან დღემდე არის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი.

1977 წელს ვ. პაპასკირმა დაიცვა საკანდიდატო

დისერტაცია თემაზე „კ. გამსახურდია და თანამედროვეობა“, მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ამჟამად არის ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი. კითხულობს ლექციებს „მედია და პოლიტტექნოლოგიები“, „ჟურნალისტიკის ფსიქოლოგია“, „აკადემიური წერა“. მისი ხელმძღვანელობით დაცულია სადოქტორო და სამაგისტრო დისერტაციები, გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია, 3 გამოკვლევა კომუნიკოლოგიის საკითხებზე, თანაავტორებთან ერთად საცნობარო ხასიათის წიგნი და ფრაზეოლოგიური განმარტებითი ლექსიკონები, 20-მდე სტატია სამეცნიერო ჟურნალებში; მონაწილოება აქვს მიღებული 6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში.

ვ. პაპასკირი არის ჟურნალების „პარალელის“ და „ინტელექტუალის“ რედკოლეგიების წევრი, სტუ საბიბლიოთეკო საბჭოს თავმჯდომარე (2009-2020), დაჯილდოებულია „ღირსების მედლებით“ (1998, 2003).

ვულოცავთ პროფესორ ვ. პაპასკირს დაბადების 70 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ახალ-ახალ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუ ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტი

ჟურნალ „განათლება“ რედკოლეგია

განათლების მეცნიერებანი

EDUCATION SCIENCES

დისტანციური სწავლება და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

თამარ ბერიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მარიამ წიკლაური, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სოფიო ბერიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

განათლების სისტემის ერთ-ერთი ამოცანაა უზრუნველყოს თითოეული ადამიანისთვის განათლებაზე თავისუფალი და ღია წვდომა მთელი ცხოვრების მანძილზე - მისი ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სახელმწიფომ ეს პრობლემა უზრუნველყო სასკოლო, საუნივერსიტეტო განათლების, კვალიფიკაციების ამაღლების სისტემით, როგორც სრულ განაკვეთზე, ისე არასრულ განაკვეთზე სწავლების ფორმით.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, შრომის ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა - გაიზარდა პერსონალისადმი მოთხოვნები, ფართოდ დაინერგა საინფორმაციო ტექნოლოგიები საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში და თავად პერსონალი გახდა უფრო მობილური. ასეთმა ცვლილებებმა განაპირობა პერსონალის უწყვეტი, სწრაფი, მოქნილი და მაღალი ხარისხის მომზადების პირობების შექმნა.

თანამედროვე საზოგადოებაში ელექტრონულ სწავლებას (e-learning) დიდი მნიშვნელობა აქვს, ის ავსებს არადისტანციურ, პირისპირ სწავლებას, ასევე სხვადასხვა სახის უშუალო კურსებს და ტრენინგებს. ამავდროულად, ელექტრონული სწავლება ფართოდ გავრცელდა არამხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ სხვადასხვა დარგის საწარმოებშიც. ჩვენს რეალობაში, უკვე იკვეთება ჰიბრიდული სწავლების დანერგვის ტენდენციებიც, ამიტომ მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას უცხოეთში ელექტრონული სწავლების დანერგვის დადებითი გამოცდილება და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

დისტანციური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა განათლების ღირებულებაა, ამიტომ კომპანიები სულ უფრო ხშირად ირჩევენ ტრენინგის ამ ვარიანტს, როგორც პრიორიტეტს პერსონალის განვითარებისთვის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მსმენელს არ შეუძლია, თავისი პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე, მიიღოს დისტანციური განათლება.

დისტანციური სწავლების მნიშვნელოვანი უპირატესობა მისი ეფექტიანობაა. მართალია, ეს უპირატესობა ყოველთვის არ ამართლებს - იგი დამოკიდებულია შესწავლილ მასალაზე და მისი პრეზენტაციის მეთოდზე.

საკვანძო სიტყვები: პერსონალის განვითარება, თანამედროვე ტექნოლოგიები, ჰიბრიდული სწავლება.

შესავალი

დისტანციური სწავლება, როგორც განათლების ერთ-ერთი ფორმა, ვითარდება სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის, საზოგადო-

ებრივი ცხოვრების ინფორმატიზაციის შესაბამისად. დისტანციური სწავლება არის განათლების ყველაზე დემოკრატიული ფორმა, რომე-ლიც საშუალებას აძლევს ფართო საზოგადოებას მიიღოს განათლება, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობს ან იმყოფება. ონლაინ სწავლება აუმჯობესებს განათლების ხარისხს მსოფლიო საგანმანათლებლო რესურსების ფართო გამოყენებისა და მასალის თვითსწავლის წილის გაზრდის გზით, ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან თანდათან უზრუნველყოფს ისეთი თვისებების განვითარებას, როგორიცაა დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, ორგანიზება და საკუთარი ძლიერი მხარეების რეალისტურად შეფასების და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი, რის გარეშეც წარმოუდგენელია წარმატებული კარიერა.

ძირითადი ნაწილი

დისტანციური სწავლება და პირისპირ სწავლა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს - ეს არის განათლების განსხვავებული, მაგრამ დამატებითი ფორმები, რომელსაც აქვს უარყოფითი მხარეებიც. ერთ-ერთი მათგანია ინტერნეტთან წვდომა და კომპიუტერის არასაკმარისი ცოდნა. სწავლების ეფექტიანი წარმართვისათვის აუცილებელია ისეთი ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრაც, როგორიცაა კომპიუტერების, სერვერების გაუმართაობა, ვირუსების ან ჰაკერების მიერ ელექტრონული კურსის დოკუმენტებზე წვდომა და სხვ.

ელექტრონული სწავლების ზოგიერთი ფორმა, როგორიცაა CML და CAL, არ მოითხოვს დისტანციურად ჩატარებას, თუმცა, ისინი ელექტრონული სწავლების ტიპებად ითვლებიან.

კომპიუტერით მართვადი სწავლების (CML) შემთხვევაში, კომპიუტერებს იყენებენ სასწავლო პროცესების მართვისა და შეფასების მიზნით. სტუდენტსა და კომპიუტერს შორის ორმხრივი კომუნიკაციის შედეგად, შეიძლება დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწია სტუდენტმა სასწავლო მიზნების დამაკმაყოფილებელ დონს.

კომპიუტერული დამხმარე ინსტრუქცია (CAI), ელექტრონული სწავლების კიდევ ერთი სახეობაა, რომელიც კომპიუტერებს ტრადიციულ სწავლებასთან ერთად იყენებს. აღნიშნული მეთოდოლოგია გულისხმობს სწავლების გასაუმჯობესებლად ისეთი მულტიმედიის ერთობლიობის გამოყენებას როგორიცაა ტექსტი, გრაფიკა, ხმა და ვიდეო. **სინქრონული ონლაინ** სწავლა რეალურ დროში ხშირად მოიცავს ონლაინ ჩატებს და ვიდეოკონფერენციებს, სტუდენტთა ჯგუფები დამოუკიდებლად სწავლობენ სხვადასხვა დროსა და ადგილას, რეალურ დროში კომუნიკაციის გარეშე.

ასინქრონულ ელექტრონულ სწავლებას ხშირად უპირატესობას ანიჭებენ ისეთი სტუდენტები, რომლებსაც არ აქვთ მოქნილი გრაფიკი, რადგან სწავლების ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მოარგონ საკუთარ გრაფიკს და „დაესწრონ“ გაკვეთილებს, როცა შეუძლიათ.

ფიქსირებული ელექტრონული სწავლება - სასწავლო პროცესში გამოყენებული შინაარსი არ იცვლება თავდაპირველი მდგომარეობიდან და ყველა მონაწილე სტუდენტი იღებს ერთსა და იმავე ინფორმაციას, მასალები წინასწარ არის განსაზღვრული და სტუდენტის უპირატესობებზე არ არის ადაპტირებული.

ადაპტირებული ელექტრონული სწავლება თითოეული ინდივიდუალური შემსწავლელისთვის სასწავლო მასალების ადაპტირების და განლაგების შესაძლებლობას იძლევა. ადაპტირებული ელექტრონული სწავლების მეთოდი საშუალებას იძლევა პროცესი ინდივიდუალური და სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული გახდეს.

წრფივი ელექტრონული სწავლება - წრფივი კომუნიკაციისას ინფორმაცია დანაკარგის გარეშე მიდის ადრესატამდე. ელექტრონული სწავლების შემთხვევაში, ეს ძალზე შემზღუდველი ფაქტორი ხდება, რადგან ის არ იძლევა მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის ორმხრივ კომუნიკაციის საშუალებას.

ინტერაქტიული ონლაინ სწავლება საშუალებას აძლევს ინფორმაციის გამგზავნებს გახდნენ მისი მიმღებები და პირიქით. შექმნან ეფექტიანი საკომუნიკაციო არხი ჩართულ მხარეებისთვის. **ინდივიდუალური ონლაინ სწავლება** ორიენტირებულია ჩართული სტუდენტების შედეგების მიღწევაზე, ვიდრე ადაპტირებულ სასწავლო მასალებზე. ამ ტიპის სწავლება იდეალური არ არის სტუდენტებში კომუნიკაციის და გუნდური მუშაობის უნარის გამომუშავებისთვის.

კოლაბორაციული ელექტრონული სწავლება თანამედროვე მეთოდია, რომლის საშუალებითაც მრავალ სტუდენტს, როგორც ერთ გუნდს, უწევს თანამშრომლობა და გუნდურად გარკვეული დავალებების შესრულება, რაც საკუთარი მიზნების მიღწევაში ეხმარება მათ.

კომპანიებში, საწარმოებსა და სამთავრობო უწყებებში ონლაინ ტრენინგი საშუალებას იძლევა გადაჭრას თანამშრომელთა მომზადებისა და გადამზადების საკითხები, რაც განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კონტექსტში. თუმცა, სხვადასხვა სფეროში არის ორაზროვანი დამოკიდებულება დისტანციური სწავლების მიმართ. ამ დროისთვის ის ყველაზე მოთხოვნადია კორპორატიულ სფეროში, როგორც ტრადიციული ტრენინგების შემცვლელი. ტრენინგის ეს ვარიანტი სულ უფრო ძლიერ პოზიციებს იძენს ფინანსურ და საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორებში, საჯარო მოხელეთა გადამზადებაში, ჯანდაცვაში და სხვა სფეროებში.

გასული ათლეულის მანძილზე, დისტანციური სწავლების უდიდესი რაოდენობა იყო კონცენტრირებული აშშ-სა და კანადაში, ხოლო ევროპის ქვეყნებს შორის - დიდი ბრიტანეთი გამოირჩეოდა, შემდეგ გერმანია, იტალია და საფრანგეთი. ამჟამად, აშშ-ს უმაღლესი სასწავლებლების 81% სტუდენტებს სულ ცოტა ერთ კურსს მაინც დისტანციური სწავლებით სთავაზობს. კანადაში პროვინციების უმეტესობამ ელექტრონული სწავლება პრიორიტეტულად დაასახელა. კანადის კოლეჯებისა და უნივერსიტეტების 57% განახორციელებს ონლაინ კურსებს. თურქეთში დარეგისტრირებული სტუდენტების ნახევარზე მეტი სწავლობს ელექტრონულად. პანდემიამდე, ავსტრალიის უნივერსიტეტების სტუდენტების 14% იღებდა დისტანციურ განათლებას. იაპონიაში პარლამენტმა მიიღო ფუნდამენტური კანონი სწავლის შესახებ მოწინავე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით: „IT ძირითადი კანონი“(ამოქმედდა 2001 წ.). ევროპის განათლების მინისტრთა საბჭოს მიერ 2001 წ. ანგარიშის „განსაკუთრებული მომავალი გამოწვევების შესახებ განათლებისა და ტრენინგის სისტემების შესახებ“ მიღებამ შესაძლებელი გახადა სამოქმედო საერთო გეგმის შემუშავება. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევის მიხედვით, რუსეთი 71-ე ადგილზეა განათლებაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ. რუსეთმა მოგვიანებით დაიწყო მასობრივი ონლაინ სწავლების განვითარება, დისტანციური განათლება კანონიერად ნებადართულია 2012 წლიდან.

საქართველოს კანონის დამატებებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე „უმაღლესი განათლების შესახებ“ (2011 წ) თანახმად - ელექტრონული სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის სწავლის მართვის სისტემის გამოყენებით წარმართვას, სწავლის მართვის სისტემა არის ინტერნეტზე დამყარებული კომპიუტერული პროგრამა, ელექტრონული სწავლება ხორციელდება ასინქრონული ან/და სინქრონული კომუნიკაციის ფორმით. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, ევროპელ პარტნიორებთან ერთად თსუ-ში მომზადებულია დისტანციური სწავლების კურსი, რომელიც გარემოსდაცვითი პრობლემებით დაინტერესებული სტრუქტურების წარმომადგენელთათვის არის გამიზნული. ასევე, პერიოდულად იგეგმება უწყვეტი განათლების ცენტრთან ერთად ელექტრონული სასერტიფიკატო კურსის შექმნა. საქართველოს **ტექნიკურ უნივერსიტეტში** ვითარება შედარებით განსხვავებულია. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის არსებობს ვირტუალური ლაბორატორია, რომლის გამოყენებითაც ამ ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ ცდები ვირტუალურად ჩაატარონ. **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში** 2014 წლიდან ელექტრონული სწავლების კურსი სხვადასხვა მიმართულებითაა ჩაშვებული, მათგან ზოგიერთი კურსი სრულიად უფასოა და ნებისმიერ მსურველს შეუძლია გახდეს სერტიფიცირებული.

პანდემიურმა მდგომარეობამ კიდევ უფრო გააფართოვა ონლაინ სწავლების მასშტაბები, ანალიტიკოსთა პროგნოზებით, პანდემიის დამთავრების შემდგომ, ტრენინგების ორი მესამედი დისტანციურად განხორციელდება და საუნივერსიტეტო განათლებაშიც შენარჩუნებული იქნება სწავლების ჰიბრიდული მოდელები.

დასკვნა

დისტანციური სწავლების შექმნისა და გაფართოების აუცილებლობა, როგორც განუყოფელი ფაქტორი კვალიფიციური, ინტელექტუალური, მაღალპროფესიონალური, ჯანმრთელი საზოგადოების განვითარებისთვის - უკვე საჭიროებას წარმოადგენს. დისტანციური განათლება აძლევს სტუდენტებს წვდომას ინფორმაციის არატრადიციულ წყაროებზე, ზრდის დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტიანობას, აძლევს სრულიად ახალ შესაძლებლობებს შემოქმედებითობისთვის, სხვადასხვა პროფესიული უნარების შეძენისა და კონსოლიდაციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე, 2011
2. სახელმძღვანელო საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ონლაინ და/ან შერეული სწავლების შემუშავებისა და შესრულების შესახებ, 2020
3. სირთულეები და გამოსავალი ონლაინ სწავლებისას https://netgazeti.ge/news/444983/ (ბოლოს გადამოწმებულია 21.02.2022)
4. დისტანციური განათლების გამოწვევები და პერსპექტივა, 2020

Distance learning and prospects for its development in Georgia

Tamar Beridze, professor
Georgian Tehcnical University

Mariam Tsiklauri, PhD student
Georgian Tehcnical University

Sophio Beridze, PhD student
Georgian Tehcnical University

Abstract

One of the tasks of the education system is to ensure free and open access to education for every person throughout his life, taking into account his interests, abilities and needs. The state has provided this problem with a system of school, university and advanced training in the form of both daytime and distance learning.

Over the past decade, significant changes have taken place in the labor market - the demand for personnel has increased, the widespread introduction of information technology in almost all areas of activity, and the employees themselves have become more mobile. Such changes have led to the creation of continuous, fast, flexible and high-quality conditions for staff training.

In modern society, e-learning is of great importance, it complements non-distance, face-to-face learning, as well as a variety of direct courses and trainings. At the same time, e-learning has become widespread not only in educational institutions, but also in enterprises of various fields. In our reality, there are already trends in the introduction of hybrid learning, so it is important to take into account the positive experience of introducing e-learning abroad and the problems associated with it.

One of the biggest benefits of distance learning is the cost of training, so it's no surprise that companies are increasingly choosing this training option as a priority for staff development. However, it should also be noted that not all students, due to their personal characteristics, can receive distance education.

An important advantage of distance learning is its effectiveness. True, this advantage is not always justified - it depends on the material being studied and the way it is presented.

keywords. Personnel development, modern technologies, hybrid training.

Studying terminological vocabulary while teaching the course "Technical Translation"

Tatyana Vasilyeva, Associate Professor
Belarusian National Technical University, Belarus (Minsk)

Svetlana Khomenko, Associate Professor
Belarusian National Technical University, Belarus (Minsk)

Abstract

The article describes the factors that contribute to the development of the students' motivation of a technical university to study translation disciplines and increase interest in the educational process. A special methodology has been developed aimed at the development of translation thinking. It is shown that the creation of an activating environment is an effective incentive for collective creativity and the growth of individual self-awareness of students.

Keywords: term, motivation, translation discipline, activating environment, collective creativity, translation technique, professional competence.

In the educational standards of higher education of the Republic of Belarus, as one of the universal competencies of a specialist-graduate of a technical university, the possession of basic skills of "communication in oral and written forms in native and foreign languages to solve problems of interpersonal and intercultural interaction" is presented. Among the basic professional competencies, it is important for students to have the skills to "translate foreign technical texts into Russian, conduct professional communication in a foreign language" [1].

At the Belarusian National Technical University (BNTU) in the curricula of various faculties, the study of translation disciplines ("Technical Translation", "Translation of Technical Literature", "Professional Vocabulary", etc.) is provided for students of various courses – from 2nd to 4th, and at the Faculty of Architecture - in the 5th and 6th courses. This predetermines our tactics aimed at creating optimal conditions for the formation and development of students' translation thinking. It should be noted that we start this work from the first day of classes during the basic course of a foreign language.

Many technical university students lack external motivation to learn foreign languages as they do not see career prospects at the international level. Therefore, all our efforts are aimed at developing internal motivation, which is based primarily on increasing interest in the studied academic discipline. In the first session, we convince students that translation is not just "I took a dictionary and translated" or, even worse, the use of electronic translators. This is a creative process that has a scientific basis, including the basic postulates of such a serious science as translation studies. In this way we raise the prestige of our discipline. We introduce students to the main translation techniques (grammatical and syntactic transformations, addition/omission, concretization/generalization, antonymic translation, etc.). At the very beginning, when a student who is fluent in his native language intuitively uses some kind of translation technique, we inform him about it. And he is surprised and delighted, like Monsieur Jourdain of Molière, who did not even suspect that he "speaks prose". Here, the student's self-esteem rises, and even the weakest and most unmotivated students "wake up" and try to contribute to collective creativity.

From this follows the second important factor contributing to the increase of interest – the creation of an activating environment based on equal partnership and teamwork. We have developed a methodology for teaching translation disciplines, which is based on "translation paradoxes" and clichéd "formulas" (F): F 1. – The translator should not say "I think so", he should say "I am sure". F 2. – Transmit all informative units. F 3. – Do not say anything extra. F 4. – Do not distort information. F 5. – To think – not to think. F 6. – To be afraid – not to be afraid.). This technique, as experience has shown, turned out to be very effective for the development of translation thinking of students of a technical university [2; 3].

As an example, we will analyze our work with commonly used and terminological vocabulary.

I. Generalization/specification – *thing*

We start by translating fragments of literary texts:

1. *His best* ***things*** *have been translated into more than 50 languages. 2. I haven't* ***a thing*** *to wear for tonight's party. 3. I like sweet* ***things****. 4. Betty realized she'd left all her painting* ***things*** *at home. 5.* ***Things*** *haven't changed much since I last saw her* [4, c. 22].

To create a more relaxed environment, i.e. room for

creativity, it was decided to call *the thing* "ნივთი". After a lively collective discussion (when the opinion of each student was listened to, and previously inactive students sometimes offered "funny" options), the group came to a consensus: his best *произведения* (1), and not *работы, статьи* (it is quite logical that scientific works do not translate into 50 languages); *нечего* надеть, and *нет ни одной штуки* (2); I like *сладкое* or *сладости*, not *сладкие штуки* (3); *принадлежности для рисования*, not *рисовательные штуки* (4); *ситуация (обстановка)* has changed, and not *какие-то там штуки* (5). This activating environment made it easy for students to learn some of the principles of translation.

This was remembered and "worked" in the 2nd year when translating serious technical texts. For instance:

1. *Ford cars are equipped with an electronic instrument panel that, among other* ***things****, calculates how far one can drive on the fuel left in the tank.* 'Автомобили Ford оснащены электронной приборной панелью, которая, помимо ***прочего***, рассчитывает, как далеко можно проехать на оставшемся в баке топливе' – опущение.

2. ***Things*** *started to change around the turn of the century when accidents became a problem.* '*Ситуация* начала меняться на рубеже веков, когда несчастные случаи стали проблемой' – опущение.

3. *The emission control system consists of a catalytic converter, a collection of sensors and actuators and some other* ***things****.* 'Система контроля выбросов состоит из каталитического нейтрализатора, набора датчиков и исполнительных механизмов и некоторых других *устройств'* – конкретизация.

4. *<…> any bearings that allow* ***things*** *like the crankshaft and camshafts to rotate freely.* '<…> любые подшипники, которые позволяют таким *механизмам*, как коленчатый вал и распределительные валы, свободно вращаться' – конкретизация.

The translation of the first two sentences did not cause any particular difficulties, since in the 1st year the students had already worked with similar transformations. Regarding the translation of the term *things* in sentences 3 and 4, it was discussed that these are details '*детали'*, mechanisms '*механизмы'*, devices '*устройства'*, devices '*приборы'*. Following the main principle of our methodology (F 1: The interpreter should not say "I think so", he should say "I am sure" [2]), the students got acquainted with the definitions of *the crankshaft* and *camshaft*, even referring to the auto mechanics dictionary.

II. Terminological vocabulary

We start working with terminological vocabulary in the 1st year on the basis of the simplest texts in the specialty, thus removing some of the difficulties in translating authentic texts in senior courses. Students get an idea about the main properties of the term: consistency (or systematic), independence from context, accuracy, internationality and stylistic neutrality. They learn to analyze dictionary entries, to reason, choosing the meaning of the word corresponding to the sublanguage of their specialty.

For example, consider a synonymous series of terms: *tough – wear-resistant – strong.* Let's turn to the dictionary entry (ABBYY Lingvo): *tough* 1) a) tough, dense, resilient b) tough (*about food*); 2) durable, wear-resistant, strong; 3) strong, hardy; 4) sticky, viscous.

Analyzing the article, the students immediately removed positions 1b and 3 as inappropriate for the sublanguage of their specialty, in positions 1a and 2 a choice had to be made. The lecturer suggested paying attention also to position 4. For students who do not yet have professional knowledge, such a characteristic as *'viscous'* was not associated with the properties of metals. As for the variant of the translation of the term *tough* as 'износоустойчивый', there is another term in the text that has a similar meaning – *wear-resistant* (formed by the wording method, the components of which clearly correspond to the translation).

The way out of a difficult situation is the analysis of single-root words that can be found in the text of one of the manuals used in the educational process: *Not all metals are* ***strong****, however. Copper and aluminium, for example, are both fairly* ***weak****. <…>. In general, alloys are used for obtaining special valuable properties, such as* ***strength, toughness, resistance to wear, magnetic properties****, high electrical resistance or corrosion resistance.*

Toughness is translated as follows: 1) viscosity 'вязкость', toughness 'ударная вязкость'; 2) rigidity 'жёсткость', strength 'прочность'; 3) poor machinability 'плохая обрабатываемость'. If we translate *strength* as 'прочность', then for the translation of *toughness* we should choose the option 'ударная вязкость', therefore, *tough* is translated as 'ударно вязкий'.

As experience has shown, translation classes contribute to the development of logical thinking and linguistic conjecture. For example, after analyzing dictionary entries, students translated the term *strong* as 'прочный'. According to the recommendation of the lecturer not to refer to the dictionary and reason logically, the students translated the term *weak*, as 'непрочный', relying on the basic meaning of the word *weak* and assuming that metals are not *weak* in general, using such a technique as antonymic translation. The lecturer drew students' attention to the "paired" translation: *strong – weak* ('сильный – слабый', 'прочный – непрочный'). We deliberately detailed one of the stages of our classes in order to show how carefully, starting from the 1st year, we develop translation thinking of technical students.

In senior years, there are fewer problems with translation, since students who have studied special disciplines use terms almost freely. However, in some cases,

language classes help them broaden their professional horizons. So, when working with the sentence *Autonomous cars combine a variety of techniques to perceive their surroundings, including radar <…>, odometry and computer vision*, the student interpreted the word *odometry* as ‘одометрия’, using such a translation technique as transliteration. When the student was asked by the lecturer if she knew the meaning of the word, she replied that she had a very vague idea about it. After being reminded of the main formula of our course *I'm sure*, she turned to the dictionary: *odometry* ‘одометрия’ (measurement of the distance traveled).

While conducting classes, equal partnership relations are formed between the lecturer and students. The lecturer listens to the students’ opinions, they feel that it is interesting to him, and actively share their "background" knowledge, though sometimes wrong. Everyone feels like a part of the "collective brain", a kind of "creator", and is ready to contribute to making the right decision. Clichéd “formulas” are clearly assimilated, which contributes to the formation of translation thinking and responsibility for the results of the work done. We believe that classes conducted in this way are an effective incentive to continue translation practice in the process of students’ professional activity.

References:

1. ОСВО 1-36 01 03-2018. – URL: http://www.edustandart. by/media/k2/attachments/os_1-36-01-03_171218. pdf (дата обращения 12.01.2021).
2. Васильева, Т. И. Формирование переводческих компетенций у студентов технического университета: из опыта работы / Т. И. Васильева, С. А. Хоменко // Лингвокультурное образование в системе профессиональной подготовки специалистов : сборник научных трудов / под общ. ред. Л.Я Дмитрачковой. – Брест : Брест. гос. ун-т имени А.С. Пушкина, 2020, Т.1 №5 (13). – С. 217– 223.
3. Васильева, Т.И. Изучение переводческих дисциплин в техническом университете: пути к творчеству / Т. И. Васильева, С. А. Хоменко // Вариативность и стандартизация языкового образования в неязыковом вузе : сборник статей по материалам III Международной научно-практической конференции, 21 апр. 2020 г. / под ред. М.В. Золотовой. – Н. Новгород : Нижегородский гос. ун-т им. Н.И. Лобачевского, 2020. – С. 59–63.
4. Мисуно Е. А. Перевод с английского языка на русский : практикум : учеб. пособие / Е. А. Мисуно, И. В. Шаблыгина. – Минск : Аверсэв, 2009. – 255 с.

Изучение терминологической лексики во время преподавания курса "Технический перевод"

Татьяна Васильева, доцент,
Белорусский национальный технический университет, Беларусь (Минск)

Светлана Хоменко, доцент,
Белорусский национальный технический университет, Беларусь (Минск)

Резюме

В статье описаны факторы, способствующие развитию у студентов технического вуза мотивации к изучению переводческих дисциплин и повышению интереса к учебному процессу. Разработана специальная методика, направленная на развитие переводческого мышления. Показано, что создание активирующей среды является действенным стимулом коллективного творчества и роста индивидуального самосознания обучающихся.

Ключевые слова: термин, мотивация, переводческая дисциплина, активизирующая среда, коллективное творчество, переводческий прием, профессиональная компетенция.

უცხოენოვანი სტუდენტები და ქართული ენობრივი – კულტურული სამყაროს ზოგადი ღიგრეგულეგები

ლიანა ჭიღლაძე, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამაია მამედოვა, ქართული ენის მოსამზადებელი
საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რაია ხალილოვა, ქართული ენის მოსამზადებელი
საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველო ენობრივ-ეთნიკური უმცირესობებისათვის მშობლიური ენის სწავლებას სახელმწიფო უზრუნველყოფს, მაგრამ მათ ასევე მოეთხოვებათ სახელმწიფო ენის ცოდნა, თუმცა მისი საჭიროება განუსაზღვრელად მაღალია. საყურადღებოა გლობალიზაციის პირობებიც, სადაც პრაქტიკული სიკეთე სწორედ ენების ცოდნას მოაქვს.

ბოლო ათწლეულში საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ქართული ენის შესწავლისადმი.

ლინგვოქვეყანათმცოდნეობის, როგორც სასწავლო კურსის ერთ-ერთი მიზანი კომუნიკაციური ენობრივ-სამეტყველო კომპეტენციების ფორმირება, სხვადასხვა კომუნიკაციურ სფეროებსა და სიტუაციებში ინფორმაციული ტექსტის გრამატიკულად სწორი აღქმის უნარების ჩამოყალიბებაა.

ტერმინი „ქვეყანათმცოდნეობა“ უცხოური ენების დიდაქტიკაში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დამკვიდრდა და ენის შემსწავლელებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახით მიეწოდებოდა.

ლინგვოქვეყანათმცოდნეობა არაქართულენოვან სტუდენტებს შეასწავლის ქვეყნის ენას, კულტურას, ტრადიციებს... მისი საშუალებით მოსამზადებელი კურსის სტუდენტები ენის შესწავლასთან ერთად იღებენ ზოგად ცოდნას საქართველოს, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყნის, სულიერი და მატერიალური კულტურის, წეს-ჩვეულებების, აწმყოსა და წარსულის შესახებ.

უცხოური ენის ათვისებისას ქვეყანათმცოდნეობას ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა და შესასწავლი ენის ქვეყნის, ანუ „უცხო“ ქვეყნის შესწავლას ემსახურებოდა.

ლინგვოქვეყანათმცოდნეობის, როგორც სასწავლო კურსის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიც უცხოენოვან სტუდენტებისათვის ქართველი ერის სულიერ კულტურასთან დაახლოებაა. თანამედროვე განათლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“ ემყარება დისციპლინათშორისი სწავლების პრინციპს. გრამატიკა-სტილისტიკის, დარგობრივ, ლექსიკა-ფრაზეოლოგიასთან ერთად ისწავლება ისეთი მულტიდისციპლინები, როგორებიცაა ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, ტოლერანტობა და მრავალფეროვნება. ამ სასწავლო კურსებით სტუდენტები ეცნობიან საქართველოს - მის ისტორიას, კულტურის ელემენტებს, გეოგრაფიას, მენტალობას... ამით შეიძლება გადაიჭრას ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა - კრეატიული პოტენციალის განვითარებისთვის ხელშეწყობა, რაც თანამედროვე განათლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

გარდა ამისა, ცოდნასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახალ გარემოსთან, ახალ მოთხოვნებთან ადაპტირების უნარს.

სტუდენტი უცხოური ენის შესწავლისას აღიქვამს შესასწავლი ენის ქვეყნის სპეციფიკურ ეროვნულ ელემენტებს, სულიერ ფასეულობებს.

ლექციაზე მოსმენილი მასალა თანდათან მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება, რაც ხელს უწყობს სტუდენტის დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

სტატიაში განხილულია საგნის სწავლების ზოგიერთი ასპექტი, რომელთაც ქართული ენისა და კულტურის არმცოდნე სტუდენტები საქართველოს ეთნოკულტურულ, ისტორიულ და ლინგვოკულტურულ ცნობიერებაში და ყოფით რეალობაში უნდა შემოიყვანონ.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობა,

ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, ადაპტირება, ეთნოკულტურა, მრავალეროვნულობა, ქართული ენა.

შესავალი

უკვე ათასობით აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების სტუდენტი სწავლობს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, რაშიც მათ დაეხმარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი პროგრამები: „ვასწავლოთ, რათა ვისწავლოთ“. „ქართული, როგორც მეორე ენა“.

თუ სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები, საქართველოს მოქალაქეები, ადრე ტოვებდნენ სამშობლოს და სწავლას საზღვარგარეთ აგრძელებდნენ, ამ პროგრამებმა მათ საშუალება მისცა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლონ. თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ არასახარბიელოა მათ მიერ საჯარო სკოლებიდან უნივერსიტეტში მოტანილი ქართული ენის ფლობის დონე. ამიტომ მოსამზადებელ კურსზე ენის შესწავლასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა მათ ადაპტირებას ქართულ გარემოში და ამ მიზნით საქართველოს კულტურის, ტრადიციების, მისი მდიდარი და უძველესი ისტორიის ზოგადი ცოდნის გაღრმავებას.

ლინგვოქვეყანათმცოდნეობის, როგორც საგნის ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის შესწავლა სტუდენტებს მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში თავისუფლად ორიენტირებისა და ინტეგრაციის საშუალებას აძლევს, ასევე უღვივებთ პატივისცემას ქართული ენობრივი და კულტურული სამყაროს ღირებულებების მიმართ, რაც დღევანდელ რთულ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ყოველი ახალი თემის ახსნისას, როგორც წესი, სტუდენტები იმდიდრებენ ლექსიკას.

ძირითადი ნაწილი

ბუნებრივია, რთულია მოკლე დროში სტუდენტებმა მოცულობითი ცოდნა მიიღონ, მაგრამ ზოგად ცოდნას ისინი აუცილებლად იძენენ, რაც უჩენთ მოტივაციას, რომ უფრო უკეთ შეისწავლონ ქართული ენა და უკვე პირველი სემესტრის ბოლოს ისაუბრონ თავისუფლად, წერონ გამართულად და ასევე, დედანში გაეცნონ ამ ენაზე შექმნილ მდიდარ ლიტერატურას.

სტუდენტებში უდიდეს ინტერესს იწვევს ქართული ენისა და მისი დიალექტების მრავალფეროვნება, ქართული კულტურის ბუნება, უძველესი ქართული ტომების განსახლების არეალის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების შესწავლა და ასევე, ცოდნა ტრადიციული საერო და რელიგიური დღესასწაულების შესახებ... ლექციებიდან ერთ-ერთი თემაა „ქართული მწერლობა“, სადაც სტუდენტები სწავლობენ ქართული ენის განვითარების პერიოდებს და ძველი და ახალი ქართული დამწერლობის უმნიშვნელოვანეს ნიმუშებს. შინაარსი მათ გადაეცემათ გასაგები, ადაპტირებული ენით, აანალიზებენ ნაწარმოების თემას და იდეას, ეცნობიან მთავარ პერსონაჟთა დახასიათებას, იმდროინდელი ეპოქის საქართველოს სოციალურ-კულტურულ მდგომარეობას...

ერთ-ერთი ლექციის თემაა „ხუროთმოძღვრება საქართველოში“, სადაც შესავალშივე განემარტებათ, თუ რას ნიშნავს ხუროთმოძღვრება და მშენებლობის რომელი დარგები იყო განვითარებული უძველესი დროიდან დღემდე, რომ ყოველ ერს თავისი დამახასიათებელი შტრიხები და ხასიათი, კულტურა და თვითმყოფადობა შეაქვს ყველაფერში, რასაც ქმნის და აკეთებს. ისინი იგებენ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდელ ეპოქაში არსებული სამშენებლო და არქიტექტურული კულტურის შესახებ, ასევე ეცნობიან თანამედროვე ქართული არქიტექტურისა და მშენებლობის ნიმუშებს, იმ მატერიალური კულტურის ძეგლებს, რომლებიც შესულია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ნუსხაში.

სტუდენტები სწავლის პერიოდში შესაბამისად იყენებენ ქართულ-აზერბაიჯანულ, ქართულ-თურქულ, ქართულ-სომხურ ლექსიკონებს. სწავლების დროს ზეპირ, დედუქციურ თუ ინდუქციურ და სხვა მეთოდებთან ერთად ასევე გამოყენებულია და დიდი მნიშვნელობა ენიჭება წერით მეთოდს, განსაკუთრებით ახალი, მათთვის ჯერ უცნობი სიტყვების შესასწავლად, სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს დაფა, რათა დაიმახსოვრონ სიტყვებში, განსაკუთრებით რთულ სიტყვებში, ასოთა განლაგების თანმიმდევრობა, ხოლო სემინარებზე ადაპტირებული ტექსტის კითხვა და ერთმანეთის მოსმენა ავითარებს მათ ინტონაციას, უადვილებთ რთული წინადადებების გადაბმას, საუბრის დახვეწას... ინტენსიური მუშაობით უფროდაუფრო საინტერესო ხდება უცხოენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენა და კულტურა, ტრადიცია, ქვეყნის მდიდარი ისტორიული წარსული და ის მომავალი, რომელშიც მათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებმა, უნდა იცხოვრონ.

ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში უცხოენო-

ვანი ახალგაზრდების შემოსვლის პროცესი რთული, მაგრამ ფრიად საინტერესოა. სტუდენტებს შორის ჩატარდა კვლევა, თუ როგორ ეხმარება მათ ლინგვოქვეყანათმცოდნეობის სასწავლო კურსი ქართულ გარემოსთან ადაპტირებაში. აღმოჩნდა, რომ მათი პასუხები ერთმნიშვნელოვნად დადებითია:-

სამაია მამედოვა, ქართული ენის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი: - საქართველოს აქვს მდიდარი ისტორია, კულტურა და ტრადიციები. აქ საუკუნეების განმავლობაში მეგობრულად ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. ლინგვოქვეყანათმცოდნეობის საგანმა უფრო გააღრმავა ჩვენი ცოდნა საქართველოს შესახებ, რამდენი საინტერესო რამ ვისწავლეთ, რაც აქამდე არ ვიცოდით...მე მიყვარს ჩვენი საქართველო და არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მომავალს ვხედავ სიყვარულში, განსხვავებული ენისა და კულტურის, რელიგიის პატივისცემაში.

ლინგვოქვეყანათმცოდნეობა კულტურის ენით გვესაუბრება, რაც შლის ყოველგვარ საზღვარს და გაუგებრობას ადამიანთა გულებს შორის. ქართული ენა, როგორც უძველესი და უმდიდრესი ენა, აინტერესებთ სხვა ქვეყნის შვილებს და როგორ შეიძლება, საქართველოში მცხოვრებმა მოქალაქეებმა ეს ენა არ იცოდნენ.- ქართული ენა ჩვენთვის მეორე მშობლიური ენაა. ლინგვოქვეყანათმცოდნეობის ლექციებიდან, მართალია, ზოგადი ცოდნა შევიძინეთ, მაგრამ ისე საინტერესოდ, რომ მთელი ცხოვრება გაგვყვება იმ თემების, იმ მოვლენების უკეთ შესწავლის ინტერესი, რაც აქ გულში ჩაგვებეჭდა...

რაია ხალილოვა, ქართული ენის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი: - მე ვარ აზერბაიჯანელი სტუდენტი, საქართველოს მოქალაქე. აქამდე მეგონა, რომ საქართველოს კარგად ვიცნობდი, მაგრამ როცა შევისწავლე ლინგვოქვეყანათმცოდნეობის საგანი, მივხვდი, რა მცირე ინფორმაციას ვფლობდი ამ უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის შესახებ. ყოველი ლექციის შემდეგ მქონდა სურვილი მემოგზაურა და ადგილზე მენახა ის უნიკალური კულტურის ძეგლები,რაზეც გვესაუბრებოდა ლექტორი, შემესწავლა ქართული ფოლკლორი, ლიტერატურა... პედაგოგის დავალებით გავეცანით არაერთ ქართულ ფილმს, ცნობილი ქართველი მხატვრების შემოქმედებას, მე და ჩემი აზერბაიჯანელი და სომეხი მეგობრები ახლა უფრო ინტერესით ვუსმენთ ქართულ მრავალხმიან სიმღერებს... და ველოდებით პანდემიის დასრულებას, რომ უფრო უკეთ გავიცნოთ საქართველოს მთა-ბარი, მისი ისტორიული კუთხეები... ეს ხომ ის ქვეყანაა, სადაც ქრისტიანული ეკლესიიდან, მუსლიმანური მეჩეთიდან და ებრაული სინაგოგიდან ერთდროულად აღევლინება ლოცვა სამყაროს შემოქმედის მიმართ, რაც ენით აღუწერელი ბედნიერება და, ამავე დროს, სიამაყეა. ჩვენ, ახალგაზრდები, ამ ქვეყნის შვილები შევძლებთ უფრო მეტს საქართველოს კეთილდღეობისათვის. ამ ქვეყანაში მხოლოდ ცოდნის შეჯიბრი უნდა გვქონდეს სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, თუ ვის უფრო მეტად გვიყვარს ჩვენი სამშობლო.

დასკვნა

ლინგვოქვეყანათმცოდნეობის სწავლების პროცესში აღმოჩნდა, რომ არაქართულენოვან სტუდენტებს აინტერესებთ ყველაფერი, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობას, კულტურას, ენას, ტრადიციებს, ქართველთა ადამიანურ ბუნებას შეეხება. ამიტომ მასწავლებელს მოუწევს ლექციის გარშემო ყველა იმ ზოგად საკითხზე პასუხის გაცემა, რაც მათ მიერ იქნება დასმული, თუნდაც ეს შეეხებოდეს ისეთ უსათუთეს თემებს, როგორებიცაა რელიგიური თუ სხვა საკითხები. ასევე მათთვის დიდი მოტივაციის მიმცემია სწავლის პროცესში სხვადასხვა კვლევით სამუშაოებში ჩართვა, რაც გაუადვილებთ როგორც ენის შესწავლას, ასევე ქართულ რეალობაში ინტეგრაციას.

საგნის სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიც ხომ სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობის ფუნქციურად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარების გარდა სწორედ ქართველთა ეთნოკულტურული, ისტორიული და ლინგვოკულტურული ცნობიერებისა და ყოფითი რეალობის სწავლებაა, რაც საშუალებას მისცემს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს პატივი სცენ ამ ქვეყნის ენობრივ და კულტურულ სამყაროს ღირებულებებს, მიიღონ ზოგადი ცოდნა, შეძლონ წერითი და ზეპირი კომუნიკაციის დამყარება ქართული ენისა და კულტურის ელემენტარულ საკითხებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სანაძე მ. – „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი. თბილისი.2001.
2. ჯაგოდნიშვილი თ. - ლინგვოქვეყანათმცოდნეობა. სასწავლო კურსის პროგრამა. სტუ. 2019
3. კაკიაშვილი ნ. - „რას ნიშნავს ბილინგვური განათლება და რამდენად მისაღებია იგი ჩვენთვის“. ჟურნალი „განათლება“.#2(25).სტუ.2019

Foreign language students and general values of the Georgian linguistic and cultural world

Liana Chighladze, Academic Doctor of Social Sciences
Georgian Technical University

Samaia Mamedova, student
Georgian Technical University

Raia Khalilova, student
Georgian Technical University

Summary

Georgia provides mother tongue education for linguistic-ethnic minorities, but they are also required to know the state language, although the need for it is indefinitely high. The conditions of globalization are also noteworthy, where practical goodness brings the knowledge of languages.

In the last decade, representatives of ethnic minorities living in Georgia have shown more interest in learning the Georgian language.

One of the goals of the Linguistics as a training course is to develop communicative vocal-linguistic competencies, to develop grammatically correct comprehension skills in different communication areas and situations. The term "regional studies" has been used in foreign language didactics since the 1950s and has been offered to language learners in different ways at different times.

Linguistics will teach non-Georgian language students the language, culture, traditions of the country ... Through it, the students of the preparatory course acquire general knowledge of Georgia as one of the oldest and richest countries in the world, spiritual and material culture, customs, about its present and past. Country studies have always played an important role in the acquisition of a foreign language and have served to study the country of the language to be studied, or the "foreign" country.

One of the main goals of the Linguistics as a course is to bring foreign language students closer to the spiritual culture of the Georgian nation. Taking into account the requirements of modern education, the "Georgian language state program" is based on the principle of interdisciplinary teaching. Along with grammar-stylistics, field, vocabulary-phraseology, multidisciplinary disciplines such as linguistics, tolerance and diversity are taught. Through these training courses, students are introduced to Georgia - its history, cultural elements, geography, mentality ... This can solve one important task - to promote the development of creative potential, which is one of the priority directions of modern education.

In addition, along with knowledge, the ability to adapt to new environments, new requirements are of great importance.

When studying a foreign language, the student perceives the specific national elements, spiritual values of the country of study language. The material heard in the lecture is gradually formed into a whole system of knowledge, which contributes to the development of the student's independent thinking, analytical thinking.

The article discusses some aspects of teaching the subject, which students who do not know the Georgian language and culture should bring into the ethnocultural, historical and linguocultural consciousness and everyday reality of Georgia.

Keywords: Ethnic Minority, Linguistics, Adaptation, Ethnoculture, Multinationalism, Georgian Language.

განათლება დემოკრატიისთვის

ირინა მელქაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

"დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე [...] უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში..."

დიმიტრი უზნაძე

აბსტრაქტი

დემოკრატიული საზოგადოება ეს არის საზოგადოება, რომლის თითოეული წევრი კანონის წინაშე თანაბარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობს.

მისთვის დამახასიათებელია ხელისუფლების ფორმირებაში ხალხის რეალური მონაწილეობა, მოქალაქეთა ფართო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების საკანონმდებლო რეგლამენტაცია, მათი განხორციელების რეალური კონსტიტუციური გარანტიების არსებობა, ასევე ფართო პოლიტიკური პლურალიზმი.

ჯერ კიდევ მე-19 საუკინის ამერიკელი ფილოსოფოსისა და განათლების ფილოსოფიის უდიდესი ავტორიტეტის, ჯონ დიუის ნაშრომში „დემოკრატია და განათლება" თავმოყრილია მეცნიერის მიერ ადრე განხილული აღზრდის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები. ნაშრომში შეძლებისდაგვარად სრულადაა დასაბუთებული კონცეფცია აღზრდის, როგორც დემოკრატიის მიღწევისა და იდეალური დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების საშუალების შესახებ. ავტორი განიხილავს განათლებას, როგორც „ემპირიულ განათლებას", როგორც ცხოვრებისეულ აუცილებლობას და ინდივიდის სოციალურ ფუნქციას, და წარმოაჩენს პროგრესული და კონსერვატული განათლების პრინციპულ განსხვავებებს.

ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე აქტიური მოქალაქე უზრუნველყოფს ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების გატარებას. დემოკრატიული მოქალაქეობა გარანტიაა ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისა. ის ქვეყანაში აქტიური მოქალაქეების არსებობასთან პირდაპირ კავშირშია. რაც უფრო მეტი მოქალაქე მონაწილეობს დემოკრატიულ პროცესებში, ქვეყნის მართვას ხელისუფლება გაზრდილი პასუხისმგებლობით ეკიდება. შესაბამისად, მოქალაქის ერთგვარი მორალური ვალდებულებაა, მაქსიმალურად გამოიყენოს კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული შესაძლებლობები.

დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების იდეა არ ახალია. სამოქალაქო ან მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობების შესახებ განათლება მრავალი წლის წინ დაინერგა ევროპის ქვეყანებში. დემოკრატიული სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა ინფორმირება მათ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სისტემის შესახებ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონსტიტუციის შესახებ, ინსტრუქციის მიწოდების ფორმალური მეთოდების გამოყენებით. მოქალაქეობის მოდელი, რომელსაც ამგვარი სწავლება გულისხმობს, პასიური და მინიმალურია. მოქალაქეობა, რიგითი ადამიანების დიდი უმრავლესობისათვის, შემოიფარგლება თითქმის მხოლოდ იმ მოლოდინით, რომ ისინი უნდა დაემორჩილონ კანონს და მონაწილეობა მიიღონ სახალხო არჩევნებში. ეს არის ის პასუხისმგებლობები, რომლებიც ეკისრებათ მოქალაქეებს იმ სამართლებრივ და კულტურულ გარემოში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ზოგიერთი ქვეყანის მიერ გახორციელებულ იქნა ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ჩართვა მოქმედ სასწავლო პროგრამებში/კურიკულუმებში. ევროპის მასშტაბით, განათლების სფეროში დასაქმებული პირები დღითიდღე სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას შორის კავშირის აუცილებლობაში.

საკვანძო სიტყვები: „განათლება დემოკრატიისათვის", „დემოკრატიული სწავლება" „ადამიანის უფლებები", „აქტიური მოქალაქეობა", „დემოკრატიული ჩარჩოს კომპეტენციები", "სამოქალაქო განათლება", "უფლებები და პასიხიმგებლობები"

შესავალი

დემოკრატიის ისტორიული საფუძვლები

დემოკრატია ისტორიულად ღარიბთა და უპოვართა მმართველობა იყო. მმართველობის ისეთი ფორმა, როცა ხალხი პირდაპირ და უწყვეტად მართავს საკუთარ თავს პოლიტიკოსების და სახელმწიფო მოხელეთა დაუხმარებლად. თანაბარ შესაძლებლობებსა და პიროვნულ უნარს დაყრდნობილი საზოგადოება, სადაც იერარქიისა და პრივილეგიების ადგილი არაა. გადაწყვეტილებათა მიღების ისეთი წესი, რაც უმრავლესობის მმართველობას ეფუძნება. უმრავლესობის ძალაუფლებაზე კონტროლის განმახორციელებელი უმცირესობის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველმყოფელი სისტემა. დემოკრატიის ნაირსახეობა ასე გამოიყურება:

პირდაპირი დემოკრატია - მოქალაქეთა პირდაპირ, უშუალო და მუდმივ თანამონაწილეობას მმართველობით საქმიანობაში

წარმომადგენლობითი დემოკრატია - დემოკრატიის შეზღუდული და არაპირდაპირი ფორმაა შეზღუდულია იმდენად რამდენადაც მმართველობაში ხალხის მონაწილეობა შეწყვეტილია და ხანმოკლე და მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ერთხელ არჩევნებში მონაწილეობით გამოიხატება.

კლასიკური დემოკრატია - დემოკრატიის კლასიკური მოდელი ძველ ბერძნული პოლისია ანუ ქალაქი სახელმწიფო კერძოდ მმართველობის ის სისტემა რომელიც ათენში განვითარადა ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნის II საუკუნეში. იქ გავრცელებული პირდაპირი დემოკრატიის ფორმას იდეალურ სისტემად მიიჩნევდნენ. კლასიკური დემოკრატია სახალხო მმართველობის პრინციპს ეფუძნება და ხალხის მიერ მმართველობის საუკეთესო მართვის ფორმად მიიჩნევა.

დამცავი დემოკრატია - დემოკრატიულმა იდეებმა ახალი სიცოცხლე XVII-XVIII საუკუნეში შეიძინა. აქ დემოკრატია ნაკლებად აღიქმებოდა როგორც საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში თანამონაწილეობის მექანიზმი. ის ახლა უფრო იმ საშუალებით მოიაზრებოდა, რითაც მოქალაქეებს ხელისუფლების მოთოკვა შეეძლოთ. აქედანაა მეურვე დემოკრატიის მცნება. დამცავი დემოკრატია ლიბერალიზმის ინდივიდუალისტურ შეხედებულებებზე აღმოცენდა. ის მოქალაქეებს ყველაზე მეტ საშუალებას აძლევს თავის ნებაზე იცხოვროს.

ხელშემწყობი დემოკრატია - ხელშემწყობი დემოკრატიის ყველაზე უახლესი და რადიკალური ჟან ჟაკ რუსოსეული მოდელია. რუსოსეული დემოკრატია სხვა არაფერი იყო თუ არა იარაღი, რითაც ადამიანს თავისუფლება და დამოუკიდებლობა უნდა მოეპოვებინა - საკუთარი თავისთვის დაწესებულ კანონთა მორჩილების თვალსაზრისით. ხელშემწყობი დემოკრატია მეტი თანამონაწილეობის პრინციპის გამტარებელია. ხელშემწყობ დემოკრატიას ის ღირსება გააჩნია, რომ თანამონაწილეობის ხარისხსაც ამაღლებს, მეტ თავისუფლებასაც მოითხოვს და პიროვნების ზრდასაც უწყობს ხელს.

სახალხო დემოკრატია - ცნება მას შემდეგ გაჩნდა, რაც საბჭოური ტიპის რეჟიმები აღმოცენდა. სახალხო დემოკრატია განსაკუთრებულ მნიშვნელობას კლასთა შორის ძალაუფლების გადანაწილებას ანიჭებს. სახალხო დემოკრატია უფრო ეკონომიკურ განვითარებას ისახავს მიზნად ვიდრე პოლიტიკური უფლებების უბრალო გაფართოებას. მარქს სჯეროდა კაპიტალიზმის დამხობა ჭეშმარიტი დემოკრატიის აყვავებას მოიტანდა.

ძირითადი ნაწილი

აბრაამ ლინკოლნის ცნობილი გამოთქმის მიხედვით (1863 წელი), დემოკრატია არის „ხალხის მიერ ხალხის სასიკეთოდ გახორციელებული ხალხის ძალაუფლება“; მოცემული სამი განზომილება შესაძლებელია გაგებულ იქნას შემდეგნაირად:

– ხალხის ძალაუფლება: ხალხი წარმოადგენს სუვერენულ ძალაუფლებას, რომელიც ფლობს ძალაუფლებას, ან გასცემს მანდატს ძალაუფლების განსახორციელებლად და ნებისმიერი პირი, რომელიც ხელისუფლების სათავეებში იმყოფება, პასუხისმგებელია ხალხის წინაშე;

– ხალხის მიერ განხორციელებული ძალაუფლება: ძალაუფლება ხორციელდება ან არჩეული წარმომადგენლების მიერ, ან უშუალოდ მოქალაქეების მიერ;

– ხალხის სასიკეთოდ განხორციელებული ძალაუფლება: ძალაუფლების განხორციელება ემსახურება ხალხის ინტერესებს, რაც საყოველთაო კეთილდღეობაში მდგომარეობს.

მოცემული განმარტებები სხვადასხვაგვარად გაგებისა და დაკავშირების საშუალებას იძლევა. ჟან-ჟაკ რუსოს მიმდევარი პოლიტიკური მოაზროვნეები ამტკიცებენ, რომ ძალაუფლება უნდა ხორციელდებოდეს უშუალოდ მოქალაქეების მიერ (სადაც მმართველი და მართული ერთსა და იმავე პირს წარმოადგენს). ხალხი იღებს გადაწყვეტილებას ყველაფრის შესახებ და არ იზღუდება რაიმე სახის კანონით.

ჯონ ლოკის მიმდევარი პოლიტიკური მოაზ-

როვნეები ყურადღებას ამახვილებენ განსხვავებულ ინტერესთა შორის კონკურენციაზე პლურალისტურ საზოგადოებაში. კონსტიტუციურ ჩარჩოებში ისინი შესაძლებელია შეთანხმდნენ გადაწყვეტილებაზე, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობას ემსახურება. არა აქვს მნიშვნელობა, დემოკრატიის რამდენწლიანი ტრადიცია აქვს ქვეყანას, ან როგორ ჩამოყალიბდა, ნებისმიერ შემთხვევაში, არ შეიძლება მისი უგულებელყოფა. ყველა ქვეყანაში დემოკრატია და ადამიანის უფლებების ძირითადი გაგება მუდმივად განვითარების სტადიაში უნდა იმყოფებოდეს, რათა მისი საშუალებით შესაძლებელი იყოს იმ სირთულეების დაძლევა და იმ გამოწვევებთან გამკლავება, რომლის წინაშეც დგება ყოველი მომდევნო თაობა. ყოველ მომდევნო თაობას სჭირდება განათლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სფეროში.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ეფუძნება სკოლებში, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალებით, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით განხორციელებული სწავლების ძირითად პრინციპებს.

სკოლა აღიქმება, როგორც მიკროსაზოგადოება, სადაც იცავენ მიღებულ წესებსა და პროცედურებს, იღებენ გადაწყვეტილებებს და არსებობს ურთიერთობის ქსელი, რაც გავლენას ახდენს ყოველდღიური ცხოვრების ხარისხზე. დემოკრატიული სახელმწიფოს მახასიათებლების ჩამონათვალზე თვალის გადავლებით, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სკოლა არ არის პატარა სახელმწიფო, სადაც იმართება არჩევნები, სადაც მასწავლებლები მთავრობის წევრების ფუნქციას ასრულებენ და სადაც სკოლის დირექტორი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად გვევლინება და ა.შ. ისმის კითხვა: რა უნდა გაკეთდეს სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლებისათვის?

სკოლების დემოკრატიული მმართველობა: წინსვლის ოთხი ძირითადი სფერო და სამი კრიტერიუმი

ელიზაბეტ ბაკმენმა და ბერნარდ ტრაფორდმა, მეთოდისტებმა შვედეთიდან და გაერთიანებული სამეფოდან, რომლებიც, ასევე, ევროპის საბჭოს მიერ გამოცემული სახელმძღვანელოს „სკოლების დემოკრატიული მმართველობა“ ავტორები არიან, ამ საკითხის ძირეული გამოკვლევა შემოგვთავაზეს. მათი მტკიცებით, სკოლები საჭიროებენ როგორც მართვას, ასევე, ხელმძღვანელობას.

სკოლას მართავს სკოლის ადმინისტრაცია. მაგალითად, სამართლებრივი, ფინანსური და სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებების გატარებით. სკოლის დირექტორსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთდამოკიდებულება იერარქიულ ხასიათს ატარებს, ინსტიტუციური სისტემისა და განაწესის შესაბამისად. სკოლის მმართველობა, მეორე მხრივ, ასახავს თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური ცვლილებების დინამიკას. სკოლებს სჭირდებათ ურთიერთობა სხვადასხვა პარტნიორთან და სკოლის გარეთ მყოფ დაინტერესებულ მხარეებთან და, აგრეთვე, ისეთი პრობლემების მოგ-ვარება და ისეთ გამოწვევებთან გამკლავება, რომელთა გათვალისწინებაც და წინასწარ გათვლაც შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, სკოლის საზოგადოების ყველა წევრი, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეები, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში ბაკმენი და ტრაფორდი გვთავაზობენ ოთხ ძირითად სფეროს, ესენია:

- მმართველობა, ხელმძღვანელობა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება;
- ღირებულებებზე დაფუძნებული განათლება;
- თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ჩართულობა: კონკურენტუნარიანობა და სკოლის თვითგამორკვევა;
- მოსწავლეების დისციპლინა.

ძირითად სფეროებში მიღწევების შესაფასებლად, ბაკმენი და ტრაფორდი იყენებენ სამ კრიტერიუმს, რომელიც ეფუძნება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ სამ ძირითად პრინციპს:

- უფლებები და მოვალეობები;
- აქტიური მონაწილეობა;
- მრავალფეროვნების დაფასება.

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლება სკოლის დემოკრატიული მმართველობის საშუალებით

არსებობს დეტალური ჩამონათვალი სკოლებში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლებისა და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა პრინციპების გატარებისათვის საჭირო აქტივობების. მოსწავლეები სკოლაში მიმდინარე პროცესებში დემოკრატიული პრინციპების მიხედვით მონაწილეობის პრაქტიკას გამოცდილებით ეზიარებიან, მაგრამ სკოლა რჩება საგანმანათლებლო დაწესებულებად. სკოლები არ

გადაიქცევიან მიკროსახელმწიფოებად, თუმცა ისინი წარმოადგენენ მიკროსაზოგადოებებს.

დასკვნა

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების წახალისება, როგორც ახალგაზრდა მოქალაქეებისა, რათა მათ საკუთარი როლი ითამაშონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ერთობაში, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისათვის მოსწავლეებს სჭირდებათ კომპეტენციათა ფართო სპექტრის განვითარება, ამასთან, ცოდნის შეძენა და მოვლენებზე ნათელი წარმოდგენის შექმნა, ტექნიკური და სისტემური უნარების ჩამოყალიბება, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების, როგორიცაა შემწყნარებლობა (ტოლერანტობა) და პასუხისმგებლობა, ფორმირება. საჭიროა ახალი ტიპის მოქალაქეები, რომლებიც არა მხოლოდ ინფორმირებულნი არიან და ნათელი წარმოდგენა აქვთ თავიანთ ფორმალურ მოქალაქეობრივ ვალდებულებებზე, არამედ არიან აქტიურნი, შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ საზოგადოების ცხოვრებაში, რომელსაც ეკუთვნიან, იმ ქვეყნის განვითარებაში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და, ასევე, მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მოვლენებში, რომელთა აქტიური მონაწილეობაც მიმდინარე მოვლენებში არის გამოხატულება მათი ინდივიდუალობისა და ემსახურება პრობლემების მოგვარებას.

მოსწავლეები უნდა იცნობდნენ და სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ ადამიანის უფლებების შესახებ. პატივს უნდა სცემდნენ მათ. სასკოლო ცხოვრებაში მიღებული გამოცდილებით თავდაჯერებულად ისარგებლონ აღნიშნული უფლებებით. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება წინ გადადგმულ დიდ ნაბიჯს წარმოადგენს, სამოქალაქო ან მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობების შესახებ განათლების შედარებით ტრადიციულ, მხოლოდ ცოდნის შეძენაზე დაფუძნებულ მეთოდთან შედარებით. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება მოსწავლეებს ექსპერტების რანგში განიხილავს, ითვალისწინებს რა მათ ინტერესებსა და ყოველდღიურ გამოცდილებას.

სკოლის დემოკრატიული მმართველობა გადამწყვეტ როლს ასრულებს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში, ვინაიდან იგი მოსწავლეებს სთავაზობს შესაძლებლობებს, ისწავლონ, თუ როგორ უნდა მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში

მოზარდის განათლება, მისი ნათელი მომავლის გარანტიაა, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში ინვესტირებაა. ხარისხიანი განათლების მიცემა, როგორც ევროპული საბჭოს მდგარდი განვითარების პრინციპებზე ორიენტირებული საზოგადოების მიზანი, არის შესაძლებლობა 2030 წლისათვის თუ არა მომდევნო ათწლეულთა მანძილზე მიიღოს მსოფლიომ მისი შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაქს ვებერი, Politik als Beruf [პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა], შტუდგარტი, 1997 წ. გვ. 82
2. ჯ. დიუი "დემოკრატია და განათლება", თბილისი, 2010 წელი
3. ტ. ჰადლესტონის ნაშრომს "დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში დასაქმებული მასწავლებლების წვრთნის დამხმარე ინსტრუმენტი" გვ. 9, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 2004 წელი; დამუშავებულია პიტერ კრაფის მიერ.
4. ამერიკის შეერთებული შტატები, კოსიმო, 2007 წელი.
5. ე. ბაკმენი და ბ. ტრაფორდი "სკოლების დემოკრატიული მმართველობა", ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 2007 წელი.
6. ჯ. შუმპეტერი, "კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია" გვ. 83. ნიუ-იორკი, "Harper and brothers" 1942 და 2008 წლები
7. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციაში (მუხლები 28 და 29).
8. სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ კონვენციაში (მუხლი 14)
9. მსოფლიო დეკლარაციაში საყოველთაო განათლების შესახებ (მუხლები I, III, IV, VI, VII)
10. დაკარის სამოქმედო პროგრამა "განათლება ყველასათვის"

11. ფელისა ტიბიტსი (2009 წელი). გამოსვლა მოქალაქეობა განათლების საშუალებით ევროპული წელი, ევროპის საბჭოს შემაჯამებელი კონფერენცია, რუმინეთში, სინაიაში, 2006 წლის 27-28 აპრილს.
12. როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ოლაფ ოლაფსდოტირი, ვილტრუდ ვეიდინგერი "განათლება დემოკრატიისათვის", წიგნი I, თბილისი, 2013 წელი
13. გრიერ ბუროუსი, ზვიად აბაშიძე, ქეთევან მუხიგული,
14. სალომე დუნდუა, თამარ ქარაია "დემოკრატია და მოქალაქეობა", თბილისი, 2017 წელი

15. დემოკრატია https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90
16. დემოკრატია და განათლება https://library.iliauni.edu.ge/ebooks/jon-diui-demokratia-da-ganathleba/

Education for Democracy

Irina Melkadze PhD student
Georgian Technical University

Abstract

"A democratically organized state seeks to educate not only the individual, but above all the citizen. [...] Undoubtedly, democracy is interested in educating conscious citizens who will be able to creatively intervene in the development of public life ... "

Dimitri Uznadze "The tasks of the general education school", 1917.

A democratic society is a society in which each member enjoys equal rights and freedoms before the law. It is characterized by the real participation of the people in the formation of state power, the legislative regulation of broad socio-economic and political rights and freedoms of citizens, the existence of real constitutional guarantees for their implementation, as well as broad political pluralism.

Back in the 19th century, the American author of the 19th century American philosopher and philosopher of education, John Dewey, summed up the theoretical and practical problems of education discussed by scholars. The article fully substantiates the concept of education as a means to achieve democracy and build an ideal democratic society. The author considers education as an "empirical education", as a vital necessity and social function of the personality, and presents the fundamental differences between progressive and conservative education.

An active citizen of universal value ensures the implementation of democratic principles in the country. Democratic citizenship is a guarantee of the development of democracy in the country. This is directly related to the presence in the country of active citizens. The more citizens participate in democratic processes, the more responsibility for the government of the country is assumed by the government. Therefore, it is a sort of moral duty of the citizen to make the most of the opportunities provided by the Constitution and the law.

The idea of education and training in human rights about democratic citizenship is not new. Teaching civic rights and responsibilities was introduced many years ago in European countries. The main purpose of democratic education is to inform students about the political system in their country, in other words, about the constitution, using formal teaching methods. The model of citizenship that such training implies is passive and minimal. Citizenship, for the vast majority of ordinary people, is limited almost exclusively to the expectation that they will have to obey the law and participate in popular elections. These are the duties that citizens have in the legal and cultural environment in which they live. In some countries, human rights education has been included in existing curricula. Across Europe, people working in education are becoming more and more aware of the need for a link between education for democratic citizenship and human rights education.

Keywords: "Education for Democracy", "Democratic Education", "Human Rights", "Active Citizenship", "Democratic Framework Competences", "Civic Education", "Rights and Duties".

ინკლუზიური განათლება და ქართული საზოგადოება: პრობლემები და ხედვები

ნათია მაისურაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

„მთავარი საქმე ის არ უნდა იყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანთა ფილანტროპიის წახალისება. მათ არ სჭირდებათ ,,უნარიანი'' ხალხის მფარველობა. ჩვენ კაცობრიობას გვმართებს უნივერსალური ღირებულებების გაცნობიერება; გააზრება თუ რამდენად სხვადასხვანაირია ადამიანური ცხოვრება; აღიარება, რომ ჩვენს შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა არსებობა ჩვენი მრავალფეროვნების კიდევ ერთი სიმდიდრეა“.

ნელსონ მანდელა

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინკლუზიური განათლების მოდელი ქართულ სინამდვილეში, მასში გადმოცემულია, რომ ინკლუზიური განათლების მოდელი ყურადღების ცენტრში აქცევს ინდივიდს და არა აქვს მნიშვნელობა იმას თუ რა საჭიროების თუ შესაძლებლობის მქონეა იგი. ამ მოდელის მიხედვით ყველას აქვს უფლება მიიღოს განათლება. მსგავს მიდგომას თეორიულ საფუძველს უქმნის თანამედროვე განათლების სოციოლოგი-აში არსებული თეორიები, იქნება ეს ინტერპრეტაციული, ფენომენოლოგიური, ეთნომეთოდოლოგიური თუ ფუნქციონალისტური თეორიები. ინკლუზიური განათლებაც ყურადღების ცენტრში აქცევს სუბიექტს, იმ სოციალურ პროცესებსა და გარემოს, როლებიც ზემოქმედებენ ინდივიდზე. ხოლო რაც შეეხება ქართულ საზოგადოებას, მას ინკულზიური განათლების თვალსაზრისით არაერთი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი.

სტატიაში განხილულია ის სამი ძირითადი მიმართულება, რომლითაც განათლების ინტერპრეტაციული სოციოციოლოგიური თეორიებია წარმოდგენილი:

- პირველი, **სიმბოლური ინტერაქციონიზმი,** რომელიც დამყარებულია შემდეგ პოსტულატებზე: თუ როგორ ახდენენ აქტორები გავლენას სიტუაციებსა და მოვლენებზე, მასში ჩადებული საზრისებისგან დამოუკიდებლად.
- **ეთნომეთოლოგია** - ამ თეორიის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ ყოველდღიურობაში გამოყენებულ პროცედურებზე. ცდილობენ ახსნან აქტორთა მიერ კონსტრუირებული სოციალური რეალობები. ეთნომეთოდოლოგებისთვის მნიშვნელოვანია საზრისების გაგება და ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სუბიექტივისტურ მეთოდს.
- **ფენომენოლოგია** - ამ თეორიისთვის მნიშვნელოვანია ის, თუ რა ცოდნას ფლობენ აქტორები სიტუაციის შესახებ და ის თუ როგორ გამოავლენენ ისინი სიტუაციის შესახებ ცოდნას. თეორია ყურადღებას ამახვილებს სუბიექტზე და იმ პროცესებზე, რომლებსაც შეუძლიათ მათზე გავლენის მოხდენა

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირებიც მზად არ არიან საზოგადოებასთან სრული ინტეგრირებისთვის. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ახალაგაზრდებისთვის სპეციალური საჭიროების მქონე პირები აღარ წარმოადგენენ განცალევებულ ჯგუფს და ისინი არ არიან საზოგადოებისაგან გარიყულნი.

საკვანძო სიტყვები: განათლება, ინკლუზიური განათლება, განათლების ინტერპრეტაციული თეორიები, სიმბოლური ინტერაქციონიზმი, ეთნომეთოდოლოგია, სოციალური ფენომენოლოგია, ფუნქციონალიზმი.

შესავალი

ინკლუზიური განათლება არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, ემოციური, სოციალური, ეთნიკური თუ სხვა მახასიათებელი გააჩნიათ.

როგორც ნებისმიერი სიახლე, ინკლუზიური განათლების მოდელიც, სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ჩართვა და საკუთარი თავის რეალიზაცია, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა

თუ დაწესებულებებში არ წარმოადგენს მარტივ პროცესს. ის საჭიროებს გრძელვადიან მუშაობას და რეგულაციების შემუშავებას. მოდელის სრულყოფილად განხორციელებას სხვადასხვა ბარიერმა შეიძლება შეუშალოს ხელი, ერთ-ერთ მსგავს ბარიერს წარმოადგენს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევების სიმცირე, რომელიც დაფუძნებული იქნება ობიექტურ მტკიცებულებებზე და მოსაზრებებზე აღნიშნულ სფეროში. ინკლუზიური განათლების ეფექტურობის ობიექტური შეფასება განაპირობებს სამომავლო კვლევებში ათვლის წერტილის არსებობას, რის შემდგომაც ინკლუზიურ განათლებაზე მსჯელობა დაფუძნებული იქნება, არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ მოსაზრებებზე.

ძირითადი ნაწილი

ინკლუზიური განათლება გულისხმობს განათლების სისტემის ისეთ მოდელს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თითოეული ინდივიდი, მათი განსხვავებულებისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ნემისმიერი საჭიროების მქონე სტუდენტს შეეძლება განათლების მიღება. ინკლუზიური განათლების მოდელის განხილვისას პარალელის გავლება შეიძლება განათლების ინტერპრეტაციულ თეორიებთან, რომლებიც განათლების მაკროსოციალური თეორიებისგან განსხვავებით სოციალურ ფაქტებს განიხილავს არა როგორც ობიექტურ სოციალურ წესრიგს, არამედ ინტერპრეტაციული თეორიებისთის სოციალური ფაქტები დამოკიდებულია აქტორზე. ამ თეორიული კონცეფციის მიხედვით: ,,განათლება აქტორზე დამოკიდებულია სოციალური ფაქტია'' (ქეცბაია, კ. 2014: 203).

ინტერპრეტაციული თეორიების მეშვეობით ყურადღების ცენტრში ყოველდღიური სასწავლო პროცესები მოექცა, რომელშიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის წვრილმანი ფაქტები თუ მოვლენები. ინტერპეტაციულმა თეორიებმა შექმენს იმის შესაძლებლობა, რომ შეესწავლათ ისეთი საკითხები, როგორიც არის მასწავლებელთა მოლოდინები მოსწავლეთა მოსალოდნელი მიღწევების შესახებ, ასევე ამ თეორიების მეშვეობით გამოვლინდა სასკოლო ნიუანსები, ჩამოყალიბდა სხვადასხვა კონცეფციები, სკოლის, როგორც ტოტალური ორგანიზაციის შესახებ. ინტერპრეტაციული სოციოლოგიური თეორების ამოსავლი პრინციპები განათლების შესახებ შემდეგში მდგომარეობს: პირველი, ეს არის **ყოველდღიური საქმიანობის ანალიზი,** რომელიც გულისხმობს იმას, თუ როგორ აისახება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი ასპექტი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მეორე პრინციპი არის **პიროვნული თავისუფლება,** რაშიც ნაგულისხმევია ის ფაქტი, რომ ყოველდღიურობა ყოველთვის შეიცავს თავისუფლების ელემენტებს და ის სოციალური ინსტიტუტების მიერ არ არის თავს მოხვეული ინდივიდებისთვის. მესამე პრინციპი არის **საზრისი,** იმისათვის რომ ჩავწვდეთ აქტორთა ყოველდღიურ მოქმედებებს, საჭიროა გავიგოთ თუ რა საზრისები აქვთ ჩადებული მათ მოქმედებაში. მეოთხე პრინციპი ეხება **ინტერაქციას,** რამდენადაც ყოველდღიური ცხოვრება სწორედ აქტორთა ინტერაქციის პროცესშო ყალიბდება. მეხუთე პრინციპი გულისხმობს **მოლაპარაკებებს,** რომელიც ხანგრძლივი და მრავალჯერადი პროცესია, ამ დროს შეისწავლება აქტორთა ქცევა თუ მოქმედებები, ასევე საზრისები და ინტერპრეტაციები. მეექვსე პრინციპი არის **სუბიექტივიზმი,** ამ დროს მკვლევარი ცდილობს გაარკვიოს აქტორის საზირი, რომლითაც ის განსაზღვრავს ამა თუ იმ სიტუაციას (ქეცბაია, კ. გვ. 204-205)

ახლა კი განვიხილოთ ის სამი ძირითადი მიმართლება, რომლითაც არის განათლების ინტერპრეტაციული სოციოციოლოგიური თეორიებია წარმოდგენილი:

- პირველი, **სიმბოლური ინტერაქციონიზმი**, რომელიც დამყარებულია შემდეგ პოსტულატებზე: თუ როგორ ახდენენ აქტორები გავლენას სიტუაციებსა და მოვლენებზე, მასში ჩადებული საზრისებისგან დამოუკიდებლად.
- **ეთნომეთოლოგია** – ამ თეორიის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ ყოველდღიურობაში გამოყენებულ პროცედურებზე. ცდილობენ ახსნან აქტორთა მიერ კონსტრუირებული სოციალური რეალობები. ეთნომეთოდოლოგებისთვის მნიშვნელოვანია საზრისების გაგება და ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სუბიექტივისტურ მეთოდს.
- **ფენომენოლოგია** – ამ თეორიისთვის მნიშნელოვანია ის, თუ რა ცოდნას ფლობენ აქტორები სიტუაციის შესახებ და ის თუ როგორ გამოავლენენ ისინი სიტუაციის შესახებ ცოდნას. თეორია ყურადღებას ამახვილებს სუბიექტზე და იმ პროცესებზე, რომლებსაც შეუძლიათ მათზე გავლენის მოხდენა (ქეცბაია, კ. გვ. 206-214)

აქვე უნდა აღვნიშნოთ განათლების ფუნქციონაისტური თეორია და ამ თეორიის კლასიკოსი

ემილ დიურკემი. განათლება, **ფუნციონალისტური თეორიის** კლასიკოსის ემილ დიურკემის მიხედვით, საზოგადოეაბაში პოზიტიურ ფუნქციას ასრულებს, რაშიც დიურკემი გულისხმობს შემდეგს, რომ განათლების არსი აღზრდაა, რითაც ხდება საზოგადოებაში გაბატონებული კულტურული ელემენტების თაობიდან თაობაზე გადაცემა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიურკემის აზრით, ბავშვების აღზრდა სოციუმისთვის დამახასიათებელი კულტურული ღირებულებებისა და ელემენტების მქონე არსებებად უწყობს ხელს სცოიალური წესრიგის შენარჩუნებას (ქეცბაია, კ. გვ:144).

ინკლუზიური განათლების მოდელი ყურადღების ცენტრში აქცევს ინდივიდს, არა აქვს მნიშვნელობა თუ რა საჭიროების თუ შესაძლებლობის მქონეა. ამ მოდელის მიხედვით ყველას აქვს უფლება მიიღოს განათლება და მათ ამის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. როგორც ზემოთ ხსენებული თეორიები, იქნება ეს ინტერპრეტაციული, ფენომენოლოგიური, ეთნომეთოდოლოგიური თუ ფუნქციონალური თეორიები, ინკლუზიური განათლებაც ყურადღების ცენტრში აქცევს სუბიექტს, იმ სოციალურ პროცესებსა თუ გარემოს, როლებიც ზემოქმედებენ ინდივიდზე.

საქართველოს კონსტიტუციით განათლების მიღება და განათლების არჩევანის თავისუფლება ყველა მოქალაქისათვის არის გარანტირებული. მოქალაქეებს აქვთ უფლება, რომ მიიღონ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროფესიული და უმაღლესი განათლება კანონით გათვალისწინებული წესისა და მოცულობის შესაბამისად. სახელმწიფო კი ვალდებულია კანონით დადგენილი წესის ფარგლებში მხარი დაუჭიროს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' აღიარებს ზოგადი განათლების და მათ შორის ინკლუზიური განათლების ყველასთვის ხელმისაწვდომობას. საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, რომ შექმნან ზოგადი და სპეციალური განათლების პროგრამები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშებისთვისათვის. აღნიშნული კანონი ინკლუზიურ სასწავლო პროგრამებს ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილად განიხილავს, რომელიც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის არის განკუთვნილი **(შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები საქართველოში, 2015: 22).**

ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის მიხედვით, 1994 წლიდან დაიწყო ცვლილებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების სფეროში, არასამთავრობო სექტორის მიერ. მაგ-რამ ეს საკითხი კვლავ ყურადღების მიღმა რჩე-ბოდა სახელმწიფოს. მხოლოდ 2004 წლიდან იქნა აღიარებული პრიორიტეტად სპეციალური საჭიროების მქონე პირთა განათლების საკითხი, რადგან ამ წელს დაიწყო განათლების სისტემის რეფორმა. ინკლუზიური განთლების დანერგვას საქართველოში მნიშვნელოვანი ფინანსური და მეთოდოლოგიური დახმარება ნორვეგიის მთავ-რობამ გაუწია.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოს ,,ინკლუზიური განათლების'' მიხედვით:

ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანანთლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ასევე, გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას (2012: 5).

ამავე სახელმძღვანელოს მიხედვით, ინკლუზიური განათლების მიდგომისთანახმად, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია. სწორედ ინკლუზიური განათლების კონტექსტში ხდება შესაძლებელი სპეციალური საჭიროების მქონე პირებმა მიაღწიონ პროგრესს განათლებაში და სოციალურ ინტეგრაციას (იგივე, გვ. 6). ზემოთ ხსენებულ სახელმძღვანელოში, ასევე, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ:

სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისათვის რამდენიმე აუცილებელი პირობის დაცვაა საჭირო. ესენია: სწავლისა და მოსწავლეებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა; მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებისა და საგანმანათლებლო საჭიროების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება; ყველა მოსწავლისთვის ერთნაირი, სწავლისა და განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და თანამონაწილეობა მთლიან სასკოლო საქმიანობაში (იგივე, გვ. 10).

ინკლუზიური განათლების მაჩვენებლების განხილვისას საქართველოში, აღსანიშნავია კვლევა, რომელიც განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტორს შორის დადებული ხელშეკრულების ,,ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროცესის''

ფარგლებში. აღნიშნული პროექტის მიზანი იყო საქართველოში ინკლუზიური განათლების რეფორმის შეფასება. კვლევა განხორციელდა, როგორც რაოდენობრივი (ანკეტირება), ასევე თვისებრივი მეთოდების (ფოკუს-ჯგუფი, ინტერვიუ) გამოყენებით. კვლევის შედეგების თანახმად, პროფესიულ სასწავლებლებში გარემო ყველა სტუდენტის მიმართ კეთილგანწყობილი და მეგობრულია. კვლევის შედეგებიდან გამოჩდა, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა კეთილგანწყობილია. პროფესიული სასწავლებლის გარემო კი მეტ-ნაკლებად ღიაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის.

კვლევის შედეგებით, ასევე, აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები ცდილობენ თემის ყველა სტუდენტი, შეძლებისდაგვარად, ჩართონ სასწავლო პროცესში.

რაც შეეხება საჯარო სკოლებს, ამავე კვლევამ აჩვენა, რომ სასკოლო გარემო ყველა ბავშვის მიმართ არის კეთილგანწყობილი და მეგობრული. სასკოლო გარემო კომფორტულია მასწავლებლების, მშობლების, სამეურვეო საბჭოს და თემის სხვა წევრებისთვისაც. კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა, რომ სასკოლო გარემო მეტ-ნაკლებად ღიაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მიმართ, თუმცა, მასწავლებლები ცდილობენ თემის ყველა ბავშვი, შეძლებისდაგვარად, ჩართონ სასწავლო პროცესში.

ხსენებულმა კვლევამ და ამავე კვლევის კითხვარმა ,,გზა ინკლუზიისკენ- ბარომეტრი'' გამოავლინა, რომ ,,საქართველოში ინკლუზიურ განათლების მოდელის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია ცვლილებების განხორციელება როგორც საკანონმდებლო ბაზის, ასევე პრაქტიკული განხორციელებისათვის მნიშვნელოვან სფეროებში'' .

ასევე, კვლევის შედეგად გამოვლინდა ისიც, რომ აუცილებელია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის სისტემის შემუშავება. რაც ხელს შეუწყობს, როგორც პრობლემების დროულ იდენტიფიკაციას, ასევე, საშუალებას მისცემს პოლიტიკის განმსაზღვრელებს ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარების სქემა უფრო თვალსაჩინო გახადონ.

ამავე კვლევამ აჩვენა, ისიც, რომსაკანონმდებლო დონეზე აუცილებელია უმაღლესი და პროფესიული განათლების ინკლუზიური განათლების მოდელის გათვალისწინება, რაც გაზრდის განათლების შესაბამისი საფეხურების უზრუნველმყოფელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისადმი.

დასკვნა

ინკლუზიური განათლების მხრივ ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი: მოსწავლეების ერთმანეთისადმი დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ არის სასურველ დონეზე განვითარებული; ასევე, პრობლემებია მუშაობის და მართვის დემოკრატიული სტილის დამკვიდრებასთან დაკავშირებით; სირთულეებია ინკლუზიის პრობლემისადმი სტრატეგიული მიდგომის კუთხით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირებიც მზად არ არიან საზოგადოებასთან სრული ინტეგრირებისთვის. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ახალგაზრდებისთვის სპეციალური საჭიროების მქონე პირები აღარ წარმოადგენენ განცალევებულ ჯგუფს და ისინი არ არიან საზოგადოებისაგან გარიყულნი.

ახალგაზრდები საკმაოდ ლოიალურად არიან განწყობილნი სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ, ისინი მზად არიან მათთან ერთად მიიღონ მონაწილება სხვადასხვა აქტივობებში და ეს დისკომფორტსა და პრობლემას არ წარმოადგენს მათთვის. ასევე, კვლევის შედეგების გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ საზოგადოების ცნობიერება ამაღლებას საჭიროებს, რადგან როგორც უკვე აღნიშნეთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების გარდა, სხვა ფაკულტეტის სტუდენტებმა ინკლუზიური განათლების ზუსტი მნიშვნელობა არც კი იციან. რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მათ მწირი ინფორმაცია აქვთ ამ საკითხის ირგვლივ და არ იციან რაოდენ მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების მოდელის წარმატებით დანერგვა ქვეყანაში მცხოვრები სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის, რომ მათ თავი სრულფასოვან ადამიანად იგრძნონ და არა საზოგადოებისგან გარიყულად გრძობდნენ თავს.

ინკლუზიური განათლება მეტნაკლებად განვითარებულია საქართველოში, თუმცა საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მეტ მხარდაჭერას, რაშიც იგულისხმება, როგორც ფინანსური, ასევე მორალური.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (2012), ინკლუზიური განათლება. თბილისი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.
2. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი. ინკლუზიური განათლება: სახელმძღვანელო იხ. http://ncp.ge/ge/inclusive-education/general-part/tavi-v-inkluziuri-ganatleba უკანსკნელად გადამოწმებულია 16.05.2017
3. ინკლუზიური განათლება, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, თბ., 2009.
4. ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა, 2009. პროგრამა იხ. http://mes.gov.ge/upload/multi/geo/1243932215_inkluzia.pdf უკანსკნელად გადამოწმებულია 16.05.2017
5. ინკლუზიურობის მაჩვენებელი საქართველოში (2013). კვლევა ხელმისაწვდომია შემდეგ საიტზე: http://inclusion.ge/res/docs/201507161349597521.pdf უკანსკნელად გადამოწმებულია 16.05.2017
6. ქეცბაია, კ. განათლების სოციოლოგია, თბ., 2020.

Inclusive education and Georgian society: problems, visions

Natia Maisuradze, ***PhD student***
Georgian Technical University

Summary

The article discusses the model of inclusive education in the Georgian reality, it states that the model of inclusive education focuses on the individual and it does not matter what needs or opportunities they have. According to this model, everyone has the right to education. Such an approach is based on the theoretical theories of modern education sociology, be it interpretive, phenomenological, ethnomethodological or functionalist theories. Inclusive education also focuses on the subject, the social processes and the environment, the roles of which affect the individual. As for the Georgian society, it has a number of problems to solve in terms of inclusive education.

The article discusses the three main areas in which interpretive sociological theories of education are presented:

- The first, symbolic interactionism, based on the following postulates: how actors influence situations and events, regardless of the meanings embedded in them.
- Ethnomethodology - Representatives of this theory focus on the procedures used in everyday life. Try to explain the social realities constructed by the actors. It is important for ethnomethodologists to understand the meaning and they attach great importance to the subjectivist method.
- Phenomenology - What matters to this theory is what knowledge the actors have about the situation and how they will reveal their knowledge of the situation. Theory focuses on the subject and the processes that can influence them

It should also be noted that people with special needs are not ready for full integration with society. This can be explained by the fact that people with special needs for young people are no longer an isolated group and they are not excluded from society.

Keywords: Education, Inclusive Education, Interpretive Theories of Education, Symbolic Interactionism, Ethnomethodology, Social Phenomenology, Functionalism.

ჟურნალისტიკა

JOURNALIZM

ავსტრიის ბეჭდური მედია

ქეთევან გოთრგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში საუბარია ცენტრალურ ევროპაში მდებარე, კულტურული ტრადიციებით გამორჩეული ქვეყნის, ავსტრიის, ბეჭდურ მედიაზე; მოწოდებულია ცნობები პოპულარული და გავლენიანი ჟურნალ-გაზეთების შესახებ; გაანალიზებულია პრესის პოპულარობის და მომხმარებლის მისადმი დაინტერესების მიზეზები; აღნიშნულია. რომ ავსტრია არის ის ქვეყანა, სადაც ელექტრონულმა მაუწყებლობამ დიდად ვერ დაჯაბნა ბეჭდუ-რი მედია. ავსტრიელები ყურადღებით და სიამოვნებით ეცნობიან ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან მიწოდებულ მრავალფეროვან ინფორმაციას: ანალიტიკურ სტატიებს, გასართობ მასალას, სიახლეებს კულტურის და ხელოვნების სფეროში, ფუჭად არ მიიჩნევენ დროს, რომელსაც კითხვას ანდომებენ; ავსტრიელი ჟურნალისტებიც ცდილობენ არ გააწბილონ მრავალრიცხოვანი აუდიტორია, თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულონ და პასუხისმგებლობა სრულად გაითავისონ, არ მისცენ მკითხველს მათ კეთილსინდისიერებასა და პროფესიონალიზმში დაეჭვების საბაბი, არ ჩამორჩნენ დროის მოთხოვნებს, არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით და შემლებისდაგვარად სრულად დააკმაყოფილონ მედიამომხმარებლის ინტერესი.

საკვანძო სიტყვები: ავსტრია - კულტურული ტრადიციებით გამორჩეული ქვეყანა; ბეჭდური მედია; მნიშვნელობა და გავლენა; პოპულარობის მიზეზები; ხელმისაწვდომობა; პარტიული პრესა; დამოუკიდებელი ჟურალ-გაზეთები; საინფორმაციო სააგენტო.

შესავალი

„ქვეყნის ნამდვილ ისტორიას აღმოაჩენ მის პრესაში“ - ეს ფრაზა ცნობილ ინგლისელ მწერალს, მაკოლეის ეკუთვნის და ეს აზრი სულაც არ არის ჭეშმარიტებას მოკლებული. პრესა, ზოგადად მედია ფოტოგრაფიული სიზუსტით ასახავს ცხოვრების ყველა მხარეს, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, მომავლის ხედვას, განვითარების პერსპექტივას; მისი მეოხებით ეცნობიან ადამიანები მიმდინარე პროცესებს, სიახლეებსა და ტენდენციებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ა.შ. ერთი სიტყვით, ქვეყნისა და პრესის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. „ხალხის ხმას“, გადმოცემულს გაზეთის ფურცლებიდან, უდიდესი რეზონანსის გამოწვევა და ძირეული ცვლილებების მოხდენა შეუძლია, ამიტომაც ყოველთვის სურდათ მედიის გაკონტროლება, უფრთხოდნენ მას და ყველანაირად ცდილობდნენ საკუთარი სარგებლობისთვის გამოეყენებინათ, გავიხსენოთ ნაპოლეონის ცნობილი გამონათქვამი: „ოთხ მტრულად განწყობილ გაზეთს უფრო სახიფათო დარტყმის მოყენება შეუძლია, ვიდრე ასი ათას მეომარს ღია ველზე“. მედია დიად ხელისუფლებად მიაჩნდათ, სწორედ ამის გამო ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას მის სასურველ თანამოაზრედ ქცევას. მედია თანდათანობით არა მარტო ინფორმაციის გამავრცელებლად და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ხელშემწყობ მექანიზმად იქცა, არამედ მან თვითგანვითარების ფუნქციაც იტვირთა. პრესა ფართო სახალხო უნივერსიტეტად ჩამოყალიბდა. ჯერ კიდევ 1804 წელს ფილოსოფოსმა შლეცერმა ასეთი რამ დაწერა: „გაზეთები - ამ სიტყვებს ღრმა პატივისცემით წარმოვთქვამ - არის ერთ-ერთი იმ დიად კულტურულ საშუალებებს შორის, რომლის წყალობითაც ჩვენ, ევროპელები, გავხდით ევროპელები“.

ძირითადი ნაწილი

ამჯერად მრავალმხრივ საინტერესო ქვეყნის, ავსტრიის ბეჭდურ მედიაზე გავამახვილებთ ყურადღებას. ავსტრია ცენტრალურ ევროპაში მდებარეობს, გამოირჩევა ულამაზესი ბუნებით და მუსიკალური ტრადიციებით; არ შეიძლება არ გაგვახსენდეს „ვენის კლასიკოსები“ - ი.ჰაიდნი, ვ. მოცარტი, ლ. ბეთჰოვენი, რომლებმაც მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნეს სახელგანთქმული ვენის სკოლა. ამავე სკოლას მიეკუთვნება საოპერო ხელოვნების დიდი რეფორმატორი კ. გლუკი. თუნდაც მე-19 საუკუნეში რომანტიზმის უბრწყინვალესი წარმომადგენლის ფ. შუბერტის შემოქმედება რად ღირს. ავსტრია ვალსის სამშობლოა. აქ მოღვაწეობდნენ და ქმნიდნენ ჯადოსნურ ჰანგებს მამა-შვილი შტრაუსები, ჟ. ოფენბახი, ფ. ზუპე; უნგრელი კომპოზიტორები - კლასიკური „ავსტრიული ვალსისა“ და კლასიკური ოპერეტის ჟანრის ფუძემდებლები ფ. ლეგარი და ე. კალმანი. მრავალმხრივი და მრავალფეროვანი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობიდან გამომდინარე, აშკარაა ავსტრიის ლიტერატურის კავშირი გერმანულ ლიტერატურასთან. ამას, ბუნებრივია, ხელს უწყობდა საერთო ლიტერატურული ენა, თუმცა სლავურ ქვეყნებთან, ასევე იტალიასთან და ესპანეთთან ხანგრძლივმა ურთიერთობამაც თავისი გავლენა იქონია. ამ ქვეყანაში შეიქმნა გერმანულენოვანი ლიტერატურის შედევრები - „ნიბელუნგების სიმღერა“ და „გუდრუნი“. ავსტრიაში მოღვაწეობდა ჩვენთან ძალზე პოპულარული, ფსიქოლოგიური ნოველების დიდოსტატი შ. ცვაიგი. რაც შეეხება პრესას, უნდა ითქვას, რომ ბეჭდურ მედიას ამ ქვეყანაში მკითხველი არ აკლია. ვენაში გადასასვლელებსა და საზოგადო ტრანსპორტის ზოგიერთ გაჩერებაზე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია უფასოდ აიღოს პოპულარული გაზეთების „Osterreich” („ავსტრია“) და „Heute” („დღეს“) ახალი ნომრები. ზოგადად ეს გაზეთები ფასიანია (ერთ ევროზე ცოტა ნაკლები ღირს), მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არის ადგილები, სადაც სპეციალურ საგაზეთო ბოქსებში მოთავსებული გაზეთები თანხის გადახდის გარეშე არის ხელმისაწვდომი დაინტერესებული ადამიანებისთვის. ავსტრიაში პირველად ჩასულ ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს, რომ იქ ყველა გაზეთი უფასოა, ვინაიდან მათი გავრცელების სქემა ნდობას ეფუძნება. თვალსაჩინო ადგილას, მაგ., განათების ბოძზე დაკიდებულია გამჭვირვალე პაკეტი, რომელშიც აწყვია გაზეთების დასტა, ოდნავ ზევით კი მოთავსებულია მონეტის ჩასაგდები პატარა ყუთი, ფასიც იქვე არის მითითებული. თუმცა თანხის გადახდის გარეშეც შეიძლება გაზეთის აღება, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. რა თქმა უნდა, პრესის შეძენა შეიძლება საგაზეთო დახლებზეც და გადასასვლელებშიც, გაზეთის ქუჩის გამყიდველებთან. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიაში ინტერნეტი ყველგანაა, ბეჭდურ მედიას პრობლემები არ ექმნება. თვალში საცემია იმ ადამიანთა სიმრავლე, რომლებიც კაფეში მყუდროდ მოკალათებულნი გაზეთს კითხულობენ, მათ შორის ახალგაზრდებიც არიან.

ავსტრიაში გამოდის 202 დასახელების ჟურნალ-გაზეთი. ყველაზე პოპულარული და გავლენიანი გაზეთების რიცხვს მიეკუთვნება „Wiener Zeitung” („ვენის გაზეთი“), რომელიც მთავრობის ოფიციალური ორგანოა, დაარსდა 1703 წელს, ტირაჟი შეადგენს 50 000 ეგზემპლარს.

„Wiener Zeitung” გამოირჩევა ვრცელი ანალიტიკური სტატიებით. გაზეთში ცალკე რუბრიკები ეძღვნება განათლებას, კულტურას, მეცნიერებას; ხშირად იბეჭდება პასუხისმგებელ პირთა მოხსენებები, ოფიციალური მასალები. ქვეყნის წარსულის გასახსენებლად გაზეთში სპეციალური გვერდია გამოყოფილი, სადაც ისტორიული ქრონიკები ქვეყნდება.

„Volks Zeitung” („სახალხო გაზეთი“) სახალხო პარტიის ორგანოა, გამოდის 1945 წლიდან, მისი ტირაჟი 24 000 ეგზემპლარს აღწევს. ავსტრიის სახალხო პარტია დაარსდა 1945 წელს ყოფილი ქრისტიან-სოციალისტური პარტიის ბაზაზე, მჭიდროდ არის დაკავშირებული კათოლიკურ ეკლესიასთან, გამოხატავს მსხვილ მრეწველთა და მიწათმფლობელთა ინტერესებს. 1889 წელს დაარსდა გაზეთი „Arbeiter Zeitung” („ მუშათა გაზეთი“), ტირაჟი 102 000. ეს გაზეთი სოციალისტური პარტიის ორგანოა. პარტია დაფუძნდა 1945 წელს სოციალურ-დემოკრატიული პარტიის ბაზაზე. მისი პროგრამა გამსჭვალულია რეფორმისტული სულისკვეთებით, უარყოფს კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობას და ქადაგებს „სოციალური პარტნიორობის“ იდეებს. ავსტრიის კომუნისტური პარტია 1918 წლის 3 ნოემბრიდან არსებობს, შეიქმნა ვენაში კომუნისტთა დამფუძნებელ კონფერენციაზე, აღიარებს დემოკრატიული ცენტრალიზაციის პრინციპებს და გამოსცემს ყოველდღიურ გაზეთს „Volkstimme” („ხალხის ხმა“), ტირაჟი 72 000-მდეა.

პარტიული პრესის გარდა, ავსტრიაში, ბუნებრივია, დამოუკიდებელი გაზეთებიც გამოდის, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს და მუდმივი მკითხველიც ჰყავს. მათ შორის აღსანიშ-

ნავია „Kronen Zeitung" - უმსხვილესი ყოველდღიური გაზეთი, რომელსაც ამ ქვეყნის მოსახლეობის 40 % ეცნობა. გაზეთში ხშირად იბეჭდება განსხვავებული აზრებისა და პოლიტიკური შეხედულებების მქონე ავტორიტეტული პიროვნებების სტატიები ამა თუ იმ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. ომის შემდეგ ავსტრიაში ყველაზე კითხვადი გაზეთი იყო „Kurier", ამ ვენაში გამომავალ ყოველდღიურ გაზეთს დღესაც არ დაუკარგავს პოპულარობა, ის შედის ქვეყნის ყველაზე დიდტირაჟიან გაზეთთა ათეულში, ცენტრისტული ევროპული ღირებულებების მიმდევარია. „Kleine Zeitung" („პატარა გაზეთი") გამორჩეული რეგიონალური გაზეთია, რომლის ორი ვერსია არსებობს - კარინტისთვის და შტირისთვის. ასეთივე პოპულარული რეგიონალური გაზეთია „Oberosterreichische Nachrichten" („ზემოავსტრიული ცნობები"), გამოდის ქალაქ ლინცში, მიზნად ისახავს სოციალური წესრიგის და ადამიანთა უფლებების დაცვას, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის ხელის შეწყობას. „Der Standart" - ვენის რეგიონალური გამოცემა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და მკითხველისთვის საყვარელი გაზეთია, ხშირად ბეჭდავს მოწინავე სტატიებს უცხოური პრესიდან და, რაც მთავარია, ის არის პირველი ყოველდღიური ელექტრონული გაზეთი გერმანულ ენაზე, ვრცელდება შტირში, ზემო ავსტრიასა და კარინტიში. „Die Presse" უძველესი ავსტრიული გაზეთია, სადაც ყურადღებას იქცევს მაღალ პროფესიულ დონეზე დაწერილი ანალიტიკური სტატიები პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების, ლიტერატურის სფეროში. ეს გაზეთი ბურჟუაზიული და კონსერვატორული პრესის მემკვიდრეა, ლიბერალურ და ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ ბეჭდურ ორგანოდ ითვლება. აღსანიშნავია, რომ „Die Presse" გახდა ავსტრიის 2015 წლის საუკეთესო გაზეთი.

ავსტრიელების საყვარელი გაზეთია „Salzburger Nachrichten" („ზალცბურგის ცნობები"). ითვლება დამოუკიდებელ გაზეთად, შედის ავსტრიის ყველაზე პოპულარული გაზეთების ოთხეულში. ეს ბეჭდვითი ორგანო უშიშრად ილაშქრებს ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ, ამასთანავე საყოველთაო ღირებულებების თავდაუზოგავი დამცველია, გამოხატავს კათოლიკური საზოგადოების ინტერესებს. ერთი სიტყვით, საკმაოდ რესპექტაბელური გამოცემაა. ტიროლის რეგიონში, ქალაქ ინსბრუკში გამოდის ყოველდღიური გერმანულენოვანი გაზეთი „Tiroler Tageszeitung" („ტიროლის დღის გაზეთი"). ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ვრცელდება ქალაქ ბრეგენცის ერთ-ერთი ყველაზე დიდტირაჟიანი რეგიონალური გამოცემა „Voralberger Nachrichten". ამავე ქალაქში გამოდის და და დასავლეთ ავსტრიაში მიმდინარე მოვლენებს აშუქებს „ Neue Voralberger Tagesxeitung" („ფორალბერგის ახალი დღის გაზეთი"), გამოდის 1972 წლიდან. აუცილებლად უნდა ვახსენოთ „Neue Freie Presse", რომელიც გაზეთ „Die Presse"-ს ყოფილმა თანამშრომლებმა დააარსეს და რომელიც მალე გახდა ლეიბორისტების ორგანო და პოპულარობაც მოიხვეჭა. ავსტრიის და გერმანიის ცნობილი პერსონები წერდნენ სტატიებს ამ გაზეთისთვის. მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს მასში დაბეჭდილი ფელეტონები, რომელთა ავტორები არიან აუერბახი და შპილგაგენი. მართალია, დღეს ამ გაზეთის ავტორიტეტი ნაწილობრივ შემცირებულია, მაგრამ მისი მოწინავე სტატიებით მაინც ინტერესდებიან მკითხველები, მათ შორის პარტიული მოღვაწეები და დაპუტატები; ფელეტონებსაც არ დაუკარგავს სიმძაფრე. რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს, ამ მახასიათებლის მიხედვით გაზეთი ნამდვილად მაღალ დონეზეა. „Wirtschaftsblatt" („სამეურნეო ფურცელი") ფინანსურ-ეკონომიკური ყოველდღიური გაზეთია, გამოდიოდა 1995-2016 წლებში. დღეს ამ გაზეთის ბეჭდური ვერსია აღარ არსებობს, მხოლოდ ელექტრონული სახით ვრცელდება. ზემო ავსტრიის უძველესი ყოველდღიური გაზეთია „Neues Volksblatt" („ახალი სახალხო გაზეთი"), რომელიც გამოდის 1969 წლიდან.

ავსტრიაში გამომავალ ჟურნალებიდან უნდა გამოვყოთ „Profil" - ყოველკვირეული პოლიტიკური გამოცემა; „Trend"- ყოველთვიური ეკონომიკური ჟურნალი; „Die Zukunft" („მომავალი") - ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველთვიური ორგანო; „Das Tagebuch" („დღის წიგნი"), აქ თანამშრომლობდა ჰ. ჰუბერტი, რომელმაც გერმანულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი". „Wiener Geschichtsblatter" („ვენის ისტორიის ფურცლები") დაარსდა 1946 წელს, მასში უხვად იბეჭდება ისტორიული მასალები. კინოხელოვნების საკითხებს აშუქებენ „Filmkunst", რომელიც 1949 წლიდან გამოდის და „Filmschau", რომელიც 1951 წელს დაარსდა. უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრიაში მსგავსი საკითხებით გაზეთიც „Wiener Filmzeitung"

არის დაინტერესებული, მას 1937 წლიდან ეცნობა მკითხველი.

ავსტრიის საინფორმაციო სააგენტოა APA („Austria Presse Agentur"), რომელიც დაარსდა 1946 წლის 1 სექტემბერს ვენაში; წარმოადგენს ავსტრიის გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის

კოოპერატიულ გაერთიანებას; მომხმარებელს აწვდის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კომერციულ, კულტურულ, სპორტულ ინფორმაციებს. სააგენტოს აქვს განყოფილებები ავსტრიის სხვადასხვა რეგიონებში. სააგენტოში დასაქმებულია 580-მდე ადამიანი, მათ შორის 150 რედაქტორი. APA არის ევროპის ალიანსის საინფორმაციო სააგენტოების წევრი.

დასკვნა

ავსტრია ის ქვეყანაა, სადაც ელექტრონულმა მაუწყებლობამ დიდად ვერ დაჯაბნა ბეჭდური მედია. ავსტრიელები სიამოვნებით და ყურადღებით ეცნობიან ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან მიწოდებულ მრავალფეროვან ინფორმაციას, ანალიტიკურ სტატიებს, გასართობ მასალას; ფუჭად არ მიიჩნევენ დროს, რომელსაც კითხვას ანდომებენ და არც თანხის გადახდაზე იხევენ უკან. ავსტრიელები ჟურნალისტებიც ცდილობენ არ გააწბილონ მრავალრიცხოვანი აუდიტორია, თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულონ და პასუხისმგებლობა სრულად გაითავისონ, არ მისცენ მკითხველებს მათ კეთილსინდიერებაში დაეჭვების საბაბი, არ ჩამორჩნენ დროის მოთხოვნებს, არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით და შეძლებისდაგვარად სრულად დააკმაყოფილონ მედიამომხმარებლის ინტერესი.

ლიტერატურა:

1. https://ru.wikipedia.org.(wiki). Сгедства массовой информации Австгии
2. http://mtranslate.ru /smi/Austria/
3. http://evartist,narood.ru/test2/34-4.htm
4. https://apa.at.
5. (wiki)Die Presse

Austrian print media

Ketevan Giorgobiani, Associate Professor

Georgian Technical University

Summary

The paper deals with the print media of a country with an exceptional cultural tradition in Central Europe, Austria; Provides information on popular and influential magazines and newspapers; The reasons for the popularity of the press and the interest of the consumer in it are analyzed.

The favorite newspaper of the Austrians is the "Salzburger Nachrichten" ("Salzburg News"). Considered an independent newspaper, it is one of the four most popular newspapers in Austria. This print body fearlessly fights against totalitarianism, while at the same time being a selfless defender of universal values, expressing the interests of the Catholic community.

Among the magazines published in Austria we should single out "Profil" - a weekly political publication; "Trend" - a monthly economic magazine; Die Zukunft (The Future) is the monthly body of the Austrian Social Democratic Party. The Austrian news agency is the APA (Austria Presse Agentur), founded on September 1, 1946 in Vienna; Is a cooperative association of Austrian newspapers, radio and television; Provides customers with economic, political, commercial, cultural, sports information. The agency has offices in different regions of Austria. The agency employs about 580 people, including 150 editors. APA is a member of the European Alliance news agencies.

Austria is a country where electronic broadcasting has not greatly impressed the print media. Austrians are attentive and happy to read a wide range of information from the pages of magazines and newspapers: analytical articles, entertaining material, news in the field of culture and art, do not consider in vain the time spent reading; Austrian journalists also try not to overwhelm a large audience, to perform their duties honestly and to take full responsibility, not to give the reader an excuse to doubt their good faith and professionalism, not to lag behind the demands of the time, not to be satisfied with the achievement and help as much as possible.

Keywords: Austria - a country with exceptional cultural traditions; Press; Meaning and impact; Reasons for popularity; Availability; Party press; Independent magazines and newspapers; News Agency.

ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა – ქართველი საზოგადოების საერთაშორისო ტრიბუნა

თეონა არველაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: პროფესორი თემურ ეკგოდნიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

XX საუკუნის დასაწყისის მსოფლიო პოლიტიკურმა პროცესებმა, რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის ხელახლა ოკუპაციამ და ქვეყნიდან ემიგრაციის ტალღის გადინებამ, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის განვითარება - გამრავალფეროვნებას შეუწყო ხელი.

ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია ორ ეტაპად იყოფა. პირველი 1917 წლამდე პერიოდს მოიცავს (რუსეთის რევოლუციამდე), მეორე – 1921 წლიდან - 1939 წლამდე პერიოდს.

რევოლუციამდელი ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა (1873-1917 წ.წ), რაოდენობრივად სულ ოთხ პერიოდულ გამოცემას შეიცავდა.

1921-1939 წლებში გამოდიოდა ორმოცამდე ემიგრანტული გამოცემა, რომელთა უმრავლესობა პოლიტიკური თემატიკის იყო, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო იმ აქტუალური საკითხებით და პოლიტიკური გამოწვევებით, რომლის წინაშეც იდგა მათი თანადროული - ოკუპირებული საქართველო.

ემიგრანტულ გამოცემათა არსებობა - განვითარებას უცხო მიწაზე ბევრი მიზეზი აფერხებდა, ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენდა ფინანსური საკითხები და პოლიტიკური, შიდაპარტიული დაპირისპირებები.

ემიგრანტულ გამოცემათა შორის არსებობის ხანგრძლივობით, პუბლიცისტური აქტუალობით, თემათა მრავალფეროვნებით და განსხვავებულ პოლიტიკურ პარტიათა გამოირჩეოდა გაზეთი/ ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, რომელიც წარმოადგენდა პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული ფრონტის ორგანოს.

ქართულმა ემიგრანტულმა ჟურნალისტიკამ და ემიგრანტულმა საზოგადოებამ, პუბლიკაციებით და პოლიტიკურ ძალთა ბალანსის შენარჩუნებით, ზოგჯერ განსხვავებული შეხედულებების და დაპირისპირებების ფონზე, შეინარჩუნეს ის მუხტი, რომელიც აუცილებელი იყო საერთაშორისო ასპარეზზე ევროპელი კოლეგების ყურადღების მისაპყრობად და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

ემიგრანტული ჟურნალ - გაზეთები წარმოადგენს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მნიშვნელოვან შენაძენს, რომლის ფურცლებზე ბევრი უცნობი ფაქტი, ნაშრომი თუ მოგონებაა შემონახული.

საკვანძო სიტყვები: ოკუპაცია, ემიგრაცია, ემიგრანტული ჟურნალისტიკა, ემიგრანტული საზოგადოება, საერთაშორისო ურთიერთობები.

შესავალი

მსოფლიო მოვლენებმა, სახელმწიფოთა შორის ომებმა თუ შიდა პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა, პირდაპირი ასახვა პოვა საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზეც.

1921 წლის რუსეთის მიერ ხელახლა იქნა საქართველო. ამას მოჰყვა პოლიტიკური ნიშნით ქვეყნიდან ემიგრაციის დიდი ტალღის გადინება. ემიგრაცია - ეს იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ პირადი მიზეზებით გამოწვეული, ყოველთვის მტკივნეული პროცესია ქვეყნისთვის, მით უფრო ისეთი პატარა ერისთვის როგორიც საქართველოა. თუმცა რეპრესიული რეჟიმის პირობებში, რომელსაც წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი, გადარჩენის და უკეთესი მომავლისთვის ბრძოლის სხვა გზა, მოცემული მომენტისთვის, არ არსებობდა...

ოკუპირებული საქართველოს მთავრობამ და საზოგადო მოღვაწეებმა, სამწლიანი დამოუკიდებლობის და კვლავ დაპყრობილი ტერიტორიების ფონზე, მიიღეს გადაწყვეტილება, საერთაშორისო სამართლის დახმარებით ეპოვათ საკუთარი სამართალი. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გახიზნულმა პოლიტემიგრანტებმა დაიწყეს ფიქრი ყველა იმ საშუალებაზე, რაც მათ ყოფას უცხო მიწაზე და ადაპტაციას გაადვილებდა და ასევე დაეხმარებოდა მათ საქართველოს უფლებებისთვის ბრძოლის გაგრძელებაში.

ამგვარად, პოლიტემიგრაცია, ქართული სათვისტომოების, კოლონიების, ორგანიზაციებისა თუ ემიგრანტული ჟურნალ – გაზეთების დაარსების მიზეზი გახდა, დამოუკიდებლობისთვის ბრძო-

ლაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად მიჩნეულ იქნა პრესა, როგორც იმ პერიოდისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი და გავრცელებული მასობრივი კომუნიკაციის საშუალება. პრესა წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ემიგრანტთა სულიერი მოთხოვნილებების, მათი ტკივილის გაზიარების საუკეთესო სივრცეს და, მეორე მხრივ. საბჭოთა პროპაგანდის, სიცრუის მამხილებელ საშუალებას.

ძირითადი ნაწილი

1921 წლიდან ქართულმა ჟურნალისტიკამ ემიგრანტულსივრცეშიგადაინაცვლადაიქგანაგრძო განვითარება. თუმცა ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა 1917 წლამდეც არსებობდა. კერძოდ, ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია იყოფა ორ პერიოდად, 1973 წლიდან 1917 წლამდე და მეორე 1921 წლიდან – 1939 წლამდე.

ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა პირველ პერიოდში (1873-1917 წწ.), რაოდენობრივად სულ ოთხ პერიოდულ გამოცემას შეიცავდა. ესენი იყო: 1) „დროშა“ 1873, ჰექტოგრაფიული გაზეთი, გამოდიოდა პარიზში რედაქტორი იყო ნიკო ნიკოლაძე; 2) „საქართველო“, გამოდიოდა 1903-1905 წწ. პარიზში, საქართველოს სოციალისტ-ფედერალის-ტთა პარტიის ორგანო, რედაქტორები იყვნენ: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი; 3) “თავისუფალი საქართველო“, გამოიცემოდა 1913-1914 წწ. ჟენევაში, იყო ეროვნული მიმართუ-ლების ყოველთვიური ჟურნალი; 4) „ქართული გაზეთი“, ორკვირეული გაზეთი, ქართული ევროპული პარტიის ევროპის კომიტეტის ორგანო, გამოდიოდა 1916-1918 წლებში, ბერლინში, რედაქტორები იყვნენ: ლეო კერესელიძე, გიორგი კერესელიძე.

ემიგრანტულ ჟურნალისტიკაში გარდამტეხი აღმოჩნდა მეორე ეტაპი, რომელიც დაიწყო 1921 წლიდან და გაგრძელდა 90-იან წლებამდე.

1921-1939 წლებში გამოიცემოდა ორმოცამდე ემიგრანტული ჟურნალ - გაზეთი კერძოდ: ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ (1921-1922 წწ); გაზეთი „ახალი საქართველო“ (1924-1926 წწ); ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1923 წ.); ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ (1931-1934 წწ.) და სხვა. არსებობის ხანგრძლივობით, პუბლიცისტური აქტუალობით, რუბრიკების მრავალფეროვნებით თუ პოლიტიკურ პარტიათა (სოციალ - დემოკრატიულ, ეროვნულ - დემოკრატიულ, სოციალისტ - ფედერალისტურ, სოციალისტ - რევოლუციური პარტიები) გაერთიანების მცდელობით გამოირჩეოდა „დამოუკიდებელი საქართველო“ (1926-1939 წწ).

ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებს შორის იყო სამხედრო, რელიგიური, კულტურული თემატიკის გამოცემებიც, თუმცა მცირე რაოდენობით და ხანმოკლე არსებობის ისტორიებით. უმრავლესობა პოლიტიკური მიმართულების იყო, რაც განპირობებული იყო თანადროული აქტუალური საკითხებით, ქვეყნის შიდა თუ საგარეო პოლიტიკური გამოწვევებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილით.

პოლიტემიგრანტები აზრთა სიჭრელით და პოლიტიკურად შეუთანხმებელი ძალებით გამოირჩეოდნენ. ყველას საკუთარი გეგმა ჰქონდა საქართველოს უკეთესი მომავლის მოსაწყობად. შესაბამისად, საერთო მიზნის მისაღწევად, მცდელობებიც და მისწრაფებებიც განსხვავებული იყო, რაც ხშირად ხდებოდა ქართული ემიგრანტული გამოცემების დაპირისპირებების მიზეზი.

ქართული ემიგრანტული პრესა გამოირჩეოდა არსებობის ხანმოკლე ისტორიით, რაც იშვიათად გამოწვეული იყო სარედაქციო კოლეგიის, პარტიათა შიდა ურთიერთდაპირისპირებებით, თანამშრომლობის შეწყვეტით, გამოცემის გაუქმებით, უმეტესწილად კი ფინანსური კრიზისით - გაზეთის ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინასების უქონლობით.

შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობის გამო, ძნელად ხერხდებოდა დროულად გამოცემები, ირღვეოდა პერიოდულობა. ხშირ შემთხვევაში გამომცემლობები ამჯობინებდნენ ალმანახების და კრებულების დაბეჭდვას, რომელიც დამოკიდებული იყო მასალათა თავმოყრასა და სახსრების მოძიებაზე. გამოიცემოდა აგრეთვე ბიულეტინები და საინფორმაციო ფურცლები, რომლებიც რეგულარული არ იყვნენ.

დასკვნა

ქართული ემიგრაციული ჟურნალისტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სწორედ ემიგრანტულმა ჟურნალისტიკამ შეუწყო ხელი ქართული ემიგრაციის უცხო გარემოში ადაპტირებას, ხელს უწყობდა მათ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ინტერესთა დაკმაყოფილებას სულიერი მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ემიგრანტული გამოცემები ასევე ეხმიანებოდა და ემსახურებოდა ყველა ქართულ ლიტერატურულ თუ კულტურულ აქტივობას, ხელს უწყობდა ქართული - ეროვნული სულიერების პოპულარიზაციას.

ემიგრანტულმა ჟურნალისტიკამ და ემიგანტულმა საზოგადოებამ საქართველოს ისტორიიდან ბევრი უცნობი ფაქტი, მატერიალური თუ არამატერიალური სიმდიდრე გადაგვირჩინა.

ემიგრანტული გამოცემების მეშვეობით, გვაქვს საბჭოთა თანადროული საქართველოს შეულამაზე-

ბელი რეალობის გაცნობის საშუალება, იქნება ეს უცნობი წერილები, კვლევები, ფოტომასალები, ბიბლიოგრაფიული ცნობები თუ სხვა, რომლებიც უგულებელყოფილი იყო საბჭოთა მწერლების მიერ და დღეს, ჩვენი დაკარგული ისტორიის ფურცლებს ავსებს.

ემიგრანტული გამოცემები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში განსაკუთრებული ფასეულობისაა, რადგან იგი საზღვრებს გარეთ დაუფარავად, ცენზუსრიგან თავისუფალ გარემოში აღწერდა საქართველოს ისტორიის მძიმე პერიოდებს, იმ მოვლენებს, რომელთა ზუსტი ცოდნის უფლება საბჭოთა ცენზურამ წაგვართვა და ემიგრანტულმა პრესამ გადაგვინახა.

ამგვარად, ემიგრანტული პრესა აღმოჩნდა ერთგვარი გენერატორი ყველა იმ ინფორმაციული სიკეთისა, რაც შეიძლებოდა ცივილიზებული სამყაროსგან მიეღო საქართველოს, ემიგრანტული გამოცემები აღმოჩნდა ხმა ოკუპირებული ერის სატკივარისა მსოფლიო ტრიბუნაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე გ., ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819 -1945), წიგნის პალატის გამომცემლობა. თბ., 1947წ. 271გვ.
2. გამეზარდაშვილი დ. მ. რედაქცოოთ, „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, ტ.V., თბ:, 1976. 440გვ.
3. გვარჯალაძე კ. „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში“ გამომც: ცოდნა-ერთობა; თბ:, 1991 , 76გვ.
4. გაზეთი „ დამოუკიდებელი საქართველო“., 1926 – 1939 წ.წ, პარიზი.

Georgian Emigrant Journalism - International Tribune of the Georgian Society

Teona Arveladze, PhD student
Georgian Technical University

Temur jagodnishvili, professor
Georgian Technical University

Summary

The world political processes of the twentieth century, the re-occupation of Georgia by Russia in 1921 and the outflow of emigration from the country, contributed to the development and diversity of Georgian emigrant journalism.

The history of Georgian emigrant journalism is devided into two stages. The first period is before 1917 (before the Russian Revolution) and the second period from 1921 - during the occupation of Georgia.

Pre-revolutionary Georgian emigrant journalism (1873-1917) included four periodicals totally.

In 1921-1939 (which is only the part of emigrant magazines-newspapers) about fourty emigrant publications were published, most of which were political, that in turn was conditioned by the current issues and political challenges faced by their contemporary - occupied Georgia.

Existence of emigrant publications - developnebt in foreign lands was hindered by a number of reasons, the most of which was the resolution of financial issues and the elimination of second political, intra-party controversies.

Among the emigrant publications, the newspaper/magazine "Independent Georgia" was the united front body of political parties, stood out for its long existance, publicist relevance, diversity of topics and unification of different political parties. Georgian Emigrant Journalism and Emigrant Society with its publication and by maintaining a balance of political power through its publications, sometimes in the face of differing views and controversies, maintained the spark that was needed to attract the attention of their Eurpoean counterparts on the interiational area and gain support for the independece of Georgia.

Emigrant publications were able to continue-develop the traditions of Georgian journalism and preservce many important events from the Soviet regime, as evidenced by publications, the relevance of which has not lost in conetmporary Georgia.Emigrant Magazines - Newspapers are an important acquisition in the the history of Georgian emigrant jurnalism, on the pages of which many unknown facts, works or memoirs are preserved from the history of Georgia.

Keywords: Occupation, Emigration, Emigrant Journalism, Emigrant Society, International Relations.

პირადი ცხოვრების გაშუქება ქართულ მედიასივრცეში

ანა ბარაბაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მასმედიის ცნებაში მოიაზრება მედია ტექნოლოგიები, რომლებიც ფართო აუდიტორიისათვის ინფორმაციის მიწოდებისათვის გამოიყენება. საინფორმაციო გზავნილების მიწოდება ხორციელდება ტელევიზიით (მათ შორის, ფილმებისა და რეკლამის საშუალებით), რადიოს მეშვეობით, ინტერნეტითა და ბეჭდური საინფორმაციო საშუალებებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მასმედია, უდიდეს ზეგავლენას ახდენს ადამიანების ცნობიერებაზე.

მედია ახორციელებს ადამიანთა ინფორმირებას, შემეცნებას, გართობას უამრავი სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის გამოყენებით და ზემოქმედებს საზოგადოების აზრის ფორმირებაზე. წლების განმავლობაში, მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების გავლენა მასებზე სულ უფრო მეტად იზრდება, რაც ცხადია ტექნოლოგიების განვითარებითაა განპირობებული.

განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არის ადამიანების პირადი ცხოვრება, განსაკუთრებით კი საჯარო პირებისა და ცნობადი ადამიანების.

ყველა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცულია. ამიტომაც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეათე პრინციპი ცალკე გამოყოფს მას - „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი".

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი ფართო ცნებაა და არ გააჩნია ზუსტი განმარტება. საჯარო ინტერესის შემთხვევაში პირადი ცხოვრების დეტალების გასაჯაროვებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დაცვა მედიის გამოწვევა და პასუხისმგებლობაა.

საზოგადოებრივი ინტერესი ჟურნალისტის მიერ პირის პირად ცხოვრებაში შეჭრა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოპოვებული ინფორმაციის მიმართ არსებობს საჯარო ინტერესი, როდესაც გამჟღავნებულ ფაქტებს საზოგადოებისთვის უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვიდრე ერთი კონკრეტული პირისთვის ზიანის მიყენებაა. სწორედ ამით განსხვავდება საზოგადოებრივი ინტერესი საზოგადოებრივი ცნობისმოყვარეობისაგან.

რაც უფრო მაღალია საზოგადოებისათვის ინფორმაციის ღირებულება, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს პირის პირად ინტერსს და პირიქით. მედიამ კარგად უნდა გაიაზროს რის მიმართ არსებობს საჯარო ინტერესი - პრობლემის, რასაც პირადი ინფორმაციის გასაჯაროვება წარმოაჩენს, თუ იმ პირის ცხოვრების მიმართ, ვინც მასალაშია ასახული. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა მხოლოდ პირველ შემთხვევაში იქნება გამართლებული.

რაც უფრო ინტიმურ საკითხს ეხება ინფორმაცია, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს ჟურნალისტის დასაბუთება, საპირწონე სიკეთეებთან დაკავშირებით.

საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელსაც ამა თუ იმ საკითხზე რაციონალური მსჯელობის უნარები აქვს, გამაღიზიანებელიცაა ადამიანის პირადი ცხოვრების სააშკარაოზე გამოტანა, ვინაიდან მათთვის ეს არ წარმოადგენს ინტერესის საგანს.

მათი აზრის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი არ არის პირის ორიენტაცია, ცხოვრების წესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა დეტალები, რომლებსაც არანაირი სიკეთის მოტანა არ შეუძლია მათთვის.

საკვანძო სიტყვები: მედიატექნოლოგიები, საჯარო და კერძო პირები, პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, სპორტი.

შესავალი

საჯარო და კერძო პირები. მედიისთვის საჯარო პირს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს და მოიაზრება ყველა, ვინც საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეულ ფუნქციას ასრულებს სხვადასხვა სფეროში იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, სპორტი... საჯარო პირებს, განსაკუთრებით პოლიტიკოსებს, მაღალი თანამდებობის პირებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოლოდინი ყველაზე ნაკლებად უნდა ჰქონდეთ. თუმცა გარკვეული ხარისხით მათაც აქვთ გარშემომყოფებისგან საკუთარი ცხოვრების დაცვის უფლება. მაგალითად დაცულია მათი პირადი ურთიერთობები, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია თუ არ იკვეთება ამ დეტალების მიმართ საჯარო ინტერესი, რაც შეიძლება იყოს ვთქვათ, საჯარო ფინანსების ხარჯვა პირადი ურთიერთობებისთვის ან მკურნალობისთვის და აშ.

საჯარო პირის მიმართ არსებული ინტერესი ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ მედიის წარმომადგენლებს აქვთ უფლება მათი ოჯახის წევრების, განსაკუთრებით მცირეწლოვანი შვილების შესახებ ინფორმაცია იმავე სიხშირით უნდა გააშუქონ.

ძირითადი ნაწილი

უბედური შემთხვევები, დანაშაული. აუცილებელია ბალანსის დაცვა საჯარო ინტერესსა და უბედურ შემთხვევებში მონაწილე პირთა პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას შორის. დაშავებულთა, ტანჯვასა და შოკში მყოფ ადამიანთა ახლო ხედით ჩვენება გამართლებულია მაშინ, თუკი ეს წარმოაჩენს მომხდარის მასშტაბს, საჭიროა კონტექსტის საჩვენებლად და ინფორმაციის სრულად გადმოსაცემად; პირდაპირ ეთერში მუშაობის დროს მედია შეძლებისდაგვარად უნდა ეცადოს, რომ აქცენტი არ გააკეთოს კონკრეტული ადამიანების ტანჯვის ჩვენებაზე;

მედიამ უნდა იფიქროს იმაზეც, რა გავლენას მოახდენს აუდიტორიაზე შემზარავი გამოსახულების მრავალჯერადად ჩვენება.

კერძო პირთა დაკრძალვის გადასაღებად აუცილებელია ახლობელთა თანხმობა; მედიამ თავი უნდა შეიკავოს დაზარალებულის, ბრალდებულის და შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა პირთა ცხოვრებიდან ისეთი დეტალების გასაჯაროებისგან რომელიც საქმესთან კავშირში არ არის; ჟურნალისტებს შეუძლიათ რამდენ ხანსაც სურთ იმყოფებოდნენ დაზარალებულის, ბრალდებულის სახლის სიახლოვეს, საზოგადოებრივ ადგილას, მაგალითად გზაზე, და არა სახლის კართან, მიუხედავად იმისა, ის პირი საჯარო ფიგურაა თუ არა;

ფსიქიკური ჯანმრთელობის გაშუქება. ფსიქიკური ჯანმრთელობა განიმარტება როგორც კეთილდღეობის მდგომარეობა, როცა ადამიანს შეუძლია საკუთარი პოტენციალის რეალიზება, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სტრესთან გამკლავება, ნაყოფიერად შრომა და წვლილის შეტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავის მხრივ ჯანმრთელობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია „ჯანმრთელობას“ შემდეგნაირად განსაზღვრავს - „სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა და არა მხოლოდ ავადმყოფობის არარსებობა”.

ფსიქიკურ დაავადებებს შორისაა:

- დეპრესია ;
- შიზოფრენია ;
- პოსტ ტრავმული აშლილობა;
- ბიპოლარული აშლილობა და სხვა.

ცნობილია, რომ ფსიქიკური დაავადებების რიცხვი თითქმის ორმაგდება ომისა და კატასტროფების შემდეგ. საზოგადოებაში არსებული სტიგმა კი ამგვარი პრობლემის მქონე ადამიანებს ხელს უშლის გააგრძელონ ცხოვრება ჩვეულ რიტმში. სტიგმის გაძლიერებაში შესაძლებელია დიდი როლი ითამაშოს მედიის მიერ აღნიშნული საკითხის არასწორმა გაშუქებამ, შესაბამისად, ჟურნალისტმა კარგად უნდა გააცნობიეროს თუ რას ემსახურება მის მიერ სხვა პირის დიაგნოზის საზოგადოების წინაშე გამოტანა, რა დამატებით ინფორმაციას აწვდის აუდიტორიას და რა უარყოფითი შედეგი შეიძლება დადგეს არამხოლოდ რეპორტაჟის (მასალის) გმირისთვის, არამედ ყველა სხვა დანარჩენი პირისთვის, ვინც მსგავსი სახის პრობლემის წინაშე დგას.

გენდერული საკითხების გაშუქება. გენდერი სქესის სოციალური მახასიათებელია, რომელიც გამოხატავს საზოგადოების მიერ დადგენილ თუ გამომუშავებულ ფუნქციურ, ქცევით, მენტალურ თუ ემოციურ განსხვავებულობას ქალსა და კაცს შორის.

საზოგადოებაში გენდერული სტერეოტიპები ფართოდაა გავრცელებული. გენდერული როლებისა და სტერეოტიპების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში დიდი როლს ასრულებს მედია, შესაბამისად მის შესუსტებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი სწორად ამ საკითხის სწორი კუთხით გაშუქებას მიუძღვის.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეშვიდე პრინციპი დისკრიმინაციას კრძალავს. ამ პრინციპის თანახმად, ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე.

ქალთა მიმართ ძალადობა. ქალთა მიმართ ძალადობას სხვდასხვა ფორმა აქვს. მნიშვნელოვანია, რომ მედიამ ყურადღების მიღმა არ დატოვოს ასეთი შემთხვევები და სათანადო აქცენტის დასმით წარმოაჩინოს არსებული პრობლემები. ამასთან, ისე უნდა გააშუქოს თემა, რომ არ მიაყენოს ზიანი მსხვერპლს, მის შვილებს, ახლობლებს და ა.შ.

ვხვდებით რეპორტაჟებს, როდესაც რეპორტაჟის ავტორები მსხვერპლს უფარავენ სახეს, თუმცა სახის დაფარვა საკმარისი არ არის მისი არაიდენთიფიცირებისთვის. ისტორიის მოყოლითაც კი შესაძლებელია ადვილად ამოსაცნობი გახდეს მოძალადისთვის. სწორედ ამიტომ, ეს არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვეს.

ქალთა მიმართ ძალადობის ისტორიების მოსმენისას, ხშირად ვისმენთ ფრაზებს - "ეჭვიანობის ნიადაგზე მეუღლემ სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა", ამით მედია უნებურად მიანიშნებთ იმაზე, რომ მსხვერპლი ქალი "არასწორად" იქცეოდა, პროვოცირება გაუკეთა მომალადეს და მისცა დანაშაულის ჩადენის საფუძველი. არ არსებობს რაიმე ტიპის ქცევა, რაც გაამართლებს მომალადის ქმედებას, საკანონდებლო ბაზა დანაშაულის მოტივად არ სცნობს "ეჭვიანობის ნიადაგს". არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, დისკრიმინაცია, შურისძიება და ა.შ, რაც შესაძლებელია დანაშაულის საფუძველი იყოს, მაგრამ არა "ეჭვიანობს ნიადაგი".

მნიშვნელოვანია მედიასაშუალებები აშუქებდნენ სასამართლო პროცესებს, რათა საზოგადოებამ იცოდეს და როგორ ისჯება მომალადე.

პროსტიტუციის გაშუქებისას აუდიტორია აუცილებლად ამჩნევს რეპორტაჟის ავტორის განწყობას მათ მიმართ.

დამოუკიდებელი მედია ნეიტრალურად უნდა აშუქებდეს მოვლენებს და საზოგადოებას არ უნდა უტოვებდეს განცდას, თითქოს პროსტიტუციით დაკავებული ყველა ადამიანი ნარკოტიკებზე დამოკიდებული, გრძნობებისგან დაცლილია და ა.შ.

ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება. ბავშვთა საკითხების გაშუქებისას მედიას უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია. აუცილებელია მედიამ დაიცვას ბავშვის ინტერესები, ხელი არ შეუწყოს მათი უფლებების დარღვევასა და სტერეოტიპების გამყარებას.

მას შემდეგ, რაც მოკლედ მიმოვიხილეთ ის სტანდარტები, რომლებსაც მედია უნდა ეყრდნობოდეს პირადი ცხოვრების გაშუქების დროს, ახლა განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ შუქდება თანამედროვე ქართულ მედიაში პირადი ცხოვრება.

მედიაში და განსაკუთრებით სატელევიზიო მედიაში არსებული პრობლემები, ექსტრემალურ სიტუაციებში ზედაპირზე ამოდის და მკაფიოდ ჩანს.

განვიხილოთ 2019 წელს მომხდარი შემთხვევა. ხაშურში, ყოფილმა ქმარმა ცოლი მოკლა, ჯერ ყუმბარა ესროლა, შემდეგ გაქცეულს გაეკიდა და თავი იარაღის კონდახით გაუჩეჩქვა. მიზეზი ბანალურია, „ვერ დამორჩილებულ" ქალზე შურისძიება.

რა მიზანს შეიძლება ისახავდეს ჟურნალისტი, რომელიც ამ ტრაგიკული ფაქტის გასაშუქებლად მიდის? პირველადი მშრალი ინფორმაციის გადაცემის შემდეგ (სად? რა გარემოებაში? რა იარაღით? რომელ საათზე და ა.შ.) რა უნდა აინტერესებდეს და რა აინტერესებთ, როგორც ყველაზე რეიტინგული საინფორმაციო გამოშვებების კორესპონდენტებს, ასევე ყვითელი პრესის ავტორებს?

ხაშურში მომხდარი ფემიციდის შემთხვევაში, ყველა საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტმა დაიწყო მეზობლებთან, ნათესავებთან სიარული და გარკვევა, რატომ მოკლა კაცმა ქალი. თითქოს არაფერი არალეგიტიმური აქ არ არის, რადგან ყველას უნდა იცოდეს მიზეზი, თუმცა რა პასუხი შეიძლება მოვისმინოთ, იმისათვის, რომ გასაგები გავხადოთ ეს მკვლელობა. რას ვიძიებთ? არის რამე რაც ამართლებს ამ მკვლელობას? ვთქვათ მედიის წარმომადგენელმა მიაგნო მკვლელობის რეალურ მიზეზს და ამხილა „ქმრის მოღალატე" ქალი, რას ვაკეთებთ შემდეგ, ან კი რას ვიღებთ შედეგად? კმაყოფილდება სეირის მაყურებელი საზოგადოების ინტერესი, თავად მედია ამ საკითხს ივიწყებს, რადგან სხვა და ახალი თემები ხდება აქტუალური და რჩება მოკლული, შეურაცხყოფილი მსხვერპლი, მისი სასოწარკვეთილი მშობლები, შვილები და ახლობლები.

დასკვნა

ცალსახაა, რომ საზოგადოების ინტერესის საგანი ხშირად ხდება, ამა თუ იმ ადამიანის პირადი ცხოვრება. აქედან გამომდინარე, გასაგებია მედიის მიერ პირადი ცხოვრების გაშუქების აქტუალურობაც, თუმცა პასუხისმგებლობის მქონე მედია, ყოველთვის უნდა ეცადოს, რომ არ დაარღვიოს სხვისი უფლებები და დადგენილი სტანდარტები რეიტინგის გამო.

ამბის თხრობის დროს, არ უნდა ხდებოდეს პირის იდენტიფიცირება, უნდა იყოს გამოყენებული ინიციალები, კადრებში სახეები უნდა იყოს დაფარული, არ უნდა იყოს მითითებული კონ-კრეტული ადგილები.

აუცილებელია ჟურნალისტმა თემის გაშუქებამდე მიიღოს რესპონდენტისგან წერილობითი ან თუნდაც სიტყვიერი თანხმობა.

დაუშვებელია ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი მოვლენების ფარულად გადაღება ან ინტერვიუს ჩაწერა.

თემის გაშუქებისას, ჟურნალისტს უნდა ქონდეს შესაბამისი ცოდნა, რადგან დაზარალებულთან კომუნიკაციისას, არ გამოიწვიოს რესპონდენტის მეორადი ვიქტიმიზაცია.

აღსანიშნავია, რომ მედიასაშუალებების წარმომადგენლები თემის ოპერატიულად გაშუქების მიზეზით, დაუფიქრებლად და ნაჩქარევად აშუ-

ქებენ მოქალაქეთა პირად ცხოვრებას, მათ შორის არასრულწლოვლებისა და შშმ პირების განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაციას. ეს ყველაფერი კი ხშირ შემთხვევაში აღნიშნულ პირებს უქმნით როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე სხვა, პირად პრობლემებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.qartia.ge/media/1000907/2018/10/04/5e801eab8513724adbb571134ba35c4b.pdf;
2. http://resources.ctf.org.ge/giz2014gemedialaw.pdf ;
3. https://www.mediachecker.ge/ka/mthavari/piradi-ckhovreba ;
4. http://unicef.ge/uploads/InterviewingChildren_2011.pdf ;
5. https://www.unicef.org/georgia/;
6. გენდერული საკითხების გაშუქება - სახელმძღვანელო წესები, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო;
7. სარა მაკრამი და ლოტ ჰიუ, ბავშვისგან ინტერვიუს აღება;

Overview

Ana Barabadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The concept of mass media refers to media technologies used to deliver information to a wide audience. Information messages are delivered through television (including movies and commercials), radio, the Internet, and print media sources.

It is a well-known fact that the media has the greatest impact on people's consciousness.

The media informs, contributes to people's cognition, entertains them, using a variety of forms and methods and influences the formation of public opinion. Throughout the years, the impact of mass media on the people has been increasing, which is obviously the result of technological development.

Particular attention is paid to the personal lives of people, especially public figures and celebrities.

The privacy of all human beings is protected. That is why special focus is made on the tenth principle of the Georgian Charter of Journalistic Ethics - "a journalist should respect a person's private life and not invade his / her private life, unless there is a special public interest."

The principle of inviolability of private life is a broad concept and has no precise definition. In case if there is a special public interest, maintaining the balance between disclosing the details of personal life and inviolability of private life is a matter of challenge and responsibility to the media.

A journalist's intrusion into a person's private life is only justified when there is a public interest in the obtained information, when the disclosed facts can do more good to the public than harm to a particular person. This is how public interest differs from public curiosity.

The higher the value of information to the public, the less importance can be attached to a person's personal interest and vice versa. The media should be well aware of what is the object of public interest – a problem that can be manifested through the disclosure of personal information or interest to the life of the person covered in the material. Violation of privacy can be justified only in the first case.

The more intimate is the information, the stronger the journalist's argumentation should be for counterbalancing.

For some part of the society with skills of rational reasoning on this or that issue, it is irritating to expose a person's private life, as for them it is not a matter of interest.

For the formation of their opinion, the orientation of the person, lifestyle, health status and other details are not important, that won't bring any good to them.

ნიკო ნიკოლაძე და მისი შეხედულებები ევროპის უტოპიურ სოციალიზმზე

ნაზი გოგოლაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: პროფესორი თემურ ეკაგოდნიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე მართებული მსჯელობა მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფიის გათვალისწინებას მოითხოვს.

სტატიაში განხილულია პუბლიცისტის დამოკიდებულება, დასავლეთ ევროპის უტოპიურ სოციალიზმთან პირველი ემიგრაციის პერიოდში, როდესაც საბოლოოდ განისზღვრა ნ.ნიკოლაძის ინტერესთა სფეროები, რაც აშკარად გამოიკვეთა ჩვენში ე. წ. მეორე დასელების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდში.

„მეორე დასის“ იდეოლოგები აკრიტიკებდნენ არა მხოლოდ კაპიტალისტურ ძალმომრეობას და მის აპოლოგეტებს, არამედ კაპიტალიზმის კრიტიკოსებსაც, რომელთაც მომავალი საზოგადოების შესახებ არასწორი ან ნაკლოვანებების შემცველი შეხედულებანი ჰქონდათ. მათ არ აკმაყოფილებდათ, მაგალითად, პრუდონის თეორია, რადგან, მაგალითად, "ახალი ახალგაზრდობა“ იზიარებდა პრუდონის მიერ კაპიტალისტური წყობილების კრიტიკას, ამასთანავე სრულიად მიზანშეუწონლად მიაჩნდა მისი გეგმები ახალი წყობილების დამყარების შესახებ.

“მეორე დასის“ იდეოლოგებს შეგნებული ჰქონდათ იმჟამინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის უცვლელობის პირობებში, სოციალიზმის შენების შეუძლებლობა, ამიტომ ოცნებობდნენ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებაზე, რომლის მეშვეობით თანდათანობით უნდა განხორციელებულიყო არსებული ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნები.

თუ დასავლეთ ევროპის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების შეფასებისას „მეორე დასის“ იდეოლოგები მკაცრი და თანმიმდევრული რევოლუციონერ-დემოკრატები იყვნენ, ამის საშუალებას მათ ევროპული სინამდვილე აძლევედათ. იმჟამინდელი საქართველოს პირობები კი მოითხოვდა, რომ ეს სიმკაცრე რამდენადმე მშვიდობიანი ფორმით შეცვლილიყო და შეიცვალა კიდეც.

დიდ ილიასთან ერთად „მეორე დასის“ იდეოლოგებმა ძირითადად სწორად გადაწყვიტეს 60-70-იანი წლების საქართველოში პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების საკითხი. ისინი კარგად გრძნობდნენ, რომ იმ პერიოდში ქართველი საზოგადოების წინაშე ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის საკითხის დასმა ერის დაღუპვის გზაზე დაყენებას ნიშნავდა. ამიტომ წინა პლანზე ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესისა და განათლების ამოცანები დააყენეს.

საკვანძო სიტყვები: „მეორე დასი“, პუბლიცისტი, უტოპიური სოციალიზმი, დასავლეთ ევროპა, სოციალისტური ლიტერატურა, ფრანგული სოციალიზმი, კონკურენცია, ანარქია.

შესავალი

დასავლეთ ევროპის სოციალისტური ლიტერატურა ნ. ნიკოლაძემ სპეციალური კვლევის საგანი გაიხადა. 1864 წელს კ. ლორთქიფანიძეს იგი წერდა: „ორი თვის მერმე მოგწერ ესე იგი გადმოვწერ პირველ 100გვერდს ჩემი „Заметки по политической экономики“. ფურიესა და სენ-სიმონის სისტემა დაწერილი მაქვს, ახლა მაკლია: ტომას მორ, კამპანელა, კაბეტ, ბაბეფ, ლუი ბლანი და სხვა.“

იმ პერიოდში ნ. ნიკოლაძე განსაკუთრებით ფრანგული სოციალიზმის დაძლევის მიმართულებით მუშაობდა. ამ მხრივ საინტერესოა კ. ლორთქიფანიძის წერილი თავისი ძმის – დათასადმი. „მე და შენ, – სწერდა იგი დათას, – არ ვიცით ის ორსული ლიტერატურა, როგორც ნიკოლაძემ ფრანციზული ლიტერატურა... განსაკუთრებით ბევრი წაუკითხავს მას სოციალური წიგნებიო“.

სენ-სიმონის მრეწველური სისტემა, შარლ ფურიეს – შრომის ორგანიზაციის ასოციაციური ფორმები, რობერტ ოუენის – კომუნიზმი შემოქმედებითად აითვისეს მეორე დასის“ იდეოლოგებმა. მათ უტოპისტ-სოციალისტთა სისტემების პირდაპირი გადმოტანა საქართველოს სინამდვილეში შეუძლებლად მიაჩნდათ. ამიტომ ეძიებდნენ ჩვენი ცხოვრებისათვის შესაბამის კონკრეტულ ფორმებს. ამ მიმართულებით მუშაობის დროს ისინი ძირითად მნიშვნელობას ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს ანიჭებდნენ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ „ახალი ახალგაზ-

რდობის "მესვეურები დასავლეთ ევროპის დიდ უტოპისტ-სოციალისტთა მოძღვრებას სრულიად არ თვლიდნენ საზოგადოებრივი აზრის საბოლოო მიღწევად. ნ. ნიკოლაძე პირდაპირ წერდა: მე უფრო დიდი რამე მეგონა ფრანცუზული სოციალიზმი და დიდი რამე კი არის, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამეა დარჩენილი შესამუშავებლად".

„მეორე დასის" იდეოლოგიას კარგად ჰქონდა, წარმოდგენილი ექსპლოატაციისაგან თავისუფალ კოლექტიურ შრომაზე დაფუძნებული წარმოების უპირატესობანი. მათ იცოდნენ, რომ „შეერთებულ შრომას ყოველთვის უფრო ბევრი ნაყოფი მოაქვს, ვიდრე განცალკევებულს". იგი აძლიერებს მწარმოებელთაშორის კავშირს, სპობს კონკურენციასა და ანარქიას, ქმნის შრომის საგნების შედარებით უდანაკარგოდ მოხმარებისა და წარმოების იარაღების მოუცდენელი გამოყენების შესაძლებლობას, ზრდის შრომის დისციპლინას, ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, აადვილებს შრომას. ასოციაციაში შემავალი ყველა წევრი ერთნაირად ისარგებლებს შრომის შედეგებით.

ნ. ნიკოლაძეს საჭიროდ მიაჩნდა უტოპისტ სოციალისტთა მოძღვრების შემდგომი განვითარება.

ძირითადი ნაწილი

„მეორედასელებს" არ აკმაყოფილებდათ, მაგალითად, პრუდონის თეორია. ამ თეორიიდან "ახალი ახალგაზრდობა" იზიარებდა პრუდონის მიერ კაპიტალისტური წყობილების კრიტიკას, ამასთანავე სრულიად მიზანშეუწონლად მიაჩნდა მისი გეგმები ახალი წყობილების დამყარების შესახებ.

პრუდონის თეორიის საფუძვლიანი კრიტიკა მოგვცა ნ. ნიკოლაძემ. იგი წერდა: „პრუდონის სისტემის შემოღება ვერ აღმოფხვრიდა საფრანგეთის საზოგადოებრივი წყობილების არსებით ბოროტებას – მეტოქეობის სრულსა და განუსაზღვრელ ბატონობას, იგი ვერ მოსპობდა იმ ბრძოლას, რომელიც წარმოებს არა მარტო სხვადასხვა ხელობისა და წოდებებს შორის, არამედ ცალკე პირებს შორისაც, რომელნიც ერთსა და იმავე ხელობას მისდევენ. ფრანგ მწარმოებელთა მდგომარეობა აუცილებლად გამოიწვევდა მათ შორის გამწვავებულ ბრძოლას, რომელიც თავის მხრივ მრეწველობის ურთულეს ანარქიად გადაიქცეოდა. პრუდონის სისტემა ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდა. საფრანგეთის მრეწველობის დღევანდელ პირობებში ჩვენ ვამჩნევთ შეურიგებელ ომს, ერთი მხრივ, კაპიტალისტებსა და, მეორე მხრივ, მუშებს შორის; შემდეგ ურთიერთბრძოლას თვით კაპიტალისტებს შორის და ასეთსავე მოვლენას მუშებს შორის; ამჟამად ერთი მხარე თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი, მაშინ როდესაც მეორე მხარე შიშველ-ტიტველი დაიარება. პრუდონისსისტემა ამ მდგომარეობას შესცვლიდა, იმ მხრივ, რომ ორივე მხარე შეიარაღებული აღმოჩნდებოდა, თუმცა არა ერთნაირად. მიუხედავად ამისა, ანარქია და მწარმოებელთა შორის ომი კვლავ იარსებებდა ძველებური სიმწვავით, თუ უფრო მეტად არა. პრუდონი გააფთრებით ებრძოდა მონათესავე ინტერესების ყოველგვარ შეერთებას, მწარმოებელთა გარკვეული რაოდენობის შეამხანაგებას საერთო წარმოებისა და ეკონომიური მოხმარების საფუძვლებზე. პრუდონი ისეთივე ულმობელობით ებრძოდა ამხანაგობებს, როგორც აჟიოტაჟსდა ერთნაირად შეფასებას აძლევდა როგორც ერთის, ისე მეორეს მომხრეებს"

პრუდონის მოძღვრება, რომელიც გააკრიტიკა ნ. ნიკოლაძემ, მოითხოვდა საზოგადოების ყველა წევრის გადაქცევას მესაკუთრედ. მას წამდა წვრილი საკუთრება, მსხვილი კერძო საკუთრება კი ქურდობად მიაჩნდა. ეს უკანასკნელი, მისი აზრით, სიმდიდრის ბოროტად გამოყენების გადამწყვეტ სახსარს წარმოადგენს. ამ ბოროტების მოსპობის საშუალებას იგი ხედავდა საკუთრების გათანასწორებაში, რომელიც წარმოების წვრილ მესაკუთრული ფორმების განვითარებაზე უნდა დაფუძნებულიყო.

პრუდონის წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი რეაქციულ ხასიათს ატარებდა იგი ეწინააღმდეგებოდა საკუთრების კოლექტიურ ფორმებს, რომლის გარეშე კონკურენციისა და ანარქიის მოსპობა შეუძლებელია. ეს კარგად დაინახა ნ. ნიკოლაძემ და ამიტომ უარყო პრუდონის სისტემა.

სიღატაკის მოსპობისა და საზოგადოების გამდიდრების მთავარ პირობად „ახალი ახალგაზრდობის" ჯგუფის იდეოლოგები თვლიდნენ ასოციაციებს, რომელნიც მათ შორის ორგანიზაციის ყველაზე მაღალ ფორმად მიაჩნდათ. „მხოლოდ ამგვარად შეიძლება კეთილდღეობის გავრცელება ხალხში. თუ არაამხანაგობით, არაფერი არ მოუხერხდება რა. მართალია, ასში-ორასში ერთი გამდიდრდება, მაგრამ გამდიდრდება ყოვლის უსამართლობით. მაგრამ საზოგადოებას რა? საზოგადოება მხოლოდ ღარიბდება, ზნეობით მცირდება.

„მეორე დასის" იდეოლოგიას კარგად ჰქონდა, წარმოდგენილი ექსპლოატაციისაგან თავისუფალ კოლექტიურ შრომაზე დაფუძნებული წარმოების უპირატესობანი. მათ იცოდნენ, რომ

„შეერთებულ შრომას ყოველთვის უფრო ბევრი ნაყიფი მოაქვს, ვიდრე განცალკევებულს“. იგი აძლიერებს მწარმოებელთაშორის კავშირს, სპობს კონკურენციასა და ანარქიას, ქმნის შრომის საგნების შედარებით უდანაკარგოდ მოხმარებისა და წარმოების იარაღების მოუცდენელი გამოყენების შესაძლებლობას, ზრდის შრომის დისციპლინას, ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, აადვილებს შრომას. ასოციაციაში შემავალი ყველა წევრი ერთნა-ირად ისარგებლებს შრომის შედეგებით. „არ მისცემს ნებას სხვას, რომელიც იმათში არ ურევია, რომ იმათი შრომით ჯიბე გაისუქონ”. რა საფუძველზე შეიძლება მოეწყოს ასოციაციები?

ასოციაციების მოწყობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შრომის ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც საზოგადოების „ყოველი წევრი განურჩევლად, უზრუნველყოფილი იქნება შრომის იარაღით“. მაგრამ „მუშა ფაბრიკანტად (კაპიტალისტად) გადაქცევას არ უნდა ცდილობდეს. ასეთ საქმეს ყოველთვის უნდა ვებრძოლოთ.

წარმოების ანარქიისა და კონკურენციის მოსპობის და ასოციაციის დაარსების საქმეში „მეორე დასის“ იდეოლოგები განსაკუთრებულ როლს ანიჭებდნენ სახელმწიფო ხელისუფლებას. ამ მხრივ ისინი დიდად იყვნენ დავალებულნი ლუი ბლანის თეორიული არსენალიდან.

ლუი ბლანი დიდ ყურადღებას აქცევდა სასულიერო ხელისუფლების ეკონომიკური როლს საკითხს. იგი სახელმწიფოს მიზნად უსახავდა „ყოველგვარი უბედურების მიზეზის“ თავისუფალი კონკურენციის მოსპობას და ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგებას შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების განვითარების გზით.

„ახალი ახალგაზრდობის, ჯგუფის იდეოლოგები სასტიკად ილაშქრებდნენ ქვეყნის მეურნეობრივ საქმეში სახელმწიფოს ჩაურევლობის ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ. ისინი მომხრენი იყვნენ ისეთი სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესებს დაიცავდა, და ალაგმავდა ბურჟუაზიის ძალმომრეობას.

ს. მესხი წერდა: სახელმწიფო წყობილება იმნაირად უნდა იყოს გამართული და მოწესრიგებული, რომ ერთს რომელიმე საზოგადოების ნაწილს ანუ წოდებას არ შეეძლოს მეორესი დაჩაგვრა და შევიწროვება.

„მეორე დასის“ იდეოლოგებს შეგნებული ჰქონდათ იმჟამინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის უცვლელობის პირობებში სოციალიზმის შენების შეუძლებლობა, ამიტომ ოცნებობდნენ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებაზე, რომლის მეშვეობით თანდათანობით უნდა განხორციელებულიყო არსებული ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნები.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ დიდ ილიასთან ერთად „მეორე დასის“ იდეოლოგებმა ჭეშმარიტად გონების თვალით განსაჯეს და ძირითადად სწორად გადაწყვიტეს 60-70-იანი წლების საქართველოში პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების საკითხი. ისინი კარგად გრძნობდნენ იმ პერიოდში ქართველი საზოგადოების წინაშე ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის საკითხის დასმა ერის დაღუპვის გზაზე დაყენებას რომ ნიშნავდა, ამიტომ ეპოქის შესაბამისად წინა პლანზე ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესისა და განათლების ამოცანები დააყენეს. მართალია, ამის მერეც, ჩვენი ერთის დიდებულმა მესვეურებმა ვერ შესცვალეს წინანდელი თვალსაზრისი, რომელიც სოციალური ყოფის ცვლილებებით მოძველდა, მაგრამ მათ ღრმად სჯეროდათ, რომ ადრე თუ გვიან რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის გამარჯვების გზით საქართველოც მიაღწევდა თავისუფლებას.

საზოგადოებრივი ბანკების ნიკოლაძისეული პროგრამა უტოპიურია და, რა თქმა უნდა, ობიექტურად მისი ძირითადი მხარეების პრაქტიკული რეალიზაცია იმ პერიოდში არც შეიძლებოდა, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ნ. ნიკოლაძემ საქართველოს სინამდვილეში პირველმა ასწია ასეთ სიმაღლეზე სახელმწიფოს ეკონომიკური როლის პრობლემა და მით მომავალ თაობას თეორიული საფუძველი შეუქმნა ამ საკითხით სავსებით მეცნიერული გადაწყვეტისათვის.

სოციალისტური თვალსაზრისი ედო საფუძვლად ნიკოლაძე-წერეთელ-მესხის ფინანსურ პოლიტიკას, რომელიც იდეურ სათავეს „სამუშაო ფულის“ უტოპიური თეორიებიდან იღებდა. რობერტ ოუენი იყო ამ თეორიის ფუძემდებელი. იგი ფიქრობდა შეექმნა. „მწარმოებელთა დიდი ნაციონალური კავშირი“ და „სამართლიანი გაცვლის ნაციონალური ბაზარი“, რომელთაც უნდა განეხორციელებინათ ღირებულების კანონის საფუძველზე გაცვლის უზრუნველყოფა.

ამავე თეორიას იზიარებდა ლუი ბლანი, რომელმაც მასში მცირეოდენი კორექტივი, უფრო სწორად, ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილება შეიტანა. თუ ბანკის მიერ გაცემულ ქვითარს, რომელშიც აღნიშნულია ჩაბარებული საქონლის დამზადებაზე დახარჯული სამუშაო დროის ოდენობა ინგლისელი სოციალისტები „სამუშაო ფულს“ უწოდებდნენ. ლუი ბლანი მას უბრალოდ

„ქაღალდის ფულს“ უწოდებდა. იგი ვერ ამჩნევდა განსხვავებას ასოციაციების პირობებში და კაპიტალიზმის პირობებში არსებული ქაღალდის ფულებს შორის.

მოკლედ, საზოგადოებრივი ბანკები უტოპისტებს მეურნეობის მოწესრიგების ორგანიზაციად მიაჩნდათ.

საზოგადოებრივ ბანკებს ასეთივე ამოცანას უსახავა „დროება. „კრებულის“ მეთაურები, რომელნიც ლუი ბლანის თეორიული არსენალიდან იყვნენ დავალებული მეთქი ვამბობდი ზემოთ, მართლაც, პატივისცემის გრძნობით სარგებლობდა „შრომის ორგანიზაციის“ ავტორი ახალი ახალგაზრდობის“ჯგუფში. 1883 წელს ჟურნალი: Отечественные записки-ის პირველ ნომერშინ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა სპეციალური სტატია «Луи Блан и Гамбетта», რომელშიაც ლუი ბლანი, საერთოდ დადებითადაა შეფასებელი. „მისი წიგნის – „Organisation travail“ დაუცხრომელმა პროპაგანდამ და ზღაპრულმა წარმატებებმა, – წერდა ნ. ნიკოლაძე, – „მას პოპულარობა მოუხვეჭა“.

თავის მხრივ ეს ფრანგი უტოპისტი დიდ შეფასებას აძლევდა „დეკადენტური პრესის“ ავტორს, რომელიც იმჟამინდელი ევროპის მოწინავე საზოგადოებრიობაში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. იგი იყო პირველი ქართველთაგანი, რომელმაცახალიევროპისუმაღლესსასწავლებელში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ლუი ბლანსა და ნ. ნიკოლაძეს წერილობრივი ურთიერთობაც ჰქონიათ ეთმანეთთან. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ბარათი, რომელიც1875 წლის 20 მაისს მოუწერია ლუი ბლანს ნ. ნიკოლაძისათვის:

„ბატონო, უდიდესი ყურადღებით წავიკითხე წიგნი, რომელიც თქვენ კეთილ ინებეთ, მომიტანეთ ამ დილას. არ ვიცი, იქნება საფრანგეთის პრესამ ერთობ მკაცრად ჩასთვალოს თქვენი მსჯელობა მის შესახებ; ერთი კი უეჭვოა, რომ თქვენი წიგნი ისეთი წიგნების რიცხვს ეკუთვნის, რომელიც უნდა წაიკითხოს და კარგს იზამს, რომ მოიფიქროს ყოველმა ფრანგმა ჟურნალისტმა.

მიიღეთ, ბატონო, ჩემი მადლობა და ნება მომეცით დაურთო მას ჩემი მოლოცვაც. Lanis Blanc”

დასკვნა

დასავლეთ ევროპის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების შეფასებისას„მეორე დასის“ იდეოლოგები მკაცრი და თანმიმდევრული რევოლუციონერ-დემოკრატები იყვნენ. ამის საშუალებას მათ ევროპული სინამდვილე აძლევედათ. იმჟამინდელი საქართველოს პირობები კი აუცილებლობით მოითხოვდა ეს სიმკაცრე რამდენადმე მშვიდობიანი ფორმით შეცვლილიყო და შეიცვალა კიდეც. მაგრამ, უმეცრება იქნებოდა გვეფიქრა, რომ,,ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფის მესვეურნი რევოლუციონერ-დემოკრატებიიყვნენ მხოლოდ ევროპაში, ხოლო საქართველოში კი – რეფორმისტები. ისინი ყველგან და ყველაფერში რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციაზე იდგნენ, მაგრამ იმდროინდელ ქართულ სინამდვილეში რევოლუციურ ღონისძიებათა სხვანაირი გატარების საშუალება არ იყო, ამიტომ, ცხადია, გასაკვირიც არ არის, რომ მათი სამოღვაწეო პროგრამა ზოგჯერ წინააღმდეგობრივ ხასიათს რომ ატარებდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკოლაძე ნ. თხზულებანი ტ.I. ტII. ტIII
2. თოდუა გ. „მეორე დასის“ იდეოლოგთა ეკონომიკური შეხედულებების წყაროები. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. ტ XI
3. გაფრინდაშვილი მ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები. ტ.ვ. თბილისი, 1998.
4. დონდძე ვ. ნ.ნიკოლაძის სოციოლოგიური და ისტორიული შეხედულებანი, თბილისი, 1987;
5. შათირიშვილი ზ., პაპავა ა. ევროპული იდეების ისტორია და ქართული კულტურა, თბილისი. 2008;
6. ბახტაძე ვ – ნ.ნიკოლაძის სოციალურ–ეკონომიკური შეხედულებანი, თბილისი.1958;
7. შუბითიძე ვ – ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზრი. თბილისი. 2013;
8. ჯავახიშვილი გ – ნ.ნიკოლაძის მიმოწერა რუს და უცხოელ საზოგადო მოღვაწეებთან, თბილისი, 1980;
9. ჯიჯეიშვილი ქ. ქართული დემიკრატიის სათავეებთან. თბილისი, 2002;

Niko Nikoladze and his views on European utopian socialism

Nazi Gogoladze, PhD student
Georgian Technical University

Summary

Proper reasoning on the formation of Niko Nikoladze's worldview requires consideration of the entire creative biography.

The article discusses the publicist's attitude towards the utopian socialism of Western Europe during the first emigration, when N. Nikoladze's areas of interest were finally defined, which was clearly revealed during the period of the so-called second settlement in our country.

The ideologues of the "Second Troupe" criticized not only capitalist violence and its apologists, but also critics of capitalism who had wrong or flawed views about the future society. They did not approve of Proudhon's theory, for example, because the New Youth, for example, shared Proudhon's critique of the capitalist establishment, and at the same time considered his plans to establish a new system completely unreasonable.

The ideologues of the "Second Troupe" were aware of the impossibility of building socialism in the conditions of the unchanging social life of the current Georgia, so they dreamed of gaining political power, through which the radical transformations of the existing economy were to be carried out.

If the ideologies of the "second troupe" were strict and consistent revolutionary democrats when assessing the socio-economic developments in Western Europe, they were allowed to do so by the European reality. The conditions in Georgia at that time demanded that this austerity be changed and even changed in a peaceful way.

Together with Ilia Chavchavadze, the ideologues of the "Second Squad" mostly correctly decided on the issue of gaining political power in Georgia in the 60s and 70s. They were well aware that raising the issue of the armed struggle against tsarism before the Georgian society at that time meant putting the nation on the path to extinction. Therefore, the tasks of technical-economic progress and education of the country were put in the foreground.

Keywords: "Second Troupe", publicist, utopian socialism, Western Europe, socialist literature, French socialism, competition, anarchy.

სამეცნიერო სფეროს პრობლემატიკა ქართულ ინტერნეტ მედიაში

ნინო კვიტაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სამეცნიერო კომუნიკაციას - სამეცნიერო აზრის, იდეის გავრცელებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. სამეცნიერო ნააზრევის გავრცელებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით, საშუალებითა და ფორმით ანუ სამეცნიერო სფეროს აქტიურ თანამშრომლობას საზოგადოებასთან, სამეცნიერო ცოდნის გავრცელებას მოსახლეობისთვის გასაგებ, პოპულარულ ენაზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. მეცნიერება და მასკომუნიკაცია - ეს მიმართულება ევროპაში მე-17 საუკუნეში გაჩნდა - სამეცნიერო წრეების, მეცნიერების ურთიერთობა როგორც ერთმანეთთან, ასევე ფართო საზოგადოებასთან.

თუმცა ჭეშმარიტად ღია მეცნიერებაზე გადასვლა ანუ სამეცნიერო საკითხების, პრობლემების ფართო გაშუქება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, საბოლოოდ მაინც XIX-XX საუკუნეებში დაიწყო; საზოგადოება მეტად დაინტერესდა მეცნიერებით, მისი პრობლემებით.

21-ე საუკენეში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, სისტემის, მათ შორის, მეცნიერებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კავშირი და ურთიერთგავლენა სულ უფრო მზარდია. სამეცნიერო სფეროს მედიაზირება, შეიძლება ითქვას, ორმხრივად სასარგებლო პროცესი აღმოჩნდა: მეცნიერება მივიდა დასკვნამდე, სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან ურთიერთობა მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, მეორე მხრივ, საზოგადოებას მეტი მოთხოვნა აქვს მედიის მეშვეობით მიიღოს ინფორმაცია, მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნა (პოპულარულ ენაზე) გარემომცველი სამყაროს შესახებ, რაც მას ყოველდღიურ პრობლემების თუ სამომავლო გამოწვევების დაძლევაში ეხმარება.

ამრიგად, მასმედიის საშუალებები მას სულ უფრო მეტ ყურადღებასა და ადგილს უთმობენ სამეცნიერო თემატიკის პუბლიკაციებს, ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც ქართული ჟურნალისტიკაა. მოცემულ სტატიაში განხილულია ქართული სამეცნიერო ჟურნალისტიკის, კერძოდ, სამეცნიერო თემატიკაზე მომუშავე ციფრუ-ლი მედიის, საინფორმაციო პორტალების ძირითადი ტენდენციები. ბოლო ხანს ინტერნეტ პორტალები „NEXT.On.ge", საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდის ველი „1tv. მეცნიერება" რეგულარულად აქვეყნებენ სხვადასხვა ჟანრის სამეცნიერო თემატიკის პუბლიკაციებს, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ციფრული ტექნოლოგიების, ციფრული მედიის გავლენა საზოგადოებაზე სულ უფრო მზარდია. ჟურნალისტური ჟანრებიდან უპირატესობა ენიჭება ინფორმაციას, შედარებით ნაკლებად ქვეყნდება ანალიტიკური სტატიები და ინტერვიუები.

რაც შეეხება მედიამასალის თემატიკას, უპირატესობა ენიჭება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ასევე აქტიურად შუქდება სოციალურ და მედიცინის, სიცოცხლის შემსწავლელ სამეცნიერო მიმართულებებში მიმდინარე პროცესები, რაც ამჟამინდელ საზოგადოებრივ-სოციალური ვითარებასთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია. ამასთან, პუბლიკაციები შედარებით ნაკლებად ასახავს საქართველოს სამეცნიერო სივრცეში მიმდი-ნარე მნიშვნელოვან მოვლენებს, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში განვითა-რებული მოვლენების კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: სამეცნიერო კომუნიკაცია, სამეცნიერო ჟურნალისტიკა, ინტერნეტ მედია, სამეცნიერო თემატიკა, მედიატექსტი.

შესავალი

რა არის მეცნიერება?- ამ საკითხზე თეორეტიკოსებს, მკვლევრებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ცნება "მეცნიერება" მოიცავს როგორც ახალი ცოდნისთვის საჭირო მოღვაწეობას, ისე მის შედეგს. მეცნიერების ამოცანაა სინამდვილის მოვლენებისა და პროცესების აღწერა, ახსნა და წინასწარმეტყველება, რაც ფართო გაგებით ნიშნავს სინამდვილის თეორიულ ახსნას მეცნიერების მიერ აღმოჩენილი კანონების საფუძველზე. ტერმინი მეცნიერება ლათინური სიტყვისგან „scientia" მომდინარეობს, რაც ცოდნას ნიშნავს. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი, არისტოტელე (ძვ.წ. 384–322), ერთმანეთისაგან განასხვავებდა პრაქტიკულ, თეორიულ და პოეტურ, შემოქმედებით მეცნიერებას. მისი აზრით, მეცნიერება მით უფრო ღირებულია, რაც მეტია მასში ჭეშმარიტების ანალიზი, განჭვრეტა.

თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მეცნიერებისა და მისი როლის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ყველა დროსა და ეპოქაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. „სამეცნიერო ცოდნის შექმნა-გავრცელების უძველეს ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ „ცხოვრების სახლი“ ძველ ეგვიპტეში - ერთგვარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ინტელექტუალური შრომის ნაყოფის, მეცნიერების მიღწევების შეკრება-გავრცელება ხდებოდა. ფარაონის ბრძანებით, ქურუმები, მენტორები ცნობილი 7-წლიანი შიმშილის, გვალვისა თუ სიცოცხლის მდინარის, ნილოსის დაშრობის მიზეზებს სწორედ „ცხოვრების სახლის“ ბიბლიოთეკაში იკვლევდნენ, რომ მერე საზოგადოებისთვის მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი ემცნოთ” [1, 5].

მეცნიერება და მასკომუნიკაცია - ეს მიმართულება ევროპაში მე-17 საუკუნეში გაჩნდა - სამეცნიერო წრეების, მეცნიერების ურთიერთობა როგორც ერთმანეთთან, ასევე ფართო საზოგადოებასთან. შეიქმნა სხვადასხვა გაერთიანება- ე.წ. წერილების რესპუბლიკა, ცნობილი ფრანგი მოაზროვნის, პიერ ბეილის თავკაცობით, მოგვიანებით - „მეცნიერთა რესპუბლიკა“ ფრანგი მეცნიერის, ფილოსოფოსისა და ფიზიკოსის მარენ მერსენის ხელმძღვანელობით, რომელიც სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელების, გამოცდილების გაზიარების ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო და 80-მდე კორესპონდენტი ჰყავდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

სამეცნიერო ჟურნალისტიკა ჟურნალისტიკის სფეროა, რომელშიც მასალის შესაქმნელად, საინფორმაციო საბაბად სამეცნიერო ინფორმაცია, კვლევა გამოიყენება. სამეცნიერო ჟურნალისტიკის უმთავრესი ამოცანაა, რომ სპეციფიკური, ხშირად ტერმინოლოგიით გადატვირთული სამეცნიერო ინფორმაცია, ტექსტი სამეცნიერო-ტექნიკური ენისგან განსხვავებულ, პოპულარულ ენაზე გადმოგვცეს და მკითხველისა და მსმენელისთვის ადვილად აღქმადი გახადოს, რათა მასმედიის საშუალო მომხმარებელმა შეძლოს მისი გაანალიზება - შეფასება. საქმიანობის სფეროს თავისებურება და მაღალი სტანდარტი მასზე მომუშავე ჟურნალისტისაგან ფართო განათლებას, ერუდიციას და ძირითადი სამეცნიერო დისციპლინების, მიმართულებების გარკვეულ, თუნდაც საბაზისო ცოდნას ითხოვს.

თანამედროვე სამეცნიერო ჟურნალისტიკა სათავეს იღებს ყოველთვიური ჟურნალის „დიგდარშანის“ გამოცემით, რომლის პირველი ნომერი 1818 წელს დაიბეჭდა ბენგალიაში, ინდოეთში, რომელშიც ქვეყნდებოდა სტატიები სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს მნიშვნელოვან საკითხებზე. ასევე, მასმედიის ისტორიაში სამეცნიერო კორესპონდენტის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი პირველი სტატია იყო ჟურნალ „თაიმსში“ 1871 წლის 18 იანვარს გამოქვეყნებული უილიამ ქრუკსის სტატია „შტორმი ბისკეის ყურეში“. თუმცა, რეალურად, 1928 წელს ჯეიმს ქროუთერის „გარდიანის“ სამეცნიერო კორესპონდენტად დანიშვნის შემდეგ დაიწყო სამეცნიერო ჟურნალისტიკის ისტორია. „მეცნიერება აფასებს დეტალებს, სიზუსტეს, ტექნიკას, ხანგამძლეობას, ფაქტებს და ციფრებს, ობიექტურ სინამდვილეს, ჟურნალისტიკაში კი მთავარია სისხარტე, ლაკონიზმი, პოპულარული ენა, მიახლოება, პიროვნული ფაქტორი, ისტორიები, სიტყვები და იმ სიმართლის თქმა, რომელიც კონკრეტული დროის შესაბამისია. ამიტომ ერთგვარი დაძაბულობა გარდაუვალია, -ამბობს სალი კუპერი, ბი-ბი-სის რადიო 4-ის ჟურნალისტი.[2].

რუსი მეცნიერი, ბორის სლუცკი მიიჩნევს, რომ მასმედია არასაკმარისად აქტიური და კომპეტენტურია სამეცნიერო სფეროს პრობლემატიკის განხილვისას: „ამ თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტები, ძირითადად, შემდეგი სახის პრობლემათა მთელ ჯაჭვს აწყდებიან, რომლებიც, პირობითად, ასე შეიძლება დავახარისხოთ: საკუთრივ სამეცნიერო პრობლემები; მეცნიერების მართვის, მენეჯმენტისა და ფინანსირების საკითხები; მეცნიერების პოპულარიზაციის მნიშვნელობა; სამეცნიერო ეთიკის საკითხები, რაც განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან საბაზ-რო ეკონომიკის პირობებში მეცნიერული აზრი ძვირადღირებულ პროდუქტად იქცა, ასევე, სამართლებრივი ასპექტები და საინფორმაციო უსაფრთხოება“. [3].

ძირითადი ნაწილი

სამეცნიერო თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტისთვის, მეცნიერების სფეროს სპეციფიკის, სირთულის გამო, განსაკუთრებით აქტუალურია კითხვა: ვისთვის და რატომ ვწერთ სტატიას ამა თუ იმ სამეცნიერო თემაზე, ვის დაინტერესებს საკითხი? ექნება თუ არა მას პრაქტიკული სარგებელი? სამეცნიერო ჟურნალისტიკა იმით განსხვავდება თუნდაც პოლიტიკური თემაზე შექმნილი პუბლიკაციისგან, რომ ამ სფეროში არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება. ვისთვის არის ხელსაყრელი მეცნიერების პოპულარიზაცია? თვითონ მეცნიერებისთვის-მეცნიერების მნიშვნელობის გააზრება საზოგადოების მიერ; სხვადასხვა

სფეროს მეცნიერებს შორის ურთიერთობის გასააქტიურებლად, მითუმეტეს, დღეს, როცა ასე გახშირდა ინტერდისციპლინური კვლევები; ასევე, მეცნიერებაში ახალი კადრების მოსაზიდად. სახელმწიფოს-ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური პროგრესისთვის, სახელისუფლო ვერტიკალის სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილების მიღებისისას მეტი ადეკვატურობისთვის, საზოგადოებრივი აზრის უკეთ გასათვალისწინებლად. ასევე დიდი მნიშვნელობა მას თითოეული ადამიანის ფუნდამენტური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თუ როგორ სამყაროში ცხოვრობს, მოქალაქეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განსავითარებლად, რაც ყველა საზოგადოების განვითარების მყარი საფუძველია.

ჩვენი მიზანია სამეცნიერო კომუნიკაციის, სამეცნიერო ჟურნალისტიკის ევოლუციისა და მისი მნიშვნელობის ისტორიულ-კულტუროლოგიურ კონტექსტში განხილვა; თანამედროვე ქართული სამეცნიერო ჟურნალისტიკის ძირითადი ტენდენციების, თემატური და ჟანრობრივი პრიორიტეტების კვლევა; იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც აფერხებს ჟურნალისტიკის ამ სფეროს განვითარებას და საზოგადოების მიერ მეცნიერების როლისა და დანიშნულების შემეცნება-გაანალიზებას.

აღსანიშნავია, რომ ბოლოხანს, ქართული მასმედია, მათ შორის, ინტერნეტ პორტალები, სააგენტოები მეტ ყურადღებას უთმობენ, რეგულარულად აქვეყნებენ სხვადასხვა ჟანრის სამეცნიერო თემატიკის პუბლიკაციებს. ამიტომ მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რამდენად უწყობს ხელს ქართული ონლაინ მედია მეცნიერების როლისა და მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, უთმობს თუ არა სათანადო ყურადღებას ამ სფეროს, რამდენად სიღრმისეულად ხდება პრობლემების გაშუქება, მიზნის მისაღწევად, რა მეთოდები გამოიყენება და როგორია უკუკავშირი; ჟურნალისტიკის რომელ ჟანრებს ანიჭებენ უპირატესობას ამ თემატიკაზე მუშაობისას ციფრული მასმედიის წარმომადგენლები; უმეტესწილად, რა წყაროებს ეყრდობიან.

რაც შეეხება სამეცნიერო ჟურნალისტიკის მახასიათებლებს:

საკვლევი მასალაა ქართულ ინტერნეტ სივრცეში, კერძოდ, საინფორმაციო პორტალ „NEXT. On.ge“-სა და საქართველოს პირველი არხის, საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდის ველში „1tv. მეცნიერება“ 2 წლის (2020-21 წლებში) განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო თემატიკის პუბლიკაციები, მედიატექსტები.

განვიხილოთ ამ ინტერნეტ პორტალზე „NEXT. On.ge“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი პუბლიკაცია, რომელიც, ჩვენი თვალსაზრისით, კარგად გამოხატავს არსებულ ტენდენციებს. დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო თემატიკის პუბლიკაციის მთავარი თემის, საინფორმაციო საბაბის

სამეცნიერო ჟურნალისტიკის მახასიათებლებია, კრიტერიუმებია:



შერჩევას, ასევე, თხრობის სტილს. 2021 წლის 8 აპრილს გამოქვეყნებული სტატიის „ერეკლე შიშნიაშვილი Huawei-ის მანქანური დასწავლის მკვლევარი გახდა“ მთავარი თემაა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის წარმატების ისტორია, მის მიერ მეცნიერებასა და ტექნოლოგიების სფეროში განვლილი გზა, ის, თუ როგორ მოხვდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (საქართველო) კურსდამთავრებული გერმანიაში, ტრანსნაციონალური კომპანიის, Huawei-ის ოფისში; მან სწავლა მიუნხენის უნივერსიტეტში განაგრძო, სპეციალობით რობოტიკის ინჟინერია, ტრანსნაციონალურ კომპანიაში კი მანქანური დასწავლის მკვლევრად მუშაობს... რაც შეეხება სტატიის არქიტექტონიკას, ავტორის თხრობას მეტ დინამიკას სძენს ჩანართების სახით მოცემული მეცნიერის კომენტარები პირველ პირში, რომელშიც საკუთარ გამოცდილებაზე და კომპანიის მუშაობის სტილზე საუბრობს: „გარშემო ყველა მზად არის, კითხვაზე გიპასუხოს, უფროსებისგან არ იგრძნობა ამპარტავნული დამოკიდებულება, პირიქით, ძალიან სასიამოვნოა მათთან მუშაობა“. [4].

არცთუ დიდ სტატიაში საკმაოდ ამომწურავად და საინტერესოდ არის მოთხრობილი მეცნიერის როგორც წარსული, ისე ამჟამინდელი საქმიანობის, მეცნიერების და ტექნოლოგიების სამყაროს თანამედროვე ტენდენციების შესახებ. პუბლიკაცია კარგად ასახავს სამეცნიერო ჟურნალისტიკის ძირითად ტენდენციებს თემატიკის თვალსაზრისით - სტატიაში მოთხრობილია ახალგაზრდა წარმატებული ქართველი მეცნიერის შესახებ, რომელიც უცხოეთში აგრძელებს სამეცნიერო კარიერას, თუმცა პუბლიკაციაში არ არის საუბარი იმ სირთულეების შესახებ, რომელიც, უმეტესწილად თან სდევს უცხო ქვეყანაში თვითდამკვიდრებას; ასევე, იკითხება ქვეტექსტი, რომ დაჩქარებული გლობალიზაციის პირობებში მეცნიერების ინტერნაციონალიზაციას და შრომით მიგრაციას ალტერნატივა არა აქვს; ყურადღება ნაკლებადაა გამახვილებული იმ ფაქტორზე, რომ „ტვინების გადინებამ“, მეცნიერთა და გამომგონებელთა მასობრივმა მიგრაციამ ქვეყნისთვის, მისი ეკონომიკისთვის შესაძლოა, საზიანო შედეგი გამოიღოს. ასეთი გამოწვევის წინაშე კი საქართველო, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები აშკარად დგანან.

დასკვნა

რაც შეეხება სამეცნიერო თემატიკის მედიაპროდუქტის კვლევა-ანალიზის შედეგად გამოკვეთილ ტენდენციებს:

- მედიატექსტები არის ჰიპერტექსტუალური ანუ შესაძლებელია სხვადასხვა პუბლიკაციას შორის დამაკავშირებელი სისტემის შექმნა, მკითხველს ეძლევა საშუალება მოიძიოს ამავე თემატიკაზე შექმნილი სხვა სტატიები, გამოყოფილია საკვანძო სიტყვები, მეცნიერული ტერმინოლოგია, რომლის შესახებაც ინფორმაციის მოძიება ხელმისაწვდომია, რაც შეუძლებელია ბეჭდურ თუ ტელემედიაში;
- სამეცნიერო თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევიან ის ქართველი მეცნიერები, რომლებიც უცხოეთის კვლევით ცენტრებში საქმიანობენ და მაღალი აკადემიური მიღწევებით გამოირჩებიან, ამ თემატიკის სტატიების მთავარი ღერძია ამ მეცნიერის წარმატების ისტორია, „ფორმულა“, თუმცა ნაკლები ყურადღება ექცევა ამ მოვლენის თანამდევ პროცესებს, მის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ასპექტებს;
- სამეცნიერო თემატიკის მედიატექსტების დიდი ნაწილი თარგმნილია ან უცხოურ წყაროებზეა დაფუძნებული;
- ნებისმიერი მედიატექსტის, მათ შორის, სამეცნიერო თემატიკის, მიზანია აუდიტორიის ინფორმირება, არგუმენტირება და მკითხველზე ზემოქმედება. ჟურნალისტის მიერ შერჩეული თემა ერთდროულად მნიშვნელოვანი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ღირებულების უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. David, R. Religion and Magic in Ancient Egypt. — Penguin Books, 2003, p. 5.
2. Angler, Martin W. Science Journalism:An Introduction. London: Routledge, 2017
3. Слуцкий, Б.М., Научная Проблематика в Журналистике, журнал Вестник ТГПИ, 2010.
4. „ერეკლე შიშნიაშვილი Huawei-ის მანქანური დასწავლის მკვლევარი გახდა-როგორია კომპანიაში მუშაობა“, ინტერნეტ პორტალი Next.on.ge, 2021, 8 აპრილი
5. http://go.on.ge/26e9 უკანასკნელად გადამოწმებულია 20.12.2021.

Problems of Scientific Field in the Georgian Internet Media

Nino Kvitashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The Science communication - the spreading of scientific concept, idea has a centuries-old history. Dissemination of the scientific concept by communication channels, means and forms or active cooperation among society and scientific field, spreading scientific knowledge with comprehensible and popular language to population was and is the matter of great importance.

Science and Mass Communication - current direction emerged in Europe in the 17th century - the relationship of scientific circles, scientists with each other and with the general public. However, the transition to a truly open science, or the widespread coverage of scientific issues and problems through the mass media, finally began at least in the XIX –XX centuries. The society became curious with science and its problems.

In the 21st century, the connection and interaction between different areas of public life, systems, including science and the media are evolving. The mediatization of the scientific field, therefore, turned out to be a mutually beneficial process. Science concluded that relationships with other public institutions are vital for itself. On the other hand, the public has a greater demand for information through the media, based on a scientific knowledge (in popular language) about surrounding world, that helps to overcame daily problems or future challenges. Hence, the media outlets are paying more and more attention to the publications on scientific topics, in this regard, the Georgian journalism is no exception.

Aforementioned article discusses the main trends of the Georgian science journalism, in particular, digital media, information portals that work on scientific topics.

Recently, the internet portal "NEXT.On.ge",section of the Public Broadcaster's website "1tv. Science" regularly publishes the publications on various fields of science, that represents a very important fact, because the impact of digital technologies, digital media on society is growing.

Among Journalistic genres information is a matter of priority, analytical articles and interviews are least published. As for the topic of media materials, natural sciences constitutes to be superior, also, social and medical, life sciences, that is causally related to the current social situations are actively covered. However, the publications do not adequately reflect the current important developments in the Georgian research area, including the context of advancement in the international research field.

Keywords: Science Communication, Science Journalism, Internet Media, Scientific Topics, Media Text

თანამედროვე პოლიტიკური ჟურნალისტიკის ზნეობრივ-ეთიკური პრინციპები

მაია კონიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ვაჟა პაპასკირი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ზნეობა იმ ნორმებისა და წესების ერთობლიობაა, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაში განსაზღვრავს ადამიანთა ყოფაქცევასა და ურთიერთდამოკიდებულებას. ეთიკის ფუნქცია კი ადამიანთა ქცევის ნორმატიზებაა, ამასთანავე, ქცევის რეგულირება საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარ სფეროში.

რა ზნეობრივ პრინციპებს ეყრდნობა ჩვენი ჟურნალისტიკა...რა ზნეობრივი პოსტულატები განსაზღვრავენ მათ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. რას მოითხოვს საზოგადოება ჟურნალისტებისგან? რა არის ის მთავარი, რომლის დავიწყებაც არ შეიძლება ჟურნალისტური საქმიანობისას? ეს არის მოვალეობა, პასუხისმგებლობა ღვთის, ქვეყნის და, საერთოდ, ადამიანობის წინაშე. ამგვარი პასუხისმგებლობა კი ტვირთია, რომლის ტარებაც მხოლოდ ღირსეულთ ძალუძთ. ქართველებს კი ოდითგანვე ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი რწმენა იმისა, რომ ,,სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა". კაცი სიკვდილზე ფიქრისასაც კი ცდილობს კვალი დატოვოს: ,,მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონებიო". ,,მოვეგონები-თ" -რუსთაველი გამოკვეთს სახელის საოცარ ძალას, იგი თითქოს თვითონვე იწვევს ხსოვნას მის სახსენებლად. თაობიდან თაობას გადაეცემა ამგვარი ღირსეული სახელები და ერთან ერთად იარსებებს, როგორც მისი ვინაობისა და რაობის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ატრიბუტი. ამასთანავე, აუცილებელია მიუკერძოებლის, მაღალზნეობრიობისა და პრინციპულობის პრესტიჟის დამკვიდრება ჟურნალისტიკაში.

ყველაზე ეთიკურ ნორმად შეიძლება ,,ოქროს წესი" ჩაითვალოს. რა არის ,,ოქროს წესი?!" ალბათ ის, რასაც იესო ასწავლიდა: ,,როგორც თქვენ გინდათ, რომ მოგექცნენ სხვები, თქვენც ისევე მოექეცით მათ" (მათე 7:12). ზნეობის უმაღლეს საზომად კი ისევ კაცთმოყვარეობა რჩება, თუმცა არსებობს ისეთი ქმედებები, რომლებიც შესაძლოა ერთი რომელიმე საზოგადოებისათვის მიუღებელი იყოს, როგორც უზნეობა და ამორალურობა, ხოლო მეორესათვის სრულიად ზნეობრივი და მისაღები.

ადამიანმა ყველაფერი შეიძლება გაწიროს საზოგადოებისათვის, გარდა საკუთარი სინდისისა და ზნეობრივი მრწამსისა.

საკვანძო სიტყვები: ზნეობა, ეთიკა, ინფორმაცია, პრესა, სტანდარტი, ინტერნეტი, სოციალური მედია.

შესავალი

ჟურნალისტიკა იმ პრინციპების ერთგული უნდა იყოს, რომელიც ზნეობასა და ეთიკაზე გადის.

ჟურნალისტი ვალდებულია გააცნობიეროს რომ მოვალეობა და პასუხისმგებლობა მოქალაქეთა მიმართ უფრო მაღლა დგას, ვიდრე პროფესიული ეგოიზმი (თუ ამას ,,პროფესიულ ეგოიზმს" ვუწოდებთ). ჟურნალისტიკის დანიშნულება და არსი შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციის მუდმივი გადამოწმებაა, რადგან გადაუმოწმებელი ინფორმაციის გახმაურებით შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს ვინმეს. ჟურნალისტმა ინფორმაცია უნდა მოიძიოს და მოიპოვოს იმ საკითხის შესახებ, რომელიც ნამდვილად მოხდა ან ხდება, რადგან ინფორმაციის მიწოდებას და გავრცელებას თავისი პრინციპები გააჩნია. ჟურნალისტი კეთილსინდისიერი უნდა იყოს. არასოდეს არ უნდა დაამატოს მოპოვებულ ინფორმაციას ის, რაც არ მომხდარა და შესაძლოა მისი ფანტაზიის ნაყოფი აღმოჩნდეს. არასოდეს არ უნდა თქვას ტყუილი. მისი ინფორმაცია უნდა იყოს გამჭვირვალე და უნდა ჰქონდეს გადმოცემის საკუთარი, რაღაც განსხვავებული და ორიგინალური სტილი. ჟურნალისტმა არასდროს არ უნდა მოატყუოს რესპონდენტი და ინფორმაციის მოსაპოვებლად არ უნდა მიმართოს მიუღებელ და უზნეო მეთოდს. ჟურნალისტმა პირველ რიგში, თავისი თავი უნდა წარუდგინოს ,,წყაროს". ჟურნალისტი უნდა შეეცადოს საინტერესოდ, დამაჯერებლად, სრულყოფილად, ამომწურავად და

ადეკვატურად გააშუქოს ნებისმიერი ფაქტი, რათა მკითხველს არ დარჩეს არარეალურის განცდა.

ძირითადი ნაწილი

ლ. გეჯაშვილი წერს: ,,ჟურნალისტმა უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისაც აშუქებს. ეს ეხება იმ ჟურნალისტებს, ვინც საკუთარ მოსაზრებებს, კრიტიკასა და კომენტარებს აქვეყნებს. ამ კონტექსტში, კერძოდ, ბლოგერები შეგვიძლია მოვიხსენიოთ, მაგრამ ბლოგერები არამარტო საკუთარ ნააზრევს წერენ, არამედ დიდი ინტერესითა და მონდომებით ასახავენ ქვეყანაში მიმდინარე ყველა მოვლენას. იქნება ეს პოლიტიკური, კულტურული თუ სოციალური. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ყოველ-გვარი დაკვეთისა და პასუხისმგებლობისგან თავი-სუფლები არიან. აქედან გამომდინარე, ძნელია ვაიძულოთ, ჟურნალისტიკის სტანდარტებს დაე-მორჩილონ. ამ შემთხვევაში მთავარია, არ გას-ცდნენ კანონის ფარგლებს“. და იქვე განაგრძობს: ,,ვინც მედიასა თუ პრესაში მუშაობს, უნდა აცნობიერებდეს პირად ვალდებულებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი, რომელიც არ ემთხვევა ან სულაც ეწინააღმდეგება დამქირავებლის, რედაქტორისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლის აზრს ,როცა ამას სამართლიანობა მოითხოვს“.[1]

,,სამოქალაქო განათლების ლექსიკონი“ ზნეობასა და ეთიკაზე წერს: ზნეობა:

,,1. იმ წესების, ნორმების ერთობლიობა, რომ-ლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა ურთიერთდა-მოკიდებულებას და ყოფა-ქცევას ამა თუ იმ საზო-გადოებაში;

2. ამ ნორმების შესაბამისი ქცევა და ადამიანის სულიერი თვისებები.[2]

ვიკიპედია: ,,**ეთიკა** (ბერძ. ἠθικόν,ძვ. ბერძნ. ἦθος-დან - **ეთნოსი** ზნე“ - არის ფილოსოფიური მეცნი-ერება ზნეობის, მორალის შესახებ. ტერმინი „ეთიკა“ პირველად იხმარა არისტოტელემ, რომელმაც ზნე-ობის საკითხებს მიუძღვნა სპეციალური შრომა - „ნიკომაქეს ეთიკა“. უფრო ადრე ეთიკის საკითხებზე ისაუბრა პლატონმა. მანვე შემოგვინახა არსებითი ცნობები სოკრატეს ეთიკურ შეხედულებებზე. სწო-რედ სოკრატეს მიიჩნევენ პირველ ფილოსოფოსად, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ზნეობის პრობლემების დასმასა და გადაწყვეტას“.

ზნეობაზე საუბრისას საინტერესოა იმანუელ კანტის ნაშრომი: „ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძ-ნება“, სადაც ის გარკვევით აყალიბებს შემდგომ მოსაზრებას:

კეთილი ნება ერთადერთი რამაა, რაც ყოველ-გვარი შეზღუდვის გარეშე ჩაითვლება კეთილად. სხვა ტალანტები და ბედნიერებაც მხოლოდ მაშინ უკავშირდება სიკეთეს, როცა კეთილი ნება ამოძრავებს. კეთილი ნება თავისი სიკეთით იმიტომ დგას ყველაფერზე მაღლა, რომ მისი სიკეთე შედეგში არ მდგომარეობს, ის თავისთავადია. შეიძლება კეთილი ნების აღსრულებას ხელი შეუშალოს გარეფაქტორებმა, მაგრამ უშედეგობით კეთილ ნებას არაფერი აკლდება.[3]

იმანუელ კანტი განაგრძობს: ბედნიერება რომ იყოს ადამიანის უდიდესი სიკეთე, ბუნება არ დაუშვებდა, რომ გონება პრაქტიკული გამოყენე-ბისკენაც ყოფილიყო მიმართული და ამტკიცებს, რომ ადამიანის გონების მთავარი დანიშნულება ზნეობრივი ქმედებაა და არა რაიმე სახის ბედ-ნიერება. გონების ჭეშმარიტი დანიშნულებაა წარმოშვას ნება არა როგორც საშუალება რომელიღაც მიზნის მისაღწევად, არამედ - კეთილი თავისთავად. ასეთი ნება არაა ერთადერთი სიკეთე, მაგრამ ის უმაღლესი სიკეთეა (და პირობა სხვა სიკეთეებისა). კეთილის ქმნა ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, მოვალეობაა. მოვალეობა უნდა გაიმიჯნოს პირადი გამორჩენისგანაც და ეგოისტური მიდრეკილე-ბებისგანაც (თუ დავუშვებთ, რომ ვაჭარი ყველა კლიენტს თანაბრად, სამართლიანად ემსახურება, შეიძლება მისი მამოძრავებელი პირადი გამორჩენა იყოს და არა კეთილი ნება). მორალური ღირებუ-ლება კეთილის ქმნას მარტო მაშინ აქვს, როცა პიროვნება საპასუხოდ არაფერს ითხოვს. უმაღლესი ზნეობრიობაა მოვალეობის საფუძველზე ჩადენი-ლი სიკეთე. ყველა ადამიანური მიდრეკილება ჯამდება და ბედნიერების იდეაში ერთიანდება. ერთ მიდრეკილებას შეუძლია დასძლიოს სუსტი იდეა (მაგალითად, დაავადებულ ადამიანს შეიძლება რაღაცის ჭამა ეკრძალებოდეს, მაგრამ მაინც ჭამოს, რადგან იმ წამის ბედნიერება უფრო მეტად უღირს, ვიდრე მომავალში გამოჯანმრთელება).

მოვალეობის გამო ჩადენილი ქმედების ზნე-ობრივი ღირებულება მდგომარეობს არა მიზანში, არამედ მაქსიმაში (**მაქსიმა** იგივე ნების სუბიექტური პრინციპია). თუ მინდა ვიყო ზნეობრივი, ყოველთვის უნდა მოვიქცე ისე, რომ შემეძლოს ვისურვო, ჩემი მაქსიმა საყოველთაო კანონად იქცეს!

ჟურნალისტის ნება იმყოფება გზაგასაყარზე და მოქცეულია თავის აპრიორულ პრინციპსა (ფორმალურია) და თავის მამოძრავებელ ზამბარას შორის (მატერიალურია).

[1] გაზეთი ,,ტაბულა“, 11.01.2015

[2] https://elibrary.sou.edu.ge/ge/books/samoqalaqo-ganatlebis-leqsikoni/712.

[3] იმანუელ კანტი. ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება. 1785 წ.

ნებაც გრძნობაა, ოღონდ გონებისეული ცნების მეშვეობით თვითწარმოებული. ჩვენი გონება კანონების მიხედვით რაღაც „პატერნებს“ ქმნის და რომელი ობიექტიც შეესაბამება მას, იმას ვცემთ პატივს. ზნეობის უმაღლესი ცნების არსებობა წინ უსწრებს კონკრეტული ზნეობრიობის გამოვლინებას. მაგ.: მაცხოვარიც კი ჯერ ჩვენი ზნეობრივი სრულყოფის იდეალს უნდა შევადაროთ, სანამ მას ასეთად ვაღიარებდეთ.

ყველა ზნეობრივ ცნებას სათავე აპრიორი აქვს გონებაში. თუ ნება გონებას მთლიანად არ შეესაბამება (როგორც ადამიანის შემთხვევაში), მაშინ ქმედებები, რომლებსაც ობიექტურად აუცილებელ ქმედებებად ვიღებთ, სუბიექტური თვალსაზრისით, შემთხვევითი იქნება და ამგვარი ნების განსაზღვრა ობიექტური კანონების შესაბამისად იძულებას წარმოადგენს. დავუშვათ, თუ მე რაღაც მინდა, მაგრამ ვერ ვაკეთებ, რადგან გონება მეუბნება, რომ ეს არაა ზნეობრივი საქციელი, ჩემი სუბიექტური თვალსაზრისი ითრგუნება და გონება, რომელიც ობიექტურია, მაიძულებს ზნეობრივი კანონების მიხედვით მოქმედებას), ობიექტური პრინციპის წარმოდგენას, რამდენადაც იგი ნებისათვის მაიძულებელია, მცნება ჰქვია, ხოლო მცნების ფორმულას იმპერატივი (ბრძანება) ეწოდება-აქ ნათლად ჩანს კანტის შეხედულება ზნეობაზე.

როგორია ნდობის ფაქტორი? ,,რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი ია ანთიძე წერს: ,,ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გარდა, გაყიდვის ისეთი დაბალი მაჩვენებელი, როგორიც საქართველოშია, აშკარად მიუთითებს საზოგადოების მხრიდან პრესის მიმართ უნდობლობაზე. ამის ერთი მთავარი მიზეზი კი, ალბათ ისაა, რომ არ არსებობს პრესის მხრიდან თვითრეგულაციის მექანიზმები; ესე იგი, არ არსებობს ეთიკური ჟურნალიზმის საფუძვლები. შესაბამისად, პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ხარისხი მხოლოდ ცალკეული ჟურნალისტის თუ რედაქტორის სინდისზეა დამოკიდებული. არადა, პრესის მიმართ საზოგადოების ნდობას მხოლოდ სტანდარტის დაცვა იწვევს, ისიც, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ჩვენში კი სტანდარტების პატივისმცემელი გაზეთები ხანგრძლივად საერთოდ ვერ მკვიდრდებიან“.[1]

ქართულ ბეჭდურ მედიაში წლებია შუქდება ქართულ-კავკასიური ურთიერთობები. ბუნებრივია, ჩნდება კითხვები: როგორ შუქდება? რამდენად დიდია ქართული მედიის როლი? ნეგატიური თუ პოზიტიური? არსებობს თუ არა პრესის მხრიდან თვითრეგულაციის მექანიზმები? როგორია ბეჭდური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ხარისხი? საიდან მიიღო ინფორმაცია: დოკუმენტური მასალიდან თუ პირადი გამოძიებიდან? არის თუ არა სერიოზულ პრესაზე საზოგადოებრივი დაკვეთა და რას ითხოვს საზოგადოება?ენდობა თუ არა რიგითი მკითხველი პრესას და რისთვის და რა მიზნით კითხულობს გაზეთებს? არის თუ არა ზნეობრივი და ეთიკური პრინციპები დაცული?

დასკვნა

ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოებისთვის პატიოსნება და კეთილსინდისიერება უმთავრეს ეთიკურ ფასეულობად ითვლება. ამას ემატება ნდობა და ისევ ჩნდება კითხვები: რა არის აუცილებელი მკითხველთა მოსაზიდად? როგორ არის სათქმელი გადმოცემული: სადად, ნათლად და მკაფიოდ თუ ბუნდოვნად და ცინიკურად? ერთმანეთის გვერდით დგომა და ერთმანეთის გატანა კი ვიცით? საზოგადოებისათვის არასწორად მიწოდებულ ინფორმაციას ექნება თუ არა უარყოფითი ეფექტი? ის, რაც ერთი მხარისათვის ობიექტურია, შეიძლება თუ არა მეორე მხარისათვის კონფლიქტის მიზეზად იქცეს? შეგვიძლია თუ არა ნეიტრალური პოზიციის დაცვა? როგორია საზოგადოებრივი დაკვეთა სერიოზულ პრესაზე? ჩვეულებრივი რიგითი მკითხველი პრესას ენდობა? რისთვის, რა მიზნით კითხულობს გაზეთებს? გასართობად თუ ინფორმაციის გასაცნობად? რა განაპირობებს საზოგადოების ნდობას ბეჭდური მედიის მიმართ? შესაძლებელია ვივარაუდოთ სტანდარტის დაცვის აუცილებლობა, მაგრამ აქვე გასარკვევია: ქართული ბეჭდური მედია იცავს თუ არა სტანდარტს? მიჯნავს თუ არა ერთმანეთისგან ფაქტსა და კომენტარს? არის თუ არა წერის კულტურის დეფიციტი საგაზეთო სტატიებში? არის თუ არა უგულებელყოფილი ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება კომენტარის გაკეთება ბოლომდე დაუდგენელ ფაქტზე? და ბოლოსდაბოლოს, რა არის სტანდარტი? ინტერნეტში ინგლ.: standart ასეა განმარტებული:

კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებული და სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან მახასიათებლებს სხვადასხვა საქმიანობისათვის/მოქმედებისათვის ან მისი შედეგებისათვის გარკვეულ სფეროში ოპტიმიზაციის მიზნით.[2]

[1] ,,რადიო თავისუფლება“. 2002წ.15.01

[2] წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419?publication=32

ქართულ გაზეთებში, ტელევიზიებსა თუ სოციალურ მედიაში გადმოცემულ პოლიტიკურ ინფორმაციებს, თითქმის ყოველთვის, გარკვეული შეფასებები ახლავს. ჟურნალისტმა ფაქტები უნდა შეულამაზებლად მიაწოდოს მკითხველს და სწორედ მკითხველს უნდა დაუტოვოს ესა თუ ის ფაქტი შესაფასებლად, რადგან ინფორმაცია, მისი **გავრცელება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ყველა სფეროსა** და ყველა ფენაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი ,,ტაბულა“-,,ჟურნალისტიკის პრინციპები“; 2015წ.11.01;
2. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი; https://elibrary.sou.edu.ge/ge/books/samoqalaqo-ganatlebis-leqsikoni/712
3. ვიკიპედია;
4. იმანუელ კანტი: „ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება“, 1785წ.;
5. ,,რადიო თავისუფლება“; 2002წ.15.01;
6. ახალი აღთქმა. მათეს სახარება: 7:12.
7. მედიასაშუალებათა ეთიკური ნორმების საკანონმდებლო რეგულირების უცხოური პრაქტიკა, ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“, 2019 №2(25).
8. ლინკი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419?publication=32

Moral and ethical principles of modern political journalism

Vaja Papaskiri, professor
Georgian Technical University

Maia Koniashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

Morality is a set of norms and rules that determine the behavior and interdependence of people in the society. The goal of ethics is to normalize human behavior, as well as to regulate behavior in all areas of public life.

What are the moral principles of our journalism ... What are the moral postulates that define their public relations? What does the society demand from journalists? What is the main thing that can not be forgotten in journalism? It is a duty, a responsibility to God, to the country and to humanity in general. Such a responsibility is a burden that only the worthy can bear. Georgians, on the other hand, have a long-held belief that "it is better to make a name over everything else." “Death finds his way unimpeded, be the path narrow or rocky” : "They reach, they remind me, they bless me, I invent." "I will invent" - Rustaveli expresses the amazing power of the name. Such a big names will be passed down from generation to generation and will coexist as one of the most important attributes of his identity. At the same time, it is necessary to establish the prestige of impartiality, high morals and principality in journalism.

The most ethical norm can be considered the "golden rule". What is the "golden rule"? Probably what Jesus taught: "treat others as you want to be treated" (Matthew 7:12). The highest measure of morality is still philanthropy, although there are actions that may be unacceptable to one society, while to others it is completely moral and acceptable.

A person can sacrifice everything for society except his own conscience and moral beliefs.

The moral value of an action committed out of duty lies not in the goal but in the maxim (the maxim is the subjective principle of the same will). If I want to be moral, I must always act in such a way that I can wish my maxim to become a universal law!

Political information broadcast in Georgian newspapers, on television or on social media are almost always accompanied by certain assessments. The journalist must present the facts to the reader in a proper way and leave it to the reader to evaluate the facts, because the information, its dissemination, has a significant impact on all spheres and all layers of society.

პოლარიზაციის დონე და რისკები ქართულ ტელემედიაში

ეკატერინე კრავიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: პროფესორი თემურ ეკაგოდნიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეხება თანამედროვე ქართული ტელემედიის პოლარიზაციის საკითხს. ნაშრომში გვხვდება კონკრეტული მაგალითებით დასაბუთებული ფაქტები იმის შესახებ, რამდენად ობიექტურად შუქდება ინფორმაცია სხვადასხვა ტელეარხის საშუალებით. ქმნიან თუ არა პოლიტიკურ დღის წესრიგს მოქმედი მაუწყებლობები? ცდილობენ თუ არა ჟურნალისტები სუბიექტური შეფასებების გაკეთებას? ვის ინტერესებს უკავშირდება მათი საქმიანობა? რომელ მათგანს ენდობა საზოგადოება ყველაზე მეტად? -ეს გახლავთ ყველაზე აქტუალური კითხვები, რომლის პასუხებსაც მკითხველი მიმდინარე სტატიაში იხილავს.

მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენების შესახებ ბევრი დებატი და აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაინც უდიდესია მისი როლი და ძალა. მედია დღეს, ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს და მსოფლიოში არ არსებობს მოწინავე ქვეყანა, რომელსაც აკრძალული აქვს მისი გამოყენება. უფრო მეტიც, ისინი მასმედიას განიხილავენ, როგორც იარაღს საკუთარ მოქალაქეებთან დასაკავშირებლად, ახალი ამბების გასავრცელებლად და მათი უახლესი პოლიტიკის პოპულარიზაციისათვის.

თანამედროვე პოლიტოლოგიაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხასიათდება ისეთი აღმატებული „ტიტულებით“ როგორებიცაა: „დიდი არბიტრი“, „მეოთხე ხელისუფლება“ და ა. შ. რწმენა ტელევიზიის ყოვლისშემძლეობისა კი იმდენად დიდია, რომ პოლიტიკური მოღვაწეები თვლიან - ვინც აკონტროლებს ტელე მედიას, ის აკონტროლებს მთელ ქვეყანას. მართლაც, თანამედროვე პოლიტიკა წარმოუდგენელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გარეშე. მედია პოლიტიკური პროცესების მონიტორინგის, პოლიტიკურ პოზიციათა დაპირისპირებისა და მათი საზოგადოებასთან კავშირის უზრუნველმყოფ სივრცეს ქმნის.

მოცემულ ნაშრომში ტელევიზიების მონიტორინგს წარმოგიდგენთ. ბალანსის დაცვის მიზნით, განსახილველად შერჩეულია საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევის შედეგად გამოვლენილი ოთხი ყველაზე რეიტინგული ნაციონალური არხი.

სტატიაში მეტი თვალსაჩინოებისათვის აღებულია, ერთი კონკრეტული ფაქტი: საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება, დაკავება. კერძოდ, პერიოდი 2021 წლის 1 ოქტომბრიდან- 2021 წლის 1 ნოემბრამდე. როგორ აშუქებდნენ მოცემული ტელევიზიები მიმდინარე მოვლენებს? აღნიშნულ პერიოდში გასული საინფორმაციოების დეტალური მიმოხილვა, მკითხველს რეალური მდგომარეობის აღქმაში უკეთ დაეხმარება.

საკვანძო სიტყვები: ტელევიზიები, პოლარიზაცია, ექს-პრეზიდენტი, სანდოობა, გადამოწმებული ინფორმაცია.

შესავალი

ამერიკელი პოლიტოლოგი ბერნარდ სესილ კოელი ამბობდა „მედია შეიძლება ხშირად წარმატებული არ არის იმაში, რომ ხალხს ეუბნება რა იფიქრონ, მაგრამ საოცრად წარმატებულია თავის მკითხველს უთხრას რაზე იფიქრონ. მედიის საშუალებით სამყარო განსხვავებულად გამოიყურება სხვადასხვა ადამიანებისთვის“. [1]

მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენების შესახებ ბევრი დებატი და აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაინც უდიდესია მისი როლი და ძალა. მედია დღეს, ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს და მსოფლიოში არ არსებობს მოწინავე ქვეყანა, რომელსაც აკრძალული აქვს მისი გამოყენება. უფრო მეტიც, ისინი მასმედიას განიხილავენ, როგორც იარაღს საკუთარ მოქალაქეებთან დასაკავშირებლად, ახალი ამბების გასავრცელებლად და მათი უახლესი პოლიტიკის პოპულარიზაციისათვის.

XXI საუკუნეში მასმედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მეტიც, იგი, პოლიტიკური კომუნიკაციის მთავარი საშუალებაა. მედიის პოლიტიკური ძალაუფლება არ არის რეგულირებული კონსტიტუციურად, გარდა სიტყვის თავისუფლების გარანტიისა. ჟურნალისტიკის მეინსტრიმული სტანდარტები მედიისგან მიუკერძოებლობასა და ნეიტრალურობას მოითხოვენ, ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, ჟურნალისტი ვალდებულია ყველა მხარე წარმოაჩინოს ისე, რომ არცერთის პოზიცია არ გაიზიაროს. ეს სტანდარტი, სიტყვის თავისუფლებასთან ერთად, უნდა უზრუნველყოფდეს დამოუკიდებელი არჩევანის თავისუფლებას ინდივიდისთვის.

ძირითადი ნაწილი

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პროფესიულ თუ აკადემიურ წრეებში ხშირია საუბარი მიკერძოებული მედიასაშუალებების როლზე პოლიტიკურ პოლარიზაციაში. აქ, უპირველესად იგულისხმება ტელევიზია, როგორც ყველაზე მკაფიოდ გაყოფილი მედიასივრცე, ვინაიდან ტელეჟურნალისტები არიან პოლიტიკური ჯგუფების გავლენის ქვეშ, როდესაც ამა თუ იმ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოვლენას აშუქებენ.

ტელევიზიების მიკერძოების დასანახად საკმარისია დავაკვირდეთ შემდეგ ნიშნებს:

- თემები, რომლებსაც აშუქებენ, ან არ აშუქებენ მედიასაშუალებები;
- რესპონდენტები ანუ ინფორმაციის წყაროები მედიისთვის;
- ჟურნალისტურ ტექსტებში გამოყენებული სიტყვები, განსაკუთრებით კი ზედსართავი სახელები, რომლებსაც ისინი იყენებენ კონკრეტულ პოლიტიკურ სუბიექტებთან მიმართებაში.

ამ ნიშნებზე დაკვირვებით შესაძლოა გამოვყოთ რამდენიმე მთავარი მოთამაშე ბაზარზე: „მთავარი არხი“, „TV-პირველი“ „ფორმულა“ რომლებიც ერთიანი “ნაციონალური მოძრაობის” გავლენის სფეროდ მიიჩნევა და ტელეკომპანიები “იმედი” და “POST-TV” რომლებიც ხელისუფლების სასარგებლოდ არიან მიკერძოებულები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც გავლენით კონკურენციას ვერ უწევს ზემოხსენებულ ტელევიზიებს, თუმცა, ბიუჯეტით ბევრად აღემატება მათ.

ტელემედიაში არსებული მდგომარეობის უკეთ აღსაქმელად, განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი, რომელიც სტატიის ფუნდამენტად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ქვეყანაში მიმდინარე აქტიური პოლიტიკური მოვლენების ფონზე, თვითმმართველობის არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, 2021 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს მესამე პრეზიდეტი მიხეილ სააკაშვილი დააკავეს. მან, 8 წლის შემდეგ საქართველოს საზღვარი უკანონოდ, (გადმოპარვით) გადმოკვეთა.

ექს-პრეზიდენტი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილად იყო გამოცხადებული და მას ბრალი 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთამასობრივადდარბევის,ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების, დანაშაულებრივად ხელში ჩაგდების, ასევე სახელმწიფოს კუთვნილი 8 837 461 ლარის გაფლანგვის, ე.წ. „პიჯაკების საქმის“ გამო ჰქონდა წარდგენილი.

მიმდინარე მძიმე პოლიტიკური პროცესების ფონზე, საინტერესოა საქართველოს წამყვან სატელევიზიო არხებზე როგორ და რა ფორმით გაშუქდა ყოფილი პრეზიდენტის დაკავების ფაქტები, ასევე შემდეგი მოვლენები?

მიმდინარე სტატია შეიცავს ოთხ ნაციონალურ სატელევიზიო არხზე ჩატარებულ მონიტორინგს. ეს არხებია: „იმედი“, „მთავარი არხი“, „TV-პირველი“ და „რუსთავი-2“. საკვლევი პერიოდი 1 ოქტომბრიდან- 1 ნოემბრის ჩათვლით. კერძოდ, ექს-პრეზიდენტის შიმშილობის 30 დღე.

ტელეკომპანია „იმედის“ 1 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ბრიფინგით დაიწყო, რომელზედაც ღარიბაშვილმა საზოგადოებას ამცნო ფაქტი, მიხეილ სააკაშვილის დაკავების შესახებ. ჟურნალისტების მხრიდან მკვეთრ პოლიტიკურ განცხადებებს ადგილი არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით სოფო ბერიძის მიერ გაკეთებულ კომენტარს, სადაც ის ამბობს რომ სააკაშვილის ჩამოსვლა თავად მისი პარტიის წევრებსაც არ გახარებიათ. {2}

ქრონიკის პირველ ნაწილში ინფორმაციის მიწოდება დაბალანსებულად ხდებოდა, ინტერვიუები აღნიშნულ ფაქტზე ჩაწერილი იყო, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებთან, თუმცა მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა მეორე ნაწილში. არხზე დაიწყო სხვადასხვა პოლიტიკური წარმომადგენლის მიერ, სააკაშვილზე გაკეთებული ნეგატიური სახის კომენტარების გაშვება. მათ რიცხვში მოხვდნენ ამერიკელი სენატორები ჯინ შაჰინი და რონ ჯონსონი, რომლებიც მესამე პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნებას ქვეყანაში დესტაბი-

ლიზაციის მცდელობად აფასებდნენ. მიმდინარე გამოშვებაში არ გასულა აღნიშნულ ფაქტზე უცხოელი პოლიტიკოსის, ექსპერტის, ან შემფასებლის არცერთი განსხვავებული აზრის შემცველი შეფასება. „ქრონიკა“ ეთერში 2 საათი და 14 წუთი მიმდინარეობდა და ამ დროის ნახევარზე მეტი, თითქმის 1 საათი და 30 წუთი მიხეილ სააკაშვილის დაკავების თემას შეეხო. [2.1]

5 ოქტომბრიდან, ტელეკომპანიის ეთერში აქტიურად დაიწყო სააკაშვილის რეჟიმის დროს დაზარალებული ადამიანების მოძიება და მათი გაშუქება. „7 ნოემბერი, იმედის დარბევა, სანდრო გვირგვლიანი - მმართველი გუნდი ამ საქმეებს შეახსენებს ყველას, ვისაც უახლესი წარსული დაავიწყდა და ირწმუნება, რომ სააკაშვილი პოლიტპატიმარია. ექს პრეზიდენტის ამ სტატუსით გასაღებას მხოლოდ ნაციონალური პარტია ცდილობს.“ - განაცხადა ერთ-ერთი გადაცემის დროს „იმედის“ ჟურნალისტმა. [3]

საინფორმაციო გამოშვებების დროს, ხშირად მეორდებოდა ერთი და იგივე ინფორმაცია, მაგალითად პრემიერ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინტერვიუ, რომელიც მან სპეციალურად „იმედის“ ჟურნალისტს მისცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თითქმის მთელი კვირა ტრიალებდა ეთერში. [4]

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ პერიოდში, ჟურნალისტების მხრიდან არხზე გასულ საინფორმაციო გამოშვებებში, განსხვავებით „ტოკ-შოუებისა“, არ ყოფილა სიძულვილის ენის გამოყენების არცერთი მცდელობა. ადგილი არ ჰქონია დეზინფორმაციის გავრცელებას. ერთად-ერთი რაც აშკარად თვალშისაცემი გახლდათ, იყო ინფორმაციის ცალსახად გაშუქება, დაუბალანსებელი ინტერვიუები და ფაქტების „შელამაზება“ ხელისუფლების სასარგებლოდ, რაც აშკარად ხაზს უსვამს ფაქტს, რომ არხი პოლარიზებულია. თუმცა ამას თავადაც არ მალავენ. არჩევნების მეორე ტურის დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე ტელეკომპანიამ ოფიციალური წერილი გამოაქვეყნა, სადაც პირდაპირ ხაზს უსვამს, რომ არ დაუშვებენ ქვეყანაში ნაციონალური მოძრაობის დაბრუნებას. [5]

„გადამწყვეტ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, მიხეილ სააკაშვილი დაკავებულია. ქართულმა ოცნებამ, რომელიც 8 წელი ეძებდა სააკაშვილს მისი აყვანა მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, რაც მესამე პრეზიდენტი თავად ჩამოვიდა საქართველოში. მიხეილ სააკაშვილმა მიზანს მაინც მიაღწია, თავგანწირული პოლიტიკური ნაბიჯით, მესამე პრეზიდენტმა ოპოზიციური ამომრჩევლის სრული მობილიზება მოახდინა. ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქიული რეჟიმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წინა დღეს ხელისუფლების ოპონენტები გაერთიანებულნი არიან ისე, როგორც არასდროს.“ ამ სიტყვებით დაიწყო „მთავარი არხის“ საინფორმაციო გამოშვება ჟურნალისტმა პაატა იაკობაშვილმა. [6]

„ქართული ოცნების წარმომადგენლები დღეს ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდნენ, საქართველოს მესამე პრეზიდენტი ქვეყანაში შემოეპარათ, რაც იმას მოწმობს რომ სისტემა რეალურად ჩამოშლილია“ - ჟურნალისტი დეა მამისეიშვილი. [6.1]

არხზე დეტალურად ხდებოდა ყველა იმ ფაქტის მიმოხილვა, რაც მიხეილ სააკაშვილს უკავშირდებოდა, მაუწყებლობა დიდ დროს უთმობდა რუსთავში პენიტენციურ დაწესებულებასთან მიმდინარე, ექს-პრეზიდენტის მხარდამჭერი აქციის გაშუქებას.

„ოლიგარქიული რეჟიმი პოლიტიკური დევნის უმაღლეს მწვერვალს აღწევს, ივანიშვილის პირადი პატიმარი კიდევ უფრო დიდი ზეწოლის ქვეშ ექცევა. ქართული ოცნება მესამე პრეზიდენტს უფლებებს უზღუდავს და ხელოვნურად ამძიმებს მის მდგომარეობას“. -დიკო ჯოჯუა. ჟურნალისტი [7]

რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, „მთავარი არხი“ მიკერძოებულად აშუქებდა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს. მის დაპატიმრებას, შიმშილობასა და გზავნილებს ციხიდან. ტელეკომპანია მესამე პრეზიდენტის მიმართ საზოგადოების ერთსულოვანი მხარდაჭერის დემონსტრირებას ცდილობდა, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორების, სასულიერო პირებისა და პეტიციის ხელის მომწერთა აქტიური გაშუქებით.

6 ოქტომბრიდან ტელეკომპანიის ეკრანზე გაჩნდა წარწერა **#თავისუფლებამიშას.** „მთავარი არხი“ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ პატიმრად წარმოჩენას ცდილობდა, ხაზს უსვამდა მის უპირატესობას, შიმშილობის მიუხედავად მხნეობასა და მის მიმართ „ქართული ოცნების“ შიშს.

„მთავარი არხი“ მიხეილ სააკაშვილს, ერთი მხრივ, მოიხსენიებდა „მთავარ პოლიტიკურ პატიმრად“, „ივანიშვილის პირად პატიმრად“, მეორე მხრივ კი, „რეფორმატორ პრეზიდენტად“, „ამ ქვეყნის ყველაზე წარმატებულ პრეზიდენტად“, „ნომერ პირველ რეფორმატორად“, „თანამედროვე საქართველოს თავისუფლების სიმბოლოდ“.

მიხეილ სააკაშვილის მიმართ ტელევიზიისა და ცალკეული ჟურნალისტების მიკერძოებული

დამოკიდებულება გამოჩნდა 13 ოქტომბერს არხის ეთერში გასულ მასალაში. ეს იყო ჟურნალისტ თეა ადეიშვილის მიერ საქართველოს მესამე პრეზიდენტისთვის ჩამორთმეული ინტერვიუ. წერილობითი ინტერვიუს ეთერში გაშვებამდე ჟურნალისტმა სააკაშვილისადმი მიწერილი საკუთარი წერილიც გაასაჯაროვა. [8]

„TV- პირველმა"- 1 ოქტომბრის დღის ამბები მწვავე შეფასებით დაიწყო. „დაკავებულია მესამე პრეზიდენტი, არჩევნები ჩაივლის ხვალ, სწორედ ამ დაკავებული პრეზიდენტის ფონზე. სუსტი, უხარისხო და არასანდო მართლმსაჯულება და ექს-პრეზიდენტი გისოსებს მიღმა, ამ კონტექსტს ხვალინდელი არჩევნების შედეგების შემდეგ და შედეგების გათვალისწინებით, როგორ აიტანს ქართული ოცნება? - დიანა ტრაპაიძე. [9]

თუ საინფორმაციო გამოშვების ამ ნაწილს იმ კუთხით შევხედავთ, წარმოადგენდა თუ არა ტელევიზია პოლიტიკურ მხარეს?- პასუხი ცალსახაა, დიახ. რადგან გადაცემის მსვლელობისას, რომელიც 2 საათი და 14 წუთი მიმდინარეობდა, არ ყოფილა წარმოდგენილი ერთი განსხვავებული აზრიც კი. ტელე-ეთერი მთლიანად დაეთმო ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებს. მათი ძირითადი რიტორიკა ხელისუფლების კრიტიკა და დამუნათება გახლდათ, იმ ფაქტის გამო, რომ სააკაშვილი ქვეყანაში შემოეპარათ.

ტელემაუწყებლობის საეთერო სივრცეში, ყველაზე დადებითად საკვლევი პერიოდის მანძილზე ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა, თუმცა დადებითი ტონის მაჩვენებელი 4-ჯერ ჩამოუვარდებოდა მთავრობის ნეგატიური კუთხით გაშუქების მაჩვენებელს.

„TV- პირველი" ხელისუფლების მიმართ კრიტიკული და ოპოზიციის მიმართ ლოიალური არხია. ეთიკური გადაცდომები ხშირად ვლინდებოდა ჟურნალისტებისა თუ წამყვანების ტექსტებში (ლექსიკაში). ხელისუფლებისა და მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ გამოყენებული იყო დაცინვა, ირონია, ქილიკი, რადიკალიზაცია.

სააკაშვილის ქვეყანაში დაბრუნება და ამის შემდგომ განვითარებული მოვლენები იმგვარად შუქდებოდა, რომ სააკაშვილის ფიგურა, მისი როლი და მისია მკვეთრად დადებითად იყო წარმოჩენილი. „პირველები" ასევე აქტიურად, ყოველდღიურ რეჟიმში აშუქებდა მიხეილ სააკაშვილის შიმშილობას და მისი დაკავების შემდეგ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ყველაზე დიდი დრო ექს პრეზიდენტის გაშუქებას ეთმობოდა.

ძველი მფლობელების დაბრუნების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის სარედაქციო პოლიტიკა. ოპოზიციური გამშუქებლიდან შეიძლება ითქვას, რომ უფრო ნეიტრალურ გამშუქებლად იქცა. არხზე ზემოთ განხილულ ტელევიზიებთან შედარებით მიკერძოება ნაკლებად შეინიშნებოდა. 1 ოქტომბერს ექს-პრეზიდენტის დაკავების შესახებ გადმოცემულ ინფორმაციაში შეინიშნებოდა ბალანსი როგორც ფაქტების გადმოცემის, ასევე ჩაწერილი სტუმრების წარმომადგენლობის მიხედვით.{10} კერძოდ, ყველა სიუჟეტის შემდეგ, საზოგადოებას შეეძლო მოესმინა, როგორც პოზიციის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლების აზრი, რაც ინფორმაციის სწორად აღქმაში დაეხმარებოდა. უნდა ითქვას, რომ ჟურნალისტების მხრიდან მიმდინარე ფაქტებთან დაკავშირებით არ კეთდებოდა საკუთარი სუბიექტური მოსაზრებების დაფიქსირება. თუმცა, შეფარვით არხის პრო-სახელისუფლებო დამოკიდებულება მაინც იგრძნობოდა. კერძოდ, ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ ტელევიზიის ეთერის დიდი ნაწილი ეთმობოდა მთავრობის დადებითად, ამავდროულად ტელეკომპანია „იმედის" მსგავსად იმ უარყოფითი მოვლენების გაშუქებას, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს ხდებოდა.

ექს-პრეზიდენტის მიმართ მკვეთრად გამოხატული უარყოფითი შეფასებები, ოქტომბრის თვის მეორე ნახევარში უფრო გამოიხატა. სააკაშვილის პატიმრობის და შიმშილობის თემის გაშუქების დროს ჟურნალისტების შეფასებები და დასკვნები ძირითადად თანხვედრაში იყო მმართველი პარტიის მესიჯბოქსებთან.

დასკვნა

ჩვენ დავინახეთ, რომ ქართულ ტელევიზიებს მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული პოლიტიკური სიმპათიები, ეს თითქოს უცხო არ არის დასავლურ მედიაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, არსებობს საფრთხეები, რომლებსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ და არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ ანალოგიური საფრთხეები ევროპასა და ამერიკაშიც შეინიშნება.

პირველი და ყველაზე მკაფიო საფრთხე, რომელსაც ტელემედიის გადაჭარბებული პოლიტიზება და პოლიტიკური აფილაციის მაღალი დონე ქმნის, არის საზოგადოების რადიკალური პოლარიზაციის ხელშეწყობა. ამ დროს მედია, იმის ნაცვლად, რომ ასრულებდეს ერთგვარი კომუნიკატორის და ინფორმაციის გადამტანის როლს ერთმანეთთან ისედაც დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის, სამწუხაროდ, კიდევ უფრო ამძაფრებს ამ

დაპირისპირებას და თავად გვევლინება რადიკალიზაციის მაპროვოცირებელი ინსტიტუტის როლში. [11]

ცხადია, რომ პოლიტიკურად რადიკალიზებული და პარტიულად მიკერძოებული მედიაგარემო განსაკუთრებით ტოქსიკურად მოქმედებს ე. წ. „უპარტიო“ ელექტორატზე, რომლის წილი სოციოლოგიური კვლევების თანახმად, საქართველოშიც ძალიან დიდია; ეს ადამიანები მედიისგან ელოდებიან არა პოლიტიკურ პროპაგანდას, არამედ ობიექტურ ინფორმაციას იმისთვის, რომ მიიღონ სწორი ინფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Media and Politics.Wayne Errington, Narelle Miragliotta; (p.45 Oxford University Press ,October 11, 2007)
2. „იმედი“ ქრონიკა - 20:00 საათზე - 1 ოქტომბერი, 2021 წელი
3. „იმედი“ ქრონიკა 20:00 საათზე - 5 ოქტომბერი, 2021 წელი;
4. „იმედი“ ქრონიკა 20:00 საათზე - 3 ოქტომბერი, 2021 წელი;
5. „იმედი“ (ქრონიკა 20:00 საათზე - 18 ოქტომბერი, 2021 წელი;
6. „ მთავარი არხი“ მთავარი 9 საათზე - 1.10.2021;
7. „მთავარი არხი“ მთავარი 9 საათზე - 5.10.2021;
8. „მთავარი არხი“- 13.09.2021
9. „TV-პირველი“; პოლიტიკური ამბები. 1 ოქტომბერი 2021. 2 ნაწილი;
10. „რუსთავი 2“ კურიერი-21:00,1ოქტომბერი,2021;
11. ბოკუჩავა დ. „მედია და პოლიტიკა“
12. https://dimitribokuchava.wordpress.com/2012/10/26/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/)

Level of polarization and risks in Georgian television

Ekaterine Kravishvili

Georgian Technical University

Summary

This article deals with the issue of polarization of modern Georgian television. The paper contains facts substantiated by concrete examples of how objectively the information is covered by different TV channels. Do current broadcasts set a political agenda? Do journalists try to make subjective assessments? Whose interests are related to their activities? Which one does the community trust the most? -These are the most relevant questions, the answers to which the reader will find in the current article.

Although there are many disputes and different opinions about the use of the media, their role and power is still great. The media today are an important tool for disseminating information, and there is not a single developed country in the world that would prohibit their use. Moreover, they see the media as a tool to connect with their citizens, spread the news and popularize their latest policies.

In modern political science, the media are characterized by such exalted “titles” as are: “Grand Arbiter”, “Fourth Government”, etc. The belief in the omnipotence of television is so great that politicians believe that whoever controls the television media controls the entire country. Indeed, modern politics is unimaginable without the media. The media create a space for monitoring political processes, confronting political positions and communicating them with the public.

This paper presents the monitoring of TVs. In order to maintain the balance, the four most rated national channels identified by the research of international organizations have been selected for consideration.

For greater clarity, the article takes one specific fact: the return to Georgia of the third President of Georgia, Mikheil Saakashvili, and his arrest. In particular, the period from October 1, 2021 to November 1, 2021. How did these TVs cover current events? A detailed review of the information covered during this period will help the reader to better understand the real situation.

Keywords: Televisions, polarization, ex-president, credibility, verified information.

აუდიტორიის ფაქტორი ქართული მულტიმედია ტექსტის ტრანსფორმირების პროცესში

ნინო ნატრიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: სოფიკო კვანტალიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ის როლი, რომელსაც მულტიმედია ტექსტის ტრანსფორმაციის პროცესში ციფრული რეალობის შედეგად შეცვლილი აუდიტორია, მისი ინტერესები და სურვილები ასრულებს. ამავდროულად, ასახულია მსჯელობა გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც დინამიკური ტექნოლოგიური სიახლეებისა და ჟურნალისტიკის კონვერგენციის პირობებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დგანან. მათ შორის აქცენტირებულია უშუალო მატარებლებიდან ვებპლატფორმებზე, კერძოდ კი სოციალურ ქსელებზე გადასვლის ფაქტორი, რაც აუდიტორიის მხრიდან ჟურნალისტური ნაწარმოებების გამოყენების პროცესს ძირეულად ცვლის.

სტატია მიმოიხილავს ჟურნალისტური კონტენტის, მათ შორის მედიატექსტის შეცვლილ მახასიათებლებს — გაზრდილ ინტერაქციულობას, ჩართულობისა და გაზიარების მაღალ ხარისხს. ასევე, ტრანსფორმირებული მულტიმედია ტექსტის შექმნის პროცესში აუდიტორიის აქტიურ მონაწილეობას, მის ახლებურ ქცევასა და პრიორიტეტებს.

სტატიაში გააზრებულია საქართველოში მულტიმედია ტექსტის მიმართ აუდიტორიის დამოკიდებულების განმსაზღვრელი ფაქტორები - ტექნოლოგიებისა და შესაბამისი მოწყობილობების ხელმისაწვდომობა, მათი გამოყენებისთვის საჭირო ცოდნა, ონლაინსივრცის შესაძლებლობებით სარგებლობის უნარ-ჩვევები, მედიაკონტენტის შექმნის განსხვავებული პროცესი, მულტიმედიურობა, მულტიმედია ტექსტის ხარისხი და ა.შ.

აღნიშნული მიზნით, სტატიაში განხილულია კვლევები და ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში ინტერნეტის მომხმარებლების, შესაბამისად, მულტიმედია ტექსტის პოტენციური მომხმარებლების მახასიათებლების, ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენების, ასევე, სოციალური ქსელების სარგებლობის შესახებ. მასში წარმოდგენილია ყველა ის არსებითი მონაცემი, რომელიც ინტერნეტაუდიტორიის ზოგად სურათს ქმნის და განსაზღვრავს ინტერნეტის, როგორც ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროს როლსა და ადგილს კომუნიკაციის საშუალებათა სისტემაში.

სტატიაში ასახულია აუდიტორიის ნეგატიური და პოზიტიური დამოკიდებულებები ტექსტის მნიშვნელობისა და მისი მახასიათებლების შესახებ. მსჯელობა მიმდინარეობს იმ ფაქტორებზეც, რომლებიც ინტერნეტით გავრცელებული ქართული ჟურნალისტური ნაწარმოებებისა და მულტიმედია ტექსტის მიმართ აუდიტორიის განწყობებს განაპირობებს და მოცემულია ტენდენციები, რომელთა გააზრება ეფექტიანი და დადებითი შედეგების მომტანი იქნებოდა იმ მედიასაშუალებებისთვის, რომლებიც ქართულ ჟურნალისტურ სივრცეში მულტიმედია ტექსტზე მუშაობენ და დადებით გავლენას მოახდენდა მულტიმედია ტექსტის განვითარებაზეც.

საკვანძო სიტყვები: მულტიმედიურობა, მულტიმედია ტექსტი, კონვერგენცია, ქართული მედია

შესავალი

მედიატექსტის ტრანსფორმაციის პროცესში განსაკუთრებულ როლს აუდიტორიის, კონკრეტულად კი ინტერნეტმომხმარებლების ახლებური ქცევები და პრიორიტეტები ასრულებს. თავად ამ ქცევებსა და პრიორიტეტებს კი, თავის მხრივ, ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, მათი გამოყენებისთვის საჭირო ცოდნა, ონლაინსივრცის შესაძლებლობებით სარგებლობის უნარ-ჩვევები, მედიაკონტენტის შექმნის განსხვავებული პროცესი, მულტიმედიურობა, ტექსტის ხარისხი და სხვა საკვანძო ფაქტორები განაპირობებს. აღნიშნული ფაქტორები მედიატექსტის არა მარტო ამჟამად არსებულ სპეფიციკას, არამედ მისი პერსპექტივის ტრენდებსაც განსაზღვრავს.

მედიის კონვერგენციის ხარისხის ზრდამ, „ეკრანიდან წამკითხველი“ აუდიტორიის ინტერესებისა და ქცევის ცვლილებამ მულტიმედია კონტენტს, მათ შორის ტექსტს, ახალი შესაძლებლობები შესთავაზა და განსხვავებული მახასიათებლები მიანიჭა. [1,59] კერძოდ, მედიატექსტი იქცა

„სკანირებად“ ჰიპერტექსტად, რომელიც მოცულობით შემცირდა, ბმულებით გამდიდრდა, ახალი სტრუქტურა მიიღო და აუდიტორიისთვის უფრო მარტივად აღსაქმელი, ინტერაქციული გახდა. პარალელურად, ჟურნალისტების საქმიანობაში ერთგვარ პროფესიულ საზომად იქცა ახალი მიდგომა: დაწერონ ისე, რომ მკითხველისთვის ერთი შეხედვითვე თვალსაჩინო იყოს, რა არის ამბავში მთავარი. [2,90]

ეფექტიანი მულტიმედია კონტენტის შექმნისა და სარგებლობის პროცესებში დანერგილი ცვლილებების მიუხედავად, აუდიტორიისთვის ძირითად ელემენტად და ჟურნალისტური ნაწარმოების ორიენტირად ტექსტი დარჩა. თანამედროვე მომხმარებლების უდიდესი ნაწილისთვის, მულტიმედიურობაზე მზარდი მოთხოვნის მიუხედავად, გამოსახვითი საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით, კვლავაც ტექსტია მნიშვნელოვანი და საგულისხმო. [3]

ძირითადი ნაწილი

ამჟამად საქართველოში მედიის მულტიმედიურობის, შესაბამისად, მულტიმედია ტექსტის შექმნისა და, შესაბამისად, ამ ტექსტით სარგებლობის ინტენსივობა და ხარისხი დაბალია. აღნიშნული ფაქტის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მედიასაშუალებებს ამ ტიპის კონტენტის შესაქმნელად საკადრო, დროითი და ტექნოლოგიური რესურსი, ასევე ცოდნაც, ხშირად არ ჰყოფნით. თუმცა პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავად აუდიტორიაც, რომელსაც მულტიმედიურობაზე მწირი წარმოდგენა აქვს და მედიასაშუალებებისგან შესაბამის მასალებს ნაკლებად ითხოვს.

როგორც გლობალურად, ისე საქართველოშიც, მულტიმედია ტექსტის გამოყენება ინტერნეტის მომხმარებლებისა და შესაბამისი გაჯეტებით სარგებლობის მაჩვენებელს უკავშირდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში შინამეურნეობების 86,1%-ს ინტერნეტზე წვდომა აქვს, რაც წინა წელთან შედარებით, 2,3%-ითაა გაზრდილი. 15+ ასაკის მოსახლეობის 91,7% კომუნიკაციის ამ საშუალებას ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე იყენებს, მათ შორის განსაკუთრებით მაღალი კი (97,9%) 15-29 წლის მომხმარებლების წილია. [4]

ინტერნეტისა და შესაბამისად, მულტიმედია ტექსტის პოტენციური მომხმარებლების ზრდის დინამიკასთან ერთად, მზარდია მობილური ტელეფონის ფლობის მაჩვენებლებიც. აღნიშნული მიანიშნებს, რომ იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც კონტენტს სასურველ დროსა და ადგილას იღებენ, სულ უფრო იმატებს. საქსტატის ინფორმაციით, ქვეყანაში 6+ ასაკის მოსახლეობის 86,3% მობილურ ტელეფონს ფლობს, [4] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით კი, იმატებს ინტერნეტის, განსაკუთრებით კი მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა. 2020 წლის მონაცემებით, მობილური ქსელის 3.3 მილიონი აბონენტი მობილური ინტერნეტის მომხმარებელია, რეკორდულად იზრდება მისი ტრაფიკიც. [5]

პარალელურად, ინტერნეტი სულ უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ინფორმაციის მთავარ წყარო. 2021 წელს 15+ ასაკის მომხმარებლების 95,3% ინტერნეტს სოციალური ქსელებისთვის იყენებდა, 94,7% - აუდიო და ვიდეო კავშირებისთვის, 54,3% კი - ონლაინსივრცეში ახალი ამბების, მათ შორის გაზეთებისა და ჟურნალების წასაკითხად. [4] საყურადღებოა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მონაცემებიც: 2021 წელს ინფორმაციის პირველ წყაროდ ინტერნეტსა და სოციალურ მედიას გამოკითხულთა 35% ასახელებდა, ტელევიზიას - 57%, გაზეთებსა და ჟურნალებს - 1% ერგო, რადიოს ასევე - 1%. [6]

ონლაინპლატფორმა DataReportal-ის 2022 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის 84,3% სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელია, 67,9% კონკრეტულად ფეისბუქს იყენებს, ინსტაგრამს - 44,3%, ტვიტერს კი - 4,4%. აღსანიშნავია, რომ ფეისბუქის მომხმარებლების 96,6% სოციალურ ქსელზე წვდომისთვის მობილური ტელეფონით სარგებლობს, მათ შორის 64,9% ფეისბუქზე მხოლოდ ამ მოწყობილობით შედის. [7]

გამოსახვით საშუალებებს შორის ქართული აუდიტორიისთვის ყველაზე პოპულარულ ერთეულად მედიატექსტი რჩება. იგი ძირითადად ტექსტობრივი კონტენტის მომხმარებელია. ჟურნალისტურ მასალაში, რომელიც ინტერნეტში ქვეყნდება, ტექსტის არსებობა აუდიტორიის თითქმის 41%-ისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, 34,6%-ისთვის კი - მნიშვნელოვანი. საგულისხმოა, რომ ტექსტი უმნიშვნელოა 1,7%-ისთვის, ძალიან უმნიშვნელო კი - 0.6%-ისთვის, თუმცა აუდიტორიის ეს ნაწილიც უმეტესად (50%) ინფორმაციას ტექსტის სახით ეცნობა.

თუმცა, გამოყენების ინტენსივობის მიუხედავად, აუდიტორია ინტერნეტით გავრცელებული ქართული ჟურნალისტური ტექსტების მიმართ კრი-ტიკული განწყობების მატარებელია. ინტერნეტით გავრცელებულ ქართულ ჟურნალისტურ

ტექსტებს მხოლოდ 1,1% აფასებს, როგორც ძალიან მიმზიდველს, 23,1% მათ მიმზიდველად მიიჩნევს, 52,3%-ს მიაჩნია, რომ ისინი მიმზიდველი არ არის, 12,9% ამბობს, რომ ტექსტები საერთოდ არ არის მიმზიდველი, რესპონდენტების დარჩენილმა ნაწილმა კი არ იცის (8%), ან პასუხის გაცემა არ სურს (5,4%).

ამგვარი კრიტიკული განწყობა კონკრეტული დამოკიდებულებებითაა განპირობებული, რაც უმეტესად ამბის მოკლედ და საინტერესოდ გადმოცემის ნაკლებობას, სტილისტურად და გრამატიკულად გაუმართავ ფრაზებსა და რთულ ენას უკავშირდება. აუდიტორიის თითქმის 21%-ს ინტერნეტით გავრცელებულ ტექსტებში შეცდომები, დაუხვეწავი წინადადებები, ჟარგონები, ბარბარიზმები, მძიმე თხრობა, ზედმეტი სიტყვები და ენის ლექსიკური სიმცირე არ მოსწონს. აღნიშნული ფაქტორები ტექსტების აღქმას ართულებს და ზოგადად აუდიტორიის მხრიდან ჟურნალისტური კონტენტის გამოყენებასაც აფერხებს. საგულისხმოა, რომ მკითხველთა უდიდეს ნაწილს მოკლე, ლაკონიური, მარტივი და სხარტი ტექსტები, სასაუბრო სტილი და ადვილად აღსაქმელი წინადადებები მოსწონს.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად მულტიმედიური თხრობის მიმართ ქართული აუდიტორია ნაკლებ ყურადღებას იჩენს. თუმცა, ამავდროულად, მისთვის მხოლოდ ტექსტი ან ბეჭდური მასალის ონლაინსივრცეში კოპირება მიმზიდველი აღარ არის და მიაჩნია, რომ ქართული ჟურნალისტური ტექსტები მოძველებულია, რადგან უმეტეს შემთხვევაში იგი ვიზუალური თხრობის ელემენტებს არ შეიცავს. მას მოსწონს მულტიმედია ტექსტი, რომელიც სხვა გამოსახვითი საშუალებებით, ფოტო, აუდიო და ვიდეო ფაილებითაა გამდიდრებული.

კვლავაც ძალიან მცირეა აუდიტორიის ის ნაწილი, რომელიც მულტიმედიური თხრობის მიმართ მკაფიო ინტერესს იჩენს, თუმცა საგულისხმოა, რომ მასში ყველა ასაკობრივი კატეგორია ხვდება. აუდიტორიის 40% - 25-34 წლისაა, 30% - 45-54 წლის, 10% - 16-24 წლის, 10% - 35-44 წლის, 10% კი - 55+ ასაკის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მულტიმედიურობის მიმართ არსებული მაღალი ინტერესიც ტექსტის მნიშვნელობასა და როლზე გავლენას არ ახდენს. აუდიტორიის ეს ნაწილიც ჟურნალისტურ მასალებს ყველაზე ხშირად ამ გამოსახვითი საშუალებით ეცნობა. თუმცა, უკეთ ფლობს მულტიმედია ტექსტის შესაძლებლობებს, მაგალითად ჰიპერბმულების თანდართვას და მიაჩნია, რომ მათი ეფექტიანად რეალიზება ჟურნალისტებს საშუალებას მისცემდა, ტექსტების ხარისხი მნიშვნელოვნად გაეზარდათ, მისი მოცულობა სხვა გამოსახვითი საშუალებების გამოყენებით, მულტიმედიური თხრობით დაებალანსებინათ და აუდიტორიისთვის გაცილებით მიმზიდველად ექციათ არა მარტო ტექსტები, არამედ მთლიანად კონტენტი.

დასკვნა

საქართველოში ინტერნეტის მომხმარებლების, შესაბამისად მულტიმედია ტექსტის აუდიტორიის რაოდენობის, ტექნოლოგიების განვითარებისა და სათანადო მოწყობილობების გამოყენების დინამიკა განუხრელად იზრდება. თუმცა, ამავდროულად, ძალიან მნიშვნელოვანია აუდიტორიის ციფრული უნარების მასშტაბიც, რაც მულტიმედია კონტენტის გამოყენებასა და მოთხოვნაზე აისახება. ამას გარდა, მედიაწიგნიერების ამგვარი ზრდა გარკვეულ მოტივაციას მისცემს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მეტად გამოიყენონ კონვერგენტული მედიისა და მულტიმედიურობის შესაძლებლობები, ყოველდღიურ საქმიანობაში ეფექტიანად შეიტანონ მულტიმედია ტექსტის სპეციფიკური მახასიათებლები.

ამასთან, სოციალური ქსელების პოპულარობის მასშტაბიდან გამომდინარე, პერსპექტიული ნაბიჯი იქნება, თუ მედია კონკრეტულად სოციალური ქსელებისთვის შექმნის ინოვაციურ კონტენტს და აუდიტორიას სწორედ ამ კონტენტით მიიზიდავს.

მნიშვნელოვანია, ჟურნალისტებმა გაითვალისწინონ ის სტანდარტები და მოთხოვნები, რომლებსაც ქართული აუდიტორია განსაკუთრებულ მახასიათებლად მიიჩნევს და გაზარდონ მულტიმედია ტექსტის ხარისხი, მეტი დრო დაუთმონ შესაბამისი პროფესიული ცოდნისა და უნარების ამაღლებას და არა მარტო ტექსტის არამედ სხვა გამოსახვითი საშუალებების ეფექტიან გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Richard Skott Dunham, Multimedia Reporting, How Digital Tools Can Improve
2. Tony Silvia and Terry Anzur, Power Performance Multimedia Storytelling for Journalism and Public Relations, 2011
3. TJ McCu, Verizon Media Says 69 Percent Of Consumers Watching Video With Sound Off, https://www.forbes.com/sites/tjmccue/2019/07/31/verizon-media-says-69-percent-of-consumers-watching-video-with-sound-off/?sh=31c4b74b35d8
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოქვეყნების მაჩვენებლები (2021 წელი) https://www.geostat.ge/ka/news?year=&month=&category=17
5. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2020 წლის ანგარიში, https://www.comcom.ge/uploads/other/7/7775.pdf
6. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), „საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2021 წლის ივლისი“, https://caucasusbarometer.org/ge/nj2021ge/INFSOUF1/?fbclid=IwAR0MDUuAEFWc3Wt8z3HT-HvAGNHCwc_p6M4QosRAR8rLPpYeDNML1S2EULg
7. DataReportal, Digital 2022: Georgia, https://datareportal.com/reports/digital-2022-georgia?fbclid=IwAR2fdm2A0bE61jVTKmuExVkrlU0fqjPOQjRhStQAGaVM0c_-cy8mZ5051Qs

Audience factor in the process of Georgian multimedia text transformation

Nino Natroshvili, PhD student
Georgian Technical University

Sofiko Kvantaliani, Associate Professor
Georgian Technical University

Summary

The article discusses the role played by the audience, changed as a result of digital reality, its interests and desires, in the process of multimedia text transformation. At the same time, it discusses the challenges facing the media in the context of dynamic technological innovations and journalism convergence. Among them, the focus is on the transition from direct transmitting to web platforms, in particular social networks, which fundamentally changes the process of usage of journalistic works by the audience.

The article reviews the changing features of journalistic content, including media text - increased interaction, high degree of engagement and sharing. Also, the active participation of the audience in the process of creating a transformed multimedia text, its new behavior and priorities.

The article discusses the determinants of the audience's attitude towards multimedia text in Georgia - access to technologies and relevant devices, knowledge required for their use, skills of using online space, a different process of creating media content, multimedia, multimedia text quality, etc.

For this purpose, the article discusses the research and key indicators of Internet users in Georgia, respectively, the characteristics of potential users of multimedia texts, the use of technologies and devices, as well as the use of social networks. It contains all the essential data that forms the general picture of the Internet audience and defines the role and place of the Internet as the main source of information in the system of means of communication.

The article also reflects the negative and positive attitudes of the audience towards the importance of the text and its characteristics. There is also a discussion on the factors that determine the attitudes of the audience towards Georgian journalistic works and multimedia texts spread on the Internet, and there are also trends that would be effective and positive for media outlets that work on multimedia texts in Georgian journalism and it would also affect positively the development of multimedia texts.

Keywords: Multimedia, Multimedia Text, Convergence, Georgian Media

Country image formation in the American press

(According to the article "David and Goliath, Putin tries to depose a neighbor" by Richard Holbrooke in the Washington post)

Teona Kochiashvili , PhD student
Georgian Technical University

Abstract

The article discusses the issue of presenting Georgia as a democratic, Western-type state after the Rose Revolution. The urgency of the subject is determined by the fact that the increased image of a successful and progressive republic in the international arena has strengthened our relations between the US and Western countries, which has strained Russia's attitude to Georgia. The happened changes in the country's foreign policy, along with its pro-American president, Mikheil Saakashvili, have posed new aspirations and problems, which have often been covered by the English-language press. The problem is not only the issue of reflecting Georgia, but also the technological process, the methods used by journalists in shaping the image of Georgia. The study of empirical sources revealed the following research questions: how Georgia is reflected in the American and British press, what topics are focused on, what tendencies are revealed in relation to the current processes.

The article uses rhetorical and content analysis, semiological analytical approach, as well as the method of communicative linguistics (linguopragmatics) and imagology.

On the topic of Georgian-Russian relations, Richard Holbrooke published an article in the Washington Post on November 27, 2006 entitled "David and Goliath, Putin tries to depose a neighbor." It discusses the hostile relations between the presidents of the two countries, Russia and Georgia, the current socio-political situation between these governments, against the background of which the image of our state is clearly visible.

According to the results of the research, the image of the country in the publicist text is determined by the domestic and foreign policy situation, relations with other states, emphasizing its important role in the world arena, which the publicist performs in various ways. Attention is drawn to the introduction of biblical mythical characters, the tale of "David and Goliath" as M. Saakashvili and V. Putin, which the author used as a story and adapted to the main heroes of the text. The article focuses on authorial communication tactics, correct selection of speech acts, solidarity system, appropriate usage for content elements of the publicist text, detail- symbols, display of a portrait of the President of Georgia, which conveys the state's reputation and image in foreign policy.

Keywords: Forming of the country image , American press, Russia-Georgia relations, portraits of the leaders

Introduction

Georgia, with its geopolitical location, appears to be the interest to the world's leading states. It plays a big role in the field of international relations. From this point of view, our country occupies an important place in the foreign press, especially in the English-language printed media.

The 30-year, dynamic friendly relationship between Georgia and the United States, which can be divided into three phases, is characterized by unsteadiness. The beginning of the relationship is related to the post-Soviet period. It should be noted that until this time the US administration did not interfere in the political affairs of the Russian Empire. However, the American press constantly covered the current events of the republics. The Washington Post "The trouble in Georgia" says that US President Bush is ignoring the tragedy of April 9, 1989, over his relationship with Gorbachev.

From the day of the establishing diplomatic relations, the support of the United States of America as a strategic partner of our country and the defender of Georgia's sovereignty, as well as its terriotorial integrity, has always been expressed in the American press. As soon as the state independence of Georgia was restored on April 9, 1991, the English-language print media widely covered the issue. The New York Times responded with the publication titled "Secession decreed by soviet Georgia",which emphasizes the fact that Georgia was the first non-Baltic state to restore its independence.

The foreign policy course of Zviad Gamsakhurdia, one of the leaders of the national liberation movement elected by the people in 1991-1992, does not seem to have been chosen correctly. For the given period, the image of Georgia in the American press is in a negative context and includes the following issues: 1) Zviad Gamsakhurdia's confrontation with Russia and the West. 2) The disgraceful image of the country, the confrontation among Georgians , the civil war. There is an aggressive tendency towards our

state in the English-language press. American and British experts, after Mr. Gamsakhurdia's escape from Tbilisi and the formation of a military council, assessed the current political processes in Georgia and expressed uncertainty in the New York Times publication "Experts call Georgia's future unclear." [1]Leading American newspapers The New York Times, The Washington Post, The Wall Street Journal continued to refer to President Gamsakhurdia and his country in a negative light, which is the best example of American indifference to our state.

During Eduard Shevardnadze's presidency, the English-language press presents Georgia in a positive light. In the British and American print media It is considered to be a country of Western values and orientation, as well as the introduction of democratic ideas. There are mainly publications that emphasize the positive image of the state and President Shevardnadze. The article published in the New York Times on April 20, 1992, entitled "Shevardnadze's Return, Phoenix of Georgia"[2], attracts attention. The world map attached to it with the marking of Georgia once again reminds foreign readers of our homeland. In this regard, the American press has played a major role in raising the profile of the country. The publication states that Georgia, which was rejected and abandoned under Zviad Gamsakhurdia' s leadership, has received international recognition.

The West has begun to strengthen its position in the Caucasus region in various ways. The United States is an influential figure in Georgia. The arrival of the US Secretary of State with his old friend Shevardnadze was also significant in that, it was a precondition for assistance, the Washington Post reported.[3] The publication emphasizes that Shevardnadze described the condition of the state as "a small country with big problems." He noted that Georgia has taken the most difficult way to establish a democratic state and in his opinion Georgians would not deviate from the course. "[…] because we have such good friends as Mr. Baker and such strong friends as the United States"-he announced. The former Soviet republic, originally considered one of the countries of the Caucasus alongside Azerbaijan and Armenia, has become a geopolitically important, priority state for Americans. The issue of the Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline project came into the limelight of the English-language press. On September 13, 1995, the New York Times published an article entitled "Pipeline Policy", where the pipeline conveying topic was raised, with the pretext for the assassination attempt on the head of state. After the bloody terrorist attack in New York in 2001, Georgia joined the fight against terrorism. September 11 turned out to be a push to challenge US interests in our country, which opened the door for the Americans and closed for the Russians. Articles in the US print media about US-Georgia strategic cooperation covered the following topics: the Washington Post "US begins anti-terror assistance in Georgia", the New York Times "Georgia to send troops to Pankisi Gorge", which once again proves the active involvement of our homeland in American security.

A new era of Georgian-American relations began with the 2003 "Rose Revolution", which reached its highest point during the rule of pro-American President M. Saakashvili. The arrival of US President George W. Bush in Georgia was widely covered by the American and British press. On May 10, 2005 , the Wall Street Journal published a publication under the title "Georgia on Bush's mind " , emphasizing the Georgian President's speech on the issue: "The Bush visit offers final proof that Georgia is an independent state with inviolable territory that our land and freedom are indivisible ". According to the journalist, M. Saakashvili' s statement is a direct message to Russia and Vladimir Putin, which means the following –"Hands off Georgia".

In the American and British press, Georgia, so-called "the beacon of freedom" by J. Bush, is positioned a strong and prosperous country. After the Rose Revolution, our homeland is portrayed in the English-language print media as a successful, Western-type state, which was conditioned by the fact that in 2004-2006 Georgia moved on the path of ascent, revival, development and progress. Building strong, effective, law-based democratic institutions have become a top priority for the new government. The young pro-American ruler, M. Saakashvili, has established a failed country as a state.

The issue of Georgia's coverage in the English-language press is an urgent question, given the fact that reforms in all areas and contributing factors to democracy have made the Republic of Georgia a Western-style democratic state, which has facilitated its appearance (reveal itself) in the international arena. The only country that could not tolerate our country's progress and victory, close cooperation with the United States, aspirations for EU integration and membership in the North Atlantic Treaty Organization, was the Russian Federation, which strained relations in foreign policy.

The problem is how Georgia is portrayed in the American print media, to see the peculiarities of shaping the country's image, the process of formation, to determine what journalistic means the image of the state is created by.

The aim of the research is to present the technologies

[1] Eric Pace -"Experts call Georgia's future unclear",The New York Times ,1992,8 January

[2] Celestine Bohlen,"Re-enter Shevardnadze,the phoenix of Georgia" The New York Times,20 April,1992

[3] Don Oberdorfer,"Baker detours to visit an old friend in need",The Washington Post,26 May,1992

used for creating the image of Georgia in the foreign press, to show what patterns are revealed in the coverage of certain political events; Analyze how objectively a particular event is reflected and whether certain tendencies are evident.

We are faced with the following research questions: to see how Georgia is presented in the English-language press, what aspects are interest towards the government, which topics are focused on.

We used content analysis as a specific research method, technique, to better analyze a publicist letter, and a rhetorical, critical form to find out how the author writes and what strategies he applied; We have also employed a semiological analytical approach, namely, R. Bart's five-code system, to determine the functioning of signs in the English language and cultural environment; The method of imagology (as imijology) , as well as the principles of communicative linguistics, in particular linguistic pragmatics, the theory of speech acts.

The structure of a publicist text is different from the style of other journalists. The publication is built by the author using rhetorical rules, as well as a coded system of semiotic symbols, which adds to the impression of the narrative. In the article, the image of the country is formed by presenting the face of the President of Georgia. In the context of foreign policy, on the intersection of the interests of Russia and the United States the image of our government is clearly reflected.

Basics(Discussion)

The title consists of two parts, the meaning of which is ambiguous . The symbolic detail "David and Goliath" are biblical characters. The author deliberately called them by these names in order to symbolically express his message, in which the political ideology is secretly accumulated. Mythical creatures, as he explains in the text later - David represents as M. Saakashvili, Goliath is V. Putin. The detailed symbols encoded in the title represent the icon of the publicist letter, the essence of the whole content. An important thought is conveyed in it. Because more is implied than is said, the addressee understands the addressee's intention through conversational implications, with the help of the next sentence.”Putin tries to depose a neighbor” is a detail- fact, meaningful , multi-informative, which may indicate a lot to the reader. The attempts expressed in it will lead to the destruction of the Georgian leader. Thus, the publicist motivates the reader with interest and enthusiasm from the very beginning of the title , he has the ability to have the audience under deep impression.

The author of the publicist text, R. Holbrooke, the former US Ambassador, Assistant Secretary of State, is a brilliant orator in the article because he masters the art of speaking well. The publicist uses the rhetorical principles according to which he constructs the given publication. He follows the steps of an effective discussion, which includes the following stages: 1) Attracting the attention of the audience, 2) Presenting the thesis (main idea), 3) Discussion to defend the thesis, 4) Conclusion.

In the introductory part of the publicist text, the author will present the Independent Republic of Georgia. The country is being identified as a former Soviet state where the attempt of ending Soviet rule was made. Here R. Holbrooke envisages the audience and tries to attract the reader’s attention from the very beginning and involve them in the process of reading the article through such acquaintance or recollection. The author's conviction and credibility is felt in this passage. The publicist uses one of the rhetoric means of persuading, ethos.

The image of the country is formed in the article by showing the portrait of M. Saakashvili as a political leader, because he represents the face of our homeland. The image of the President of Georgia is painted in different ways. The author tries to present the ruler of the state with a positive perspective. On this purpose, he refers to the Georgian politician as the hero of the Rose Revolution, a young reformer, who carried out many reforms for the benefit of the country in the police, economy and public service sectors. However, the author considers his rule imperfect and sees some errors in it. For this, he confirms it with the accusations of Freedom House and other non-governmental organizations, which have been outraged by the close relationship between the government and the media. The author also develops the opposite opinion, relying on the data of the World Bank, according to which Georgia is ahead of other countries in terms of recent annual reforms. In this way, the publicist expresses the internal political and social situation of the state, marks it with a marker. Then, in the context of foreign policy, he presents the image of the country, the face of which is the President of Georgia. A young politician in the field of international relations is presented relatively positively by a publicist, which is indicated by his words:”In fact, the 38- year-old Saakashvili represents almost everything the Unites states and the European Union should support.” This sentence is the essence of the article in which the publicist put an important political idea. Quoting by the author is enough to form a suitable opinion. The given statement can be considered as an indicator of the country's image, as a benchmark, through which the publicist shows Georgia's position in world politics. The author’s opinion, that although Mr. Saakashvili

won the victory over the Adjara region, the unification of the two separatist districts remained unresolved, which he can't resolve them independently, is confirmed by R. Holbrooke's statement:"Despite international resolutions that affirm the territorial integrity of Georgia, it will be difficult for Saakashvili to regain Abkazia and South Ossetia, especially without strong Western support." The presentation of the Georgian leader, as well as his homeland, is the support of the Western world in foreign policy. The above mentioned state in the great arena of international relations, with its ruler, is a republic with a Western identity. Here the image of the country is defined in the form of relation with other states.

The main idea (thesis) of the publicist is set to show off the image of Georgia, which is outlined against the background of Russian and American interests. To accomplish this, he uses a variety of methods. He tries to match the content of the biblical story with the plot of the publicist letter. The scene develops in the context of international foreign policy, where the main characters are the rulers of different states: M. Saakashvili, V. Putin and J. Bush, the great states of America and Russia are political players. On the "Grand Chessboard", Georgia, as a small country, has to play only the role of a pawn, which is in the sphere of interests of superpowers, either the United States and or the Russian Federation. One of which has the status of a friend and the other is an enemy. With the proaretic semiological code, the author conveyed the sequence of actions and the motivation of the characters for action. The content of the biblical text reminds us of a similar story of the main characters in this publication. According to the Old Testament, when a Philistine giant marches against Israel, he mocks and oppresses the people of Israel. The content of the biblical text reminds us of a similar tale of the main heroes in this publication. According to the Old Testament, when a Philistine giant marches (goes to war) against Israel, he mocks and oppresses the people of Israel. That is why the author compared Goliath to the President of Russia, who violated the sovereignty of Georgia and endangered the territorial integrity of the country. According to the author, the people of Israel are very similar to the Georgian nation in this biblical text, with lost separatist regions, and the Georgian population living in Russia is discriminated under the pressure of the Russian regime. In the given intercommunication space, a system of solidarity of speech acts is involved , where there is an excess of power between the communicators. A person in a high social position, V. Putin uses force involvement strategies (his own aspirations), while subordinates or the people in a low social position tend to independence strategies (do not impose their desires on the speaker). Hence, the relationships among the characters acting on the multicultural stage are asymmetrical.

With a semantic code, the author conveys the real face of the main characters of the publicist letter. It also depicts the atmosphere in which the heroes act. In the publicist text, a contradictory analysis of the two leaders is given, on the basis of which the portraits of M. Saakashvili and V. Putin are revealed. The correspondent introduces mythical creatures or myths into the political discourse, according to which they are divided into categories, "myth-idyll" and "myth-nightmare". The discussion is built by describing the combat situation, based on their analysis. To do this, the author directly, openly announces the goals set by the Russian President. The publicist connects his first intention with the ruler of Georgia and quotes the following:"Vladimir Putin is going all out to undermine and get rid of Georgia's young, pro-American, pro-democracy president, Mikheil Saakashvili." The author's quote indicates that the Russian ruler does not like the Western-oriented, reformist leader. He is his antipathy for some reasons. In the above mentioned sentence, with only a few details "young, pro-American, pro-democracy president", the author skillfully manages to list the excuses , while trying to portray the Georgian politician in a positive light, in order to paint a "myth-idyll" to Americans. This comment of his implies access to the essence of the case and requires understanding on the part of the reader. The detailed fact - "Vladimir Putin is going all out to undermine and get rid of Georgia's president", is multi-informative, tells the reader how much the Georgian leader resists and how much effort the Russian ruler needs to destroy him. A similar view is developed in another fragment, where, according to R. Holbrooke, V. Putin is especially fighting against the President of Georgia, which is evidenced by his comment:"if he succeeds in bringing down the most independent and pro-Western leader in the former Soviet space outside the Baltics,he will have gone a long way toward his goal." However, to the publicist's mind , his efforts are in vain. In this section, according to the Theory of Speech Acts, a system of solidarity, the relationship between the Presidents of Georgia and Russia is not symmetrical, as the excess power fact from the Russian ruler is emphasized. That's the reason why R. Holbrooke imagines them as biblical characters. Here we will testify to his words:"Saakashvili as David and Putin as Goliath". The publicist fit their roles precisely, as their battle reminds him of the fighting mood of the two presidents. One is the ruler of a huge empire, which is why the publicist called him Goliath, the other - a young leader of a small country, David. The author combined all the signs in the reference code by which he expressed the already existing

knowledge and introduced the main characters in the publicist text in the form of comparisons. R. Holbrooke reveals the strategic goal of the Russian President, which is to restore Russian hegemony in the post-Soviet space. By making publicly , the intentions of the Russian ruler, the author tries to show the reader his evil, unwanted thoughts about (Baltic) the former Soviet republics. Similarly, in the publicist letter his horrific methods are cited , which the author calls “brutal”. R. Holbrooke reveals the harsh actions of the Russian President towards Georgia, while demonizing V. Putin. Based on the real facts, the publicist paints a picture of the Russian president in dark colors in order to present a "myth-nightmare" in the form of his face. To achieve this goal, the publicist names the following facts: expulsion of Georgians living in Russia, destruction of Georgian businesses, increase in the price of natural gas, as well as the abolition of rail, air, road, sea and postal connections between the two countries. The author's opinion is clear here .The President of the Russian Federation, who is in hostile terms with Saakashvili, turned out to be dangerous and ruthless for our people as well. Therefore, the author created the face (picture) of the enemy with a portrait of V. Putin and in this way showed the shameful, aggressive actions of the Russian government to the whole world. In the intercommunication process, the author showed the cultural "iceberg model". Elements visible above water, which consists of all physical manifestations, and components below water, invisible, including rules of relationships, values, worldviews. The publicist focuses on the underwater currents, the violations of the norms, the obstacles created by the Russian government with its shameful actions, which, according to R. Holbrooke, need to be eliminated.

In the publicist text, the two leaders represent the face of their homeland, the author meant their countries behind the rulers. "David" is Georgia, and "Goliath" is Russia. R. Holbrooke also took into account the visual side (form) of the republics here and appropriately matched their names. He compared a small country to a young warrior, while a huge empire he compared to a giant. The publicist has given us an endless field of associations with symbolic codes created by rhetorical elements in the text.

The opposite picture is drawn between the President of the United States and the leader of Georgia. The author develops the idea that they act harmoniously, jointly together. The publicist emphasizes their friendship and focuses on a favourable attitude by quoting:”Bush and Saakashvili genuinely like each other, and there is hardly a country left in the world, where Bush is still so popular.” The author cites the fact of the US President's visit to Georgia as a historical event to confirm the bilateral cooperation between the states and substantiates with the argument that one of the streets in Tbilisi was named J. Bush Street in his honor. To confirm the Georgian-American friendly relations, the author uses a stronger argument. He names Senators John McCain and George Soros as friends of M. Saakashvili. In this way, the publicist inspires the reader that Putin's efforts are in vain, because M. Saakashvili is supported by high-rank American statesmen. It is clear from the given fragments that the connection between the President of Georgia and the Washington administration is based on the cooperation principles , where the power factor is neglected according to the speech acts , the system of solidarity.

Hermeneutic code in the publicist letter presents a problem that is asked in the form of a question:”But why the relatively muted international response to Putin’s outrageous behavior?”-the author writes. In this way, the publicist tries to solve the puzzle, the main task. The correspondent, referring to the incident at the Asia-Pacific summit in Hanoi, implies the shameful fact that Bush irritated Putin when he raised the issue of Georgia. Here rhetorical method, pathos is used in such a way to exert an emotional impact on the audience. Former US Ambassador to the United Nations R. Holbrooke provides the answer to the question himself. However, at the beginning of the article, the author expresses the opinion that the United States will have to give up the issue of Georgia, because it needs Moscow's support in relation to North Korea and Iran, an analogy is the European Union, which will be threatened by Russia in terms of energy supply, in the conclusion part he develops the opposite opinion. He offers solutions through discussing and analysis. From his viewpoint, the Western world should support our country in order to jointly prevent the wrongdoings of the Russian president to protect the small country’s interests. This opinion is confirmed by the author's comment:”If Bush’s freedom rhetoric has any meaning, let him prove it in Georgia, not just with polite calls for mutual restraint, but with real pressure on Moscow and the assembling of a united front with the European Union to make clear to Putin that he must cease his attempts to destabilize Georgia and overthrow Saakashvili.” The above mentioned sentence declares the personal attitude of the correspondent towards our homeland, which carries a certain political idea. This fragment expresses the rhetorical way of logos, which conveys the author's logical argumentative discussion, using the example of the Hanoi incident, establishing a cause-and-effect relationship, and imposing obligations on a competent person, namely the US President J. Bush. In the final part, the author formulates the concept of interculturalism, which lies in the discovery of commonalities among peoples of different origins, rather

than the search for differences and conflicts. R. Holbrooke's vision is based on the principles of equal rights, values and opportunities. It is a technique that seeks to eliminate all the obstacles that hinder interaction and connect different nations, republics, so that people could have a united, peaceful world.

Conclusion

Thus, according to the rhetorical, content analysis, semiological analytical approach, speech acts theory, the research revealed that the image of the state in the publication is based on the cognitive knowledge of the publicist that he has about Georgia and the Georgian people; with his personal attitude (approval, disapproval) and behavioral component, which includes the tendencies of his action towards the Georgian nation. The author knows well what, when, how to convey to the audience the story of another country.

The image of the country is conveyed by showing the internal political-social picture of the state and presenting the role of Georgia in the foreign policy, which the author carries out by marking. The benchmarks clearly reflect the current processes through which R. Holbrooke describes the current state of the Republic and tries to create the right impression on the audience in this way.

In the article, the picture of the state is formed according to rhetorical principles and semiological signs, codes. The author possesses rhetoric as the art of persuasion, discussion and argumentation. He is characterized by the ability of discussing the subject of the publicist letter, "David and Goliath" convincingly. He skillfully uses Aristotle's three ancient means of persuasion: ethos, pathos, and logos. R. Holbrooke's orating is a beautiful combination of signs in the text, verbal persuasion, correct transmission of information, precisely selected phrases, argumentative confirmation.

Therefore, the author constructed the text according to the rhetorical rule. He used only three stages of rhetoric: 1) Invention - created a text appropriate to the audience's request, 2) Disposition - correctly placed the necessary arguments, 3) Eloquence - through it the correspondent selected words, categories, phrases ,figures.

The article uses the strategy of "annihilation", emotional connotations myth-idyll (M. Saakashvili) and myth-nightmare (V. Putin), ideological-ours (M. Saakashvili) and non-ours (V. Putin), fideistic assessments, believe it or not principle (the publicist strongly believes that the President of Georgia can't be defeated by the ruler of the Russian Federation), as well as archetypal opposition, antagonism: the hero (in which the author meant the President of Georgia) – villain (Russian leader), as well as, kind (Georgian leader) and evil (Russian governer, in the form of which the publicist personifies the evil force, its demonization).

The research has shown that the reader icon is neglected in the intercommunication space. The publicist does not use mitigation measures. He purposely employs the speech acts theory, Brown and Levinson's strategies for politeness , in order to emphasize the fact that the relationship among the communicators in a multicultural society , in particular between the presidents of Georgia and Russia is asymmetrical, while among the Americans and Georgians it seems symmetrical .

The research confirms that R. Holbrooke formed the image of Georgia in the publicist text by displaying a portrait of a young political leader. Mr. Saakashvili is a new face of the country,that the publicist painted in real colors. The title shows the publicist's attitude towards the young politician, that his relation to the President of Georgia is positive. He deliberately called the article by the names of biblical characters in order to show in disguise his benevolence towards the pro-Western politician and his country. The tale of David and Goliath reminds us of the story of Saakashvili and Putin. A reader subconsciously thinks that just as David defeated Goliath, Saakashvili will either win over Putin. Here, R. Holbrooke's subtext can also be understood in the following way ,that Georgia won't be defeated by the great Russian Empire, because it has a friend like the United States of America by its side. To the author's mind, the whole article is the struggle of kindness against malice with a happy ending.

Referances

1. Holbrooke ,Richard "David and Goliath, Putin tries to depose a neighbor", the Washington post ,27 November,2006
2. Geis M.L. Speech acts and conversational interaction. Cambridge University Press, 1995

დავითი და გოლიათი, პუტინი ცდილობს მეზობლის ჩამოგდებას

თეონა ყოჩიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, საქართველოს, როგორც დემოკრატიული, დასავლური ტიპის სახელმწიფოს წარდგენის საკითხი ამერიკულ პრესაში. პრობლემის აქტუალობა იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ წარმატებული და პროგრესული რესპუბლიკის იმიჯის გაზრდამ საერთაშორისო ურთიერთობების არენაზე გაამყარა აშშ–სა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ჩვენი ურთიერთობები, რამაც დაძაბა რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსთან. საგარეო პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა ქვეყანა, თავისი პრო–ამერიკული პრეზიდენტით, მ.სააკაშვილით, ახალი მისწრაფებებისა და პრობლემების წინაშე დააყენა, რაც ხშირად შუქდებოდა ინგლისურენოვან ბეჭდურ მედიაში. პრობლემას წარმოადგენს არა მარტო საქართველოს ასახვის საკითხი, არამედ ტექნოლოგიური პროცესი, ჟურნალისტების მიერ შემუშავებული პუბლიცისტური ხერხების გამოყენება საქართველოს იმიჯის ფორმირებისას. ემპირიული წყაროების შესწავლისა და კვლევის ობიექტიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი საკვლევი საკითხები: როგორ არის საქართველო არეკლილი ამერიკულ და ბრიტანულ პრესაში; რა თემებზეა ყურადღება გამახვილებული; რომელი საკითხებით ინტერესდებიან კორესპონდენტები ლიდერის პიროვნული მხარეებით თუ მის მიერ გატარებული პოლიტიკით; რა ტენდენციები ვლინდება მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

სტატიაში გამოყენებულია რიტორიკული და კონტენტ ანალიზი, სემიოლოგიური ანალიტიკური მიდგომა , ასევე კომუნიკაციური ლინგვისტიკისა (ლინგვოპრაგმატიკის) და იმაგოლოგიის მეთოდი.

ქართულ–რუსულ ურთიერთობების თემას ეხება 2006 წლის 27 ნოემბერს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებული რიჩარდ ჰოლბრუკის სტატია „დავითი და გოლიათი, პუტინი ცდილობს მეზობლის ჩამოგდებას".[1] მასში განხილულია ორი ქვეყნის, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების მტრული ურთიერთდამოკიდებულება, მიმდინარე სოციალურ–პოლიტიკური ვითარება აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის, რომლის ფონზე ნათლად იკვეთება ჩვენი ქვეყნის იმიჯი.

კვლევის შედეგების მიხევდით, პუბლიცისტურ ტექსტში ქვეყნის იმიჯი განისაზღვრება შიდა და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობით, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობით, მსოფლიო საერთაშორისო არენაზე მისი მნიშვნელოვანი როლის ხაზგასმით,რასაც პუბლიცისტი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით ახორციელებს. ყურადღებას იპყობს ბიბლიური, მითური პერსონაჟების შემოყვანა, „დავითისა და გოლიათის", როგორც მ.სააკაშვილისა და ვ.პუტინის ამბავი, რომელიც ავტორმა სიუჟეტად გამოიყენა და ტექსტის მთავარ გმირებს მოარგო. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ავტორისეულ საკომუნიკაციო ტაქტიკაზე, სამეტყველო აქტების, სოლიდარობის სისტემის მართებულ შერჩევაზე, პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტების,დეტალი სიმბოლოების სწორ და მართებულ შერჩევაზე, საქართველოს პრეზიდენტის პორტრეტის ჩვენებაზე, რომლის საშუალებით გადმოცემულია სახელმწიფოს რეპუტაციია და იმიჯი საგარეო პოლიტიკაში.

საკვანძო სიტყვები: ქვეყნის იმიჯის ფორმირება, ამერიკული პრესა, რუსეთ–საქართველოს ურთიერთობები, ლიდერის პორტრეტები

1 Richard Holdbrooke, "David and Goliath, Putin Tries to Depose a Neighbour, The Washington Post, November 27,2006

ფოტოჟურნალისტიკის ტრანსფორმაცია და დიგიტალიზაცია ქართული ონლაინ გამოცემების მაგალითზე

ია ჩარკვიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მედიის ციფრული ტრანსფორმირების პროცესის გავლენა ფოტოჟურნალისტიკაზე. ონლაინ მედიის რამდენიმე წარმომადგენელთან ნაწარმოები გამოკითხვის საფუძველზე ნაჩვენებია თუ როგორ შეუწყო დიგიტალიზაციის ფაქტორებმა ხელი ფოტოჟურნალისტიკის, როგორც პროფესიის მატერიალურ, ფინანსურ და პროფესიულ კრიზისს. აუდიტორიის სწრაფი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად როგორ ჩაანაცვლა ილუსტრაციამ რეპორტაჟული ფოტო და შეცვალა რეალობის აღქმა. ამავდროულად ასახულია მსჯელობა ციფრული ფოტოს შესაძლებლობებსა და ფოტოგრაფების წინაშე მდგარ ახალ გამოწვევებზე. სტატია მიმოიხილავს ჟურნალისტური კონტენტის შეცვლილ მახასიათებლებს. მასში გააზრებულია ვიზუალიზაციის განსხვავებული პროცესი. აღნიშნული მიზნით, სტატიაში განხილულია კვლევები (როლან ბარტი, ვლადიმერ სავჩუკი, ვლადიმერ კანდინსკი, ვლადიმერ შიმოლინი, კენეტ კოუბრე, ლარს ბერინგი, სტივენ მეისი) და ქართული ონლაინ მედიების მაჩვენებლები,[1] რომელზე დაყრდნობითაც გამოკვეთილია ფოტოჟურნალისტიკის მდგომარეობა ქართულ ონლაინ მედიაში, ამავე დროს გააზრებულია ფოტოჟურნალისტიკის მომავალი ციფრული ფოტოს პოტენციალის გათვალისწინებითა და მასზე დაყრდნობით.

მსჯელობა მიმდინარეობს იმ ფაქტორებზეც, რომლებიც ინტერნეტით გავრცელებული ქართული ჟურნალისტური ნაწარმოებებისა და მულტიმედია ტექსტის მიმართ აუდიტორიის განწყობებს განაპირობებს და მოცემულია ტენდენციები, რომელთა გააზრება ეფექტიანი და დადებითი შედეგების მომტანი იქნებოდა იმ მედიასაშუალებებისთვის, რომლებიც ქართულ ჟურნალისტურ სივრცეში ვიზუალურ ტექსტზე მუშაობენ და ასევე დადებით გავლენას მოახდენდა ვიზუალური ტექსტის განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: დიგიტალიზაცია, ფოტოჟურნალისტიკა, კრიზისი, ტრანსფორმაცია, ვიზუალიზაცია, ვიზუალური ტექსტი.

[1] http://www.newpress.ge/ https://www.kutaisipost.ge; https://www.radiotavisupleba.ge

შესავალი

წინამდებარე კვლევა ეხება ფოტოჟურნალისტიკის ტრანსფორმაციას თანამედროვე დიგიტალიზაციის პროცესში, ციფრული ფოტოგრაფიის შესაძლებლობებს, ფოტოსა და ფოტოგრაფების ახალ გამოწვევებს, რაც მრავალმხრივი დაკვირვების საგანია. ჩვენ ვცადეთ პასუხი გაგვეცა ძირითადად ორი შეკითხვისათვის:1) რა ადგილი უჭირავს ფოტოჟურნალისტს ციფრულ ონლაინ მედიაში? (დაკვირვების ობიექტად სამი ქართული ონლაინ გამოცემა ავირჩიეთ რეგიონალური რაკურსით). 2) რა კონკრეტული პოტენციალი აქვს ციფრულ ფოტოს?

ჩვენს თვალსაწიერში მოექცა არაერთი ავტორი, რომლებსაც ამ მიმართულებით აქვთ კვალიფიციური კვლევები. ესენია: როლან ბარტი, ვლადიმერ სავჩუკი, ვლადიმერ კანდინსკი, ვლადიმერ შიმოლინი, კენეტ კოუბრე, ლარს ბერინგი, სტივენ მეისი.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე მედიასპროცესებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დიგიტალიზაციის ანუ გამოსახულებისა და ტექსტის გაციფრულების პროცესია. დიგიტალიზაცია (digitalisation) მასმედიის ყველა სახის ინფორმაციის: ტექსტურის, გრაფიკულის, ხმოვანის და ფოტოგამოსახულების ციფრულ ფორმატზე გადასვლაა. ამ ფორმატის შეცვლის შემდეგ შესაძლებელია გაციფრულებული ინფორმაციის უსწრაფესად „ტრანსპორტირება“ ელექტრონული კომუნიკაციის ნებისმიერ არხში.

ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობების ფონზე განვითარებულმა მოვლენებმა ფოტოჟურნალისტიკა მედია ბაზარზე საგრძნობლად შეავიწროვა. შეავიწროვა არა ფოტოგრაფია, ზოგადად, არამედ ფოტოჟურნალისტიკა, როგორც პროფესია. ფოტოჟურნალსიტიკის ტრანსფორმაციის ფაქტორებმა გამოიწვია როგორც მატერიალური (ფოტობანკების დახურვა), ისე ფინანსური და პროფესიული კრიზისი. დღეს რედაქციებს პროფესიონალური ფოტოჟურნალისტიკა კი არა, ილუსტრაცია სჭირდებათ. სხვაობა ციფრული ფოტოსა და ტრადიციული ფოტოს შესაძლებ-

ლობებს შორის დიდია. რა თქმა უნდა ფოტო ყოველთვის გადმოსცემდა სათქმელს, მაგრამ დღეს ფერისა და ფონის ხელოვნურად შერჩევის საშუალებაც არსებობს, რაც ციფრიზაციის პროცესითაა განპირობებული. მწვანე ფონზე შესაძლებელია ნებისმიერი სიუჟეტის დადება, შესაბამისად ხელოვნურად იქმნება სასურველი თუ ილუსტრირებული რეალობა. ასეთი ილუსტრაციის ტექსტთან ფორმალური კავშირის შექმნით მზადდება მასობრივი ინფორმაცია. ციფრიზაციით მისი სწრაფი ტრანსპორტირებაც შესაძლებელია. ამგვარად ციფრული ფოტო აყალიბებს მომხმარებელთა ახალი საზოგადოების თვალთახედვას. ფერისა და ფორმის ურთიერთმიმართების დაფიქსირებით კი ფოტოზე დენოტირებული ინფორმაციის კონოტაციური მნიშვნელობის მინიჭებაცაა შესაძლებელი. შესაბამისად ფოტოჟურნალისტი, როგორც რეპორტიორი თუ ინდივიდუალური ხედვის მქონე პიროვნება თანდათანობით ქრება, რამდენადაც ინფორმაციის სწრაფი გადაცემის მნიშვნელობის ზრდა შთანთქავს სინამდვილის რეალური აღქმის მოთხოვნას.

კვლევის ფარგლებში ჩვენ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ რეგიონში მოქმედ ონლაინ მედია საშუალებებს.[1]

აღმოჩნდა, რომ ცალკე ფოტორეპორტიორის შტატი არც ერთ მათგანს არ აქვს. ფოტოგრაფირებას ეწევიან მწერალი ჟურნალისტები, თუმცა დამატებით ჰონორარს აღნიშნულ სამუშაოში არ იღებენ. შესაბამისად ზემოთ ჩამოთვლილ საიტებზე მრავლად გვხვდება უხარისხო ფოტოები, სადაც არ არის დაცული კომპოზიცია, განსაზღვრული რაკურსი, გამოსახულება ბუნდოვანია, დარ-ღვეულია განათება, კონტრასტი, კადრი არასრულფასოვანია. შეინიშნება რეპორტაჟის, როგორც ჟანრის სრული უგულებელყოფა. ძირითადად გვხვდება ფოტოილუსტრაცია ან პორტრეტი. ხშირია სხვადასხვა სააგენტოს მიერ ერთი და იმავე ილუსტრაციის გამოყენება. როგორც ლარს ბერინგი და სტივენ მეისი აღნიშნავენ, შესაძ-ლოა „ფოტოჟურნალისტიკის კრიზისი მისი მონეტიზაციის სირთულითაცაა განპირობებული“[2], თუმცა ეს თემა სხვა კვლევის საგანია და მას აქ არ შევეხებით.

მონეტიზაციის საპირისპიროდ, იდეური თვალსაზრისით ფოტოს ეფექტი სწრაფია, ერთი კადრით ფოტო ლაკონურად გადმოსცემს მთელი ისტორიული პროცესის განვითარებას, ან პიროვნების მთელ ბიოგრაფიას. ფორმის, ფერის, ჟესტის და ა.შ გამოყენებით შესაძლებელია ერთ კადრში ხანგრძლივი პროცესის გადმოცემა, ან იმგვარი რეალობის შექმნა, რომელსაც ადგილი არ ჰქონია. შესაძლებელია ბიოგრაფიის ან ფაქტის შექმნა, ობიექტურად მისი არსებობის გარეშეც. ანუ რეალობის სიმულაცია გახდა შესაძლებელი. მით უმეტეს, ციფრიზაციის პირობებში. ქართული ონლაინ პლატფორმებზე გაშუქებული რუსული ოკუპაციის ფოტოვერსია ყურადღებას იპყრობს სწორედ პროცესის და არა ერთი მომენტის ჩვენების პოტენციალით.[3]

„imedinews.ge„ 2021 წლის 13 აპრილს, აქვეყნებს ახალ ამბავს, სათაურით: „რუსეთის ოკუპაციის თემაზე ილუსტრაციების კონკურსი გამოცხადდა,“ და ურთავს GIPS-ის (საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკური ინსტიტუტი) ფოტოილუსტრაციას, რომელზეც ჩანს აფიშა, მასზე მსხვილი წითელი შრიფტით წარწერაა - „რუსეთის ოკუპაცია 1921 წლიდან დღემდე. “მსხვილი შრიფტის ზემოთ, ხელნაწერის იმიტაციას ქმნის ციფრი 100. ციფრი მავთულხლართის ფორმისაა, მეორეს მხრივ ჰგავს სისხლიან ნაკაწრს. ასეთი ფორმით ერთი ფოტო იტევს ინფორმაციას 100 წლიანი ოკუპაციის ტკივილისა და მის მიმართ პროტესტის შესახებ.

ადამიანის გრძნობებზე ზეგავლენის ძალით ფოტოგრაფია ემსგავსება ხელოვნებას, ლიტერატურულ ტექსტს, რომელსაც შეუძლია ადამიანის შინაგანი სამყაროს ფორმირება და ქმედების მოტივირება. მხატვრული ტილოს მსგავსად,

[1] http://www.newpress.ge/; https://www.kutaisipost.ge; https://www.radiotavisupleba.ge

[2] https://www.canon.co.za/pro/stories/the-digital-photojournalism-age/

[3] https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/196837/rusetis-okupatsiis-temaze-ilustratsiebis-konkursi-gamotskhadda

რომელიც რეალობის ანაბეჭდია, მაგრამ, როგორც ფერმწერი და ხელოვნების თეორეტიკოსი ვ. კანდინსკი აღნიშნავს, თვით ამ რეალობაზე დიდი მნიშვნელობა აქვს,(https://www.wassilykandinsky.ru) ფოტოც, რეალურ ფაქტთან შედარებით დიდი ზემოქმედების ძალის მფლობელია და სასურველი გზავნილების გადაცემის საშუალებას იძლევა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ **თანამედროვე ციფრულ ფოტოს ხელეწიფება ისტორიული და სიმბოლური შინაარსის შერწყმა ერთ ტექსტში.** ციფრულმა ეპოქამ თითქოს შეკრიბა და ერთ სივრცესა და დროში განალაგა სხვადასხვა დროს შექმნილი სამეცნიერო ნარატივი. ამ შესაძლებლობების განვითარებას წინ უსწრებდა გასული საუკუნე თავისი სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი კატაკლიზმებით, რომელიც მხატვრების, ფოტოგრაფების, თეორეტიკოსებისა და მკვლევრებისათვის ადამიანური აზროვნებისა და ფანტაზიისათვის უზღვავ მასალას იძლეოდა. შესაბამისად, სწორედ მე-20 საუკუნე გახდა უამრავი ჟანრის ჩამოყალიბების სტიმულატორი, რამაც ბიძგი მისცა ახალ კვლევებს ფერისა და ფორმის, სიმბოლოსა და ნიშნის კოდირებისა და დეკოდირების და ა.შ. მიმართულებით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კონცეპტი კი თავს იყრის ახალ ციფრულ ფოტოში, როგორც ხანგრძლივი გამოცდილების ერთიანი შედეგი. ამგვარად ხელოვნებისა და ტექნოლოგიური მიღწევების ინტეგრაციით ვღებულობთ ახალ ფოტოგრაფიას. თუმცა ბარტის თანახმად რეალობის მხოლოდ სცენური გამოსახულებაა თვით ფოტორეპორტაჟიც კი. ამგვარად რეპორტაჟული ფოტოც კი შეიცავს სუბიექტივიზმის მომენტს, რადგან ერთი და იგივე ობიექტი სხვადასხვა გვარად აღიქმება სხვადასხვა კუთხიდან, მით უმეტეს სხვა და სხვა ინდივიდის მიერ. დოკუმენტალური და მხატვრული ფოტოს სიცოცხლისუნარიანობა მსჯელობის საგანია თანამედროვე მსოფლიოში. ფოტოგრაფი სტივენ მეისი 2015 წლის ჟურნალ „თაიმსის“ ნომერში წერდა: „ჩვენ მოვიხედავთ უკან და გავიხსენებთ შავ-თეთრ ფოტოგრაფიას, როგორც მაშინდელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მარტივ და არასრულფასოვან წყაროს, რომელიც აჟღერებდა სიმართლეს თითქმის ასწლეულის განმავლობაში“.[1]

დასკვნა

დროის შეკუმშვასთან ერთად საჭიროებამ ინფორმაციული ნაკადისთვის ფორმის შეცვლაც მოითხოვა. ვერბალური ინფორმაციის სულ უფრო შემცირების პარალელურად ვიზუალიზაცია იკავებს წამყვან ადგილს მასობრივ საინფორმაციო სისტემაში. ამ ფონზე იზრდება ფოტოს მნიშვნელობა, მაგრამ რჩება თუ არა ადგილი ფოტოჟურნალისტისა თუ ფოტოკორესპონდენტისათვის, როგორც რეალობის აღმქმელისა და დამფიქსირებლისათვის? ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ინფორმაციის სწრაფად მიწოდებისა და მიღების საჭიროებამ შეზღუდა ნამდვილი რეალობა ამ ინფორმაციაში. ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორი და ფოტოგრაფ-დოკუმენტალისტი პოლ სტრენდი „სწორი ფოტოგრაფიის“ (Straight photography), კონცეფციაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ „ახალი ობიექტურობა“ და ნამდვილი ფოტოგრაფია შეინარჩუნებს იმ უნიკალურ კოდს, რითაც იგი მიემაგრება თანამედროვე „ხარისხიან“ პრესას და იქნება რეალური სამყაროს ყველაზე ეფექტური ვიზუალურ-სემანტიკური საშუალება, რომლის გარეშეც თანამედროვე ჟურნალისტიკა წარმოუდგენელია. ამ დამაიდებელი პროგნოზის ფონზე კი კრიზისული ნიშნების მიუხედავად, მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დღეს ფოტოჟურნალისტიკამ უნდა სცადოს, იპოვოს საკუთარი ადგილი თანამედროვე ციფრულ სამყაროში.

1 https://www.theartstory.org/movement/straight-photography/history-and-concepts/

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლარს ბერინგი და სტივენ მეისი საუბრობენ ფოტოჟურნალისტიკის და WPP მომავალზე. https://www.canon.co.za/pro/stories/the-digital-photojournalism-age/
2. ტულერი დევიდ, ახალი ამბები პიროვნული რაკურსით.2005, თბილი. ახალი მედია. 2006.თბილისი.
3. ვ.ი შიმპოლინი, 2019, https://elar.urfu.ru/handle/10995/71925 Фотожурналистика в эпоху цифровых перемен и глобализации информационного пространства
4. ВИЛЕМ ФЛУСЕР ЗА ФИЛОСОФИЮ ФОТОГРАФИИ. Издательство. С-Петербугского университета. 2008. https://docplayer.com/34538-Za-filosofiyu-fotografii.html
5. ВАЛЕРИ САВЧУК ФИЛОСОФИЯ ФОТОГРАФИИ Издательство. С-Петербугского университета 2005. http://mediaphilosophy.ru/library/books/Savchuk_FF.pdf
6. Барт Р. Основы семиологии // Барт Р. Нулевая степень письма. – М.: Академ, 2008. 6. http://socium.ge/downloads/komunikaciisteoria/bart.pdf
7. Straight Photography. https://www.theartstory.org/movement/straight-photography/history-and-concepts/

Transformation and digitization of photojournalism on the example of Georgian online publications

Ia Charkviani, PhD student
Georgian Technical University

Summary

The present study deals with the transformation of photojournalism in the modern digitalization process, the possibilities of digital photography in the convergent and multimedia world, the new challenges of photography and photographers.

The specific task of a scientific article is:

Understand the role of photojournalism in the context of digitalization and outline its function in convergent editing.

The study of the transformation of photojournalism in the process of digitalization is the subject of multifaceted observations. We tried to answer two main questions:

1) What is the place of a photojournalist in digital online media? (We chose three Georgian online publications with a regional perspective as the object of observation).

2) What is the specific potential of digital photography?

We have seen a number of authors who have qualified research in this area. They are: Roland Barthes, Vladimir Savchuk, Vladimir Kandinsky, Vladimir Shimolini, Kenneth Kubre, Lars Bering, Stephen Macy.

Developments in the context of digital technology capabilities have severely curtailed photojournalism in the media market. Narrated not photography in general but photojournalism as a profession. Photojournalism transformation factors have led to both material (closure of photo banks) and financial and professional crises. Today, editorial offices need illustration, not professional photojournalism.

Despite the crisis signs, due to its capabilities, today photojournalism is trying to find its place in the modern digital world. Photojournalism, like other fields of print media, has been transformed and transformed significantly.

Research has shown that modern digital photography succeeds in combining historical and symbolic content into a single text. The digital age seems to have gathered and arranged the scientific narrative created at different times in one space and one time. The development of these capabilities was preceded by the last century with its socio-political and social cataclysms, which provided invaluable material for human thought and imagination for artists, photographers, theorists and researchers. Consequently, it was the 20th century that became the stimulus for the formation of numerous genres, which gave impetus to new studies of color and shape, coding and decoding of symbols and signs, and so on. In the direction of. All of the above concepts even come together in the new digital photo as a unified result of long experience.

Keywords: Digitization, Photojournalism, Crisis, Transformation.

ქართული მედია გლობალიზაციის ეპოქაში და დეზინფორმაციის რისკები

თამარ ჭეჟია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გლობალური მედიაგარემოს შექმნასთან ერთად ჟურნალისტური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების და გავრცელების ტექნიკა მულტიმედიური პროდუქტის წარმოებას ეფუძნება, ის 21 საუკუნის ტრენდია, რომელიც გლობალური ქსელის დადგომასთან ერთად გაჩნდა. ციფრული კონცეფტების შემოსვლამ მედიასივრცეში განაპირობა მედიაკონცერნების, ახალი მედიის განვითარება და სამოქალაქო ჟურნალისტიკის ჩამოყალიბება. თანამედროვე საინ-ფორმაციო ,,მედიამიქსი'' ბევრად ნაკლებ ობიექ-ტურ ჟურნალისტურ ინფორმაციას შეიცავს - მიკერძოებული რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) გზავნილები ჭარბობს გავრცელებულ ნიუსებში. არსებული ვითარება იწვევს ტაბლოიდური ტიპის მედიის დომინანტურ გაფართოებას, რომელიც გვთავაზობს ჟურნალისტური შინაარსის, სარეკლამო და პიარ-მასალების ნაზავს და მისი გადაცემისთვის ექსკლუზიურად გამოყენებულ მანიპულაციის მოდელებს; საბოლოო ჯამში, მედია სფერო, თავისი სოციალური როლის გაცნობიერებით, ნაკლებად „ემსახურება“ მოქალაქეს. ვირტუალური საკომუნიკაციო არხების - (რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი, მობილური ტელეფონი) და საქმიანობის ახალი სფეროების (ინფოგრაფიკა) გაჩენა ახალი ტექნიკური და მომსახურე პროფესიების გაცოცხლებას იწვევს, რომლებიც მთლიანად ცვლის ჟურნალისტიკას. ახალი მედიის აღზევებამ და მედიბაზარზე ციფრული მოთამაშეების შემოსვლამ გზაგასაყარზე დააყენა ტრადიციული მედია. კლასიკური მედია, რადიო და ტელევიზია მნიშვნელოვან ტრანსორმაციას განიცდის ციფრული ტექნიკის შემოჭრით. კონვერგენციული პროცესები ქართულ მედიასაც შეეხო და ის გლობალური კულტურის ნაწილად იქცა.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, მედიაბიზნესი, დეზინფორმაციის რისკები, მედიაეკონომიკა, ჟურნალისტური ეთიკა.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე მედიაში არსებული პრობლემების სირთულე, მისი მრავალკომპონენტიანი ბუნება და ბაზარზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა კიდევ ერთხელ გვახსენებს იმას, რომ მსოფლიოს ჟურნალისტური ეთიკის ნორმების სრული დაცვით მომუშავე მედია ესაჭიროება. დღის წესრიგში დადგა ჟურნალისტური ეთიკის მოხმობის, ინფორმაციის სანდოობის და გადამოწმების საკითხი. მედია ნდობას კარგავს და სოციალურ ქსელებში ბევრი საეჭვო კონტენტი ვრცელდება, ადამიანები ინფორმაციის დიდ ნაკადში სანდო წყაროებს ეძებენ. ინტერნეტით გავრცელებულ დეზინფორმაციის მომატებულ რისკებზე საუბრობს მსოფლიო მედიის დიდი ნაწილი და პროფესიონალი ჟურნალისტების ფასეულობათა გამყარება თანდათან უფრო შესამჩნევი ხდება, განსაკუთრებით, კოვიდ პანდემიის პერიოდში.

ტექნოლოგიური ცვლილებებისა და გარდაქმნების ეპოქაში ქართული მედია-ინდუსტრია არაერთი გამოწვევის წინაშე დადგა. ის ახლებურად იაზრებს მედიის ფუნქციონირების განხორციელების გზებს. ციფრული და ახალი მედიის პრინციპებზე დაფუძნებული 21 საუკუნის მედიაინდუსტრიის აუცილებელი მოთხოვნაა როგორც მედია-ეკონომიკის, ისე მედიამენჯემენტის ღრმა და სისტემური ცოდნა საინტერესო, კითხვადი, სანდო და ეფექტური საინფორმაციო პროდუქტის შესაქმნელად. მასმედიის კულტურული და ეპოქალური ცვლილებები, ტექნოლოგიური პროცესების, ინტერნეტის განვითარების საინტერესო ეტაპს, მედიის მკვლევართა მიერ პოპულარულ ბიზნეს-მოდელად აღიარებულ, ვებ-2.0 -სისტემის დანერგვას უკავშირდება.

გლობალურ მედიასისტემაში მიმდინარე ტექნიკურმა და კონვერგენციულმა პროცესებმა განაპირობა ბეჭდური გამოცემების ინტერნეტ-ვერსიების გამოჩენა, უფასო და ფასიანი კონტენტი, სააბონენტო და საცალო გადახდა, პროფესიული და სამოქალაქო ჟურნალისტიკის დამკვიდრება. მიუხედავად ამ სირთულეებისა, მედიაკომპანიები აწარმოებენ ბიზნესს; ტელევიზიას, ბეჭდურ გამომცემლობას, რადიომაუწყებლობას, მუსიკას და ფილმს აქვს თავისი ეკონომიკური ნიუანსი და განსხვავებულო მოდელები, რომელიც ემყარება ერთ ფუნდამენტურ იდეას - ფინანსური შე-

მოსავლების ზრდას მედიაკომპანიებში, მომხმარებლებისგან ან რეკლამიდან. წიგნების ტრადიციული გამომცემლები, რომლებიც პრაქტიკულად ფულს შოულობენ თავიანთი პროდუქციის მომხმარებლებზე გაყიდვით, სააბონენტო გადასახადებთან ერთად. საკაბელო და სამაუწყებლო არხები ძირითადად მედიის შემოსავლის სხვადასხვა ნაზავს და რეკლამიდან დაფინანსებას ეყრდნობა. ჟურნალები და გაზეთები ასევე მოხვდნენ საშუალო დონის კატეგორიაში; თუმცა ონლაინ-კლასიფიცირებულმა რეკლამამ ბოლო წლებში ბეჭდური გამოცემების მნიშვნელოვანი შემოსავლების ნაკადის დაკარგვა გამოიწვია. მედიის და კომუნიკააციის მკვლევარები ბიზნეს მოდელებს სამ ზოგად კატეგორიად ყოფენ: მონოპოლია, ოლიგოპოლია და მონოპოლისტური კონკურენცია. სამი ძირითადი მედია ბიზნესმოდელიდან მონოპოლია, ალბათ, ყველაზე ნაცნობია მკითხველისთვის. ამ მიმართულებით არც ქართული მედიაბიზნესი აღმოჩნდა გამონაკლისი - ის მონოპოლიური მახასიათებლებით გამოირჩევა.

ქართული მედიის საქმიანობასთან დაკავშირებით ბევრი პრობლემური კითხვა ჩნდება, პირველ რიგში ეს ეხება ეთიკის საკითხებს, მედიის, როგორც მომგებიანი ბიზნესის გააზრებას, მის ურთიერთობას ხელისუფლებასთან, დამფინანსებელთან, საზოგადოებასთან და საზოგადოებაზე ზეგავლენისა და მედიის ძირითადი ფუნქციების შესრულების საკითხს.

მედიის ფუნქცია და მისი უპირველესი მისიაა კომუნიკაციის თავისუფლების გამოყენება, სწორედ ეს თავისუფლებაა ერთ-ერთი იმ რამოდენიმე ე.წ. „აბსოლუტურ“ უფლებათაგანი, რომლის საჭიროებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მედიის თავისუფლება საზოგადოებისთვის თავისუფალი სრულიად დაბალანსებული, ამომწურავი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს. ასეთი სახის თავისუფალი სისტემა წარმოადგენს ფუნქციონირებადი დემოკრატიის მთავარ წინაპირობას.

მედიის გავლენა მნიშვნელოვნად განაპირობებს ინფორმაციით უზრუნველყოფის ფუნქციას, რომელიც საზოგადოებისთვის ღირებული და ობიექტური ინფორაციით უზრუნველყოფაში გამოიხატება. სწორედ მედია განსაზღვრავს საზოგადოებს დღის წესრიგს. დღეს ის მსხვილი ბიზნესების ხელშია, რომლის მიზანს საზოგადოებრივი სამსახური არ წარმოადგენს. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის მილტონ ფრიდმანის აზრით, „ბიზნესის უპირველესი და ერთადერთი სოციალური მოვალეობა მოგების გაზრდაა.“

ცხადია, რაც უფრო მეტი ფინანსური რესურსი აქვს მედიას, მით უკეთეს სამსახურს შესთავაზებს ის საზოგადოებას. მაგრამ საზოგადოებრივ ინტერესებს შეიძლება, საფრთხე დაემუქროს. როცა მედიას კონგლომერატი შთანთქავს, ხდება უზარმაზარი პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრირება მცირერიცხოვან ადამიანთა ხელში, რომელთა მთავარ მიზანს საზოგადოების ინფორმირება არ წარმოადგენს.

მასმედიის ინტიტუტების ევოლუციამ და ტექნიკურმა პროგრესმა ხელის შეუწყო ამ ინსტიტუტების დიდ ეკონომიკურ ორგანიზაციებად ჩამოყალიბებას. საბოლოო ჯამში კი მასობრივი კომუნიკაციის ტრანსნაციონალური კონგლომერატების შექმნას. მასმედია ახლაც დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან და ლიბერალურ ღირებულებებზე დგას, მაგრამ მედიაიმპერიაში დიდი რაოდენობის კაპიტალის დაგროვებამ ხელი შეუწყო საქმიანობის ახალი, სრულიად განსხვავებული მექანიზმების შექმნას, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ძალაუფლებასა და მედიას შორის არსებულ ურთიერთობებთან, ის განსხვავდება მედიის ტრადიციული გაგებისგან.

ასევე მტკივნეული თემაა ჟურნალისტური საქმიანობის დამოუკიდებლობა (სარედაქციო დამოუკიდებლობა). საქმიანობის ეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარე, ნებისმიერი მედიამფლობელი ცდილობს საკუთარი ბიზნესინტერესების მიხედვით მიმართოს მედიასუბიექტების საქმიანობა. ჟურნალისტურ საქმიანობაზე კონტროლი, გამონაკლისი არაა ჩვენი ქვეყნისათვის. იგი დამახასიათებელია დემოკრატიული ქვეყნებისთვისაც.

მედიის მკვლევარები ბოლო დროს ქართულ მედიაბაზარზე არსებულ დეზინფორმაციის გლობალურ რისკებზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც GDI-სა და მედიის განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული კვლევებით გამოვლინდა. (GDI)- ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციაა და თავის საქმიანობას სამი პრინციპით წარმართავს - ნეიტრალობა, დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა. დეზინფორმაციის გლობალური ინდექსი (GDI) უზრუნველყოფს მსოფლიოს მედიასაიტების რისკის რეიტინგების შეფასებას. საქართველო მისი მრავალფეროვანი გარემოს გამო შეირჩა. ბაზრის და პოლიტიკური ინტერესების ზეგავლენით ჩამოყალიბებულ ქართულ მედიაში დეზინფორმაციის რისკები იკვეთება, შესწავლილი 24 ქართული საიტიდან მხოლოდ ერთი საიტი www.

on.ge შეფასდა დაბალი დეზინფორმაციის რისკის მქონედ. მედიის მკვლევარები ქართული საიტების დეზინფორმირების რისკს საოპერაციო კონტროლის და დაბალანსების მექანიზმების არარსებობას უკავშირებენ. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ფეისბუქზე, აღსანიშნავია არაავთენტური ქცევა სოციალურ ქსელში და ხელოვნური ინტელექტის ბოროტად გამოყენება. მედიის ექსპერტებმა ამ საკითხებთან დაკავშირებით საიტებს, რეკლამის დამკვეთებს და სარეკლამო ტექნოლოგიების დამკვეთებს დისკუსიისკენ მოუწოდეს და მიუთითეს იმაზე, თუ როგორ გამოიყენონ რისკის რეიტინგები საქართველოში დამოუკიდებელი, მრავალფეროვანი და სანდო მედიის დასაფინანსებლად.

GDI-სა და მედიის განვითარების ფონდის მიერ ქართული მედიალანდშტაფტის შეფასების შედეგად ისეთი ტენდენციები გამოვლინდა, როგორიცაა ბოლო დროს ჟურნალისტებზე გახშირებული თავდასხმები, არაეფექტური გამოძიებები, მკვეთრად პოლარიზებული მედიაგარემო, სიძულვილის ენა.

ზემოთ ჩამოთვლილი ტენდენციები არათუ საქართველოში, არამედ მსოფლიო მედიაში შეინიშნება. ჟურნალისტები მედიაში გაბატონებულ კრიზისზე სუბრობენ. მას შემდეგ, რაც მსოფლიოში პანდემია დაიწყო, ავტოკრატიულმა მთავრობებმა მთელ მსოფლიოში გააძლიერეს კონტროლი ინფორმაციის ნაკადზე. ეს ფაქტი „მედიის გატაცების“ მცდელობად შეფასდა. მთავრობები, კორპორაციები და სხვა ძლიერი სტრუქტურები ცდილობენ გავლენა მოახდინონ მედიაპროდუქტებზე მათი ინტერესების დასაცავად. მაგალითად თურქეთში, რომელსაც მსოფლიოში ჟურნალისტების დაპატიმრების ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს, პრესაზე გაგრძელებულმა სისტემატურმა თავდასხმებმა პრაქტიკულად მოსპო დამოუკიდებელი მედია. როგორც ჟურნალისტები აცხადებენ, პრეზიდენტ ერდოღანის მთავრობამ გამოიყენა პანდემია, როგორც საბაბი დარჩენილი საინფორმაციო საშუალებების ჩასახშობად. „პანიკის გავრცელების“ და „არაოფიციალური“ ინფორმაციის ბრალდებით რამდენიმე ადგილობრივი ჟურნალისტი დააკავეს მას შემდეგ, რაც გამოაქვეყნდა სტატიები COVID-19 ინფექციების და გარდაცვალების შესახებ. ერდოღანის თქმით, თურქეთი უნდა გაიწმინდოს არა მხოლოდ კორონავირუსისგან, არამედ „ვირუსებისგან მედიასა და პოლიტიკაშიც“. ანალოგიურ ფაქტებს აფიქსირებენ ჟურნალისტები უნგრეთშიც, სადაც 400-ზე მეტ მედიასაშუალებას დიდწილად ვიქტორ ორბანის მთავრობა აკონტროლებს. დარჩენილი რამდენიმე დამოუკიდებელი საინფორმაციო ორგანიზაციის უმეტესობამ ღია წერილი გავრცელა, სადაც დაადანაშაულა მთავრობა, რომ არ აძლევდა მათ უფლებას ღიად გაეშუქებინა COVID-19-ის გავრცელება. ამ მედიასაშუალებებიდან ბევრი გადარჩენისთვისაც კი იბრძვის. უნგრეთში, ერთ-ერთმა ლიბერალური ახალი ამბების რადიოსადგურმა, Klubradio-მ მაუწყებლობა შეწყვიტა და სიხშირეზე უფლება დაკარგა, რადგან ორბანმა გაზარდა ზეწოლა მედიაზე, რომელსაც მისი მომხრეები აკონტროლებენ. ასევე, პოლონეთში, მთავრობამ პრესის თავისუფლების აღკვეთისა და მედიის პლურალიზმის შესუსტების მიზნით COVID-19 კრიზისის ხარჯების დასაფარად მედიას სარეკლამო შემოსავლებიდან ახალი გადასახადი დაუწესა. ამ შემთხვევაში, დამოუკიდებელმა მედიამ შეძლო და საპასუხო ბრძოლა გამოუცხადა პოლონეთის მთავრობას - მოაწყო 24-საათიანი საინფორმაციო გაფიცვა, რამაც აიძულა მთავრობა გადაეხედა სამთავრობო პროექტებისთვის. ხელისუფლებამ აიძულა ციფრული პლატფორმები, როგორიცაა Twitter, წაეშალა პოსტები, რომლებიც აკრიტიკებდნენ სამთავრობო სტრუქტურებს და მათ ქმედებებს პანდემიის დროს. როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, ეს ხაზს უსვამს მედიის გატაცების მზარდი პრობლემის კიდევ ერთ, მაგრამ ნაკლებად თვალსაჩინო ასპექტს, ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ავტოკრატიული ან რეპრესიული რეჟიმების მქონე ქვეყნებით. დღევანდელ ტექნოლოგიურ გიგანტებს აქვთ უზარმაზარი ძალა და გავლენა ინფორმაციაზე, რაც ძირს უთხრის მედიის უნარს, შეასრულოს თავისი ფუნქცია და იყოს დემოკრატიის დამკვირვებელი. პრობლემა უფრო შორს მიდის, ტექნიკურმა კომპანიებმა სარეკლამო ბაზარიც დაიპყრეს. ბოლო მოხსენებების თანახმად, ინტერნეტში სარეკლამო სივრცის 86% იყიდება „სარეკლამო ბირჟაზე“, რომელსაც Google და Facebook აკონტროლებენ. ტექნიკური გიგანტები გახდნენ კარიბჭეები, რომლებიც წყვეტენ, თუ რომელ შინაარსს (კონტენტს) მიექცეს მეტი ყურადღება. საზოგადოებრივ აზრზე კონტროლის მოსაპოვებლად, ტექნიკური კომპანიები იყენებენ "წვდომის ჟურნალისტიკის" ტაქტიკას, რომელსაც უოლ სტრიტი ადრე იყენებდა ხელსაყრელი მედიის გაშუქების ხელშეწყობისთვის. უფრო მეტიც, მათ უზარმაზარი დაფინანსება გაუწიეს მედია სექტორს, მათ შორის ერთობლივი ღონისძიებებითა და კონკრეტულ საინფორმაციო სააგენტოებთან პარტნიორობით. ამ მცდელობებმა კულმინაციას

COVID-19 კრიზისში მიაღწია, როდესაც სოციალურმა პლატფორმებმა, Facebook-მა და Google-მა გადაუდებელი დაფინანსება მიაწოდეს საინფორმაციო ორგანიზაციებს. მაგალითად, Google-მა ლიცენზირების პროგრამა შემოიღო, რათა „გადაუხადოს გამომცემლებს მაღალი ხარისხის კონტენტისთვის", დაეხმაროს მათ „მათი შინაარსის მონეტიზაციაში შინაარსის გაუმჯობესებული შესაძლებლობებით". მიუხედავად ამისა, როგორც ჟურნალისტები ანია შიფრინი და ნიკოლა პოპი აღნიშნავენ, მედია ლანდშაფტი აგრძელებს განვითარებას და ჟურნალისტიკის დასაცავად ბრძოლა მრავალ ფრონტზე გაგრძელდება; როგორც COVID-19 კრიზისმა აჩვენა, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე დამოუკიდებელი მედიისთვის ეს შეიძლება იყოს სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა.

რას შეეხება ქართულ მედიას, GDI-ის კვლევის თანახმად, ყოველი მეხუთე ქართველი მედიას არ ენდობა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ მედია საიტებს არა აქვთ საოპერაციო და სარედაქციო კონტროლის და დაბალანსების მექანიზმები. საიტების უმეტესობა არ აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას მათი დაფინანსების წყაროების, სარედაქციო დამოუკიდებლობის და მფლობელების შესახებ. მათი შეფასებით, მედიის მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა ძალიან ლიბერალურია, ხოლო ანგარიშვალდებულების წესები და თვითრეგულირების მექანიზმები სუსტი. საქართველოში სიახლეებს უმთავრესად ტელევიზიების მეშვეობით ეცნობიან. ბოლო საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 85% ახალი ამბების პირველად და მეორად წყაროდ ტელევიზიას ასახელებს. ინფორმაციის მიღების მეორე წყარო ინტერნეტი და/ან ფეისბუკია, საიდანაც ინფორმაციას თითქმის ყოველი მეოთხე ღებულობს. მომხმარებლები ყველაზე ხშირად შედიან ისეთ საინფორმაციო პორტალებზე, როგორიცაა www.ambebi.ge და www.ipn.ge, რომელთაც „პალიტრა მედია ჰოლდინგი" ფლობს, ასევე აღსანშნავია www.on.ge, რომლის თანამფლობელები არიან „ომედია ჯგუფი" და „ფორმულა პროესკო ფროდაქშენი. - ,,ბევრ საიტს არა აქვს შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც გააძლიერებდა საოპერაციო და სარედაქციო კეთილსინდისიერების ხარისხს. ამის შედეგია ბაზარზე საკვლევად შერჩეული ჯგუფის უკიდურესად დაბალი 12 ქულა.'' - აღნიშნავენ GDI-ის მკვლევარები.

დასკვნა

თანამდროვე მედიის მკვლევართა შეფასებები და მრავალდისციპლინარულ სისტემაზე ორიენტირებული პერსპექტივა კიდევ ერთხელ მიუთითებს მედიამეწარმეებს და მედიაპოლიტიკის შემქმნელებს იმის გასარკვევად, თუ ოოგორ უნდა მართონ თავიანთი კომპანიები გარემოში, რომელსაც ხშირად მონოპოლისტური ინიციატივები ემუქრება, რასაც ციფრული პლატფორმები ან/და სამთავრობო ჩარევები იწვევს. ციფრული პლატფორმების გამოყენება განვითარებად ბაზრებზე მედიამეწარმეებს არამხოლოდ ახალ შესაძლებლობებს უქმნის, ის ეთიკურ საკითხებსაც აყენებს მათ წინაშე.

სამთავრობო კონტროლი მედიაზე, გავლენები ინფორმაციის ნაკადსა და მედიაპროდუქტებზე მათი ინტერესების დასაცავად, სახელმწიფო მიდგომები მედიის მიმართ ფინანსური მხარდაჭერისა და ამავე დროს ხელის შეშლის და მასზე ზეწოლის კუთხით, მწვავედ აისახა მედიაზე. მიმდინარე ტენდენციებით საფრთხე ექმნება ჟურნალისტის საქმიანობას, თავისუფალი სიტყვის და აზრის გამოხატვის ნებას; ეს ასპექტები ხაზს უსვამს მედიის კრიზისს და მზარდი პრობლემების არსებობას, როგორც მსოფლიო, ასევე ქართულ მედიაში.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. G.S Melnik, A.N. Teplyashina. თანამედროვეობისა და ჟურნალისტიკის აქტუალური პრობლემები // მასმედია გლობალიზაციის კონტექსტში: გლობალიზაციის, გლობალიზმისა და ტრანსფორმაციის ურთიერთობა. SPb., 2005 წ
2. Historical https://saylordotorg.github.io/text_understanding-media-and-culture-an-introduction-to-mass-communication/s16-economics-of-mass-media.html
3. მარინე ვეკუა, ჟილ რუე., ,,ჟურნალისტიკა''., თბილისი, 2013 .გვ: 98
4. მრავალფეროვნება - სახელმძღვანელო სამართლებრივი პრინციპები ქართული მედიისთვის. მედიის მრავალფეროვნების ინსტიუტი. 2005 გვ:30
5. მედია ბაზრის რისკის რეიტინგები: საქართველო. www.disinformationindex.org
6. https://www.project-syndicate.org/. Media Capture Under Cover of COVIDJul 8, 2021. NICOLE POPE, ANYA SCHIFFRIN; ნანახია: 09.12.2021. 10:15pm
7. C. Dal Zotto & A. Omidi . Nordic Journal of Media Management Issue 1(2), 2020, DOI: 10.5278/njmm.2597-0445.5234 Platformization of Media Entrepreneurship: A ConceptualDevelopment. https://www.researchgate.net/publication/341820897

Georgian Media in the Age of Globalization and Risks of Misinformation

Tamar Chezhia, PhD student
Georgian Technical University

Summary

With the creation of a global media environment, the techniques of obtaining, processing and disseminating journalistic information are based on the production of a multimedia product, a 21st century trend that has emerged with the advent of the global network. The introduction of digital concepts into the media space has led to the development of media concerns, new media, and civic journalism. Modern news media mix contains much less objective journalistic information - biased advertising and public relations (PR) messages prevail in the news. The current situation leads to the dominant expansion of the tabloid type of media, which offers a mix of journalistic content, advertising and PR materials and manipulation models used exclusively for its transmission: in the end, the media sphere, realizing its social role, less "serves" the citizen. The emergence of virtual communication channels - (radio, television, internet, mobile phone) and new fields of activity (infographics) will lead to the revival of new technical and service professions that will completely change journalism. The rise of new media and the entry of digital players into the media market has put traditional media at a crossroads. Classical media, radio and television are undergoing a significant transformation with the invasion of digital technology. Convergence processes have also affected the Georgian media and it has become part of global culture.

Keywords: Globalization, Media Business, Risks of Misinformation, Media Economy, Journalistic Ethics.

ფილოლოგია

PHILOLOGY

ფორმა მუამა და „აბდულმესიანის“ პროგლემა

მურმან თავდიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

უცნაური სალექსო ფორმა ,,მუამა“ XV საუკუნის სპარსულენოვან პოეზიაში ჩაისახა და დამკვიდრდა. მისი არსი ასეთია: გვაქვს ჩვეულებრივი ლირიკული ლექსი ან სახოტბო პოემა. მასში ერთგან ანდა ალაგ-ალაგ ჩართულია, ლოგიკის თვალსაზრისით, სრულიად გაუგებარი სიტყვებითა და ტაეპებით გამართული ცალკეული სტროფები ან კიდევ ცალკეული სტროფების პირველი ან მეორე ნახევარი; ისეც ხდება, როდესაც სტროფის სტრიქონთა პირველი კარედია გაუგებარი ანდა მეორე კარედი; კიდევ მეტი: ხანდახან პოეტური აზზაცის პირველი დასაწყისი და დასასრული სიტყვებია გამოუცნობი და გაუგებარი. ფაქტობრივად ესაა ყურისათვის სასიამოვნოდ მოსასმენი უაზრო ბგერებისაგან შედგენილი სიტყვები. აქ წინ მოიწევს სრული ფორმალიზმი, რადგან რიტმი და მეტრი დაცულია, სიტყვიერი მუსიკა სასიამოვნოდ შესასმენია, ოღონდ აზრის ამოკითხვა შეუძლებელია. მუამის კლასიკური ნიმუში გვაქვს XVII საუკუნის ცნობილი პოეტის იაკობ შემოქმედელის საკმაოდ ცნობილ პოემაში, რომელიც ეხება ქრისტიანებისა და მუსლიმების რელიგიურ კამათს და სადაც არის ცდა, დამტკიცდეს ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობა მაჰმადიანურთან შედარებით. ეს პოლემიკური პოემა მეფე გიორგი მეთერთმეტის ბრძანებით შეთხზა ავტორმა 1670-იან წლებში. სწორედ ქვემორე მოყვანილ სანიმუშო მუამურ სტროფშია გამხელილი საიდუმლო, რომ, თურმე, მუამის ამდაგვარი ახლებური ფორმა პირველად შემოიღო იაკობ შემოქმედელმა. აი, ეს საინტერესო პოეტური ადგილი პოლემიკური პოემისა:

აბანაკად, აბანაკად, აბანაკად, აბანაკად,
იაგუნდად, იაგუნდად, იაგუნდად, იაგუნდად,
ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად,
ესე დასად, ესე დასად, შემოვიღე ესე დასად.

შემდეგ გავრცელდა იგი ირანის მომიჯნავე ქვეყნებში. ჩვენთან განსაკუთრებით გაძლიერდა XVII ასწლეულში. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მანამდე არარსებული ეგ ფორმა და ხერხი ჭაჭანებდეს XII საუკუნის მგოსნის იოანე შავთელის ,,აბდულმესიანში“. არადა, ძველ მეცნიერთა მიერ ,,აბდულმესიანად“ შერაცხულ 107 სტროფიან ხოტბაში მკაფიო მუამის ნიმუში გვაქვს. ესე იგი, ეგ პოემა არ გახლავთ XII საუკუნის ძეგლი. იგი XV საუკუნის აქეთა ეპოქებს მიეკუთვნება. ამიტომაც ვამბობთ: ეგ ქება შეთხზა შემოქმედის მიტროპოლიტმა იაკობ დუმბაძემ 1661 წელს და მასში ხოტბა შეასხა იმერეთის ტახტზე ასულ 14 წლის ყმაწვილკაცს არჩილ მეფეს. სწორედ ეს დროა **მუამის** აყვავებისა და აფეთქების ხანა საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: მუამა, სალექსო ფორმა, სალექსო სტროფი, ირანული პოეზია.

შესავალი

ლექსითი ნაწარმოების ერთ-ერთი საინტერესო ილეთია, ხერხია **მუამა.** ეგ გახლავთ სრულიად გასაგებ სალექსო სტროფთა სისტემაში მეტრითა და რიტმით განუსხვავებელი, ოღონდ სრულიად გაუგებარი სიტყვებით გაჯერებული პოეტური აზზაცის შერევა. თვალნათლიობისათვის მოვიყვან ორ ნიმუშს. თავის ერთ-ერთ ფუტურისტულ-ზაუმურ ლირიკულ გნომას ვლადიმერ მაიაკოვსკი ასე წარმოგვიდგენს:

Нет на прорву карантина,
Мандолинят из-под стен:

Тара-тина, тара-тина,
Тара-тина,
ten!

მართალია, ეს მომღერალი გიტარის ნამდვილი იმიტაციაა, ოღონდ ვერავინ ვერასოდეს ახსნის აქ მომარჯვებული სიტყვებისა და სინტაგმების აზრს.

მოვიყვანოთ მეორე ნიმუში.

მ. თავდიშვილმა თარგმნა არაბი პოეტის აბდურაჰმან ბაჰის ლირიკული ქმნილება ,,ქართველი მუსლიმის ლოცვა". ამ თარგმანის მე-5 სტროფი ასე გამოიყურება:

ჩემი ხორცი ფასობს იმდენს,
რასაც გონით წარმოვიდგენ:
,,სადი ბინდენ, მალო იდენ,
სალამათან ალოიდენ,
ელბიჯ ოლდუმ სალოიდენ,
ჩოხ და იალ განოიდენ!" (1,2)

ხაზგასმული სიტყვები არაბულადაც გაუგებარია და ქართულადაც. ამიტომ მთარგმნელმა ისინი უცვლელად გადმოიღო.

ახლა ვისაუბროთ იმაზე, თუ როდის და რატომ გაჩნდა ეს უცნაური ფორმა.

ძირითადი ნაწილი

მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ აღნიშნული ფორმა ჩაისახა და განვითარდა XV საუკუნის ირანულ პოეზიაში და მერე სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, ოღონდ ამაზე უწინარეს ამ ფორმალისტურ ხერხს არ იცნობდა მსოფლიო. ცნობილი ორიენტალისტი ევგენი ბერთელსი მიუთითებს: ,,XV საუკუნეში სპარსული პოეზია ცალმხრივად განვითარდა. ამან გამოიწვია ფორმობრივი ვირეშმაკობანი და სრული სიძულვილი შინაარსისადმი. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, თუ ავტორი მიზნად ისახავს მკითხველის გაოგნებას ტექნიკური ჯამბაზობით, მაშინ იქ შინაარსს არა ესაქმება რა" (2,125).

ზემორელე რომ ნიმუშები შემოგთავაზეთ, იმათშიც, რა თქმა უნდა, სწორედ ეგაა მთავარი - მკითხველის გაოცება ტექნიკური ოსტატობით, რითმის სასწაულებრივი ერთხმიანობითა და ევფონიით, აგრეთვე მუსიკალური ინსტრუმენტის (ვთქვათ, გიტარის) ზედმიწევნითი აჟღერებით.

მაშასადამე, დადგენილია ეპოქა და არეალი ახალი ფორმალისტური ჟანრის შექმნისა: **ესაა XV საუკუნე და სპარსულენოვანი სიტყვაკაზმული მწერლობა.**

ახლა ისა ვნახოთ, თუ როგორ მივიდა საქმე ამ ფორმალისტური ჟანრის გაჩენამდე.

სპარსული პოეზია ფირდოუსის, ნიზამისა და სხვა გენიოსთა შემდეგ თითქმის ამოიწურა. ფორმობრივი თვალსაზრისით, მან ყველა შესაძლო საშუალება გამოიყენა. ამან გამოიწვია ახალი გზების ძიების საჭიროება. ამის გამოისობით ძალა მიეცა გადაკვრით ნათქვამებს (,,ნამიოკებს"); იმგვარი სიტყვის ძიებას, რომელსაც აქვს არაერთი მნიშვნელობა (2,89,90). ამ გზას ბუნებრივად მივყავართ უკვე არსებული და გამოყენებული რთული ფორმის **მაჯამის** როლის გაძლიერებამდე, ოღონდ ახალ ვითარებაში არც ეგაა საკმარისი. ამჟამად საჭირო ხდება მაჯამის უკიდურესად გართულება. გაჩნდა თეორია: მთავარი ის კი არ არის, **რა ითქვა,** არამედ — **როგორ ითქვა.** ამ ვითარებაში გაიმართა შეჯიბრება - ვინ უფრო რთულად იტყვის, უკეთ შეახამებს ბგერებს, სიტყვებს, გამოთქმებს, რიტმსა და მუსიკას. მაშ, უმთავრესი ყურადღება მიექცა ქმნილების გარეგნულ მორთვა-მოკაზმვას. მდგომარეობა იმდენად საგანგაშო შეიქმნა, რომ XV საუკუნისავე მგოსნები ჯამი და ნავოი მსჯელობენ ფორმისა და აზრის ჰარმონიულობის აუცილებლობაზე (2,124-125). კიდევ მეტი: იმდენად საჭირო გახდა მუამების გასაღების ძიება, ჯამიმ საგანგებო სახელმძღვანელოც კი შეთხზა მუამების გასაგებად (2, 123). აღნიშნულ პრობლემას ჯამი ამის შემდეგ კიდევ სამჯერ მიუბრუნდა (2, 243).

ბერთელსის მოსაზრება პირწმინდად გაიზიარა ქართულმა მეცნიერებამ. აკად. ალ. ბარამიძე ბრძანებს: ,,XV-XVIII საუკუნეების რიგმა სპარსელმა მწერალმა უკიდურესად გაართულა პოეტური ენა, მას მისცა რებუსების, შარადებისა და გამოცანების ხასიათი; ქმნიდა ნამდვილ ,,თავსატეხ ფოკუსებს", პოეტური ხერხების ადგილს იჭერდა ხრიკები. ასეთ ლექსებში მთავარი ყურადღება ექცეოდა გარეგნულ-ფორმალურ მხარეს, აზრობრივ-შინაარსობრივი მხარე კი იჩრდილებოდა ან სრულიად უგულვებელყოფილი რჩებოდა. მეტიც, არცთუ იშვიათად პოეტები ლექსებიდან ერეკებოდნენ აზრს, შინაარსს, საგანგებოდ თხზავდნენ რთული და დახლართული სისტემის მქონე ,,სათარგმანებელ" და ამოსაცნობ (ამოსაშიფრავ) ტექსტებს. იმდროინდელი სპარსული პოეზიის ბევრი ნიმუში უკიდურესი ფორმალისტური ვარჯიშის შედეგია... ასეთი იყო, მაგალითად, ომონიმური (მაჯამური) ლექსები, ე.წ. **თეჯნისები** და კიდევ უფრო თავსამტვრევი **მუამები.** მუამას ტიპის ლექსების შესახებ ... ე. ბერთელსი ამბობს: ,,მუამა სრულად გამოხატავს XV საუკუნის ლიტერატურის ძირითად ტენდენციას - ტექნიკის თანდათანობითი გართულების გზით მიაღწიოს ფორმის უკიდურეს სრულყოფასა და შინაარსის ლიკვიდირებას. მუამაში შინაარსი

ნულს უტოლდება. აქ უკვე აღარ იხილვის არცა აზრი, არცა გრძნობა; დარჩა მხოლოდ სიტყვათა თამაში, და უფრო მეტიც - სიტყვათა ნაწილებისა და ნაწილაკების გადახმიანება. მუამად რომ ყალიბდებოდა, ლიტერატურა ეწეოდა თვითმკვლელობას, კარგავდა რა სულ მცირე საზოგადოებრივ ღირებულებასაც კი!“ (3, 167).

ამრიგად, უკვე დადგენილია და არც ერთი ქართველი ან უცხოელი მეცნიერი სადავოდ არ ხდიან იმას, რომ ფორმა **მუამა** წარმოიქმნა XV საუკუნის სპარსულენოვან პოეზიაში. სამაგიეროდ, არც არავის დაუყენებია საკითხი ასე: თუ XV საუკუნემდე მსოფლიომ არ იცოდა **მუამის** ფორმა, მაშინ მისი ნიმუში არ უნდა ჭაჭანებდეს XII საუკუნის მგოსნის შავთელის ,,აბდულმესიანში“.

სინამდვილე კი სხვაგვარია. ჩვენთა ძველთა მეცნიერთა მიერ ,,აბდულმესიად“ მიჩნეულ სახოტბო პოემაში ნამდვილად გვაქვს მუამის ნიმუში. ეს იმას ნიშნავს, რომ ეგ 107 სტროფიანი ხოტბა არ გახლავთ XII ს-ის ძეგლი. მაშასადამე, იგი გამოდის მე-17 საუკუნის ავტორის, სპარსულ მუამებში საკმაოდ გზაგაწალდული პოეტის მიტროპოლიტ იაკობ შემოქმედელის 1661 წელს შენათხზი ,,ქება მეფისა არჩილისა“.

ახლა უშუალოდ ვნახოთ ეს **მუამური** და ძველთა ჩვენთა მეცნიერთა **უამური** ადგილები საძიებელი ტექსტისა.

ე.წ. ,,აბდულმესიანში“ არასოდეს არავის გაუხდია საკამათოდ 24-ე სტროფი. მაშ, ტექსტოლოგიურად იგი სადავო არაა და ნამდვილად ეკუთვნის ხოტბის ავტორს.

მითითებული ხანა მუამის მკაფიო ნიმუშია. ეს პოეტური აზზაცი დღემდე ვერავინ გაშიფრა. სწორედ ამაზე მიუთითებენ თვით ქართველი მეცნიერები: ,,ამ მხრივ დამახასიათებელია ,,აბდულმესიას“ ერთი სტროფი, ფაქტობრივად დღემდე გაუშიფრავი:

ბრძანონ სამალად, არ თუ სამალად:
ელი ამო სით, ეს რომ არა მით?
მასთანა შორად, - ართუა შორად! –
ელია-მოსით, ესრომ - არამით.
ქველად ჭერითა, რისხვით, ჭერითა
ელი ამ ოსით, ესრო მარ ამით.
მასარ ა რითა? მას არ არითა,
ელ ია-მოსით, ეს რომ ა, რა მით?“ (4, 165)

იმავე წიგნში ასევე მითითებული და ახსნილია ამდაგვარი ,,რთული“ სტროფების რაობა: ,,მაჯამური რითმისადმი დამოკიდებულება ზოგჯერ წარმოადგენს ამა თუ იმ ავტორის მთელ პოეტურ კრედოს, კერძოდ, მის მიმართებას აღმოსავლური პოეზიისადმი, რომლის წიაღშიც ლექსის ფუნქცია ხშირად ფორმალური ნიშნებით განისაზღვრებოდა; ლექსი გასართობ, თავსატეხ და თავშესაქცევ სამშვენისად იყო ქცეული“ (4, 165-166).

სწორედ ამდაგვარი თავსატეხი და ფორმალისტური თავშესაქცევია ქართველი ავტორის **ტიპური მუამა.**

აწ კი შევემზადოთ კატეგორიული დასკვნის ჩამოსაყალიბებლად!

რაკიღა მსოფლიო ლიტერატურა XV საუკუნემდე არ იცნობს არავითარ მუამას, ბუნებრივია ვთქვათ: მე-12 საუკუნეში შეთხზულ ,,აბდულმესიაშიც“ შეუძლებელია ყოფილიყო ამ ფორმის პოეტური აზზაცი. მაშასადამე, ჩვენ წინაშე არსებული 107 სტროფიანი ხოტბა შეთხზულია XV საუკუნის აქეთ, კერძოდ კი - მე-17 საუკუნეში, ანუ **მუამური სტილის** მოძალების, აფეთქების ეპოქაში. ეს ხანა მოიცავს XV- XVII საუკუნეებს. ესე იგი, ხელთა გვაქვს 1661 წელს შეთხზული ლირიკული პოემა ,,ქება მეფისა არჩილისა“. მისი ავტორია მიტროპოლიტი იაკობ შემოქმედელი.

ახლა დგას საკითხი:

რაკიღა თავის პირველ ვრცელ ნაწარმოებში (1661) გამოიყენა ავტორმა ფორმა **მუამა,** ხომ არ მოუმარჯვებია იმხანად ,,მოდური“ ეგ ხერხი თავის მეორე, უფრო გვიან (1670-იან წლებში) დაწერილ პოემაში?

თუ ამ ფორმის გამოყენება აქაც დადასტურდა, ეს კიდევ ერთი მძლავრი არგუმენტი იქნება საკითხის საბოლოოდ და უთუმცაოდ გადასაწყვეტად.

საქვეყნოდ ვაცხადებთ:

თავის პირველ ვრცელ ნაწარმოებში რომ ერთხელ და მოკრძალებით გამოუყენებია ეგ ,,მოდური“ ხერხი ავტორს, მეორე ვრცელ პოლემიკურ პოემაში რამდენიმეჯერ და უფრო თამამად, უფრო დიდოსტატურად მოუმარჯვებია იგი. ,,უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“ წარმოადგენს ბაგრატ ბატონიშვილის პოლემიკური პროზაული ტექსტის ,,წყობილ მარგალიტად“ ქცეულ ქმნილებას (5, 44-45). ბაგრატ ბაგრატიონს არავითარი მუამური ადგილები არ აქვს თავის ტექსტში. მუამები ნაწარმოებში შეაქვს ტექსტის გამლექსავ იაკობ შემოქმედელს და ამითაც ეპოქის დამღას ადებს თავის ნამუშაკევს. ჯერ განვიხილოთ 42-ე სტროფი. იგი ერთობ თავისებურია. მოშაირე ყოველ ცალკე სტრიქონს იწყებს და ამთავრებს ორი სიტყვით - **ელი ელისეს:**

ელი ელისეს მის წილად ხალენს მოსს **ელი ელისეს.**
ელი ელისეს ცეცხლ-ეტლით ცად მგზავრობს
ელი ელისეს,

ელი ელისეს ღვთისაგან მადლს მისცემს
ელი ელისეს,
ელი ელისეს მკურნალად სენთა ჰყოფს
ელი ელისეს (6, 41).

ამგვარი ფორმა პირველად გამოსცადა და შემოგვთავაზა ი. შემოქმედელმა. კიდევ უფრო საინტერესოა მომდევნო, 43-ე, პოეტური აბზაცი. ამგვარი მუამა სრულიად ,,უცხო ხილია" მსოფლიო პოეზიაში. ხანა სრულდება ავტორის სიამაყის გამომხატველი მითითებით - ეს **მუამური ფორმა** მე შემოვიღე, მე დავამკვიდრეო:

აბანაკად, აბანაკად, აბანაკად, აბანაკად,
იაგუნდად, იაგუნდად, იაგუნდად, იაგუნდად,
ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად,
ესე დასად, ესე დასად, შემოვიღე ესე დასად
(6, 41-42).

საგულისხმოა, რომ ამ მუამურ პოეტურ ხანას დედანში, ბაგრატ ბატონიშვილის პროზაულ ტექსტში, არაფერი შეესატყვისება. მაშ, იგი მოიფიქრა და ტექსტში ჩართო თავად შემოქმედელმა.

მუამის შექმნაში აწ უკვე საკმაოდ გაწაფულმა ლირიკოსმა თავის მეორე ვრცელ პოემაში სხვა ნიმუშებიც შეიტანა. ავტორს განსაკუთრებით მოსწონს მუამის ისეთი ფორმა, როცა სტროფში თავრითმა და ბოლორითმა ერთდროულად კეთდება. ამ დროს ფორმალიზმი ზეობს და აზრი ერთგვარად ითრგუნება, ოღონდ რა ბედენაა! ეგ პოეტს ვერ შეაფერხებს. ის თამამად მიდის წინ დასახული მიზნისაკენ. ამ მხრივ საგულისხმოა 101-ე სტროფი:

აბა რა ბის მოვისმინოთ, იგავს ბრძანებს
აგ არაკად,
ა ბარაბის წილ მიცემით თვით დაეფლვის
აგარაკად,
აბ არაბის მეძვის მსგზავსად, თუ გვემს რისხვით
აგარ აკად,
აბარაბის ცოდვის მთხრებლში სვიმონ პოვეს ვინ
პარაკად (6, 59).

აღნიშნული ხერხი მარჯვედ გამოუყენებია ავტორს 111-ე ხანაშიც. აქ თავრითმაა **დავით,** ხოლო ბოლორითმა გახლავთ **ებან-ებანსა:**

დავით მგალობელთ მთავარი ქნარსა სცემს,
ებან-ებანსა,
და ვით სიმდაბლის მუშაკი, ღირსებით
ებანე ბანსა!
დავით ბერსაბეს ტრფიალობს, სარკმლით
სჭვრეტს **ე ბანე ბანსა,**
დავით ფსალმუნთ თქმით ტიროდა, მისთვის არ
ებან ებანსა (6,62).

იაკობ შემოქმედელი ცდილობს, უფრო გაართულოს მუამა და არა ოდენ თავრითმა და ბოლო რითმა მოძებნოს, არამედ სტრიქონის მთელი მეორე კარედი ერთიან რითმად და მუსიკალურ ინსტრუმენტად წარმოადგინოს. ეგ საინტერესო ცდა დაფიქსირებულია 123-ე ხანაში:

ნუ უცხოდ გიჩნს სატანასგან **ბელიარსით**
მოაბას რა!
ბრანგვად გარყვნის საძოვარი, **ბელი არსით**
მოაბას რა!
მართლის სისხლი რომ დაღვარა, **ბელი არსით**
მოაბასრა,
ღვთით მოაკლდა მტერთ მახვილსა, **ბელიარსით**
მოაბასრა (6, 67).

ამრიგად, თუ პირველ პოემაში მხოლოდ ერთხელ მიმართა მუამას ჩვენმა ავტორმა, მომდევნო ქმნილებაში ეგ ფორმა უფრო უკეთ, მარჯვედ და ბევრჯერ მოიმარჯვა. კერძოდ, ხუთჯერ გამოუყენებია იგი!

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ: ფორმა მუამა გავრცელდა XV საუკუნის ლიტერატურაში. იგი დიდ ავალას იძენს XV- XVII საუკუნეებში; გაუგებარმა, ბურუსიანმა სტრიქონებმა ლამის წალეკეს ამ დროის ლირიკული ქმნილებანი. ამის გამო თუ იყო, რომ ჯამი და ნავოი, XV საუკუნის მეორე ნახევრის მგოსნები, აღუშფოთებია ამ ამბავს და დაუწყიათ იმაზე ფიქრი, თუ რითი შეწინააღმდეგებოდნენ ამ ლიტერატურულ ეკვილიბრისტიკას; ჯამის საგანგებო ტრაქტატიც კი შეუდგენია, სადაც ცდილა, ესწავლებინა მკითხველისათვის მუამის ხიმანკლობათა გამოცნობა; ქართულ მწერლობაში მუამა შემოვიდა XV- XVII საუკუნეებში, უფრო ზუსტად - XVII საუკუნიდან. ამის გამო XII საუკუნის პოემა ,,აბდულმესიაში" ეგ ხერხი შეუძლებელია იყოს გამოყენებული. მაშასადამე, ჩვენ წინაშე არსებული 107 სტროფიანი ტექსტი არ გახლავთ XII ასწლეულის შემოქმედებითი პროდუქტი. ის მე-17 საუკუნის მხატვრული მატიანეა და აღწერს არჩილ მეფისა და მამამისის - ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზის — მოღვაწეობას. აქ ხოტბაშესხმულია 14 წლის ახალგაზრდა ხელმწიფე არჩილ II ბაგრატიონი. ავტორი ხოტბისა გახლავთ შემოქმედის მიტროპოლიტი იაკობ დუმბაძე. ქმნილება შეთხზულია 1661 წელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზ. ,,ლიტერატურული მესხეთი“, 2018, №11.
2. ბერთელსი ე.ე., რჩეული შრომები, ნავოი და ჯამი, მ., 1965 (რუსულ ენაზე).
3. ბარამიძე ალ., თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ. იხ. კრებული ,,ლიტერატურული ძიებანი“, XII, თბ., 1959.
4. ქართული მწერლობა, I, თბ., 1984.
5. ბორის დარჩია, ბაგრატ ბატონიშვილი, თბ., 2011.
6. იაკობ შემოქმედელი, პოეტურ თხზულებათა სრული კრებული, ბორის დარჩიას რედაქცია; წიგნის რედაქტორია მურმან თავდიშვილი, თბ., 2014.

Form „Muama” and the problem of “Abdulmesiani”

Murman Tavdishvili, Professor
Georgian Technical University

Abstract

The strange poetic form "Muama" was introduced and established in 15th century Persian poetry. Its essence is as follows: before us is an ordinary poem or eulogistic poem. It contains in one place or other separate stanzas from the point of view of logic, completely incomprehensible words and verses, or even the first and second halves of separate stanzas; it also happens when the first part of the stanza or the second part is not clear. Moreover: sometimes the first initial and final words of a poetic paragraph are unrecognizable and incomprehensible. In fact, these are words made up of meaningless sounds that are pleasing to the ear. Full formalism is in the foreground, since the rhythm and meter are preserved, it is pleasant to listen to verbal music, but it is impossible to understand an opinion. We have a classic example of Muami in the famous poem of the 17th century by famous poet Iakob Shemokmedeli, which deals with the religious dispute between Christians and Muslims and where there is an attempt to prove the superiority of the Christian faith over the Muslim. This polemical poem was written by the author by order of King George XI in the 1670s. It is in the scheme of Muami's stanza below that the mystery is revealed that it turns out that a new form like Muami was first introduced by Iakob Shemokmedeli. This is an interesting poetic passage in a polemic poem:

Abanakad, abanakad, abanakad, abanakad
Iagundad, iagundad, iagundad, iagundad,
Namusikad, namusikad, namusikad, namusikad,
Ese dasad, ese dasad, shemovige ese dasad.

Then it spread to the neighboring countries of Persia. With us, it especially strengthened in the 17th century. Therefore, it is impossible to find a form and method that did not exist beforein "Abdulmesian" by the poet of the XII century Ioane Shavteli. However, we have a clear example of Muama in 107 stanzas, which ancient scientistsnamed as "Abdulmesian". Therefore, the poem is not a monument of the XII century. It belongs to the epoch after the 15th century. That is why we say: this praise was created by Metropolitan of Shemokmedi Iakob Dumbadze in 1661, and he praised King Archil, a 14-year-old boy who ascended the throne of Imereti. It was at this time that Muamaprospered and spread in Georgia.

Despair and Hope in T.S. Eliot`s "The Waste Land"

Tamar Mebuke, professor
Georgian Technical University

Abstract

In the poem "The Waste Land" T.S. Eliot examines the fundamental values for human existence. On the example of the generation of "lost souls," he describes the disintegration of life and moral values, as well as strives to find a way for reconciliation with existential problems by examining the existent reality so as to make subsequent reintegration in order to continue life. Religious revelations are seen as the eternal wisdom that has never been hidden from man of any cultural tradition, and the point from which spiritual revival may start.

Key words: The Waste Land, the wheel of time, meaningless existence, death in life, regained spirituality

Introduction

"The Waste Land" by T.S.Eliot is one of the best known and most influential poems of the XX century. After its publication in 1922, exactly a century ago, it has been translated into most languages and has been widely discussed in academic circles. However, it still remains one of the most read and discussed poems and the example of modern poetry. The modernity of the poem "stems in a large part from a strikingly powerful awareness of what`s past (O`Neill 2014: 3)." Depicting the life of the generation of "lost souls," it describes the disintegration of life and moral values caused by the aftermath of the First World War, as well as strives to find a way for reconciliation with experienced disasters and existential problems by examining the existent situation so as to make subsequent reintegration in order to continue life.

Like any masterpiece, the poem has not lost its meaning and importance. Cleanth Brooks called "The Waste Land" a "highly condensed epic of the modern age." The problems of the fall of man, and the need to retrace one`s steps in order to identify one`s errors, an attempt to rearrange life anew in accordance with the Law of God are equally important today, when the world is going through the ordeal of pandemics, which many perceive as a punishment of God, as it was at the time when T.S.Eliot wrote his poem, or any other time that marked a turning point in the history of humankind.

The main motive of the poem and the clue to its meaning are given in the epigraph to the poem dedicated to Eliot`s friend and renowned critic Ezra Pound, by whom "The Waste Land" was repeatedly edited:

Nam Sibyllam quidem Cumis ego ipse oculis meis vidi in ampulla pendere, et cum illi pueri dicerent: Σίβυλλα τί Θέλεις; respondebat illa: αποΘανείν Θέλω.

It comes from the *Satyricon* by Gaius Petronius and is translated as *I saw with my own eyes the Sibyl at Cumae hanging in a jar, and when the boys asked her: "Sibyl, what do you want?" she replied: "I want to die.*

The epigraph is written in four languages: Latin, Greek, English, and Italian and reflects the multiplicity of voices in the poem, as well as multiplicity of its meanings. It is an inter-text that incorporates texts, cultures and religions spanning thousands of years.

The Sibyl of Cumae was a seer, a beautiful prophetess in service to Apollo. Enchanted by her beauty, Apollo offered her anything she desired. She made a wish to live for as many years as there were grains in a handful of dust, but forgot to ask for eternal youth. Apollo granted her wish. Sibyl lived for hundreds of years doomed to eternal aging now wishing for death as the escape from her hopeless and miserable existence. As time passed, unable to die, she only continued withering away.

However, there is another interpretation to the myth. According to it, it embodies the sacrifice of youth and beauty in the exchange for wisdom that the seer needed. Both interpretations are equally valid for the life in the world of "The Waste Land," the life in the world devoid of the real spirituality, truth, meaning and purpose. It indicates to the fact that death is something desired as the escape from the endless purposelessness; otherwise, one has to resort to the age-long wisdom in order find a way out of the waste land.

This unity of past and present is expressed in the poem through numerous myths, legends, allusions, symbols, and quotations that indicate to the unity of humankind with common essential, eternal values in spite of diversity of religions and cultures. **At the same time they indicate not only to the glorious past, but also to the sins and moral laxity from which the mankind has suffered throughout its history.** The vanity of man is observed by an impartial observer, another seer -- Tiresias, both a man and a woman, who belongs to all time: the past, as well as the present.

The Main Part

The poem depicts a wheel of life with the first four parts coinciding with the four main Elements, and the fifth with Spirit that is to save Life from the meaningless rotation.

The first part, *The Burial of the Dead,* which represents the element of Earth, shows the degeneration of the mod-

ern man, who has lost faith, as well as moral and spiritual values. The poem begins with the picture of the waste city that is a reflection of the devastation brought about not only by the war, but also by the degradation of man who waged it. It gives a picture of purposeless, meaningless existence of people who have lost not only their spirituality, but also their identity and a sense of unity. They represent a generation of multiple, meaningless, disconnected, detached voices.

Recollections of blissful childhood images, the time of purity, when innocence was not lost, are changed by the scene of fortunetelling by Madame Sosostris, trying to foretell what will follow. The Paradise of the childhood is replaced by a picture of the drab reality of the London Bridge with allusion to Dante`s Inferno: *Under the brown fog of a winter dawn,/ A crowd flowed over London Bridge,/ so many, I had not thought death had undone so many./ Sighs, short and infrequent, were exhaled,/ And each man fixed his eyes before his feet.*

Modern world with its spiritual barrenness is perceived as a wasteland, the symbol of materialism, isolation, loneliness, mechanical routine that have made it an unreal city. The land is waste, desolate, where nothing can grow. The meaningless, routine life is compared with living Death with no hope of rebirth, or resurrection. Dust will be turned to dust.

The only hope that remains is that *That corpse you planted last year in your garden, Has it begun to sprout? Will it bloom this year? Or has the sudden frost disturbed its bed?* The corpse seen as the recollection of the past civilization with values-oriented life from which only *a heap of broken images has remained.*

Even personal life of people is devoid of meaning. The second part of the poem, A Game of Chess, which corresponds to the element of Air, shows empty relations between men and women of two different social classes. T.S. Eliot shows that even personal relations between representatives of opposite sexes have become meaningless. Interactions lack love and true care for one another, no matter whether life is surrounded by luxury, or poverty.

Though statues of cupids decorate the room of a well-off couple, there is no romance or pure love there. They have nothing to talk about. *A game of chess, a cerebral game that involves a strategy with the purpose to outwit a partner, is a substitute for the lack of common interests, is turned into a pastime and a symbol of man`s struggle for dominance over woman, who is humiliated by such relations.* Appropriately, a painting depicting the transformation of raped by a brutal king Philomela into a nightingale, hangs on a wall. In despair at their meaningless life, the wife asks her husband: *What shall I do now? What shall I do?/ I shall rush out as I am, and walk the street/ With my hair down, so. What shall we do to-morrow?/'What shall we ever do?'/ The hot water at ten./ And if it rains, a closed car at four./And we shall play a game of chess,/ Pressing lidless eyes and waiting for a knock upon the door.*

The husband has nothing to tell his beloved woman.

A former soldier comes home not to care for his family, but to have fun and a nice time, and if an exhausted and crippled woman cannot provide him with it, he may find another one who will.

The third part of the poem, The Fire Sermon, corresponds to the element of Fire, the fire of desire that, according to Buddha, *is the cause of all sufferings*. Lust, sex, brought down to a satisfaction of an animal instinct, meaningless relations and violence have undermined the basis *of modern society.* Eliot describes the Waste Land as he sees it: it is barren, covered in garbage with rats scurrying around. Water in the river, which is usually the symbol of renewal … *sweats/ Oil and tar,* and the river itself is described as a *dull canal* in contrast to the Sweet Thames of Spenser's *Prothalamion: Sweet Thames, run softly till I end my song.*

The scene is seen as a reflection of foul relations of people that are brought down to satisfaction of primitive instincts, and lack true care and love for each other, the aim of love is no longer generation, birth and renewal. Eugenides suggests a homosexual tryst, which by nature excludes fertility. The relations between the typist and her lover are equally barren as they represent only satisfaction of lust without true feeling for one another and no intention of generation. The lover`s … *vanity requires no response,/ And makes a welcome of indifference."* Afterward he *"Bestows on final patronising kiss, And gropes his way, finding the stairs unlit…*

The typist *Hardly aware of her departed lover; / Her brain allows one half-formed thought to pass:/ 'Well now that's done: and I'm glad it's over* puts a record on the gramophone to free herself from a cheap sexual encounter by resorting to popular culture.

Eliot compares these degraded relations with a glamorous scene from the past of Queen Elizabeth I, the "Virgin Queen" and the Earl of Leicester. Their relations, though also devoid of future, are pure and romantic. They are opposed to the legend of the Fisher King. To protect the vitality of the land, Queen Elizabeth I had to reject her own sexuality; in the Fisher King legend the renewal of his kingdom is connected with the renewal of the Fisher King's ability to generate.

All scenes are observed by Tiresias, a figure from classical mythology, an impartial observer, who has both male

and female features, *Old man with wrinkled female breasts.* Although he is blind, he can "see" into the future. He is destined to watch the sordid deeds of mortals; like the Sibyl in the poem's epigraph.

Speculating about human nature, Eliot compares St. Augustine`s and the Buddha`s despair at the imperfection of human beings and their lives, as the representatives of Eastern and Western asceticism. Both of them are burdened with the sinfulness of the world. In his "Confessions" St. Augustine prays to God *O Lord Thou pluckest me out* while Buddha in his "Fire Sermon" calls to get rid of earthly passions and desires that keep "burning" the human nature, in order to get free from earthly troubles. Desires, symbolized by fire, as a source of suffering, have to be suppressed to free man from everlasting curse.

The fourth part, *Death by Water*, which is dominated by the element of Water, shows a fulfilment of one of the prophecies of Madame Sosostris in the first part of the poem. *Fear death by water* was her prediction as she pulled the card of the Drowned Sailor. The Drowned Sailor is Phlebas the Phoenician, a tradesman sailor who drowned a fortnight ago. He is in the state of complete oblivion as he has forgotten the cry of gulls, the deep seas swell so familiar to a sailor, and the profit and loss – the main care of a tradesman. He no longer knows what he knew, what he was born to know, or his purpose. He has forgotten all the things which were essential for his life. All that remained of him are his bones which are carried by an undersea current in eternal whirl up and down. This eternal rotation of bones in a whirlpool passes the stages of his age and youth, *implying the existence of the center around which they rotate* (Huff), which might be a recollection of memory. We are all reminded to remember Phlebas, *who was once handsome and tall as you.* It is not only that Eliot reminds us that the physical reality of death and decay triumphs over all. Implicitly it reminds us of the importance of memory and the remembrance of what we are for. The rotating bones of Phlebas the Phoenician may be seen as the final stage of Death in Life depicted in previous parts of the poem, with no hope of resurrection unless we remember the purpose that we are for.

In the poem Eliot follows the way of ancient Mysteries of Initiation, which included the journey to Underworld. R. Steiner (1902, 22-27) described the path of a person who tries to seek the Spirit behind the veneer of the material world. At some moment of his spiritual pilgrimage he begins to perceive life as death. This stage indicates to his descend to the underworld where he makes a journey through Hell. In case of failure to purify himself, man perishes. If succeeding to be able to undergo transformation, man comes back to life completely transformed by spiritual fire. Mysteries revealed that God and understanding of universal laws and harmony are in the soul of man.

In "The Waste Land" T.S. Eliot describes his own journey to the underworld, his own pilgrimage and search for the Holy Grail. It is he who descends to the Hell of modern meaningless reality in order to measure the depth of the fall of man in hope to find spiritual strength to continue life. This acquired spiritual strength and hope are shown in the fifth part of the poem, which corresponds to the non-material, fifth element – the Spirit.

After having made a complete circle around the year and four main elements, we come back to spring again. But meaningless rotation does not bring relief to man. We are in the garden of Gethsemane, where Jesus Christ was arrested and crucified, crucifixion seen as the denial of God and His laws and commandments by man.

After the torchlight red on sweaty faces
After the frosty silence in the gardens
After the agony in stony places
Theshouting and the crying
Prison and palace and reverberation
Of thunder of spring over distant mountains
He who was living is now dead
We who were living are now dying

Our living death is shown through the picture of the barren land:

The road winding above among the mountains
Which are mountains of rock without water

The agony of man, suffering a living death in stony places, creates an impression of hopeless despair. However Eliot`s journey to Hell was not made only with the purpose to realize the sinful nature of man, but to remind us of the spark of God`s Spirit that was also given to us at creation. The Spirit is revealed through allusions. There is a possibility of salvation.

If there were water we should stop and drink

Then comes the reminder that God has never abandoned us, though we fail to understand it:

The living water is identified with Christ. The pilgrim begins to feel that there is still hope, which is expressed through his wish: *If there were rock/ And also water/ And water/ A spring/ A pool among the rock/ If there were the sound of water only/ Not the cicada/ And dry grass singing/ But*

sound of water over a rock/

Then comes the reminder that God has never abandoned us, though we fail to understand it:

Who is the third who walks always beside you?
When I count, there are only you and I together
But when I look ahead up the white road

There is always another one walking beside you
Gliding wrapt in a brown mantle, hooded
I do not know whether a man or a woman
—But who is that on the other side of you?

The scene is connected with the death and resurrection of Christ. When the news of the return of Jesus had spread, his two disciples went to Emmaus searching for Him. Jesus came in front of them, but they could not recognize him (Luke 24: 13–16).

This spiritual blindness is seen as the reason for the crumbling of the modern world: Falling towers/ Jerusalem Athens Alexandria/ Vienna London – the greatest cities of our civilization are falling down, like London Bridge; everything is empty, turned upside down and descending to Hell. Even the House of God on Earth is empty:

There is the empty chapel, only the wind's home.
It has no windows, and the door swings,
Dry bones can harm no one.

However after the images of destruction and emptiness of the wasteland comes the sound of the cock crowing co co rico co co rico, heralding the approach of dawn. Then with a flash of lightning comes a damp gust/ Bringing rain, bringing hope to the wasteland.

We are transferred to another cultural tradition, to the banks of the Sacred river of India—Ganga, where people and nature are also expecting the rain of living water. Eliot shows us that people of all cultural traditions, burdened by similar weaknesses, equally received God`s revelations, though in different ways.

Ganga was sunken, and the limp leaves
Waited for rain, while the black clouds
Gathered far distant, over Himavant.
The jungle crouched, humped in silence.

We hear three claps of thunder with the syllable DA repeated three times. Thunder and lightning being the main attributes of the Supreme God of Ancient Greece and Rome – Zeus/Jupiter, whose voice is identified with the voice of the Almighty and Omnipresent. Eliot makes allusion to the Upanishads, sacred texts for Hinduism and Buddhism. When Brahma was asked by his children how to achieve inner peace, he gave them a mantra "DA", which was interpreted by them in three different ways as 'Datta', 'Dayadhvam', and 'Damyata'. The first Da (Datta) is questioning: what have we given? The second Da (Dayadhvam) is translated as "to sympathize," the third Da (Damyata) corresponds to "control."

Brahma`s first commandment is unselfishness. We all exist by what we have given and are able to give one another. The second commandment is sympathy, true care for one another without which *we are all confined to our own prisons, dreaming of a key to get us out of our self-isolation (Huff).*

Da
Dayadhvam: I have heard the key
Turn in the door once and turn once only
We think of the key, each in his prison

The third commandment *Damyata – control* tells us to moderate our arrogance and to obey the God who is the only one able to control the boat of our lives:

DADamyata: The boat responded
Gaily, to the hand expert with sail and oar
The sea was calm, your heart would have responded
Gaily, when invited, beating obedient
To controlling hands

Conclusion

We are given once more the main Commandments of all religions and are left on the sea-shore with the Fisher King wondering: *Shall I at least set my lands in order?* Because without it *London bridge is falling down falling down falling down* together with our crumbling civilization.

In *The Waste Land* Eliot shows us that the way back to the *Paradise Lost* has never been hidden from man. Only following *the hand expert* can we all regain it. After all, as one more religious tradition teaches us: וניהולא דחא יראבו מיימשבש – *We all have one God, in Heaven and on Earth.* Only following His guidance can man come back to life completely transformed by spiritual fire and acquire *Shantih shantih shantih,* – the inner peace which passeth understanding.

Bibliography:

1. Cloud, Jessica 2018 T.S.Eliot, "The Waste Land", and Yoga Philosophy. University of Southern Mississippi.
2. Eliot T.S. 1982 The Critical Heritage. Vol.1,2. London and New York: Taylor &Francis e-Library.
3. Eliot T.S. 2006 Annotated Waste Land with Eliot`s Contemporary Prose. Ed. Lawrence Rainey. New Haven & London: Yale University Press.
4. Mr.Huff`s Literature Class. YouTube.
5. O`Neill, Michael 2014 The Connell Guide to T.S.Eliot`s The Waste Land. Durham University.
6. Seemen, Mahmood 2018 Influence of Sanskrit in T.S. Eliot`s Wasteland. Aarhat Multidisciplinary International Education Research Journal (AMIERJ) No 48178, 48818
7. Shruti D.Dabhi 2018 The Wasteland" As a Post War Literature. Journal of Humanity, Continious Issue 32.
8. Steiner R. 1902 Christianity as Mystical Fact and the Mysteries of Antiquity. Berlin.
9. Ushakova O.M. 2005 T.S.Eliot and European Cultural Tradition. Tiumen.

სასოწარკვეთილება და იმედი თ.ს. ელიოტის პოემაში „უნაყოფო მიწა"

თამარ მებუკე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

პოემაში „უნაყოფო მიწა" თ. ელიოტი იკვლევს ადამიანის არსებობის ფუნდამენტურ ღირებულებებს. „დაკარგული სულების" თაობის მაგალითზე ის აღწერს ცხოვრებისა და ზნეობრივი ფასეულობების დაშლას, და ცდილობს მოძებნოს გზა ეგზისტენციალურ პრობლემებთან შერიგების მიზნით არსებული რეალობის შესწავლით, რათა შემდგომში მოხდეს რეინტეგრაცია და გაგრძელდეს ცხოვრება. რელიგიური ზეშთაგონება განიხილება, როგორც მარადიული სიბრძნე, რომელიც არასოდეს ყოფილა დამალული ადამიანისგან რაიმე კულტურული ტრადიციისა, და როგორც ის წერტილი, რომლიდან შეიძლება დაიწყოს ადამიანის სულიერი აღორძინება.

ერეკლე მეფე და კრწანისის ბრძოლა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში

თამარ შაიშმელაშვილი, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ხალხური ზეპირსიტყვიერება მდიდარია საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფის, ერეკლე მეორისადმი მიძღვნილი ფოლკლორული ნიმუშებით - ლექსებით, ლეგენდებით, თქმულებებით...

მეფეს, ვისზეც პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდმა თქვა: „ევროპაში მე ვარო და აზიაში - ღერკულეს უძლევლი, საქართველოს გიორგიანთ მეფეო“ (იოსელიანი პლატონ, „ცხოვრება მეფის გიორგის მეატცამეტისა“) - ხალხმა მოფერებით „პატარა კახი“ შეარქვა... ხალხზე მზრუნველ მეფეს ნდობა და სიყვარული ისევ ხალხმა გამოუცხადა და „პატარა კახის“ დიდი საქმეები სულიერ მეხსიერებაში შემოინახა.

„დიდი თამარის შემდეგ საქართველოს არცერთ მეფეს არ რგებია ხალხის ეგზომ სიყვარული, პატივისცემა, გულისხმიერი შეფასება და აღტაცებული ქებათა-ქება, რამდენიც ერეკლე მეორეს“ (ცაიშვილი სოლომონ., „ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში“, თბ, 1943, გვ.6).

ერეკლეს ზეპირსიტყვიერი თავგადასავლის მიმოხილვისას, პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი აღნიშნავს, რომ ხალხურ ეპოსში გადმოცემულია ერეკლე მეორის უმთავრესი ამბები და ბრძოლები, რომლებიც თავს გადახდა „სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის რთულსა და ფათერაკებიან გზაზე, ჩვენი ხალხის მეხსიერებაში ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლა აღიბეჭდა და სრულიად ზუსტი და ობიექტური შეფასებაც მიეცა“ (ჯაგოდნიშვილი თემურ., „ერეკლეს ეპოსი“, თბ, 2005, გვ. 77).

ერს არ ავიწყდება ძველი დროის გმირები, მათ შორის - არც ერეკლე მეორე. ხალხის მეხსიერებაც მხოლოდ გულიდან წამოსულ განცდას ინახავს... ამ განცდით აღიბეჭდა ერეკლე მეფე და კრწანისის ომის გმირები ზეპირსიტყვიერებაში. მეფეს უყვარს თავისი გმირები და, ასევე, მათაც უყვართ მზრუნველი მეფე, რომელიც თავს არ ზოგავდა ერთგული მეომრებისთვის.

„ომში საქართველოს საუკეთესო ძალა სწყდებოდა. მეფე ყოველ ომის გადახდის შემდეგ, ყველა გმირებს შვილებსავით თითოეული ჩამოსთვლიდა, ყველა გმირების სახელი იცოდა, ომში თუ რომელიმე გმირს მოუკლავდენ, მეფეს ცრემლი წამოუვიდოდა თვალებიდან, გამოუდგებოდა გმირის მკვლელს და მანამდინ არ დასცხრებოდა, მინამ სამაგიეროს არ გადაუხდიდა; მაშინ თავის თავს არ ზოგავდა“ (ჭიჭინაძე ზაქარია., „მეფე ირაკლის გლეხი გმირები“, ბათომი, 1902, გვ.42).

ხალხურ პოეზიაში ყოველი მებრძოლის თავდადება გმირობადაა შეფასებული, გულწრფელი ცრემლით ნატირი და უკეთესი მომავლის იმედით ნასაზრდოები.

საკვანძო სიტყვები: კრწანისი, მეფე ერეკლე, ყეენი, ხალხური, გმირი

შესავალი

ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო პოეზია მეფე ერეკლეს მეფობის პერიოდს სიყვარულით და სითბოთი გადმოსცემს - ენატრება საყვარელი მეფის სიბრძნითა და გამჭრიახობით შემომტკიცებული ქვეყანა და ოდინდელი მშვიდობა:

„მეფის ერეკლეს დროშია
შორს გავრეკნოდი ძროხანი,
წავწოდი, წავიძინოდი,
წავიხურნოდი ჩოხანი“.

(სიხარულიძე ქსენია, „ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით“, 1942, გვ. 48)

ამ პატარა ლექსით ცხადი ხდება, რომ ერეკლეს შიშით გარეშე მტრებს ხელ-ფეხი შებორკილი ჰქონდათ. მეძროხე თავისუფლად აძოვებს საქონელს და არაფრის ეშინია. „ერეკლემდე ადვილი არა ყოფილა, ძვირად უჯდებოდა მწყემსს ძილი და ჩოხის წახურვა“... (ვაჟა-ფშაველა, „ძველი და ახალი ფშავლების პოეზია“).

რკინისპერანგიანი პატარა კახი, „ივერის ნუგეშდიდება“ და „მამაცთა შორის საკვირველებაა“ (ორბელიანი გრ., სერია „ჩემი ხუთეული“, ტ. 96, თბ. 2013, გვ.83). მისი ხმალი არასოდეს გადამტყდარა, არც თოფი შემდგარა, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „მე ვარ თოფი - მუსაიფი კახთ ბატონის ერეკლესი“ (მეტრეველი როინ., ჟურნ., „ოლე“, 2020, №4, გვ.10).

მეფე ერეკლე, რომელსაც ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია და დარაჯად ედგა ქვეყანას, ბრძოლების პარალელურად მის განახლება-მომძლავრებაზეც ზრუნავდა. მისი პიროვნება და ნაღვაწი უტყუარობით სწორედ ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა.

მათ შორის არის ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლა კრწანისის ველზე.

ძირითადი ნაწილი

ლექსებში: „ყეენი რომ წინ წამოდგა“, „აღა-მაღამეტ-ხანი“, „ქალაქის არევა“ და სხვ. გაცოცხლებულია საბედისწერო ბრძოლის სურათები, თბილისის აოხრება, ტყვეების აყვანა, მეფის განრიდება და ანანურისკენ გაქცევა...

„ეს რა საქმე დაგვემართა,
აღა-მაღმეტ ხანისაგან,
მაცხოვარო, დაგვიფარე
ზოგნი დატყვევებისაგან“ (ცაიშვილი სოლომონ, „ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში“, თბ, 1942, გვ.55).

ხალხურ ლექსში ნახსენებია მოღალატე ყორღანაშვილი, რომელმაც ყაჯარ „საჭურისს გაუგზავნა ბამბა, ტარი“ და შეუთვალა:

„დაჯექ ყეენო, დაართი,
შაიქმნები ჩვენი რძალი“! (იქვე).

ამის გამგონე ყაენმა, „ურჯულო არდაშელმა“, ჯარებს ძალა დაატანა, უკან მოაბრუნა და გზაკვალი აურია ყველას:

„სოლოლაკზედ რომ გადმოდგა
ქალაქს აუშალა კვალი“... (იქვე).

ხალხურ პოეზიაში ერეკლე მეფე უბადლო მეფეა, რომელსაც დალხინებული ცხოვრება და მეფობა არ ეღირსა:

„ერეკლე ბატონი იჯდა
ბადალი ხმელეთისაო,
ატირდა ცა და ქვეყანა,
მისთვის არ მოდის დარია“... (იქვე).

ცისა და ქვეყნის ტირილი წინათგრძნობაა, მეტაფორული ხატოვანებით გადმოცემული - ხოჯა აღა-მაჰმად-ხანი უთვალავი ჯარით აპირებს გამოლაშქრებას საქართველოზე... გამოილაშქრა და მალევე აიღო ძველი თბილისის ერთ-ერთი კარი, სტრატეგიული ადგილი - „განჯისკარი“.

ირანელებმა დააქციეს დუქნები და ქარვასლები, ავლაბარი ცეცხლს მისცეს. ქართულმა ჯარმა ერთხელ უკუაქცია მტერი, მაგრამ „ქართლის ჯარი ცოტა არი“, თათრის ჯარმა ორთაჭალის ბაღებში სისხლის ღვარები დააყენა.

„...თათრები ქალაქს ჩავიდნენ,
შიგ დაუკრეს სალამური,
ტურფები ბევრი წაასხეს,
ბებრებია დადაღული“ (უმიკაშვილი პეტრე., „ხალხური სიტყვიერება“, ტ.1, 1964. გვ. 116).

ტყვედ აყვანის სურათთან ერთად ხალხურ ლექსში მშვიდობიანი მოსახლეობის ულმობელ მოპყრობასაც ვხედავთ... თბილისი ცეცხლის ალშია გახვეული, ურჯულოებს კი ბავშვების კალო გაულეწიათ...

„ორშაბათ დილას გათენდა
ავი დილა ავი დარი,-
ყმაწვილების კალოს ლეწავს
თურქმანის ცხენის ნალი“ (შანიძე აკაკი., „ხალხური პოეზია“, ტ. 4, თბ, 2017, გვ. 64).

... „შამავიდა თურქმანი,
ქალაქს გაადინა ალი“ (იქვე, გვ.65).

ხალხური ლექსი ორიოდ სტრიქონშიც კი გადმოსცემს ქართველთა თავდაუზოგავ ბრძოლას და მტრის განადგურებას, რის შემსწრეც მტკვარი ყოფილა. სასტიკი ომის შემდეგ ერეკლე მეფე იძულებული გამხდარა, განრიდებოდა ბრძოლის ველს და ანანურისკენ წასულა.

„ბევრი მოკვდა არაბისა,
ვერ იტყოდა ღელვით მტკვარი.
რა კი აღარ იქნებოდა,
- მორიდება,- კარგი არი:
ბატონი ცხენზე შებძანდა,
აირბინა ანანური“... (ცაიშვილი სოლომონ, „ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში“, თბ, 1942, გვ. 55).

ხალხურ ზეპირსიტყვიერებას ისიც შემოუნახავს, როგორ სწერს წერილს ერეკლე მეორე „რუს ხელმწიფეს“ და შველას სთხოვს. აქვე „რუს ხელმწიფის“ რეაქციაც ჩანს, რომელიც იქადნება, რომ მტერს განდევნის:

„ხოჯა ხანი დავიჭიროთ,
ძაღლივით მოვჭრათ ყელია,
ქალაქი დავიმორჩილოთ,
სულ საქართველო ჩვენია“... (ჯაგოდნიშვილი თემურ., „ერეკლეს ეპოსი“, თბ, 2005, გვ. 127).

კრწანისის ბრძოლაში მონაწილეობდა სამასი გმირი ფიცგაუტეხავი არაგველი. ვინ იყვნენ ეს არაგველები, რომლებიც თბილისში ათას მთიელ მეომართა შორის ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის მეთაურობით ჩამოვიდნენ?

„1795 წლისათვის ისტორიული წყაროების მიხედვით, არაგველებად მხოლოდ მთიულეთისა და გუდამაყრის არაგვის ხეობის მცხოვრებნი სახელდებიან. ესე იგი, ვახტანგ ბატონიშვილის რაზმი შედგებოდა თუშ-ფშავ-ხევსურთა და არაგველთაგან. თავად არაგველები კი იყვნენ: მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელები, ჭართლის თემის მცხოვრებნი და მცირედი მოხევეები (ვ. ითონიშვილი), რიცხვით სამასნი“ (ჟორჟოლიანი თამაზ., გაზ. „კვირის პალიტრა“, თბ, 2009, N35 (787), გვ.14).

საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის კრწანისის

ომში გუდამაყრელი აფციაურების მონაწილეობის შესახებ თამარ ფიცხელაური: „აფციაურები 1795 წელს მეფე ერეკლეს მხარდამხარ იდგნენ კრწანისის ველზე. 300 არაგველის მედროშეც ნინია აფციაური ყოფილა. ეს ცნობა ზეპირი გზით გადმოეცემოდა თაობიდან თაობას და მისი სახელი დღემდე შემორჩა ხალხის მახსოვრობას“ (ფიცხელაური თამარ, „გუდამაყრის ხეობის მითოლოგიური გადმოცემები“, გვ.16).

ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში „მეფე ირაკლის გლეხი გმირები“ წერს: „მეფე ირაკლი მეორის დროს, როდესაც საქართველო დიდს განსაცდელში ყოფილა ჩავარდნილი, ხშირად ისეთი გმირები გამოჩენილან ჩვენში, რომლებსაც თავიანთი სიმხნით, სიქველით და ვაჟკაცობით ხალხის ბედი და იღბალი უტრიალებიათ“ (ჭიჭინაძე ზაქარია., „მეფე ირაკლის გლეხი გმირები“, ბათომი, 1902, გვ.3).

ერთ-ერთი ასეთი გმირი იყო **პაატა თემურიშვილი,** რომლის ამბავიც ზაქარია ჭიჭინაძისთვის მოუყოლია მოხუცებულ ზაალ ბარათაშვილს (გოსტამ გორდალად წოდებულს) 1876 წელს. ტანმაღალი, მხარბეჭიანი და საკვირველი ღონის პატრონი მეფეს დანახვისთანავე შეჰყვარებია. მას გამოუხსნია ტყვეობიდან ყარაბაღში თათრების მიერ დატყვევებული თამრო ვაშლოვნელი.

პაატა თემურიშვილი თბილისის ასაოხრებლად წამოსული სპარსეთის ყეენის წინააღმდეგ ომობდა. „დიდის გმირობით იბრძოდა. განსაცვიფრებელს სანახავს წარმოადგენდა მისი გმირობა, მხნეობა და ომი“ (გვ. 11), მაგრამ მესამე დღეს ბროლაში გმირულად მოკვდა.

„პაატა ცხენზე მომკვდარა... ვიდრე სული არ დაულევია, მანამდის ცხენიდამ ფეხი არ გადმოუდგამს და თან უყვირია: - ბიჭებო, ხმალი თათრებს! ხმალი ჭალის ღორებს! ხმალი ჩვენს მტრებს!“ (იქვე, გვ.13).

პაატა რომ ცოცხალი ყოფილიყო, შეიძლებოდა სპარსელების შეჩერება, მტერი ვერ გაიმარჯვებდა და თბილისს ვერ აიღებდაო, - წერს ზაქარია ჭიჭინაძე.

„ხოჯას პაატამ უჩვენა გმირობა ვაჟკაცისაო,
ჰკაფა და ჰკაფა თათრები, აყრიდა ქვა და კირსაო,
პაატა მოკვდა ცხენზედა, სისხლი სდიოდა
პირსაო,
მოკვდა და თან გაიყოლა ცხონება მეუფისაო“!. (
იქვე, გვ.13).

ზაქარია ჭიჭინაძე **გელა ნათელაშვილის** გმირობაზეც მოგვითხრობს, რომელიც იყო უშიშარი ვაჟკაცი, სულ მცირე ჯარით ილაშქრებდა მტერზე და ხშირად გამარჯვებული რჩებოდა, საქართველოზე მოსულ მტერს თავზე მეხივით დაეცემოდა ხოლმეო, - წერს ზაქარია ჭიჭინაძე.

გელა ნათელაშვილი ერეკლეს დაახლოებული ჰყოლია თავის კარზე, ისე რომ მეფესთან თავისუფლად შედიოდა. როცა ლეკები თავს ესხმოდნენ თუშ-ფშავ-ხევსურეთს ან არაგვის ხეობას, ერეკლე უმალ გელას შეატყობინებდა ხოლმე, რადგან მისი იმედი ჰქონდაო. ლეკებს მუსრს ავლებდა, რამდენჯერ დაუმარცხებია და განუდევნია და ხალხსაც მასზე უთქვამს: „ეს ბაზალელი გელაი ნაჭერი არი კლდისაო“ (იქვე, გვ. 21).

ხოლო როდესაც აღა-მაჰმად-ხანი შემოესია საქართველოს, გელა თანამებრძოლებთან ერთად გამოცხადებულა მეფესთან და ერთგულების ფიცი მიუცია. ის და მისი თანამოაზრენი - გელას მოაჯამგირენი „1795 წლის ბრძოლაში გაწყდნენ“ (იქვე, გვ.22).

„ბოლოსა მოკლეს საწყალი, ლაშქარში
მეფისთვისაო!
ლექსად გამოვთქვი მე ქება ქართველთა
გმირებისაო“! (იქვე, გვ.22).

„მეფე ირაკლის გმირთა დასს დიდად ამშვენებდა“ (იქვე, გვ. 14) **გიორგი მახათაძეც.** ეს გვარი მისთვის მეფეს მიუცია, მას სპარსელების წინააღმდეგ საომრად უმალ შეუკრებია მეომარი ბიჭები და სასახლისკენ წაუყვანია. მეფეს გადმოუხედავს და აღტაცებით უთქვამს: „ვენაცვალე ჩემს ერთგულ სახლიშვილს გიორგის! ყველა გაჭირვებულ საქმეში მახათივით დაესობა ხოლმე“! (იქვე, გვ. 23) მეფისგან მახათის ხსენება ხალხს დაუხსომებია და მისთვის მახათაძე დაურქმევიათ.

მისი მამაცობით აღფრთოვანებულ ერეკლეს უთქვამს: „ვენაცვალე ჩემს ერთგულ გიორგის! ჩემ შვილებში არ გავცვლი იმის ხმალსაო“! (იქვე, გვ. 29).

კრწანისის ომში აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ გმირულად იბრძოდა გიორგი მახათაძეც, „მაგრამ რას უზამდა აუარებელ მტერს? ამ ომში გიორგი მახათაძემ სამასს არაგველებთან ერთად თავი დასდვა სამშობლოსთვის“ (იქვე, გვ. 30), ხალხმა კი ლექსი გამოუთქვა:

„შენ დედა ჩემო თინაო,
ვეღარ მოგიველ შინაო!
შესანდობარი დალიე
ლამაზი გიორგისაო!
.....
თათრებს შეაკვდა ომშია,
ბეჭებში სისხლი სდისაო!
ვაჰ, შენსა გიორგისაო!
ვარსკვლავი მოსწყდა ცისაო“...
(იქვე, გვ. 31).

კრწანისის ომის ეპიზოდები ხალხურ ლექსებსა და გადმოცემებში ფართოდ აისახა. საინტერესოა ქსენია სიხარულიძის მიერ გამოქვეყნებული ლეგენდა თავადის ქალის სალომეს შესახებ, რომელიც რუსმა სამხედრო ისტორიკოსმა ვასილ პოტტომ ჩაიწერა. სალომეს ქმარი და შვილი დაეღუპება ამ ომში და აღა-მაჰმად-ხანის დიდებული ჯაფარ ბეგი შეცდომაში შეჰყავს, „არწმუნებს სიტყვის მაგიურ ძალაში და აიძულებს მას, გულში ჩაურჭოს საკუთარი ხანჯალი“ (სიხარულიძე ქსენია., „ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით“. თბ. 1942, გვ.44). სწორედ ამ თქმულების სიუჟეტი გამოიყენა აკაკი წერეთელმა მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“.

მაია წყნეთელის და თინა წავკისელის სახელებიც კრწანისის ბრძოლას უკავშირდება. „ამ გმირი ქალების მღელვარე სიცოცხლე აღა-მაჰმად-ხანის ჯარების საქართველოში შემოსევამ დაასრულა“ (სიხარულიძე ქსენია, „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, თბ, 1949, გვ. 179).

მათე ყაჩაღად წოდებულ მაია წყნეთელს სახელოვნად უბრძოლია კრწანისის ომში „ქალურის ტანისამოსით და უომნია ძლიერად“ (გვ. 81). მაიას მამაცობით გაოგნებულ სპარსელ ხანებს უბრძანებიათ მისი „ცოცხლივ დაჭერა“, ტყვედ ჩაუგდიათ კიდეც, მაგრამ გამოპარულა ტყვეობიდან და ერევნის სიხალოვეს მოუკლავთ... სამშობლომდე ვერ მოაღწია. ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ კი ასე გადმოსცა მისი დაღუპვა:

„ომი მოგვიხდა თათრებთან
სულ გასწყდენ წყნეთელებიო,
აღარა დარჩნენ გმირები,
ატირდენ კლდე და მთებიო
მეც ტყვეთა მიპყრეს, შემბოჭეს,
სპარსეთში ვიხსენ თავიო,
მაგრამა ერევნის ბოლოს
დავკარგე თავი ვაიო“... (ჯანაშვილი დიმიტრი., „ივერია“,1882, №12, გვ.82).

მეორე ხალხური ლექსი კი ასე გადმოგვცემს მაიას სიკვდილს:

„გზაში მოუსწრო სიკვდილმა,
ტანჯული სული დალია,
მოუკვდათ ბეჩავ გლეხებსა
მათი დამცველი მაია.
ტრიალ მინდორზე ობლადა
მაია ასაფლავია,
ციდამ მის საფლავს ანათებს
კაშკაშა მზისა სხივია“... (იქვე, გვ. 3).

თინა წავკისელიც ტყვედ ჩავარდნილა კრწანისის ომის დროს, თუმცა გამოჰქცევია ყიზილბაშებს, მაგრამ ბოლნისის ახლოს მოუკლავთ.

„გადმოცემა ამბობს, რომ მეფე ერეკლემ ის დაასაფლავებინა ბოლნისის სიონის გვერდით, საცა მისი ქმარიც ემარხა და საფლავის ქვებზე ცოლ-ქმართ სახე ამოაჭრევინა გვირგვინითაო, მათი ობლები კი მოიყვანა და სასახლეში ზრდიდაო“ (ჯანაშვილი დიმიტრი., „ივერია“,1882, №12, გვ.84).

ერეკლეს გმირთა შორის ყოფილა ასევე ქართველი სახალხო გმირი, არაგვის ხეობელი **მამისიმედ ხარანაული** - წინა ფშაველი, სოფელ აკამათის მკვიდრი, კრწანისის ბრძოლისა და მთიულეთის 1804 წლის აჯანყების მონაწილე.

აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად არაგველების რაზმი თბილისში მამისიმედის ხელმძღვანელობით ჩავიდა. ერეკლეს „მოსწონებია მამისიმედის გარეგნობა, ნირი და არაგველების რუხჩოხოსანი, თავზუჩიანი რაზმი მეფის მეწინავე ჯარში ჩაურიცხავს... გადმოცემით მამისიმედს კრწანისის ომში ყაჯარის თურქმანების წინააღმდეგ ბრძოლაში უსახელებია თავი. პირველივე შეტაკებისას თავჩალმიანი თურქმანი ცხენკაციანად გაუკვეთია. ერეკლეს თავის მხრივ მისთვის უწყალობებია საძოვარი ადგილები კახეთში“ (ქართველიშვილი ივ., „ლეგენდები და გმირები“, თბ. 1983, გვ.20).

რა ვითარებაში გარდაიცვალა მამისიმედი, ხალხური გადმოცემა არაფერს ამბობს, მხოლოდ ერთი ლექსი - დატირება შთამბეჭდავად გვიხატავს სახალხო გმირის სიკვდილს:

„მამისიმედის სიკვდილი
ფშავლებო, დიდი ბრალია,
წაგვექცა ხარი ჯონგაი,
ირემმა დასხნა რქანია,
მანამდის იყო ცოცხალი
მტრისა არ ჭამა ჯავრია,
ბევრს თათარს გაუნაძოძა
იმის ნასროლმა ძვალია,
ბევრს დაახია ჯავშანი,
დაჰხვია ცოდვა-ბრალია“ (იქვე, გვ.22).

კრწანისის ომის თემას საინტერესოდ გადმოსცემს ბეს. გაბური - „ძველებური ამბავი მეფე ერეკლეს დროს, როსაც ერეკლემ ხევსურნი დაიბარა საომრად“. მასში ასახულია „აღა-მაჰმად-ხანის მარბიელი რაზმების გაწყვეტა არაგვზე 300 ხევსურისაგან, რომელნიც ერეკლეს მოწოდებაზე წამოსულიყვნენ თბილისისაკენ“ (სიხარულიძე ქსენია., „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, თბ. 1949, გვ.180).

„დეემზადენით, ხევსურნო, ჩაჩქნებ დაიდგით
თავზედა!
თათრების მალოდინი გვოქვ, განთ ვსხევართ
ლუდის სმაზედა?

გაგვიძვეღ, ნეფე ერეკლევ, წავდგათ კრწანისის გზაზედა“! (გაბუური ბესარიონ., „წელიწდეული“, I-II, 1923-1924, ტფ., 1924, გვ. 163).

ხევსურებს მოუთხოვიათ, შეხვეწნიან ერეკლეს: „წინ ჩავალთავ, გაგვიშენივ“! (იქვე).

გაუშვია ერეკლეს ხევსურნი, თავადაც წინ დასდგომია თავის „უნჯ ყმათ“. მეფე ერეკლეს ცხენდაცხენ შვიდჯერ აუვლ-ჩაუვლია თათრის ჯარში, მეშვიდე მცდელობაზე „ჩახქცევივ ცხენი“ (იქვე), ვერ გაუძლია სიმძიმისათვის, ჯაჭვის პერანგი შვიდი ფუთი ტყვიისგან ყოფილა ნაქსოვი („მცურავ ჯაჭვ- სცმივ“) (იქვე). ცხენწაქცეულ ერეკლეს მისევიან თათრები, მაგრამ ხევსურებს გადაურჩენიათ მეფე.

ამასობაში დანარჩენებიც წამოშველებიან. ერეკლესთვის სხვა ცხენი მიუყვანიათ... „გაფრინდი, ჩემო ცხენო, სადაც ყმან იხოცებიან, ერეკლეც იქ იყოს“!... - უთქვამს ერეკლეს (იქვე).

ასე უომიათ გვერდიგვერდ მეფეს და ხევსურებს და გაუბრუნებიათ თათრის ჯარი. ერეკლეს უთქვამს: რა გინდათ, ჩემო ხევსურნო, რომ მოგცეთ: თეთრი, იარაღი თუ რვალიო? ხევსურთ არაფრისთვის უხლიათ ხელი. უთქვამთ: „რად გვინდავ საჩუქარივ? განა საჩუქრის გულისად ვიომეთავ“ (იქვე, გვ.164)? მეფეს უსაჩუქროდ მაინც არ გაუშვია ისინი - ზოგისთვის იარაღი მიუცია, ზოგისთვის - ფული.

ამ გადმოცემიდან ჩანს, რომ ერეკლე უბადლო მეომარი, ჯარის ერთგულია. მათ გვერდითაა და არ მიატოვებს ფიცხელ ბრძოლაშიც კი, ისევე როგორც მებრძოლები - მეფეს. ისინი სიყვარულსა და ერთგულებას გამოხატავენ მეფისადმი, უანგაროდ ომობენ და არა რაიმე საჩუქრებისთვის...

ხალხურ შემოქმედებაში ღალატიც აისახა. ზაქარია ჭიჭინაძისთვის ერეკლე მეფის მოღალატე ფ. აზრუმანაშვილის შვილს უამბია შემდეგი - განჯის მახლობელ სახანომდე მოსულ აღა-მაჰმად-ხანს გადაუწყვეტია უკან გაბრუნება, საომარი მასალაც შემოკლებია, დასუსტებული და დამშეული ყოფილა... იმ დროს ყარაბაღში ცხოვრობდა თბილისიდან გაქცეული ოთხი კაცი: ვიღაც ბებუთოვი, ბრმა მირუაშვილი, არზუმანაშვილი ფანუზა და ვიღაც იოანეო. ისინი, ერეკლეს ბრძანებით, ნარიყალის საპატიმროში უნდა დაემწყვდიათ, მაგრამ გაქცევა მოუხერხებიათ, ერეკლეს შიკრიკი გაუგზავნია ყარაბაღის ხანთან და წერილი გაუტანებია, რომ დაეჭირათ ეს ოთხი კაცი და უკან გამოეგზავნათ. ამ ოთხეულს შიკრიკი გაუძარცვავს და წერილი წაუკითხავს, გადაუწყვეტიათ ერეკლესთვის სამაგიეროს გადახდა. აღა-მაჰმად-ხანთან მისულან და მეფე ერეკლეს მდგომარეობა დაწვრილებით შეუტყობინებიათ. „და თანვე სთხოვეს წამობრძანდით ქალაქის ასაოხრებლადო“. ხოჯას უარი უთქვამს, დამშეული და დასუსტებულია ჩემი ჯარიო.

„შიში ნუ გაქვს! ჩვენ მოგცემთ შემწეობას და გზას გიჩვენებთ, თუ საიდამ უფრო ადვილათ შეიძლება ქალაქის აოხრება და ირაკლი მეფის ტახტის დამხობა. ჯარისთვის საგძალს დღესვე ვიშოვნით ფიქრი ნუ გაქვსთ, ჩვენ თქვენი ერთგულნი ვართ.

ამ ბოროტმა პირებმა დაიყოლიეს აღა-მაჰმად-ხანი, და საქართველოსკე დასძრეს და მოიყვანეს თფილისის ასაოხრებლად. მაჰმად ხანს ირაკლის მტრები და ორი სომხის მელიქი გზას უჩვენებდნენ და დარიგებას აძლევდნენ და თფილისშიც გვერდს ახლდნენ. თფილისის აღების დროს პირველად სომხის ვაჭრებმა გამოუცხადეს დამორჩილება სპარსეთის ყეინს. დანარჩენი, თუ როგორ ააოხრეს სპარსელებმა თფილისი, ეს ყველას გაგონილი აქვს“ (ჭიჭინაძე ზაქარია., „მეფე ირაკლის გლეხი გმირები“, ბათომი, 1902, გვ. 38).

არ შერჩენიათ მოღალატეებს ავკაცობა. ქართველებს ისინი დაუხოცავთ და ტანები ცხენის კუდზე გამოუბამთ.

„ხალხში ის აზრია დარჩენილი, რომ თფილისი ამ ოთხი მტრის მეოხებით აიღესო, თორემ აღა-მაჰმად-ხანი ქალაქზე წამოსვლას აღარ აპირებდა, რადგან ამას გამარჯვების იმედი არ ჰქონია და ჯარიც სპარსეთში წასასვლელად ემზადებოდაო“ (იქვე, გვ. 38).

კრწანისის ომის სურათები ხალხის მეხსიერებაში დროის სვლასთან ერთად არ ფერმკრთალდებოდა. ხალხურმა მთქმელმა ნიკო გორელაშვილმა 1971 წელს გამოაქვეყნა ლექსი „სამასი არაგველი“, სადაც მარცხი, მეტაფორულად, კრწანისის ბრძოლის დროს ვარსკვლავების ჩამოცვენასთან ასოცირდება:

„კრწანისის ველზე უცხოელთ
ლახტი ესროლეს მთვარესა,
ძირს ჩამოიბნა ვარსკვლავი,
დაბლა უფსკრულთა არესა.
ვარსკვლავთა დაბლა ჩაცვივნა
კარგს არას მოასწავებსა“... (გორელიშვილი ნიკო., „ბახტრიონი“, 1971, №140 გვ.3).

„ხელ-პირ დაუბანელი“ აღა-მაჰმად-ხანის ცოდვა აბნელებს მაღლა მზეს და დაბლა ხმელეთს, დაღუპული არაგველების სახელზე კი ისევ ირეკება გლოვის ზარი...

„ვაჰ, დედას თქვენსას, გმირებო,
სადა ხართ, რომელ მხარესა“? (იქვე).

კრწანისის ომის გმირებთან შეხმიანებით,

ავტორი საუკუნეებს გადმოყოლილ კითხვას სვამს - როდის მოურჩება კრწანისის მარცხით დამწნეული იარა საქართველოს?

დასკვნა

ერეკლე მეფე, კრწანისის ბრძოლის შემდეგ, მალევე გარდაიცვალა და თან წაიღო დარდი თავსი საყვარელი საქართველოსი... ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ დიდი სიყვარულით და სიმართლით შემოგვინახა გმირული ცხოვრება და მისი დიდი პიროვნება.

„პატარა კახს“, რომელსაც ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში უამრავი ბრძოლა ჰქონდა გადატანილი, ხალხმა თავის მეხსიერებაში მიუჩინა უკვდავება, მარტო ქიზიყელი დედაკაცის დატირება და შთამბეჭდავი მხატვრული სახეებით გადმოცემული სათქმელი რად ღირს: „მეფევ, ვაი ჩემს თავს, მეფევ! ისევ ჩემ ძმას ეცვას მიწის ჩოხა-ახალუხი შენ კი გეხვიოს მზისა და მთვარის ყაბალახი“ (ჯავახიშვილი გიორგი., „ერთი დატირების ირგვლივ“, ვეგზგერდი „საქართველოს სამეფო“).

მზე და მთვარე ერეკლე მეფის სახესთან არის გაიგივებული სოლომონ ლიონიძის სამგლოვიარო ტექსტში - „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის, ღერკულეს ღირსისა“.

„ამ გლოვაში ჩართულია მთელი კოსმიური სამყარო, წინაპართა აჩრდილები, მსოფლიო ქრისტიანული მრწამსი და ეს ერთობა იძლევა საოცარი მწუხარების სურათს ქართველი ერისათვის „დღისით მზისა და ღამით მთოვარის“ სამუდამო დაბნელებისა, სამუდამო ჩაქრობისა“ (რჩეულიშვილი ნანა., ჟურნ., „ოლე“, №4, 2020, გვ.17)...

ილია ჭავჭავაძემ კი ხალხური სევდით ამოთქმულ „რკინის კარის ჩამოხსნას“ სხვა განცდა შეჰმატა, როცა დაწერა:

„ვერ გაიგეთა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია“-ო, ასე ამოიკვნესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი, მისი ისტორიული ხატი ეს არის, და თუ არ დიდ-ბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?“ (ჭავჭავაძე ილია., სერია „ჩემი ხუთეული“, ტ.44, თბ, 2012, გვ. 342).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. გაბუური - „ხევსურული მასალები“ (ქართული სამეცნიერო საზოგადოებრივი „წელიწდეული“, I-II, 1923-1924, ტფილისი, 1924 წ;
2. გარსევანიშვილი ალ., „გმირი ქალი, მათე ყაჩაღად წოდებული“, გაზ., „სამშობლო“, 1915, №104;
3. გორელიშვილი ნ., „სამასი არაგველი“, „ბახტრიონი“, 1971, №140;
4. ვაჟა-ფშაველა, „ძველი და ახალი ფშავლების პოეზია“; https://tagiweb.wordpress.com/2012/06/25/dzveli-da-akhali-fshavlebis-poezia-gv-2/
5. მეტრეველი რ., „მეფე ერეკლე სამასი წლისაა“, „ოლე“, 2020, №4;
6. იოსელიანი პლ., „ცხოვრება მეფის გიორგის მეათცამეტისა“ https://wikisource.org/wiki/%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9C_%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98_-_%22%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%90%E1%83%97%E1%83%AA%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%22
7. ორბელიანი გრ., სერია „ჩემი ხუთეული“, ტომი 96, თბილისი, 2013;
8. ჟორჟოლიანი თ., „შერცხვენილი იყოს ის, ვინც ჩვენგან ცოცხალი შინ დაბრუნდეს“!.. გაზ. „კვირის პალიტრა“, თბილისი, 2009, N35 (787);
9. რჩეულიშვილი ნ., „საქართველოს ცხელი გული“, ჟურნ., „ოლე“, №4, 2020;
10. სიხარულიძე ქ., „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1949;
11. სიხარულიძექ.,„ქართველიხალხისბრძოლასამშობლოსათვისერეკლემეორისხელმძღვანელობით“, თბილისის სახ. უნივ. გამომცემლობა, 1942;
12. უმიკაშვილი პ., „ხალხური სიტყვიერება“, ტ.1, 1964;
13. ფიცხელაური თ., „გუდამაყრის ხეობის მითოლოგიური გადმოცემები“, https://openscience.ge/

bitstream/1/636/1/samagistro%20fickhelauri.pdf);
14. ქართველიშვილი ივ, „ლეგენდები და გმირები“, „მერანი“, თბილისი, 1983;
15. შანიძე ა., „ხალხური პოეზია, თბილისი, 2017, ტ. 4;
16. ცაიშვილი ს., „ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში“, თბ, 1942.
17. ჯაგოდნიშვილი თ., „ერეკლეს ეპოსი“, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2005;
18. ჯავახიშვილი გ., „ერთი დატირების ირგვლივ“, ვებგვერდი „საქართველოს სამეფო“, https://www.georoyal.ge/?MTID=101&TID=77&id=1825;
19. ჯანაშვილი დ., „ისტორიული სურათები: ქართველი ქალი“, „ივერია“, 1882, №12;
20. ჭავჭავაძე ილ., „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“, „პუბლიცისტური წერილები“, სერია „ჩემი ხუთეული“, ტ. 44, თბილისი, 2012;
21. ჭიჭინაძე ზ., „მეფე ირაკლის გლეხი გმირები“, ბათომი, 1902.

King Heraclius and the battle of Krtsanisi in folklore

Tamar Shaishmelashvili – Assistant- Professor
Georgian Technical University

Summary

Folklore is rich in folklore samples - poems, legends, which are dedicated to the last great king of Georgia, Erekle II.

The people, was called to King Erekle „Little Kakhi“, the King of Prussia Frederick the Great said about him: „In Europe - i and in Asia - the invincible Hercules, the Georgian king of Georgia“.

The king, who cared about the people, was again declared faithful and beloved by the people, and the great deeds of the „Little Kakhi“ were preserved in spiritual memory.

„After Tamar the Great, not a single king of Georgia has won such love, respect, charming praise and admiration of the people as Erekle II“ (Tsaishvili Solomon., „The Heroic Face of Tsar Heraclius in Folk Art“, Tbilisi, 1943, p.6).

When reviewing the oral adventure of Heraclius, Professor Temur Jagodnishvili notes that the folk epic tells about the main stories and battles of Heraclius II that happened to him „on the difficult and fateful path of state activity, all important battles were imprinted in the memory of our people and a completely accurate and objective assessment is given“ (Jagodnishvili Temur., „Epic of Heraclius“, Tbilisi, 2005, p. 77).

The nation do not forget the old heroes, including Erekle II. The memory of the people keeps only the feeling from the heart...

King Erekle and the heroes of the Krtsanisi war were imprinted in this oral tradition with this feeling. The king loves his heroes and also they love the caring king who did not spare himself for the faithful warriors.

„Georgia's best force was dying in the war. After each war, the king listed all the heroes as children, knew the names of all the heroes, if any of the heroes were killed in the war, the king would shed tears, chase after the hero's killer and not stop until he retaliated; Then he did not spare himself "(Chichinadze Zakaria., „Peasant Heroes of King Erekle", Batumi, 1902, p. 42).

In folk poetry, the dedication of every warrior was valued as heroism, nourished by sincere tears, and nurtured by the hope of a better future.

Key words: Krtsanisi, King Erekle, Keeni, Folk, Hero

ეკონომიკა და ბიზნესი
ECONOMICS AND BUSINESS

ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) დაარსების 100 წლის იუბილეს

ციფრული ეკონომიკა და მისი განვითარების პერსპექტივები ტელეკომუნიკაციაში

ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ციფრული ეკონომიკა ბიზნესპროცესების ის საქმიანობაა, რომელიც ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით ანუ ციფრული ფორმატით. იგი ეკონომიკური საქმიანობაა, მილიონობით ადამიანთა კონტაქტის შედეგად ელექტრონული მოწყობილობით, ინტერნეტ-ქსელით და კომპიუტერის საშუალებით ხორციელდება.

ციფრული ეკონომიკა ეკონომიკის ის სახეა, რომელიც დაფუძნებულია ციფრულ ტექნოლოგიაზე, როგორიც არის ინტერნეტი, ინტრანეტები და კერძო ღირებულების დამატებითი ქსელები, რომელთა სარგებლობისთვის საჭიროა ავტორიზაცია. ის წარმოადგენს დახურულ ქსელს და არა ფართო მოხმარებისა და ღია მსოფლიოსათვის [1].

ციფრული ტექნოლოგია მოიცავს კომპიუტერებს, პროგრამულ უზრუნველყოფას და მასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. ციფრულ ეკონომიკას ზოგჯერ ინტერნეტ-ეკონომიკას, ახალ ეკონომიკას ან ვებ-ეკონომიკას უწოდებენ [2] [Article: "Information in the digital economy", 01.08.2021].

ამ ახალ ეკონომიკაში ციფრული ქსელის საფუძველია საინფორმაციო-კომუნიკაციური ციფრული ტექნოლოგიები. ციფრული ეკონომიკა ბიზნეს ინოვაციური მოდელია, რომელიც ხორციელდება ტელეკომუნიკაციის საშუალებით და აღნიშნული სტატია ეძღვნება ამ საკითხს.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, ინოვაციური მოდელი, ბიზნესი, კონკურენცია, კრიპტოვალუტა, ბიტკოინი, ღრუბლოვანი სისტემა, ხელოვნური ინტელექტი, რებრენდინგი.

შესავალი

ციფრული ეკონომიკა ეკონომიკური საქმიანობის, კომერციული ოპერაციების და პროფესიული ურთიერთობის მსოფლიო ქსელია, რომლის საფუძველია საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიები **(სკტ).** ის მოკლედ შეიძლება დახასიათდეს, როგორც ციფრული ტექნოლოგიების ეკონომიკა **(ცტე).**

როგორც ეკონომისტები და ბიზნეს-ლიდერები ამტკიცებენ, ციფრული ეკონომიკა წარმოადგენს უფრო განვითარებულს ვიდრე ინტერნეტ-ეკონომიკა. ციფრული ეკონომიკა ეს ქსელური სისტემურ-ორგანიზაციული სივრცითი ურთიერთობის სტრუქტურაა სუბიექტს შორის.

ციფრული ეკონომიკა დადის და ყალიბდება მთავარ სამ ძირითად პრინციპზე [2]. ესენია:

1. პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ტელეკომუნიკაციაზე და სხვა ინფრასტრუქტურაზე.
2. ბიზნესის განხორციელება კომპიუტერული ქსელების მეშვეობით ანუ ე.წ. ელექტრონული ბიზნესის სახე;
3. ქსელური კომერცია, ანუ საქონლის გადაცემა ქსელის დახმარებით.

ამჟამად, მიმდინარეობს ინდუსტრიული მეოთხე რევოლუცია, დაფუძნებული ციფრულ რევოლუციაზე, რის გამოც ციფრული ეკონომიკა გადის გაციფროების და ავტომატიზაციის ჩარჩოებს

გარეთ. ეს ახალი პარადიგმაა მრავალი თანამედროვე ტექნოლოგიების და პლატფორმების.

ძირითადი ნაწილი

ციფრული ეკონომიკა იყენებს ახალ ტექნოლოგიებს როგორც ინდივიდუალურად ასევე შეთანხმებით.

ორგანიზაციებს კონკურენციისათვის, ეს იქნება კომერციული საწარმოები თუ მომსახურების სფეროები ან სახელმწიფო დაწესებულებები და ჯანდაცვის, ესაჭიროებათ თანამშრომლები ინოვაციური იდეების მქონე და ციფრული ტექნოლოგიების სპეცილისტები.

ციფრული ეკონომიკა ეს ცხოვრების მნიშვნელოვანი სექტორია, რომელიც იძლევა არსებითად ეკონომიკის ზრდას.

კონკურენციას ციფრულ ბაზარზე აქვს განსხვავებული თავისებურებანი. უპირველესად, კონკურენცია ბიზნეს მოდელებსა ან პლატფორმებს შორის, როგორც წესი, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონკურენცია ბიზნეს-მოდელებში. მეორეს მხრივ, ციფრული ბაზრები ხშირად ხასიათდება ძლიერი ქსელური და მაშტაბური ეფექტით, რომლებიც აძლიერებენ კონკურენტის ამ თავისებურებას. მესამეა, ბევრი ციფრული ბაზრები, ორმხრივია, ამიტომ მომხმარებელთა ორი ჯგუფი იღებს მოგებას ციფრული პლატფორმისგან.

ისტორიულად, კონკურენცია, ციფრულ ბაზარზე, ატარებს ციკლურ ხასიათს. წარმატებულ ფირმას შეუძლია შეიძინოს მნიშვნელოვანი საბაზრო მმართველობა, მაგრამ ასეთმა დომინირებამ შეიძლება შეცვალოს სხვა ციკლის ინოვაციამ.

დღეს, მსოფლიოში არ არსებობს ციფრული ეკონომიკის განმარტების ერთიანი გაგება; სამაგიეროდ არსებობს მრავალი მისი განმარტებანი.

მაგალითად, მსოფლიო ბანკის თანახმად, ციფრული ეკონომიკა ეს არის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობის სისტემა დამყარებული ციფრულ საინფორმაციო-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე.

ციფრული ეკონომიკის ძირითადი განმსაზღვრელებია:

- ეკონომიკური საქმიანობა უშუალოდ ციფრული ეკონომიკის პლატფორმაზე;
- პერსონიფიცირებული სერვისული მოდელები;
- შემქმნელებისა და მომხმარებელთა უშუალო ურთიერთმოქმედება;
- ეკონომიკის გავრცელება ერთობლივი მომხმარების;
- ინდივიდუალური მონაწილეთა მნიშვნელოვანი განძის როლი.
- **ციფრული ეკონომიკა,** დღეს, წარმოადგენს ბიზნესის არსებობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელოვან ფაქტორს.
- **ციფრული ეკონომიკა** მთლიანად ემყარება ციფრულ ტექნოლოგიებს.
- **ციფრული ტექნოლოგია** ანვითარებს და ზრდის ბიზნეს საქმიანობას ონლაინ პლატფორმებისა და ვირტუალური ტექნოლოგიების საშუალებით.
- **ციფრული ეკონომიკა** ეს არის ინოვაციების, კონკურენტიანობის და ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა.

აღსანიშნავია ციფრული ეკონომიკის მნიშვნელობა ტელეკომუნიკაციაში. ვებგვერდის საშუალებით ვიღებთ ყველა სახის ინფორმაციას. ის ამარტივებს და დროის დაზოგვის საშუალე-ბას იძლევა ამა თუ იმ მოთხოვნილების წარმოქმნის დროს. ამარტივებს ურთიერთობას ბიზნეს-სუბიექტთან, ასევე თავიდან იცილებს ახალი კადრების აყვანით გამოწვეულ ფინანსური დანახარჯებისაგან;

აღსანიშნავია ასევე 21-ე საუკუნის ყველაზე დიდი ფუფუნება ონლაინ ნივთების შეძენა საკუთარი ძალისხმევის გარეშე.

მობილური ტელეფონების ამოქმედებამ გარდაქმნა საკომუნიკაციო სისტემები, როგორც ხმოვანი, ასევე მოკლტექსტური კომუნიკაციის საშუალებით.

დღეს, არსებობს სმარტფონები, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა სახის ციფრულ ტექნოლოგიას, როგორიცაა კალკულატორები, კამერები, რუკების შედგენა, კალენდარში შეხვედრების ჩანიშვნა, ონლაინ თარგმანი, სხვადასხვა საძიებო სისტემა, არქიტექტურული პროგრამები **რევიტი, ავტოკატი, არქიკადი** და სხვ. რომლებიც ასრულებენ სხვადასხვა არქიტექტურულ ნახაზებს და ამოცანებს. ამ პატარა მოწყობილობების გარეშე დღეს წარმოუდგენელია ცხოვრება. ყველაფერი ეს და კიდევ სხვა მრავალფეროვანი პროგრამები გაოცებას იწვევენ ევოლუციურ საზოგადოებაში [3]. არ შეიძლება არ აღინიშნოს **ბლოკჩეინის ტექნოლოგია.** ეს არის რამდენიმე დოკუმენტის ერთ ბლოკში გამაერთიანებელი სისტემა. მისი მეშვეობით აღირიცხება **კრიპტოვალუტის, ბიტკოინის ტრანზაქციები, ბლოკჩეინი** ეს არის ჩანაწერების მუდმივად მზარდი სია, სადაც თითოეული ბლოკი შეიცავს წინა ბლოკთან დამაკავშირებელ ნიშანს და დაცულია **კრიპტოგრაფიულად.** ბლოკჩეინის

ტექნოლოგია, მისი გამოყენების თვალსაზრისით, კლასიფიცირდება სამი სფეროს მიხედვით.

1) Blokchain 1.0 - გამოიყენება ფინანსურ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ოპერაციებში, როგორიცაა ფულადი გზავნილები, ციფრული გადახდის სისტემა;

2) Blokchain 2,0 - აქციებით, აქტივებით, ობლიგაციებით განხორციელებული სხვადასხვა ოპერაციები;

3) Blokchain 3,0 - ვრცელდება ისეთ სფეროებზე, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა (COVID-19) და მეცნიერება.

ხელოვნური ინტელექტი გულისხმობს მანქანურ ინტელექტს, მისი საშუალებით მანქანები ასრულებენ ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა მსჯელობა, დაგეგმვა, სწავლა, პრობლემების გადაჭრა. **ხელოვნური ინტელექტი** ეს არის **ადამიანური ბუნების სიმულაცია.** ყველაზე მოთხოვნადია ინოვაციურ სამყაროში.

ასევე აღსანიშნავია **ღრუბლოვანი სისტემა,** რომელიც იცავს დიდი ზომის მონაცემებს, ინტერნეტ სივრცეში. ხდება ისეთი ფაილების შენახვა, რომლებიც დიდ ადგილს იკავებენ.

ხმოვანი ინტერფეისები ან ჩათ-ბოტები ადამიანის რესურსების დაზოგვის საუკეთესო საშუალებაა, ამასთან ბიზნესს იცავს დამატებითი ხარჯებისგან.

ონლაინ-წიგნები ჩატვირთულია მობილურ ტელეფონებში.

გეო-ლოკაცია, იგი ციფრული ტექნოლოგიისა და სატელიტის კომბინაციაა, რომელიც შინაარსობრივად მოიცავს ადგილმდებარეობას ზუსტი კოორდინატებით.

ციფრული ეკონომიკის განვითარება ქმნის ახალ შესაძლებლობებს ეკონომიკის განვითარებისათვის.

ციფრული ეკონომიკა ხელს უწყობს მოგების მაქსიმალურად მიღებას. მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ციფრული ტექნოლოგიების მწარმოებელი კომპანიები: **ამაზონი, APPLE-ეფლი, SAMSUNG-სამსუნგი, FOXCON-ფოქსკონი,** ხოლო საქართველოში **სილქნეტი** - სატელეკომუნიკაციო კომპანია პირველი ნაციონალური ოპერატორის მემკვიდრეა, რომლის ისტორიას სათავე 1893 წელს დაედო. კომპანია დღევანდელი სახით და სახელწოდებით ჩამოყალიბდა 2010 წელს გაერთიანებული ტელეკომის ბაზაზე, რომელთანაც **ვანექსი** და მას აჭარის ელექტროკავშირი აერთიანებდა.

2014 წელს კომპანია **სილქნეტმა** შეიძინა ქვეყნის ყველაზე მსხვილი ინტერაქტიული ტელევიზია GMG, რომელიც ექვსი სპორტული და კინოარხით მაუწყებლობდა ქვეყნის მასშტაბით და მოახდინა ტელევიზიის **რებრენდინგი,** როგორც Silk მედია ჯგუფი [1]. 2016 წელს სილქნეტმა შეიძინა მცირე უსადენო ინტერნეტ პროვაიდერი V-TEL Georgia, რომელიც მაქსიმალის სახელით ოპერირებდა ქვეყნის რამდენიმე რეგიონში და მოახდინა მისი სრული ინტეგრაცია კომპანიის ქსელთან. 2017 წლის ბოლოს სილქნეტმა შეიძინა სატელიტური ტელევიზიის მიმწოდებელი კომპანია გლობალ TV, რომელიც 2006 წლიდან აწვდიდა მომხმარებელს სერვისს და ქვეყნის თითქმის ნახევარს ფარავდა.

2018 წლის დასაწყისში უდიდესი გარიგების საფუძველზე მოხდა 153 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ უძველესი და ერთ-ერთი უმსხვილესი კავშრგაბმულობის კომპანიის შეძენა.

სილქნეტი არის კავკასიის უდიდესი სატელეკომუნიკაციო კომპანია, იგი აწვდის სრულ საკომუნიკაციო სერვისს, ქვეყნის მასშტაბით ფიქსირებულ მობილურ ტელეფონს.

1970 წლიდან განხორციელდა სატელეფონო ქსელში სისტემის სადგურების დამონტაჟება. ელექტრონული და ციფრული სადგურების დანერგვამ შესაძლებელი გახადა მოსახლეობის უფრო სრულყოფილი მომსახურება. XX საუკუნის ბოლოს თბილისში ამოქმედდა 34 ატს (საერთო ტევადობა 250000 ნომერი), მათ შორის 10 დეკადურ-ბიჯური, 12 ელექტრონული და 12 კორდინატული სისტემის ატს.

2018 წელს სილქნეტმა შეიძინა უმსხვილესი მობილური კავშირგაბმულობა **„ჯეოსელი“.** შეიძინა შვედური და თურქული კომპანიების საკუთრება 153 მილიონი აშშ დოლარად. სილქნეტს მხარი დაუჭირა TBC ბანკმა. ასეთია სილქნეტის ისტორია.

დასკვნა

ციფრული ტექნოლოგია მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას და მასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. ციფრულ ეკონომიკას ზოგჯერ ინტერნეტ-ეკონომიკას, ახალ ეკონომიკას ან ვებ-ეკონომიკასაც უწოდებენ. ამ ახალ ეკონომიკაში ციფრული ქსელი და საკომუნიკაციო საშუალებები ქმნიან გლობალურ პლატფორმას, რომელზეც ადამიანები და ორგანიზაციები, ურთიერთქმედებენ, ურთიერთობენ, თანამშრომლობენ და ახორციელებენ ფულად გარიგებებს, ქმნიან ინოვაციურ ციფრულ ბიზნესტექნოლოგიებს. **ციფრული ტექნოლოგია ანვითარებს და ზრდის** ბიზნეს-საქმიანობას, ონლაინ პლატფორმებისა და ვირტუალური ტექნოლოგიების საშუალებით.

ბიზნესის თვალსაზრისით იგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩენაა.

ციფრული ეკონომიკა ეს არის ინოვაციები, კონკურენტუნარიანობის მნიშნელოვანი მამოძრავებელი ძალა.

ციფრული ტრანსფორმაცია ეს გარდაუვალი პროცესია, რომელსაც განიცდის მსოფლიო. ბიზნესის მთავრი მამოძრავებელი ცვლილებები არის თანამედროვე ევოლუციური მომხმარებელი, რომლის მეშვეობით ბიზნესი იცვლება ახალი ფაქტორების ზემოქმედებით. კავშირის ოპერატორები ტესტირებენ და ნერგავენ ყველა ტექნოლოგიურ ინოვაციებს, რომელთა მეშვეობით გარდაიქმნებიან მართვად პროვაიდერებად ინფორმაციული ტექნოლოგიების (იტ) საშუალებით.

ასევე გაციფროება გავლენას ახდენს საწარმოს და მოთხოვნების ყველა ასპექტებზე. გაციფროებისას არის გარკვეული სირთულეები ტელეკომუნიკაციის სფეროში. როგორიც არის ხარისხიანი მიწოდება პროდუქტისა და მისი მომსხაურების; დანახარჯების შემცირება ოპერაციულ პროცესებზე; ტექნოლოგიური ინოვაციების გარდაქმნა კომერციულში მოგების თვალსაზრისით კონკურენციის გაწევისას;

და ბოლოს, ინტელექტუალური ანალიზის საფუძველზე ტელეკომუნიკაციის გაციფროება იძლევა ტელეკომპანიების წარმატებას ბიზნეს სფეროში, ინოვაციური და კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნაში.

ციფრულ ტექნოლოგიას რევოლუცია შემოაქვს ტელეკომუნიკაციაში. ასეთია, დღეს, ციფრული ეკონომიკა და მისი პერსპექტივები ტელეკომუნიკაციაში.

ლიტერატურა

1. 1. ლ. ჩუხრუკიძე. უახლესი ციფრული ტექნოლოგიების როლი ბრენდინგის პროცესში მსოფლიოში და საქართველოში. სამაგისტრო ნაშრომი. თბ. 2019
2. 2. თ. გველესიანი. ციფრული ტექნოლოგიების როლი საბანკო სექტორის განვითარებაში. სამაგისტრო ნაშრომი, თბ. 2020
3. 3. Цифровая трансформация телекома – вопрос выживания в современных реалиях. M.23.IV. 2021
4. ე. ხახუტაშვილი, ნ.ღიბრაძე. ინოვაციური საზოგადოების ევოლუცია. სტუ, ჟურნალი „განათლება“, 2021 წ. #1 (31), გვ. 106-110

The Paper is dedicated to the 100th Anniversary of the Georgian Technical University
Perspectives in Telecommunications

Elisabed Khakhutashvili Associate Professor
Georgian Technical University

Summary

Digital economy is the process of doing business through the Internet i.e. in digital format. It is an economic activity carried out upon the contact of millions of people through electronic devices, the Internet and computers.

Digital Economy is a type of economy which is based on digital technology, such as the Internet, intranets, and private value-added networks, which require authorization for use. It is a closed network and not for the general consumer and open world. Digital technology includes computers, software, and other related information technologies. The digital economy is called the new economy or web economy.

In this new economy, digital networking is based on digital information and communication technologies. Digital Economy is an innovative business model implemented through telecommunications and this article is dedicated to these issues.

The Digital Economy is more developed than the Internet economy. Digital Economy, this is the structure of a network system-organizational spatial relationship between subjects.

The digital economy gives rise to hundreds of economic growth. Competition in the digital market has different features:

The first, competition between business models or platforms is usually more important than competition between business models;

The second, digital markets are often characterized by strong networking and large-scale effects that reinforces this feature of the competitor.

The third, many digital markets are bilateral, thus two groups of consumers make a profit from the digital platform.

Historically, competition in the digital market carries a cyclical character. A successful firm can acquire significant market governance, but such dominance can reverse another cycle of innovation.

The main determinants of the digital economy are:

- Economic activity directly on the digital economy platform;
- Personified service models;
- Direct interaction between creators and users;
- Spreading the economy for shared consumption;
- The role of an important treasure trove of individual participants.

Digital Economy, this is an important driving force for innovation, competitiveness and business development in telecommunications.

We get all kinds of information through the website. It simplifies the relationship between business entities, as well as avoids the financial costs of hiring new staff.

It is also noteworthy the greatest luxury of the 21st century, such is online shopping without direct participation, it is important especially during COVID 19.

The advent of mobile phones has transformed communication systems through both voice and short text communications.

Today there are smartphones, which also include various types of digital technology, such as calculators, cameras, mapping, scheduling calendar appointments, online translation, various search engines, architectural softwares-Revit, AutoCAD, Archicad and others that perform various architectural drawings and tasks, etc.

In the digital economy, blockchain technology is notable, as are transactions of cryptocurrencies and bitcoin. Blockchain - an ever-growing list of records, where each block contains a mark connecting to the previous block and is cryptographically protected.

Artificial intellect - machine intellect. It performs functions such as reasoning, planning, learning and more. Artificial Intelligence this is a simulation of human nature, the most demanded in the innovative world.

In the digital economy it is also noteworthy the cloud system that stores large amounts of data in the Internet space; files that take up a lot of space are saved.

Voice interfaces or chat-bots are the best way to save human resources and that is most important it protects your business from additional costs.

Digital transformation is an inevitable process that the world of telecommunications is experiencing.

Thus, based on intellectual analysis, the digitalization of telecommunications allows the economic success of TV companies to create an innovative and competitive product in the business field.

Digital technology brings revolution in telecommunications in the direction of the digital economy.

Keywords: Digital Economy, Innovative Models, Business, Competition, Cryptocurrency, Bitcoin, Blockchain, Cloud System, Artificial Intellect, Rebranding.

ევროპაში ჭკვიანი მრიცხველების დანერგვის შედარებითი ანალიზი

არჩილ გრიგალაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქეთევან ილურიძე, ასისტენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ევროკავშირი ახორციელებს ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციას. მთავარი იდეა ისაა, რომ მსხვილი ენერგეტიკული კომპანიების გავლე-ნის შემცირება გამოიწვევს კონკურენციისა და ინოვაციების სტიმულირებას ენერგეტიკის სექტორში.

ნაშრომში გაანალიზებულია იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც ნერგავენ ჭკვიან მრიცხველებს, იმ განსხვავებით, თუ სახელმწიფოები როგორ ახალისებენ კერძო კომპანიებს, რათა მოიზიდონ ინვესტიციებიჭკვიანი ქსელისადა ჭკვიანი მრიცხველების ტექნოლოგიების განვითარებაში.

ევროკავშირინერგავს საყოფაცხოვრებო პირობებში ჭკვიან მრიცხველებს, რომლის მთავარი მიზანია ენერგიის მოხმარებისა და ნახშირბადის ემისიების შემცირება. ჭკვიანი მრიცხველები წარმოადგენს ელექტრონულ მოწყობილობებს, რომლებსაც გააჩნიათ ენერგიის მოხმარებისა დაგაზომვის უფრო დახვეწილი გზა, ვიდრე ჩვეულებრივი მრიცხველებს.

თითოეულ წევრ ქვეყანას ენერგეტიკული ბაზრის განსხვავებული პირობები გააჩნიათ. ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრის დაყოფამგაზარდა ბაზარზე კონკურენცია.რაც უფრო მაღალია ბაზარზე შეღწევა, მით უფრო იზრდება მოთხოვნა ქსელის გაციფრულებისკენ, რაც იწვევსინვესტიციის მოზიდვას.

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკული პოლიტიკა, რეგულაცია, ჭკვიანი მრიცხველები.

ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ ჭკვიანი მრიცხველების დანერგვას, ანალიზი ფოკუსირებულია ისეთ ქვეყნებზე, რომლებთაც გააჩნიათ მარეგულირებელი ბაზა, რომელიც ეფუძნება ენერგორესურსების მიმწოდებლების წახალისებას და ითვალისწინებს ინოვაციურ წამახალისებელ ღონისძიებებს.

ჭკვიანი მრიცხველები წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ჭკვიანი ქსელისდანერგვისკენ, იგი ხშირად ფინანსდება და გამოიყენება, როგორც ქსელის გაციფრულების ნაწილი. ამრიგად, შინამეურნეობები მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს, რადგან მათზე მოდის სათბური გაზების ეროვნული ემისიის მნიშვნელოვანი წილი.

ჭკვიანი მრიცხველის ტექნოლოგია მუშავდება და ინერგება სადისტრიბუციო სისტემის ოპერატორებისა და ენერგიის მიმწოდებლების მიერ. სადისტრიბუციო სისტემის ოპერატორები წარმოადგენენ რეგულირებად სუბიექტებს. გამანაწილებელ კომპანიებს შეუმცირდებათ საოპერაციო ხარჯები მრიცხველის წაკითხვის, ელექტროენერგიის დატაცების, ელექტროენერგიის დისტანციური გათიშვის შედეგად.

წინასწარი კვლევა აჩვენებს, რომ ენერგეტიკული კომპანიები ამონტაჟებდნენ მრიცხველებს, მაგრამ სთავაზობდნენ მხოლოდ შეზღუდულ სერვისებს, რომლებიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევდა დაენახათ ენერგიის მოხმარება. დამატებითი სერვისების შეთავაზება გამოწვევებს უქმნის კომუნალურ კომპანიებს, რადგან ისინი ღებულობენ დამატებით ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიასთან და მონაცემთა ბაზებთან.

სადისტრიბუციო კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ ადგილობრივ ენერგეტიკულ კომპანიებთან, რათა გაზარდონ ჭკვიანი მრიცხველების გამოყენება საყოფაცხოვრებო პირობებში, როგორც ეს განხორციელდა ნიდერლანდებში ე.წ. „სამეზობლო ელჩებთან“ თანამშრომლობით.

მარეგულირებლის ფაქტორებში იგულისხმება სადისტრიბუციო კომპანიების რეგულირების მექანიზმები, როგორიცაა: წამახალისებელი, ხარჯებზე დაფუძნებული და ჰიბრიდული მარეგულირებელი მოდელები. წახალისებაზე დაფუძნებულია მოდელები, რომლებშიც საფასო გადაწყვეტილებები მიიღება ფირმის დონეზე, ხოლო მოგება მიღებულია ხარჯების დაზოგვის შედეგად. ხარჯებზე დაფუძნებულ მოდელებში ფასი შენარჩუნებულია ფაქტობრივი ხარჯით, რაც ქმნის სუსტ სტიმულს ინვესტირებისთვის. ორივე ტიპის ჰიბრიდი, ასევე გვთავაზობს სტიმულირებაზე დაფუძნებულ ზომებს საოპერაციო ხარჯებთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებული მეთოდები

ცხრილი № 1 ევროკავშირის წევრი ქვეყნების მარეგულირებელი და საბაზრო მექანიზმები ჭკვიანი მრიცხველის დანერგვისას

ევროკავშირის წევრი ქვეყნები (სტიმულირებაზე დაფუძნებული მარეგულირებელი მექანიზმით	ინოვაციის სტიმულირების მექანიზმი	ელექტროენერგიის უმსხვილესი მწარმოებლის ბაზრის წილი (ევროსტატი, 2018 წ.) მთლიანი გამომუშავების % 2017წ.	სადისტრიბუციო სექტორის კონცენტრაცია	სადისტრიბუციო კომპანიების ინვესტიცია ჭკვიან ქსელში (საინვესტიციო ევრო/მშპ)	ჭკვიანი მრიცხველის ფუნქცია
ავსტრია	აქვთ	57,5%	დაბალი	193,8	2/5
გერმანია	არცერთი	34%	დაბალი	109,19	1/5
საფრაგენჯთი	არცერთი	86, 7%	საშუალო	191,15	3/5
ირლანდია	აქვთ	54%	მაღალი	88,99	3/5
რუმინეთი	არცერთი	23,70%	საშუალო	27,55	0/5
ესპანეთი	არცერთი	25,50%	დაბალი		2/5
დიდი ბრიტანეთი	აქვთ	31,30%	საშუალო	203,18	5/5

ხელს უწყობს ჭკვიან ქსელში ინვესტიციების სტიმულირებას.

საბაზრო პირობები ასევე განაპირობებს ზოგიერთ ფინანსურ გადაწყვეტილებას, რომელსაც სადისტრიბუციო კომპანიები იღებენ და შესაძლოა ხელი შეუწყონ მომავალში ჭკვიანი მრიცხველების განვითარებას. ამ ასპექტისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რამდენად დიდია ბაზარი და რა წილი აქვთ ცალკეულ კომპანიებს, რათაშეფასდეს კონკურენცია და ინოვაციის დანერგვა (ცხრილი № 1).

ზემოთ აღნიშნული ცხრილი ეფუძნება ევროკომისიის რეკომენდაციებს:

- მონაცემებიმიეწოდოს უშუალოდ მყიდველს ან მომხმარებლის მიერ მოთხოვნილ ნებისმიერ მესამე მხარეს;
- განახლდეს მონაცემები საკმაოდ ხშირად, რომ გამოვიყენოთ ინფორმაცია ენერგიის დაზოგვის მიზნით;
- ოპერატორის მიერ მრიცხველის ჩვენების დისტანციური წაკითხვის შესაძლებლობა;
- უზრუნველყოს ორმხრივი კომუნიკაცია ჭკვიანი აღრიცხვის სისტემასა და გარე ქსელებს შორის, აღრიცხვის სისტემის მოვლისა და კონტროლისთვის;
- ინფორმაციის განახლება მოხდეს იმდენად ხშირად, რომ მიღებული მონაცემები გამოყენებულ იქნეს ქსელის დაგეგმვისთვის.

იმისთვის, რომ ჭკვიანმა მრიცხველებმა ეფექტურად შეცვალონ მომხმარებელთა ქცევა, ჭკვიანი მრიცხველის ტექნოლოგია უნდა იყოს დაკავშირებული ინტერფეისთან, რათა უზრუნველყოს ენერგიის მოხმარებისშესახებ ინფორმაციის მომხმარებლისთვის დროული და ზუსტი მიწოდება. ეს რეკომენდაციები ასახულია ქვემოთ მოცემულ ფუნქციებში:

- გამაფრთხილებელი სიგნალი, რომელიც აფრთხილებს მომხმარებელს ენერგიის განსაკუთრებული მოხმარების შესახებ;
- ღია კარის პრინციპი, რომლის მეშვეობითაც კლიენტს შეუძლიამონაცემებთან წვდომა და მოხმარების გაკონტროლება;
- დისტანციური განახლების შესაძლებლობა;
- ოპერაციული ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა ელექტროენერგიის დაუგეგმავი გათიშვის შესახებ.

ევროკავშირის წევრი სულ ოცდაშვიდი ქვეყნიდან ასეთი მარეგულირებელი სქემა თერთმეტმა ქვეყანამ შეიმუშავა. უფრო დეტალური აღწერილობის შესარჩევად ქვეყნები შეირჩა მათი სხვადასხვა მარეგულირებელი და საბაზრო სტრუქტურების მიხედვით. კერძოდ, ავსტრიას, ირლანდიასა და გაერთიანებულ სამეფოს გააჩნიათ წამახალისებელი სისტემა, რომელიც ეფუძნება შემოსავლის კორექტირებას. ეს ქვეყნები განსხვავდებიან ფაქტობრივი მოხმარების სტიმულირების სტრუქტურის არსებობით (ირლანდია და დიდი ბრიტანეთი) და არარსებობით (ავსტრია). ისინი ასევე განსხვავდებიან ელექტროენერგიის უმსხვილესი მწარმოებლის საბაზრო წილით, აგრეთვე ჩადებული ინვესტიციის დონით. საპირისპირო სცენარის სიმულაციისთვის, საფრანგეთისა და რუმინეთის შემთხვევაში, არ არსებობს ინოვაციების წახალისების მექანიზმები. შესაბამისად, მთავრობის მხარდაჭერა შეზღუდულია და ბაზრის სტრუქტურები მსგავსია იმით, რომ დისტრიბუციის სექტორის კონცენტრაცია ორივე ქვეყანაში საშუალოა, მაგრამ ელექტროენერგიის უმსხვილესი მწარმოებლის ბაზრის წილი განსხვავებულია: საფრანგეთში- 85.7%,რუმინეთში - 25.7%.

2012 წლის აპრილში ავსტრიის ეკონომიკის, ჯანმრთელობისა და ახალგაზრდობის ფედერალურმა სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ სადის-

ტრიბუციო კომპანიებმა თანდათანობით უნდა დანერგონ ჭკვიანი მრიცხველები. 2015 წელს დანერგილი უნდა ყოფილიყო ჭკვიანი მრიცხველების 15%-ი, ხოლო ამ მაჩვენებელმა 2020 წელამდე 95%-ს უნდა მიაღწიოს. ამჟამად დამონტაჟებულია დაახლოებით 456 000 ჭკვიანი მრიცხველი. გარდა ამისა, ავსტრიის ენერგეტიკის მარეგულირებელმა გამოაქვეყნა რეგულაცია მონაცემთა ფორმატისა და მოხმარების ინფორმაციის ფორმის შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ „სისტემის ოპერატორმა უნდა მიაწოდოს ჭკვიანი მრიცხველებით აღჭურვილ მომხმარებლებს წვდომა ინტერნეტ პორტალზე, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, აჩვენებს მათ რეალურ და სტატისტიკურ მონაცემებს“.

ირლანდია ჭკვიანი მრიცხველის დანერგვის მესამე ფაზაშია. ეს ნიშნავს, რომ დასრულებულია ანალიზის, კომუნიკაციისა და კონსულტაციის პროცესები და ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ (CER) მიიღო გადაწყვეტილებები მონაცემთა შენახვისა და მინიმალური ფუნქციონალის შესახებ. 2011 წელს, ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ (CER) შემოიღო დამატებითი ხელშეწყობის მექანიზმი, რათა წაახალისოს სადისტრიბუციო კომპანიების მიერ ჩაატარებული კვლევა და განვითარება.

მეტი მომხმარებლის მოსაზიდად, ენერგეტიკული პროვაიდერები სთავაზობენ ჭკვიანი გადახდის სისტემას, რომელიც მოქალაქეებს ელექტროენერგიის გადასახადის გადახდის საშუალებას აძლევს ჭკვიანი მრიცხველის მეშვეობით.

დიდ ბრიტანეთში, მთავრობამ შემოიღო გარკვეული მოთხოვნები ჭკვიანი მრიცხველების დასანერგად. კომპანიებმა უნდა შეასრულონ ჭკვიანი მრიცხველისადმი წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები, რომლებსაც შეუძლიათ ენერგიის მიმწოდებლებისთვის წაკითხვის გადაცემა და მონაცემების დისტანციურად გაგზავნა. თუმცა, იმის გამო, რომ ენერგეტიკული კომპანიები ჩართულნი არიან იმპლემენტაციაში, ზოგიერთმა მათგანმა წინასწარ დანერგა ჭკვიანი მრიცხველები სტანდარტის დაუცველად. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთ მომხმარებელს მოუწევს მრიცხველების შეცვლა მომდევნო წლების განმავლობაში.

საფრანგეთში არ არსებობს ინოვაციისა და წახალისების სისტემა, თუმცა, სადისტრიბუციო კომპანიების ინვესტიცია მაღალია და ჭკვიანი მრიცხველის „ხუთი ფუნქციიდან“ სამი გათვალისწინებულია. ეს ძირითადად მოიცავს მომხმარებლისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, როგორიცაა მოხმარების სტატისტიკური მონაცემები, ზღვრების განსაზღვრა და ყოველდღიური მოხმარების შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინებების მიწოდება. ეს სერვისები წარმოადგენს საპილოტე პროექტის ნაწილს 300 000 მომხმარებლისთვის. ჭკვიანი მრიცხველების მონტაჟთან დაკავშირებული ხარჯები გაწეულია ენერგოპროვაიდერის „Enedis“-ის (ყოფილი ERDF) მიერ. ენერგეტიკის ეროვნული სააგენტო მიუთითებს, რომ 4,5-11% ენერგიის დაზოგვა შეიძლება მიღწეულ იქნას ამ საპილოტე პროექტის შედეგად.

სტანდარტებისა და ტექნიკური დეტალების დეტალური განსაზღვრის გარეშე, სადისტრიბუციო კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა საკომუნიკაციო გადაწყვეტილებები და პროტოკოლები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტექნოლოგიური თავსებადობის პრობლემები და შეზღუდოს მასშტაბები. ენერგეტიკული კომპანიების ინვესტიციები და მომსახურების მიწოდება დიდ წილად განისაზღვრება ბაზრისა და ხარჯების სტრუქტურირებით, რაზეც გავლენა შეიძლება მოახდინოს მთავრობის სტიმულირებამ.

დასკვნა

ჭკვიანი მრიცხველის დანერგვისას, არსებობს მარეგულირებელი ზომების კომპლექსური გადაკვეთა, რომელსაც შეუძლია მათი დროულობისა და თანამიმდევრულობის შედეგად გავლენა მოახდინოს ჭკვიანი მრიცხველის ტექნოლოგიებისა და სერვისების მიღებაზე. ანალიზის შედეგად საჭიროა სახელმწიფო სუბსიდიები, რათა წაახალისონ კომპანიები, განავითარონ ჭკვიანი მრიცხველების უხილავი ასპექტები (მონაცემთა ტექნოლოგია და არქიტექტურა) და ხილული ელემენტები, როგორიცაა აპლიკაციები. რაც მთავარია, პოლიტიკის განხორციელების კონტექსტში აქცენტი კეთდება მომხმარებელზე.

ხელშეწყობა წარმატებულია, როდესაც მთავრობა უზრუნველყოფს კერძო ფირმებისთვის ინოვაციების სტიმულირების სტრუქტურას და ქმნის მომხმარებლებზე ორიენტირებულ უკუკავშირის მექანიზმებს. ამ ხელსაყრელმა პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიების მიერ ინვესტიციების გაზრდა ჭკვიანი ქსელის ინფრასტრუქტურაში.

უფრო დეტალური კვლევებია საჭირო მარეგულირებელი მექანიზმების შემდგომ დასახასიათებლად, რომლებიც ხელს შეუწყობს ენერგიის მოხმარების შემცირების პოლიტიკის გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bridwell-Mitchell, E. N., & Sherer, D. G. (2018). Institutional complexity and policy im- plementation: How underlying logics drive teacher interpretations of reform.
2. Department of Energy and Climate Change (DECC) (2019).
3. Andor, M. A., & Fels, K. M. (2018). Behavioral economics and energy conservation – A systematic review of non-price interventions and their causal effects.
4. European Directive 2012/148/EU: Commission Recommendation of 9 March 2012 on preparations for the roll-out of smart metering systems.

A comparative analysis of the introduction of smart meters in Europe

Archil Grigalashvili , Asst. Professor
Georgian Technical University

Ketevan Iluridze, Assistant
Georgian Technical University

Summary

The EU is liberalizing the energy market. The main idea is that reducing the influence of large energy companies will stimulate competition and innovation in the energy sector.

The paper analyzes the experience of countries that are introducing smart meters by encouraging private companies to attract investment in the development of smart grid and smart meter technologies. Incentives are successful when the government provides a structure for stimulating innovation for private sector and creates customer-oriented feedback mechanisms. These favorable conditions could lead to increased investments by companies in smart grid infrastructure.

The analysis focuses on countries with a regulatory framework based on incentives for energy suppliers and envisaging innovative incentives.

Smart meters are an important step towards the introduction of a smart grid. It is often funded and used as part of network digitization. Thus, households are an important target group because they have a significant share of national greenhouse gas emissions.

The EU is introducing smart meters for using in household conditions, the main purpose of which is to reduce energy consumption and carbon emissions. Smart meters are electronic devices that have a more sophisticated way of consuming and measuring energy than conventional meters.

Preliminary research shows that energy companies were installing smart meters, but offering only limited services to customers such as energy consumption monitoring. Offering additional services poses challenges to utility companies as they incur additional costs associated with technology and databases.

Each EU member state has different energy market conditions despite the fact that the division of the EU energy market has increased competition in the market. The higher the market penetration is, the greater is the aspiration to network digitization which is leading to more investment.

Keywords: energy policy, regulation, smart meters.

საბიბლიოთეკო მომსახურების მენეჯმენტის სისტემა

ბექა ბენდიანიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ვლადიმერ კეკენაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საბიბლიოთეკო მენეჯმენტის ყველაზე მთავარი და არსებითი ფუნქცია არის მომსახურების ხარისხი. სწორედ, რომ მკითხველის საინფორმაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება ანუ მომსახურება ანიჭებს ბიბლიოთეკას მთავარ ფუნქციას. ეს ხომ ორგანიზებული ქმედებაა. როგორც იცვლებოდა წარმოდგენა ბიბლიოთეკის როლზე საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სწორედ ამის მიხედვით განიცდიდა ევოლუციას ცნება „საბიბლიოთეკო მომსახურება". აქცენტი კეთდებოდა ბეჭდვითი პროდუქციის იდეოლოგიურ პროპაგანდაზე, 1990-იან წლებში — მომხმარებლის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე. ბოლო ეტაპზე კი საბიბლიოთეკო მომსახურებას სპეციალისტთა უმრავლესობა განიხილავს, როგორც ქმედებას, რომელიც მიმართულია მომხმარებლის საინფორმაციო მოთხოვნათა დაკმაყოფილებისაკენ.

ნებისმიერი საბიბლიოთეკო მომსახურება ეფექტური იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მკითხველსა და ბიბლიოთეკარს შორის დამყარდება ადამიანური კონტაქტი. მრავალრიცხოვანი გამოკითხვები ადასტურებს, რომ ყველაზე უფრო მომთხოვნი მკითხველი მზადაა აპატიოს ბიბლიოთეკარს თითქმის ყველა პროფესიული შეცდომა, მაგრამ არა – უხეშობა, დახმარების სურვილის არქონა.

აღსანიშნავია ბიბლიოთეკის მართვის სისტემის მნიშვნელობა განათლების ინდუსტრიაში. აღნიშნული მომსახურება ითვლება ნებისმიერი საგანმანათლებლო ინსტიტუტის მთავარ ფაქტორად. დღეს, საგანმანათლებლო ინსტიტუტების ციფრული სტანდარტების განვითარებასთან ერთად, უფრო მნიშვნელოვანი ხდება საგანმანათლებლო ინფორმაციის კატალოგის მართვა მასშტაბური და სანდო ბიბლიოთეკის მართვის სისტემით, რომელიც მხარს უჭერს ბიბლიოთეკის ზოგად მოთხოვნას.

სანდო ვებ სისტემაზე დაფუძნებული ბიბლიოთეკის მართვის სისტემა კი უზრუნველყოფს სრულ გარჩევადობას სტუდენტებისთვის, ბიბლიოთეკარებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის. ბიბლიოთეკის მართვის სისტემა ხელს უწყობს მსმენელებისთვის გაცემული და ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების მონაცემების შენარჩუნებას. ეს ბიბლიოთეკარებს ეხმარება ნებისმიერ დროს აღმოაჩინონ რომელიმე კონკრეტული წიგნი. ბიბლიოთეკის მართვის სისტემებისთვის ERP ადვილად შეიძლება იყოს მორგებული ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამისად. მისი ადვილად გამოსაყენებელი ინტერფეისი აადვილებს საქმეს ბიბლიოთეკის პერსონალისთვის.

საკვანძო სიტყვები: საბიბლიოთეკო მომსახურება, მენეჯმენტის სისტემა, ინტერნეტ-ბიბლიოთეკა, პროგრამული უზრუნველყოფა.

შესავალი

საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საბიბლიოთეკო მენეჯმენტის კონცეფცია საკმაოდ ღრმა და ყოვლისმომცველია. გასაანალიზებლად საბიბლიოთეკო მომსახურების გასაუმჯობესებელი ამოცანები, რომლებიც აუცილებელია გადაიდგას მიზნის მისაღწევად, შემდეგია:

- შეძლებისდაგვარად ბარიერების (ფიზიკური, ინტელექტუალური, ტექნიკური, ორგანიზაციული, პიროვნული, ფინანსური) მოხსნა მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად;
- მუდმივი შესწავლა მკითხველის/მომხმარებლის ინტერესების, კითხვების და მოთხოვნების;
- კითხვის კულტურის ფორმირებაში მკითხველის დახმარება. [2]

აუცილებელია ყურადღებიანი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მკითხველისადმი ბიბლიოთეკის პერსონალის მხრიდან, მისი აღმსარებლობის, ეროვნების, სოციალური სტატუსის, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად.

აგრეთვე დიალოგი არის საბიბლიოთეკო მომსახურების მნიშვნელოვანი ელემენტი (ბიბლიოთეკარის მკითხველთან, მკითხველის მკითხველთან).

ძირითადი ნაწილი

აღსანიშნავია ინკლუზიური ადამიანებისათვის საბიბლიოთეკო მენეჯმენტის სისტემა საბიბლიოთეკო საქმიანობასთან დაკავშირებით. ვინ იგებს ინკლუზიური კომუნიკაციისას? ბრიტანეთში 10 მილიონზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა კომუნიკაციის ინკლუზიურობა და მისაწვდომობა. მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების ოფისს (ODI) შეუძლია, დახმარება გაუწიოს სამთავრობო საკონტაქტო პირებს:

- ნებისმიერ პროექტში დასაწყისიდანვე ჩართონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები პოზიტიურად იყვნენ წარმოჩენილი;
- შექმნან მისაწვდომი კომუნიკაციები;
- ხელი მიუწვდებოდეთ უფასო გამოსახულებების ბიბლიოთეკაზე;
- მიაწოდონ ადაპტირებული ონლაინ ვიდეოები და პოდკასტები. რჩევები ინკლუზი-ური კომუნიკაციისთვის, ODI ეხმარება სახელმწიფო მოხელეებს, პროცესში ჩართონ და წარმოაჩინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

ხელსაწყოები მათ ეხმარებათ ახალი უნარების შეძენაში.

• ODI-ის გამოსახულებათა ბიბლიოთეკა სთავაზობთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო, პოზიტიურ გამოსახულებებს სამთავრობო საკონტაქტო პირებისთვის; • ODI-ის ადაპტირებული მედია პლეიერი ხელს უწყობს ადაპტირებული ონლაინ ვიდეოების და პოდკასტების მიწოდებას;

• ODI-ის ბუკლეტში „ინკლუზიური კომუნიკაციის უზრუნველყოფა“ მოწოდებულია რჩევები სამთავრობო საკონტაქტო პირებისთვის.[1]

საორიენტაციო ინდივიდუალური საუბარი უპირველესად მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის პირველი კონტაქტი მკითხველისა ბიბლიოთეკასთან. ამ შთაბეჭდილებაზეა დამოკიდებული მისი „საბიბლიოთეკო ბედი“. ეს ეხება ნებისმიერ მკითხველს, განსაკუთრებით — ახალგაზრდას, ბავშვს, მოზარდს, რომელიც პირველად ეცნობა ბიბლიოთეკას, რომელიც, აკეთებს არჩევანს: ბიბლიოთეკა თუ კომპიუტერული კლუბი. პირველი ინტერვიუ დგება მკითხველთან/მომხმარებელთან ბიბლიოთეკაში რეგისტრაციის დროს, ბიბლიოთეკარი აცნობს მომხმარებელს ბიბლიოთეკის ყველა შესაძლებლობებს, მის საინფორმაციო რესურსებს, წიგნად ფონდებს, მომსახურების სერვისს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, მომხმარებლის უფლებებს. ჩნდება ე.წ. „სინეგრიული ეფექტი“, იქმნება „კოლექტიური გონი“, ჩნდება შეჯიბრის მომენტიც (განსაკუთრებით დამახასიათებელია ბავშვებისთვის, მოზარდებისთვის). ეს აადვილებს ბიბლიოთეკარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის დამახსოვრებას. მკითხველმა უნდა დაინახოს „ბიბლიოთეკის სახე“, გაიგოს მისი ისტორია და ტრადიციები.

ტაქტიკურ საუბარს თავისი სპეციფიკა აქვს. ამ დროს, მომხმარებელზე, მის ინტერესებზე უკვე გვაქვს გარკვეული წარმოდგენა. ბიბლიოთეკარი წიგნის წარდგენის დროს ითვალისწინებს, რა წაიკითხა მან უკვე. საუბარი ისე უნდა წარიმართოს, რომ მკითხველი დაინტერესდეს თემით, მკითხველს მოუნდეს წიგნის წაკითხვა, ასევე ავტორის შემოქმედებით.

ბიბლიოთეკარი გამუდმებით უნდა მუშაობდეს თავის თავზე, სისტემატურად აკვირდებოდეს და შეისწავლიდეს მკითხველის ინტერესს, სრულყოფდეს მუშაობის ხერხებს, ეუფლებოდეს ტექნიკურ საშუალებებს, უცხო ენებს. აბონემენტის ბიბლიოთეკარს პროფესიული დაოსტატების გარდა მაღალი ერუდიცია, პედაგოგიური ალღო და ტაქტი, კომუნიკაბელობა ესაჭიროება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის ეკონომიას.

სააბონემენტო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას აკრავენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, რომლის გაცნობაც უცილებელია ბიბლიოთეკაში ჩაწერის დროს. ბიბლიოთეკარისთვისა და მკითხველისთვის გაადვილებული უნდა იყოს კონტაქტი კატალოგთან და კატალოგის - კონსულტანტთან. აბონემენტის საქმიანობაში გარკვეულ როლს თამაშობს კატალოგი. ამიტომ ის, რამდენადაც შეიძლება, მიახლოებულია ამ განყოფილებასთან.

აბონემენტის ორგანიზებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წიგნების გაცემა - მიღების ტექნიკას, წიგნბრუნვის რეგისტრაციასა და აღრიცხვის წარმოებას. რეგისტრაციის სისტემა მოითხოვს ნუმერაციულ განლაგებას, ამიტომაც ყველა მკითხველს თავისი ნომერი ეძლევა. აბონემენტი არის ბიბლიოთეკაში ჩაწერის იურიდიული დოკუმენტი.

მოძებნილი საბიბლიოთეკო დოკუმენტის გაცემის დროს მკითხველის აბონემენტში იწერება ამ დოკუმენტის მონაცემები და წიგნის გაცემა დასტურდება მკითხველის ხელის მოწერით. წიგნის გაცემა ფიქსირდება ელექტრონულ საბიბლიოთეკო

პროგრამაშიც. აუცილებლად იშლება წიგნი ელექტრონული პროგრამიდანაც. დაუშვებელია საბიბლიოთეკო დოკუმენტის დაზიანება, ხოლო საბიბლიოთეკო დოკუმენტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

აბონემენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წიგნების მოთხოვნაზე უარის აღრიცხვას და ანალიზს. ეს საშუალებას გვაძლევს პროცენტული შეფარდება მოვახდინოთ მოთხოვნილ წიგნებსა და რეალურ გაცემას შორის. მოთხოვნილებებს უნდა შეესაბამებოდეს, როგორც წესი, აბონემენტი ღიაა 7-8 საათი. მკითხველებთან მუშაობა განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს სამკითხველო დარბაზებში.

ბიბლიოთეკარი ვალდებულია, პატივი სცეს მკითხველის უფლებას - სრულად ისარგებლოს საბიბლიოთეკო მომსახურებით. დაუშვებელია მკითხველთა რაიმე სახის დისკრიმინაცია. მკითხველს შეუძლია ისარგებლოს პრინტერით, ქსეროქსით, სკანერის აპარატითა და კომპიუტერით, რისთვისაც მან უნდა მიმართოს ბიბლიოთეკის თანამშრომელს, რომელიც აღნიშნული ტექნიკით მომსახურებას უზრუნველყოფს.

დასკვნა

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტის ფართო გამოყენება აადვილებს ინფორმაციის მიღებას. წარმოიშვა მკითხველის ახალი კატეგორია - ონლაინ (ვირტუალური) მკითხველი. ბიბლიოთეკებმა ახალი ამოცანა დაისახეს - მრავალდონიანი ინფორმაციული სივრცის შექმნა.[3]

აღსანიშნავია საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაცია, ანუ კლასიფიკაცია გულისხმობს ოთხი აუცილებელი ელემენტის სახეზე არსებობას: 1. კლასიფიკაციის ობიექტი: წიგნი, მისი ნაწილი და სხვა სახის გამოცემა, ელექტრონული გამოცემები; 2. კლასიფიკაციის სახელმძღვანელო, საკლასიფიკაციო ,,იარაღი";? 3. ბიბლიოთეკარი – კლასიფიკატორი, სპეციალისტი, ინდექსატორი; 4. მკითხველი, მკითხველთა ჯგუფი, რომელთა ინტერესი კლასიფიკაციის პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.[3]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბილეიშვილი მ.; აფციაური ს.; მაღალდაძე ე.; ფირაშვილი ნ.; - „სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებაზე". თბილისი: შპს „ბატაშ პრინტი", 2014წ., გვ.195
2. https://www.britishcouncil.ge/sites/default/files/sco_print.pdf
3. გაიპარაშვილი ზ., გიორგაძე თ., კალხიტაშვილი მ., დოდაშვილი მ., მახანაშვილი ნ., ყაჩმაზაშვილი ე., კახიანი მ., აბულაძე მ., გელაშვილი დ., ბუაჩიძე დ. - „საბიბლიოთეკო საქმე". თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი. 2015წ, გვ.229
4. თაყნიაშვილი გ.; - „საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაცია", მეთოდურირეკომენდაციები. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2010წ., გვ.5

Library service management system

Beka Bendianishvili, PhD student
Georgian Technical University

Research director: Vladimer Kekenadze
Georgian Technical University

Summary

The most important and essential function of library management is the quality of service. It is that meeting the information requirements or services of the reader gives the library its main function. This is an organized action. As the notion of the role of the library changed at different stages of society's development, the concept of "library services" evolved accordingly. The focus was on the ideological propaganda of print products, in the 1990s - on meeting the needs of the consumer. At the last stage, the library service is considered by most specialists as an action aimed at meeting the information needs of the user.

Any library service will be effective only when human contact is established between the reader and the librarian. Numerous polls show that the most demanding readers are willing to forgive the librarian for almost all professional mistakes, but not - rudeness, unwillingness to help.

The importance of the library management system in the education industry is noteworthy. These services are considered to be a major factor in any educational institution. Today, with the development of digital standards for educational institutions, it is becoming increasingly important to manage an educational information catalog with a large-scale and reliable library management system that supports the general demand of the library.

A trusted web-based library management system provides full resolution for students, librarians, and faculty. The library management system helps to maintain the data of the books issued to the listeners and available in the library. This helps librarians discover any particular book at any time. ERP for library management systems can easily be customized to suit individual requirements. Its easy-to-use interface makes it easy for library staff.

It is noteworthy that the systematization of library documents, or classification implies the existence of four necessary elements on the face: 1. Object of classification: book, its part and other types of publications, electronic publications; 2. Classification guide; 3. Librarian - classifier, specialist, indexer; 4. Reader, a group of readers whose interests must be taken into account in the classification process.

დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების გავლენა საზოგადოებრივ აზრზე

გიორგი ქიმაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თემურ ყანდაშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ინფორმაციას აქვს ძალა იმოქმედოს საზოგადოებრივ აზრზე და შესაბამისად გავლენა მოახდინოს ადამიანთა გადაწყვეტილებებზე. ყალბი ამბებით მანიპულირება კაცობრიობის ისტორიისთვის უცხო არ არის, თუმცა ის დახვეწილი ფორმები და გავრცელების მასშტაბი რაც მან დღეს შეიძინა, აქამდე არასდროს ჰქონია.

კვლევაში ნათქვამია, რომ თეორიის მიზანია, ის ადამიანები, რომლებსაც კონკრეტულ საკითხებზე მყარი პოზიცია არ აქვთ, მივიდნენ დასკვნამდე, რომ გამოსავალი არ არის და დანებდნენ. ამ თეორიის „წყალობით“ პროპაგანდისტთა ხელში ის ადამიანები უფრო იოლად ხვდებიან, რომლებსაც სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე თავიანთი კონკრეტული პოზიცია აქვთ და ფიქრობენ, რომ ეს პოზიცია როგორც იმუნიტეტი, ისე იცავს ყალბი სიახლეებისგან. პროპაგნდისტული საქმიანობის მიზანი არ არის ადამიანს ისეთი ინფორმაცია მიაწოდონ, რომელიც მასში პროტესტს გამოიწვევს, ან არგუმენტირებული ვრცელი ინფორმაცია შესთავაზონ. პირიქით, მთავარი მიზანია, სრულად ყალბი, ან ნაწილობრივ რეალობას დაფუძნებული ყალბი ამბავი, ისეთი მოკლე ფორმულირებით მიაწოდონ განსხვავებული შეხედულებების მქონე ჯგუფებს, რომ მათი შეხედულები მეტად გამყარდეს და მეტიც - რადიკალური გახდეს.

ყოველდღიურად, სოციალურ ქსელებში და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ყალბი ინფორმაცია სხვადასხვა ფორმით გვხვდება:

- ყალბი სათაური - ე.წ. „მყვირალა სათაური“, რომელიც არსებითად შესაძლოა განსხვავდებოდეს ძირითადი ტექსტისგან;
- გაზიარებადი ამბავი - მომხმარებელმა შესაძლოა არ წაიკითხოს, ან შეამოწმოს ეს ამბები და გააზიაროს მხოლოდ ფოტოს ან სათაურის გამო. ამდენად, ხშირ შემთხვევაში ფართოდ გაზიარებული ამბავი, ნამდვილ ამბავს სულაც არ ნიშნავს. პირიქით, ის დიდი ალბათობით შეიძლება ყალბი იყოს;
- სატირა - სატირული ამბები დღეს სულ უფრო და უფრო მეტად ემგვანება ნამდვილს და ვრცელდება ისე, თითქოს ნამდვილი ამბავია. ვისაც არ ესმის სატირას იუმორისტული ბუნება, მიიჩნევენ რომ ამბავი სარწმუნოა;
- „დიფფეიკი“ (Deepfake) - გაყალბებული ვიდეო, რომელსაც ქმნის ხელოვნური ინტელექტი, ადამიანის გარეგნობის, სხეულის მოძრაობის, ლაპარაკის მანერისა და მიმიკის მიმბაძველობის ტექნოლოგიის გამოყენებით.

საკვლევი საკითხი სახელმწიფოს მმართველობითი პროცესის უსაფრთხო ორგანიზებაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

საკვანძო სიტყვები: „დიფფეიკი“ ; გაზიარებადი ამბავი; არასწორი ინფორმაცია (დეზინფორმაცია) Malinformation; ტროლი; ბოტი.

შესავალი

ყალბი ამბებით მანიპულირება კაცობრიობის ისტორიისთვის უცხო არ არის, თუმცა ის დახვეწილი ფორმები და გავრცელების მასშტაბი რაც მან დღეს შეიძინა, აქამდე არასდროს ჰქონია.

ამბავი, რომელიც არ დასტურდება, რომლის წყაროც საეჭვოა, დიდი ალბათობით სრულად ან ნაწილობრივ გამოგონილია - ყალბ ახალ ამბავს (Fake News) უწოდებენ.

განწყობით მანიპულირება და ადამიანებს შორის ყველაზე დამალული შიშების გაღვივება მიმზანმიმართულად ხდება სოციალური ქსელებში სამიზნე აუდიტორიაზე მორგებული ყალბი ამბებისა და რეკლამის გამოყენებით. ქმედება კი გამოიხატება შემდეგში: წინასწარ შესწავლილ იდეოლოგიურად დაყოფილ ჯგუფებს, სოციალურ ქსელებში ტროლებისა და ბოტების საშუალებით აწვდიან მათთვისა და მხოლოდ მათთვის საინტერესო ყალბ ამბებს, რათა გაუმძაფრონ შეხედულებები მათთვის პრობლემატურ და განსაკუთრებით სენსიტიურ საკითხებზე.

ძირითადი ნაწილი

ყალბი ახალი ამბებისა და დეზინფორმაციის საშუალებით, პროპაგანდის მწარმოებლებს აქვთ პოტენციალი მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის პოლარიზება, ხელი შეუწყონ ძალადობის, ექსტრემიზმისა და სიძულვილის ენის გაღვივებას, დაასუსტონ დემოკრატია და საბოლოო ჯამში საზოგადოებას დემოკრატიული პროცესებისადმი ნდობა დააკარგვინონ.

არსებობს ორი სახის ყალბი ახალი ამბავი:

1. ამბავი, რომელიც სრულად გამოგონილია;
2. ამბავი, სადაც ფაქტების ნაწილი ნამდვილია, მაგრამ მთლიანობაში ყალბია.

ყალბი ამბების მიზანია, მკითხველი დაარწმუნოს გარკვეულ პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ მოსაზრებებში. მსგავსი ისტორიები ასევე „მითების“ გამყარება-გავრცელებას ემსახურება.

ყოველდღიურად, სოციალურ ქსელებში და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ყალბი ინფორმაცია შესაძლოა სხვადასხვა ფორმით შეგხვდეს:

- ყალბი სათაური - ე.წ. „მყვირალა სათაური“, რომელიც არსებითად შესაძლოა განსხვავდებოდეს ძირითადი ტექსტისგან. ამ ტიპის ყალბი ახალი ამბების ინტერნეტ ტერმინია "clickbait" - სათაურები, რომლებიც მკითხველის ყურადღებას იპყრობს[1];
- გაზიარებადი ამბავი - სოციალური მედიას აქვს საინფორმაციო ლენტის ზედაპირულად თვალიერების თავისებურება. ეს თავისებურება აჩენს შესაძლებლობას დამთვალიერებლმა ახალი ამბების დიდი ოდენობა ნახოს. მომხმარებელმა შესაძლოა არ წაიკითხოს, ან შეამოწმოს ეს ამბები და გააზიაროს მხოლოდ ფოტოს ან სათაურის გამო. ამდენად, ხშირ შემთხვევაში ფართოდ გაზიარებული ამბავი, ნამდვილ ამბავს სულაც არ ნიშნავს. პირიქით, ის დიდი ალბათობით შეიძლება ყალბი იყოს;
- სატირა - სატირული ამბები დღეს სულ უფრო და უფრო მეტად ემგვანება ნამდვილს და ვრცელდება ისე, თითქოს ნამდვილი ამბავია. ვისაც არ ესმის სატირას იუმორისტული ბუნება, მიიჩნევენ რომ ამბავი სარწმუნოა. მსოფლიოში დღეისათვის არსებობს რამდენიმე ცნობილი სატირული საიტი, რომელთა მიერ გავრცელებული ამბები ხშირად ტირაჟირდება, როგორც ნამდვილი. გლობალურად, ერთ-ერთი ყველაზე დიდი და წარმატებული მსგავსი ონლაინ გამოცემაა Onion[2];
- „დიფფეიკი“[3] (Deepfake) - გაყალბებული ვიდეო, რომელსაც ქმნის ხელოვნური ინტელექტი, ადამიანის გარეგნობის, სხეულის მოძრაობის, ლაპარაკის მანერისა და მიმიკის მიმბაძველობის ტექნოლოგიის გამოყენებით. აღნიშნული პროგრამები თავდაპირველად მხოლოდ კინო-ინდუსტრიაში დასაქმებული პროფესიონალი მემონტაჟეებისთვის იყო ხელმისაწვდომი. „ჭკვიანი ტელეფონების“ (Smartphone) ერაში კი ნებისმეირს აქვს შესაძლებლობა საკუთარ ტელეფონში პროგრამა გადმოწეროს და ვიდეო შექმნას. აღნიშნული ტექნოლოგია დეზინფორმაციის შემქმნელთა და გამავრცელებელთა ხელში ახალი შესაძლებლობაა, უკვე რეალური პოლიტიკური ფიგურის, თუ საზოგადოების ცნობილი წევრების მონაწილეობით შექმნან და გაავრცელონ ყალბი ვიდეობი, რაც ცრუ ინფორმაციას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის. სოციალურ ქსელში უკვე არაერთი მსგავსი ყალბი ვიდეო გავრცელდა, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბარაკ ობამას მიმართვაა[4].

ყალბი ამბების გავრცელებას შესაძლოა რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს:

- არასწორი ინფორმაცია (Misinformation) - ცრუ ინფორმაცია, რომლის გამავრცელებელს შესაძლოა არ ჰქონდა ზიანის მიყენების განზრახვა, ან სჯეროდა რომ სიმართლეს ავრცელებს, თუმცა საბოლოო ჯამში სწორედ საზიანო შედეგი გამოიწვია[5];
- დეზინფორმაცია (Disinformation) - ზიანის მიყენების მიზნით შეგნებულად გავრცელებული ცრუ ინფორმაცია[6];
- Malinformation - ფაქტობრივად სწორი ინფორმაცია, რომელიც შეგნებულად გავრცელდა პირისთვის, ქვეყნისთვის, ან ინ-

[1] something (such as a headline) designed to make readers want to click on a hyperlink especially when the link leads to content of dubious value or interest. It is difficult to remember a time when you could scroll through the social media outlet of your choice and not be bombarded with: You'll never believe what happened when … This is the cutest thing ever … This the biggest mistake you can make … Take this quiz to see which character you are on … They are all classic clickbait models (https://www.merriam-webster.com/dictionary/clickbait)

[2] https://www.theonion.com/

[3] "Deepfakes" are videos that use AI technology to paste a celebrity face onto a different body (https://www.merriam-webster.com/words-at-play/deepfake-slang-definition-examples)

[4] https://ars.electronica.art/center/en/obama-deep-fake/

[5] Mis-information - false information shared with no intention of causing harm (https://www.dictionary.com/browse/misinformation)

[6] false information shared intentionally to cause harm (https://www.dictionary.com/browse/disinformation)

სტიტუტისთვის ზიანის მიყენების მიზნით[1].

ინფორმაციას აქვს ძალა იმოქმედოს საზოგადოებრივ აზრზე და შესაბამისად გავლენა მოახდინოს ადამიანთა გადაწყვეტილებებზე. ეს კარგად იცოდნენ რუსულმა სპეცსამსახურებმა, როცა 2016 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებს, ხოლო იმავე წელს დიდ ბრიტანეთში ევროკავშირში დარჩენა/გამოყოფის შესახებ ჩატარებულ რეფერენდუმზე ზემოქმედება დაგეგმეს.

განწყობით მანიპულირება და ამომრჩეველთა შორის ყველაზე დამალული შიშების გაღვივება მიმზანმიმართულად ხდებოდა სოციალური ქსელებში სამიზნე აუდიტორიაზე მორგებული ყალბი ამბებისა და რეკლამის გამოყენებით. სამიზნე აუდიტორიამდე მიღწევას სპეცსამსახურებს კი ე.წ. დიდ მონაცემთა ბაზაზე (big data) წვდომა უადვილებდათ. ორივე შემთხვევაში რუსულმა სპეცსამსახურებმა შეძლეს დემოკრატიის მთავარი პრინციპების გამოყენება დემოკრატიის წინააღმდეგ, კერძოდ:

1. თავისუფალი სიტყვა და გამოხატვის თავისუფლება - რაც მათ საშუალებას აძლევდათ ნებისმიერი ინფორმაცია გაევრცელებინათ მედიისა თუ სოციალური ქსელების საშუალებით;

2. ხმის მიცემა და რეფერენდუმი - როგორც ინსტრუმენტი მათთვის სასურველი შედეგების მისაღწევად.

ერთ-ერთი ყველაზე „ცნობილი“ ყალბი ინფორმაცია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე გავრცელდა ამბობდა, რომ რომის პაპმა ფრანცისკემ მხარი დაუჭირა დონალდ ტრამპს[2]. სინამდვილეში ეს იყო სრულიად ყალბი ამბავი, რომელსაც ჰქონდა უდიდესი პოტენციალი გავლენა მოეხდინა იმ ადამიანებზე, ვისთვისაც მნიშვნელობა ჰქონდა თუ ვის უჭერდა მხარს რომის პაპი. შესაძლოა, მავანმა იფიქროს, რატომ არის საინტერესო ვის უჭერს მხარს ესა თუ ის საჯარო პირი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რამდენი კათოლიკე ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში (მათ შორის ლათინური წარმოშობის ამერიკის მოქალაქე, რომლებიც რომის პაპის მიმართ განსაკუთრებულად სენსიტიური დამოკიდებულებით გამოირჩევიან) და პანტეფიკოსის სიტყვას მათთვის რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, ცხადი გახდება, რომ ეს ინფორმაცია „შემთხვევითი ყალბი ამბავი“ სულაც არ ყოფილა. მხოლოდ ერთ საათში და მხოლოდ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ამბავს მილიონზე მეტი გაზიარება ჰქონდა. ინფორმაცია სხვა სოციალურ ქსელებშიც რეკორდული სისწრაფით გავრცელდა. იმის მიუხედავად, რომ მალევე გახდა ცნობილი რომ ამბავი ყალბი იყო, ამ ფაქტს ისეთივე ეფექტი აღარ ჰქონია, როგორც საკუთრივ ყალბმა ამბავმა მოახდინა. მათთვის, ვისაც სურდათ ტრამპისთვის ხმის მიცემა და რომის პაპი ავტორიტეტი იყო, ყალბი ინფორმაცია საკმარისად დამაჯერებელი აღმოჩნდა.

საბოლოო ჯამში 2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ყალბი ამბები შტატების უსაფრთხოების სამსახურებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა. არჩევნების შემდეგ ჩატარებული არაერთი კვლევიდან ირკვევა რომ არჩევნებამდე სამი თვით ადრე, საშუალოდ, ამერიკელმა ზრდასრულმა ადამიანმა, ნახა ერთი ან შესაძლოა რამდენიმე ყალბი ახალი ამბავი არჩევნების შესახებ. მათგან კი ნახევარზე მეტმა, ვისაც ახსოვდა, რომ ნახა აღნიშნული ამბები დაიჯერა კიდეც. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ადამიანები სულ უფრო მეტად და მარტივად დაიჯერებენ ისტორიებს, რომლებიც უპირატესობას ანიჭებს მათ სასურველ კანდიდატს, განსაკუთრებით თუ ეს ადამიანები ეკუთვნიან იდეოლოგიურად დაყოფილ სოციალურ ჯგუფებს და სოციალურ მედიაშიც გაწევრიანებულები არიან კიდეც შესაბამის ჯგუფებში[3].

ყალბი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობას რუსული სპეცსამსახურები ე.წ. „ტროლებისა“[4] და „ბოტების“[5] გამოყენებით უწყობენ ხელს.

[1] based on reality but it is used to inflict harm on a person, organisation or country (https://www.mediadefence.org/ereader/publications/introductory-modules-on-digital-rights-and-freedom-of-expression-online/module-8-false-news-misinformation-and-propaganda/misinformation-disinformation-and-mal-information/)

[2] The story was originally published by a site called WTOE 5 News before being copied by a popular fake news publisher Ending the Fed. By November 8, the story had picked up 960,000 Facebook engagements, according to Buzzfeed (https://www.cnbc.com/2016/12/30/read-all-about-it-the-biggest-fake-news-stories-of-2016.html)

[3] people are much more likely to believe stories that favor their preferred candidate, especially if they have ideologically segregated social media networks (https://www.nber.org/papers/w23089)

[4] ტროლი არის პიროვნება, რომელიც ონლაინ სივრცეში რეალური იდენტობის მითითების გარეშე მოქმედებს, რათა სხვადასხვა ვებ-გვერდებზე, ფორუმებსა და სოციალურ ქსელებში მომხმარებელთა შორის ჯანსაღ დისკუსიას ხელი შეუშალოს. ტროლები მათთვის საინტერესო თემებზე სოციალური ქსელების (მაგალითად, Facebook, Vkontakte, Odnoklassniki) ჯგუფებში, ბლოგებზე, ასევე ვებ-პორტალების კომენტარების სექციაში აგრესიულ და არათემატურ კომენტარებს წერენ, რათა ყურადღება მიიქციონ და მომხმარებელთა ემოციური პროვოცირება მოახდინონ. კიბერ ძალები სოციალური მედიის პლატფორმებზე კომპიუტერიზებულ პროპაგანდას აქტიურად იყენებენ (http://millab.ge/ka/mil-resources/any/29/any/)

[5] სოციალურ ქსელში არსებული ავტომატიზებული პროფილია, რომელსაც რეალური პიროვნების პროფილისთვის მიმსგავსებული მახასიათებლები აქვს. ბოტების მართვა შესაძლებელია ერთგვარი ქსელის სახით, როდესაც ერთი კონკრეტული მომხმარებელი დისტანციურად ათეულ ათასობით ავტომატიზებულ ანგარიშს მართავს.
ოქსფორდის უნივერსიტეტის ინტერნეტის ინსტიტუტი გამოყოფს ბოტების კიდევ ერთ სახეობას - პოლიტიკურ ბოტებს, რაც სპეციალურად

ამერიკის შეერთებული შტატების 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისა და ამავე წელს ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსული სპეცსამსახურები და მათი დავალებით მოქმედი ტროლებისა და ბოტების მიზანი არ ყოფილა ქცევის შეცვლა. ისინი არ მუშაობდნენ იმისათვის რომ პოზიცია შეეცვალა ამომრჩეველს, ან გადაერწმუნებინათ ისინი. პირიქით, საზოგადოებრივ ჯგუფებს ყველანაირ „საჭირო“ ინფორმაციას და მეტ ყალბ არგუმენტს აწვდიდნენ იმ პოზიციის გასამყარებლად, რასაც ატარებდნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი კვლევის და განვითარების ორგანიზაციის, კორპორაცია "რანდის"[1] (RAND Corporation) მკვლევარებმა შეისწავლეს ის სპეციალური მეთოდი, რომელსაც რუსული სპეცსამსახურები შტატებში ჩატარებული არჩევნების დროს იყენებდნენ.

ჩატარებული კვლევისას გამოიკვეთა, რომ რუსეთი იყენებს საბჭოთა სამხედრო მაღალჩინოსნების მიერ, ცივი ომის პერიოდში შემუშავებულ სპეციფიკურ თეორიასა და მეთოდს. კერძოდ, საუბარია რეფლექსური კონტროლისა და მართვის თეორიაზე[2]. "რანდის" მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ სწორედ ამ თეორიის დახვეწით მოახდინა რუსეთმა გავლენა ამერიკელ ამომრჩევლებზე.

"რანდის" მკვლევარების განმარტებით, რეფლექსური კონტროლის და მართვის თეორია მათემატიკურ ალგორითმს ეფუძნება. თეორიას საკმაოდ რთული სქემა აქვს, თუმცა მისი ძირითადი არსი მარტივია[3]. თეორიის მიხედვით, მთავარია ადამიანებს შორის მოხდეს პოლარიზება და შეიქმნას დაძაბული, კონფლიქტური გარემო. მანამ, სანამ მოქმედებას დაიწყებენ, სპეცსამსახურები სწავლობენ საზოგადოებაში არსებული ჯგუფების შეხედულებებს, რის შემდეგ მოქმედებაზე გადადიან.

ქმედება კი გამოიხატება შემდეგში: წინასწარ შესწავლილ იდეოლოგიურად დაყოფილ ჯგუფებს, სოციალურ ქსელებში ტროლებისა და ბოტების საშუალებით აწვდიან მათთვისა და მხოლოდ მათთვის საინტერესო ყალბ ამბებს, რათა გაუმძაფრონ შეხედულებები მათთვის პრობლემატურ და განსაკუთრებით სენსიტიურ საკითხებზე. სპეცსამსახურების დავალებით მოქმედი ტროლების მიზანია, განამტკიცონ ადამიანების შეხედულებები და რამდენადაც შესაძლებელია დაამახინჯონ, რათა ორივე (ან შესაძლოა მეტიც) ჯგუფი იმ კონდიციამდე მიიყვანონ, რომ მათ შორის რაიმე სახის კონსესუსის მიღწევა შეუძლებელი გახდეს.

კვლევაში ნათქვამია, რომ თეორიის მიზანია, ის ადამიანები, რომლებსაც კონკრეტულ საკითხებზე მყარი პოზიცია არ აქვთ, მივიდნენ დასკვნამდე, რომ გამოსავალი არ არის და დანებდნენ. ამ თეორიის „წყალობით“ პროპაგანდისტთა ხელში ის ადამიანები უფრო იოლად ხვდებიან, რომლებსაც სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე თავიანთი კონკრეტული პოზიცია აქვთ და ფიქრობენ, რომ ეს პოზიცია როგორც იმუნიტეტი, ისე იცავს ყალბი სიახლეებისგან.

კვლევაში მოყვანილია მარტივი მაგალითი, იმის თაობაზე თუ როგორ მუშაობს პრაქტიკაში აღნიშნული მეთოდი[4]. მაგალითად ორი მეზობელი თანხმდება, რომ ქონების გადასახადი მაღალია. თუმცა, ერთამენთს არ ეთანხმებიან ისეთ ემოციურ და სენსიტიურ საკითხზე, როგორიც რასობრივი დისკრიმინაცია, უმცირესობების უფლებები, ან მიგრაციის საკითხებია. ბუნებრივია, ორივე მეზობელი მოიძიებს მათ შეხედულებებთან ახლოს მყოფ ინფორმაციას, არგუენტებს, დეტალებს, ან ისტორიებს. ინტერნეტში მოძიებულ ინფორმაციას კი აზიარებს სოციალურ ქსელებში. როგორც აღვნიშნეთ ტროლები აკვირდებიან შესაწვლილ ჯგუფებს და მათ შეხედულებებს და ეტაპობრივად ამ ორი კონკრეტული ადამიანის თვალთახედ-

შექმნილ კომპიუტერულ პროგრამას ან კომპიუტერულ კოდს გულისხმობს, რომელიც ონლაინ სივრცეში რეალური ადამიანის ქცევას არის მიმსგავსებული. ისინი არჩევნების და რეფერენდუმების პერიოდში სხვადასხვა მანიპულაციურ ტექნიკებს იყენებენ, მათ შორის ყალბი ამბებისა და პროპაგანდის გავრცელებას, ასევე ამა თუ იმ სუბიექტის ან ჯგუფის მიმართ ყალბი პოპულარობისა და მხარდაჭერის ილუზიის შექმნას ახდენენ. პოლიტიკური ბოტები მათთვის ხელსაყრელი შინაარსის შემცველ ინფორმაციას აზიარებენ (share), იწონებენ (like) და ონლაინ სივრცეში ჯანსაღი პოლიტიკური დისკურსის შეცვლას ცდილობენ (http://millab.ge/ka/mil-resources/any/29/any/)

[1] https://www.rand.org/pubs/research_reports/RRA704-1.html

[2] Reflexive control theory is a formal theoretical research program exploring this technique; it was developed by Vladimir Lefebvre and others and first appeared in Soviet military literature in the 1960s (Chotikul, 1986; Radin, Demus, and Marcinek, 2020; Thomas, 2004). Unlike game theory, this theory does not assume that individuals act rationally; rather, it assumes that people act "according to their image of the world and their image of their adversary's image of the world https://www.rand.org/pubs/research_reports/RRA704-1.html

[3] In general, reflexive control theory presents the world as a set of binary relationships: People are either in conflict or cooperation with one another, and their actions are either passive or aggressive in nature (Lefebvre, 1965, 1966). Although the binary view is an oversimplification, this assumption is based on how some historians characterize human relationships in the Soviet Union.[6]

The model structure implies that a person's decisions depend on what is socially desirable, insofar as they perceive what is desirable to others. Outside parties can manipulate this perception, which forms the basis for reflexive control as a tool for understanding information efforts. Belief in falsehoods is merely a byproduct of reflexive control, not the end goal. Disseminating false content is a tactic to manipulate one group's view of others.

We have identified at least two key features of reflexive control theory that seem applicable to recent information efforts targeting U.S. elections (https://www.rand.org/pubs/research_reports/RRA704-1.html)

4 https://www.rand.org/pubs/research_reports/RRA704-1.html

ვის არეში ექცევა ისეთი ყალბი ინფორმაცია, არგუმენტები თუ ისტორიები რომელიც მათ შეხედულებებს ამ საკითხებზე უფრო და უფრო ამძაფრებს. კერძოდ, რასობრივი დისკრიმინაციის მოწინააღმდეგე ადამიანი იღებს ინფორმაციას იმაზე, თუ როგორ იჩაგრება ფერადკანიანი მოსახლეობა, ხოლო მისი მეზობელი, რომელსაც მიაჩნია რომ თერთრკანიანთა უფლებები ძალიან შეზღუდეს და კრიმინალი სწორედ შავკანიანების „პროფესიაა“, სწორედ ასეთი ინფორმაციითა და მაგალითებით „მარაგდება“. შედეგად, მეზობლებს შორის პოლარიზებული გარემო იქმნება, ტროლებისა და ბოტების ხელშეწყობით დაპირისპირება მაქსიმალურად ღრმავდება და ორივე მხარე რადიკალური ხდება იმდენად, რომ თავიანთი პოზიციების შეჯერებას ვერცერთ სხვა საკითხზე, მათ შორის მაღალ გადასახადებზეც კი, ვეღარ ახერხებენ. სწორედ ეს არის რუსული სპეცსამსახურების მიზანი: საზოგადოების დაყოფა და პოლარიზება იმდენად, რომ ლოგი-კური მსჯელობისთვის სივრცე არ დარჩეს და საზოგადოების კონსოლიდაცია სრულიად შეუძლებელი გახდეს.

ამ თეორიაზე აგებული პროპაგნდისტული საქმიანობის მიზანი არ არის ადამიანს ისეთი ინფორმაცია მიაწოდონ, რომელიც მასში პროტესტს გამოიწვევს, ან არგუმენტირებული ვრცელი ინფორმაცია შესთავაზონ. პირიქით, მთავარი მიზანია, სრულად ყალბი, ან ნაწილობრივ რეალობას დაფუძნებული ყალბი ამბავი, ისეთი მოკლე ფორმულირებით მიაწოდონ განსხვავებული შეხედულებების მქონე ჯგუფებს, რომ მათი შეხედულები მეტად გამყარდეს და მეტიც - რადიკალური გახდეს.

ამ თეორიის მიხედვით, საზოგადოების წევრები უნებლიედ თავად ხდებიან პროპაგანდის მსახურები - რადგან მათთვის მისაღებ ყალბ ახალ ამბავს, რომელიც მათ პოზიციებს ამყარებს, ავტომატურად აზიარებენ სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე, კამათის დროს არგუმენტებად იშველიებენ და გავრცელებას ხელს უწყობენ.

იგივე მოდელმა წარმატებით იმუშავა „ბრექსითის“ შემთხვევაშიც. საზოგადოების გახლეჩვისთვის, რუსულმა სპეცსამსახურებმა დიდი ბრიტანეთის 2016 წლის რეფერენდუმის შემთხვევაში, რამდენიმე სენსიტიური თემა გამოიყენეს. მათგან უმთავრესი კი მიგრაციის საკითხი იყო.

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის დაზვერვისა და უსაფრთხოების კომიტეტის „ანგარიშში რუსეთის შესახებ“, რომელიც 2016 წლის რეფერენდუმში ჩარევას და ამ მიმართულებით ბრიტანეთის სპეცსამსახურების ეფექტიანობას აფასებს 2020 წლის 21 ივლისს გამოქვეყნდა[1].

მოხსენებაში ნათქვამია, რომ დასავლეთისთვის რუსეთიდან მომავალ საფრთხეებთან გამკლავება რთულია, რადგან ეს საფრთხე თავისი ბუნებით ფუნდამენტურად ნიჰილისტურია. „რუსეთი საგარეო პოლიტიკას ნულოვან თამაშად განიხილავს: მისთვის კარგია და მისაღებია ნებისმიერი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს დასავლეთს[2].

ამავე მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ ბრიტანეთი იყო მოსკოვის საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ამერიკის შეერთებულ შტატებთან და NATO-სთან ერთად[3].

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ რუსეთმა დეზინფორმაციის დახმარებით საკუთარი პროპაგანდისტული ომი, ჯერ კიდევ 2014 წელს, შოტლანდიის რეფერენდუმის დროს წამოიწყო. „ეს არის რუსეთის მიერ დასავლური ქვეყნის დემოკრატიულ პროცესებში ჩარევის პირველი ცნობილი მცდელობა“,[4] - ნათქვამია მოხსენებაში.

აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთის პარლამენტი მკვეთრად უარყოფითად და არაეფექტურად აფასებს თავისი ქვეყნის დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობას. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ღია წყაროების კვლევა აშკარად მიუთითებდა რუსული სპეცსამსახურების მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის თაობაზე, რომელსაც ტროლებისა და ბოტებისა დახმარებით ავრცელებდნენ. „კომიტეტის კითხვაზე, რა იცოდა ან მოიმოქმედა რუსული დეზინფორმაციის წინაღმდეგ, ბრიტანეთის შიდა დაზვერვამ, რომელიც ცნობილია როგორც MI5,

[1] https://int.nyt.com/data/documenttools/intelligence-and-security-committee-s-russia-report/9c665c08033cab70/full.pdf

[2] The security threatposed by Russia is difficultfor the West to manage as, in our view and that ofmany others, itappears fundamentally nihilistic. Russia seemsto see foreign policy as a zero- sum game: any actions it can take which damage the West are fundamentallygood for Russia. Itis also seemingly fed by paranoia, believingthatWestern institutionssuch as NATO and the EU have a far more aggressive posture towards it than they do in reality. There is also a sense that Russia believesthatan undemocratic mightis rightworld orderplays to its strengths,which leadsitto seek to underminetheRulesBased InternationalOrder – whilst nonethelessbenefitting from itsmembership of international political and economic institutions (https://int.nyt.com/data/documenttools/intelligence-and-security-committee-s-russia-report/9c665c08033cab70/full.pdf)

[3] It appears that Russia considers the UK one of its top Western intelligence targets: while wemay not experience the level and typeofthreat that countries on Russia's borders suffer, witnesses have suggested that we would sit just behind the US and NATO in any 1 priority list. This is likely to be related to the UK's close relationship with the US, and the fact that the UK is seen as central to the Western anti-Russian lobby https://int.nyt.com/data/documenttools/intelligence-and-security-committee-s-russia-report/9c665c08033cab70/full.pdf

[4] While Russia has long honed its hacking and disinformation skills on neighboring countries in Eastern Europe, Russia's efforts to sway voters in Scotland ahead of the 2014 independence referendum marked the first known attempt to interfere in the democratic processes of a Western country.(https://int.nyt.com/data/documenttools/intelligence-and-security-committee-s-russia-report/9c665c08033cab70/full.pdf)

თავდაპირველად პასუხი არ ჰქონდათ და მხოლოდ „ექვსი ხაზიანი“ მოკლე პასუხით შემოიფარგლენ“ -, ნათქვამია მოხსენებაში.[1]

ანგარიში კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უსვამს ხაზს. კერძოდ, იმ ფაქტს, რომ ლონდონი გაჟღენთილია რუსული ფულით, რომელიც დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შევიდა. „რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან დაახლოებულ რუს ოლიგარქებს, საშუალება მიეცათ გაეთეთრებინათ თავიანთი ფული ბრიტანეთის დედაქალაქში, სანაცვლოდ კი შეეძინათ რეპუტაცია“. მოხსენებაში კონკრეტული გვარ-სახელები არ არის მოცემული, თუმცა აღნიშნულია, რომ მდიდარი რუსები ლონდონის ელიტის საყრდენად იქცნენ. „საყოველთაოდ აღიარებულია, რომ რუსული დაზვერვა და ბიზნესი მთლიანად ერთმანეთშია გადაჯაჭვული“[2] - ნათქვამია ანგარიშში.

დასკვნა

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი გარემოებები მიუთითებს რომ, თუკი ადამიანი ეკუთვნის კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს (მასის თეორიის მიხედვით კი ადამიანთა უმეტესობა რომელიმე სოციალურ ჯგუფს აუცილებლად ეკუთვნის), ის მარტივად იღებს და შეუმოწმებლად ეთანხმება/აზიარებს ინფორმაციას, რომელიც მის სოციალურ ჯგუფსა და მის შეხედულებებთან ახლოა და მისაღებია.

ეპოქას, როცა ადამიანებისთვის უფრო მეტად მისაღებია არგუმენტები, რომელიც მათ ემოციებსა და რწმენას ეხმიანება, ან ამყარებს, ვიდრე ფაქტებზე დაფუძნებული სინამდვილე Post-truth[3] (სიმართლის გარეშე) ეწოდა. აღნიშნული ტერმინი ოქსფორდის ლექსიკონმა 2016 წელს, წლის სიტყვად გამოაცხადა.

[1] Intelligence agencies, loath to be seen as getting involved in democratic processes, did not see the defense of electoral integrity from foreign interference as their primary responsibility, suggesting that task instead lay with the Department for Digital, Culture, Media, and Sport and the Electoral Commission. When asked by the committee about Russian disinformation efforts, Britain's domestic intelligence agency, known as MI5, initially responded with just "six lines of text," the report states. (https://int.nyt.com/data/documenttools/intelligence-and-security-committee-s-russia-report/9c665c08033cab70/full.pdf)

[2] (https://int.nyt.com/data/documenttools/intelligence-and-security-committee-s-russia-report/9c665c08033cab70/full.pdf)

[3] relating to a situation in which people are more likely to accept an argument based on their emotions and beliefs, rather than one based on facts:
The referendum was the first major vote in the era of post-truth politics (https://languages.oup.com/word-of-the-year/2016/)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. (https://www.merriam-webster.com/dictionary/clickbait)
2. https://www.theonion.com/
3. "Deepfakes" are videos that use AI technology to paste a celebrity face onto a different body (https://www.merriam-webster.com/words-at-play/deepfake-slang-definition-examples)
4. https://ars.electronica.art/center/en/obama-deep-fake/
5. Mis-information - false information shared with no intention of causing harm (https://www.dictionary.com/browse/misinformation)
6. false information shared intentionally to cause harm (https://www.dictionary.com/browse/disinformation)
7. based on reality but it is used to inflict harm on a person, organisation or country (https://www.mediadefence.org/ereader/publications/introductory-modules-on-digital-rights-and-freedom-of-expression-online/module-8-false-news-misinformation-and-propaganda/misinformation-disinformation-and-mal-information/)
8. The story was originally published by a site called WTOE 5 News before being copied by a popular fake news publisher Ending the Fed. By November 8, the story had picked up 960,000 Facebook engagements, according to Buzzfeed (https://www.cnbc.com/2016/12/30/read-all-about-it-the-biggest-fake-news-stories-of-2016.html)
9. people are much more likely to believe stories that favor their preferred candidate, especially if they have ideologically segregated social media networks https://www.nber.org/papers/w23089
10. http://millab.ge/ka/mil-resources/any/29/any/
11. https://www.rand.org/pubs/research_reports/RRA704-1.html
12. https://int.nyt.com/data/documenttools/intelligence-and-security-committee-s-russia-report/9c665c08033cab70/full.pdf
13. https://int.nyt.com/data/documenttools/intelligence-and-security-committee-s-russia-report/9c665c08033cab70/full.pdf
14. The referendum was the first major vote in the era of post-truth politics (https://languages.oup.com/word-of-the-year/2016/)

Influence of misinformation and false news on public opinion

Giorgi Kimadze, PhD student
Georgian Technical University,

Temur Kandashvili, Professor
Georgian Technical University

Summary

Information has the power to influence public opinion and consequently influence people's decisions. Manipulating fake news is no stranger to human history, though it has never had the subtle forms and scale of spread it has acquired today.

The study says that the goal of the theory is that people who do not have a firm position on specific issues come to the conclusion that there is no solution and give up. "Thanks" to this theory, it is easier for propagandists to find people who have a specific position on various important issues and think that this position protects both immunity and fake news. The purpose of propaganda is not to provide information to a person that will provoke a protest in it, or to offer reasoned extensive information. Rather, the main goal is to provide a completely false, or partially fact-based, false story to groups with different views in such a short formulation that their views become more solid and, moreover, more radical.

On a daily basis, false information can be found in various forms on social networks and in the mass media:

- False title - so called. A "screaming title" that may differ substantially from the main text;
- Shared Story - Users may not read or check this news and share it just because of a photo or headline. Thus, in many cases a widely shared story does not necessarily mean a true story. Conversely, it can most likely be fake;
- Satire - Satirical news today is more and more like the real thing and is spread as if it is a real story. Those who do not understand the humorous nature of satire will find the story credible;
- Deepfake - A fake video created by artificial intelligence using technology of human appearance, body movement, speech and facial expressions.
- The research issue is especially important in the safe organization of the state governance process.

The research issue is especially important in the safe organization of the state governance process.

keywords: "Deepfake"; "clickbait"; Shared story; Misinformation; Disinformation; Malinformation; Troll; Bot.

ისტორიის მეცნიერებები

HISTORY SCIENCES

ლენდ-ლიზის სამხრეთის მარშრუტი და საქართველო

გერმანე ფიფია, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)

რეზიუმე

დასავლეთის ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია შეხედულება იმის შესახებ, რომ ლენდ-ლიზის გარეშე საბჭოეთი ვერ გაიმარჯვებდა ნაციზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში (ე. სტეტინიუსი, ი. როსტოუ, ი. სტეილი, რ. შერვუდი, ლ. როუზი და სხვ.). ცნობილია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული საპირისპირო სტერეოტიპიც (ნ. ვოზნესენსკი, კ. ლუკაშოვი, ა. ვიშინსკი და სხვ.). საბჭოთა ისტორიოგრაფია მოკავშირეთა ყველა სახის სამხედრო მიწოდებას საბჭოეთის სახალხო მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის საერთო მაჩვენებელში მხოლოდ 4%-ით განსაზღვრავდა. ეს ციფრი ბოლო პერიოდამდე ფიგურირებდა საბჭოთა ენციკლოპედიებსა და ურიცხვ მონოგრაფიებში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის შეუსწავლელია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მოკავშირეთა მიერ საბჭოეთისათვის მიწოდებული ლენდ-ლიზური (იმპორტული) პროდუქციის (სამხედრო ტექნიკა, მოწყობილობა-დანადგარები, სურსათი) მიღება-განთავსება-განაწილების ურთულეს ოპერაციებში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი. ნაშრომი წარმოადგენს პირველ მცდელობას შესაბამისი საარქივო დოკუმენტების, პერიოდული გამოცემების სათანადო მასალების თუ თანამედროვეთა მოგონებებში დაცული ცნობების საფუძველზე ნაწილობრივ მაინც შეავსოს ამ მხრივ არსებული ხარვეზი. ნაშრომში ნაჩვენებია საქართველოს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ინფრასრუქტურის (თბილისში დაკომპლექტებული რკინიგზის სამხედრო-საექსპლუატაციო განყოფილებები), განსაკუთრებით რკინიგზის ტრანსპორტისა და ამ სფეროში დასაქმებული პერსონალის თავდადებული შრომა, ომის ექსტრემალურ პირობებში სამხრეთის მარშრუტით (ირანის გამოვლით) მოკავშირეებისაგან მოწოდებული სხვადასხვა დანიშნულების ლენდ-ლიზური პროდუქციით ნაციზმის წინააღმდეგ მეომარი სახელმწიფოს (საბჭოეთის) მომარაგების სამხრეთკავკასიური პერიპეტიები.

საკვანძო სიტყვები: ლენდ-ლიზი, ნაციზმი, საქართველოს რკინიგზა, სამხედრო-საექსპლუატაციო განყოფილება, სამხრეთ კავკასია, იმპორტული პროდუქცია, მეორე ფრონტი.

შესავალი

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ლენდ-ლიზის (ინგლ. Lend-Lease - ,,სესხად მიცემა“ და ,,იჯარით გაცემა“ - აშშ კონგრესის მიერ 1941 წლის 11 მარტს მიღებული კანონი მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ მეომარი ქვეყნებისათვის შეიარაღების, ნედლეულის, სურსათისა და სხვა საქონლის სესხად და იჯარით გადაცემის შესახებ) პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საბჭოეთს. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია ლენდ-ლიზის შესახებ ღიაა, მრავალფეროვან ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებათა გამო დღემდე გრძელდება კამათი მისი როლისა და მნიშვნელობის შესახებ ანტიჰიტლერული კოალიციის მთავარ აქტორებს შორის. ასეთ ვითარებას განაპირობებს ,,ცივი ომის“ დროინდელი დასავლეთისა და აღმოსავლეთის საყოველთაოდ ცნობილი იდეოლოგიური დაპირისპირების რეციდივებიც, რომლებსაც საკმაოდ სიცოცხლისუნარიანს ხდის თანამედროვე საერთაშორისო ურთერთობის დაძაბული ფონი.

დასავლეთის ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია აზრი იმის შესახებ, რომ ლენდ-ლიზის გარეშე საბჭოეთი ვერ გაიმარჯვებდა ვერმახტთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში (ე. სტეტინიუსი, ი. როსტოუ, ი. სტეილი, რ. შერვუდი, ლ. როუზი და სხვ.) ცნობილია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული საპირისპირო სტერეოტიპიც (ნ. ვოზნესენსკი, კ. ლუკაშოვი, ა. ვიშინსკი). საბჭოთა საისტორიო წყაროების მიხედვით ყველა სახის სამხედრო მიწოდებამ მოკავშირეების მხრიდან შეადგინა საბჭოეთის სახალხო მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 4% [20, 74]. ნ. ვოზნესენსკის (საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე) მიერ დამკვიდრებული ეს ციფრი 1947 წლიდან მოყოლებული ათეულობით წლების განმავლობაში ბოლო პერიოდამდე მყარად ფიგურირებდა საბჭოთა ენციკლოპედიებსა და ურიცხვ მონოგრაფიებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში [27] მოხმობილი მასალების მიხედვით დასტურდება, რომ აშშ-ში იდეა საკუთარი არმიის შეირაღების იჯარით გაცემის შესახებ წარმოიშვა XIX ს. 90-იან წლებში და 1892 წელს დაკანონდა პრეზიდენტ ბ. ჰარისონის დროს. აღნიშნული კანონი 1940 წელს აშშ ფინანსთა სამინისტროს იურისკონსულებმა ე. ფოლიმ და ო. კოკსმა აღმოაჩინეს არქივებში. მიკვლეული დოკუმენტების საფუძველზე მათ მოამზადეს კანონპროექტი ლენდ-ლიზის შესახებ, რომელიც დამტკიცებულ იქნა კონგრესის მიერ [2]. 1941 წლის 11 მარტს პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა ხელი მოაწერა კანონს ,,ამერიკის შეერთებული შტატების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ“. ლენდ-ლიზის პროგრამული კონცეფცია აშშ პრეზიდენტს უფლებას ანიჭებდა დახმარება გაეწია ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომლის დაცვა საჭირბოროტო, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა მისი ქვეყნისთვის. ლენდ-ლიზით გათვალისწინებული მიწოდებანი ხორციელდებოდა უპროცენტო სესხის სახით, დადგენილ ვადებში მისი დაფარვის პირობით.

ისტორიული ფაქტების შეფასების ობიექტურობის პრინციპის თანახმად მართებული იქნება აღვნიშნოთ, რომ ლენდ-ლიზი არ წარმოადგენდა ქველმოქმედებისა და უანგარობის დემონსტრირებას. ეს აქტი იყო აშშ ადმინისტრაციის უაღრესად დროული და ჭკვიანური ღონისძიება მიხაკისფერი ჭირის წინააღმდეგ მოქმედი ძალების რესურსების გასაძლიერებლად.

ძირითადი ნაწილი

ლენდ-ლიზთან დაკავშირებით საბჭოეთის მოლაპარაკებები აშშ-სთან ოფიციალურად დაიწყო 1941 წლის 29 სექტემბერს. დოკუმენტს ლენდ-ლიზის საბჭოეთისათვის ამოქმედების შესახებ ფ. რუზველტმა ხელი მოაწერა 1941 წლის 7 ნოემბერს. ამ დროისათვის პირველი მიწოდება საბჭოთა კავშირის მისამართით განხორციელებული ჰქონდა დიდ ბრიტანეთს (,,ნისლიანი ალბიონის“ მთავრობამ ჯერ კიდევ 16 აგვისტოს, ადრე არსებული შეთანხმების საფუძველზე საბჭოეთს გამოუყო 10 მლნ. ფუნტი სტერლინგი) [27].

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მოკავშირეთა მხრიდან (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა) ლენდ-ლიზით გათვალისწინებული ტვირთების საბჭოეთისათვის მიწოდება ხორციელდებოდა ოთხი მარშრუტით: ჩრდილოეთის - ჩრდილოეთ ატლანტიკა - მურმანსკი - არხანგელსკი - სევეროდვინსკი; სამხრეთის - სამხრეთ ატლანტიკა-სპარსეთის ყურე-ირანი; ციმბირის - ალიასკა-აღმოსავლეთ ციმბირი-კრასნოიარსკი; შორეული აღმოსავლეთის - კალიფორნია-წყნარი ოკეანის გამოვლით: ვლადივოსტოკი, ხაბაროვსკი, ამურის კომსომოლსკი, პეტროპავლოვსკ-კამჩატსკი [27].

ჩვენი დაინტერესება საკითხით განაპირობა სამხრეთის მარშრუტის არეალში საქართველოს მოხვედრამ (ირანის გამოვლით ლენდ-ლიზური ტვირთების ნაკადები ჩვენს სამშობლოშიც შემოდიოდა). მეორე მსოფლიო ომის პერიოდის საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის საკითხებზე არქივებში მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო სამხრეთის მარშრუტით განხორციელებულმა ლენდ-ლიზური გადაზიდვების დინამიკამ. სამხრეთ კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მდებარეობის სატრანსპორტო - გეოგრაფიული ასპექტი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, განსაკუთრებით, სტალინგრადისა და კავკასიისათვის გამართული სისხლისმღვრელი სამხედრო კამპანიის მსვლელობის პერიოდში (1942-1943 წწ.). ლენდ-ლიზური ტვირთების გადაზიდვების სატრანსპორტო უზრუნველყოფა საქართველოს (ამერკავკასიის, - გ. ფ.) რკინიგზის ფუნქციონირების ერთ-ერთი საკვანძო მიმართულება გახდა.

XX საუკუნის დასაწყისში, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის გეოპოლიტიკით დაინტერესებულმა რუსეთის იმპერიამ მონაწილეობა მიიღო სარკინიგზო მშენებლობაში ირანის ტერიტორიაზე. ირანში პირველი ფართოლიანდაგიანი სარკინიგზო მაგისტრალი თავრიზი - ჯულფა 1913-1916 წლებში დააპროექტა და გაიყვანა სწორედ რუსეთმა. მისი სიგრძე 146 კმ. შეადგენდა. რაც შეეხება ტრანსირანის რკინიგზის მშენებლობას, იგი 1927 – 1938 წლებში მიმდინარეობდა და მისი სიგრძე 1394

კმ. უტოლდებოდა. ამ მაგისტრალის მშენებლობა დაიწყო კასპიისზღვისპირა სანავსადგურო ქალაქ ბანდარ-შაჰიდან და დაუკავშირდა სპარსეთის ყურის ქალაქ ბანდარ - შაჰფურის ნავსადგურს [2, 135].

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ მაგისტრალის ამოქმედება ჰქონდა მხედველობაში დიდი ბრიტანეთის პრემიერ უ. ჩერჩილს, როდესაც სტალინთან მიმოწერაში აღნიშნავდა: ,,ჩვენ უკვე გავეცით განკარგულება სპარსეთის რკინიგზის მოძრავი შემადგენლობით მომარაგების შესახებ, იმ ანგარიშით, რომ მისი ამჟამინდელი გამტარუნარიანობა ავამაღლოთ დღე-ღამეში ორი მატარებლიდან... 12 მატარებლამდე, რაც მიღწეული იქნება 1942 წლის გაზაფხულისათვის...“[15; 33,35] ჩერჩილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გამჭოლი სარკინიგზო მოძრაობის ამოქმედებას სპარსეთის ყურედან კასპიის ზღვამდე და, ასევე, საავტომობილო მიმოსვლის საიმედოდ უზრუნველყოფასაც.

1941 წლის 10 სექტემბერის მდგომარეობით ტრანსირანის რკინიგზით თავრიზ - შარაფხანიდან ჯულფას გადამოსასვლელი პუნქტის გამოვლით ამიერკავკასიელმა რკინიგზელებმა გადმოზიდეს 48 ვაგონი ლენდ-ლიზური ტვირთი [3.]. აღნიშნული დროისათვის საბჭოეთისათვის განკუთვნილი ლენდ-ლიზური გადაზიდვების მოცულობა ყოველდღიურად 200 ტონას უტოლდებოდა, ხოლო 1942 წლის შუა ხანებში კი 700 ტონას მიაღწია [23, 34] ლენდ-ლიზით გათვალისწინებული ტვირთების ტრანსპორტირების საქმეში დიდ როლს ასრულებდნენ რკინიგზის სამხედრო-საექსპლოატაციო განყოფილებები. საქართველოს (ამიერკავკასიის) რკინიგზაზესაგანგებოდშექმნილი იყო ორი სამხედრო-საექსპლუატაციო განყოფილება. ეს სპეცილიზირებული განყოფილებები უწყებრივად უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თბილისში განთავსებულ რკინიგზის სამმართველოს. ერთი მათგანი დისლოცირებული იყო თეირანში, ხოლო მეორე - თავრიზში [11]. 1942 წლის გაზაფხულიდან ინტენსიური ხასიათი შეიძინა ლენდ-ლიზური ტვირთების გადაზიდვებმა ირანის მოსაზღვრე სადგურების -- ჯულფასა და ასტარას გამოვლით [22, 95].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სპეციალიზებული სამხედრო-საექსპლუატაციო განყოფილებათა (მათი პირადი შემადგენლობა თავიანთი მდგომარეობით გათანაბრებული იყო სამხედრო მოსამსახურეებთან, მათზე ვრცელდებოდა დისციპლინური და შინაგანი სამსახურის ყველა წესი) დაკომპლექტება წარმოებდა უპირატესად თბილისში, სადაც რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობა ოპერატიულად აგვარებდა სპეცფორმირებების კვალიფიციური კადრებით შევსების საკითხს [4]. 1944 წლის აგვისტოში თეირანში დისლოცირებული სამხედრო-საექსპლუატაციო განყოფილების საქმიანობის შემოწმების მიზნით თბილისიდან მივლინებულ იქნა სამმართველოს მუშაკთა ჯგუფი (ი. მარინაშვილი, ი. მეგრლიშვილი, ს. ხუმარიანი) იმავდროულად, ირანში მიავლინეს ტექნიკური სამსახურის მუშაკებიც (ა. კაკალაშვილი, ა. მდინარაძე, ა. შვანგირაძე...) [5]. აღნიშნული გარემოებები სრულ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ, ფაქტობრივად, ტრანსირანის რკინიგზის გარკვეული მონაკვეთი მთელი ომის განმავლობაში მოქცეული იყო საქართველოს (ამიერკავკასიის) რკინიგზის განკარგულებაში.

ირანში, თავიდანვე, რკინიგზის გასამხედროებული სპეცფორმირებების დისლოცირებას განაპირობებდა ისიც, რომ საბჭოეთისა და დიდი ბრიტანეთის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიების (სამხედრო კონტიგენტის შეყვანა) წინ ამ ქვეყანაში ნაცისტების აგენტურული ქსელი ყველგან იყო მოდებული. თვით ირანის რკინიგზის ცენტრალური მმართველობა მათივე წარმომადგენლების (ვ. სანოვი, გ. ბორი...) განკარგულებაში იმყოფებოდა [16, 58]. ხოლო გესტაპოს აგენტები გამოტა და მაიერი, რომლებიც კომერციული საქმიანობით ინიღბებოდნენ, ამირკავკასიაში დივერსიული ბანდების გადმოსროლის ოპერაციებს გეგმავდნენ და ახორციელებდნენ [1,27]. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ კავკასიაში სამხედრო კამპანიის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სხვა გეგმებს შორის, ვერმახტისათვის მნიშვნელოვანი იყო ბრძოლა ინგლისის პოზიციების წინააღმდეგ ხმელთაშუა ზღვაზე და ახლო აღმოსავლეთში. ამ მიზნით მოწინააღმდეგეზე კონცენტრირებული დარტყმების ერთ-ერთ ვარიანტად განიხილებოდა სამხრეთ კავკასია-ირანის გეოსტრატეგიული მიმართულება [21,90]. ცხადია, ვერმახტს სამხედრო კონტიგენტისა და რესურსების გადასროლის საქმეში, პერსპექტივაში, დიდად წაადგებოდა სამხრეთ კავკასია-ტრანსირანის სარკინიგზო მაგისტრალის შესაძლებლობანი

თბილისში მოქმედი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამხედრო - საექსპლუატაციო განყოფილებები საგანგებოდ იყო დაკომპლექტებული და ამოქმედებული ირანიდან იმპორტული ტვირთების გადაზიდვების დაწყებისთანავე, ანუ 1941 წლის შემოდგომიდანვე. რკინიგზის სპეცფორმირებების ამოქმედების აუცილებლობას სამმართველოს ხელმძღვანელობას (გრ. ქადაგიძე) უკარნახებდა ტვირთების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანა, რომელიც

უკავშირდებოდა ჩვენ მიერ უკვე აღნიშნულ ვითარებას ჩრდილოეთ ირანში. შემთხვევითი არ ყოფილა ისიც, რომ ჩრდილოეთ ირანში საბჭოთა შეირაღებული კონტიგენტის შეყვანის პარალელურად თბილისიდან გაიგზავნა ჯავშნოსანი მატარებელი, რომელიც გარკვეული დროით იქ დარჩა გადაზიდვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე [12].

ლენდ - ლიზით გათვალისწინებული ტვირთების სპარსეთის ყურეში შემოსვლის ინტენსივობა მატულობს 1942 წლიდან. ამერიკელების მიერ რეკონსტრუირებულ ბანდარ-შაჰფურის ნავსადგურთან ერთად მწყობრში ჩადგა ახალი ნავსადგური მდ. შათ-ელ-არაბზე ხორემშეჰრთან. ბრიტანელები მშრალ ტვირთებს ეზიდებოდნენ ერაყიდან ქერმანშაჰისა და ჰამადანის გავლით ყაზვინისკენ. ბრიტანელების ორგანიზებით წარმოებდა ასევე ავიაბენზინის ტრანსპორტირება აბადანის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან. ხოლო ამერიკელი სპეციალისტები მთლიანად უზრუნველყოფდნენ საბჭოეთისათვის ყველა სახის ტვირთის გაზიდვას ირანის სამხრეთის ნავსადგურებიდან თეირანის რკინიგზის სადგურამდე.

იმპორტული ტვირთების განთავსებისა და განაწილების გარკვეული ცენტრის ფუნქციები სამხრეთ კავკასიაში დაკისრებული ჰქონდა საქართველოს სსრ დედაქალაქ თბილისს, და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან გადაზიდვების უმთავრეს მაორგანიზებელ ინსტანციას - ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს აქვე ჰქონდა საკუთარი რეზიდენცია, აქვე იყო უმსხვილესი სარკინიგზო კვანძები (თბილისის და ნავთლუღის). მათი მეშვეობით იმპორტული ტვირთები დასავლეთ საქართველოს მიმართულებით შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ, იქიდან კი - საბოლოო დანიშნულების ადგილებისაკენ (განსაკუთრებით 1943 წლის დასასრულსა და 1944 წლის განმავლობაში ფაშისტებისაგან განთავისუფლებული რეგიონებისაკენ) მიემართებოდა. საარქივო მასალების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ლენდ - ლიზური ტვირთები ინტენსიურად მოძრაობდა თავრიზიდან თბილისში. რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილე (ტაბატაძე) თავრიზში დისლოცირებული მოძრავი სამხედრო - საექსპლუატაციო განყოფილების უფროსს (ნემსიწვერიძე) ავალებდა ყოველმხრივ შეეწყო ხელი იმპორტული ტვირთების თბილისში შეუფერხებელი ტრანსპორტირებისათვის. ამ მიზნით 25-ვაგონიანი მარშრუტ-ბრუნვა ამოქმედდა თავრიზ - თბილისის ხაზზე კურსირებისათვის. ტვირთების გადაადგილება მკაცრ მეთვალყურეობასა და აღრიცხვას ექვემდებარებოდა. რკინიგზელებისაგან ამას მოითხოვდა რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტრანსპორტის დარგში (მ. ჩუბინიძე) კატეგორიულად მოითხოვდა თავრიზში მოქმედი რკინიგზის სამხედრო-საექსპლუატაციო განყოფილების უფროსისაგან დაუყოვნებლივ მოეწესრიგებინა მარშრუტ-ბრუნვების ინტენსიური კურსირება თავრიზ-თბილისის ხაზზე. საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ (საქართველოს მთავრობა, - გ. ფ.), საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სპეციალური წარმომადგენელი (ანიხასიანი) მიავლინა ირანში [6].

1943 წლის ნოემბრიდან რკინიგზის თბილისის კვანძმა დაიწყო იმპორტული ფერადი ლითონების დიდი პარტიების მიღება. ტვირთის ადრესატი იყო სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახკომატი (სამინისტრო, - გ.ფ.), რომლის რესპუბლიკური წარმომადგენლობა თბილისში ფუნქციონირებდა (მას ევალებოდა ამ ტვირთის მიღება-ჩაბარების საქმეთა წარმოება). ლენდ-ლიზური ტვირთების მოცულობა იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ რკინიგზის სასაწყობო ინფრასტრუქტურამ მთლიანად ვერ შეძლო მისი განთავსების უზრუნველყოფა (რკინიგზამ შეძლო მხოლოდ ტვირთის ნაწილის - 149 ვაგონის მიღება-დაბინავება), დანარჩენი ძვირფასი ლენდ-ლიზური პროდუქცია განთავსდა ღია ცის ქვეშ ე. წ. სამხრეთის პარკში, იპოდრომზე. მიღებული პროდუქციის დასაბინავებლად გამოყენებულ იქნა აგრეთვე რკინიგზის დაქვემდებარებაში არსებული ,,ორსის“ ბაზის შენობა-ნაგებობები. ტვირთების მიმღებნი უპირატესად თავდაცვითი საწარმოები იყვნენ. ლენდ-ლიზური პროდუქციის თბილისიდან ტრანსპორტირების გეოგრაფია საბჭოეთის მრავალ რეგიონს მოიცავდა (მოსკოვი, სვერდლოვსკი, ნიკოპოლი და სხვ.). ქუთაისის მშენებარე ლითოფონის ქარხანასაც 1944 წლის მარტში მიუღია 150 ტონამდე ფერადი ლითონი [13]. საქართველო ირანით მიღებული ლენდ-ლიზური პროდუქციის გამანაწილებელ ერთ-ერთ სოლიდურ არტერიას რომ წარმოადგენდა, მეტყველებს არაერთი საარქივო დოკუმენტი. ასე, მაგალითად, რკინიგზის სამმართველოს უფროსი, I რანგის გენერალ-დირექტორი გრ. კიკნაძე მოახსენებდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივანს კ. ჩარკვიანს შავი ზღვით ბათუმის ნავსადგურში შემოსული ლენდ-ლიზური ტვირთების დანიშნულებისამებრ ტრანსპორტირების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაცია შეეხება სუმგაითისა და ნიკოპოლის მიართულებით გასაგზავნ 229 ვაგონ იმპორ-

ტულ მოწყობილობას [7].

საქართველოში შემოდიოდა იმპორტული სასურსათო პროდუქციის სოლიდური რაოდენობა. ასე, ხორცისა და რძის გასაღების თბილისის ბაზაში რკინიგზით ირანის გამოვლით შემოდიოდა იმპორტული რძისა და კვერცხის ფხვნილი, შესქელებული რძე, ცხიმი, მოშუშული ხორცის კონსერვი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ლენდ-ლიზური სასურსათო პროდუქცია 1941 წლის შემოდგომიდანვე გამოჩნდა, განსაკუთრებით, კონსერვირებული პროდუქტები. მათ შორის ამერიკული მოშუშული ხორცის კონსერვი, რომელსაც ენამოსწრებულებმა ,,მეორე ფრონტი", ხოლო კვერცხის ფხვნილს, ,,რუზველტის კვერცხები" შეარქვეს. 1943 წლის აგვისტოდან 1944 წლის თებერვლამდე, ხუთი თვის განმავლობაში, ავჭალის, დიდუბის, ნავთლუღისა და სხვა ბაზებში მიიღეს 40 ათასი ტონა სხვადასხვა დასახელების სასურსათო პროდუქტი. სასურსათო პროდუქციის თბილისის ბაზის ხელმძღვანელი ზემდგომის მისამართით გაგზავნილ თავის მოხსენებით ბარათში მიუთითებს ამ ტიპის ბაზებში პროდუქტების სიუხვეზე. სწორედ, ლენდ-ლიზური სურსათის სიუხვე განაპირობებდა რკინიგზაზე გაზრდილ მარშრუტ-ბრუნვებსაც, რომლის შესახებ ინტენსიურ მიმოწერას ადასტურებენ ჩვენ მიერ გამოვლენილი საარქივო დოკუმენტები. საერთოდ, ლენდ-ლიზით სასურსათო მიწოდებამ ომის წლებში შეადგინა 5 მლნ. ტონამდე პროდუქცია [8], [25]. მოზღვავებული იმპორტული საქონლის გადაზიდვების სატრანსპორტო უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე სსრკ სახკომსაბჭოს (მინისტრთა საბჭო, - გ. ფ.) დადგენილებით შექმნილმა და ირანში მივლინებულმა სპეცილურმა სამთავრობო კომისიამ ა/კ რკინიგზის სამმართველოს უფროსის, I რანგის გენერალ - დირექტორის გრ. კიკნაძის თავმჯდომარებით საგანგებოდ შეისწავლა ლენდ-ლიზური ტვირთების ტრანსპორტირების მდგომარეობა. კომისიის მიერ განხორციელებულმა ორგანზაციულმა ღონისძიებებმა პოზიტიურად იმოქმედა გადაზიდვების ოპერატიულობაზე [14].

ლენდ-ლიზური გადაზიდვების გეოგრაფიაში მნიშვნელოვანი იყო ბაქოს ნავსადგურის სატრანზიტო დანიშნულებაც. აქ პერიოდულად თავს იყრიდა მოკავშირეთა მიერ მოწოდებული სხვადასხვა დასახელების სტრატეგიული ტვირთი. 1943 წლის ზაფხულში ნავსადგურში ერთდროულად დაგროვდა ლენდ-ლიზური საქონლისა და საქართველოდან გაგზავნილი მანგანუმის მადნის დიდი პარტიები. სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა სპეციალურ კონტროლს დაუქვემდებარა სხვადასხვა დანიშნულების პროდუქციისაგან ნავსადგურის ოპერატიულად განტვირთვის ამოცანა. აღნიშნულ პერიოდში ა/კ რკინიგზამ ამ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი. აღსანიშნავია, რომ იმავე 1943 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით - კავკასიისათვის გამართული ბრძოლების შეტევითი პერიოდის ყველაზე კრიტიკულ თვეებში - საქათველოს რკინიგზამ უზრუნველყო 4683 ვაგონი ლენდ-ლიზური ტვირთის ტრანსპორტირება დანიშნულებისამებრ. 1943 წლის ათი თვის მონაცემებით, რკინიგზამ, ჯულფის გადასატვირთი პუნქტის გამოვლით მიიღო და გაატარა 10763 ვაგონი ლენდ-ლიზური პროდუქცია [9].

რკინიგზის ტრანსპორტის მეშვეობით ირანიდან წარმოებდა არა მარტო იმპორტული საქონლის მიღება-გადაზიდვების ურთულესი ოპერციები, არამედ ექსპორტიც: სხვადასხვა დანიშნულების პროდუქცია ირანში დისლოცირებული საბჭოთა ჯარისკონტიგენტისათვის,კომერციულიტვირთები საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობისათვის და სხვ. სამშენებლო მიზნებისათვის საქართველოდან გაჰქონდათ, აგრეთვე, ხე-ტყის დახერხილი მასალა, შეშა ირანში (თავრიზი) განთავსებული საბჭოთა წარმოება-დაწესებულებებისათვის. მემუარული ხასიათის პუბლიკაციაში საუბარია იმაზეც, რომ ირანის მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარების სახით გაუგზავნეს ათეულობით ტონა ხორბალი [10].

აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოღვაწეთა მოგონებებში დაცულია საინტერესო ცნობა [26; 248,251-52], რომელიც ეხება აშშ არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალური ჯგუფის ირანის გამოვლით ტრანსპორტირებას აღმოსავლეთის ფროტზე. რკინიგზის სპეციალური ეშელონები დაკომპლექტდა თბილისში. საგანგებო მატარებელი შედგებოდა მოსკოვიდან გამოგზავნილი 1600 ადამიანისათვის გათვალისწინებული სამგზავრო ვაგონებისაგან (ორი რბილი, ათი ნახევრად რბილი, ერთი ვაგონ-რესტორანი). საგანგებო მატარებელმა ამერიკელი მფრინავები ოთხი დღის თავზე თავრიზიდან პოლტავაში ჩაიყვანა. ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების პოლტავაში დისლოცირება მოხდა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნამდე, 1944 წლის მაისის დასაწყისში. მიგვაჩნია, რომ ეს აქცია ანტიჰიტლერული კოალიციის დასავლეთელი პარტნიორების სამხედრო შენაერთების ნორმანდიაში დესანტირების მასშტაბური ოპერაციის დაწყების წინ საბჭოეთთან კონსოლიდირებული სამხედრო სტრატეგიის ოპერატიული კომპონენტის გაძლიერებასთან ერთად მორალურ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გამოვლინებასაც წარმოადგენდა. მითუმეტეს, რომ ამ აქციას საგან-

გებო ყურადღება დაუთმო ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭომ (სპეციალურად განიხილა და შეფასება მისცა მის მნიშვნელობას).

დასკვნა

ლენდ-ლიზის შესახებ მრავალი განსხვავებული შეხედულება და შეფასება დაგროვდა სამეცნიერო თუ მემუარულ ლიტერატურაში, მაგრამ ყველაზე ღირებულ და სარწმუნო არგუმენტად მიგვაჩნია თანამედროვეთა მოსაზრებები. აშშ პრეზიდენტის ფ. რუზველტის პირადი წარმომადგენელი ჰარი ჰოპკინსი აღნიშნავდა: ,,... ჩვენ არასოდეს მიგვიჩნევია, რომ ლენდ-ლიზით გაწეული დახმარება წარმოადგენს აღმოსავლეთის ფრონტზე ჰიტლერზე საბჭოეთის გამარჯვების მთავარ ფაქტორს. იგი მიღწეულია რუსული (საბჭოთა, - გ. ფ.) არმიის გმირობითა და სისხლით [18, 395]. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ერნსტ ბევინი წერდა: ,,მთელი დახმარება, რომელიც ჩვენ შევძელით გაგვეწია, საბჭოთა ხალხის ტიტანურ ძალისხმევასთან შედარებით, არც ისე დიდია...“ [19]. ლენდ-ლიზის კანონის დაცვის სამმართველოს უფროსი ედვარდ სტეტინიუსი 1944 წელს გამოცემულ წიგნში ,,ლენდ-ლიზი - გამარჯვების იარაღი“ წერდა: ,,1941 წელს გერმანიასთან გამართულ ბრძოლებში ლენდ-ლიზით წითელი არმიისათვის მიწოდებული შეიარაღების როლის სწორად შეფასება რთულია. თუ ვიმსჯელებთ კონკრეტული სამხედრო მასალების - ტელეფონების, სატვირთო ავტომანქანების რუსეთში (საბჭოეთში, - გ. ფ.) არსებულ უკმარისობაზე, ამ მხრივ ლენდ-ლიზმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მაგრამ მთლიანობაში ჩვენ მიერ მიწოდებული სამხედრო მასალების მოცულობა არც ისე დიდია“ [17, 144]. ხოლო აშშ-ის სამხედრო წარმოების სამმართველოს თანამშრომლის რ. გოლდსმიტის შეფასებით, საბჭოეთისათვის მოკავშირეთა მხრიდან გაწეული დახმარება არ აღემატებოდა საბჭოური იარაღის წარმოების 1/10 - ს [24].

მოკავშირეთა მხრივ საბჭოეთისათვის გაწეული დახმარების მნიშვნელობის ჯეროვნად შეუფასებლობა, მისი იგნორირება სრული არაკეთილსინდისიერება იქნებოდა. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ სამხედრო მიწოდებათა მოცულობამ იმატა მას შემდეგ, როცა არავის აეჭვებდა მისი საბოლოო შედეგი, - საბჭოეთის გარდაუვალი გამარჯვება...

საქართველომ მეორე მსოფლიო ომში დიდი მსხვერპლი გაიღო. დიდი იყო ადამიანური დანაკარგი. ქართველების უმეტესობა გულწრფელად ფიქრობდა, რომ სამშობლოსათვის იბრძოდნენ. ობიექტურად მათ საქართველოსათვის გასწირეს თავი. მნიშვნელოვანი და სოლიდური იყო საქართველოს, მისი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის როლი მოკავშირეთა მიერ მოწოდებული სხვადასხვა დასახელების ლენდ-ლიზური პროდუქციის დანიშნულებისამებრ მიღება-განთავსება-განაწილების ურთულეს ოპერაციებში, ნაციზმის წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფოს მომარაგებაში, რომელშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს რკინიგზელებმა, საერთოდ, საქართველოს ტრანსპორტის დარგის მუშაკებმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. მაჭავარიანი, „გერმანელი ფაშისტები ირანში“, ჟურნალი „ბოლშევიკი“, 1941, N8.
2. ნ. ნაჭყებია, ირანი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი, თსუ, თბ., 1972.
3. საქართველოს პრეზიდენტის არქივი (შემდეგში სპა), ფ. 14, აღ, ს.457, ფურც.56-58.
4. სპა, ფ.14, აღ.17, ს.425, ფურც. 8.
5. სპა, იქვე, აღ. 18, ს.687, ფურც. 63, 66.
6. სპა, ფ.14, აღ. 17, ს. 425,ფურც. 104-105.
7. სპა, ფ. 14, აღ. 19, ს.373, ფურც. 62.
8. იქვე, აღ. 18, ს. 113, ფურც. 64-65.
9. სპა, ფ. 14, აღ. 17, ს.426, ფურც.183., სუიცსა, ფ.641, აღ.11, ს.165, ფურც. 1-10.
10. სპა, ფ. 14, აღ.16, ს. 388, ფურც. 145.
11. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიცსა) ფ. 2514, აღ. 1, ს. 910, ფურც. 2.
12. სუიცსა, 2514, აღ.1, ს.89, ფურც. 34.
13. სუიცსა, ფ. 600, აღ.1, ს.7023, ფურც.18, 33, 45, 67, 120-121.
14. სუიცსა, ფ. 2514, აღ.1, ს. 910, ფურც. 2.
15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიმოწერა ამერიკის შეერთებული შტატების

პრეზიდენტებთან და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრებთან 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985.
16. ა.ფელდმანი, ბ. ლევიცკი „ჰიტლერელთა ოინები ირანში“, ჟურნ., ბოლშევიკი, 1941, N10.
17. Stetinius Ed., Lend-Lease, Weapon for Victory, Penguin books published, 1944.
18. Балашов А. Рудаков Г. История Великой Отечественной войны (1941-1945) СПБ:. Питер, 2005.
19. Верт А. Россия в войне 1941-1945 (ელ. რესურსი) URL: http: // www. Imverden. Info / belousenko / books / memoirs / werth_war. Html.
20. Вознесенский Н. «Военная экономика СССР в период Отечественной войны» М., 1947, с. 74.
21. Гитлеровские планы завоевания мирового господства, Военно-исторический журнал, №6, «Воениздат», М., 1961.
22. Зейналов З., Керимбеков Н. «Стальной магистрали Азербайджана 100 лет (1880-1980 гг.), госиздат, Баку, 1980.
23. Зорин Л., Каргин И. Особое задание, М., «Политическая литература», 1987.
24. Луговский С., Ремизова С. Что пишут о ленд-лизе учёные (ელ. რესურსი), URL: http: // militera. lib.ru / memo / usa / stetinius / 07. Html.
25. Супрун М.»Продовольственные поставки в СССР по ленд-лизу в годы Второй мировой войны // Отечественная история, 1996, №3, с. 46.
26. Федосов И. Из Ирана на Советско-Германский фронт, კრებულში «Уходили на фронт эшелоны», М., «Воениздат», 1974.
27. Шабельник Н. «Роль ленд-лиза в годы Великой Отечественной войны: Современные оценки. 2016, www. Gramota. Net/materials/3/2016/1/52. Html

The Southern Route of Lend-lease and Georgia

Germane Pipia, Associate Professor
Georgian National University (SEU)

Summary

The western historiography prevails the lend-lease issue as a key point of the U.S.S.R. victory while resisting Nazi (E,Stetinuse, I.Rostow, I.Stale, R.Sherwood, L.Rose etc.). However, the different stereotype considers the Soviet historiography (N.Voznesensky, K.Lukashov, A.Vishinsky etc.) determined just 4 % of allies' military supply in accordance with the Soviet national economy in total production indicator. This number dominated in Soviet encyclopedias and in many monographs as well till present.

According to the principle of objective assessment of historical facts, it would be fair to note, that Land-Lease Agreement was not a demonstration of selflessness and charity. This act was very timely and smart measure by the United States' Government to strengthen the resources of the forces working against the plague.

During World War II, the allies (United States, United Kingdom, and Canada) were supplying Soviet Union the Cargo, provided in the Land-lease agreement using four routes: Northern Route - Northern Atlantic - Murmansk - Arkhangelsk - Severodvinsk; Southern Route - Southern Atlantic - Persian Gulf - Iran; Siberia - Alaska - Eastern Siberia - Krasnoyarsk; Far Eastern Route - California - through Pacific Ocean: Vladivostok, Khabarovsk, Amur Komsomolsk, Petropavlovsk-Kamchatski.

Participation of Georgia in the complicated process of allies' lend-lease (import) products (military techniques equipment – installation, provisions) obtaining, setting and allocating during the Second World War is almost unstudied in Georgian historiography. The work deals with the first attempt of establishing this issue due to archives, publications and memoirs to partly fill the existed gap. The article demonstrates infrastructure of Georgian transport-communication system (military-operational departments of Georgian Railway)as well as efforts of the employed personnel during the war tensity, peripeties occurred, while allies provided various lend-lease productions in South Caucasus(through Iran)to support the Soviet Union in Nazi resistance.

Key words: lend-lease, Nazi, Georgian Railway, the military operating department, South Caucasus, imported products, the second front.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გმირი მეცნიერები ირაკლი ციციშვილი

ივანე ოსაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ირაკლი ნიკოლოზის ძე ციციშვილმა თავისი ცხოვრება ბრძოლით დაიწყო. ახალგაზრდა არქიტექტორი დიპლომის დაცვიდან ორ დღეში წავიდა მსოფლიო ომში. 1943 წლის ოქტომბერში უმნიშვნელოვანესი პრობლემა გახდა მდინარე დნეპრის ფორსირება, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო საბჭოთა ჯარის ნაწილებისა და სამხედრო ტექნიკის მეორე ნაპირზე გადაყვანა. უამისოდ ძნელად წარმოსადგენი იყო უკრაინის გათავისუფლება გერმანელი ოკუპანტებისაგან. განუწყვეტელი საარტილერიო და საავიაციო დაბომბვის ურთულეს პირობებში მან შეძლო პონტონებისაგან 360 მეტრი ხიდის ოთხ დღეში აგება,რამაც განაპირობა სამხედრო შენაერთების დნეპრის მეორე ნაპირზე გადაყვანა და შეტევის განვითარება. ამ ამოცანის გადაწყვეტისას ირაკლი ციციშვილმა გამოამჟღავნა საინჟინრო აზროვნების მაღალი დონე და დიდი სიმამაცე, რისთვისაც ახალგაზრდა კაპიტანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, დაჯილდოვდა ოქროს ვარსკვლავით და ორდენით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ ირაკლი ციციშვილს უზარმაზარი ღვაწლი მიუძღვის როგორც პედაგოგს და მეცნიერს. გამოცემული აქვს მრავალი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 25 მონოგრაფია.

მისი უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა და თითქმის 15 წელიწადი ხელმძღვანელობდა ძეგლთა გადარჩენის სისტემურ მეცნიერებაზე დამყარებულ მაღალი დონის ორგანიზაციას - საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარ სამეცნიერო - საწარმოო სამმართველოს.

ბატონი ირაკლის ძალისხმევით გაფართოვდა თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონა; დადგინდა საქართველოში ადრე უცნობი „განაშენიანების რეგულირების ზონა“ და „ლანშაფტის დაცვის ზონა“. მისივე „ხელდასხმით“ მოხდა ძეგლთა აღრიცხვა და პასპორტიზაცია. მისი ხელმძღვანელობის დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა მატერიალური კულტურის ძეგლთა ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური ფარგლები, არქიტექტურის ძეგლთა სიაში შეტანილი იქნა მოდერნის შენობები, მთელი ქვეყნის მასშტაბით აღირიცხა ყველა მეტ - ნაკლებად ღირებული დენდროლოგიური პარკი.

პროფესორი ირაკლი ციციშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს რეგიონებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. ამის საუკეთესო ფორმად ის მიიჩნევდა მუზეუმ - ნაკრძალების ქსელის ჩამოყალიბება - გაფართოებას, მისი ძალისხმევით ქვეყნის რეგიონების უმრავლესობა მუზეუმ - ნაკრძალებით დაიფარა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განსვენებული პროფესორ ირაკლი ციციშვილს უზარმაზარი დამსახურება აქვს ქართველი ერის წინაშე როგორც პედაგოგს, მეცნიერს, პატრიოტსა და მოქალაქეს. საჭიროა მონოგრაფიულად იქნეს შესწავლილი მისი საზოგადოებრივი ღვაწლი და მეცნიერული ნაზრევი.

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურა, ხელოვნება, კულტურული ძეგლი, საქართველო, კულტურული მემკვიდრეობა, მეცნიერება.

შესავალი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია პროფესორ ირაკლი ციციშვილს, დიდ პედაგოგს, ფართო გონებრივი ჰორიზონტის მქონე მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, მეორე მსოფლიო ომის გმირს.

ციციშვილთა ფეოდალური გვარის ფუძემდებელია ციცი ფანასკერტელი, რომელიც საქართველოს სამხედრო ძალების მთავარსარდალი იყო XV საუკუნეში. მისმა შთამომავლებმა მიიღეს გვარი ციციშვილი (ციცის შვილი). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფანასკერტელთა სახლის ფუძემდებლები ადრე ასპანიძეები ყოფილან [1].

ვახტანგ VI სამართლის წიგნის მიხედვით ქართლის სამეფოში ექვს დიდებულ თავადთა შორის მოხსენიებულია ციციშვილიც. [2,210]

ციციშვილთა გვარის არაერთი გამოჩენილი პიროვნებაა ცნობილი. XV საუკუნეში მოღვაწეობდა ზაზა ფანასკერტელ - ციციშვილი; სარდალი, მეცნიერი, მეცენატი. მისი „სამკურნალო წიგნი - კარაბადინი“ დღემდე იპყრობს თანამედროვე სამედიცინო წრეების ყურადღებას.

1625 წელს მარაბდის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა გიორგი სააკაძის „მოკიდებული კაცი“, სარდალი ბაადურ ციციშვილი.

ვახტანგ VI რუსეთში თან ახლდა დიმიტრი ციციშვილი, რომელმაც გერმანულიდან თარგმნა არითმეტიკის სახელმძღვანელო [3,40], 1757 წელს კი მან გამოსცა გეოდეზიის პირველი სახელმძღვენელო [4, 513].

რუსეთში გადასახლებული ციციშვილები რუსულ ყაიდაზე გადაკეთებული გვარით არიან ცნობილი. მათ შორის აღსანიშნავია მიხეილ დიმიტრის ძე ციციანოვი (1765 – 1841), სენატორი; რევოლუციონერი, ხალხოსანი, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ციციანოვი (1850 – 1885), გადასახლებული იყო ციმბირში, სადაც გარდაიცვალა კიდეც. [5,45].

მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ისტორიაში ინფანტერიის გენერალმა, პავლე დიმიტრის ძე ციციანოვმა (1754-1806), რომელსაც თვით სუვოროვი მამაც გენერალს უწოდებდა. 1802 – 1806 წლებში იგი იყო ასტრახანის გუბერნატორი და საქართველოს გუბერნიის მთავარსარდალი. პავლე ციციანოვი იყო რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური, თუმცა მისი ინიციატივით 1803 წელს საქართველოში გაიხსნა კეთილშობილთა სასწავლებელი. მის სახელს უკავშირდება აგრეთვე ქვეყანაში საგზაო და საფოსტო კომუნიკაციების მშენებლობა; სელის, მატყლისა და ტყავის გადამამუშავებელი საწარმოების დაარსება; თბილისში აფთიაქის გახსნა (1804); სტამბის აღდგენა; თეატრის გახსნა და ა.შ. [5, 80-87].

ციციშვილთა საგვარეულოს მრავალი წარმომადგენელი დღესაც წარმატებით აგრძელებს მოღვაწეობას მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ძირითადი ნაწილი

ირაკლი ნიკოლოზის ძე ციციშვილი დაიბადა 1918 წლის 17 დეკემბერს თბილისში. 1941 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი არქიტეტურის სპეციალობით. 1941-1945 წლებში მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. ოფიცერი ციციშვილი „ ... იყო მებრძოლი მეთაური, მისთვის ეხელმძღვანელა თავისი მეომრებისათვის, ნიშნავდა მათთან ერთად ყოფნას, იქ სადაც ყველაზე უფრო სახიფათო იყო, სადაც პირადი ყოფნა უფროსისა ამშვიდებდა ჯარისკაცებს, აღავსებდა მათ საკუთარი ძალის რწმენით. მისი გონება ელვისებურად აღიქვამდა შექმნილ სიტუაციას, მოქმედებდა მომენტალურად. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც წესი იყო შეუცდომელი, რაც განაპირობებდა საბრძოლო წარმატების მიღწევას“. [6, 167] სწორედ ამ თვისებებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ირაკლი ციციშვილის მიერ უმნიშვნელოვანესი და ურთულესი სამხედრო - საინჟინრო ხასიათის საბრძოლო დავალების შესრულებაში. საქმე ეხება 1943 წლის ოქტომბერში მდინარე დნეპრზე ხიდის აგებას. ბერიას დაცვის ყოფილი უფროსის პოლკოვნიკი სარქისოვის გადმოცემით: მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა არმია ფაშისტებს ძლიერ დარტყმებს აყენებდა უკრაინაში, საქმე მაინც ნელა მიიწევდა წინ და მდინარე დნეპრის ფორსირება ჭიანურდებოდა. ამიტომ, სიტუაციის გასარკვევად ადგილზე სტალინმა ლავრენტი პავლოვიჩი (ბერია) მიავლინა და მას მეც თან ვახლდი. დნეპრის ფორსირება პირველ უკრაინულ ფრონტს უნდა მოეხდინა, რომელსაც არმიის გენერალი ნიკოლაი ვატუტინი მეთაურობდა. სამხედრო საბჭოში კი ნიკიტა ხრუშოვი შედიოდა. ადგილზე რომ ჩავედით და სიტუაციას გავეცანით, აღმოჩნდა, რომ დნეპრზე ხიდის გადება ვერ ხერხდებოდა და სწორედ ეს პრობლემა უნდა მოეგვარებინა ბერიას“.

სარქისოვის მონათხრობი ჩაწერილია 1948 წელს და არასრულია, რადგან იმ პერიოდში, იდეოლოგიური მოსაზრებით, სრული სიმართლის დაწერა კატეგორიულად იკრძალებოდა. ამიტომ, საინტერესოა ამბაკო ხორავას მოგონებები, რომელიც 1967 წელსაა გამოცემული კანადაში და ამ ისტორიას სრულად გადმოგვცემს. ხორავა ბერიას პირადი შიკრიკი იყო და მას ამ ვოიაჟში თან ახლდა. ბერიას მკვლელობის შემდეგ ხორავა უცხოეთში გაიქცა და 1997 წელს კანადაში გარდაიცვალა. მანამდე კი ორი წიგნი გამოსცა და გთავაზობთ ერთ-ერთ ფრაგმენტს: „მიუხედავად იმისა, რომ სტალინმა ბერია ფრონტზე „ნაჟიმისთვის“ (ზეწოლისთვის) მიავლინა. ბერია ძალიან კორექტული იყო და ვატუტინისგან მშვიდად მოისმინა მოხსენება შექმნილი ვითარების შესახებ. არმიის გენერალმა (ვატუტინმა) ლაპარაკი რომ დაასრულა, მოულოდნელად ხრუშოვი აყვირდა, ყველა გალანძღა, ბოლოს კი ასე დაასრულა - კარგი ინჟინრები არ გვყავს. მხდლები და მშიშრები არიან და ხიდს ვერ აშენებენ, რომ მდინარეზე ჯარი გადავიყვანოთო.

ბერია ასეთ გამოხდომებს ვერ იტანდა, თუმცა მწვავე რეაქცია არ გამოუვლენია ხრუშოვის სიტყვებზე და უთხრა:

-ყველაფერს გავარკვევთ და დამნაშავეებს დავსჯითო.

ამ სიტყვების მერე ბერიამ ხიდის მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირის მასთან მოყვანა პირადად ხრუშოვს უბრძანა და აღმოჩნდა, რომ პირველი უკრაინული ფრონტის 38-ე არმიის 268-ე ცალკეულ საინჟინრო ბატალიონს 22 წლის კაპიტანი, ეროვნებით ქართველი, ირაკლი ნიკოლოზის ძე ციციშვილი მეთაურობდა. ბერიამ რომ ამ ულვაშა ქართველს შეხედა, რომელიც მამაცურად გამოიყურებოდა და შიშის ნატამალიც არ ეტყობოდა, მიესალმა და რუსულად უთხრა:

-მომახსენეთ, რა ხდება!

ციციშვილმა ბერიას უთხრა, რომ ხიდის მშენებლობას ხელს უშლიდა ფაშისტების საავიაციო და საარტილერიო დაბომბვები, რომლის მოგერიებასაც თავდაცვის ძალები ვერ ახერხებდნენ.

კაპიტანმა ასე დააბოლოვა თავისი მოხსენება:

ამხანაგო ბერია, თავს არ ვზოგავთ მე და ჩემი მებრძოლები ძლიერი ცეცხლის ქვეშ ვმუშაობთ და უკვე ოცი ჯარისკაცი დამეღუპა. მიუხედავად ამისა, ხიდი მაინც ვერ კეთდება.

-უფრო მეტი თავგანწირვაა საჭირო, - ჩაერთო ხრუშოვი.

ბერია კი ჩაფიქრდა. ორიოდე წუთის შემდეგ კი ციციშვილს უკვე ქართულად უთხრა:

-სასწრაფოდ რამეა მოსაფიქრებელი, კაპიტანო, თორემ დრო არ ითმენს.

-შევეცდებით, ამხანაგო ბერია, ხიდს ან ავაგებთ, ან ყველანი თავს შევწირავთ,

თქვა ციციშვილმა.

ბერია კიდევ ცოტა ჩაფიქრდა და ციციშვილს უთხრა:

-ასეთი თავგანწირვა უაზრობაა. რა იქნება, რომ ხიდი ღამღამობით აშენოთ, თანაც წყლით, რომ იყოს დაფარული, რათა ფაშისტებმა ვერ შენიშნონ, შესაძლებელია ასეთი რამ?

ციციშვილს სახე გაუბრწყინდა და ეტყობოდა, რომ გონება გაუნათდა. ძლივს შეიკავა თავი, რათა ბერიასთვის მხარზე მეგობრულად არ დაეკრა ხელი. შემდეგ ბერიას გამოეჯგიმა და ქართულად უთხრა:

-ორიგინალური მიგნებაა, ამხანაგო ბერია და სავსებით შესაძლებელია, წყალქვეშ მოტივტივე ხიდს ავაშენებთ.

და, მართლაც, სულ რაღაც ხუთ დღეში, ირაკლი ციციშცილმა და მისმა ჯარისკაცებმა დნეპრზე 360 მეტრის სიგრძის ხიდი ააგეს, რომელიც ტივტივებდა, 20 სანტიმეტრით წყალქვეშ იყო მოქცეული და 30 ტონას უძლებდა. მასზე რომ ტექნიკა და ჯარისკაცები გადიოდნენ, ისე ჩანდა, თითქოს წყალზე მოძრაობდნენ. ამ ტექნიკურმა მიგნებამ დნეპრის ფორსირება და მთელი უკრაინის გათავისუფლება მოიტანა, ხოლო ირაკლი ციციშვილს კი საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა...“ [7].

ამ სამხედრო - საინჟინრო პრობლემის წარმატებით გადაწყვეტის დიდ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ 1943 წლის ნოემბრის დასაწყისში ირაკლი ციციშვილს თვით მრისხანე ლავრენტი ბერიამ დააბნია გულზე გმირის ოქროს ვარსკვლავი და უთხრა:

-ყოჩაღ, თავადო, შენმა გმირობამ ქვეყანას დიდი გამარჯვება მოუტანაო...

1945 წლიდან ირაკლი ციციშვილი მოღვაწეობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრაზე; 1956 წლიდან კათედრის გამგე, მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიის და არქეოლოგიის ინსტიტუტში; 1970 – 1978 წლებში იყო საქართველოს სახმშენის თავმჯდომარე; 1978 – 1990 წლებში საქართველოს კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს უფროსი. 1959 წლიდან ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი (1960), მსოფლიოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრი, მთავარი რედაქტორი ჟურნალისა „ძეგლის მეგობარი“, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი (1946). საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე (1978), საინჟინრო აკადემიის 1996 წლიდან, 1967 წელს მიენიჭა მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1995 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ეწეოდა სამეცნიერო კვლევით საქმიანობას. აზომა და მეცნიერულად შეისწავლა ქართული ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლი, მათ შორის უჯარმის კომპლექსი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 25 მონოგრაფია - „ქართული არქიტექტურის ისტორია“ (1955), ქართული არქიტექტურის საწყისები“ (1955, რუსულ ენაზე), „საქართველოს არქიტექტურა“ (1976), „უჯარმა“ (1982), „თბილისი - არქიტექტურული ძეგლები“ (გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე, 1985), „საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვა“ (1986), „ქართული ხელოვნების ისტორია“ (1986) და სხვა.[8]

ფასდაუდებელია ირაკლი ციციშვილის ღვაწლი ქართული ისტორიული ძეგლების რესტავრაცია - დაცვის სფეროში. მისი ძალისხმევით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთელმა სისტემამ - სტრატეგიით დაწყებული

ვიდრე რესტავრაციის ტექნიკებამდე - სასიკეთო ცვლილებები განიცადა. თუ ადრე, თბილისის ურბანულ მემკვიდრეობას 1975 წელს შედგენილი, მხოლოდ ფეოდალური ხანის ქალაქის მომცველი, სახელმწიფო დაცვის ზონა იცავდა. 1985 წელს ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონამ იმ დროს ქალაქის „კაპიტალისტურ“ ნაწილად შერაცხული უბნებიც მოიცავდა; დადგინდა ჩვენში ადრე უცნობი „განაშენიანების რეგულირების ზონა“ და „ლანდშაფტის დაცვის ზონა“.

ქალაქის ამგვარმა ზონირებამ თბილისის ისტორიული ნაწილი გადაარჩინა ჩამოყალიბებული განაშენიანების რღვევისა და ტიპური საცხოვრებელი სახლების აგრესიული შემოჭრისაგან, რასაც ძლევამოსილი სახელმწიფო უწყებები მუდამ ცდილობდნენ. ამის მაგალითად, თუნდაც, მერაბ კოსტავას ქუჩაზე, საკონცერტო დარბაზის მოპირდაპირე მხარეს. XIX – XX საუკუნეების მიჯნის დროულად გადარჩენილ შენობათა მწკრივი გამოდგება. ურბანული სტრუქტურების დამცავი ზონების დადგენა საქართველოს სხვა ქალაქებშიც მიმდინარეობდა; საამისოდ ჩამოყალიბდა არქიტექტორთა საგანგებო ჯგუფი.

გმირი მეცნიერი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს რეგიონებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. ამის საუკეთესო ფორმად ის მიიჩნევდა მუზეუმ - ნაკრძალების ქსელის ჩამოყალიბება - გაფართოებას. მართალია, საქართველოში მუზეუმ - ნაკრძალების ინსტიტუტი ჯერ კიდევ 1938 წელს გაჩნდა - ვარძიის ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმ - ნაკრძალის სახით - მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის ადგილებზე დაცვის ამ ყველაზე ქმედითმა ფორმამ მხოლოდ ბატონ ირაკლის ძალისხმევით დაფარა საქართველოს რეგიონების უმრავლესობა. მუზეუმ - ნაკრძალებმა, ამ ტიპის დაწესებულებისათვის ჩვეული ფუნქციების გარდა, დაიქვემდებარეს არქიტექტურის ძეგლების მცველთა ყოველდღიური საქმიანობის კონტროლი, რაც იმ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო. ეფექტურად მოქმედებდა ძეგლთა დაცვის ინსპექციაც.

სიახლე იყო ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სტრუქტურაში ხალხური რეწვის განყოფილების ჩამოყალიბება, რაც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისადმი გადადგმული წინმსწრები ნაბიჯი იყო. [9, 34, 35]

დასკვნა

ირაკლი ციციშვილის მემკვიდრეობის შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი იყო საუკეთესო პედაგოგი, მაღალი ინტელექტის მქონე ნაყოფიერი მეცნიერი. მას ფასდაუდებელი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმეში. ირაკლი ციციშვილის როგორც მებრძოლის, საზოგადო მოღვაწის და მეცნიერის ღვაწლი უმნიშვნელოვანესია ქართველი ხალხისთვის, რომელიც მონოგრაფიულად უნდა იყოს შესწავლილი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სალუქვაძე სოკრატ, „ფანასკერტელი - ციციშვილი თუ ასპანიძე - ფანასკერტელი“, გაზ., „წამალათმცოდნეობის გონებისკარი“, №1, 1995.
2. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, თბილისი, 1982.
3. დ. ციციშვილი, „მეცნიერება და ტექნიკა“, 1952, № 11.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, თბილისი, 1973.
5. Долгоруков П. В. Российская родословная книга – СПБ; тип З. Веимара, 1855 – Т2 – с45
6. “Герои Советского Союза – воини иженерных войск“, წიგნი მეორე Ленинград 1984 .
7. http//old.tbiliselebi.ge
8. ირაკლი ციციშვილი, თბილისი 2016.
9. ვლადიმერ ვარდოსანიძე, სამყაროს მოქალაქე; ირაკლი ციციშვილი, 2016.

Hero Scientists of Georgian Technical University
Irakli Tsitsishvili

Ivane Osadze, Associate Professor
Georgian Technical University

Summary

Irakli Nikoloz Tsitsishvili started his life by fighting. The young architect went to World War II two days after graduating. In October 1943, a major problem was the forcing of the Dnieper River, without which it was impossible to move Soviet troops and military equipment to the other side. It was therefore hard to imagine liberating Ukraine from the German occupiers. In the most difficult conditions of continuous artillery and aerial bombardment, he was able to build a 360-meter bridge from the Pontoons in four days, which led to the transfer of military units to the other side of the Dnieper and the development of the attack. In solving this task, Irakli Tsitsishvili showed a high level of engineering thinking and great courage, for which the young captain was awarded the title of Hero of the Soviet Union, was awarded the Golden Star and the Order.

Professor Irakli Tsitsishvili of the Georgian Technical University has a great contribution as a teacher and scientist. He has published numerous scientific papers, including 25 monographs.

With his direct participation, he established and for almost 15 years headed a high-level organization based on the systemic science of monument preservation - the main scientific-industrial division of the protection and use of historical and cultural monuments of Georgia.

Through the efforts of Mr. Irakli, the state protection zone of the historical part of Tbilisi was expanded; The previously unknown "Development Regulation Zone" and "Landscape Protection Zone" were established in Georgia. His own The monuments were registered and passported by "ordination". Under his leadership, the typological and chronological scope of material cultural monuments was significantly expanded, modern buildings were included in the list of architectural monuments, and all more or less valuable dendrological parks were registered throughout the country.

Professor Irakli Tsitsishvili paid great attention to the protection of cultural heritage in the regions of Georgia. The best form of this he considered the expansion of the museum - the network of reserves - with his efforts, most of the regions of the country were covered by the museum - reserves.

The retired professor of the Georgian Technical University Irakli Tsitsishvili has a great merit before the Georgian nation as a teacher, scientist, patriot and citizen. It is necessary to study his public merits and scientific thought monographically.

სამართალი

LAW

პოლიტიკური ძალაუფლების დანაწილება ევროპული კავშირის ძირითად ინსტიტუტებს შორის

შოთა მშვენიერაძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ევროპული კავშირი წარმოადგენს სრულიად ახალი ტიპის ერთეულს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში. ის ერთის მხრივ არც კონფედერაციული ტიპის სახელმწიფოს წარმოადგენს და მეორეს მხრივ არც ჩვეულებრივ საერთაშორისო ორგანიზაციას. ევროპული კავშირი წარმოადგენს ერთადერთ ზე-ნაციონალურ საერთაშორისო ორგანიზაციას. ეს ნიშნავს იმას, რომ გაერთიანების წევრების ძალაუფლების მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირება ხდება ევროპულ კავშირში. აქედან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოხდეს ევროპული კავშირის მმართველი სისტემის განხილვა, ვინაიდან მისი გავლენა მეტად დიდია წევრ ქვეყნებზე.

ევროპული კავშირი მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურით ხასიათდება. მის ძირითად ინსტიტუტებს წარმოადგენენ: ევროპული საბჭო, ევროპული კავშირის საბჭო (რომელსაც მინისტრთა საბჭოდ ან უბრალოდ საბჭოდაც მოიხსენიებენ), ევროპული პარლამენტი, ევროპული კომისია, ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, აუდიტორთა ევროპული სასამართლო და ცენტრალური ევროპული ბანკი.

აღნიშნული ინსტიტუტები ერთმანეთთან მუდმივ ურთიერთობაში არიან. ისინი უზრუნველყოფენ ევროპული კავშირის გამართულად ფუნქციონირებას. ეს ინსტიტუტები კოორდინირებულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ქმნიან იმგვარ სისტემას, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს. მათი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომ კავშირის შიგნით ყველა, დაწყებული წევრი სახელმწიფოებიდან, დამთავრებული ჩამოთვლილი ძირითადი ინსტიტუტებით მისდევდეს ევროპული კავშირის კურსს. მაშასადამე ნათელია, რომ ინსტიტუტებს დიდი როლი გააჩნიათ კონტროლის საკითხში.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ნებისმიერი სისტემა, მათ შორის ძალიან ეფექტიანი სისტემაც, რომელსაც არ გააჩნია კონტროლისა და ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმები, იმის ძალიან დიდი რისკის ქვეშ დგას, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში წარუმატებელ სუბიექტად იქცეს.

ამავე მიზნისთვის აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროპული კავშირი წარმოადგენს იმგვარ კავშირს სადაც დაცულია თანასწორობა წევრებს შორის. აქ იგულისხმება ის, რომ კავშირის მართვაში აქტიურად და თანაბრად არიან ჩართულნი წევრი სახელმწიფოები. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ევროპული საბჭოს, ევროპული კავშირის საბჭოს, ევროპული პარლამენტის, ევროპული კომისიის, ევროკავშირის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოსა და აუდიტორთა ევროპული სასამართლოს სტრუქტურის გაანალიზებისას. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი და ფაქტორია რომელიც მოცემულ ნაშრომშიც იქნება გაანალიზებული.

შესავალი

ევროპული კავშირი უნიკალურ საერთაშორისო სამართლებრივ წარმონაქმნს წარმოადგენს. მისი პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება ათწლეულების მანძილზე მიმდინარე პროცესი გახლდათ და შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ

უკანასკნელის ევოლუცია დღესაც გრძელდება. ევროპული კავშირის ფორმირება დღემდე არაერთმა ხელშეკრულებამ უზრუნველყო, თუმცა დღეისათვის ბოლო ასეთ მნიშვნელოვან ხელშეკრულებას 2007 წელს ხელმოწერილი და 2009 წელს ძალაში შესული ლისაბონის ხელშეკრულება წარმოადგენს, რომელმაც რეალურად ჩამოაყალიბა ევროპული კავშირის ის თანამედროვე სახე და მოცემულობა, რომლითაც ის დღეს ფუნქციონირებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კავშირი არ გახლავთ ჩვეულებრივი საერთაშორისო ორგანიზაცია, არამედ იგი პირველ, ზენაციონალურ ორგანიზაციას წარმოადგენს. „ტერმინი „ზენაციონალური“ ორგანიზაცია წევრ სახელმწიფოთა მაღალი დონის ინტეგრაციის საფუძველზე შექმნილ საერთაშორისო ორგანიზაციების ახალი ტიპის აღსანიშნავად გაჩნდა“[1] და „ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ევროგაერთიანება ერთადერთი მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ზენაციონალური ორგანიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.“[2]

ინტეგრაციის ასეთი მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, კიდევ უფრო ნათლად იკვეთება ევროპული კავშირის ინსტიტუტებს შორის ძალაუფლების ამჟამინდელ დანაწილებაზე მსჯელობის მნიშვნელობა, რამეთუ წევრ სახელმწიფოთა ინტეგრაციის ისეთი მაღალი ხარისხი, როგორიც ევროპულ კავშირს გააჩნია, ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოთა ძალაუფლების გარკვეული და საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირება ხდება საერთაშორისო გაერთიანებაზე, რაც ფაქტია, რომ საერთაშორისო დონეზე ჯერაც ახალგაზრდა პრაქტიკას წარმოადგენს და სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით აუცილებელია, მოხდეს მსჯელობა და იმის გააზრება, თუ როგორ ხორციელდება სახელმწიფოთა მიერ ევროპული კავშირისთვის დელეგირებული ძალაუფლების დანაწილება მის ძირითად ინსტიტუტებს შორის. ტერმინ ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტების ქვეშ განიხილება შემდეგი ორგანოები: ევროპული პარლამენტი, ევროპული საბჭო, ევროპული კავშირის საბჭო, ევროპული კომისია, ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, აუდიტორთა ევროპული სასამართლო და ევროპის ცენტრალური ბანკი და მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვა არაერთი რგოლიც ევროპული კავშირის შემადგენლობაში, ძირითადად სწორედ ზემოჩამოთვლილი ინსტიტუტებია ის წარმმართველი რგოლები, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ევროპული კავშირის მოცემულობას.

გარდა საკითხის თეორიული გააზრებისა, აქედან გამომდინარე, ნათელია კიდევ ერთი და კიდევ უფრო მკაფიო საჭიროება, რომ მოხდეს ევროპულ კავშირის ძირითად ინსტიტუტებს შორის კონტროლის ეფექტიანი მექანიზმების არსებობის უზრუნველყოფა და მისი ეფექტიანობის შეფასება, რამეთუ კონტროლის ეფექტიანი მეთოდების გარეშე, ყველაზე ეფექტიანი მმართველობითი სისტემაც კი ძალაუფლების არაკეთილსინდისიერი უზურპირების საშიშროების წინაშე დადგება. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში აგრეთვე განხილული იქნება ევროპული კავშირის ინსტიტუტთა ურთიერთკონტროლის მექანიზმები.

ძირითადი ნაწილი

ევროპული საბჭო ევროპული კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ინსტიტუტი და ის სივრცეა, სადაც პრინციპების დონეზე განიხილება ევროკავშირის მიდგომები. ევროპული საბჭო ყველაზე ძირეულ, ზოგად კურსს სახავს ევროპული კავშირის სამომავლო განვითარებისთვის. მის შემადგენლობაში შედიან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უმაღლესი თანამდებობის პირები, ანუ თითოეული წევრი სახელმწიფოდან მთავარი და ყველაზე წონადი გადაწყვეტილების მიმღები ოფიციალური პირები პრეზიდენტები ან პრემიერ მინისტრები. ევროპული საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედის ევროპული საბჭოს პრეზიდენტი (რომლის როლიც შემდგომში უფრო დეტალურად იქნება მიმოხილული). საბჭოს სხდომებში აგრეთვე ჩართულია ევროკომისიის პრეზიდენტი და კავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში. „აქ ხაზგასასმელია ის, რომ ევროპული საბჭო სახავს ევროპული კავშირის ფართო პრიორიტეტებს, რაც აერთიანებს ეროვნულ და კავშირის დონის ლიდერებს.“[3] ამგვარად საკითხია ის, რომ ეროვნული და საერთაშორისო დონის ლიდერების ერთ მაგიდასთან გაერთიანება ხდება, თუმცა ის რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ევროპული საბჭოს რგოლს, არის ის, რომ თავად ეს ფიგურები ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, ევროპული კომისიის პრეზიდენტი და ევროპული კავშირის უმაღლესი წარმომადგენელიც საგარეო საქმეებისა და უსაფრთხოების საკითხებში - ევროპული გაერთიანების ყველაზე გავლენიან ოფიციალურ

[1] ჰ. მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (მეშვიდე შესწორებული გამოცემა), 2005 თბ., გვ. 114

[2] იქვე, გვ. 115

[3] D. Pataraia, International Law: Text, Cases and Materials, London 2021, p. 406

პირებს წარმოადგენენ და მათი კავშირის წევრ სახელმწიფოთა ლიდერებთან იმგვარი პირდა-პირი გაერთიანება, როგორიც ევროპული საბჭოს ფორმატში ხდება, ამ უკანასკნელს ყველაზე მნიშ-ვნელოვან პასუხისმგებლობას და ძალაუფ-ლებას ანიჭებს.

აქ მეორე საკითხი, რაც ევროპული საბჭოს როლს ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის კიდევ უფრო ამყარებს, ესაა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მანდატი და მისი ფუნქციური ხასიათი, რომელიც 2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულების პირდა-პირი ნაყოფია.

კერძოდ, გარდა იმისა, რომ ევროპული საბჭოს პრეზიდენტი უზრუნველყოფს და ხელმძღვა-ნელობას უწევს ევროპული საბჭოს მუშაობას და ხელს უწყობს სამუშაო პროცესს, იგი „ევროპულ პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ევროპული საბჭოს თითოეულ შეხვედრაზე განხილული საკითხების თაობაზე. აგრეთვე საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროსთან დაკავ-შირებულ საკითხებზე სახელმწიფო, ან მთავრობის მეთაურების დონეზე კავშირს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი წარმოადგენს.“[1]

შედეგად, გამომდინარე მისი ფუნქციებიდან მეტად დიდია ევროპული საბჭოს პრეზიდენტის როლი. მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ ეს როლი ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ეს უკანასკნელი ნაწილობრივ განპირობებულია ევროპული საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობის ცალკე შემოღებით. თუკი 2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულებამდე ევროპული კავშირის წევრი ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირები (თანმიმდევრობით, 6 თვის ვადით) იკავებდნენ ხოლმე აღნიშნულ თანამდებობას, 2009 წლის შემდეგ ეს პრაქტიკა შეიცვალა და უკვე პრეზიდენტს 2.5 წლის ვადით ირჩევენ, მაქსიმუმ 2-ჯერ და მას ეკრძალება რაიმე ეროვნული პოლიტიკური თანამდებობის დაკავება.

ლისაბონის ხელშეკრულებას, ხშირად მოიხსე-ნებენ როგორც რეფორმის ხელშეკრულებას და მართლაც, ზემოთმოცემული რეფორმის შედეგად მნიშვნელოვანწილად გაიზარდა ევროპული საბ-ჭოს პრეზიდენტის როგორც დამოუკიდებლობა, ასევე ამ უკანასკნელიდან გამომდინარე როლი და ძალაუფლება. უკვე ჩამოყალიბდა იმგვარი ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც არა რომელიმე სახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული და 6 თვის განმავლობაში სხდომებს ხელმძღვანელობდა, არამედ ინსტიტუ-ტი, რომელმაც თავის თავზე აიღო არამარტო ევროპული საბჭოს ხელმძღვანელობა, არამედ ევროპული კავშირის ლიდერობაც და ძლიერ, წონად პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბდა.

ამან ცხადია, კიდევ უფრო გაზარდა ევროპული საბჭოს ძალაუფლება ევროკავშირის სისტემაში.

კიდევ ერთი საკითხი, გახლავთ ის, რომ როგორც აღინიშნა ევროპული საბჭოს წევრები ევროკავშირის სახელმწიფოთა პირველი პირები არიან. შესაბამისად ცხადია, რომ საბჭოს წევრობის მანდატსაც მათ საკუთარი მოქალაქეები ანიჭებენ და არა კავშირის სხვა ინსტიტუტები. აღსანიშნავია, რომ თავად ევროპული საბჭოს პრეზიდენტიც ევროპული საბჭოს მიერ ინიშნება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით და მისი დანიშვნის არანაირი ბერკეტი სხვა ინსტიტუტებს არ გააჩნიათ. ეს ცხადია კიდევ უფრო ზრდის პრეზიდენტის მანდატის როლს და მოქმედების დამოუკიდებლობას, რითაც საბოლოო ჯამში ევროპული საბჭოს ძალაუფლება იზრდება.

უნდა ხაზი გაესვას იმასაც, რომ ევროპული საბჭო არ ეწევა საკანონმდებლო საქმიანობას.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროპული საბჭოს ძალაუფლება, ძირითადად გამოიხატება ევროპული კავშირის პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში, იგი საქმიანობისას მეტად მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხით სარგებლობს და ბოლო ათწლეულების მანძილზე, კავშირის სხვა ინსტიტუტებთან შედარებით აშკარა ლიდერად ჩამოყალიბდა.

ევროპული კავშირის საბჭოს ხშირად მინის-ტრთა საბჭოდ, ან უბრალოდ საბჭოს სახელით მოიხსენიებენ. მისი მთავარი მახასიათებელია, რომ საბჭოს არ გააჩნია კონკრეტული წევრები, არამედ მისი შემადგენლობა საბჭოს დღის წესრიგის თანახმად ფორმირდება. ამას ეწოდება „კონფიგურაციის პრინციპი“.

მას ასევე არ გააჩნია მუდმივი თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარეები თანმიმდევრულად ხდე-ბიან ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოები და ამ პოსტს ისინი ექვსი თვის ვადით იკავებენ. ამჟამად საბჭოს შემადგენლობის ათი კონფიგურა-ცია არსებობს და გამონაკლისია ერთ-ერთი (საგარეო საქმეთა საბჭოს ფორმატი), რომელსაც ყოველ-თვის ევროპული კავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენელი ხელმძღვანელობს. სხვა ყველა შემთხვევაში თავმჯდომარე სახელმწიფო უძღვება სხდომებს.

[1] ა. დევიძე, გ. მირიანაშვილი, ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი 2019, გვ. 34

კავშირის საბჭოს ძალაუფლება, ძირითადად საკანონმდებლო პროცესში მისი როლით გამოიხატება. იგი ამ კუთხით აქტიურად თანამშრომლობს ევროპულ პარლამენტთან. „ევროპული კავშირის საკანონმდებლო აქტების დიდი ნაწილი კავშირის საბჭოსა და პარლამენტის მიერ ერთობლივად ორდინალური საკანონმდებლო პროცედურის ფარგლებში მიიღება.“[1]

გარდა ამ პროცედურისა ასევე არსებობს სპეციალური საკანონმდებლო პროცედურა, რომლის წარმოების შემთხვევებიც წინასწარ მკაცრად განსაზღვრულია თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევათა უმრავლესობაში სწორედ მინისტრთა საბჭო სარგებლობს ამ პროცედურის დაწყების უფლებამოსილებით. დღესდღეობით სპეციალური საკანონმდებლო პროცედურის განხილვისას, აღსანიშნავია ორი პროცედურა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება პრაქტიკაში. ესენია საკონსულტაციო პროცედურა და თანხმობის პროცედურა. „კონსულტაციის შემთხვევაში პარლამენტმა შესაძლოა დაამტკიცოს, უარყოს ან შესთავაზოს ცვლილებები საკანონმდებლო წინადადებაში. საბჭოს არ გააჩნია სამართლებრივი ვალდებულება გაითვალისწინოს პარლამენტის მოსაზრება, მაგრამ მას გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ამ მოსაზრების მიღების შემდეგ შეუძლია.“[2] მეორეს მხრივ, როდესაც საქმე ეხება ხსენებულ თანხმობის პროცედურას, აქ ევროპული პარლამენტის როლი გამოიხატება საკანონმდებლო წინადადების თანხმობასა ან უარყოფაში, რის დროსაც პარლამენტის ძალაუფლება ხელშეუხებელია.

ნათელია, რომ საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციას საკანონმდებლო საქმიანობა წარმოადგენს ევროპულ პარლამენტთან ერთად. საბჭო ასევე პარლამენტთან ინაწილებს ძალაუფლებას კავშირის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხში, რაც მართალია მისთვის მნიშვნელოვანი ბერკეტია კავშირს შიგნით, თუმცა ერთპიროვნული და წამყვანი როლი ამ მიმართულებით ევროპული კავშირის საბჭოს დღეისათვის არ გააჩნია.

საბჭოს კიდევ ერთი ფუნქციაა „საერთაშორისო შეთანხმებების დადება, რომელთა შესახებაც მოლაპარაკებას ევროკომისია აწარმოებს.“[3]

ასევე, „მინისტრთა საბჭო ევროპული საბჭოს მიერ განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით, ავითარებს ევროპის კავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას.“[4] შესაბამისად აშკარაა, რომ ამ მხრივაც, საბჭო შეზღუდულია და დამოუკიდებლობის ნაკლები ხარისხით სარგებლობს, რამეთუ უწევს მიყვეს ევროპული საბჭოს მითითებებს.

და ბოლო ფუნქცია, რომელიც ევროპული კავშირის საბჭოს მნიშვნელობას ზრდის, ეს გახლავთ საბჭოს როლი წევრ სახელმწიფოთა კოორდინირებაში სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ერთმნიშვნელოვანია, რომ ევროპული კავშირის საბჭო ერთის მხრივ წააგავს ევროპულ საბჭოს, სადაც წამყვანი ძალა ეროვნულ მთავრობათა ოფიციალური პირები არიან, თუმცა მეორეს მხრივ დეტალურად მოწესრიგებული და განსაზღვრულია საბჭოს როლი პრაქტიკულად უმრავლეს საკითხებში: იგი არ სარგებლობს კავშირის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხებში ერთპიროვნული მონოპოლიით, საკანონმდებლო ძალაუფლებაც მნიშვნელოვანწილად აქვს შეზღუდული ევროპული პარლამენტის მიერ და ევროპულ საბჭოსთან მიმართებაშიც, მუდმივად უწევს ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის მიყოლა და პრაქტიკაში განხორციელება.

ამას ვერ ცვლის ვერც ის, რომ საბჭოს შიგნით ხდება სამუშაოს თვითორგანიზება (ზოგად საქმეთა საბჭო ორგანიზებას უწევს ფუნქციონირების განგრძობადობასა და თანმიმდევრულობას) და ვერც ევროპული კავშირის საბჭოს გენერალური სამდივნოს ფუნქციონირება, რომელიც წესით გარკვეული მცირე გავლენით სარგებლობს ევროპული საბჭოსა და მის პრეზიდენტის მუშაობაზე, გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელი - „მდივანი კი კავშირის საბჭოს მიერ ინიშნება.“[5]

მაგრამ ეს ბუნებრივიცაა კავშირის საბჭო, ხომ ეროვნული მთავრობების ოფიციალური, მაგრამ არა პირველი პირებითაა დაკომპლექტებული და განსაკუთრებით ევროპულ საბჭოსთან მიმართებაში შეინიშნება მისი „დაქვემდებარებული და ხელშემწყობი“ ხასიათი.

ევროპული პარლამენტი ევროპული კავშირის მოქალაქეების (ევროკავშირის მოქალაქეობა ავტომატურად აქვს მინიჭებული კავშირის ყველა წევრი ქვეყნის ყველა მოქალაქეს) მთავარი ხმა და ინტერესთა დამცველია ევროპის კავშირში.

[1] როგორ ფუნქციონირებს ევროპული კავშირი (გზამკვლევი), თბ., 2014, გვ. 47

[2] ა. დევიძე, გ. მირიანაშვილი, ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი 2019 გვ. 413

[3] პ. ფონტენი, 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ: როგორ მუშაობს ევროკავშირი, 2014, გვ. 12

[4] ა. დევიძე, გ. მირიანაშვილი, ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი 2019 გვ. 35

[5] როგორ ფუნქციონირებს ევროპული კავშირი (გზამკვლევი), თბილისი 2014 გვ. 51

უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ მაღალი ლეგიტიმაციით სარგებლობს, რაც გამომდინარეობს იქედან, რომ მისი წევრები პირდაპირ არიან არჩეულნი ევროკავშირის მოქალაქეთა მიერ. ამჟამად ევროპარლამენტში 705 დეპუტატია, რომლებიც ცალკეულ პოლიტიკურ ჯგუფებში არიან გაერთიანებულნი. შესაბამისად მათი გადაწყვეტილებებიც მეტწილად საკუთარი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებითა და იდეოლოგიითაა მოტივირებული და ნაკლებად გამოსჭვივის იმ სახელმწიფოს მიხედვით საკითხის მხარის დაჭერა/არ დაჭერის მაგალითები, რომლის კვოტითაც არიან წარმოდგენილნი ევროპულ პარლამენტში.

ამჟამად პარლამენტის ყველაზე დიდი პოლიტიკური ჯგუფი გახლავთ ევროპის სახალხო პარტია, რომელიც ორგანოში 177 დეპუტატითაა წარმოდგენილი, მას მოსდევს სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი 144 დეპუტატით და ა.შ. შედეგად ნათელია, რომ ევროპარლამენტი ძალიან შორს დგას იმისგან, რომ წარმოადგენდეს ერთპარტიული ორგანოს. ასევე შეუძლებელია რომელიმე სახელმწიფოდან იქნას წარმოდგენილი იმ რაოდენობის წევრები, რომ ამ სახელმწიფომ მარტომ განსაზღვროს ევროპარლამენტის პოლიტიკა.

ევროპულ პარლამენტს, როგორც ზემოთ აღინიშნა, გააჩნია საკანონმდებლო ძალაუფლება, რომელსაც ევროპული კავშირის საბჭოსთან ინაწილებს.

უკვე ითქვა, რომ ყველაზე გავრცელებული საკანონმდებლო საქმიანობის ფორმა ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურაა. მას სხვაგვარად თანაგადაწყვეტილების პროცედურად მოიხსენიებენ. ასეთია უმრავლესი საკითხები, რაც ევროკავშირის კომპეტენციაში შედის და ამგვარია მაგალითად: „მომხმარებელთა უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი და ა.შ.“[1]

ამგვარი პროცედურა მოიცავს ევროპული პარლამენტისა და ევროპული კავშირის საბჭოს მიერ საკანონმდებლო პროექტის ინდივიდუალურად განხილვას. „თუ ისინი მეორე მოსმენისას საკანონმდებლო აქტის პროექტის მიღების თაობაზე შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, ინიციატივა განსახილველად გადაეცემა ე.წ. მორიგების კომიტეტს, სადაც პარლამენტისა და საბჭოს წევრები თანაბრად არიან წარმოდგენილნი.“[2]

ეს უკანასკნელი აშკარად ეფექტიანი საშუალება გახლავთ, რომელიც მცირე ჯგუფის ფორმატში იძლევა მედიაციის შესაძლებლობას, მათ შორის გარკვეული შეთანხმების შემთხვევაში კი, პროცესში თავიდან ერთვება პარლამენტი და საბჭო რომლებიც თავიდან განიხილავენ კომიტეტში შეთანხმებულ პოზიციას და იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება აწ უკვე ხსენებულ სპეციალურ პროცედურას, იგი მეტად იშვიათ შემთხვევებში გამოიყენება და რეალურად გამონაკლისის სახე გააჩნია. ამ პროცედურის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ „ევროპული კავშირის საკანონმდებლო აქტის ლეგიტიმურობის „პრეტენზია“ ამ შემთხვევაშიც მოითხოვს პარლამენ-ტის, როგორც მოქალაქეთა მიერ პირდაპირი წესით არჩეული წარმომადგენლების მონაწილეობას."[3]

ახლა რაც შეეხება ევროპული პარლამენტის სხვა კომპეტენციებს, აღსანიშნავია მისი საბიუჯეტო კონტროლის ფუნქცია, რომელსაც როგორც აღინიშნა ევროპული კავშირის საბჭოსთან ერთად ახორციელებს და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიური ბიუჯეტის განხილვა, დამოუკიდებლად მიმდინარეობს, როგორც ევროპულ პარლამენტში, ასევე მინისტრთა საბჭოში, ევროპულ პარლამენტს, უფრო კონკრეტულად კი მის პრეზიდენტს, აქვს შესაძლებლობა არ მოაწეროს ხელი ევროპის კავშირის ბიუჯეტის პროექტს და ვინაიდან ევროპარლამენტის პრეზიდენტის ხელმოწერა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბიუჯეტის პროექტის დასამტკიცებლად, ეს ნიშნავს იმას, რომ პარლამენტის პირველ პირს ერთპიროვნულად შეუძლია დაბლოკოს კავშირის ბიუჯეტის პროექტი.

ზოგადად ევროპული პარლამენტის პრეზიდენტი, არ გახლავთ იმდენად ვრცელი და ფართო ფუნქციების თანამდებობის პირი კავშირის შიგნით, რამდენადაც მაგალითად ევროპული საბჭოსა და ევროპული კომისიის პრეზიდენტები არიან. ეს ალბათ იქედანაც გამომდინარეობს, რომ ევროპარლამენტი სხვა ძირითად ინსტიტუტებს შორის ყველაზე ფართო რაოდენობის წევრებით ხასიათდება და მეტად მაღალია ინდივიდუალური წევრის როლი, თუმცა ევროპარლამენტის პრეზიდენტის მიერ ბიუჯეტის ერთპიროვნულად ჩაგდების შესაძლებლობა მას მეტად დიდ ძალაუფლებას ანიჭებს, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ შორის დიდია ევროპული პარლამენტის (როგორც ევროპული პარლამენტის პრეზიდენტის ამრჩევის) გავლენა კავშირს შიგნით, მაგრამ რა თქმა უნდა არ

[1] პ. ფონტენი, 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ: როგორ მუშაობს ევროკავშირი, 2014 გვ. 36

[2] როგორ ფუნქციონირებს ევროპული კავშირი (გზამკვლევი), თბილისი 2014 გვ. 32

[3] პ. ფონტენი, 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ: როგორ მუშაობს ევროკავშირი, 2014 გვ. 36

უნდა ჩაითვალოს, რომ პარლამენტის პოზიციას მხოლოდ მისი პრეზიდენტი გამოხატავს, არამედ ეს არის ევროპული პარლამენტის მიერ ბიუჯეტის პროექტის განხილვის ერთობლივი პროცესი. „ევროპარლამენტს შეუძლია ჩააგდოს შემოთავაზებული ბიუჯეტი, როგორც ეს მას არაერთხელ გაუკეთებია. ასეთ შემთხვევაში მთელი საბიუჯეტო პროცედურა თავიდან უნდა დაიწყოს. თავისი საბიუჯეტო უფლებამოსილების გამოყენებით ევროპარლამენტი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ევროკავშირის პოლიტიკაზე.“[1] ევროპული პარლამენტის როლი საბიუჯეტო საკითხებთან მიმართებაში, მხოლოდ ბიუჯეტის დამტკიცებაში არ გამოიხატება. არამედ „ევროპული პარლამენტი კონტროლს უწევს საბიუჯეტო ხარჯების მიზნობრივად ხარჯვასაც.“[2]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც ევროპულ პარლამენტს გააჩნია გახლავთ ზედამხედველობის ფუნქცია - როგორც ზემოთ იქნა ნახსენები კონტროლის მექანიზმი. ევროპული პარლამენტი აკონტროლებს ევროპული კავშირის ყველა ძირითად ინსტიტუტს, გარდა ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა. ევროპული პარლამენტის განსაკუთრებული კონტროლის ობიექტია ევროპული კომისია. გარდა იმისა, რომ ევროპული პარლამენტი, ევროპული საბჭოს წარდგინებით, თავად ნიშნავს ევროკომისიის პრეზიდენტს, თავად ევროპული კომისია ამტკიცებს მის წევრებსაც. მის წინაშე ევროპული კომისია მუდმივად ანგარიშვალდებულია, მაგალითად ევროპული პარლამენტის წევრს შეუძლია კითხვით მიმართოს ევროკომისიას ან კომისიის წევრს, ხოლო ევროპული კომისია მუდმივად წარუდგენს ევროპულ პარლამენტს ანგარიშებს. ამას გარდა ევროპულ პარლამენტს შეუძლია ხმათა 2/3 კვალიფიციური უმრავლესობით, უნდობლობა გამოუცხადოს ევროპულ კომისიას, რის შედეგადაც კომისია ვალდებული იქნება გადადგეს სრული შემადგენლობით. ამას ეწოდება კოლეგიური პასუხისმგებლობის პრინციპი.

საბოლოოდ ევროპულ პარლამენტთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მისი წევრების მასშტაბური რაოდენობა და მათი არჩევის პირდაპირი წესი, განსაკუთრებულ „ლეგიტიმაციას“ სძენს ევროპულ პარლამენტს. ამის ნიშანი და დასტურია ისიც, რომ რეალურად ევროპული პარლამენტი წარმოადგენს საქმიანობის მთავარ მაკონტროლებელ ორგანოს ევროპული საბჭოს, საბჭოს, ევროპული კომისიის, ევროპული ცენტრალური ბანკისა და აუდიტორთა ევროპული სასამართლოსთვის. სწორედ აღნიშნული კონტროლის მექანიზმი, ევროპული კავშირის საბჭოსთან განაწილებული საკანონმდებლო ფუნქციები და საბიუჯეტო ფუნქცია (ზემოთხსენებულ „ლეგიტიმაციასთან“ ერთად) გახლავთ მთავარი ბერკეტები, რომელიც ევროპულ პარლამენტს ასეთ ძალაუფლებას ანიჭებს ევროპული კავშირის სისტემაში.

ევროპული კომისია

ევროპული კომისია ევროპული კავშირის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტია. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მის დაკომპლექტებაზე დიდი გავლენა გააჩნია ევროპარლამენტს, რომლის წინაშეც კომისია პოლიტიკურად ანგარიშვალდებულია და ასევე მნიშვნელოვანია ევროპული საბჭოს როლი, რომელიც წარუდგენს პარლამენტს კომისიის პრეზიდენტობის კანდიდატურას. ასევე ევროპული პარლამენტის მიერ კომისიის სრული შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების შემდეგ, ევროპულმა საბჭომაც უნდა უყაროს კენჭი და დაამტკიცოს კომისიის წარმოდგენილი შემადგენლობა.

„ევროპული კომისიის წევრი ვალდებულია მხოლოდ კავშირის შესაბამისად იმოქმედოს, მას ეკრძალება ეროვნული ხელისუფლებისაგან ინსტრუქციების მიღება.“[3] კომისიის ინდივიდუალური წევრის დამოუკიდებლობა კი, ნათელია საფუძველს უქმნის მთლიანად კომისიის დამოუკიდებლობას, რაც მისი ობიექტურობისა და შესაბამისად ეფექტურობის წინაპირობა გახლავთ. ეს მიემართება კომისიის დამოუკიდებლობას ეროვნული ხელისუფლებების გავლენებისაგან, თუმცა როგორც აღინიშნა, იგი კვლავაც რჩება პოლიტიკურად ანგარიშვალდებული ევროკავშირის სხვა პოლიტიკური სტრუქტურების წინაშე. თავად ევროპული კომისიის საქმიანობა გამოიხატება შემდეგში: „ის ზედამხედველობს კავშირის სამართლის გამოყენებას ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კონტროლის ქვეშ; აღასრულებს ბიუჯეტს; ხელმძღვანელობს პროგრამებს; და ახორციელებს საკოორდინაციო, აღმასრულებელ და ხელმძღვანელ ფუნქციებს.“[4]

ევროპული კომისიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, საკანონმდებლო აქტების პრო-

[1] თ. ოპერმანი; კ.დ. კლასენი; მ. ნეთესჰაიმი, ევროპული სამართალი: სასწავლო სახელმძღვანელო, თბილისი 2021 გვ. 14

[2] როგორ ფუნქციონირებს ევროპული კავშირი (გზამკვლევი), თბილისი 2014გვ. 32

[3] როგორ ფუნქციონირებს ევროპული კავშირი (გზამკვლევი), თბილისი 2014 გვ. 36

[4] ა. დევიძე, გ. მირიანაშვილი, ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი 2019 გვ. 408

ექტების წარდგენაა საბჭოსა და პარლამენტში განსახილველად. „საინიციატივო მონოპოლიის შედეგად კომისია სამართლებრივად თანაბრად უფლებამოსილია ევროპულ პარლამენტსა და საბჭოსთან მიმართებით.“[1] კანონშემოქმედებითი პროცესი ხომ ევროპულ კავშირში სწორედ კომისიიდან იწყება და მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად შესაძლებელია გამონაკლის შემთხვევებში ინიციატივა ევროპული პარლამენტის ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ წარმოიშვას, ევროპული კომისია მაინც რჩება წამყვან ფიგურად ამ საკითხში, რაც მისთვის მნიშვნელოვანი ბერკეტია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც ევროპული კომისიის როლსა და ძალაუფლებას ზრდის ესაა უფლება, იმოქმედოს ევროპული კავშირის სამართლის დასაცავად და ეს მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვალეობაა (ევროპული კავშირის ბიუჯეტის ხარჯვაზე კონტროლის განხორციელებასთან ერთად). იგი ამ ფუნქციას ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთან ერთად ასრულებს, თუმცა საკანონმდებლო პროცესის მსგავსად, აქაც კომისიას გააჩნია წამყვანი როლი პროცედურებს დასაწყებად.

აქ უნდა ითქვას ასევე კომისიის მეტად მნიშვნელოვანი როლის შესახებ საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებათა წარმოებისას (ევროპული კომისია ხომ საერთაშორისო დონეზე წარმოადგენს ევროპულ კავშირს) და ევროკავშირის პოლიტიკის წარმართვის უზრუნველყოფის პროცესში (გარდა ევროპული კავშირის საგარეო და უსაფრთხოების სფეროსა).

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ნათელია, რომ ევროპულ კომისიას საკმაოდ დიდი როლი აქვს კავშირის გამართულად ფუნქციონირებაში არაერთი მიმართულებით, თუმცა ეს რგოლი მაინც მუდმივი ზედამხედველობისა და კონტროლის ქვეშაა პირველ რიგში ევროპული პარლამენტის მხრიდან. მისი ამგვარი არსი, უნდა გამომდინარეობდეს შემდეგიდან: კომისია ერთის მხრივ არ წარმოადგენს ევროკავშირის მოქალაქეთა მიერ პირდაპირი წესით არჩეულ არც ევროპარლამენტარებს და არც სახელმწიფო/მთავრობის მეთაურებსა თუ წევრებს და მეორეს მხრივ ევროპულ კომისიაში დანაწილებულია და ინდივიდუალურ კომისრებზე დაკისრებულია საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი ფუნქცია, შესაბამისად აუცილებელია, რომ ისინი ისევე იყვნენ ანგარიშვალდებულნი რაიმეს ან ვინმეს წინაშე, როგორც მაგალითად ევროპული საბჭოსა (როგორც ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები) და ევროპული პარლამენტის წევრები არიან თავიანთი ამომრჩევლის წინაშე.

მაშასადამე, თუკი ეს ანგარიშვალდებულება სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების შემთხვევებში ეროვნულ დონეზე საკუთარი მოქალაქეების წინაშე ანგარიშვალდებულებაში გამოიხატება, თავად ევროპული კომისია ანგარიშვალდებულია არა რომელიმე კონკრეტული მოქალაქეების, არამედ ევროკავშირის სისტემის მიმართ. სავარაუდოა, რომ სწორედ ამიტომ უფრო მკაფიოდ აღიქმება მასზე არსებული კონტროლის ხარისხი.

ევროპული კავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში არ წარმოადგენს ევროპული კავშირის ცალკე ძირითად ინსტიტუტს, თუმცა მნიშვენლოვანია მოხდეს მისი განხილვა რამეთუ მისი ძალაუფლება ევროპული კავშირის სისტემაში მეტად დიდია.

ეს თანამდებობა, ამ მოცემულობით 2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლით გაჩნდა და მალევე დაიკავა თავისი მნიშვნელოვანი ადგილი. თავისი მოცემულობით იგი გახლავთ ევროპული კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და მას ასეც მოიხსენიებენ ხშირად არაოფიციალურად მედიასა თუ პოლიტიკურ კულვარებში. მისი მუშაობის ხელშესაწყობად, დაარსებულია საგარეო საქმეთა ევროპული სამსახური. მას საკმაოდ კარდინალური როლი აქვს არამხოლოდ ევროპულ კომისიაში არამედ ევროპულ საბჭოსა და ევროპული კავშირის საბჭოშიც. ეს გამოიხატება შემდეგში: იგი ერთის მხრივ წარმოადგენს ევროპული კომისიის წევრსა და ვიცე-პრეზიდენტს, მეორეს მხრივ ევროპულ საბჭოში, უმაღლესი წარმომადგენელი საგრეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ყოველი სხდომის შემადგენლობაშია, ხოლო ევროპული კავშირის საბჭოში კი იგი თავად თავმჯდომარეობს ერთ-ერთი კონფიგურაციის საბჭოს სხდომებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მის ამ თანამდებობაზე გამწესებაში, მთავარი როლი ევროპულ საბჭოს გააჩნია, რომელიც წარუდგენს კანდიდატურას ევროპული კომისიის პრეზიდენტს და ამ უკანასკნელის თანხმობის შემდეგ ინიშნება ევროპული კავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში აღნიშნულ პოსტზე.

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპული კავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა

[1] თ. ოპერმანი; კ.დ. კლასენი; მ. ნეთესჰაიმი, ევროპული სამართალი: სასწავლო სახელმძღვანელო, თბილისი 2021, გვ. 47

და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ძირითადად გახლავთ ტრადიციული საგარეო საქმეთა მინისტრის ფუნქციათა შემთავსებელი. „ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მეთაურების შეხვედრების დონეზე კავშირის ინტერესებს წარმოადგენს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, თუმცა, იგი არ ხელყოფს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კავშირის უმაღლესი წარმომადგენლის კომპეტენციებს.“[1]

აქედან გამომდინარე ცალსახაა ის წამყვანი როლი რომელიც კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს გააჩნია ევროპული კავშირის მოცემულობის ჩამოყალიბებაში მიუხედავად იმისა, რომ იგი დამოუკიდებელ ინსტიტუტს არ წარმოადგენს და მეტწილად ევროპული კომისიის ფარგლებში ფუნქციონირებს.

ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ცხადია მნიშვნელოვანი ძალაუფლებითა და როლით სარგებლობს კავშირში, თუმცა ეს ძალაუფლება ძნელად თუ შეიძლება მოინათლოს პოლიტიკურ ძალაუფლებად, რამეთუ საუბარი სასამართლო ინსტიტუტს შეეხება. ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს მისი ძალაუფლება ევროპული კავშირის სისტემაში. „სამართლებრივი სისტემა, როგორც მუდმივად განვითარებაში, დინამიკაში მყოფი სუბსტანცია საჭიროებს დამოუკიდებელი, აპოლიტიკური ინსტიტუციონალური ორგანოს მიერ ზედამხედველობას, რომელიც უზრუნველყოფს მის მართებულ, სწორ განვითარებას.“[2]

მაშასადამე, როგორც აღინიშნა ვერ გაიმათება დისკუსია ევროკავშირის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს პოლიტიკური ძალაუფლების შესახებ, თუმცა შესაძლოა ითქვას, თუ რას მოიცავს ამ ინსტიტუტის ძალაუფლება.

იგი გამოიხატება ოთხი ძირითადი სახით: პირველი შემთხვევა გამოიხატება ეროვნული სასამართლოს მიერ მიმართვის შემთხვევაში, ევროპული სამართლის ინტერპრეტაციით, რაც მეტად მნიშვნელოვანია ევროპული სამართლის განვითარებისათვის. მეორე ეს არის, ევროკომისიის ან იშვიათ შემთხვევაში წევრი სახელმწიფოს მიერ შეტანილი სარჩელის განხილვა, რომ კონკრეტული სახელმწიფო არღვევს ევროპული კავშირის სამართლის მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას. მესამე სახე მოიცავს იმგვარ შემთხვევას, როდესაც ჩნდება ვარაუდი, რომ ევროკავშირის სამართლებრივი აქტი არაკანონიერი ხასიათისაა და მოთხოვნილია მისი ბათილად ცნობა და მეოთხე შეეხება იმგვარ შემთხვევას, როდესაც ევროპარლამენტი, საბჭო ან კომისია არღვევს საბაზისო ხელშეკრულებით დაწესებულ პრინციპს, იმოქმედონ ზუსტად და მკაფიოდ რათა მათი უმოქმედობით ზიანი არ მიადგეს სხვა სუბიექტს.

ამ ყოველივეს ანალიზის შედეგად ცალსახაა, რომ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო მნიშვნელოვან გავლენას ფლობს სისტემაში, თუმცა მისი გამოყენებისთვის ჩვეულებრივ საჭიროა სხვა სუბიექტის მიერ მისდამი მიმართვა. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო მეტად დიდი დამოუკიდებლობის ხარისხითა და ძალაუფლებით სარგებლობს ევროკავშირის სისტემაში.

აუდიტორთა ევროპული სასამართლო დამოუკიდებელი კოლეგიური ორგანო გახლავთ. „სასამართლოს კომპეტენციაა კავშირის შემოსავლისა და გასავლის კანონიერებისა და მიზნობრიობის, ბიუჯეტის ეკონომიურად ხარჯვის შემოწმება, რომელსაც იგი ევროპის კავშირის ორგანოებისა და წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ახორციელებს.“[3]

აუდიტორთა ევროპული სასამართლო გამოსცემს ყოველწლიურ ანგარიშებს, საჭიროების შემთხვევაში კი სპეციალურ ანგარიშებსაც, რომლებშიც ასახულია სასამართლოს დასკვნები.

აღსანიშნავია, რომ აუდიტორთა ევროპული სასამართლო ხელს უწყობს მინისტრთა საბჭოსა და ევროპარლამენტს საბიუჯეტო კონტროლის განხორციელებაში.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ აუდიტორთა ევროპული სასამართლო მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობის ხარისხითა და ძალაუფლებით სარგებლობს ევროპულ კავშირში.

ევროპული ცენტრალური ბანკი, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კავშირის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტია, არ წარმოადგენს პოლიტიკურ ინსტიტუტს და მასში პოლიტიკური გადაწყვეტილებებიარმიიღება.ამუკანასკნელისმიუხედავად, მისი მნიშვნელობა მეტად დიდია, ვინაიდან ევროპული ცენტრალური ბანკი უზრუნველყოფს ევრო სივრცეში მონეტარული სტაბილურობის შენარჩუნებას. ევროპული ცენტრალური ბანკი, თავისი ფუნქციებით წარმოადგენს ევრო სივრცის მოქალაქეთა ფინანსური სტაბილურობისა და

[1] პ. ფონტენი, 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ: როგორ მუშაობს ევროკავშირი, 2014
[2] იქვე, გვ. 69
[3] როგორ ფუნქციონირებს ევროპული კავშირი (გზამკვლევი), თბილისი 2014 გვ. 38

ყოველდღიური ნორმალური ცხოვრების გარანტს.

კიდევ უფრო ნათელი გახდება ბანკის როლი, როდესაც აღინიშნება, რომ ევროპული ცენტრალური ბანკი სრულიად დამოუკიდებელი ორგანოა და არც ერთ სხვა ევროპული კავშირის ინსტიტუტთან არ იმყოფება დაქვემდებარებულ მდგომარეობაში.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტია ევროპული კავშირის ძირითადი ინსტიტუტები, ზუსტად ახდენენ ერთმანეთის დაბალანსებას. დიდი ალბათობით ეს მათ შორის იმის შედეგიცაა, რომ ევროპული კავშირი ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა და მის თითოეულ რეფორმას საერთაშორისო პრაქტიკული საჭიროებები განაპირობებდა.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ აშკარაა სისტემაში მკაფიოდ განსაზღვრული კონტროლის ბერკეტები არსებობს და ისინი თითოეული ინსტიტუტის შემთხვევაში პრაქტიკულად განსხვავებულია. მაგალითისთვის თუკი ევროპულ კომისიას ანგარიშვალდებულება გააჩნია ძირითადად ევროპული პარლამენტის წინაშე, ევროპული პარლამენტი მისი ამომრჩეველი ევროკავშირის მოქალაქეთა წინაშეა პასუხისმგებელი, ისევე როგორც ევროპული საბჭოს წევრები ისინი ხომ პირველ რიგში საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის მიერ პირდაპირ ან ირიბად არჩეული პირები არიან.

აქვე განსაკუთრებით ხაზგასასმელია ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, აუდიტორთა ევროპული სასამართლოსა და ევროპული ცენტრალური ბანკის როლი, რამეთუ მათი დამოუკიდებლობა განსაკუთრებით მაღალი ხარისხისაა ვიდრე დანარჩენი პოლიტიკური ინსტიტუტების.

მეორე საკითხი რაც ასევე უნდა გამოიკვეთოს, ესაა თითოეულ ძირითად ინსტიტუტში კავშირის წევრ სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი გავლენის არსებობის საფუძვლები. ეს ახდენს ძალაუფლების ერთ ხელში უზურპაციის პრევენციას, რამეთუ თითოეული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლობის მაღალი ხარისხი ევროპული კავშირის ძირითად ინსტიტუტებში აშკარად გარანტირებულია. ამის მაგალითები არაერთია: ის, რომ ევროპულ პარლამენტში თითოეულ ქვეყანას უნდა გააჩნდეს მინიმუმ 6 წარმომადგენელი და მოსახლეობის სიმრავლესთან ერთად ეს რიცხვიც იმატებს, ევროპული საბჭო პირდაპირ წევრ სახელმწიფოთა ოფიციალური პირების საბჭოა, ისევე როგორც მინისტრთა საბჭო, ევროპულ კომისიაში კი დღეს მოქმედი კანონმდებლობით მინიმუმ თითო ევროკომისარი უნდა იყოს წარმოდგენილი კავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოდან (აღსანიშნავია, რომ ევროპული საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით კავშირში 30-ე წევრის მიღების შემდეგ ეს წესი იცვლება და წევრები როტაციის საფუძველზე შევლენ კომისიაში, თუმცა გეოგრაფიული და დემოგრაფიული ფაქტორები მაინც გათვალისწინებული იქნება ამ პროცესში). ასევე უზრუნველყოფილია ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და აუდიტორთა ევროპულ სასამართლოში თითოეული მოსამართლის ყოფნა თითოეული წევრი ქვეყნიდან.

სახელმწიფოთა ასეთი ჩართულობა კავშირის მართვაში და ის ფაქტი, რომ ევროპული კავშირი თანასწორუფლებიან სუბიექტთა შორის კავშირს წარმოადგენს (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო პრაქტიკაში შესაძლოა შედარებით მეტი ძალაუფლებით სარგებლობდეს ვიდრე კავშირის წევრი სხვა სახელმწიფოები) განაპირობებს იმას, რომ კავშირის თითოეულ ძირითად ინსტიტუტში დიდია თითოეული სახელმწიფოს როლი. შესაბამისად იმის მიუხედავად, რომ ინსტიტუტებს უმეტეს შემთხვევაში გააჩნიათ კონკრეტული ხელმძღვანელი, ეს უკანასკნელი მაინც ვერ სარგებლობს ერთპიროვნული ძალაუფლებით იმ ორგანოში რომელსაც ხელმძღვანელობს. ამის მიზეზია ის, რომ ინსტიტუტებში ღრმადაა დანერგილი დემოკრატიული პრინციპები. მათ მართავენ არა ინსტიტუტთა პრეზიდენტები არამედ ინსტიტუტთა წევრები.

შექმნილია ერთის მხრივ წევრ სახელმწიფოთა შორის ბალანსი რაც გამორიცხავს კავშირის ეგიდით, არაკეთილსინდისიერად, სრული ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, მეორეს მხრივ კი ქმნის სისტემას, სადაც თითოეული ძირითადი ინსტიტუტი, ერთობლივად მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხით და ერთმანეთის კონტროლის ეფექტიანი საშუალებებით გამოირჩევა. თანაც ეს ხდება იმგვარად, რომ თითოეულ ინსტიტუტს შორის მკაფიოდ და ზუსტად არის განაწილებული ფუნქციები და ძალაუფლება.

სწორედ ეს წარმოადგენს თანასწორი კავშირის არსებობის ერთობლიბად დადასტურებასაც და შედეგსაც რამეთუ მხოლოდ იმგვარ გაერთიანებაში სადაც თითოეული წევრი ქვეყანა თანაბარი უფლებებით სარგებლობს, შეიძლება არსებობდეს გარემო, რომელიც თითოეულ ინსტიტუტს შორის ძალაუფლების ობიექტურად განაწილების

შესაძლებლობას შექმნიდა და ამასთანავე მოახდენდა ძალაუფლების უზურპაციის სრულ პრევენციას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ამის მაგალითს ევროპული კავშირი წარმოადგენს, რომელმაც ამ მიზანს როგორც აღინიშნა ურთიერთ-კონტროლის საშუალებით მიაღწია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (მეშვიდე შესწორებული გამოცემა), 2005 თბილისი
2. D. Pataraia, International Law: Text, Cases and Materials, London 2021
3. ა. დევიძე, გ. მირიანაშვილი, ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი 2019
4. როგორ ფუნქციონირებს ევროპული კავშირი (გზამკვლევი), თბილისი 2014
5. პ. ფონტენი, 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ: როგორ მუშაობს ევროკავშირი, 2014
6. თ. ოპერმანი; კ.დ. კლასენი; მ. ნეთესჰაიმი, ევროპული სამართალი: სასწავლო სახელმძღვანელო, თბილისი 2021

Distribution of political power Between the major institutions of the European Union

Shota Mshvenieradze
Georgian Technical University

Summary

The European Union is a completely new type of international organizations in the modern international system. It is neither a confederation nor an ordinary international organization. The European Union is an example of a supranational organization. It means, that a significant part of Union's members' power is transferred to the European Union. Because of that, it's very important to analyze the management system of the European Union, because the EU enjoys significant influence over the member states.

The structure of the European Union is quite clear. The main institutions of the EU are the following: European Council, European Union Council (Also known as Council of Ministers or The Council), the European Parliament, the European Commission, the Court of Justice of the European Union, the European Court of Auditors and the European Central Bank.

The mentioned institutions are constantly collaborating with each other. They ensure the effective functioning of the European Union. Those institutions cooperate in a coordinated manner. They create a very successful management system. Their main goal is that EU course should be followed by everyone, including EU member states and institutions. Therefore, it's clear, that those institutions have an important role when it comes to matters of control.

It's extremely essential because any system, even the most effective ones, will be endangered of turning into the unsuccessful ones one day, if there are no effective leverages of control.

It has a significant importance, that inside the European Union there is an equality between the member states. Those states are actively and equally involved in the Union's functioning. It's especially clear when understanding the structure of the European Council, European Union Council, the European Parliament, the European Commission, the Court of Justice of the European Union and the European Court of Auditors. This is a significant fact and a factor which will be analyzed in the following article.

ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო გარანტიები

მარიამ ჯიბლაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია. მოგეხსენებათ, დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი და მისი მიზანია საზოგადოების თითოეული წევრის ნებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება. თანამედროვე სახელმწიფო ვალდებულია შექმნას განათლებული და ინფორმირებული საზოგადოება, რისთვისაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის უფასო მიღება და გავრცელება.

ამასთან, ინფორმაციის თავისუფლება დემოკრატიულ სახელმწიფოში, პირველ რიგში, გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას საზოგადოების წინაშე, უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობა და ღიაობა სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისადმი.

სიტყვის თავისუფლების გარდა, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს აქვს საჯარო ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის უფლება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს ინფორმაციის, კერძოდ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი პირისთვის. თუმცა მოქალაქეებმა არ იციან და ვერ სარგებლობენ კანონით მინიჭებული უფლებებით, გარდა ამისა, ზოგიერთი საჯარო მოხელე თავად არ ასრულებს კანონით ნაკისრ ვალდებულებებს.

სტატია აქტუალურია, ვინაიდან ყურადღება გამახვილებულია საჯარო სექტორის პროაქტიული გამჭვირვალობის კუთხით არსებულ ძირითად ხარვეზებზე.

კონკრეტულად სტატია მოიცავს სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ამჟამინდელი მონაცემებით არსებულ პრობლემებს, ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე საქართველოს სხვადასხვა სასამართლოებში სარჩელების უმეტესობა არ კმაყოფილდება, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სასამართლო სისტემა უფრო ლოიალურია სახელმწიფო ინსტიტუტების, ვიდრე ფიზიკური ან იურიდიული პირების მიმართ. ეს ყველაფერი შეუთავსებელია დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებთან და ვალდებულებებთან, რადგან სასამართლოში წარდგენილი ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პრობლემას წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა და სასამართლოების მიერ საჯარო ინფორმაციის არასრულად გაცემა. ასევე უნდა აღინიშნოს საერთო სასამართლოების სისტემაში სტატისტიკური მონაცემების წარმოებასა და გამოქვეყნებაში არსებული ხარვეზები.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია, იმ საერთაშორისო სტანდარტებზე მითითება, რომელიც მოქმედებს ინფორმაციის თავისუფლების მიმართულებით და რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის თავისუფლების სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრას და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას, ამ საკითხზე მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებასა და შესაბამისი სახელმწიფო კანონმდებლობის დახვეწას.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციის თავისუფლება, ინფორმაციისა და ცოდნის საზოგადოება, საერთაშორისო გარანტიები, საჯარო დაწესებულება, საზოგადოებრივი კონტროლი, ინფორმაციის დაცვის ინტერესი.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება იწოდება, როგორც ინფორმაციის და ცოდნის საზოგადოება. სამართლებრივ სახელმწიფოში, დემოკრატიული სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს საჯარო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციაზე. ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლება სამართლებრივ სახელმწიფოში გარანტირებული ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა.[1]

სახელმწიფოს გამჭვირვალეობა ეფექტიანი დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია, თავის მხრივ მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს სწორედ ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს. სხვაგვარად, შეუძლებელი იქნებოდა საჯარო დაწესებულებების საქმიანობის „საზოგადოებრი-

[1] ინფორმაციის თავისუფლება – ადამიანის ფუნდამენტური უფლება? სტატიათა კონკურსი, რედ. ხ. ყვირალაშვილი,ი. სვანიძე, საია, თბილისი, 2006, გვ. 1

ვი კონტროლი". მაშინ, როდესაც საზოგადოება ინფორმირებულია სახელმწიფო საქმიანობის შესახებ, ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობა მაღალია. როდესაც ხდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელოვნური შეფერხება, ეს იწვევს სახელმწიფოს მიმართ მოქალაქის ნდობის შემცირებას[1].

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპს უპირისპირდება ინფორმაციის დაცვის ინტერესი. როდესაც ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს ან სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ არ მოხდეს ასეთი ინფორმაციის გასაჯაროება. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გულისხმობს ორივე ინტერესის გათვალისწინებას. კანონმდებელი გვთავაზობს ისეთ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსის დაცვას ამ ორ უფლებას შორის.

ძირითადი ნაწილი

ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობა წარმოიშვა შვედეთში, სადაც 1766 წელს მიღებულ იქნა მსოფლიოში პირველი ინფორმაციის თავისუფლების აქტი. დღეს, ამ თარიღიდან თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, ინფორმაციის თავისუფლება აღიარებულია, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, მათ შორის გაეროში, ევროპის საბჭოში, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციასა და აფრიკის კავშირში. თუმცა, ამ საყოველთაო აღიარებამდე ცალკეულ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ბევრი ეტაპის გავლა მოუწიათ. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა გაეროს გენერალური ასამბლეის პირველივე სესიაზე 1946 წელს, როდესაც ინფორმაციის თავისუფლების 59 (I) რეზოლუცია გამოცხადდა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად.[2] 1948 წელს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლში, ინფორმაციის უფლებამ მოიპოვა შემდეგი ფორმულირება: ყველას აქვს რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, ჰქონდეს აზრი ჩარევის გარეშე და მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი მედიის საშუალებით და საზღვრების მიუხედავად.[3]

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი[4] არის კიდევ ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც აღიარებს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას. დოკუმენტის მე-19 მუხლში ნათქვამია: „ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება; „ეს უფლება მოიცავს ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას ნებისმიერი მედიის საშუალებით და საზღვრების მიუხედავად".

გაეროს მიერ მიღებული დოკუმენტების გარდა, ინფორმაციის უფლება აისახება რეგიონულ კონვენციებშიც. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია[5] ასევე ითვალისწინებს ინფორმაციის მიღების უფლებას. კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, ჰქონდეს აზრი ჩარევის გარეშე და მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი მედიის საშუალებით და საზღვრების მიუხედავად".[6]

ყველა აღნიშნულ დოკუმენტში ინფორმაციის მიღების უფლება განიხილება როგორც აზრისა და გამოხატვის უფლების ნაწილი. თუმცა, პრაქტიკაში მას უფრო ფართო განმარტება მიეცა და ინფორმაციის თავისუფლება ცალკე უფლებად იქნა აღიარებული. 1993 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ დანიშნა სპეციალური მომხსენებელი აზრისა და გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკულ განხორციელებაში, რომელმაც 1998 წლის ანგარიშში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის საფუძველზე განსაზღვრა გამოხატვისა და გამოხატვის თავისუფლება. როგორც ყოველი ინდივიდის უფლება მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, რაც გულისხმობს სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყონ ინფორმაციაზე წვდომა. ინფორმაციის თანახმად, მომხსენებელმა მიუთითა სახელმწიფო ორგანოებში არსებულ ინფორმაციაზე, განურჩევლად მისი ფორმისა.

იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ, მნიშვნელოვანია შეთანხმდნენ იმ პრინციპებზე, რომლებზეც დაფუძნებული იქნება ამ მიზნით მიღებული ეროვნული კანონმდებლობა.

[1] კუკავა, ქ., ჩხაიძე ს., ახალაძე ნ., სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა საქართველოში, თარგმანი ქ. თიკანაშვილი, IDFI „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", 2021, გვ. 11

[2] რეზოლუციის ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე http://daccessods.un.org/TMP/6700160.50338745.html;

[3] ჩაბრავა ე., ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, კვლევა, (IDFI), 2012, გვ. 5

[4] საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან;

[5] საქართველოსთვის ძალაში შევიდა 1999 წლის მაისში;

[6] ჩაბრავა ე., ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, კვლევა, (IDFI), 2012, გვ. 5-6

დასკვნა

ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობა და მისი სასიცოცხლო როლი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში უდაოა. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების აღიარებამ ხაზგასმით აღნიშნა საჯარო ხელისუფლების ვალდებულება ღიაობისადმი და მათი მოქალაქეებისწინაშეანგარიშვალდებულებისაუცილებლობა.

ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის ადეკვატური და ეფექტური მექანიზმების შემუშავება და დახვეწა დღეს საზოგადოებაში აქტიური განხილვის საგანია. სწრაფად განვითარებადი ინტერნეტ ტექნოლოგიების ფონზე ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება, რაც თავის მხრივ მოითხოვს შესაბამისი მარეგულირებელი ბაზის შემუშავებას, არსებულ რეალობასთან და სოციალურ საჭიროებებთან ადაპტაციას. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ გამჭვირვალობა და ღიაობა დიდწილად განსაზღვრავს საზოგადოების ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აუცილებელია სწორედ ამ ინსტიტუტების საქმიანობის შესაფასებლად, ასევე არსებული ტენდენციებისა და ხარვეზების გამოსავლენად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ინფორმაციის თავისუფლება – ადამიანის ფუნდამენტური უფლება? სტატიათა კონკურსი, რედ. ხ. ყვირალაშვილი,ი. სვანიძე, საია, თბილისი, 2006;
- კუკავა, ქ., ჩხაიძე ს., ახალაძე ნ., სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა საქართველოში, თარგმანი ქ. თიკანაშვილი, IDFI „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", 2021;
- ჩაბრავა ე., ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, კვლევა, (IDFI), 2012, გვ. 5
- რეზოლუციის ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე http://daccessods.un.org/TMP/6700160.50338745.html;

International guarantees of freedom of information

Mariam Jibladze, PhD student

Georgian Technical University

Summary

The existence of a modern democratic state without freedom of information is unthinkable. As you know, one of the basic principles of democratic governance and its purpose is to satisfy the will and needs of each member of society. The modern state is obliged to create an educated and informed society, for which the state must ensure the free reception and dissemination of public information.

At the same time, freedom of information in a democratic state, first of all, implies the obligation of the state to the public, to ensure access to public information, transparency of government activities and openness to the implementation of state policy. In addition to freedom of speech, every citizen of Georgia has the right to free access to public information, which implies the obligation of the state to ensure access to information, in particular, public information for any person. However, citizens do not know and can not enjoy the rights granted by law, in addition, some public servants themselves do not fulfill their obligations under the law. The article is relevant as it focuses on the key gaps in public sector proactive transparency. Specifically, the article covers the problems with access to judicial acts. According to the current data, most of the lawsuits on freedom of information in various courts of Georgia are not satisfied, which gives the impression that the judiciary is more loyal to state institutions than individuals or legal entities. All this is incompatible with the principles and obligations of a democratic state, because all issues submitted to the court must be resolved in accordance with the principles of the Constitution of Georgia and applicable law. The problem is the non-fulfillment of the requirements set by the decision of the High Council of Justice and the incomplete issuance of public information by the courts. Gaps in the production and publication of statistical data in the common court system should also be noted. The purpose of this article is to refer to the international standards that apply to the freedom of information, which aims to eliminate problems in the field of freedom of information and promote access to public information, raise public awareness on this issue and improve relevant state legislation.

Keywords: Freedom of information, information and knowledge society, international guarantees, public institution, public control, interest in information protection.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

S C I E N C E S

Th Co_5 - Th Ni_5-ის სისტემის მყარი ხსნარების მაგნიტური თვისებები

ლალიტა დარჩიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გივი კაპანაძე, ფიზიკის აკადემიური დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზურაბ ჩაჩხიანი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

აქტინოიდების 3d-ლითონებთან ბინარული ნაერთების შესწავლამ გამოავლინა მათი განსხვავებული მაგნიტური თვისებები ტემპერატურაზე დამოუკიდებელი პარამაგნეტიკიდან ფერომაგნეტიკამდე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის, რომ თორიუმის ინტერმეტალური ნაერთები კობალტისა და ნიკელის ლითონებთან იზომორფულია თავისი კრისტალური სტრუქტურით, ერთგვაროვანი სტექიომეტრული შემადგენლობისაა და ძალიან ახლოა კრისტალური მესრის პარამეტრებით. $ThNi_5$ არის ტემპერატურაზე დამოუკიდებელი პარამაგნეტიკი, ხოლო $ThCo_5$ - ფერომაგნეტიკი.

აღნიშნული ნაერთების მაგნიტური თვისებების ახსნა შესაძლებელია, თუ ვივარაუდებთ, რომ აქტინოიდების სავალენტო ელექტორონები ავსებენ შენადნობის 3d-ზონას, ამასთან თორიუმს შეუძლია გასცეს მისი ყველა გარე ელექტრონი, ხოლო ურანის ვალენტობა 4-ის ტოლია. თუ 3d-ზონის შენადნობი მთლიანად არის შევსებული, მაშინ ნაერთმა არ უნდა აჩვენოს ძლიერი მაგნიტური თვისებები ($ThNi_5$). თუკი თავისუფალი ადგილები დარჩება 3d-ზონაში, შეიძლება ველოდოთ მაგნიტური განწესრიგების გამოჩენას (Th Co_5).

$ThCo_5$ - $ThNi_5$ მყარი ხსნარების სისტემის მაგნიტური თვისებები მონოტონურად იცვლება კობალტის ატომების ნიკელის ატომებით თანდათანობით ჩანაცვლებით, ხოლო $ThCo_5$-ის მაღალი შემცველობის მქონე ნიმუშები არის ფერომაგნეტიკები, $ThNi_5$-ის მაღალი შემცველობის ნიმუშები კი – ტემპერატურაზე დამოუკიდებელი პარამაგნიტიკები.

პარამაგნიტურ რეგიონში ფერომაგნიტურ ნაერთებს აქვთ ძლიერი ტემპერატურული დამოკიდებულება, რომელიც არ ემორჩილება კიური-ვეისის კანონს. არსებობს გარდამავალი რეგიონი მყარი ხსნარების ტემპერატურაზე დამოკიდებული ამთვისებლობით, მაგრამ ეს არ არის ფერომაგნეტიკები ჰელიუმის ტემპერატურამდე.

$ThCo_5$ - $ThNi_5$ სისტემის მაგნიტურ თვისებებზე დაკვირვებით, შეიძლება აიხსნას 3d-ზონის შენადნობის თანდათანობითი შევსებით. ზონის მთლიანად შევსება მოსალოდნელია 50% $ThNi_5$ კონცენტრაციის არეალში. ეს შეესაბამება $ThCo_5$ ნაერთში ელექტრონების რიცხვის გაზრდას 2,75-მდე.

საკვანძო სიტყვები: აქტინოიდი, პარამაგნეტიკი, ფერომაგნეტიკი, ამთვისებლობა, დამაგნიტება, ბინარული ნაერთები.

შესავალი

მეტალურგიული კვლევების მონაცემების მიხედვით ცნობილია, რომ $ThCo_5$ და $ThNi_5$ იზომორფულია თავიანთი კრისტალური სტრუქ-

ტურით და შეუძლიათ შეუზღუდავად განზავება ერთმანეთში. დამზადებული იქნა $ThCo_5$ - $ThNi_5$ სისტემის 20 ნიმუში კონცენტრაციის მთელ არეალში. ამასთან, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ სინთეზირებულ ნიმუშებზე ჩატარებულმა რენტგენოსტრუქტურულმა ანალიზმა დაადასტურა ჰექსაგონალური კრისტალური სტრუქტურების წარმოქმნა მესრის მუდმივებით, მიახლოებული გაზომვის ცდომილების თანახმად, საწყისი ნაერთების $ThCo_5$ და $ThNi_5$ პარამეტრების მნიშვნელობებთან.

ძირითადი ნაწილი

მიღებული მყარი ხსნარების მაგნიტური თვისებების შესწავლის პროცესში გამოვლინდა, რომ ნიმუშებს, რომლებიც შედგებოდა 0% -დან 25%-მდე $ThNi_5$-ით, აქვთ ფერომაგნიტური თვისებები. ეს ნიმუშები შეისწავლებოდა როგორც ფერომაგნიტურ, ისე პარამაგნიტურ არეში. დანარჩენი ნიმუშები მთლიანი ტემპერატურის დიაპაზონში აღმოჩნდა პარამაგნიტური.

ყველა ნიმუშისთვის განისაზღვრა კიურის θ_F ფერომაგნიტური წერტილები და σ_{ls} მნიშვნელობები, რისთვისაც იქმნებოდა სხვადასხვა ტემპერატურაზე მაგნიტური ველის მნიშვნელობებზე დამაგნიტების დამოკიდებულების გრაფიკები [1].

ამ მნიშვნელობებით იქმნებოდა გრაფიკები, რომელიც დამოკიდებული იყო დამაგნიტების H = 0 ტემპერატურაზე. ამ დამოკიდებულების ხაზოვანი ნაწილი ექსტრაპოლირებდა ტემპერატურის ღერძზე და შემდეგ კი კვეთა ითვლიჩოდა ფერომაგნიტური კიურის ტემპერატურად. σ_{ls}-ის მნიშვნელობა 0 K -ზე განისაზღვრა. დამაგნიტების გაზომვა ჩატარდა თხევადი აზოტის ტემპერატურიდან, ხოლო 0 K - 80 K შუალედში აგებულ იქნა სავარაუდო მრუდი σ_0/т/. რაც შეეხება ექსპერიმენტულ დამოკიდებულებას



ნახ. 1. კუთრი დამაგნიტების დამოკიდებულება მაგნიტურ ველზე 94% $ThCo_5 - 6\% ThNi_5$ მყარი ნაერთებისთვის



ნახ. 2. კუთრი სპონტანური დამაგნიტების დამოკიდებულება ტემპერატურაზე, 94% $ThCo_5 - 6\% ThNi_5$ მყარ ნაერთში

σ_0/т/, განისაზღვრა 80 K-ზე მაღალ ტემპერატურაზე.

1-ლ და მე-2 ნახაზებზე მოცემულია დამაგნიტების იზოთერმების დახასიათება და დამოკიდებულების გრაფიკები სპონტანური დამაგნიტების ტემპერატურიდან ნაერთებისთვის 94% Th Co_5 – 6 % Th Ni_5.

როგორც მოყვანილი ნახაზებიდან ჩანს, σ_{00} -ის მნიშვნელობები OK-ზე და ფერომაგნიტური კიურის θ_F ტემპერატურაზე იკლებს, რადგან კობალტის ატომები იცვლება ნიკელის ატომებით. σ_{00}-ის მნიშვნელობები OK-ზე დამოკიდებული შემადგენლობაზე მოცემულია 1-ლ ცხრილში.

ცხრილი 1

ფერომაგნიტური კიურის θ_F ტემპერატურის მნიშვნელობა და კონკრეტული სპონტანური დამაგნიტების სიდიდის σ_{00}-ის -ის O K-ზე Th Co_5 – Th Ni_5 -ის სისტემის ნიმუშებისთვის

Th Co_5-ს შემადგენლობა მოლურ %	θ_F K	σ_{00} $\frac{ვბ/სმ^3}{ა}$
100%	481±10	31,0 ± 2,0
96%	453±10	22,5 ± 1,
94%	408±10	19,0 ± 1,5
92%	340±10	17,0 ± 1,5
82,5%	290±10	3,5 ± 2,0
77,5%	200±15	10,0 ± 1,5
75%	140±15	7,5 ± 1,5

ქანქარიან სასწორზე ყველა ნიმუში იყო გაზომილი პარამაგნიტურ მდგომარეობაში. გაზომვები განხორციელდა ოთახის ტემპერატურაზე ზემოთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ პონდერომოტორული მეთოდით მაგნიტურ სასწორზე. ეს გაზომვები გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, ვინაიდან ყველა შესწავლილი ნიმუში იჟანგება გათბობის დროს.

ინსტალაციაში შექმნილი 10^{-3} ტორი ვაკუუმი, არასაკმარისი აღმოჩნდა დაჟანგვის თავიდან ასაცილებლად.

როდესაც ნიმუში იჟანგება, მის ზედაპირზე ჩნდება ფერომაგნიტური აპსკი, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნიმუშების ამთვისებლობაში, ჩვენ გამოვიყენეთ მოლიბდენის მინისგან დამზადებული თხელკედლიანი ამპულები, რომელშიც მოთავსებული იყო ნიმუშები, წინასწარ განსაზღვრული ასებით.

ეს ამპულები იტუმბებოდნენ 10^{-5} -10^{-6} მმ ტორი ვაკუუმამდე და შემდეგ დაილუქნენ. ამრიგად, ნიმუშები მოთავსდნენ მაგნიტური სასწორის პინაზე, დალუქულები ამპულებში დაახლოებით ამ მოცულობებით 10 მმ^3/2მმ x 2მმ x 2,5 მმ.

ნიმუშების შემადგენლობა (65% Th Co_5 – 35% Th Ni_5) და (60% $ThCo_5$ – 40% $ThNi_5$) არ გამოხატავს ფერომაგნიტურ თვისებებს ტემპერატურულ დიაპაზონში; ამასთან ისინი ვერ გამოხატავენ ამთვისებლობის ტემპერატურულ დამოკიდებულებას.

Ni ატომის შემდგომი ჩანაცვლება Co ატომებისთვის იწვევს შესწავლილი ნაერთების მაგნიტური თვისებების მკვეთრ შეცვლას: ქრება ამთვისებლობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე და გამოკვლეული ყველა შემდგომი ნიმუში 80 K-850 K ტემპერატურულ ინტერვალში, აღმოჩნდნენ ტემპერატურისგან დამოუკიდებელი პარამაგნეტიკები ამთვისებლობის შემდეგი მნიშვნელობებით:

50 % Th Co_5 – 4 % Th Ni_5 -14,2±1,0 სმ^3/გ
40 % Th Co_5 – 4 % Th Ni_5 -12,5±1,0 სმ^3/გ
30 % Th Co_5 – 4 % Th Ni_5 -9,5±1,0 სმ^3/გ
25 % Th Co_5 – 4 % Th Ni_5 -8,1±1,0 სმ^3/გ
20 % Th Co_5 – 4 % Th Ni_5 -7,3±1,0 სმ^3/გ
15 % Th Co_5 – 4 % Th Ni_5 -5,6±1,0 სმ^3/გ
10 % Th Co_5 – 4 % Th Ni_5 -5,5±1,0 სმ^3/გ
3 % Th Co_5 – 4 % Th Ni_5 -4,0±1,0 სმ^3/გ
2 % Th Co_5 – 4 % Th Ni_5 -3,5±1,0 სმ^3/გ
100 % Th Ni_5 -1,0±1,0 სმ^3/გ

$ThCo_5$ ტემპერატურისგან დამოუკიდებელი ამთვისებლობის სპეციფიკური კონცენტრაციული დამოკიდებულება ნაჩვენებია მე-3 ნახაზზე. როგორც გრაფიკიდან ჩანს, ამთვისებლობა ერთფეროვნად იკლებს კობალტის ნიკელით ეტაპობრივი ჩანაცვლებით.

ინტერესს წარმოადგენდა შემდეგი ფაქტი: შესასწავლი სისტემის ნიმუშების ამთვისებლობის ტემპერატურაზე დამოკიდებულება, რომელსაც მიუთითებს ფერომაგნეტიზმის არსებობა მაღალ

ტემპერატურაზე; ან შეიძლება თუ არა ტემპერატურაზე დამოკიდებულება დაფიქსირდეს იმ ნიმუშებისთვის, რომელთაც არ აქვთ ფერომაგნიტური თვისებები, მაგრამ მხოლოდ შუალედური პოზიცია აქვთ ფერომაგნეტიკებსა და ტემპერატურისგან დამოუკიდებელი პარამაგნეტიკებს შორის.

ამ საკითხის გადასაჭრელად, დაწყებული ჰელიუმის ტემპერატურიდან განისაზღვრა მაგნიტური ამთვისებლობა (60% $ThCo_5$ – 40% $ThNi_5$) ნაერთების, რომლებიც არიან საზღვარზე ტემპერატურაზე დამოკიდებულ და ტემპერატურაზე დამოუკიდებელ ნაერთთა $ThCo_5$ – $ThNi_5$ სისტემებს შორის (მრუდი 9, მე-4 ნახაზზე). ფერომაგნეტიზმი (60% $ThCo_5$ – 40% $ThNi_5$) ნაერთებში არ გამოვლენილა.

ყურადღებას იქცევს თავის მხრივ ის ფაქტი, რომ მე-4 ნახაზზე $1/\chi$ T დამოკიდებულება არ აკმაყოფილებს კიური-ვეისის კანონს (ერთადერთი გამონაკლისია მრუდი 9, რომელიც ხაზოვანია დიდ ტემპერატურულ ინტერვალში).

თუ ავაგებთ დამოკიდებულებას $1/\chi$ (T^2), მაშინ ნაერთების უმეტესობას აღმოაჩნდება ხაზოვანი დამოკიდებულება. ცვლილებები შეინიშნება მხოლოდ კიურის ტემპერატურის არეში (ნახ. 5). ამჟამად ამთვისებლობის ასეთი ტემპერატურული დამოკიდებულების ზუსტი ახსნა არ არსებობს.

Th Co_5 – Th Ni_5 სისტემის მყარი ხსნარების თვისებები შესწავლილი იქნა ჩვენს მიერ „ხისტი“ ზონების მოდელში. ნახაზი 6 გვიჩვენებს კიურის θ_F ფერომაგნიტური ტემპერატურის მნიშვნელობის ცვლილებას და სპონტანურ დამაგმიტებას σ_0 0 K-ზე ნიმუშების შემადგენლობის შეცვლით. მე-6 ნახაზიდან ჩანს, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი ნაერთების θ_F და σ_0 მნიშვნელობები დიდად იცვლება ნიმუშიდან ნიმუშამდე, მცირდება ნიკელის კონცენტრაციის მატებით.

ჩვენ ვივარაუდეთ, რომ Th Ni_5 ნაერთის 3d ზონა შევსებულია ბოლომდე, ხოლო Th Co_5 ნაერთის 3d ზონაში რჩება თავისუფალი ადგილი.

ვვარაუდობთ, რომ კობალტის ატომების



ნახ. 3. ტემპერატურაზე დამოუკიდებელი კუთრი ამთვისებლობის დამოკიდებულება $ThCo_5 - ThNi_5$ მყარი ხსნარების შემადგენლობაზე



ნახ. 4. კუთრი ამთვისებლობის ტემპერატურაზე დამოკიდებულება $ThCo_5 - ThNi_5$ მყარი ხსნარების სისტემისთვის



ნახ. 5. კუთრი ამთვისებლობის კვადრატულ ტემპერატურაზე (T^2) დამოკიდებულება $ThCo_5 - ThNi_5$ მყარი ხსნარების სისტემისთვის

ჩანაცვლება ნიკელის ატომებით თანდათანობით მიმდინარეობს 3d ზონის შენადნობში და ამით აიხსნება კიურის ტემპერატურის შემცირება და σ_0 მნიშვნელობა $ThCo_5$ – $ThNi_5$ სისტემის მყარ ხსნარებში.

როგორც მე-6 ნახაზიდან ჩანს, ფერომაგნიტური თვისებები დაეცემა 70% Th Co_5 –30% Th Ni_5 კონცენტრაციის დიაპაზონში.

ნიკელის კონცენტრაციის შემდგომი გაზრდით გარდამავალ არეში ყველა ნაერთი აღმოჩნდება ტემპერატურაზე დამოუკიდებელ პარამაგნეტიკებად. ეს გადასვლა ხდება 50%$ThCo_5$ – 50%$ThNi_5$ კონცენტრაციის არეში. როგორც ჩანს, ამ ნაერთებში 3d ზონა სრულად ივსება.

მე-7 ნახაზზე წარმოდგენილია $ThCo_5$ – $ThNi_5$ სისტემის ნაერთების კუთრი დამაგნიტების ტემპერატურული დამოკიდებულებები.

შეიძლება შეფასდეს ელექტრონების რაოდენობა, რომელიც საჭიროა $ThCo_5$ ნაერთის 3d ზონის სრულად შესავსებად. რადგან მეტალურ ნიკელს კობალტთან მიმართებაში 1,1 ელექტრონით მეტი აქვს, ნიკელის ატომებით კობალტის ჩანაცვლებით გაიზრდება ელექტრონების რაოდენობა, რომლებიც მოდის 3d ატომზე 0,55 კონცენტრაციის შედგენილობის შენადნობში. ეს ნიშნავს, რომ $ThCo_5$ ნაერთის 3d ზონის შესავსებად საჭიროა 2,75 ელექტრონი თითო მოლეკულაზე (რადგან მოლეკულაში 3d-ლითონის 5 ატომია).

დასკვნა

მიღებული მნიშვნელობა თანხვედრაშია ეფექტური მაგნიტური მომენტის ექსპერიმენტულად დაფიქსირებულ მნიშვნელობასთან $ThCo_5$ მოლეკულაზე. $ThCo_5$-ის $\mu_{ეფ}$ მნიშვნელობა, მიღებული ფერომაგნიტური არედან, ტოლია დაახლოებით 2,9 μ_B.

ამრიგად, მყარი ხსნარების მაგნიტური თვისებების ცვლილების ხასიათი $ThCo_5$ – $ThNi_5$ სისტემაში, ადასტურებს „ხისტი“ ზონების მოდელის გამოყენების შესაძლებლობას, რომ აიხსნას 3d ლითონებთან აქტინოიდების ნაერთების მაგნიტური თვისებები.



ნახ. 6. კიურის θ_F ფერომაგნიტური ტემპერატურის დამოკიდებულება კუთრი სპონტანური დამაგნიტების სიდიდეზე Th Co_5 –Th Ni_5 მყარი ხსნარების სისტემისთვის



ნახ. 7. კუთრი დამაგნიტების დამოკიდებულება ტემპერატურაზე $ThCo_5 - ThNi_5$ **ნაერთებში**

მრუდი 1. 100% $ThCo_5$; 2. 96% $ThNi_5$; 3. $94\%ThCo_5 - 6\%\ ThNi_5$;
4. $92\%ThCo_5 - 8\%ThNi_5$; 5. $82{,}5\%ThCo_5 - 17{,}5\%ThNi_5$;
6. $77{,}5\%ThCo_5 - 22{,}5\%ThNi_5$; 7. $75\%ThCo_5 - 25\%ThNi_5$

გამოყენებული ლიტერატურა

1. SHALTIEL D., WERNIOIC. J. and WILLIAMS J. Phys.Rev. I m. 1346 (1964).
2. BLOW S. J. Phys. C3, 158 (1972).
3. THOMSON I.R. J. Less.Common Metals, 10, 432 (1966).
4. ЧАЧХИАНИ З.Б., ЧЕЧЕРНИКОВ В.И., ЧАЧХИАНИ Л.Г., „Магнетизм сплавов и соединений Тория“, Мецниереба, 1986.
5. ჩაჩხიანი ზ., კაპანაძე გ. აქტინოიდების მაგნიტური თვისებების თავისებურებათა ანალიზი. „მართვის ავტომატიზირებული სისტემები“, N1(32), 2021, გვ. 368-272.

Th Co5 - Magnetic properties of solid solution of Th Ni5 system

Lalita Darchiashvili, Assistant Professor
Georgian Technical University

Givi Kapanadze, Academic Doctor of Physics
Georgian Technical University

Zurab Chachkhiani, Professor
Georgian Technical University

Summary

The study of binary compounds with actinides with 3d metals revealed their different magnetic properties at temperature independent of paramagnetics to ferromagnetics. Of particular interest is the fact that thorium intermetallic compounds are isomorphic to cobalt and nickel metals in their crystalline structure, have a uniform stoichiometric composition, and are very close in crystalline copper parameters. ThNi_5 is a temperature-independent paramagnetic, while ThCo5 is ferromagnetic.

The magnetic properties of these compounds can be explained by assuming that the valence electrons of the actinides fill the 3d-zone of the alloy, with thorium being able to emit all of its external electrons and the valence of uranium being 4. If the 3d-zone alloy is completely filled, then the compound should not exhibit strong magnetic properties (ThNi_5). If free spaces remain in the 3d-zone, we can expect the appearance of magnetic alignment (Th Co5).

The magnetic properties of the ThCo5 - ThNi_5 solid solution system change monotonically with the gradual replacement of the cobalt atoms by nickel atoms, while the high-content samples of ThCo5 are ferromagnetic, while the high-content samples of ThNi_5 are temperature-independent.

In the paramagnetic region, ferromagnetic compounds have a strong temperature dependence that does not obey Curie-Weiss law. There is a transition region with temperature-dependent solubility of solid solution, but these are not ferromagnets up to the temperature of helium.

By observing the magnetic properties of the ThCo5 - ThNi_5 system, it can be explained by the gradual filling of the 3d-zone alloy. Complete filling of the zone is expected in the area of 50% ThNi_5 concentration. This corresponds to an increase in the number of electrons in the ThCo5 compound to 2.75.

Keywords: Actinoid, Paramagnetic, Ferromagnetic, Assimilation, Magnetization, Binary compounds.

ტყეკაფების ათვისების და ციცაბო ფერდოებები ტყითგანახლების სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის №14 ტექნოლოგიური სქემის დამუშავება

ირაკლი გრძელიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ტყეკაფების ათვისების და ციცაბო ფერდობების ტყითგანახლების სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის N14 ტექნოლოგიური სქემა და წარმოჩენილია მისი უპირატესობები აღნიშნულ პროცესში.

უშუალოდ კომპლექსური მექანიზაციის N14 ტექნოლოგიური სქემა წარმოადგენს მთის 37^0-და მეტი დაქანების ფერდობებზე ტყესაკაფი სამუშაოების მთლიან პროცეს რადგანაც მთის 37^0-და მეტი დაქანების ფერდობებზე ტყეკაფების ათვისება ანუ ხე-ტყის დამზადება რთულია და მოიცავს განსაკუთრებულ, შრომატევად ოპერაციებს. ასეთი ტყკაფების ათვისება ძირითად შემთხვევებში უკავშირდება ორ ძირითად პრობლემას: აქედან პირველი არის ტყეკაფებზე დარჩენილი აუთვისებელი, გადამწიფებეული წაქცეული ხეები, რომლებიც ერთის მხრივ იწვევენ მისასვლელი გზების ჩახერგვას და მეორეს მხრივ ხელს უწყობენ ტყის მავნებლების გავრცელებას, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. მეორე პრობლემა თავის მხრივ უკავშირდება მერქნის ძვირფასი სახეობების დიდი მოცულობის დანაკარგს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, აგრეთვე მთის 37^0-და მეტი დაქანების ციცაბო ფერდობებიდან ხე-ტყის გამოტანა რომლის განხორცელებაც შესაძლებელია კომპლექსური მექანიზაციის N14 ტექნოლოგიური სქემის გამოყენებით. რელიეფური პირობების გამო აგრეთვე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მთის 37^0-და მეტი დაქანების ფერდობების ტყით განახლება, რომლის განხორციელების საშუალებას ასევე იძლევა კომპლექსური მექანიზაციის N14 ტექნოლოგიური სქემის გამოყენება, რადგანაც აღიშნული სქემა წარმოადგენს მოსახერხერებელ ინსტრუმენტს როგორც ტყესაკაფი სამუშაოს ათვისებისათვის, ასევე მთის 37^0-და მეტი დაქანების ციცაბო ფერდობების ტყით განახლებისათვის.

N14 ტექნოლოგიურ სქემაში გათვალისწინებული სამუშო პროცესები გადაწყვეტილია ტრაქტორ TT-4-ის ბაზაზე შექმნილი ორი მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატით, რომელიც წარმოდგენილია მობილური მოკლედისტანციური საჰაერო საბაგირო დანადგარის სახით, რითაც სრულდება ციცაბო ფერდობების ტყის განახლების სამუშაოები და პლატოზე განლაგებული ტყეკაფებიდან ზედა ბაქანზე მოთრეული და ფერდობზე განლაგებული ტყესაკაფიდან ხე-ტყის ჩამოშვება ზედა საწყობზე ტყეკაფების ათვისებისა და ციცაბო ფერდობების სამუშაო ტექნოლოგიური პროცესები წარმოებს მოკლედისტანციური მობილური საჰაერო საბაგირო მორსათრევი დანადგარით. აღნიშნული დანადგარით შესაძლებელია, გარკვეული თანმიმდებრობით განხორციელდეს სატყეო სამუშოების სამი სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესი; 1) ციცაბო ფერდობების ტყითგანახლება; 2) პლატოზე განლაგებული ტყეკაფიდან ზედა ბაქანზე აგრეგატებით მოთრეული ხე-ტყის, მორის ან შეკრულას სახით ზედა საწყობზე ჩამოშვება; 3) ფერდობზე განლაგებული ტყეკაფიდან 12–15 მ-ის მანძილიდან საჰაერო საბაგირო დანადგარების საწევი ბაგირით მოთრეული ხე- ტყის ჩამოშვება ტყის ზედა საწყობზე.

საკვანძო სიტყვები: ტყესაკაფი,კომპლექსური მექანიზაციის N14 ტექნოლოგიურ სქემა, მთა -(მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი), ჩაკეტილკონტურიანი საწევ-მზიდ ბაგირი.

შესავალი

მთის 37^0-და მეტი დაქანების ფერდობებ-ზე ტყეკაფების ათვისება ანუ ხე-ტყის დამზადება რთულია და მოიცავს განსაკუთრებულ, შრომატევად ოპერაციებს. ასეთი ტყკაფების ათვისება უკავშირდება ორ ძირითდ ოპერაციას: პირველი-ტყეკაფებზე დარჩენილი აუთვისებელი, გადამწიფებეული წაქცეული ხეები ერთის მხრივ იწვევენ მისასვლელი გზების ჩახერგვას და მეორეს მხრივ ტყის მავნებლების გავრცელებას, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. მეორე პრობლემა თავის მხრივ უკავშირდება, მერქნის ძვირფასი სახეობების დიდი მოცულობის დანაკარგს.არანაკლებ მნიშვნელოვანია, აგრეთვე მთის 37^0-და მეტი დაქანების ციცაბო ფერდობებიდან ხე-ტყის გატანა.რელიეფური პირობების გამო აგრეთვე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მთის 37^0-და მეტი დაქანების ფერდობების ტყით განახლება.

ძირითადი ნაწილი

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტისათვის აუცილებელია დამუშავდეს ტყეკაფების ათვისების და ციცაბო ფერდობების ტყითგანახლების სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის N 14 ტექნოლოგიური სქემა (ნახაზი 1)

ტექნოლოგიური სქემა N14 (ნახ. 1) 37^{0}და მეტი დახრილობის ტყეკაფს-I; პლატოზე მოწყობილი ზედა ბაქანს-II; ფერდობის ძირში მოწყობილ ქვედა ბაქანს-III; მასზე გაჩერებულ მთა-სIV; ძარის მიწაზე დაშვებულ მდგომარეობაში; ზედა ბაქანზე გაჩერებულ მთა-ს V; ასევე ძარის მიწაზე დაშვებულ მდგომარეობაში; მის ბლოკზე VI და ქვედა ბაქანზე გაჩერებულ მთა-ის ბლოკზეVII; შემოვლებულ ჩაკეტილკონტურიან საწევ-მზიდ ბაგირს VIII; ჩამჭერით IX;და აგრეგატების კაკვიან საწევ ბაგირს X და XI; რომლებზეც ჯამბარის საშუალებით ჩამოკიდებულია მორი, შეკრულა ან ტყის განახლებისათვის საჭირო ინვენტარის და მასალების ჩასატვირთი კალათა XII.

N14 ტექნოლოგიურ სქემაში გათვალისწინებული სამუშო პროცესები გადაწყვეტილია ტრაქტორ TT-4-ის ბაზაზე შექმნილი ორი **მთა**-ით, რომელიც წარმოდგენილია მობილური მოკლედისტანციური საჰაერო საბაგირო დანადგარის სახით, რითაც სრულდება ციცაბო ფერდობების ტყის განახლების სამუშაოები და პლატოზე განლაგებული ტყეკაფებიდან ზედა ბაქანზე მოთრეული და ფერდობზე



ნახ . 1 ტყეკაფების ათვისებისა და ციცაბო ფერდობების ტყით განახლების სამუშო პროცესების კომლექსური მექანიზაციის N 14 ტექნოლოგიური სქემა

განლაგებული ტყესაკაფიდან ხე-ტყის ჩამოშვება ზედა საწყობზე.ტყეკაფების ათვისებისა და ციცაბო ფერდობების სამუშაო ტექნოლოგიური პროცესები წარმოებს მოკლედისტანციური მობილური საჰაერო საბაგირო მორსათრევი დანადგარი.

დანადგარი შეიცავს მოდერნიზებულ ორ თვითმტვირტავ აგრეგატს და ჩაკეტილკონტურიან საწევ-მზიდ ბაგირს, ჩამჭერს, ჩამჭერის ბლოკებს და მათში გატარებულ აგრეგატების საწევ ბაგირებს, ამასთან ზედა და ქვედა ბაქანზე უძრავად გაჩერებული აგრეგატები მათ ბლოკებზე შემოვლებულ ჩაკეტილკონტურიან საწევ მზიდ ბაგირთან და აგრეგატების საწევ ბაგირთან ერთად ქმნიან მოკლედისტანციურ მობილურ საჰაერო საბაგირო მორსათრევ დანადგარს.

აღნიშნული დანადგარით შესაძლებელია, გარკვეული თანმიმდებრობით განხორციელდეს სატყეო სამუშოების წყაროების სამი სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესი; 1) ციცაბო ფერდობების ტყითგანახლება; 2) პლატოზე განლაგებული ტყეკაფიდან ზედა ბაქანზე აგრეგატებით მოთრე-ული ხე-ტყის, მორის ან შეკრულას სახით ზედა საწყობზე ჩამოშვება; 3) ფერდობზე განლაგებული ტყეკაფიდან 12–15 მ- ის მანძილიდან საჰაერო საბაგირო დანადგარების საწევი ბაგირით მოთრეული ხეტყის ჩამოშვება ტყის ზედა საწყობზე. განვიხილოთ თითოეული სატყეო სამუშოების ტექნოლოგიური პროცესი ცალ-ცალკე.

ტექნოლოგიური N 14 სქემის მიხედვით ციცაბო ფერდობების ტყით განახლების სამუშაოების ხორციელდება მოკლედისანციური მობილური საჰაერო საბაგირო დანადგარებით,რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად და დამხმარე ოპერაციებს; მოკლედისტანციური მობილური საჰაერო საბაგირო დანადგარის მუშა მდგომა-რეობაში მოყვანის შემდეგ პირველ ოპერაციას წარმოადგენს ჩაკეტილკონტურიანი საწევ-მზიდი ბაგირის ჩამჭერზე დაკიდებული კალათის გადაადგილება ფერდის ძირში, ქვედა ბაქანზე გაჩერებულ აგრეგატთან; დამხმარე თოკების საშუალებით ხდება კალათის მიწაზე დაშვება; კალათში ათავსებენ სამუშაო ინვენტარს, დასარგავ ნერგებს, გაფხვიერებულ მიწას და ნერგების მოსარწყავ წყალს; ამის შემდეგ ჩართავენ აგრეგატის ჯალამბრებს და საწევი ბაგირების საშუალებით აწევენ კალათას ზემოთ, ჩამჭერში დაფიქსირებამდე, შემდეგ აგრეგატის ჯალამბრის დოლი გადადის თავისუფალ სვლაზე, ხოლო აგრეგატის დოლი - მუშა რეჟიმზე და კალათა იწყებს მოძრაობას ტყეკაფზე საჭირო ადგილამდე. ტყის გრუნტზე კალათის თოკებით ჩამოშვების შემდეგ ხდება ინვენტარისა და სარგავი მასალის გადმოტვირთვა;-აღნიშნულ ადგილებზე ხდება ორმოების მომზადება და ნერგების დარგვა;საწევი ბაგირებით კალათის ზევით აწევის შემდეგ ხდება მისი ჩამოშვება ქვედა ბაქანზე გაჩერებული აგრეგატიდან,რის შემდეგაც ტყით განახლების ტექნოლოგიური პროცესი მეორდება.

2) მეორე ტექნოლოგიური პროცესის დროს; მოკლედისტანციური მობილური საჰაერო საბაგირო დანადგარით პლატოზე განლაგებული ზედა ბაქანზე აგრეგატით მორთრეული ხეტყის ზედა საწყობზე ჩამოშვება .

აღნიშნულის განსახორციელებლად, პირველ რიგში ჩაკეტილკონტურიან საწევ- მზიდ ბაგირს ჩამჭერით,კაკვიანი საწევი ბაგირით,გადადგილდება ზედა ბაგირზე გაჩერებული აგრეგატისკენ. დამხმარე თოკებით ხდება კაკვიანი საწევი ბაგირის ჩამოშვება ტყის გრუნტზე და ჯამბარის საშუალებით მორის ან შეკრულას დაკიდება ; ამის შემდეგ მორი ან შეკრულა აიწევა მაღლა და კაკვებით დაფიქსირდება ბლოკების ჩამჭერებში, რის შემდეგაც ხდება მორის ან შეკრულას ზედა საწყობზე ჩამოშვება, რისთვისაც დამხმარე თოკების საშუალებით ხდება კაკვების ბლოკების ჩამჭერებისგან გათავისუფლება,ამის შემდეგ მორი ან შეკრულა თავის წონა ძალით ეშვება მიწაზე,სადაც კაკვიანი საწევი ბაგირები თავისუფლდებიან ჯამბარისაგან და პროცესი მეორდება.

3) მესამე ტექნოლოგიური პროცესის განხორციელების დროს პირველ რიგში, საწევი ბაგირებით ჩამჭერი გადაადგილდება საბაგირო დანადგარის ტრასაზე, ტყესაკაფზე მომზადებული მორის ან შეკრულას ადგილამდე,სადაც დამ-ხმარე თოკებით ხდება საწევი ბაგირების ჩა-მოშვება ტყის გრუნტზე უკვე გამზადებულ შეკრულასთან. აქ, საწევი ბაგირები კაკვებით ჩაებმებიან შეკრულას ჯამბარის საშუალებით.ამის შემდეგ, შეკრულა საწევი ბაგირით აიწევა მაღლა ჩამჭერამდე და კაკვებით დაფიქსირდება ჩამჭერის ფიქსატორებში, ფიქსატორებში დაფიქსირებული საწევი ბაგირები შეკრულასთან ერთად ჩამოეშვებიან ქვედა ბაქანზე გაჩარებულ აგრეგატთან. აქ, დამხმარე თოკებით ხდება საწევი ბაგირების კაკვების ფიქსატორებისაგან განთავისუფლება და შეკრულა თავისი წონა ძალით ჩამოეშვება ტყის გრუნტზე. ამის შემდეგ, საწევი ბაგირების კაკვები თავისუფლდებიან შეკრულას ჯამბარისაგან და აიწევიან ზევით ჩაჭერის ფიქსატორებში დაფიქსირებამდე.საწევ-მზიდი ბაგირი ჩამჭერით და საწევი ბაგირებით გადაადგილდებიან ტრასაზე ფერდობის გრძივი მიმართულებით შემდეგ ლოკაციაზე მომზადებულ შეკრულასთან და პროცესი მეორდება.

დასკვნა

დამუშავებული ტექნოლოგიური სქემის მიხედვით მობილური მოკლედისტანციური მობილური საჰაერო საბაგირო მორსათრევი დანადგარის დახმარებით შესაძლებელია შესრულდეს ჩვენს მიერ აღნიშნული სამივე ტექნოლოგიური პროცესი, ოპერაციების გარკვეული რაოდენობით და თანმიმდევრობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. ტყემალაძე, ი. გრძელიშვილი, მ. ცუცქირიძე, ნ. გელაშვილი, ზ. ჩიტიძე, ზ. ბალამწარაშვილი. მოკლედისტანციური მობილური საჰაერო საბაგირო მორსათრევი დანადგარი. საქპატენტი, განაცხადი № 15565/1. თბილისი 2021. 9გვ.
2. ზ. ბალამწარაშვილი, ი. გელაშვილი, პ. დუნდუა, ზ. ჩიტიძე, ვ. აბაიშვილი. ხე-ტყის დასამზადებელი მანქანები და მოწყობილობები. (II ნაწილი) დამხმარე სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 2013, 200 გვ.
3. ზ. ბალამწარაშვილი, გ. კოკაია, პ. დუნდუა, თ. მჭედლიშვილი, ზ. ჩიტიძე. ტყეკაფითი სამუშოების მანქანები და ტექნოლოგია მთიან პირობებში. სმმესკ ინსტიტუტი. თბ., 2008, გვ. 252.

Logging Utilization and Reforestation Works on Steep Slopes Complex Mechanization and N14 Technological Scheme Elaboration

Irakli Grdzelishvili PhD student
Georgian Technical University

Summary

The article is concerning the topics of logging and reforestation works on the steep slopes using complex mechanization N14 technological scheme, pointing out its advantages in the above-mentioned process.

The technological scheme N14 of complex mechanization is the whole process of forest clearing works on the slopes of 37^0 and more mountains, because it is difficult to master the timber or timber on the slopes of 37^0 and more mountains and it involves special, time-consuming operations. The utilization of such woodpeckers is mainly related to two main problems: the first is the unused, overgrown fallen trees left on the woodpeckers, which on the one hand cause access to the roads and on the other hand contribute to the spread of forest pests, which significantly harms the ecological security. The second problem in turn is related to the loss of large volumes of valuable species of timber. No less important is the extraction of timber from the steep slopes of 37^0 and more mountain slopes, which can be propagated using the N14 technological scheme of complex mechanization. Due to the relief conditions, it is also a significant problem to upgrade the mountain slopes of 37 0 and more with forest, the implementation of which also allows the use of complex mechanization scheme N14, as this scheme is a convenient tool for forest work, as well as steep mountain slopes of 37^0 and more. For forest slope renewal. The working processes provided in the technological scheme N14 are solved with two mowing self-propelled units based on the tractor TT-4, Which is presented as a mobile short-distance aerial rope installation, thus completing the reforestation work on steep slopes, and the removal of timber from the forest-covered slopes to the upper platform and the down-sloping forest-slope to the upper warehouse is a steep process. With this device it is possible to carry out three different technological processes of forestry work in a certain sequence; 1) reforestation of steep slopes; 2) Drop from the forest floor located on the plateau to the upper warehouse in the form of timber, logs or shrubs cut with aggregates on the upper platform; 3) At a distance of 12-15 m from the forest floor located on the slope, lower the timber of the aerial rope-lifting equipment to the upper forest warehouse.

სოციალური მეცნიერებები

SOCIAL SCIENCES

ოჯახის ტრანსფორმაცია მეორე დემოგრაფიული გადასვლის პირობებში

ლელა მენაბდიშვილი, ეკონომიკის დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

რეზიუმე

მეორე დემოგრაფიული გადასვლა, რომელზეც საუბარი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება,ხასიათდებაახალქცევათამიმართტოლერანტული დამოკიდებულებით. თანამედროვე ოჯახში გამოვლინდა: წყვილთა თანაცხოვრების ზრდა და, შესაბამისად, ქორწინებისგარეშე დაბადებულთა რიცხვის ზრდა; ოჯახის ალტერნატიული ფორმების ფართოდ გავრცელება; განქორწინების რიცხვის ზრდა, პირველი ქორწინების საშუალო ასაკის მატება და სხვ.

თანაცხოვრება - ერთად მცხოვრები წყვილები, რომლებიც არ არიან დაქორწინებულები - სულ უფრო ხშირი ხდება. XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მონაცემების მიხედვით ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად: ავსტრიასა და აშშ-ში 30%-ზე მეტი წყვილი ქორწინებამდე თანაცხოვრობდა, ხოლო ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: ბულგარეთი, გერმანია, უნგრეთი, ლიტვია, რუმინეთი, რუსეთი, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი ქორწინებათა ნახევარზე მეტს წინ არ უძღოდა თანაცხოვრება.

ევროკავშირის ქვეყნებში ქორწინებისგარეშე შობადობის მაჩვენებელი მზრდია,

2018 წელს შემდეგ ქვეყნებში: საფრანგეთი (60%), ბულგარეთ (59%), სლოვენია (58%,) პორტუგალია (56%), შვედეთი (55%), დანია(54%), ესტონეთი (54%,) და ნიდელანდები (52%) ქორწინების გარეშე დაბადებულებმა გადააჭარბეს ქორწინებაში დაბადებულებს. ჩვენს ქვეყანაში ასეთი საგანგაშო მდგომარეობა არ არის, რადგან მაღლია სარწმუნოების გავლენა. საქართველოში ქორწინებისგარეშე დაბადებულთა მაჩვენებელი თითქმის 1,5-ჯერ ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე დაბალ მაჩვენებელს (საბერძნეთი- 11,1%0 და თითქმის 5,3-ჯერ აშშ-ს (39,6%).

უმეტეს ქვეყნებში ადამიანები მოგვიანებით ქორწინდებიან. ქორწინება ყველაზე ადრეულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. საქართველოში რეგისტრირებული ქორწინების საშუალო ასაკმა ბოლო ათი წლის განმავლობაში სტაბილური ზრდა აჩვენა. ქალთა პირველი ქორწინების ასაკი 28,1 წელი გახდა, ხოლო მამაკაცების 30,7 წელი.

გაიზარდა განქორწინების მაჩვენებელი. საქართველოს 2019 წლის განქორწინების მაჩვენებელი მხოლოდ 0,1ით ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების ყველაზე მაღალ მაჩვენებელს(3,1). ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა კი 10,6 წელია, რაც დიდი ბრიტანეთის, იტალიის და საფრანგეთის ქორწინების საშუალო ხანგრძლივობაზე ნაკლებია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნების არც თუ მცირე ნაწილში XXI საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო ერთსქესიათა ქორწინების დაკანონება. ნიდერლანდები იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ლეგალურად აღიარა ქორწინება ერთსქესიანი წყვილებისათვის. დღეისათვის მსოფლიოში 30 ქვეყანაა, სადაც ერთსქესიანები ქორწინების უფლებით სარგებლობენ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ერთსქესიანთა ქორწინებას. ამასთან, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ეწინააღმდეგება ამგვარ ქცევას.

საკვანძო სიტყვები: თანაცხოვრება, ქორწინებისგარეშე შობადობა, ქორწინების საშუალო ასაკი, განქორწინება.

შესავალი

მეორე დემოგრაფიული გადასვლა, რომელზეც საუბარი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება, ხასიათდება ახალ ქცევათა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულებით. რომელსაც განაპირობებს სოციალურ და დემოგრაფიულ ღირებულებებში მიმდინარე ღრმა ცვლილებები. ეს კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახზე. თანდათან მკვიდრდება საზოგადოებისთვის აქამდე მიუღებელი ქცევები. საზოგადოება იზიარებდა და ემორჩილებოდა მოსაზრებას: „სექსუა-ლური ცხოვრება იყო და დარჩება სწორედ ცოლქმრობის შემადგენელი ნაწილი და არა ამა თუ იმ პიროვნების კერძო საქმე“ [თოთაძე ა. 1999. 310.] თანამედროვე გაგება ამ საკითხისადმი შეიცვალა, „სექსუალური ცხოვრება პიროვნების კერძო საქმედ იქცა“, თუ ადრე ქორწინება გაიგივებული იყო სექსუალური ურთიერთობების დაწყებასთან, თანამედროვეობებში საკითხის ასე დაყენება არამართებულად მიიჩნევა, ამან კი გაზარდა თანამცხოვრებლთა რიცხვი და შესაბამისად ქორწინებისგარეშე შობადობა.

თანამედროვე ოჯახში გამოვლინდა: წყვილთა იურიდიულად გაუფორმებელი ერთობლივი ცხოვრება - თანაცხოვრება (არარეგისტრირებული ქორწინება), რომელსაც არ აღიარებს არც სახელმწიფო და არც ეკლესია, თუმცა აღიარებულია საზოგადოების მიერ; ქორწინებისგარეშე ცოცხლადშობილების რიცხვის ზრდა; ოჯახის ალტერნატიული ფორმების ფართოდ გავრცელება; განქორწინების რიცხვის ზრდა; პირველი ქორწინების საშუალო ასაკის მატება და სხვ. ამ საკითხებმა ოჯახის შემსწავლელი მეცნიერების და ოჯახის პრობლემებით დაინტერესებული საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. დადგა საკითხი ოჯახის როლის, მნიშვნელობის და ფუნქციების შესუსტების ან გაქრობის, შესახებ.

ძირითადი ნაწილი

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ათასობით წყვილი იწყებს ერთად ცხოვრებას დაქორწინების გარეშე ანუ თანაცხოვრებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს ქორწინებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და სოციალური ვალდებულებების გარეშე ცხოვრებას. ეს არის ინსტიტუციონალიზებული გზა ოჯახების შესაქმნელად. ყველა მოვლენას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მკვლევართა მხრიდან არსებობს განსხვავებული მოსაზრება თანაცხოვრებისა და განქორწინების რისკების ურთიერთობაზე. ერთნი ამტკიცებენ, რომ თანაცხოვრება ამცირებს ადამიანების ერთგულებას პარტნიორისადმი და ამით ზრდის მათი დაშორების რისკს. მეორენი კი თვლიან, რომ ქორწინებამდე თანაცხოვრების ეტაპები (როგორც საცდელი ქორწინება) გააძლიერებს ოჯახურ სტაბილურობას.

ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის მონაცემების მიხედვით[1] ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად: ავსტრიასა და აშშ-ში 30%-ზე მეტი წყვილი ქორწინებამდე თანაცხოვრობდა, ხოლო ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: ბულგარეთი, გერმანია, უნგრეთი, ლიტვია, რუმინეთი, რუსეთი, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი ქორწინებათა ნახევარზე მეტს წინ არ უძღოდა თანაცხოვრება.[2]

ევროპაში მატულობს თანამცხოვრებ წყვილთა რაოდენობა. 2010 წლისთვის 25-44 წლამდე ფრანგი წყვილების თითქმის 40%-მა აირჩია თანაცხოვრების გზა, შვედეთში კი ამ მაჩვენებელმა 50%-ს გადაჭარბა.[3] თანამცხოვრებლთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. Eurofond-ის ევროკავშირის მონაცემების გამოთვლები აჩვენებს, რომ 2017 წელს საფრანგეთმა (13%), შვედეთმა (13%) და ფინეთმა (12%) დააფიქსირა ევროპაში ყველაზე მაღლი მაჩვენებელი. 2007-2017წწ თანაცხოვრების საერთო მაჩვენებელი ევროკავშირში 5%-დან 7% მდე გაიზარდა.[4] დიდ ბრიტანეთში ოჯახების რაოდენობა 2008 წლიდან 2018 წლამდე 8%-ით გაიზარდა. ეროვნული სტატისტიკის სამსახურის (ONS) მონაცემები აჩვენებენ, რომ თანამცხოვრები წყვილის ოჯახების რიცხვი უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე დაქორწინებული ოჯახების, მატება მოხდა 25,8%-ით ათწლეულის განმავლობაში.[5]

საქართველოში არ ხდება ზუსტი აღრიცხვა თანაცხოვრების, კავკასიის ბარომეტრის კვლევის (CRRC 2013) მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებული გაანგარიშების მიხედვით თანაცხოვრებაშია 5,6%. 2013 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოკვლევა ჩატარდა საქართველოს სამ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, კასპი) და გამოიკითხა 1220 რესპოდენტი, მათგან 15,4% თავის პარტნიორთან ერთად ცხოვრობს თანაცხოვრებაში ანუ იურიდიული და რელიგიური

[1] გამოყენებულია Liefbroer-ისა და Dourleijn-ის ზოგიერთი ანალიზი ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის მონაცემებიდან: Gender and Generations Programme (GGP), გრძივი გამოკითხვა 18-დან 79 წლამდე ახალგაზრდებში ევროპის 19 ქვეყანაში.

[2] https://ifstudies.org/blog/cohabitation-marriage-and-union-instability-in-europe.

[3] https://population-europe.eu/network/news-network/cohabitation-across-europe.

[4] https://ifstudies.org/blog/cohabitation-marriage-and-union-instability-in-europe.

[5] https://www.theguardian.com/uk-news/2019/aug/07/cohabiting-couples-fastest-growing-family-type-ons.

ქორწინების გარეშე. (მენაბდიშვილი ლ. 2021)

თანამცხოვრებ წყვილთა ზრდა, ბუნებრივად ზრდის ქორწინებისგარეშე შობადობას. ეს ტენდენცია მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. ევროსტატის მონაცემებით ევროკავშირში ქორწინებისგარეშე ცოცხლადშობილების წილი 2018 წელს 42% შეადგინა. ევროკავშირის ქვეყნებში ქორწინებისგარეშე შობადობის რიცხვი მზარდია. ამავე წლის მონაცემებით ქორწინებისგარეშე შობადობის მაჩვენებელი ევროკავშირის რვა ქვეყანაში: საფრანგეთი (60%), ბულგარეთი (59%), სლოვაკეთი (58%), პორტუგალია (56%), შვედეთი (55%), ესტონეთი (54%), დანია (54%), ნიდერლანდები (52%) გაცილებით მაღლი იყო ვიდრე ქორწინებაში შობადობის მაჩვენებელი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყანა ამგვარი ტენდენციით არ ხასიათდება. ასე მაგალითად: ქორწინებისგარეშე შობადობის მონაცემებით საბერძნეთი და ხორვატია ლიეტუასა და პოლონეთთან ერთად, სპექტრის მეორე ბოლოშია, რადგან ამ ქვეყნებში ქორწინებაში დაბადებული ბავშვების წილი (70%-ზე მეტი) ბევრად აღემატება ქორწინებისგარეშე დაბადებულებს. 2017 წელს 2000 წელთან შედარებით ქორწინებისგარეშე შობადობის მაჩვენებელი გაიზარდა ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანაში, გამონაკლისს წარმოადგენს: შვედეთი, ესტონეთი და ლატვია. სადაც უმნიშვნელო კლება მოხდა.[1]

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქორწინებისგარეშე შობადობის პერმანენტულად მზარდი ტენდენცია ყველა განვითარებული ქვეყნისთვის არ არის დამახასიათებელი. ასე მაგალითად, როგორიცაა: გერმანია, კანადა, აშშ.

საქართველოში სტატისტიკური მონაცემებით ცალკეა აღრიცხული არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები, ამასთან, ცალ-ცალკე აღირიცხება ორივე მშობლის განცხადებით რეგისტრირებული ცოცხლადშობილები და მხოლოდ დედის განცხადებით რეგისტრირებულები. XXI საუკუნის დასაწყისიდან დღემდე არარეგისტრირებული ქორწინებაში დაბადებული ცოცხლადშობილების რიცხვის დინამიური ზრდა არ შეინიშნება. თანაც, მისი მაღალი მაჩვენებელი არ ემთხვევა მხოლოდ დედის განცხადებით რეგისტრირებული ცოცხლადშობილების მაღალ მაჩვენებელს. ამ პერიოდში არარეგისტრირებული ქორწინებით ცოცხლადშობილთა მაჩვენებელი ყველაზე მაღლი იყო 2006 წელს (54%). მაშინ როცა, მხოლოდ დედის განცხადებით დაბადებული ცოცხლადშობილების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო 2008 წელს (15,3%). ასევე არარეგისტრირებულ ქორწიბნებაში დაბადებულთა მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო 2014 წელს (30,7%), ხოლო მხოლოდ დედის განცხადებით რეგისტრირებულები 2015 წელს (7,1%). ანუ გარკვეულ დროს არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ცოცხლადშობილების რიცხვის ზრდა ან კლება არ ნიშნავს მხოლოდ დედის განცხადებით დარეგისტრირებულ ბავშვთა ზრდას ან კლებას. რაც იმის მაჩვენებელია, რომ არარეგისტრირებული ქორწინებით დაბადებული ცოცხლადშობილები არ შეიძლება გაიგივდეს ქორწინების გარეშე დაბადებულებად. ქორწინების გარეშე დაბადებულები ძირითადად მხოლოდ დედის განცადებით დარეგისტრირებულები არიან. აუცილებელია, რომ ქვეყანაში შეიცვალოს აღრიცხვიანობა. პირველ რიგში, აუცილებელია, საეკლესიო ქორწინების აღრიცხვა სახელმწიფოს მხრიდან, მეორეც, ისე როგორც ევროკავშირი აღრიცხავს, ჩვენთანაც მოხდეს ცალ-ცალკე აღრიცხვა მარტოხელა დედებისა და თანამცხოვრებ წყვილთა ბავშვების.

კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც თანამედროვე ოჯახისთვისაა დამახასიათებელი არის ქორწინების საშუალო ასაკის ზრდა. ქორწინების საშუალო ასაკი დამოკიდებულია ქვეყანაზე, მის კულტურაზე, რელიგიურ აღმსარებლობაზე, ღირებულებებზე, ტრადიციაზე და სხვ. ბოლო დრომდე ბევრ ქვეყანაში ქალის ქორწინების ასაკი უფრო დაბალი იყო, ვიდრე მამაკაცის. მაგრამ გენდერული თანასწორობის გამო ის ბევრგან მამაკაცის ასაკამდე გაიზარდა.

პირველი ქორწინების საშუალო ასაკის მიხედვით ევროპის ქვეყნებში მდგომარეობა ამგვარია: ქორწინება ყველაზე ადრეულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც პატარძალი 22-26 წლისაა, ხოლო საქმრო 24-27-ის. ცენტრალური ევროპის უმეტეს ქვეყნებში ქალები 27, ხოლო მამაკაცები 30 წლის ასაკში ქორწინდებიან. რაც შეეხება ჩრდილო, სამხრეთ და დასავლეთ ევროპას, აქ ყველაზე მაღალია პირველი ქორწინების საშუალო ასაკი. ამ მონაცემის მაღლი მაჩვენებლით ლიდერობს შვედეთი.

საქართველოში რეგისტრირებული ქორწინების საშუალო ასაკმა ბოლო ათი წლის განმავლობაში სტაბილური ზრდა აჩვენა. ქალთა პირველი ქორწინების ასაკი 28,1 წელი გახდა, ხოლო მამაკაცების 30,7 წელი. სავარაუდოთ ეს ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება.

[1] https://ec.europa.eu/eurostat/documents/4187653/10321608/births+outside+marriage.png.

ქორწინების გვერდით ყოველთვის არსებობდა და იარსებებს განქორწინება, რომელიც მზარდი ზრდის ტენდენციას გასული საუკუნის ბოლოდან ამჟღავნებს და რომელის ზრდაც დამახასიათებელია მეორე დემოგრაფიული გადასვლისათვის. ახალი საუკუნის დასაწყისიდანვე სულ უფრო იზრდება განქორწინების რიცხვი. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ეს არის პრობლემა, რომელიც დამახასიათებელია ყველა განვითარებული ქვეყნისათვის. განქორწინების რიცხვის ზრდა ინდივიდუალური ღირებულებების წინ წამოწევამ განაპირობა. განქორწინების მაღლი მაჩვენებელი მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. მათ შორისაა საქართველოც. 2001-2006 წწ განქორწინების კოეფიციენტი 1000 ადამიანზე 0,5 ტოლი იყო, 2014 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა 1,4-მდე, ხოლო 2019 წელს ყველაზე მაღლ ნიშნულს 3-ს გაუტოლდა. საქართველოს 2019 წლის განქორწინების მაჩვენებელი მხოლოდ 0,1-ით ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების ყველაზე მაღალ მაჩვენებელს. 2019 წელს ევროკავშირში განქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ლატვია, ლიეტუა და ლუქსემბურგში, აქ განქორწინება 1000 ადამიანზე 3,1-ს შეადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ არც ქორწინების საშუალო ხანგრძლივობის მხრივ არის ჩვენს ქვეყანაში სახარბიელო მდგომარეობა. საქართველოში ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა 10,6 წელია და ის უფრო ხანმოკლეა ვიდრე დიდი ბრიტანეთის (11 წელი), იტალიის (17 წელი) და საფრანგეთის (13 წელი) ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა, თუმცა აღემატება აშშ-ს მონაცემებს (8 წელი). (მენაბდიშვილი ნ. 2021. 146-147. 149)

მე-20-ე საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში აქტიურად დაიწყო ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებისათვის ბრძოლა. რამაც მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ოჯახის ინსტიტუტს. ევროპასა და აშშ-ში ოჯახზე განხორციელდა მუდმივი თავდასხმები. ოჯახმა კლასიკური გაგებით დაიწყო ნგრევა. ამ ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობდა ერთსქესიანთა ქორწინების იდეის გავრცელება, რაც იწვევს კლასიკური ოჯახის იდეის კონცეფციის განადგურებას. სწრაფვა ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციისაკენ, „დედისა“ და „მამის“ ცნებების გაუქმება და მათ მაგივრად „მშობელი ერთი“ და „მშობელი ორის“ დამკვიდრება, არატრადიციული ურთიერთობების გამრავლება და ასეთ წყვილთა მიერ ბავშვების აყვანა და აღზრდა პირდაპირი დარტყმაა ოჯახის კლასიკურ მოდელზე. პირველი ქვეყნები (ნიდერლანდები -2001, კანადა -2005) ვინც თანაბარი ქორწინების უფლებები მიანიჭა ერთსქესიან წყვილებს, რელიგიურად მრავალფეროვანი ქვეყნებია. მსოფლიოში 30-ზე მეტი ქვეყანაა, სადაც ერთსქესიანები ქორწინების უფლებით სარგებლობენ. გასულ 2020 წელს ეს უფლება მიიღო გაერთიანებულმა სამეფომ და კოსტა-რიკამ. დიდ ბრიტანეთში ერთსქესიანი წყვილების ოჯახების რაოდენობა 2015 წლიდან 50%-ზე მეტით გაიზარდა, ერთსქესიანი დაქორწინებული ოჯახების რაოდენობა კი ოთხჯერ. [1]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურში. მართალია, სახელმწიფო და ჩვენი მართლმადიდებლური სარწმუნოება არ აღიარებს ერთსქესიანთა ქორწინებას, თუმცა საზოგადოების უმცირესი ნაწილი ამ საკითხისადმი ტოლერანტულად არის განწყობილი.

დასკვნა

საზოგადოებაში გაბატონებული ლიბერალისტული შეხედულებები ზემოქმედებას ახდენს ოჯახზე. ლიბერალიზმმა წარმოშვა ინდივიდუალიზმის უზენაესობის განცდა და მიზნად დაისახა ადამიანის გათავისუფლება იმ სხვადასხვა ჯგუფების, წეს-ჩვეულებების თუ ავტორიტეტების ბრმა მსახურებისაგან, რომლებსაც გავლენა აქვთ ინდივიდის ცხოვრებაზე. ეს ცვლილებები ოჯახსაც შეეხო, რადგან კაცობრიობის განვითარების ისტორია, ეს ოჯახის განვითარების ისტორიაა. შეუძლებელია ითქვას, რომ წარსულში ყველაფერი ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კარგი იყო. იცვლება სოციალური ღირებულებები და შესაბამისად იცვლება ოჯახი, მაგრამ ქორწინებაზე დაფუძნებული ოჯახი არის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ადამიანური ღირებულება.

1 https://www.theguardian.com/uk-news/2019/aug/07/cohabiting-couples-fastest-growing-family-type-ons.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოთაძე ა. (1999) საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე.
2. მენაბდიშვილი ლ. (2021.) ქორწინებისდარეშე შობადობა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. ინსტიტუტის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: „XXI საუკუნის დემოგრაფიული გამოწვევები“. 127-143.
3. მენაბდიშვილი ნ.(2021) განქორწინება საქართველოში XXI საუკუნის პირველ მეხუთედში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. ინსტიტუტის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: „XXI საუკუნის დემოგრაფიული გამოწვევები“.
4. საქართველოს კანონი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 2021.
5. https://www.theguardian.com/uk-news/2019/aug/07/cohabiting-couples-fastest-growing-family-type-ons.
6. https://ec.europa.eu/eurostat/documents/4187653/10321608/births+outside+marriage.png.
7. https://ifstudies.org/blog/cohabitation-marriage-and-union-instability-in-europe.
8. https://population-europe.eu/network/news-network/cohabitation-across-europe.
9. https://ifstudies.org/blog/cohabitation-marriage-and-union-instability-in-europe.
10. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia

Family transformation under conditions of a second demographic transition

Menabdishvili Lela, Researcher of the Institute of Demography and Sociology Ilia State University, Doctor of Economics

Summary

The second demographic shift, which has been talked about since the 1980s, is characterized by a tolerant attitude towards new behaviors. The modern family has shown: an increase in the co-residence of couples and, consequently, an increase in the number of children born out of wedlock; Widespread use of alternative forms of family; Increase in the number of divorces, increase in the average age of the first marriage, etc.

Co-residence – couples living together who are not married –is becoming increasingly common. According to the data of the first decade of the twenty-first century in some countries, for example: Austria and the USA, more than 30% of couples lived together before marriage, while in other countries, like Bulgaria, Germany, Hungary, Lithuania, Romania, Russia, Spain, and the UK, more than half of all first unions were marriages not preceded by co-residence. Co-residence followed by marriage is most common (describing more than 30 percent of first unions) in Austria, Germany, and Norway.

Out-of-wedlock birth is in rise in EU countries, while in other countries it is higher than the birth rate in marriage. In 2018, extramarital births outnumbered births inside marriages in eight EU Member States: France (60%), Bulgaria (59%), Slovenia (58%), Portugal (56%), Sweden (55%), Denmark and Estonia (both 54%) as well as the Netherlands (52%). There is no such alarming situation in our country, because the influence of religion is great. The rate of non-marital childbearing in Georgia is almost 1.5 times lower than the lowest rate in EU countries (Greece - 11.1%) and almost 5.3 times - in the US (39.6%).

Across most countries, people are marrying later age in life. Marriage is the earliest in Eastern Europe. The average age of marriages registered in Georgia has shown a steady increase over the last ten years. The age of first marriage for women was 28.1 years, while for men it was 30.7 years.

The number of divorces is ever increasing. The indicator of divorce in Georgia in 2019 lagged behind the highest one in the EU countries (3,1%) only by 0,1%. The average duration of marriage is 10,6 years add it is more shortlisted than average duration of marriage in the Great Britain. Italy and France.

It should be noted that not a few countries have started to legalize same-sex marriage since the beginning of the 21st century. The Netherlands was the country to legally recognise marriage for same-sex couples in 2001.There are currently 30 countries in the world where same-sex couples have the right to marry. The Civil Code of Georgia does not recognize the same-sex marriages. At the same time, the Georgian Orthodox Church opposes such behavior.

Keywords: Co-residence, out-of-wedlock birth, average age of marriage, divorce.

განქორწინების თავისებურებები XXI საუკუნის საქართველოში

ნანა მენაბდიშვილი, ეკონომიკის დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

რეზიუმე

XXI საუკუნე ახალი გამოწვევებით დაიწყო ოჯახის ინსტიტუტისათვის. სულ უფრო იზრდება განქორწინების რიცხვი. საქართველოს 2019 წლის განქორწინების მაჩვენებელი მხოლოდ 0,1-ით ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების ყველაზე მაღალ მაჩვენებელს (3,1). საქართველოს რეგიონების მიხედვით განქორწინების ყველაზე მაღლი მაჩვენებელი დედაქალაქში ფიქსირდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოსახლეობის 30%-ზე მეტი აქაა თავმოყრილი. 2001-2020 წლის განმავლობაში სულ უფრო მეტი ქალი განქორწინდა, ვიდრე მამაკაცი. ზრდა შეეხო როგორც პირველი ისე განმეორებითი ქორწინების განქორწინებას. მამაკაცებში პირველი ქორწინების განქორწინების მაჩვენებელი 15,8-ჯერ აღემატება განმეორებითი ქორწინების განქორწინების მაჩვენებელს. ქალებში კი 19,2-ჯერ.

ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა 10,6 წელია და ის უფრო ხანმოკლეა ვიდრე დიდი ბრიტანეთის, იტალიის და საფრანგეთის ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა.

განქორწინებულთა საშუალო ასაკი განსახილველ პერიოდში მერყეობს და განსხვავდება სქესის მიხედვით. ქალებში ეს მაჩვენებელი 35,8 - სა და 37,9 წელს შორის მერყეობს, მამაკაცებში კი 39,1 - სა და 41,2 წელს შორის. მამაკაცებში განმეორებითი ქორწინების განქორწინების საშუალო ასაკი 2007 წლიდან (52,6 წელი) იწყებს ყოველწლიურ კლებას და 2020 წელს 41,2 წელი ხდება. ეს ტენდენცია არ შეინიშნება არც მამაკაცთა პირველი ქორწინების განქორწინებისას და არც ქალებში, არც პირველი და არც განმეორებითი ქორწინების განქორწინებისას.

საქართველოში განქორწინების უმრავლესობა ადრეულ ასაკში შექმნილ ოჯახებზე მოდის. 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში 2001 წლის განქორწინების მაჩვენებელი 3,7-ჯერ ნაკლები იყო ვიდრე გასული წლის იგივე მაჩვენებელი. ამასთან, ამ ასაკის ქალების განქორწინების მაჩვენებელი აჭარბებს მამაკაცებისას.

სულ უფრო მეტად იზრდება 0-1 წლის ქორწინებების განქორწინება. ეს მაჩვენებელი 2019 წელს 14-ჯერ აღემატებოდა 2001 წლის მონაცემებს, ხოლო 2020 წლის მონაცემების მიხედვით კი 9,5- ჯერ, იგივე 2001 წლის მაჩვენებელს.

საკვანძო სიტყვები: განქორწინება, ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა, განქორწინებულთა საშუალო ასაკი.

შესავალი

განქორწინება, უმეტეს შემთხვევაში ნებელობითი აქტის შედეგია, რომელიც მიმართულია არსებული ქორწინებითი და ოჯახური ურთიერთობების შეცვლისაკენ. განქორწინებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. სხვადასხვა საზოგადოებაში მას განსხვავებული სიმკაცრით ეკიდებოდნენ, თუმცა იგი ყოველთვის არსებობდა ქორწინების გვერდით.

განქორწინება შეიძლება იყოს ოფიციალური ან არაოფიციალური (კონსესუალური). ოფიციალურად ითვლება განქორწინება, რომელიც იურიდიულად რეგისტრირებულია, თუმცა ყველა განქორწინების იურიდიული დარეგისტრირება როდი ხდება. ჩვენი ნაშრომი შეეხება მხოლოდ იურიდიულად დარეგისტრირებულ განქორწინებებს და განხილული იქნება განქორწინების თავისებურებები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ძირითადი ნაწილი

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განქორწინების დონე მზარდი ზრდის ტენდენციას გასული საუკუნიდან ამჟღავნებს. ეს არის პრობლემა, რომელიც დამახასიათებელია ყველა განვითარებული ქვეყნისათვის. ცალსახად, განქორწინების გამომწვევი ერთი რომელიმე მიზეზის დასახელება არ შეიძლება. განქორწინების მიზეზთა სპეციფიკა მრავალგვარია. ზოგადად კი უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე ხდება ტრადიციული ოჯახური როლებისა და მოვალეობების გადაფასება. სახეზეა ზოგიერთი სოციალური მოთხოვნის და ოჯახური ნორმის წინააღმდეგობრიობა, რაც თანამედროვე საზოგადოების დაჩქარებულ განვითარებასთანაა დაკავშირებული. ეს კი საბოლოოდ მიდის ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, იზოლაციის ზრდასთან და ოჯახური კავშირების შესუსტებასთან.

სოციოლოგი სტივ ბრიუსი, აფასებს რა განქორწინების რაოდენობის ზრდას წერს: ეს შედეგი სოციალური ძვრების უნებლიე ურთიერთქმედებამ გამოიღო. მკვლევარი გამოყოფს და ახასიათებს იმ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც ხდებოდა ოჯახში და რომლებმაც საბოლოო ჯამში გამოიწვია განქორწინების ზრდა: ოჯახის ეკონომიკურ-პოლიტიკური ფუნქციების რღვევა; ოჯახის ემოციური კმაყოფილების წყაროდ გადაქცევა; გენდერული თანასწორობა; სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა. მისი აზრით, კონკრეტული მიზეზშედეგობრივი კავშირები საკმაოდ ჩახლართულია. [ბრიუსი ს. 117-121]

2001-2005 წწ. საქართველოში განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი (ანუ განქორწინების რაოდენობა მოსახლეობის 1000 კაცზე) 0,5-ის ტოლი იყო. 2006 წლიდან 2014 წლამდე ეს მაჩვე-ნებელი 1,9-ით გაიზარდა, ყველაზე მაღალ ნიშნულს კი (3 განქორწინება 1000 ადამიანზე.) 2019 წელს მიაღწია. თუმცა 2020 წელს განქორწინების ზოგადი კოეფიციენტის კლება მოხდა და 2,1 შეადგინა. იმის თქმა, რომ განქორწინების კლების ტენდენცია დაიწყო არამართებულია, რადგან სწორედ 2020 წლის თებერვლიდან იწყება ქვეყანაში პანდემია, რომელმაც ცხოვრება უჩვეულო რიტმში დაგვაწყებინა.[1] შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ XXI ს-ის საქართველოში განქორწინების ყველაზე მაღლი მაჩვენებელი მხოლოდ ერთი მეათედით ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების ასევე ყველაზე მაღალ მაჩვენებელს, რომელიც ლატვია, ლიეტუა და ლუქსემბურგში დაფიქსირდა (3,1 განქორწინება 1000 ადამიანზე).[2]

იმის გამო, რომ 2021 წლის სტატისტიკური მონაცემები სრული სახით აპრილის თვეში იქნება გამოქვეყნებული, არა გვაქვს საშუალება სულად შევაფასოთ გასული წლის მდგომარეობა, თუმცა შესაძლებელია იანვარი-ივნისის მაჩვენებლების შესახებ მსჯელობა. 2021 წლის 6 თვის განმავლობაში განქორწინების 21,7% ივნისის თვეზე მოდის და ის აღემატება ყველა დანარჩენ თვეს. სულ ამ პერიოდის (იანვარი-ივნისი) განქორწინებამ კი 4 675 შეადგინა. თუ ამ მაჩვენებელს შევადარებთ წინა ორი წლის იგივე მაჩვენებელს დავინახავთ, რომ 2021 წლის პირველი ნახევრის განქორწინების რიცხვი თითქმის 1,2-ჯერ ჩამორჩება 2019 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს (5 297) და თითქმის 1,4-ჯერ უსწრებს 2020 წლისას (3 414).

საქართველოში რეგიონების მიხედვით განქორწინების ყველაზე მაღლი მაჩვენებელი ფიქსირდება თბილისის მუნიციპალიტეტში. რაც ბუნებრივ პროცესად უნდა ჩაითვალოს, რადგან შიგა მიგრაციული პროცესების გამო მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დედაქალაქში მოიყარა თავი. აქ ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 30%-ზე მეტი, რაც ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედია.

განსახილველი პერიოდიდან ექვს წელს (2001, 2002, 2003, 2004, 2007, 2008 წლებში) თბილისის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული განქორწინების მაჩვენებელი მთლიანად ქვეყნის განქორწინების მაჩვენებლების ნახევარზე მეტი იყო. ამასთან, XXI საუკუნის პირველ მეხუთედში თბი-ლისში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2003 წელს იყო - 59,9%. ყველაზე დაბალი კი 2019 წელს, როცა მთლიანი განქორწინების 35,1% შეადგინა, თუმცა ამ პერიოდში საქართველოს მასშტაბით განქორწინების ყველაზე მაღალი რიცხვი დაფიქსირდა.

იმერეთი ქვეყნის მეორე რეგიონია რომელიც განქორწინების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. ამ რეგიონში განქორწინების მაჩვენებელი მერყეობს 8,7%-დან (2003 წელი) 18%-ს შორის (2019 წელი), 2020 წლის მაჩვენებელი კი 0,8%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე.

განქორწინების მაჩვენებლის სიდიდით მესამე რეგიონი კი ქვემო ქართლია. აქ 2014 წელს დაფიქსირდა ყველაზე მაღლი მაჩვენებელი 11,3%. მომდევნო წლიდან კი თანდათნობითი კლება იწყო და 2020 წელს 9,2% შეადგინა.

2021 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებზე დაყრდნობით, რეგიონების მიხედვით მდგომარეობა არ შეცვლილა. კვლავ თბილისი (1705), იმერეთი (802) და ქვემო ქართლი (425) ლიდერობს განქორწინების სიხშირის მიხედვით.

განქორწინების თავისებურებებზე მსჯელობისას აუცილებელია შევეხოთ ქორწინების საშუალო ასაკს, ანუ ქორწინების ხანგრძლივობის პერიოდს. განქორწინებით დამთავრებული ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია. აშშ-ში მისი ხანგრძლი-ვობა მხოლოდ 8 წელია,[3] იტალიაში - 17 წელი, დიდი ბრიტანეთის ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა 11 წელია, ინგლისსა და უელსში 4-8 წელი, საფრან-გეთში 13 წელი. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან იტა-ლია ლიდერობს ქორწინების ხანგრძლივობით. საქარ-თველო კი იტალიასა და საფრანგეთს ჩამორჩება.[4]

[1] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/324/gankortsineba
[2] https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Marriage_and_divorce_statistics
[3] https://www.brides.com/how-long-do-average-u-s-marriages-last-4590261
[4] http://www.hopesandfears.com/hopes/city/city_index/214133-

ცხრილი1.

განქორწინების მაჩვენებლები 2001-2020 წლებში საქართველოს რეგიონების მიხედვით

საქართველოს რეგიონები	2001 წლიდან 2020 წლის ჩათვლით	
	გაბნევის მაჩვენებელი	საშუალო
თბილისის მუნიციპალიტეტი	24,9	45,0
აჭარის არ	3,2	7,0
გურია	7,2	3,0
იმერეთი	9,3	14,0
კახეთი	3,6	9,3
მცხეთა მთიანეთი	0,9	2,0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0,6	0,4
სამეგრელო, ზემო სვანეთი	6,7	9,0
სამცხე ჯავახეთი	1,3	2,0
ქვემო ქართლი	5,7	9,1
შიდა ქართლი	2,9	3,0

წყარო: საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული ავტორის მიერ.

საქართველოში ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა XXI ს-ის დასაწყისიდან დღემდე 10,1 - 12,2 წლებში მერყეობს. ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მოკლე აღმოჩნდა 2019 წელს (10,1 წელი), ხოლო ყველაზე დიდი 2004 წელს (12,2 წელი). 2001-2020 წწ-ის ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა - 10,6 წელია.

განქორწინების კიდევ ერთი თავისებურება ვლინდება იმაში რომ, ის მხოლოდ პირველი ქორწინებისთვის არ არის დამახასიათებელი, მაგრამ ხელახალი ქორწინების შემთხვევაში განქორწინება უფრო მცირეა ვიდრე პირველი ქორწინებისას. 2001 წლიდან მოყოლებული 2009 წლამდე განმეორებითი ქორწინების განქორწინების რიცხოვნობა ორივე სქესის წარმომადგენლებში ორნიშნა რიცხვს არ ასცდენია. თუმცა 2009 წლიდან სამნიშნა რიცხვით გამოისახა. ამასთან, 2019 წლის ჩათვლით ორივე სქესის წარმომადგენლებში ყოველწლიურად იზრდება.

მნიშვნელოვანია, რომ 2001-2020 წლის განმავლობაში სულ უფრო მეტი ქალი განქორწინდა, ვიდრე მამაკაცი. ზრდა შეეხო როგორც პირველი ისე განმეორებითი ქორწინების განქორწინებას. მამაკაცებში პირველი ქორწინების განქორწინების მაჩვენებელი 15,8-ჯერ აღემატება განმეორებითი ქორწინების განქორწინების მაჩვენებელს. ქალებში კი 19,2-ჯერ.

განქორწინებულთა საშუალო ასაკი განსახილველ პერიოდში ცვალებადია და განსხვავდება სქესის მიხედვით. ქალებში ეს მაჩვენებელი 35,8 - სა და 37,9 წელს შორის მერყეობს, მამაკაცებში კი 39,1 - სა და 41,2 წელს შორის. 2001-2020 წწ განქორწინებულთა საშუალო ასაკი ქალებში 36,8 წელი, ხოლო მამაკაცებში 39,9 წელი იყო. განქორწინებულთა ასაკის მედიანა ქალებში შეადგენდა 36,7 წელს, მამაკაცებში კი 39,7 წელს შეადგენს.

მამაკაცთა განმეორებითი ქორწინების განქორწინების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მამაკაცთა საშუალო ასაკი 2007 წლიდან (52,6 წელი) იწყებს ყოველწლიურ კლებას და 2020 წელს 41,2 წელი ხდება.

საქართველოში განქორწინების უმრავლესობა ადრეულ ასაკში შექმნილ ოჯახებზე მოდის. 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში 2001 წლის განქორწინების მაჩვენებელი 3,7-ჯერ ნაკლები იყო ვიდრე გასული წლის იგივე მაჩვენებელი. ამასთან, ქალების განქორწინების მაჩვენებელი ჭარბობს მამაკაცებისას. მოცემულ პერიოდში 25 წლამდე ასაკის მამაკაცთა განქორწინების მაჩვენებელი გაიზარდა 3,6-ჯერ, ქალების მაჩვენებელი კი 3,8-ჯერ. საგანგაშოა ოც წლამდე ახალგაზრდების განქორწინების მაჩვენებლის ზრდა. 2020 წლის მონაცემების მიხედვით ზრდა მოხდა (2001 წელთან შედარებით) 2,8-ჯერ.

ერთ წლამდე ქორწინების განქორწინების სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ, 2001 წელს ეს მაჩვენებელი არც თუ მაღალი იყო (57), მომდევნო წლებში კი ზრდა მოხდა (2003 წ - 189) და სამ წელიწადში, ფაქტიურად, 3,3-ჯერ გაიზარდა.

city-index-marriage-lengths

ცხრილი 2.

2001-2020 წლების განქორწინებულთა ასაკი სქესის მიხედვით

	საშუალო		მედიანა	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
პირველი ქორწინების განქორწინება	39,6	36,6	39,8	36,6
ხელახალი ქორწინების განქორწინება	47,6	42,3	47,6	42,4
ყველა განქორწინება	39,9	36,8	39,7	36,7

წყარო: საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული ავტორის მიერ.

ამასთან, ერთ წლამდე ქორწინების განქორწინების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ერთი წლის ქორწინების განქორწინების მაჩვენებელი. ეს უკანასკნელიც სულ უფრო მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2019 წლის ერთ წლიანი ქორწინების განქორწინების მაჩვენებელი 8,9-ჯერ მეტია, ვიდრე 2001 წლის იგივე მაჩვენებელი და 4,6-ჯერ მეტი, ვიდრე 2008 წლის მაჩვენებელი. 2020 წელს კი წინა წელთან შედარებით 0,7-ჯერ შემცირდა. სულ 0-1 წლის ქორწინებების განქორწინება 2019 წელს 14-ჯერ ჭარბობდა 2001 წლის მონაცემებს, ხოლო 2020 წლის მონაცემების მიხედვით 9,5- ჯერ აღემატებოდა იგივე 2001 წლის მაჩვენებელს.

2020 წლიდან განქორწინების მაჩვენებლების კლების ტენდენცია შეიმჩნევა. რაც სავარაუდოთ, პანდემიით უნდა იყოს განპირობებული. ჩვენ ვარაუდს ნათელს მოჰფენს პანდემიის დასრულების შემდგომი პერიოდი.

დასკვნა

ამრიგად, განქორწინება, როგორც ქორწინების თანმდევი მოვლენა ყოველთვის არსებობდა, თუმცა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განქორწინების დონე მზარდი ზრდის ტენდენციას გასული საუკუნიდან ამჟღავნებს. ამ ქვეყნებს შორისაა საქართველოც. XXI-ე საუკუნის დასაწყისიდან ჩვენს ქვეყანაში განქორწინების მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდება, 2019 წლის განქორწინების ზოგადი კოეფიციენტით საქართველო 0,1-ით ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების ყველაზე მაღალ მაჩვე-ნებელს (3,1), ზრდის ტენდენცია დაირღვა 2020 წელს, როცა იგივე მაჩვენებელმა 2,1 შეადგინა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს შეიძლება გამოწვეულია პანდემიით; ზრდა შეეხო როგორც პირველი ისე განმეორებითი ქორწინების განქორწინებას; ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა 10,6 წელია და ის უფრო ხანმოკლეა ვიდრე დიდი ბრიტანეთის, იტალიის და საფრანგეთის ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა; გაახალგაზრდავდა განქორწინების ასაკი; საქართველოში განქორწინების უმრავლესობა ადრეულ ასაკში შექმნილ ოჯახებზე მოდის; 9,5-ჯერაა გაზრდილი 0-1 წლის ქორწინების განქორწინების მაჩვენებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრიუსი სტივი. 2019. სოციოლოგია. ძალიან მოკლე შესავალი
2. https://www.itsovereasy.com/insights/divorce-statistics
3. https://www.statista.com/statistics/195939/number-of-divorces-in-the-united-states-since-1981/
4. https://www.statista.com/statistics/195939/number-of-divorces-in-the-united-states-since-1981/
5. https://www.brides.com/how-long-do-average-u-s-marriages-last-4590261
6. http://www.hopesandfears.com/hopes/city/city_index/214133-city-index-marriage-lengths
7. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/324/gankortsineba

Peculiarities of divorce in the XXI century in Georgia

Menabdishvili Nana – Assistant-researcher of the Institute of Demography and Siciology Ilia State University, Doctor of Economics

Summary

Sience the beginning of the XXI century, the divorce rate in our country is charcherized by a growing trend. With the general divorce rate of 2019, Georgia lags beind the highest rate of EU countries by 0,1 (3,1). The growth trend was broken in 2020, when the same rate was 2,1, altough it should be noted that this may be causeb bu a pandemic.

The number of divorces in the first half of 2021 is almost 1.2 times lower than the same period in 2019 (5,297) and almost 1.4 times higher than in 2020 (3,414).

According to the regions of Georgia, thehighest indicator of divorse is encountered in the capital. This is natural,as more than 30% of the population lives there. During the twenty-year period, more and women got divorced than men. The incerease of divorse was witnessed in first as well as second marriage. Among the men, the indicator of divorce in first marriage exceeds 15,8 times the analogous indicator in second marriage. This figure is 19,2 times more among the women.

The average duration of marriage is 10,6 years and it is more shortlived than the average duration of marriage in the Great Britain,Italy and France.The average age of divorcees in the discussed period oscillates and differs by gender. Among women, this indicator ranges between ages 35,8 and 37,9, and among men 39,1 and 41,2. The average age of the divorsed men in their second marriage started declining annually since 2007 (52,6 years) and by 2020 reached 41,2 years. This tendency is observed neither in the men's fifst marriage divorce nor in the women's first and second marriage divorce.

The majority of divorces in Georgia fall on the families that were created in an early age. Among the youngsters aged below 25 the indicator of divorce in 2001 was 3,7 times lower than the same indicator of the previous year. Moreover, the indicator of divorce among the women in the mentioned age range exceeded the analogous indicator of the men.

The divorce rate of 0-1 year marriages is ever rising.In 2019, this indicator exceeded 14 times the analogous data in 2001, whereas, according to the data of 2020, it exceeded 9,5 times the same indicator of 2001.

Keywords: Diivorse, Duration of marriag, The average age of the divorsed

აზარტული თამაშების სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა საზოგადოებაზე

ნათია აბულაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია აზარტული თამაშობები და მისი სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა საზოგადოებაზე. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღევანდელ რეალობაში, რადგანაც პანდემიისა და ხანგრძლივი იზოლაციის პირობებში მრავალი ადამიანი დადგა ფინანსური კრიზისის წინაშე, თამაშების აგრესიული რეკლამირება კი კიდევ ერთი საბაბი ხდება არამდგრადი ფსიქიკის მქონე ადამიანების მოსაზიდად. აზარტული თამაშობები კაცობრიობის დასაბამიდან არსებობს, საუკუნეების მანძილზე მან სხვადასხვა სახის ზეგავლენა მოახდინა საზოგადოების დიდ ნაწილზე. „ლუდომანია, კლინიკო-ფსიქოპათოლოგიური თავისებურების გამო სანამ განვითარების თვალსაჩინო სიმპტომატიკას არ გამოავლენს, ძნელად გამოსაცნობ დაავადებას წარმოადგენს, და ამასთან ერთად ის გადამდებიცაა.“ [1,8] ადამიანი, თავისი ბუნებით სოციალური არსებაა, შესაბამისად თამაშდამოკიდებული პირიც ცდილობს სხვა ადამიანები ჩართოს ამ აქტივობაში, რათა გაიადვილოს მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

„ამგვარად, აზარტული თამაშობებისადმი დამოკიდებულება, გარკვეული მექანიზმებით, უახლოვდება ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიას, რომელნიც ქიმიური ნივთიერებებისადმი (ალკოჰოლური სასმელები, ნარკოტიკული ნივთიერებები) მიჩვევის და დამოკიდებულების გამომუშავებასთან ერთად პათოგენეტიკურ როლს თამაშობენ აზარტული თამაშობების სულ სხვადასხვა სახეების შემუშავებაში“ [1,8]

ეკონომიკური თუ ფინანსური დარღვევების მიღმა არსებობს კიდევ სულ სხვა ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია თამაშდამოკიდებულებასთან. დამოკიდებულების სოციალური ზეგავლენა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა-შემცირებული პროდუქტიულობა, დეპრესია, სუიციდის მცდელობების რაოდენობის ზრდა, გადაუხდელი საბანკო ვალდებულებები, ოჯახური ძალადობა თუ კონფლიქტები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სრულდება განქორწინებით. ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზეგავლენის საკითხიც, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო ბეგარასთან, დასაქმებასა თუ სახელფასო საკითხებთან.

თამაშდამოკიდებულების სოციალური ზეგავლენის უარყოფითი შედეგები, განსაკუთრებით მოზარდ თაობაში, დაკავშირებულია განათლების, საინტერესო აქტივობებში ჩართვის, საჭირო უნარ-ჩვევებისა და სხვადასხვა ინტერესის სფეროების არქონასთან. ეს ყველაფერი კი ქვეყნის ეკონომიკური ციკლის განახლებას უშლის ხელს და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ახდენს უარყოფით ზეგავლენას.

საკვანძო სიტყვები: გემბლინგი, სოციალური ზეგავლენა, ეკონომიკური ზეგავლენა, დამოკიდებულება.

შესავალი

აზარტული თამაშობების ისტორია უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. გარესამყაროსთან კავშირს ადამიანი პირველ რიგში თამაშით იწყებს. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ ყველა პატარას ცხოვრებაში ყველაზე დიდ ადგილს იჭერს თამაში. ბავშვის ფსიქო-ემოციური განვითარების მხრივ მას უდიდესი როლი აქვს, იწყება ჩვილი ასაკიდან და გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე. თავდაპირველად პრიმიტიული შინაარსის თამაშობები იქნა შემუშავებული, შემდგომში კი შრომითი საქმიანობისგან თავისუფალ დროს ადამიანები მიმართავდნენ ფულზე თამაშს ე.წ სათამაშო კამათლებს, კოჭებს, ბანქოს ბარათებს და ა.შ, „რომელმაც ხელი შეუწყო გასართობად შემუშავებული თამაშების გადაქცევას შემოსავლის წყაროდ და აზარტომანიას, როგორც ერთ-ერთ მძიმე და ძნელად სამკურნალო დაავადებად ჩამოყალიბებას.“ [1,17]

ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაცია აზარტომანიას მიიჩნევს ფსიქიკურ დაავადებად, რომელიც მკურნალობას და ჩარევას საჭიროებს პროფესიონალთა მხრიდან. „ცნება აზარტომანია ანუ ლუდომანია ნიშნავს რაიმე თამაშისადმი ან რაიმე საყოფაცხოვრებო ქცევისადმი მიჩვევას და ამ მოქმედებისადმი ყოველდღიური აუცილებელი მოთხოვნილების გამომუშავებას“ [1,6] ყველა ადა-მიანი ავლენს გარკვეულ აზარტს სხვადასხვა ფორმით, თუმცა გადაიქცევა თუ არა ჩვევა დამოკიდებულებად, სხვადასხვა ბიოლოგიურ, ფსიქო-ემოციურ თუ სოციალურ ფაქტორებს ემყარება. უნდა განვასხვავოთ თამაში რა მიზნით ხდება, ეს არის პიროვნებისთვის გართობის

საშუალება, მოგების შანსი თუ დამოკიდებულება, აკვიატებული ჩვევა. ხშირად თამაშს გართობის მიზნით მიმართავენ, თავისუფალი დროის გასატარებლად, უარყოფითი ენერგიის დასახარჯად ან დაძაბულობისა და სტრესის მოხსნის საშუალებად. გერმანელი ფილოსოფოსის ემანუელ კანტის აზრით, „თამაშს ახლავს რეალობის ორმაგობა, როგორც შემოქმედებით სახეობას. ის ენათესავება ხელოვნებას, რომელიც ასევე მოითხოვს დაუჯერო ან არ დაუჯერო გათამაშებული კონფლიქტის რეალობას.“ [2,4]

დამოკიდებულებას ახასიათებს ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ასპექტი - ის ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე გავლენას, ზემოქმედებს ჩვენს ქცევაზე, იწვევს შფოთვას, აღძრავს რაღაც ისეთს ჩვენში, რაც აქამდე არ იყო დამახასიათებელი. აღნიშნული მიუთითებს იმას, რომ დამოკიდებულების ჩამოყალიბების ზღვარზე ვართ.

ძირითადი ნაწილი

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აზარტულ თამაშობებზე დამოკიდებულების სოციალურ ზეგავლენას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრევენციული ღონისძიებების სოციალური სტრუქტურის შემუშავების კუთხით. საკმაოდ დიდი რაოდენობის კვლევები გემბლინგის სოციალურ თუ ეკონომიკურ გავლენაზე ადრეულ 90-იან წლებში გაკეთდა. თამაშის ეკონომიკურ ზეგავლენას რაც შეეხება, მოიცავს: ხელფასებს, სახელმწიფო გადასახადებს, ეკონომიკურ განვითარებას თუ სამომხმარებლო სარგებელს. რაც შეეხება აზარტული თამაშობების სოციალურ ზეგავლენას, ის ძირითადად დაკავშირებულია მოთამაშეთა ქცევით აშლილობებთან. ნეგატიური სოციალური ეფექტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს კრიმინალთან, ფინანსურ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებთან, ოჯახურ პრობლემებთან, როგორიცაა განქორწინება და მრავალი სხვა. აღსანიშნავია დღევანდელი რეალობაც, როცა პანდემიის, იზოლაციისა და ეკონომიკური კრიზისის პირობებში პათოლოგიური დამოკიდებულების შანსი და რისკი მატულობს და აზარტული თამაშობები ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის გზად ევლინება ადამიანებს.

♦ სოციალური ზეგავლენა

ეკონომიკური თუ ფინანსური ზეგავლენის მიღმა, არსებობს სულ სხვა ასპექტები, რომლებიც თამაშდამოკიდებულებასთან არის კავშირში: შემცირებული პროდუქტიულობა, დეპრესია, სუიციდის მცდელობების რაოდენობის ზრდა, გადაუხდელი საბანკო ვალდებულებები, ოჯახური ძალადობა და კონფლიქტები, რომლებიც ხშირად განქორწინებით სრულდება. ეკონომიკური ზეგავლენისგან განსხვავებით, საკმაოდ რთულია გავზომოთ, თუ რას შეადგენს საერთო „სოციალური ღირებულება“. შესაბამისად კვლევები ძირითადად ორიენტირებას ახდენენ სოციალური ზეგავლენის ინდივიდუალურ შემთხვევებზე.

♦ კრიმინალი

იმ სოციალურ გავლენებს შორის, რომლებიც თამაშდამოკიდებულებას უკავშირდება, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო არის კრიმინალი. ის მრავალი კვლევის ინტერესის სფეროს წარმოადგენს. კვლევების უდიდეს ნაწილში არსებობს კავშირი კაზინოსა და კრიმინალს შორის, რომელიც ეფუძნება ადგილობრივ პოპულაციას და გამორიცხავს შემოსულ ტურისტებს. ეს კვლევები, რომლებიც კრიმინალის კოეფიციენტის დადგენისას გამორიცხავენ ვიზიტორებს, შესაძლოა აზვიადებენ ვიქტიმიზაციის რეალურ კოეფიციენტს. ყველაზე მრავლისმომცველმა კვლევამ, რომელიც იყენებდა კრიმინალის დონის მაჩვენებელს აშშ-ში 1977-1996 წლებში, დაასკვნა, რომ კაზინოები ქვეყანაში კრიმინალის არსებობის არსებითი კატალიზატორია. ის რეგიონები, სადაც კაზინოები იყო განთავსებული, კრიმინალის დონის 8%-ით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდნენ, ვიდრე ისინი, სადაც კაზინოთა ქსელი არ იყო განთავსებული.

♦ არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა

ბოლო წლებში, მკვლევრების დიდ ინტერესს იწვევს პოტენციური კავშირის ძიება კაზინოსა და არაფხიზელ მდგომარეობაში მართვას შორის. რადგანაც მრავალი კაზინო თავის მომხმარებელს სთავაზობს ალკოჰოლურ სასმელებს სრულიად უფასოდ, კვლევის შედეგებით დადგინდა კაზინოების როლის ზრდა ალკოჰოლური თრობით გამოწვეულ ფატალურ ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებით ურბანულ ტერიტორიებზე.

♦ ფინანსური ზარალი

სოციალური ზეგავლენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ინდივიდების სრული ფინანსური მარცხი, გაკოტრება. კვლევები, უმეტესწილად ეხება პერსონალურ შემთხვევებს, როცა ადამიანებმა განიცადეს სრული ფინანსური კრახი და კრიზისულ ვითარებაში ჩავარდნენ გემბლინგთან კავშირის გამო.

მოკლედ მსურს შევეხო თამაშდამოკიდებულების ეკონომიკურ ზეგავლენას, რადგან საკმაოდ

მჭიდრო კავშირშია სოციალური გავლენის სფეროსთან. ის მოიცავს სახელმწიფო გადასახადებს, სამომხმარებლო სარგებელს, ეკონომიკურ განვითარებას, შიდა სამეწარმეო კონკურენციას. ზოგიერთი მკვლევარი გვთავაზობს მოსაზრებას, რომ რაც არ უნდა მეტი სამუშაო ადგილი შექმნას კაზინომ, ნაკლებ სარწმუნოა დასაქმების საერთო სისტემაში მნიშვნელოვანი სიტყვა თქვას ამ კუთხით. ყველაზე მრავლისმომცველი შრომითი ბაზრის კვლევები კი პოზიტიურ კავშირს ავლე-ნენ დასაქმებასთან დაკავშირებით აშშ-ს იმ რეგიონებში, რომლებიც კაზინოებით არის გა-მორჩეული. ეკონომიკური განვითარების და სამუშაო ადგილების შექმნის გარდა, ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოტივაცია სათა-მაშო ბიზნესის წარდგენისას არის მცდელობა, რომ გაიზარდოს სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლები. ადგილობრივი ბეგარა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, აშშ-ს სხვადასხვა შტატში სახელმწიფო საგადასახადო პროცენტი სრულიად განსხვავებულია: ნევადას შტატში ის 7-9%-მდე მერყეობს; ნიუ-ჯერსის, მისისიპის თუ ილინოისის შტატში-50%; ნიუ-იორკში-70%. კაზინო ინდუსტრიას აშშ-ში სხვა ბიზნესთან შედარებით ყველაზე მაღალი საგადასახადო ვალდებულებები აკისრია. საქართველოს რაც შეეხება, ახალი რეგულაციების მიხედვით, 2022 წლიდან სექტორის დაბეგვრის ფაზა გაიზრდება 65-70%-მდე.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აზარტულ თამაშობებზე დამოკიდებულების შესწავლის კუთხით, უმნიშვნელოვანესია როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ზეგავლენა საზოგადობაზე. მოგება მთლიანად შემთხვევითობას და იღბალს ემყარება და ნაკლებადაა დამოკიდებული მოთამაშის ხელოვნებასა და მოხერხებაზე. მიუხედავად ამისა, საკმაოდ მაღალია დამოკიდებულების მაჩვენებელი და საზოგადოებაზე მისი ზეგავლენა. „მსოფლიოს მოსახლეობის 51% წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობს ამ ტიპის თამაშებში.“ [5,6].

საქართველოშიც საკმაოდ კარგადაა განვითარებული სათამაშო ბიზნესი და ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იმისთვის, რომ შემცირდეს როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური ზეგავლენა, საჭიროა პირველ რიგში პრობლემის ხარისხის განსაზღვრა, ოჯახისა და სოციალური გარემოცვის სრული ინფორმირება და მხარდაჭერა, რაც თამაშდამოკიდებულ პირს ეხმარება ქცევის შეცვლაში, პრევენციული ღონისძიებების დანერგვა და ამ კუთხით სხვადასხვა სასურველ აქტივობებში მათი ჩართვა. პრობლემის მოგვარების გზაზე მნიშვნელოვანია საკითხის ნაკლები სტიგმატიზირება. ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის მითითებით, ლუდომანია-დაავადებაა, რომელიც მკურნალობას საჭიროებს. შესაბამისად საზოგადოების თითოეული წევრი უნდა ათვიცნობიერებდეს ფაქტს, რომ თამაშდამოკიდებული პირის ემოციები მთლიანად იმპულსური ხასიათისაა და ჩვენს მხარდაჭერას და თანადგომას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ბიბლიოგრაფია:

1. გამყრელიძე.ა, გამყრელიძე.შ, გიორგობიანი.ი „აზარტომანია-21 საუკუნის ნარკომანია“, თბ.2011
2. Douglas Walker; Russel.S Sobel “ Social and Economic Impacts of Gambling”;2016https://www.researchgate.net/publication/304609368_Social_and_Economic_Impacts_of_Gambling
3. “როგორ ყალიბდება თამაშდამოკიდებულება და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას - ინტერვიუ ფსიქოთერაპევტ სალომე ფანჯიკიძესთან”-სტატია, ანი ბარნაბიშვილი „რეზონანსი“,26.06.2021
4. კონსტანტინე ჯოჯუა; „მოგების დრო აზარტულ თამაშებში“, თბ.2012
5. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო- „აზარტული თამაშები საქართველოში“ მეორე ანგარიში თბ, 2015
6. Dr Gerda Reith „Research on the Social Impacts of Gambling“ scotland, 2006

Social and economic impacts of Gambling on society

Natia abuladze, PhD student
Georgian Technical university

Summary

The work discusses gaming and its social and economic impacts on society. This problem has been exacerbated in the light of the recent pandemic and numerous restrictions accompanying it. It has had an adverse effect on lots of individuals' financial and mental conditions, what ultimately made them an easy target for aggressive forms of gambling promotion.

Gambling exists from the beginning of humanity and has various impacts on huge part of society. "Ludomania, because of its clinical and pathological peculiarities, represents one of the most difficult way to be discerned before obvious symptoms are represented." [1,8] It is also very contagious. Human beings are social creatures by nature and according to this, gamblers also try to involve others in these activities to make it easy for them to satisfy their own needs.

"Thus, gambling addiction finds similarities with alcoholism and drug addiction and besides of habit and addiction, it plays nosotropic role to create different types of games"[1,8]

Besides of economic and financial difficulties gambling can affect a person's life detrimentally in various ways. Social impacts of gambling contain terms such as: less productivity, depression, increased suicide attempts, unpaid debts, family violence and conflicts which end with a divorce very often. Economic impacts of gambling are also very important, which is connected to tax revenues, employment, wages.

Negative results caused by social impacts of gambling, especially in adolescents are connected to lack of education, necessary abilities and involvement in interesting activities. Above-mentioned prevent economic cycle and effect negatively on social-economic development.

Financial distress, reduced familial stability, behavioural problems, stress lead to considerable pressure on families of pathological gamblers. Besides, some studies found out that, "the children of problem gamblers have a higher than normal involvement with addictive substances, more psycho-social problems, and more problems at school than others. Wives of problem gamblers report higher than average rates of depression, verbal and physical abuse and suicide attempts."[6,43]

According to these terms, social impact of gambling addiction plays indeterminate role on human being lives.

Key words: Gambling, Social impact, Economic impact, Addiction.

გარემოსდაცვითი საკითხები სოციოლოგიური კვლევების ფოკუსში

თამარ ბაგრატია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში გარემოსდაცვითი საკითხები განხილულია, როგორც სოციოლოგიის კვლევის საგანი, ადამიანის ზემოქმედების შედეგად გარემოსდაცვითი პრობლემების (კლიმატის ცვლილება, ეკოსისტემების დეგრადაცია, გარემოს დაბინძურება, ცხოვრების ხარისხის გაუარესება, იმ დაავადებების ზრდა, რომლებიც გამოწვეულია გარემოს დაბინძურებით და სხვ.) გააქტიურებისა და არსებული გლობალური გამოწვევების ფონზე, რომლებიც ქვეყნების უსაფრთხოების სხვადასხვა ფაქტორებზე, სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობაზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ნაშრომში გარემოს სოციოლოგიის ფორმირების მოკლე ისტორიაა გაანალიზებული, ასევე განხილულია ენტონ გიდენსის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების ფონზე სოციალურმა მეცნიერებებმა არ უნდა აარიდოს თავი და ხაზს უსვამს, რომ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტისათვის სოციალური ცვლილებები მნიშვნელოვანია, რაც სოციოლოგიის კვლევების ფოკუსში აქცევს ეკოლოგიურ საკითხებს, ასევე პიოტრ შტომპკას მოსაზრება, რომ ეკოლოგიური პრობლემა იმ ტიპის გამოწვევაა საზოგადოებებს შორის, რომ ახალი იდენტობის ჩამოყალიბებას ახდენს, რომელიც არ ცნობს რაიმე ეთნიკურ, სოციალურ და სხვა ტიპის დიფერენციაციას. ასევე მანუელ კასტელსისა, ზურაბ კაკაბაძის მოსაზრებები ეკოლოგიური საკითხების, როგორც სოციოლოგიისათვის საინტერესო კვლევის კულტურული ასპექტების შესახებ. ნაშრომი ასევე აყალიბებს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც გარემოსდაცვით საკითხებს სოციოლოგიური კვლევების ფოკუსში აქცევს და განიხილავს იმ კონკრეტულ გარემოსდაცვით პრობლემებს, რომლებიც მომავალში სხვადასხვა სოციალური ასპექტით აქტუალური კვლევების საგანი შეიძლება გახდეს, ვინაიდან ეკოლოგიური პრობლემები, როგორც სოციალური ცვლილებების გამომწვევი მიზეზი, ასევე ახალი იდენტობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტი, კულტურული ტრანსფორმაციის გამომწვევი და კულტურული იდენტობის შენარჩუნების ფაქტორადაც შეიძლება იყოს განხილული. სტატიაში ასევე განხილულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზა-ციის დოკუმენტის „Environmental Outlook to 2030“ მიხედვით, ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც გადაუდებელ ყურადღებას ითხოვს და მომავალში სხვადასხვა ასპექტით გარემოს სოციოლოგიის კვლევების აქტუალური საკითხები გახდება.

საკვანძო სიტყვები: სოციოლოგიური კვლევები, ეკოსისტემები, გლობალური გამოწვევები, ეკოლოგიური პრობლემები.

შესავალი

ბოლო პერიოდში გარემოსდაცვითი პრობლემები სახელმწიფოების პოლიტიკური დღის წესრიგისა და შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტი გახდა. ადამიანის ზემოქმედების შედეგად გარემოსდაცვითი პრობლემების (კლიმატის ცვლილება, ეკოსისტემების დეგრადაცია, გარემოს დაბინძურება, ცხოვრების ხარისხის გაუარესება, იმ დაავადებების ზრდა, რომლებიც გამოწვეულია გარემოს დაბინძურებით და სხვ.) გააქტიურება და მათი ნეგატიური გავლენის მასშტაბების ზრდამ ქვეყნების ეკონომიკაზე და ადამიანების ჯანმრთელობაზე, ქვეყნების მთავრობების და საზოგადოების წინაშე მნიშვნელოვანი გამოწვევები გააჩინა და გლობალური სახე მიიღო. ეკოლოგიური პრობლემები მოქმედებს ქვეყნების უსაფრთხოების სხვადასხვა ფაქტორებზე, სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობაზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე. შესაბამისად, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე არსებული გარემოს-დაცვითი გამოწვევების ფონზე, გარემოს სოციოლოგიური კვლევები უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

ძირითადი ნაწილი

გარემოს სოციოლოგია, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა არცთუ ისე დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა, გარემოს სოციოლოგია ოფიციალურად სოციოლოგიის ნაწილი 1976 წლიდან ხდება, [1] ხოლო პირველად მე-19 საუკუნეში ორმა სოციოლოგმა დაიწყო საუბარი ადამიანისა და გარემოს ურთიერკავშირზე - ჰენრი ტომას ბოკლიმ და ელსუორტ ჰანტიგტონმა. [2]

სოციალურ-ეკოლოგიური თეორიები კი ჯერ კიდევ 1920-იან წლებში იყო წარმოდგენილი რობერ პარკის, ერნსტ ბერჯესის [3] და ჩიკაგოს სკოლის სხვა წარმომადგენლების მიერ. 1990-იან წლებში გარემოს სოციოლოგია დამოუკიდებელი დისციპლინის სტატუსს იღებს, რამაც 1992 წელს ინსტიტუციური ასახვა ჰპოვა საერთაშორისო სოციოლოგთა ასოციაციის ფარგლებში რეფორმირებული კომიტეტის „გარემო და საზოგადოება“ შექმნაში.

გარემოს სოციოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სოციალური გარემოსა და ბუნებრივი გარემოს ფუნქციონირების, განვითარებისა და სოციალური და ეკოლოგიური სისტემების ურთიერთქმედების საკითხებს - კერძოდ, სხვადასხვა მასშტაბში შეისწავლის ურთიერთობებს თანამედროვე საზოგადოებებსა და გარემოს შორის და მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: გარემოსდაცვითი ცნობიერება, გარემო და უთანასწორობა, გარემოსდაცვითი სოციალური მოძრაობები და სოციალური ცვლილებები, მიგრაცია და გარემო, გარემოსდაცვითი პოლიტიკის რეფორმების ანალიზი და ადაპტაცია, რისკების სოციოლოგია, კონფლიქტებისა და კატასტროფების ეკოსოციოლოგია და ა.შ. გარემოს სოციოლოგია ფორმულირებულია, როგორც დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ფიზიკურ გარემოს, სოციალურ ქცევისა და სოციალური ინსტიტუტების ინტერაქციას.

როდის ხდება გარემოსდაცვითი საკითხი სოციოლოგიის კვლევის ფოკუსში - მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ რამდენიმე ზოგადი კრიტერიუმი, რომელიც გარემოსდაცვით საკითხებს სოციოლოგიის კვლევის საგნად აქცევს:

- გარემოს კვლევაში გამოიყენება სოციოლოგიური კვლევის მეთოდები;
- ანალიზი ეფუძნება სოციალურ თეორიებს;
- კვლევის კონტექსტს სოციალური და ბუნებრივი გარემო წარმოდგენს;
- კვლევის ობიექტი სოციალური სტრუქტურები და ინსტიტუტები, ორგანიზაციებია და თემები, ჯგუფები და ინდივიდებია, რომლებიც უერთიერთქმედებენ გარემოზე და ერთმანეთთან გარემოს საკითხებზე;
- კვლევაში განიხილება სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთქმედების მექანიზმები და სოციალური ასპექტები, მიზეზები და შედეგები, განვითარების ეტაპები.

ენტონ გიდენსი ნაშრომში „სოციოლოგია“ აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად არის გარემოსდაცვითი საკითხები სოციოლოგიის კვლევის საგანი. ნაშრომში, რომელშიც განხილულია ეკოლოგიური კრიზისი და მოსახლეობის რაოდენობის ზრდის საკითხები, ადამიანის გავლენა გარემოზე, იგი აღნიშნავს: „რატომ უნდა აწუხებდეთ გარემოს პრობლემები სოციოლოგებს? ხომ არ არის ეს მხოლოდ საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიების მეცნიერებების კომპეტენცია? გარემოს გადარჩენა მოითხოვს არა მარტო ტექნოლოგიურ, არამედ სოციალურ ცვლილებებს, ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ განვითარებული მდიდარი ქვეყნების მოსახლეობამ უნდა შეცვალოს მომხმარებლობითი ფსიქოლოგია და ცხოვრების შედარებით უბრალო წესს დაუბრუნდნენ, თუ გვინდა გლობალური ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან არიდება.“[4] მისი აზრით, ეკოლოგიური პრობლემები უფრო და უფრო მწვავდება, ასევე ფართოვდება მათი არეალი, რაც სოციალური მეცნიერების წინ, როგორც გამოწვევა დგას, და სოციალურმა მეცნიერებამ არ უნდა აარიდოს მას თავი”. გიდენსი ხაზს უსვამს, რომ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტისათვის სოციალური ცვლილებები მნიშვნელოვანია,რაც სოციოლოგიის კვლევების ფოკუსში აქცევს ეკოლოგიურ საკითხებს.

საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს პოლონელი სოციოლოგი პიოტრ შტომპკა. იგი ეკოლოგიურ პრობლემებს განსხვავებულ კონტექსტში განიხილავს და ერთ-ერთ ინტერვიუში [5] აღნიშნავს: „თანამედროვე სოციოლოგები სწავლობენ გლობალურ იდენტობას, ანუ, როგორც მას უფრო ხშირად უწოდებენ, კოსმოპოლიტურ იდენტობას, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვიწყებთ ფიქრს „ჩვენზე“, როგორც ადამიანებზე, ვზრუნავთ ეკოლოგიაზე, გლობალურ დათბობაზე და ა.შ. ჩვენ არა, როგორც რუსები, ამერიკელები, გერმანელები, არამედ, როგორც ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ დედამიწის მომავალზე.“ მისი აზრით, საინტერესოა იმის კვლევა, თუ როგორ ყალიბდება ამ ტიპის იდენტობა, როგორ ყალიბდება ახალი ტიპის საზღვრები, როგორ იცვლება „სხვა“ და „ჩვენის“ მნიშვნელობები. შტომპკას აზრით, ეკოლოგიური პრობლემა იმ ტიპის გამოწვევაა საზოგადოებებს შორის, რომ ახალი იდენტობის ჩამოყალიბებას ახდენს, რომელიც არ ცნობს რაიმე ეთნიკურ, სოციალურ და სხვა ტიპის დიფერენციაციას.

გარემოსდაცვითი მოძრაობების „კულტურულ“ ომში მნიშვნელოვან როლზე, როგორც პასუხზე ახალი ტექნოლოგიურ პარადიგმაზე, რომელიც კულტურულ ტრანსფორმაციას გარდაუვალს ხდის ამახვილებს ყურადღებას ესპანელი სოციოლოგი მანუელ კასტელსი ნაშრომში „ქსელური

საზოგადოების აღზევება," [6] მისი აზრით, იგი კულტურულ ომში ეკოლოგიური საკითხები ურბანულ გარემოში ბრძოლისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან საომარ ველს წარმოადგენს.

გარემოსდაცვის საკითხებს საინტერესო კუთხით განიხილავს განიხილავს ქართველი ფილოსოფი ზურაბ კაკაბაძე ნაშრომში „ბუნების დაცვის ერთი უცნობი ასპექტის შესახებ", [7] რომელშიც საუბარია ეკოლოგიური კრიზისის პრობლემებზე და აღნიშნულია, რომ ბუნების დაცვა ინდუსტრიული პროცესების კონტროლირებასა და გონივრულად წარმართვას გულისხმობს. მისი აზრით, კაცობრიობა მხოლოდ მაშინ შეძლებს ინდუსტრიული პროცესების წარმართვას და ბუნების დაცვას, თუ სრული მასშტაბით გაითვალისწინებს ბუნების გარდაქმნებისა და გადაგვარებისაგან წარმოქმნილ ხიფათს. „კაცობრიობისათვის სრულად არ კმარა ელემენტარულ დონეზე სოცოცხლე და მაშასადამე, სიცოცხლის ელემენტარული პირობების შენარჩუნება, მას აგრეთვე კულტურის შენარჩუნება და განვითარება სჭირდება",- ბუნების დაცვისათვის შექმნილი მოძრაობების აზრი არ ამოიწურება მხოლოდ სიცოცხლის ელემენტარული პირობების დაცვით." მეცნიერის მოსაზრებით, გარემოს დაცვა, ვინაიდან ბუნების თავისებურებები ხალხის ხასიათსა და ბუნებას განსაზღვრავს, ეროვნულ კულტურათა თავისებურებთან და სხვადასხვაობასთან არის დაკავშირებული, ბუნების დასაცავად აღძრულ მოძრაობებს ეს ასპექტი მნიშვნელოვნად აძლიერებს. მეცნიერის ეს მოსაზრება მრავალი სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევის საინტერესო სპექტრს გვთავაზობს.

თანამედროვე პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა აზრით, დღევანდელ პოლიტიკაში საკვანძო მნიშვნელობისაა სუბკულტურის რეგიონული ტიპი, რომელიც განპირობებულია ქვეყნის ცალკეულ რეგიონს შორის ეკოლოგიური განსხვავებით. კლიმატი, ბუნებრივი რესურსები და სხვა ფაქტორები ქმნის ეკონომიკურ განსხვავებებს, რომელიც ეხება ამა თუ იმ რეგიონის ცხოვრების წესს და მასზე ზეგავლენას ახდენს; შესაბამისად, გარემოსდაცვითი საკითხები რეგიონული სუბკულტურის შენარჩუნების კონტექსტშიც შეგვიძლია განვიხილოთ.

ზემოთ განხილული ნაშრომების ანალიზი ნათლად გვაჩვენებს, რომ გარემოსდაცვითი საკითხები სოციოლოგიის კვლევის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ვინაიდან ეკოლოგიური პრობლემები შეიძლება გახდეს როგორც სოციალური ცვლილებების გამომწვევი მიზეზი, ასევე ახალი იდენტობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტი, კულტურული ტრანსფორმაციის გამომწვევი და კულტურული იდენტობის შენარჩუნების ფაქტორი.

გარემოს სოციოლოგიის განვითარებას აშშ-სა და ევროპაში ხელი შეუწყო გლობალური პრობლემების გამწვავებამ, ეკონომიკაში სტრუქტურულმა ძვრებმა, 70-80-იან წლების ენერგეტიკულმა კრიზისმა, ეკოლოგიური მოძრაობების რამდენიმე ტალღის განვითარებამ. საბჭოთა პერიოდში ამ დარგის განვითარებას არ გააჩნდა მსგავსი წინაპირობები. გარემოს სოციოლოგიის განვითარების ეტაპები მჭიდროდ იყო დაკავშირებული საზოგადოებრივ ინტერესებთან გარემოს დაცვის საკითხებზე და ეკოლოგიური პრობლემების გამოწვევებზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოში გარემოს სოციოლოგიური კვლევები მწირად არის წარმოდგენილი და მხოლოდ ცალკეული პრობლემატიკის ფრაგმენტულ კვლევებს მოიცავს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის დოკუმენტის „Environmental Outlook to 2030" მიხედვით,[8] ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც გადაუდებელ ყურადღებას ითხოვს, შემდეგნაირად არის კლასიფიცირებული (ცხრ. 1).

შესაბამისად, სოციოლოგიის საკვლევი თემატიკა სხვადასხვა ასპექტით ამ პრობლემატიკის გარშემო იქნება კონცენტრირებული, თუმცა გარემოს სოციოლოგიამ შეიძლება საკითხების უფრო ფართო სპექტრიც მოიცვას, რომლებიც ეკოლოგიური და სოციალური სისტემების ურთიერთქმედებას უკავშირდება: მაგ. სხვადასხვა ტიპის რისკები და კონფლიქტები. ასევე მნიშვნელოვანია სოციოლოგიური კვლევები მდგრადი განვითარების კონტექსტში.

სტატიაში „გლობალური გარემოსდაცვითი სოციოლოგიისკენ? მემკვიდრეობა, ტენდენციები და სამომავლო მიმართულებები" [9] ავტორებმა განიხილეს გარემოსდაცვითი სოციოლოგიის შესახებ მიმდინარე დებატები, იმის შესახებ. თუ როგორ უნდა მოახდინოს ქვედისციპლინამ კონცეპტუალიზაცია - გამოიკვლიოს გარემო თუ უნდა იყოს ინსტრუქციული და პოლიტიკის რეკომენდაციების მიმწოდებელი. ავტორები ასევე სვამენ კითხვას, თუ რამდენად შესაფერისია გარემოს სოციოლოგიის დღევანდელი ვერსიები გლობალიზებული მსოფლიო გარემოს გასაანალიზებლად; სტატია გვთავაზობს ახალ წესებს გლობალური გარემოსდაცვითი სოციოლოგიისთვის და აღწერს მათ შესაძლო გავლენას კლიმატის ცვლილების სოციოლოგიურ კვლევაზე. კლიმატის

ცხრილი 1.მწვავე ეკოლოგიური პრობლემები OECD-ის მიხედვით

კლიმატის ცვლილება	♦ გლობალური სათბური აირის ემისიები ♦ კლიმატის ცვლილების შედეგების შემცირება
ბიომრავალფროვნება და განახლებადი რესურსები	♦ ეკოსისტემის ხარისხი ♦ სახეობების გაქრობა ♦ ინვაზიური უცხო სახეობები ♦ ტროპიკული ტყეები ♦ უკანონო ტყის ჭრა ♦ ეკოსისტემის ფრაგმენტაცია
წყლის რესურსები	♦ წყლის რესურსების დეფიციტი ♦ მიწისქვეშა წყლების ხარისხი ♦ სოფლის მეურნეობის წყლის გამოყენება და დაბინძურება
ჰაერის ხარისხი	♦ ჰაერის ხარისხი ქალაქებში
ნარჩენები და საშიში ქიმიკატები	♦ სახიფათო ნარჩენების მართვა და ტრანსპორტირება ♦ ნარჩენების მართვა განვითარებად ♦ ქვეყნებში ♦ ქიმიკატები გარემოში და პროდუქტებში

ცვლილების შედეგად გამოწვეული სხვადასხვა სოციალური ცვლილებების კვლევა კი მომავალში მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებს.

დასკვნა

გარემოსდაცვითი პრობლემები სოციოლოგიური კვლევების ფოკუსში მრავალი მიმართულებით ექცევა, ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების კვალდაკვალ კი ასეთი კვლევების აქტუალობა და მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება და გლობალურ სახეს იძენს, მოიცავს რა, ეკოლოგიური და სოციალური სისტემების ურთიერთქმედების შედეგად გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებს. საქართველოში მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გამოწვევების არსებობა და სოციოლოგიური კვლევების სიმწირე მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია ამ ქვედისციპლინის განვითარების ხელშეწყობა, რაც სოციალური და ეკოლოგიური სისტემების ურთიერთქმედების საკითხების გადაწყვეტაში და მდგრად განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gould, K.A.; Lewis, T.L. (Eds.) Twenty Lessons in Environmental Sociology; Oxford University Press: New York, NY, USA; Oxford, UK, 2009.
2. Hannigan, J. Environmental Sociology: A Social Constructivist Perspective, 2nd ed.; Routledge: New York, NY, USA, 2006
3. Park, Robert, Ernest W. Burgess and Roderick D. McKenzie. The City. Chicago: University of Chicago Press, 1925.
4. Giddens A, Introduction to Sociology.. New York, Norton,1991
5. ბერძენიშვილი ა. „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები," ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019.
6. Castells, Manuel "The Rise of the Network Society, The Information Age: Economy, Society and Culture Vol. I. Cambridge, MA; Oxford, UK: Blackwell. (1996).
7. კაკაბაძე ზ. ფილოსოფიური საუბრები, „ბუნების დაცვის ერთი უცნობი ასპექტის შესახებ", თბილისი, 1988.
8. ვებ-გვერდი: https://www.oecd.org/env/indicators-modelling-outlooks/40200582.pdf
9. ვებ-გვერდი: https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0011392114543537

Environmental Protection Issues in the Focus of Sociological Researches
(Environmental sociology, environmental issues, social system, environmental awareness, social change)

Tamar Bagratia, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article discusses environmental issues as a subject of sociological research against the background of intensified man-made environmental issues (climate change, degradation of ecological systems, environmental pollution, worsening the standard of living, and increase in such diseases which are caused by environmental pollution, etc.) and the global challenges, which make a significant impact on various factors of the national security, social and political stability, and functioning of state and public institutions.

Environmental sociology is the study of social environment and natural environment, their operation, development and their relationship – specifically, it studies to various degree of relationships between modern societies and environment and covers such topics as: environmental awareness, environment and equality, environmental social movements and social changes, migration and environment, analysis of environment protection policy and adaptation, sociology of risks, eco-sociology of conflicts and natural disasters, etc.

The paper analyzes the brief history of forming the environmental sociology as well as discusses Antony Giddens's opinions as to how social sciences should not avoid environmental issues which have exacerbated. He emphasizes that social changes are important for solving environmental problems, making them the focus of sociology. The paper also discusses Peter Shtompka's opinion that an environmental problem is such type of challenge that forms a new identity amongst the communities. It also deals with the opinions of Manuel Castells, and Zurab Kakabadze about ecological issues, as interesting cultural aspects of research for sociology. The paper also sets out the criteria which puts the environmental issues on the radar of sociological researches and deals with specific environmental issues along with their various social aspects may become the subject of topical researches in future, since environmental issues, as a cause of social changes, as well as an instrument to form a new identity, may be also considered to be a factor in causing cultural transformation and preserving a cultural identity.

The article also covers the ecological problems which require immediate attention and various aspects of which will become topical issues for sociology researches according to Environmental Outlook to 2030 issued by Organization for Economic Co-operation and Development.

მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის სოციალური ასპექტები

კონსტანტინე ბარაბაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საკითხები და მისი გავლენა სოციალურ გარემოზე. მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ინფლაციის მოლოდინებზე ზეგავლენის მოხდენა, მოლოდინების მართვა. კომუნიკაცია, ზრდის მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობას, რაც, საბოლოოდ, ხელს უწყობს ცენტრალური ბანკის ძირითადი მიზნის - ფასების სტაბილურობის მიღწევას.

საზოგადოებასთან და ფინანსურ ბაზრებთან აქტიური კომუნიკაცია ნებისმიერი ცენტრალური ბანკისთვის არსებითად მნიშნელოვანია. კომუნიკაცია მონეტარული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია ბევრ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში.

გაანალიზებულია სხვადასხვა ფორმატების გამოყენების შესაძლებლობა იმისათვის, რომ ცენტრალურმა ბანკებმა რაც შეიძლება განსხვავებულ აუდიტორიასთან აწარმოონ კომუნიკაცია. ეფექტური კომუნიკაცია ხელს უწყობს ცენტრალური ბანკის სანდოობას, რაც თავის მხრივ ფასების სტაბილურობის შენარჩუნების ირგვლივ გაურკვევლობას ამცირებს.

ცენტრალური ბანკები, როგორც დამოუკიდებელი საჯარო ინსტიტუციები, ანგარიშვალდებულნი არიან საზოგადოების წინაშე. ანგარიშვალდებულების ხელისშეწყობისათვის მათ სჭირდებათ საზოგადოების ინფორმირება თავიანთი მოქმედებების შესახებ, ისე რომ დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ აღიქვან მონეტარული პოლიტიკის ყოველი გადაწყვეტილება, როგორც ნაწილი ლოგიკური გადაწყვეტილებების ჯაჭვისა, რომელიც მიდის გარკვეულ შედეგამდე და ამის მეშვეობით შეაფასონ მათი ეფექტურობა.

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკის საკომუნიკაციო მიდგომები. კვლევებმა დაადასტურა, რომ ეფექტური კომუნიკაციის განხორციელებისას, თანდათანობით იზრდება ცნობადობა ცენტრალური ბანკის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ამას გარდა, ეფექტიანი კომუნიკაციით ხდება ცენტრალური ბანკის მიმართ სანდოობის ზრდისა და მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების პროგნოზირებადობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ცენტრალური ბანკები მუდმივად ისწრაფვიან კომუნიკაციის არხების მოდიფიცირებისკენ. კვლევებით დადგინდა, რომ ცენტრალურ ბანკებს ჩვეულებრივი კომუნიკაცია გასაუმჯობესებელი აქვთ, რაც მოსახლეობის ჩართულობითა და მათი ფინანსური განათლების დონის ამაღლებით უნდა მოხდეს. ასევე, ცენტრალურმა ბანკებმა მუდმივად უნდა იზრუნონ საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესებასა და განვითარებაზე იმისათვის, რომ მოახდინონ საზოგადოებაში ნდობის ამაღლება და ინფლაციური მოლოდინების უკეთესად მართვა.

საკვანძო სიტყვები: მონეტარულ პოლიტიკა, ცენტრალური ბანკის კომუნიკაცია, ფასების სტაბილურობა, ინფლაცია, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი, ინფლაციის მოლოდინი, ფინანსური განათლება, საკომუნიკაციო სტრატეგია, ცენტრალური ბანკის გამჭვირვალობა, დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკები, საკომუნიკაციო არხები.

შესავალი

ცენტრალური ბანკისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს მისი ძირითადი ამოცანების, მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებისა და გატარებული ღონისძიებების საზოგადოებასთან კომუნიკაცია.

ფინანსურ სექტორთან და ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაცია მნიშვნელოვანია ნებისმიერი ცენტრალური ბანკისათვის და მას გაზრდილი მნიშვნელობა ენიჭება ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

ცენტრალურ ბანკებში 1990-იან წლებამდე გამეფებული იყო შეხედულება, რომ მონეტარული პოლიტიკის განმახორციელებლებმა რაც შეიძლება ნაკლები უნდა ილაპარაკონ.

აშშ-ის სენატის კომიტეტში გამოსვლისას, ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველი, ალან გრინსპანი 1987 წელს ამბობდა: „მას შემდეგ, რაც ცენტრალური ბანკირი გავხდი, გაუგებრად და არალოგიკურად ლაპარაკი ვისწავლე. თუ რასაც ვამბობ, თქვენთვის ნათელია, მაშინ თქვენ კარგად ვერ გაიგეთ რა ვთქვი“.

შემდგომში გავრცელდა შეხედულება, რომ უფრო მეტმა ღიაობამ შეიძლება გააუმჯობესოს მონეტარული პოლიტიკა.

წარმატებული მონეტარული პოლიტიკა დაკავშირებულია არა იმდენად მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის ეფექტიან კონტროლთან, რამდენადაც ბაზრის მოლოდინებზე ზეგავლენის მოხდენასთან.

ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკისათვის აუცილებელია გამჭვირვალობა. ცენტრალურ ბანკებში ეს მოსაზრება განსაკუთრებით პოპულარული ბოლო ათწლეულის განმავლობაში გახდა.

ცენტრალური ბანკების კომუნიკაციის ინტენსიფიკაციის პროცესი დამახასიათებელია მსოფლიო მასშტაბით.

ძირითადი ნაწილი

მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაცია: კომუნიკაცია მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. კომუნიკაცია ზრდის მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობას, რაც, საბოლოოდ, ხელს უწყობს ცენტრალური ბანკის ძირითადი მიზნის - ფასების სტაბილურობის მიღწევას. ფასების სტაბილურობა არ გულისხმობს უცვლელ ფასებს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასები მუდმივად იცვლება. მცირე მასშტაბით ფასების საერთო დონის ზრდა, ანუ ზომიერი ინფლაცია, ეკონომიკური ზრდისა და, შედეგად, მოსახლეობის შემოსავლების ზრდის თანამდევი მოვლენაა. შესაბამისად, ფასების სტაბილურობაში იგულისხმება საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის ისეთი დონე, რომელიც იცავს საუკეთესო ბალანსს შემოსავლების გრძელვადიან ზრდასა და ფასების მატებას შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფასების სტაბილურობა არის ინფლაციის ოპტიმალური დონე, როდესაც მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდის გრძელვადიანი ტემპი ყველაზე მაღალი და მდგრადია.

მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არის მოლოდინებზე ზეგავლენის მოხდენა, მოლოდინების მართვა. მიუხედავად იმისა, რომ დროის კონკრეტულ მომენტში შესაძლოა ფაქტიური ინფლაცია გადახრილი იყოს მიზნობრივი დონიდან, ეფექტური კომუნიკაციის პირობებში ბაზრის მოლოდინები მაინც ჩამოყალიბებულია ინფლაციის მიზნობრივი დონის ირგვლივ, რაც აადვილებს ინფლაციის დაბრუნებას მიზნობრივ დონემდე. ამას გარდა კომუნიკაცია უზრუნველყოფს ბაზარზე პროგნოზირებადი გარემოს შექმნას. ამდენად, ღიაობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკების საქმიანობისთვის.

დღესდღეობით ეკონომისტებში აღიარებულია, რომ ინფლაციის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ინფლაციის მოლოდინია. მაგალითად, თუ ეკონომიკური აგენტები მომავალში ელოდებიან ფასების დონის მნიშვნელოვან ზრდას, ისინი გაზრდიან მოხმარებას დღესვე, რაც გაზრდის ერთობლივ მოთხოვნას და შესაბამისად უფრო მეტად გაიზრდება ფასების დონეც დღესვე. ანუ ინფლაციის მოლოდინმა შესაძლოა გამოიწვიოს ფაქტობრივი ინფლაცია. სწორედ ამიტომ, ცენტრალური ბანკები ზრუნავენ ინფლაციის მოლოდინების მიზნობრივ დონესთან ახლოს შენარჩუნებაზე. ამისთვის მნიშნველოვანია ეკონომიკურ აგენტებთან რეგულარული და ეფექტური კომუნიკაცია მონეტარული პოლიტიკის მიზნებისა და განხორციელების შესახებ და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. სა-ბედნიეროდ, მონეტარული პოლიტიკის სხვა რეჟიმებთან შედარებით, ინფლაციის თარგეთირების ერთ-ერთ უპირატესობას სწორედ მისი კომუნიკაციის სიმარტივე წარმოადგენს, ვინაიდან ინფლაციის წინასწარ გამოცხადებული მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს ცენტრალური ბანკის მთავარი მიზანი და შეიქმნას სწორი მოლოდინები მონეტარული პოლიტიკის მომავალი ცვლილებების შესახებ.

კომუნიკაციის შედეგად, თანდათანობით იზრდება ცნობადობა ცენტრალური ბანკის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ამას გარდა, ეფექტიანი კომუნიკაციით ხდება ცენტრალური ბანკის მიმართ სანდოობის ზრდისა და მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების პროგნოზირებადობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, რაც რაციონალური მოლოდინების ფორმირების აუცილებელი წინაპირობებია.

მთელ მსოფლიოში ცენტრალურმა ბანკებმა ბევრი რამ გააკეთეს კომუნიკაციის სრულყოფისთვის. "დღეს ცენტრალური ბანკის კომუნიკაცია არ არის მხოლოდ მონეტარული პოლიტიკის ელემენტი, არამედ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტსაც წარმოადგენს", - ასეთი შეფასება გააკეთა 2014 წელს ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა, მარიო დრაგიმ.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ცენტრალური ბანკები მიისწრაფოდნენ კომუნიკაციის არხების მოდიფიცირებისკენ, გამომდინარე იქიდან, რომ ბევრი მათგანი წუხდა იმაზე, რომ მათი კომუნიკაცია ჩვეულებრივი მოსახლეობისთვის საკმაოდ რთული გასაგები იყო. ამან, რა თქმა უნდა, შეიძლება შეაფერხოს კიდეც ცენტრალური ბანკის

პოლიტიკის შემუშავება და შეასუსტოს მისადმი ნდობა.

ინგლისის ბანკის კვლევის თანახმად, ცენტრალურ ბანკებს ჩვეულებრივი კომუნიკაცია დასახვეწი და გასაუმჯობესებელი აქვთ. ეს მოსახლეობის ჩართულობითა და მათი ფინანსური განათლების დონის ამაღლებით უნდა მოხდეს.

კვლევა ყურადღებას ამახვილებს კონცეფციაზე, რომელიც ნათლად ასახავს თუ როგორ შეუძლია ჩვეულებრივ, მარტივ კომუნიკაციას მოსახლეობაში სრულიად მოულოდნელი, უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს.

აღნიშნული კვლევის ავტორებს მიაჩნიათ, რომ გამარტივებულმა კომუნიკაციამ შეიძლება გაზარდოს მოსახლეობის წილი, რომლებიც ყურადღებას აქცევენ ცენტრალური ბანკის მესიჯებს, რაც ასევე ამყარებს მოსახლეობის ნდობას ბანკის მიმართ და შედეგად, ზრდის კეთილდღეობას. თუმცა, ეს ახლადშექმნილი ნდობა ვერ შენარჩუნდება თუ საზოგადოება, შენიშნავს, რომ რეალობა არ შეესაბამება ცენტრალური ბანკის მარტივ საკომუნიკაციო მესიჯებს.

ცენტრალურმა ბანკებმა გასაგებად უნდა აუხსნან მოსახლეობას საკუთარი მოქმედებების ჩარჩო და ხმა მიაწვდინონ კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფებს, გაზარდონ მათი ჩართულობა და იზრუნონ ფინანსური განათლების დონის ამაღლებაზე. მოსახლეობამ კარგად უნდა გაიაზროს ბანკის ფუნქცია-მოვალეობები. საკომუნიკაციო პოლიტიკის წარმატება, აღნიშნავენ ავტორები, იმით კი არ უნდა შეფასდეს, თუ რამდენ ადამიანთან შედგა კომუნიკაცია, ან ორიენტირებული კი არ უნდა იყოს იმაზე, რომ რაც შეიძლება ბევრ ადამიანს მიაწვდინონ ხმა, არამედ პირიქით, გაზარდონ ამჟამინდელი დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობა.

ავტორებმა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების ანალიზიც გააკეთეს, რომლის მეშვეობითაც ცენტრალური ბანკები უზრუნველყოფდნენ სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობას. "კომუნიკაცია აუცილებელია იყოს მარტივი, რელევანტური და ჰქონდეს ლოგიკური ბმა, რათა ფართო აუდიტორიისთვის უფრო სანდო და დამაჯერებელი გახდეს", - აღნიშნავენ ისინი.

მარტივი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, ცენტრალურმა ბანკებმა უნდა შექმნან შესაბამისი კონტექსტი და ეს შესაძლებელია სხვადასხვა ამბების გამოყენებით მოხდეს. ამჟამად, სოციალური მედია ერთ-ერთი ძირითადი არხია, რომლის მეშვეობით ცენტრალურმა ბანკებმა დაიწყეს შესაბამისი ამბების თხრობა.

ავტორები ცენტრალურ ბანკებს რეკომენდაციას აძლევენ უფრო პირდაპირი ხერხებით ჩართონ მოსახლეობა, მაგალითად თუნდაც პირისპირ შეხვედრებით. ასეთი სახის საუბრები შესაძლოა დაეხმაროს ცენტრალურ ბანკებს შეისწავლონ თუ როგორ იღებს საზოგადოება ბანკის ამა თუ იმ მესიჯს და დარწმუნდნენ იმაში, რომ მათი კომუნიკაცია პირდაპირ პასუხობს ხალხის კითხვებს, მათ ინტერესებს.

ცენტრალურმა ბანკებმა კომუნიკაციის სტრატეგია უფრო გასაგები ენითა და პირდაპირი ჩართულობით განავითარეს, მაგრამ ალტერნატიული მედიის ფორმების გამოყენებამ ასევე შესაძლოა ხელი შეუწყოს კომუნიკაციის ეფექტურობას.

ცენტრალურმა ბანკებმა უნდა გააგრძელონ საკომუნიკაციო სტრატეგიის განვითარება, რათა ხმა მიაწვდინონ მოსახლეობას უფრო მეტ რაოდენობას და თავიანთი პოლიტიკის ამჟამინდელ სცენართან მოახდინონ ადაპტირება.

კომუნიკაცია სხვადასხვა აუდიტორიისთვის ადაპტირებას საჭიროებს

ცენტრალურმა ბანკებმა უნდა განიხილონ სხვადასხვა ფორმატების გამოყენების შესაძლებლობა იმისათვის, რომ რაც შეიძლება განსხვავებულ აუდიტორიასთან აწარმოონ კომუნიკაცია. ამის შესახებ აღნიშნულია ავსტრალიის ცენტრალური ბანკის უახლეს კვლევაში, რომლის ავტორებმა (ჯოან ჰუანგიმ და ჯონ საიმონმა) გამოიკვლიეს თუ როგორ აღიქვამს სხვადასხვა აუდიტორია ტექსტის წაკითვხადობის და არგუმენტირების ხარისხს სხვადასხვა ეკონომიკურ კომუნიკაციაში.

მიმდინარე ეტაპზე ცენტრალური ბანკები იყენებენ ტექსტის აღქმადობის ინდექსს (readability index) და ტექსტის ხარისხის მაჩვენებლებს (text quality metrics) იმისთვის, რომ გაარკვიონ შეესაბამება თუ არა მათი შეტყობინებები საკომუნიკაციო მიზნებს.

კვლევის ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ ზოგადი აღქმადობის ინდექსი (common readability indexes) ძალიან სუსტ კორელაციაშია ინდივიდების წაკითხვადობის ან მსჯელობის რეიტინგებთან. გარდა ამისა, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ეკონომიკური კომუნიკაცია ეკონომისტებს და არაეკონომისტებს განსხვავებულად ესმით. ასევე, არსებობს „კომპრომისი" (არჩევანი) ტექსტის აღქმდობასა (readability) და მსჯელობას შორის.

როგორც წესი, დოკუმენტების შესავალი უფრო მეტად წაკითხვადია, თუმცა შეიცავს ნაკლებ არგუმენტებს, მაშინ როდესაც დასკვნები, პირიქით,

ნაკლებად წაკითხვადია, მაგრამ მეტ არგუმენტებს შეიცავს. ეს ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილებს აქვთ განსხვავებული მიზნები და საკმაოდ რთული იქნებოდა იმ მრავალფეროვანი მიზნების მიღწევა ერთ პარაგრაფში მხოლოდ ერთი სტილით წერისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მხოლოდ ერთი ხარისხის საზომის გამოყენებას მთელი დოკუმენტისთვის არ შეუძლია დაადგინოს სხვადასხვა აქცენტის საჭიროება სხვადასხვა ნაწილებში. შესაბამისად, ტექსტის ხარისხის მაჩვენებლები უნდა იყოს გამოყენებული ინფორმირებისთვის ვიდრე მზა რეცეპტისთვის (რეკომენდაციისთვის).

ავტორები სთავაზობენ ცენტრალურ ბანკებს, რომლებსაც სურთ გააუმჯობესონ თავიანთი კომუნიკაცია და გამჭვირვალობა, რომ „ძირითადი არგუმენტები“ სხვადასხვა ფორმატში წარადგინონ, რათა შეძლონ მოიცვან განსხვავებული აუდიტორია.

ცენტრალური ბანკის მაღალი ხარისხის კომუნიკაციას ერთი მხრივ, შეუძლია მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობის გაუმჯობესება და მეორე მხრივ, ის არის არსებითი ელემენტი ცენტრალური ბანკის უფრო მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, არ არსებობს შეთანხმება იმაზე თუ როგორია ეს მაღალი ხარისხის კომუნიკაცია.

სწორედ ამ მიზნით, ავსტრალიელმა მკვლევრებმა იმისათვის, რომ ნათელი მოეფინათ ამ საკითხისათვის ცენტრალური ბანკის კომუნიკაციის სამი მნიშვნელოვანი ასპექტის კვლევა შემოგვთავაზეს. მათი აზრით, საჭიროა ფოკუსირება მოვახდინოთ იმაზე, თუ როგორ აღიქვამს სხვადასხვა აუდიტორია ტექსტის კითხვადობას და არგუმენტირების ხარისხს სხვადასხვა ეკონომიკურ პუბლიკაციებში.

გადაწყვეტილებების მიღების მიზეზების მითითება არის გამჭვირვალობის კრიტიკული ელემენტი. კვლევის ავტორებმა აღმოაჩინეს მცირე კორელაცია ეკონომიკური კომუნიკაციის აღქმულ კითხვადობასა და არგუმენტაციას შორის, რაც ხაზს უსვამს, რომ საყოველთაოდ მიღებული კითხვადობის მაჩვენებლები შესაძლოა უგულებელყოფდეს კომუნიკაციის მნიშვნელოვან ასპექტებს. მათ ასევე დაინახეს, რომ კომუნიკაციის ხარისხის აღქმა შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს აუდიტორიების მიხედვით. ერთი ზომა არ ერგება ყველას. იმისთვის რომ უფრო ჩავუღრმავდეთ, ავტორებმა გამოიყენეს მანქანური სწავლების ტექნიკა და განავითარეს მოდელი, რომელიც პროგნოზირებს თუ როგორ აფასებს სხვადასხვა აუდიტორია ტექსტების კითხვადობასა და არგუმენტაციას ტექსტების შიგნით. მოდელი ხაზს უსვამს, რომ მარტივად წერა აუცილებლად არ ნიშნავს არც მეტად კითხვადობას და არც ავტორის არგუმენტაციის გამოვლენას.

კვლევის შედეგებმა აჩვენეს, თუ რამდენად განსხვავდება კითხვადობა და არგუმენტაცია, როგორც დოკუმენტების შიგნით, ასევე დოკუმენტებს შორის. კარგი კომუნიკაცია მოითხოვს სტილის მრავალფეროვნებას დოკუმენტის შიგნით, სადაც თითოეული ემსახურება სხვადასხვა მიზანს და ასევე, სხვადასხვა აუდიტორიას სჭირდება სხვადასხვა სტილი.

ცენტრალური ბანკის მეტად გამჭვირვალობა და ეფექტური კომუნიკაცია მოითხოვს აქცენტირებას არა მხოლოდ ერთი დოკუმენტის კითხვადობაზე, არამედ დასკვნების საფუძვლის გამოქვეყნებას, ისე რომ თითოეული მათგანი სხვდასხვა აუდიტორიის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

როგორც დამოუკიდებელი საჯარო ინსტიტუციები, ცენტრალური ბანკები საბოლოოდ ანგარიშვალდებულნი არიან საზოგადოების წინაშე. ანგარიშვალდებულების ხელისშეწყობისათვის მათ სჭირდებათ რაც შეიძლება მეტი მოუყვნენ საზოგადოებას თავიანთი ანალიზის, მოქმედებებისა და შიდა დისკუ-სიების შესახებ, ისე რომ დაინტერესებულმა დამკვირვებლებმა შეძლონ აღიქვან მონეტარული პოლიტიკის ყოველი გადაწყვეტილება, როგორც ნაწილი ლოგიკური გადაწყვეტილებების ჯაჭვისა, რომელიც მიდის გარკვეულ შედეგამდე და ამის მეშვეობით შეაფასონ მათი ეფექტურობა (Woodford 2005; Bernanke 2010; Preston 2020).

იმავდროულად ცენტრალურ ბანკებს უწევთ კომპრომისზე წასვლაც. მონეტარული პოლიტიკა არ არის მარტივი. ყოვლისმომცველი ახსნა შეიძლება არ იყოს ადვილად გასაგები, მაგრამ მარტივად ახსნა შესაძლებელია არ იყოს ზუსტი. პრაქტიკაში, ცენტრალური ბანკები ბოლო წლებში მეტი ახსნა-განმარტების მიცემას ცდილობენ. მაგალითად, ავსტრალიის სარეზერვო ბანკის მონეტარული პოლიტიკის განცხადება 1997 წლიდან დღემდე 10 000 სიტყვიდან 30 000 სიტყვამდე გაიზარდა. ფედერალური რეზერვების ბანკის კომუნიკაცია ასევე მიმართულია ისეთი გრძელი და კომპლექსური დოკუმენტების გამოქვეყნებაზე, რომ მკითხველს შინაარსის გასაგებად უნივერსიტეტის დონის განათლება სჭირდება (Davis and Wynne 2016; Haldane 2017). ამასთან დაკავშირებული გამოწვევა არის ის, რომ ხანდახან შეიძლება რთული იყოს გაარკვიო ვინ არის ცენტრალური ბანკის აუდიტორია. არიან

ესენი ბაზრის ეკონომისტები, რომლებიც დროს ხარჯავენ ცენტრალური ბანკის მოქმედებების ინტერპრეტირებისთვის თავიანთი ფინანსური ბაზრის კლიენტებისთვის? ან არის ეს ჩვეულებრივი ხალხი, ვინც ფიქრობს აიღოს თუ არა იპოთეკური სესხი ან ინვესტირება გააკეთოს რაიმე ახალ აღჭურვილობაში თავისი ბიზნესისთვის? ან კომპანიები და გაერთიანებები, რომლებიც ფიქრობენ, როგორ მიუდგნენ მოლაპარაკებებს ხელფასების თაობაზე?

აქვე ორიოდ სიტყვით შევეხოთ ცენტრალური ბანკის აუდიტორიას. როგორც წესი, ცენტრალურ ბანკებს აქვთ კომუნიკაცია აუდიტორიის ფართო სპექტრთან ეკონომისტების, ფინანსური ბაზრების მონაწილეების, პოლიტიკოსების, მედიის და ფართო საზოგადოების ჩათვლით. ყველა მათგანს აქვს ინფორმაციის განსხვავებული საჭიროება. ეკონომისტები, რომლებსაც ესმით ეკონომიკური მონაცემები და მოდელები უკეთესად, უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი პროგნოზის ტექნიკური დეტალებით, მაშინ როცა ჟურნალისტებს და პოლიტიკოსებს შესაძლოა აინტერესებდეთ მხოლოდ პრაქტიკული შედეგები. ამ მრავალფეროვანი აუდიტორიის გამო, ცენტრალურმა ბანკებმა შეიმუშავეს საკომუნიკაციო სტრატეგიის მრავალფეროვნება. ერთი საერთო სტრატეგია არის კომუნიკაცია სხვადასხვა არხების მეშვეობით. მაგალითად, ავსტრალიის სარეზერვო ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიში წარმოადგენს ყოვლისმომცველ ეკონომიკურ რეზიუმეს, რომელიც ეხმარება კონკრეტულ აუდიტორიას, განსაკუთრებით კი ეკონომისტებსა და ფინანსური ბაზრის მონაწილეებს ეკონომიკური პროგნოზის გააზრებაში. ავსტრალიის სარეზერვო ბანკის წარმომადგენელთა გამოსვლები (სფიჩები) უფრო მეტად მორგებულია ფართო და მრავალფეროვან აუდიტორიაზე ვიდრე მონეტარული პოლიტიკის განცხადებები, მაგრამ ხშირად შეიცავს იგივე ინფორმაციას.

ოდნავ განსხვავებული მიდგომა არჩია ინგლისის ცენტრალურმა ბანკმა, რაც გულისხმობს ვიზუალური რეზიუმეს დამატებას ინფლაციის რეპორტისთვის. ვიზუალური რეზიუმე მოიცავს იგივე საკვანძო ინფორმაციას, როგორიც აქვს ტრადიციულ ინფლაციის რეპორტს, მაგრამ ის დაწერილია ნაკლებად ტექნიკური ენით და უფრო მეტი აქცენტი გადატანილია ვიზუალზე, როგორც ინფორმაციის გადამცემზე. როგორც დადგინდა, ვიზუალური რეზიუმე აუმჯობესებს ინფლაციის ანგარიშში გადმოცემული მესიჯების გააზრებას ორივე ნაწილისთვის - ფართო საზოგადოების წარმომადგენლებისთვისაც და ეკონომიკის სტუდენტებისთვისაც (Haldane and McMahon 2018). სხვა პუბლიკაციებმა, როგორიც არის ბიულეტინები და კვლევითი ნაშრომები, შესაძლოა უზრუნველყონ ცენტრალური ბანკის აზროვნების არაპირდაპირი შეხედულებების გადაცემა უფრო მეტად აკადემიური აუდიტორიისთვის. ბოლო პერიოდში იზრდება იმ ცენტრალური ბანკების რაოდენობა, რომლებიც აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიას (ტვიტერი, იუთუბი, ლინკდინი და სხვა), რათა გადასცენ ინფორმაცია და მისწვდნენ თავიანთ აუდიტორიას უფრო ხელმისაწვდომი გზებით (Bjelobaba, Savic and Stefanovic 2017).

დასკვნა

ცენტრალური ბანკებისთვის კომუნიკაცია მნიშვნელოვანია ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის გასატარებლად. კომუნიკაციის არსებული არხების განვითარებითა და ახალი გზების დანერგვით, ცენტრალურმა ბანკებმა უნდა მოახდინონ საზოგადოებაში ნდობის ამაღლება და ინფლაციური მოლოდინების მართვა.

ცენტრალური ბანკები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესებასა და განვითარებაზე. ამასთანავე, ცენტრალურმა ბანკებმა უფრო მრავალფეროვანი უნდა გახადონ მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის კონკრეტული აქტივობების ფორმატები.

ცენტრალური ბანკები უნდა შეეცადონ ელექტრონული და ბეჭდვითი გამოცემებისა თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების მეშვეობით მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაცია ფულად და სავალუტო ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციების შესახებ, წარმოაჩინონ საკუთარი ხედვა ამ საკითხებთან დაკავშირებით და ახსნან ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების მოტივები.

ცენტრალურმა ბანკებმა ეფექტურად უნდა გამოიყენონ ახალი (ციფრული) მედიის შესაძლებლობები და ინოვაციური სერვისების დახმარებით შეეცადონ ორმხრივი კომუნიკაციის დამყარებას საზოგადოებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Simply is best: enhancing trust and understanding of central banks through better communications, 2020
2. Mario Draghi - ECB President, Speech "Central bank communication", 2014;
3. The 3 E's of central bank communication with the public, Staff Working Paper, Bank of England, 2020
4. Central Bank Communication: One Size Does Not Fit All, Reserve Bank of Australia, 2021
5. „მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო დოკუმენტი", საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2019 წელი;
6. „წლიური ანგარიში", საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2019 წელი;

Social Aspects of Monetary Policy Communication

Konstantine Barabadze, PhD student
the Georgian Technical University

Summary

The article discusses important issues of monetary policy communication and its impact on the social environment. Influencing and managing inflation expectations is one of the main purposes of monetary policy communication. Communication increases the effectiveness of monetary policy, ultimately contributing to the central bank's main goal - price stability.

Dynamic communication with the public and financial markets is essential for any central bank. Communication is an integral part of monetary policy in many developed and developing countries.

The paper considers the use of different formats to enable central banks to communicate with a vast diversity of audiences. Effective communication enhances the central bank's credibility, which in turn reduces the uncertainty of maintaining price stability.

Central banks, as independent public institutions, are accountable to the public. To promote accountability, they need to keep the public informed about their actions so that stakeholders can perceive each monetary policy decision as part of a chain of logical decisions that leads to a certain outcome, and thereby evaluate their effectiveness.

The paper discusses the communication techniques of the central banks of different countries. Studies have shown that effective communication gradually increases awareness of the central bank's goals and objectives. Also, effective communication helps to increase confidence in the central bank and enhance the predictability of monetary policy decisions. Over the last decade, central banks have been seeking to modify their communication channels. Studies have shown that central banks need to improve normal communication, which can be achieved by getting the population involved and raising the level of their financial education. Also, central banks should take care of the improvement and development of communication channels on an ongoing basis, so that they enjoy increased public confidence and better manage inflation expectations.

Key words: Monetary policy, Central Bank Communication, Price Stability, Inflation, Inflation Targeting Regime, Inflation Expectations, Financial Education, Communication Strategy, Central Bank Transparency, Independent Central Banks, Communication Channels.

მობინგი – პროფესიული წარმატების შემაფერხებელი ფაქტორი

მარინე ბერძენაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ორგანიზაციის წარმატება დამოკიდებულია შრომის სწორ მენეჯმენტზე, კოლექტივის წევრთა შრომის პროდუქტიულობასა და თანამშრომელთა წარმატებულ საქმიანობაზე, რომელიც, ძირითადად, გუნდურობისა და კოლეგიალობის პრინციპს ემყარება. თუმცა ეს პრინციპები შრომით კოლექტივებში არც თუ ისე იშვიათად დარღვეულია, რაც გამოწვეულია ინტერპერსონალური დესტრუქციული ურთიერთობებით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ისეთი ნეგატიური მოვლენა, როგორიცაა მობინგი.

ეკონომიკური კრიზისი და, შესაბამისად, შრომის ბაზრის კრიზისი, რომელიც თანამშრომელთა შორის კონკურენციას ზრდის, ხელს უწყობს არაჯანსაღი სამუშაო კლიმატის ფორმირებას დაწესებულებებში, ურთიერთდაპირისპირების, კონფლიქტებისა და პროფესიული დეფორმაციის ზრდას. მობინგის შედეგები ნეგატიურად აისახება არა მარტო შრომით წარმატებაზე, არამედ თანამშრომელთა ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე და მთლიანად ორგანიზაციის წარმატებულ ფუნქციონირებაზე. დაწესებულებას, რომელშიც მობინგი მძვინვარებს და თანამშრომლებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა და შევიწროვება ხორციელდება, ელახება რეპუტაცია, ავტორიტეტი და იმიჯი. დამსაქმებლების მხრიდან სამუშაო ადგილზე მობინგის იგნორირება, კონფლიქტების ესკალაციის დროულად აღმოსაფხვრელად პროცესში ორგანიზაციული მენეჯმენტის ჩაურევლობა, მობინგის მსხვერპლთა მინიმალური საკანონმდებლო დაცვა, საქართველოში მობინგის მეცნიერული კვლევების არარსებობა და დასავლური ქვეყნების მეცნიერთა მდიდარი გამოცდილება და სწრაფვა, შეისწავლონ აღნიშნული მოვლენით გამოწვეული მძიმე შედეგები, განსაზღვრავს სტატიის თემის აქტუალობას, მისი მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებას. ...

სტატიაში საუბარია შრომითი წარმატების მიღწევის ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: პოზიტიური კომუნიკაცია კოლეგებთან, წარმატების სუბიექტური განცდა და პროფესიული კმაყოფილება. ასევე, ყურადღება გამახვილებულია მობინგის მიზეზებსა და იმ ნეგატიურ გავლენაზე, რომელსაც იგი ახდენს თანამშრომლის თვითშეფასებაზე, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, შრომის პროდუქტიულობასა და პროფესიული წარმატების მიღწევაზე.

მობინგით გამოწვეული მოტიაციისა და თავდაჯერებულობის დაქვეითება აფერხებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული კომპეტენციების - ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის პროცესს, რასაც ჯანსაღი სამუშაო ორგანიზაციული კლიმატის შემთხვევაში, წარმატება მოჰყვება.

საკვანძო სიტყვები: თვითშეფასება; კარიერული ზრდა; მობინგი; წარმატება.

შესავალი

მობინგი ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც ადგილი აქვს შრომით კოლექტივებში. საქართველოს შრომით ორგანიზაციებში მობინგი ახალი მოვლენა არ არის. მისი გამოვლინების ფაქტები ინტერპერსონალური კონფლიქტების წყაროა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არ ხორციელდება მობინგის გავლენის ანალიზი შრომის პროდუქ-ტიულობასა და წარმატებაზე, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. მობინგის პრობლემა და დაძლევის მეთოდები განხილულია უცხოელი მკვლევარების შრომებში (ჰ. ლეიმანი, კ ლორენცი, კ. ნიდლი, და ა. შ.).ზემოქმედებს რა მოტივაციასა და თავდაჯერებულობაზე, მობინგის გავლენით ქვეითდება შრომის პროცესში ჩართულობა, რაც გავლენას ახდენს თანამშრომლის განვითარების დადებით დინამიკაზე.

ძირითადი ტექსტი

წარმატება ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პერსონალის მართვის, შრომის ეკონომიკის კვლევის საგანია და მის მიმართ ინტერესი ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება. ეს განპირობებულია გადაუდებელი აუცილებლობით, მეცნიერებამ განსაზღვროს წარმატების მამოძრავებელი ძალა, გამოკვეთოს წარმატებისკენ მიმართული მექანიზმები და ინსტრუმენტები. შესაბამისად, საყურადღებოა მობინგის, როგორც წარმატების ერთ-ერთი დემოტივატორის, პრობლემის კვლევაც.

წარმატების ინტერდისციპლინარული კონცეფციის შესწავლის საფუძვლები ემყარება შრომებს ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში (მ. ვებერი, ჯ.ედვარდი), ფსიქოლოგიაში (ა. ადლერი, ე. ბერნი, კ. ლევინი, ა. მასლოუ). სოციოლოგია ამ

საკითხს სწავლობს ობიექტური და სოციოლოგიურ-ფენომენოლოგიური მიდგომების ფარგლებში. დასავლური სოციოლოგია ახდენს საკითხის შესწავლას თვალსაჩინო მოხმარების კონცეფციის (ტ. ვებლენი), რაციონალური არჩევანის (დ. ფრიდმანი და მ. ჰეჩერი), რისკის (ე. გიდენსი, ვ. ბეკი) და გაცვლის თეორიის ფარგლებში (ჯ.ჰომანსი). ფსიქოლოგიაში წარმატება განიხილება, როგორც ადამიანის საქმიანობის მთავარი მახასიათებელი და განისაზღვრება, როგორც ინდივიდის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილება, მისი ქმედებების სტიმული, ქცევის მთავარი მოტივი, მიზანი, რომლის მისაღწევადაც მიმართულია მისი ძალისხმევა.

პროფესიული წარმატების ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია მობინგი. მობინგის ქვეშ მოიაზრება შრომითი კოლექტივში კოლეგების, ხელმძღვანელების ან დაქვემდებარებულების დესტრუქციული ქცევა ერთ რომელიმე ადამიანთან მიმართებაში, რაც გამოიხატება მიზანმიმართულ დევნაში, დამცირებაში, პიროვნული ღირსებისა და რეპუტაციისშელახვაში,რასაცმოჰყვებაპროფესიული კომპეტენციის დაქვეითება და კარიერული ზრდის შეფერხება. მობინგ მოქმედებების ნუსხა საკმაოდ ვრცელია და მოიცავს როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური ფსიქოლოგიური შევიწროების ფორმებს.

შრომით კოლექტივში მობინგის წარმოქმნის მრავალრიცხოვან მიზეზებს შორისაა: არაჯანსაღი სამუშაო ატმოსფერო, ორგანიზაციის გაუმართავი მენეჯმენტი, არასრულ-ყოფილი საკადრო პოლიტიკა, შური და შიში ახალი ან ნიჭიერი თანამშრომლის მიმართ, გუნდში ერთ-ერთი თანამშრომლის სწრაფი კარიერული ზრდა, და ა.შ.

მობინგისას მუდმივი სტრესი ფიტავს პიროვნების ენერგიის რესურსს და იწვევს მოტივაციის დაკარგვას, შრომის პროდუქტიულობის დაქვეითებას, შეცდომებსა და უზუსტობებს დავალებების შესარულებისას, აქვეითებს ფოკუსირების, კონცენტრაციის უნარს. საბოლოო ჯამში კი ამ ყველაფერს დიდი ალბათობით შეიძლება მოჰყვეს სამსახურიდან მისი გათავისუფლებაც კი.

ჩავატარეთ ონლაინ გამოკითხვა სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ მეშვეობით. Google-ის გამოკითხვის სისტემის საფუძველზე შევადგინეთ კითხვარი. სხვადასხვა ჯგუფებში განვათავსეთ დახურული და ღია კითხვებისგან შედგენილი კითხვარი. კვლევის ეთიკის სრული დაცვით, ანონიმურად, საკუთარი სურვილით გამოიკითხა 18-დან 70 წლამდე 385 როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დასაქმებული ფეისბუქ მომხმარებელი. აქედან 100 მამაკაცი (25, 9%) და 285 ქალი (74,1%).

კითხვაზე, რა ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს მობინგი ადამიანის პროფესიულ საქმიანობაზე, რესპონდენტთა 98% თვლის, რომ მობინგი ნეგატიურად აისახება წარმატებასა და კარიერულ ზრდაზე, გარდა ამისა, რესპონდენტების 67 % აღნიშნავს, რომ მობინგი ამცირებს შესრულებული სამუშაოს ხარისხს. მობინგის სუბიექტების საერთო ნიშან-თვისებებზე დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხების მიხედვით, პირველ ადგილზეა: მობერები ძალადობით ცდილობენ ადგილის დამკვიდრებას (119); მეორეზე: მობერებს ჰყავთ ძლიერი მფარველი (100); მესამეზე: მობერთა არასრულფასოვნების კომპლექსი (91); მეოთხეზე: ბუნებით აგრესიულები არიან (38).

კითხვაზე - რა უნდა გაკეთდეს მობინგის დასაძლევად, გამოკითხულთა პასუხების მიხედვით, პირველ ადგილზეა: დიდი მნიშვნელობა მიენიჭოს პროფესიონალიზმს (108,); მეორეზე: ნეპოტიზმის ფაქტების აღმოფხვრა; მესამეზე: ამაღლდეს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა (96); მეოთხეზე: განხორციელდეს რეგულარული მონიტორინგი (82).

დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, მობინგს, როგორც სოციალურ მოვლენას, შეუძლია პიროვნების ეფექტური საქმიანობა შეაფერხოს და ხელი შეუშალოს მას პროფესიული წარმატების მიღწევაში. კადრების წარუმატებლობა კი საბოლოო ჯამში ორგანიზაციის წარუმატებლობას, მისი იმიჯისა და რეპუტაციის შელახვას იწვევს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია:

- ორგანიზაციებში ყურადღება მიექცეს მობინგს, როგორც წარმატების შემაფერხებელ მოვლენას. მოხდეს მისი პრევენცია
- ეთიკის კოდექსის შემუშავება, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად დაუშვებელი იქნება მობინგი.
- იმისათვის, რომ ორგანიზაცია წარმატებულად და პროდუქტიულად ფუნქციონირებდეს, მნიშვნელოვანია დასაქმებულთა შორის პოზიტიური კომუნიკაციის, პროფესიული კმაყოფილების და წარმატებულობის სუბიექტური შეგრძნების მონიტორინგი კითხვარით.

Literature

1. Zuschlag, B. Mobbing: bullying at workplace
2. https://books.google.ge/books?id=4KrRzxPnEqYC&lpg=PA3&dq=Meyers%20Grosses%20Taschenlexikon%20%20mobbing&pg=PP1#v=onepage&q=Meyers%20Grosses%20Taschenlexikon%20%20mobbing&f=false. seen [12.04.2021]
3. Leymann H. Mobbing and psychological terror at workplaces // Violence and Victims. 1990. N5.P.19–125
4. Hoel H., Cooper C. Destructive conflict and bullying at work // Extracts of study report compiled for Launch of the Civil Service Race Equality Network (September, 2001) http://www.bollettinoadapt.it/old/files/document/19764Destructiveconfl.pdf seen [14.05.2021]
5. Knorz, C/Zapf, D. (1996) mobbing: At the workplace. Guide for Workshps and organisation psychology. Stutgart: Publisher for applied psychology.
6. Einarsen S., Hoel H., Zapf D., Cooper C. (ed.) Bullying and Emotional Abuse in the Workplace. International perspectives in research and practice. London: Taylor & Francis e-Library, 2004.
7. Kolodey K. 2007, Mobbing. Psychoterror in the workplace and methods to overcom from it / translation from German, Humanitarian Center.

Obstacle to Professional Success - Mobbing

Marine Berdzenadze, PhD student

Georgian Technical University

Summary

The success of an organization depends on the correct management of labor, the productivity of team members and the successful work of employees, which is based on the principles of teamwork and collegiality. However, these principles are often violated in work collectives, which is caused by destructive interpersonal relationships, including mobbing.

The economic crisis and, as a consequence, the labor market crisis, which intensifies competition among employees, contributes to the formation of an unhealthy work climate in institutions, increasing confrontation, conflict and professional deformation. The results of mobbing negatively affect not only the success of work, but also the mental and physical health of employees and the successful functioning of the organization as a whole. At the same time, an organization in which mobbing takes place - psychological pressure and harassment of employees - is humiliated with reputation, authority and image.

The position of non-consideration of mobbing manifestations in the workplace on the part of employers, non-interference of organizational management in their settlement, minimal legislative protection of victims of mobbing, poor experience in the study of the problem by Georgian scientists and the importance of its knowledge proved by foreign practice determine the relevance of the topic of the dissertation, the formulation of its goals and objectives

The article clarifies the definition of an employee's success at work as a combination of professional knowledge and skills, motivation and confidence, which allow the employee to solve strategic and operational tasks; important psychosocial factors are considered: positive communication with colleagues, subjective feeling of success and professional satisfaction. The article also discusses the forms of mobbing, the reasons and the negative impact it has on employee self-esteem, psychological status, productivity and professional success. The decrease in motivation and self-confidence caused by mobbing hinders the process of acquiring professional competencies - new knowledge and skills that, in the case of a healthy work environment in the organization, will lead to success.

Key words: Career growth; Mobbing; Self-esteem; Success.

ყურადღების განვითარების პრობლემა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე

ნანა ბოკუჩავა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ყურადღების ფორმირებისა და განვითარების საკითხები თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერებისა და პრაქტიკის აქტუალურ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება. გლობალურმა ინფორმატიზაციამ საზოგადოებაში ჩამოაყალიბა ე. წ. „კლიპური ცნობიერება“, რომელიც სამყაროს აღქმისას არ საჭიროებს ინფორმაციის ანალიზს, ყურადღების მდგრადობასა და ნებისყოფის აქტივიზაციას. ამ ფენომენმა განსაკუთრებით დააზარალა დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ადვილად მოწყვლადი ფსიქიკა. კომპიუტერის, ტელევიზორისა და მობილურის გადაჭარბებული და არამიზნობრივი მოხმარება კიდევ უფრო ზრდის გონებაგაფანტულობას და ხელს უშლის ყურადღების, როგორც ფსიქიკური ფუნქციის, ბუნებრივ განვითარებას, რაც ერთობ უარყოფითად აისახება მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრების რიტმსა და აკადემიურ მოსწრებაზე.

პედაგოგიური პრაქტიკა ცხადყოფს, რომ რამდენად კარგად სტრუქტურირებული, ორგანიზებული, მრავალფეროვანი, თვალსაჩინო რესურსებით გაჯერებული და სახალისო აქტივობებით დატვირთულიც არ უნდა იყოს გაკვეთილი, მასწავლებელი თა-ვის მიზანს - ჯეროვნად აათვისებინოს მოსწავლეებს სასწავლო მასალა - ვერ მიაღწევს, თუ მოსწავლეთა ყურადღება მდგრადი არ არის. „ყურადღება პირველი პირობაა ნაყოფიერი გონებრივი მუშაობისა და პედაგოგიური ზეგავლენისთვის. „ცერცვი რომ კედელს მიაყარო, ყველა ძირს ჩამოცვივდებაო,“ ამბობს ანდაზა. სწორედ ასეთ კედელს წარმოადგენს უყურადღებო ბავშვის თავიც ყოველი აღმზრდელისათვის“(4: 72).

ის ფაქტი, რომ წარმატებული სასწავლო აქტივობის უმთავრესი პირობა ყურადღებაა, მასწავლებლებსაც კარგად აქვთ გასიგრძეგანებული და მშობლებსაც, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა ნაკლებად მიიჩნევა საჭიროდ და არც თუ იშვიათად, მხოლოდ შეგონებებისა და დატუქსვის ამარა რჩებიან ის მოსწავლეებიც კი, რომლებსაც ყურადღების განვითარების თვალსაზრისით, სერიოზული დახმარება სჭირდებათ. უნდა გაცნობიერდეს, რომ ყურადღების ოპტიმალური ზღვრის ქვედა დონე, ე. წ. უყურადღებობა, არის მოსწავლეთა უუნარობა(და არა ქცევა) და უწინარესად გამოიხატება მათ უმწეობაში ორიენტირდნენ გაკვეთილის შინაარსზე, მასწავლებლის მოთხოვნებსა და საკუთარ ქცევებზე. აღსაზრდელები თითქოს ვერ ხე-დავენ და არ ესმით ის, რაც უნდა დაიმახსოვრონ და შეითვისონ, იმიტომ კი არა, რომ ხარვეზები აქვთ ფსიქო-ფიზიკურ მახასიათებელთა და სასწავლო-საგანმანათლებლო უნარ-ჩვევათა თვალსაზრისით, არამედ იმიტომ, რომ მათი ყურადღების თვისობრივ-რაოდენობრივი ინდექსი ასაკობრივი საფეხურისთვის შესატყვისი ნორმული კოეფიციენტის ზღვარს ქვემოთაა.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან მიმართებაში აუცილებლად უნდა დაისვას შემდეგი კითხვები: როგორია და როგორი უნდა იყოს მოსწავლეთა ყურადღების აქტუალური დონე? საკმარისია თუ არა ზრდის „ასაკობრივი ტემპი“ და საგაკვეთილო აქტივობები მოსწავლისადმი ასაკობრივი სასწავლო გარემოს მიერ წაყენებული მოთხოვნებისთვის საჭირო ყურადღების აქტის არსებობისათვის და როგორია ამ აქტის შედეგები? სად გადის ყურადღებიანობის მაქსიმალური ზღვარი იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება და შესაბამისად, ყურადღების შედარებით მაღალი მაჩვენებელი? რა შესაძლებლობები აქვთ, ყურადღების განვითარების თვალსაზრისით, დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს? და ა. შ. ამ და მსგავს კითხვებზე პასუხების მოძიებითა და სავარაუდო პრობლემათა გადაჭრის გზების პოვნით, შესაძლებელი გახდება მოსწავლეთა ყურადღების რამდენადმე მაინც განვითარება, ყურადღებიანობის დაბალი მოცემულობით გამოწვეული სირთულეების მეტნაკლებად შემსუბუქება და შესაბამისად, აკადემიური უნარების ფორმირებისას სათანადო ფსიქოლოგიური კომფორტის შექმნა; მით უმეტეს, რომ ყურადღება გავარჯიშებადია და ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში მისი დაბალი ინდექსი არ წარმოადგენს ფატალური უყურადღებობის მდგომარეობას. როცა ყურადღების ფორმირებისათვის არ არის საკმარისი განვითარების ბუნებრივი, ე.წ. „ასაკობრივი ტემპი“ და საგაკვეთილო პროცესში სასწავლო მასალის ათვისებასთან შეუღლებული ყურადღების განმავითარებელი ფრაგმენტული შტრიხები, საჭიროა სპეციალურად ორგანიზებული სამუშაოს ჩატარება, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ჩარევით მისი ფორმირების

ბუნებრივ პროცესთან მიზანმიმართულ/მიზანშეწონილი აქტივობების (ყურადღების განმავითარებელი სპეციალური სავარჯიშოები და დიდაქტიკური თამაშები) შეწყვილება.

მითითებულ საგანმანათლებლო ეტაპზე ქცევის ძირითად ფორმად სწავლის ჩანაცვლება ყურადღებას, როგორც ფსიქიკურ ფუნქციას, მრავალ ახალ მოთხოვნას უყენებს: მოსწავლის ცნობიერების ცენტრში მოათავსოს საჭირო სასწავლო შინაარსი, განსაზღვრულ დონემდე შეინარჩუნოს მიღწეული შედეგი და შემდეგ, ახალი მოთხოვნილების კვალობაზე, სწრაფად მოამზადოს პირობები სხვა საჭირო ინფორმაციის მისაღებად. აღწერილი შესაძლებლობები მოსწავლეებს თანდათან, საფეხურეობრივად უვითარდებათ. აღნიშნული რაკურსით დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესის ასაკობრივ(I-IV კლასები) დინამიკაზე დაკვირვება წარმოაჩენს ყურადღებიანობის ნორმით გათვალისწინებულზე დაბალ მაჩვენებელს, რაც იწვევს მოსწავლეთა დეზადაპტაციას, უარყოფით გავლენას ახდენს სასწავლო და შრომითი საქმიანობის შესრულებაზე, რასაც ხშირად თან ახლავს დისციპლინის დარღვევაც. ხშირია შემთხვევა, როცა მეხუთე-მეექვსე კლასშიც კი ჭირს ნებისმიერი (ნებელობით განსაზღვრული) ყურადღების საჭირო მაჩვენებელი და მხოლოდ უნებლიე ყურადღების ფონზე მიმდინარეობს სასწავლო აქტივობები; ეს მაშინ, როცა ნებისმიერი ყურადღების გარკვეული ელემენტების ფორმირება ჯერ კიდევ უფროს სკოლამდელებთან უნდა მოხდეს. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური განვითარების მთავარი სამიზნე სწორედ ნებელობითი პროცესებია. მოსწავლე ნელ-ნელა და ეტაპობრივად სწავლობს თავისი ფუნქციების, მათ შორის ყურადღების, მართვას. ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ყურადღების ფორმირების პროცესში არის გამომუშავება ჩვევისა, რომელსაც „ყურადღებით ყოფნას“ უწოდებენ. ასეთი ჩვევის შემუშავებას ხელს უწყობს ნებისმი-ერი ყურადღების აქტების ხშირი წარმოება ვარჯიშის სახით. გავარჯიშების საფუძველზე ყალიბდება ყურადღებით ყოფნის ჩვევა, რაც მოგვიანებით იქცევა მოსწავლის პიროვნულ მახასიათებლად. ამგვარი პიროვნული მახასიათებელი კი არის გარანტი იმისა, რომ საჭიროების შემ-თხვევაში ყურადღება მიზანდასახულად ამოქმედდება და კონცენტრირდება იმ შინაარსებსა და აქტივობებზე, რომლებსაც სასწავლო გარემო და აკადემიური უნარების ფორმირების საჭიროება სთავაზობს მოსწავლეს.

ყურადღებიანობის ინდექსის ამაღლებით სწავლა-სწავლების პროცესი გახდება ეფექტური და შთამბეჭდავი; შემცირდება შეცდომების დაშვების ალბათობა, რაც წამახალისებელი და მამოტივირებელი იქნება მოსწავლისათვის ჰქონდეს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა და იყოს ორიენტირებული წარმატებებზე; ყურადღების გადამხრელი ფაქტორებისადმი გამკლავების უნარის გაუმჯობესება საშუალებას მისცემს მოსწავლეს მოახერხოს თავისი ქმედების ოპტიმალურად ორგანიზება და შეინარჩუნოს მუშაობის მეტ-ნაკლებად სტაბილური, მისი სასწავლო მოთხოვნების შესატყვისი ტემპი, მოახდინოს უყურადღებობით გამოწვეული დეზადაპტაციის რამდენადმე ბლოკირება და საგაკვეთილო პროცესში ადეკვატურად ჩართულობის ფონზე განივითაროს სათანადო აკადემიური უნარები.

საკვანძო სიტყვები: ყურადღება, განვითარება, სკოლა, დაწყებითი საფეხური, მოსწავლე, მასწავლებელი, განათლება, დიდაქტიკური თამაშები, მიღწევა.

შესავალი

სკოლის მისიას, ჩამოაყალიბოს „მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქე, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად“ (ესგ) საფუძველი ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე ეყრება. დაწყებითი საფეხურის ამოცანას წარმოადგენს, როგორც სწავლა-სწავლების რეალიზებაზე, ისე მოსწავლეთა ფსიქიკურ ფუნქციათა და პიროვნულ მახასიათებელთა განვითარებასა და რეგულაციაზე ზრუნვა. საგულისხმოა, რომ სასკოლო ცხოვრებაში არსებულ პრობლემათა ძირითადი მიზეზების მოშთობის მიზნით, განიხილავენ ბევრ რამეს: მცდარი მეთოდიკით სწავლებას - როცა აზროვნების ნაცვლად წამყვანია სქოლასტიკა (დაზეპირება, გაუაზრებელი მანიპულაციები და მექანიკური ჩანაწერები), ცუდ სახელმძღვანელოებს, სტრესულ ოჯახურ პირობებს, ხანგრძლივ გაცდენებს, კლასში არსებულ მძიმე ემოციურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ გარემოს, სპეციალურ სასწავლო საჭიროებს და ა.შ. რატომღაც სათანადო აქცენტი არ კეთდება ყურადღების ფენომენზე, რომლის გარეშეც ძალადაკარგულად ითვლება ნებისმიერი დიდი თუ მცირე სასწავლო აქტივობა და ამა თუ იმ აკადემიური უნარის ფორმირება. სწორედ ყურადღებაა ის ფსიქიკური ფუნქცია, რომელიც შემეცნებითი აქტივობის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს და რომელსაც განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება

სასკოლო სწავლების დაწყებით საფეხურზე, რადგან ამ ეტაპზე იწყებს გააქტიურებას სწავლა, როგორც ქცევის დამოუკიდებელი და სპეციფიკური ფორმა.

უყურადღებობა რომ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია სწავლა-სწავლების დაბალი ხარისხობრივი ინდექსისა, ამას მარტივად ცხადყოფს პედაგოგიურ პრაქტიკაზე დაკვირვება. საქმე იმაშია, რომ, იმ მოსწავლეთა შორის, რომელთა აკადემიური მდგომარეობა საშუალო და საშუალოზე დაბალია, არც თუ იშვიათად, აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც გამოირჩევიან ზოგადი გონიერებით და დისციპლინირებულობით, ძალიან უყვართ სკოლა და დიდი ინტერესით არიან ჩართულები საგაკვეთილო პროცესში. წაკითხული ტექსტის გაგება/გააზრების პრობლემა აქვთ არა მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც უჭირთ კითხვა და არა აქვთ ლექსიკური მარაგი, არამედ იმ მოსწავლეებსაც, რომლებიც გაწაფულად კითხულობენ, გამოირჩევიან ვოკაბულარის ასაკობრივად მაღალი მოცემულობით და შეუძლიათ ტექსტის თანმიმდევრულად თხრობა. ამგვარ წინააღმდეგობათათვის ფონის შექმნა მხოლოდ ყურადღების განვითარების პრობლემას შეუძლია. სასურველია, ამ რაკურსით მოსწავლეებზე დაკვირვება და სიღრმისეულად გააზრება-გაანალიზება იმ ფაქტისა, თუ რამდენად შეესაბამება მათი ყურადღებიანობის რეალური მდგომარეობა ასაკობრივად განსაზღვრულს და რა შეიძლება ქმნიდეს პრობლემას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული, ფსიქოლოგიურად გამართული მეთოდიკის შერჩევა და ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ყურადღების აღზრდა-განვითარებაში მიზანმიმართული და გონივრულად ორგანიზებული პედაგოგიური ჩარევა.

ძირითადი ნაწილი

დაწყებითი საფეხური მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრების ერთობ მნიშვნელოვანი ეტაპია. მათი მრავალმხრივი შესაძლებლობების განვითარების დიდ პოტენციალს სწორედ ამ ასაკობრივი პერიოდის მაღალი სენზიტიურობა განსაზღვრავს. ქცევის ძირითად ფორმად იქცევა სწავლა, რომელსაც არსებითი ცვლილება შეაქვს ყველა ფსიქიკური პროცესის მდინარებაში. იცვლება ყურადღებაც, რომელსაც სასწავლო აქტივობა მრავალ ახალ მოთხოვნას უყენებს. ყურადღების მიზანია მოსწავლისათვის განკუთვნილი სასწავლო შინაარსი მისი ცნობიერების ცენტრში მოათავსოს, მიღწეული შედეგი საჭირო დონემდე შეინარჩუნოს და შემდეგ, ახალი მოთხოვნილების კვალობაზე, სწრაფად მოამზადოს პირობები ცნობიერების ცენტრში სხვა საჭირო ინფორმაციის მოსათავსებლად. ეს უნარი მოსწავლეს თანდათანობით უნდა განუვითარდეს და გარკვეულ ეტაპზე სრულფასოვანი სახე მიიღოს. სასკოლო სწავლების დაწყებითი საფეხურის ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელი ყურადღების განვითარებაზე ზრუნვა უნდა იყოს. აღნიშნული რაკურსით სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ასაკობრივ (I-VI კლასები) დინამიკაზე დაკვირვება ცხადყოფს უმცროსკლასელთა ყურადღებიანობის ნორმით გათვალისწინებულზე დაბალ მაჩვენებელს (ზოგადად, აღნიშნული პრობლემა დაწყებითი საფეხურის ტიპური მახასიათებელია, ამიტომ ხაზს ვუსვამთ იმ ფაქტს, რომ როცა ვსაუბრობთ ყურადღების გაფანტულობაზე, ვგულისხმობთ მოცემულობას, რომელიც ასაკობრივი ინდექსით განსაზღვრულზე ნაკლებია), რაც იწვევს დეზადაპტაციას, სასწავლო და შრომითი საქმიანობის შესუსტებას, დისციპლინის დარღვევას და ა.შ. ხშირია შემთხვევა, როცა არათუ მესამე კლასში, მეხუთე და მეექვსე კლასშიც კი არა აქვთ მოსწავლეებს ნებისმიერი (ნებელობით განსაზღვრული) ყურადღების საჭირო მაჩვენებელი და ძირითადად უნებლიე ყურადღების ფონზე მიმდინარეობს სასწავლო აქტივობები; ეს მაშინ, როცა ნებისმიერი ყურადღების გარკვეული ელემენტების ფორმირება ჯერ კიდევ უფროს სკოლამდელებთან უნდა მოხდეს. გამუდმებულ შეგონებაზე, რომ გაკვეთილზე ყურადღებით უნდა იყოს, ხშირად ისმის მოსწავლის პასუხი: „ვცდილობ მასწავლებელო.“ განსაკუთრებით წაკითხულის გააზრებასა და ტექსტურ ამოცანებზე მუშაობისას არის ხშირი მოსწავლის გატანჯული სახე, როცა ძალიან უნდა გაიაზროს ტექსტი, მაგრამ არ შესწევს ძალა ბოლომდე მოისმინოს და გააცნობიეროს. საქმე იმაშია, რომ გლობალურმა ინფორმატიზაციამ საზოგადოებაში ჩამოაყალიბა ე. წ. „კლიპური ცნობიერების“ ფენომენი. ამგვარი ცნობიერებით სამყაროს აღქმა არ მოითხოვს ინფორმაციის ანალიზს, ყურადღების მდგრადობას და ნებისყოფის აქტივიზაციას. ამ ფენომენმა განსაკუთრებით დააზარალა დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ფსიქიკა, რადგან იგი ერთობ მოწყვლადია. კომპიუტერის, ტელევიზორისა და მობილურის გადაჭარბებული და არამიზნობრივი მოხმარება კიდევ უფრო ზრდის მოსწავლეთა გონებაგაფანტულობას და ხელს უშლის ყურადღების განვითარებას, რაც, თავისთავად ცხადია, უარყოფითად აისახება მათი სასკოლო ცხოვრების რიტმსა და აკადემიურ მოსწრებაზე. ყურადღების სისუსტე, როგორც წესი, წარმოადგენს სასკოლო სირთულეების, დაბალი აკადემიური მოსწრებისა

და უდისციპლინობის მნიშვნელოვან მიზეზს; ამიტომაცაა მისი განვითარება მოსწავლის შემდგომი წარმატებული საქმიანობის ძირითადი პირობა და მასწავლებლისთვისაც პირველადი მნიშვნელობის ამოცანა. შესაბამისად, ამ მიმართულებით მუშაობა ნამდვილად ღირს დაფიქრებად და ძალისხმევად.

ფაქტია, რომ I-VI კლასებში განსხვავებული აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა ყურადღება სხვადსხვაგვარად ვითარდება. წარმატებული მოსწავლეების ყურადღება გაცილებით მაღალ დონეზეა; საშუალო აკადემიური მოსწრების მოსწავლის ყურადღება საშუალო დონისაა; ჩამორჩენილი მოსწავლის ყურადღება, შესაბამისად დაბალ დონეზეა. კლასიდან კლასში გადასვლისას მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა ნებისმიერი ანუ ნებელობით განსაზღვრული ყურადღების განვითარება ინტენსიურად მიმდინარეობს, დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა ყურადღება კი I და II კლსებში ერთნაირად უცვლელია და მხოლოდ III და IV კლასებში შეიმჩნევა ცოტაოდენი წინსვლა. იქედან გამომდინარე, რომ ყურადღების მაჩვენებელი პირდაპირ კორელაციაშია აკადემიურ მოსწრებასთან, ანუ სასწავლო მასალაზე მუშაობისა და სიბეჯითის ხარისხთან, ცხადია, რომ ყურადღება, როგორც ფსიქიკური ფუნქცია, გავარჯიშებადია და როცა მისი ფორმირებისათვის არ არის საკმარისი განვითარების ბუნებრივი, ე.წ. „ასაკობრივი ტემპი“ და საგაკვეთილო პროცესში სასწავლო მასალის ათვისებასთან შეუღლებული ყურადღების განმავითარებელი ფრაგმენტული შტრიხები, სასურველია, სპეციალურად ორგანიზებული სამუშაოს ჩატარება, პედაგოგიური ჩარევა და მისი ფორმირების ბუნებრივ პროცესთან მიზანმიმართულ/მიზანშეწონილი აქტივობების შეწყვილება. ეს სამუშაო, საჭიროებისამებრ, ეხება, როგორც მთელ კლასს, ისე ცალკეულ მოსწავლეს. თითოეული მოსწავლე ხომ სასწავლო პროცესის მთავარი და მნიშვნელოვანი მონაწილეა და ყურადღების განმავითარებელი ყოველი აქტივობა მისი ინდივიდუალური თავისებურებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს; ამასთან თითოეულ მოსწავლესთან (ცხადია, მისი სულიერ-ფსიქიკურ-ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით) მიმართებაში უნდა მოხდეს კონკრეტულად მისთვის(და არა რაიმე სტანდარტთან შესაბამისი) ნიშანდობლივი მაქსიმალური შედეგის მიღწევის მიზნად დასახვა.

პედაგოგთა პირადი გამოცდილება ადასტურებს, რომ სკოლისთვის და განსაკუთრებით დაწყებითი კლასებისთვის ყურადღების განვითარების პრობლემა ტრადიციულია. თანამედროვე ეტაპზე სასკოლო სწავლების დაწყებით საფეხურზე არსებული თითქმის ყველა პრობლემის სათავე ყურადღების ფენომენთან იკვეთება და მისი რამდენადმე განვითარებაც კი სწავლა-სწავლების პროცესის თითოეული მონაწილისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია. პრაქტიკა აჩვენებს, რომ რაოდენ კარგად სტრუქტურირებული და ორგანიზებული, მრავალფეროვანი, თვალსაჩინო რესურსებით გაჯერებული და სახალისო აქტივობებით დატვირთულიც არ უნდა იყოს გაკვეთილები, მასწავლებლები თავიანთ მიზანს - სიღრმისეულად აათვისებინონ მოსწავლეებს სასწავლო მასალა და გამოუმუშაონ სათანადო უნარები-ვერმიაღწევენ,თუმოსწავლეთაყურადღება მდგრადი არ არის. ხშირად პათეტიკურად ჟღერს პედაგოგთა გამუდმებული მოწოდება: „იყავით ყურადღებით“; მშობლებთან საუბარში, ცდილობენ რა, ახსნან მოსწავლის წარუმატებლობა, ხშირად იყენებენ ფრაზებს: „არ არის ყურადღებით“, „ყველა შეცდომა უყურადღებობის გამოა დაშვებული.“ ის ფაქტი, რომ წარმატებული სასწავლო აქტივობის უმთავრესი პირობა ყურადღებაა, მშობლებსაც კარგად აქვთ გასიგრძეგანებული, ამიტომ არც ისინი აკლებენ დატუქსვას და შეგონებას ბავშვს: „კარგად მოუსმინე მასწავლებელს! არ იცელქო გაკვეთილზე! და ა. შ.“ და არც თუ იშვიათად, მხოლოდ შეგონებებისა და დატუქსვის ამარა რჩებიან ის მოსწავლეებიც კი, რომლებსაც ყურადღების განვითარების თვალსაზრისით სერიოზული დახმარება სჭირდებათ.

აუცილებელია, პედაგოგთა და მშობელთა მიერ იმ ფაქტს გაცნობიერება, რომ ყურადღების ოპტიმალური ზღვრის ქვედა დონე, ე. წ. უყურადღებობა, არის მოსწავლეთა უუნარობა (და არა ქცევა) და უწინარესად გამოიხატება მათ უმწეობაში ორიენტირდნენ გაკვეთილის შინაარსზე, მასწავლებლის მოთხოვნებსა და საკუთარ ქცევებზე. მოსწავლეები თითქოს ვერ ხედავენ და არ ესმით ის, რაც უნდა დაიმახსოვრონ და შეითვისონ, იმიტომ კი არა, რომ ხარვეზები აქვთ ფსიქო-ფიზიკურ მახასია-თებელთა და სასწავლო/საგანმანათლებლო უნარე-ბის თვალსაზრისით, არამედ იმიტომ, რომ ნაკლებად აქვთ განვითარებული ყურადღების ესა თუ ის მახასიათებელი ან აწუხებთ ყურადღების გაფანტულობა, რაც გადაუჭრელ პრობლემებს ქმნის სასკოლო ცხოვრების ყველა საფეხურზე(დაწყებითი, საბაზო, საშუალო). შესაბამისად, ეფექტური და წარმატებული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა, თავისთავად გულისხმობს მოსწავლეთა ყურადღების ძირითად მახასიათებელთა თვისობრივ და რაოდენობრივ განვითარებულობას.

ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ყურად-

ღება თავისი არსებობის საუკეთესო პლანში, რა სახის და რა ფორმის აქტივობის გამოყენებაა მიზანშეწონილი ყურადღების ამა თუ იმ სახისა და მახასიათებლის განსავითარებლად, როგორ და რამდენად შეიძლება ყურადღებიანობის განმსაზღვრელ სუბიექტურ/ობიექტურ ფაქტორებზე ზემოქმედება, მეტ-ნაკლებად აუცილებელად უნდა ფლობდეს მასწავლებელი, რადგან სასწავლო - სააღმზრდელო საქმიანობას უშუალო და აქტიური კავშირი აქვს ამ დიდმნიშვნელოვან ფსიქიკურ ფუნქციასთან და მოსწავლეთა ყურადღებითი ტიპებისა და შესაძლებლობების გააზრება-გათვალისწინების აუცილებლობასთან. მართალია, ყურადღებას, გამომდინარე იქიდან, რომ თავად არაფერს ასახავს, არ გააჩნია დამოუკიდებელი ფსიქიკური შინაარსი, მაგრამ არ არსებობს შემეცნებითი პროცესი, რომლის საფუძველსაც იგი არ წარმოადგენს. სწორედ ყურადღება ხდის სწავლა-სწავლებას სრულფასოვნად, უზრუნველყოფს აღსაქმელი მასალის სიმკვეთრე/მკაფიოობისა და გაგება/დამახსოვრების ხარისხს, ხელს უწყობს ჩვევათა ფორმირებას და, ზოგადად, სწორედ მისი წყალობით ხდება მოსწავლე აქტიური, ორგანიზებული და პროდუქტიული.

ის ფაქტი, რომ საგაკვეთილო პროცესში ერთი და იგივე მოსწავლის აზრები და წარმოდგენები ამა თუ იმ სასწავლო შინაარსთან დაკავშირებით ხან განსაკუთრებულად ცხადი და მკაფიოა, ხანაც ბუნდოვანი და გაურკვეველი, იმით არის გამოწვეული, რომ იგი სხვადასხვა დროს განსხვავებული ინტენსივობის ყურადღებას იჩენს, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს: ემოცია (კარგ გუნებაზე ყოფნა და ემოციური სიმშვიდე ხელს უწყობს ყურადღების მაღალ ინტენსივობას, აღელვება და ცუდი გუნება კი პირიქით), დაღლილობა, სტრესი, კვება და ა.შ. ყურადღების მოქმედების ინტენსივობა ჩვეულებრივ პირობებში პერიოდულად ირხევა, მატულობს და კლებულობს. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ყურადღების რხევადობა შედარებით მაღალია. მათი ყურად-ღების ინტენსივობის პერიოდული რხევა დას-ტურდება ყოველ ხანგრძლივ აქტივობაში, რაც ხელს უწყობს ენერგიის ეკონომიას.

„ცნობიერების სივიწროვის“ გამო მოსწავლის ყურადღება საგანთა თუ მოვლენათა მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობას ეხება. ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ყურადღების მოცულობა არ აღემატება 3-4 ობიექტს, ზოგიერთთან უფრო მცირეც არის. ყურადღების მწირი მოცულობა არ აძლევს ბავშვს საშუალებას კონცენტრირდეს რამდენიმე საგანზე და მოათავსოს ისინი ცნობიერებაში. ყურადღების მოცულობასთან დაკავშირებით პედაგოგიური კორექციის შესაძლებლობები შეზღუდულია, ამიტომაც მასწავლებელმა უბრალოდ უნდა გაითვალისწინოს უმცროსკლასელის ყურადღების მოცულობითი მდგომარეობა. ის იზრდება ბავშვის ტვინის ზრდის შესაბამისად. გაკვეთილზე თვალსაჩინოება უნდა შემოსაზღვროს 3-4 ხელსაწყოთი, არ არის სასურველი აღნიშნულზე მეტი რაოდენობის განსხვავებული ტიპის სასწავლო შინაარსის ან მაგალითის განხილვა, ახალი მასალის ახსნის დროსაც კი არ უნდა მოხდეს უმცროსკლასელის ყურადღების მოცულობაზე აღმატებული ბლოკის გამოყენება. ყურადღების მოცულობის განვითარების ძირითად და ერთადერთ პირობად შეიძლება მივიჩნიოთ სისტემატიზაცია, მასალის დაჯგუფება რამდენადმე მსხვილ ერთეულად.

საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის მიერ ყურადღების აქტის მისთვის ღირებული მიმართულებით წარმართვა, ერთი საგნიდან მეორეზე გადატანა, წარმოადგენს ყურადღების გადანაცვლებას (გადართვა), რაც ერთ ნაწილს ეადვილება, მეორეს კი ეძნელება. პირველი -ყურადღების ადვილად გადანაცვლების ტიპია, ხოლო მეორე - ყურადღების ძნელად გადანაცვლების ტიპი. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა სასწავლო აქტივობებში პრობლემათა წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზია ისიც არის, რომ მათ არ შეუძლიათ დროულად და მთლიანად გადართონ თავიანთი ყურადღება არა მარტო მოქმედების ერთი ფორმიდან მეორეზე, არამედ ერთი და იმავე მოქმედების საფეხურებს შორისაც. ყურადღების გადართვა განსაკუთრებით გაძნელებულია შემდეგ შემთხვევებში: ა)ძველი ცოდნიდან ახალ ცოდნაზე გადასვლისას - ასეთ დროს ყურადღების გადართვის გასაადვილებლად სასურველია ყურადღების გამახვილება ადრე შესწავლილ იმ დებულებებზე, წესებსა და კანონებზე, რომლებიც ახალი მასალის შესწავლას ედება საფუძვლად; ბ)მასწავლებლის სიტყვიერი ახსნიდან თვალსაჩინო მასალაზე გადასვლისას - მასწავლებლის მიერ გადაცემული თეორიული ცოდნის თვალსაჩინოებით ეფექტურად კონკრეტიზაციისთვის მიზანშეწონილია ეს მასალა მოსწავლეებს ვაჩვენოთ ვერბალურად მიწოდე-ბული მასალის ლოგიკის მიხედვით და ამასთა-ნავე ვუკარნახოთ რა და როგორ უნდა დაინახონ; გ)სააზროვნო პროცესზე ყურადღების გადატანისას - სააზროვნო პროცესი მოითხოვს ანალიზისა და სინთეზის მეტ-ნაკლებად განვითარებულ დონეს, ამიტომ მასწავლებელმა გაკვეთილზე სისტემატური სახე უნდა მისცეს საგნებისა და მოვლენების შედარებას, განზოგადებას, კლასიფიკაციას.

დაწყებით საფეხურზე ამ მნიშვნელოვან თვისებათა სისუსტეს იწვევს ის, რომ სწავლის დასაწყისში მოსწავლეებს ჯერ კიდევ არა აქვთ ფორმირებული სასწავლო უნარები და ჩვევები, რის გამოც ვერ ახერხებენ სწრაფად გადაერთონ სასწავლო საქმიანობის ერთი სახიდან მეორეზე. მოულოდნელად დასმულ კითხვაზე ასეთი ტიპის მოსწავლეები, მიუხედავად იმისა, რომ პასუხი იციან, მაშინვე ვერ უპასუხებენ, სჭირდებათ პაუზა. მეორე კლასიდან სასწავლო ქცევის სრულყოფის კვალდაკვალ, ხდება ფორმირება გაკვეთილის ერთი ეტაპიდან მეორეზე, ერთი სასწავლო საქმიანობიდან მეორეზე გადასვლისა.

უნარი, გადაანაწილოს ყურადღება ერთდროულად ორ ან მეტ ობიექტზე, ნაკლებად აქვთ უმცროსკლასელებს. ის არ ფორმირდება 7 წლამდე. ამიტომ პირველ კლასში დაფასთან გაძახებულ ბავშვს შეუძლია ჯერ თქვას და შემდეგ დაწეროს, ერთდროულად ვერ ახერხებს. ყურადღების განაწილების სისუსტე ყველაზე ნათლად ჩანს კარნახით მუშაობისას, როცა ერთდროულადაა საჭირო მოსმენა, წესების გახსენება, გამოყენება და წერა. მეორე კლასში უკვე შესამჩნევი ძვრებია ამ მიმართულებით. 8 წლისთვის 2 სასწავლო ობიექტზე ყურადღების გადანაწილება ხდება ნორმა, თუ ერთ-ერთი აუცილებელი აქტივობა, რაღაც ხარისხით მაინც, ავტომატიზირებულია.

ყურადღების გამძლეობის თვალსაზრისით, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ძირითადად დინამიკური ყურადღების ტიპები არიან. მათთვის დამახასიათებელია ყურადღების მიმართულების ხშირ-ხშირი ცვლა, ე. წ. ლაბილური, „ფლუქტიური“, „მფრინავი“ ყურადღება. ყურადღების ხანგრძლივად რაიმე საგანზე შესაჩერებლად სულ ახალ-ახალი იმპულსები ესაჭიროებათ. უმცროსკლასელთა (განსაკუთრებით I და II კლასი) ყურადღების სუსტი გამძლეობის მიზეზი შეკავებითი პროცესების სისუსტეა. მათი ყურადღება არ არის მყარი უცვლელი შინაარსების მიმართ, ამიტომაც არ შეუძლიათ ხანგრძლივად ერთი და იგივე სამუშაოს შესრულება, სწრაფად იღლებიან. საჭიროა მცირე პაუზებით სარგებლობა და მათი შესვენება. III და IV კლასში შესაძლებელია ყურადღების უწყვეტად შენარჩუნება მთელი გაკვეთილის განმავლობაში. მოკლე პაუზები, ცხადია, სასარგებლოა, მაგრამ შესვენებები არ არის აუცილებელი. საკმარისია აქტივობათა პერიოდულად ცვლა. სამუშაოს მრავალფეროვნება ასტიმულირებს ყურადღების გამძლეობას. ყურადღებიანობის შენარჩუნება შეიძლება აგრეთვე, შესასწავლი ობიექტის ახალ-ახალი თვისებებისა და კავშირების გახსნით. ექსპერიმენტული პედაგოგიკის მონაცემთა მიხედვით, 6 წლის ბავშვს მხოლოდ 15 წუთით შეუძლია სასწავლო მასალაზე ყურადღების კონცენტრაცია, 7-10 წლისას - 20 წუთით, 10-12 წლისას - 30 წუთით. მასწავლებლისთვის ეს ნიშნავს იმას, რომ ახალი მასალის ახსნა, მთელი თავისი მოსამზადებელი სამუშაოებით, არ უნდა აღემატებოდეს მოსწავლის ასაკობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე დროით დიაპაზონს. შეცდომაა იმის ფიქრი, რომ რაც მეტ მასალას მივაწვდით, მეტად აღიქვამენ თემას. გაკვეთილის ახსნისას ხშირია შემთხვევა, როცა მოსწავლე თითქოს გისმენს, არ ერთობა, არ საუბრობს, მაგრამ ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ყურადღება მოუდუნდა. ასეთ შემთხვევაში ფსიქოლოგები გვირჩევენ, რამდენიმე წამით შევწყვიტოთ ახსნა და ვთხოვოთ ბავშვებს, რომ თითოეულმა დაუსვას თავის თავს შეკითხვა „რას ვაკეთებ მე ახლა?“, ამის შემდეგ ყურადღება აღსდგება.

დაწყებით საფეხურზე ყურადღებას სიმყარის (უცხო გამღიზიანებლისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი) გარკვეული მაჩვენებელი გააჩნია. ამა თუ იმ სასწავლო აქტივობის დროს მოსწავლეები ცდილობენ შეასრულონ მასწავლებლის მიერ მითითებული აქტივობა და ყურადღება არ გადაიხარონ, მაგრამ ამას ყველა ერთნაირი წარმატებით ვერ ასრულებს. ყურადღების გადახრადობის დროს მოსწავლისთვის აქტუალური ქცევა ირღვევა(მისი სურვილის წინააღმდეგ) და აღმოცენდება სხვა, შემთხვევითი ქცევა. ზოგიერთი მოსწავლის ყურადღების გადახრადობის ხარისხი ძალიან მაღალია(ე. წ. ყურადღების ადვილად გადახრადი ტიპები), ზოგიერთისა კი შედარებით დაბალი(ე. წ. ყურადღების ძნელად გადახრადი ტიპები). ყურადღების სიმყარის ნაკლებობა ძალიან ხშირად თავს იჩენს, ხოლმე, ისეთი ფართოდ გავრცელებული მოვლენის სახით, როგორიცაა ყურადღების გაფანტულობა. ეს უმეტესად ახასიათებთ მგრძნობიარე, ადვილად შთამბეჭდავ, ზოგჯერ შემოქმედებითი ტიპის ბავშვებს. იმყოფებიან რა მათთვის საინტერესო საგნის ან მოვლენის(ზღაპარი, ფილმი, თამაში...) ზეგავლენის ქვეშ, შეიძლება დიდხანს ვერ დააღწიონ თავი მის „ტყვეობას“. მათ ცნობიერებაში აღმოცენებული მკვეთრი ხატი, ძლიერი ემოცია და გრძნობა ხანგრძლივად ინარჩუნებს დომინანტურ მდგომარეობას და ყურადღება ვერ ახერხებს სხვა შინაარსზე, სხვა საქმიანობაზე გადართვას.

განასხვავებენ ყურადღების გაფანტულობის ორ სახეს. ერთი ყურადღების ინტენსიური კონცენტრაციის შედეგია, მეორე - მისი უკმარობისა. ნამდვილი გაფანტულობა მეორე შემთხვევაა. მოსწავლეს ევალება სამოქმედო ობიექტზე ხან-

გრძლივად შეჩერება, იგი ამას ვერ ახერხებს და მყისვე სხვა ობიექტზე გადადის, თუმცა ვერც ამ ობიექტზე შეჩერდება. მისი ყურადღება მუდამ ერთი საგნიდან მეორეზე გადადის და არ შესწევს უნარი არც ერთ მათგანზე კონცენტრაციისა. რაც შეეხება გაფანტულობის პირველ სახეს, აქ საქმე გვაქვს კონკრეტულ შინაარსზე ყურადღების კონცენტრაციის ისეთ მაღალ ფორმასთან, რომ სუბიექტს აღარ ხელეწიფება სხვა შინაარსზე ყურადღების მიმართვა. ყურადღების გაფანტულობა ბავშვებში, მათ შორის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში, წარმოადგენს ბუნებრივ მდგომარეობას და განპირობებულია მათი ნერვული სისტემის სპეციფიკური აქტივობით (ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, ყურადღების გაფანტულობის ზომიერ ხასიათს); თუ ეს უკანასკნელი გადაჭარბებულად იჩენს თავს, მაშინ აუცილებლად იარსებებს რიგი მიზეზებისა, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მშობლებმა და მასწავლებლებმა; ამ დროს ბავშვს დატუქსვა და დასჯა კი არა, დახმარება სჭირდება. ყურადღების გაფანტულობის მიზეზები შეიძლება იყოს:

ა)ფიზიოლოგიური ფაქტორები: ნერვული სისტემის ზოგადი დაავადება, სისხლნაკლულობა, ბავშვის ცხვირ-ხ ახაში ადენოიდების არსებობა. ადენოიდები ხელს უშლიან ცხვირით სუნთქვას, რაც იწვევს ტვინის სისხლით მომარაგების სისტემის ჟანგბადით გაღარიბებას და მისი ნორმალური მუშაობის დარღვევას. ასეთი ბავშვები სუნთქავენ პირით, თვალები კარგავენ სხივს და გამომსახველობას, იცვლება ბავშვის სახის იერი. ფიზიოლოგიური ფაქტორებით ყურადღების გაფანტულობის შემთხვევაში მშობელმა რჩევისთვის უნდა მიმართოს ექიმს. ბ)ბავშვის ადვილი და სწრაფი დაღლა, რასაც ადგილი აქვს მისთვის რთული, უინტერესო და ერთფეროვანი სამუშაოს შესრულების დროს, რომელიც მოითხოვს ნერვულ-კუნთური სის-ტემისა და მხედველობით-სმენითი აპარატის ხანგრძლივ დაძაბულობას. ძლიერი ემოციური განცდებითა და შთაბეჭდილებებით გადატვირთვა, არასაკმარისი დასვენება და განტვირთვა იწვევს ტვინის აქტივობის ზომაგადასულ შეკავებას; ნერვული უჯრედები კარგავენ აღქმადობას ვეღარ პასუხობენ მასზე მომქმედ გამღიზიანებლებს, რაც იწვევს მოდუნებას, მოსვებულობას და ძი-ლიანობას.

გ) არამართებული ოჯახური აღზრდა, რაც მდგომარეობს ბავშის დროის არანორმირებულად გადანაწილებაში, ბავშვისთვის ასაკობრივად ატიპურ ქცევებსა და თავს მოხვეულ აქტივობებში.

დ) შთაბეჭდილებათა მუდმივი ცვალებადობა. როცა უსაზღვროდ მზრუნველი მშობლები ბავშვისთვის ყიდულობენ ძალიან ბევრ სათამაშოებსა და წიგნებს, ადრიანად და ხშირად დაჰყავთ გამოფენებზე, მუზეუმებში და თეატრებში, ბავშვი ვერ ასწრებს გარკვევას თითოეულში, არა აქვს საშუალება დაფიქრდეს და გადაამუშავოს ის სიახლეები, რომლებსაც ყოველდღიურად უჩვენებენ მას უფროსები და ეჩვევა მარტივ, ზედაპირულ ურთიერთობას გარემომცველ სამყაროსთან. მისი ყურადღება ხდება გამჭოლი, ასხლეტადი. ასეთ დროს პედაგოგის ვალია დაანახოს მოსწავლეს ნაცნობი საგანი უცნობი მხრიდან, გახსნას მის წინაშე საგნის ის შტრიხები და კავშირები, რომლებსაც ბავშვის ყურადღება ჯერ არ შეხებია.

ე) მასწავლებლის მიერ გაკვეთილის მონოტონურად, მოსწავლეთათვის უინტერესოდ და ნაკლებ შთამბეჭდავად ჩატარება.

ყურადღების ერთ-ერთ, პედაგოგიკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან თავისებურებას მისი გავარჯიშების შესაძლებლობა შეადგენს. იმდენად, რამდენადაც ყურადღება ადამიანის გონებრივი და ფიზიკური აქტივობისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, მისი განვითარებისა და გამახვილების შესაძლებლობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო თვალსაზრისით. ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ყურადღების ძირითადი თვისებების გავარჯიშება შესაძლებელია; კერძოდ, ვარჯიშის შედეგად ნელი ადაპტაციის სუბიექტებს შედარებით უფრო სწრაფი ადპტაციის უნარი უმუშავდებათ, თვალსაჩინოდ იცვლება კონცენტრაციის ინტენსივობისა და კონსტანტობისს ხარისხი, ვითარდება ყურადღების განაწილებისა და გამძლეობის უნარი, მატულობს შეგუების სისწრაფე და ა. შ.

არსებობს ყურადღების სახეთა რამდენიმე კლასიფიკაცია, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიანკლასიფიცირებისრაკურსის(ფუნქციები და ეფექტები, გენეზისი და მექანიზმები, პირობები და თვისებები, ობიექტები და თანმხლები განცდები) მიხედვით. ყველაზე ტრადიციულია კლასიფიკაცია ნებელობის ნიშნის მიხედვით. ყურადღების პირველადი ფორმა, ყველაზე მარტივი და გენეტიკური პოზიციების მქონე, არის **უნებლიე ანუ პასიური ყურადღება,** რომელიც აღმოცენდება ობიექტური ვითარებით, სუბიექტის ცნობიერი განზრახვისგან დამოუკიდებლად. **ნებისმიერი ანუ აქტიური ყურადღება** არის ცნობიერად წარმართული და რეგულირებული ფორმა ყურადღებისა, რომლის დროსაც სუბიექტი თავად ირჩევს შინაარსს. იგი ექვემდებარება მხოლოდ ნებელობით ძალისხმევას. ზოგიერთი ავტორი გამოყოფს **ნებისმიერის შემდგომ ყურადღებასაც,**

რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი და უნებლიე ყურადღების დადებითი მხარეების შერწყმას. ეს არის ყურადღების ფორმა, რომლის დროსაც ცნობიერებას მიიზიდავს ობიექტურად ღირებული მოვლენები ისე, რომ ხანგრძლივად შეჩერება აღარ მოითხოვს ბავშვისგან ძალისხმევას და ნებისყოფის დახმარებას. ყურადღების სამივე ფორმა ერთნაირად ღირებულია პედაგოგიური პროცესისათვის; თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი, საგანმანათლებლო აქტივობებისათვის ერთობ ფასეული მახასიათებლები. უნებლიე ყურადღება სწავლის პროცესში მარტივად ვითარდება. უმცროსკლასელი სწრაფად რეაგირებს მისთვის საინტერესო მასალაზე, ამიტომ მნიშვნელოვანია შემეცნებითი ინტერესებისა და მოთხოვნილებების აღზრდა. რაც შეეხება ყურადღების ნებელობითი რეგულირების შესაძლებლობებს, შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, სასწავლო პროცესის ორგანიზების დაფუძნება მხოლოდ უნებლიე ყურადღებაზე, არ არის მიზანშეწონილი. როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ - უნდა გამოვიყენოთ უნებლიე ყურადღება, მოვახდინოთ ნებისმიერი ყურადღების სტიმულირება და სამიზნედ გავიხადოთ ნებისმიერისშემდგომი ყურადღების აქტივიზირება. ყურადღების განვითარების შედარებით მაღალ ფორმას წარმოადგენს **კოლექტიური ყურადღებაც,** რომელიც არ არის გაკვეთილზე მოსწავლეთა ინდივიდუალური ყურადღების მექანიკური ჯამი, მაგრამ მოიაზრებს თითოეულის ყურადღების მაღალ მაჩვენებელს. იგი არის მასწავლებლის მიერ ორგანიზებული და აღზრდილი ყურადღება, რომელიც მიმართულია ერთი მიზნისკენ, კლასის ცნობიერების ველში მოაქციოს ასახსნელი მასალა. კოლექტიური ყურადღების ჩანასახოვანი ფორმები ყალიბდება II კლასში, მაგრამ, როგორც წესი, ეს თავისთავად, მასწავლებლის მიზანმიმართული ჩარევის გარეშე არ მოხდება. კოლექტიური ყურადღების აქტიური ჩასახვისა და დაწყების ეტაპია III კლასი. კოლექტიური ყურადღების ფორმირების ხელიშემწყობი ფაქტორებია: ა)გაკვეთილის ორგანიზებულობა და სათანადო ტემპი. არ უნდა არსებობდეს ე. წ. ცარიელი დრო, რომელსაც მასწავლებელი იყენებს დაფაზე საწერად და რესურსის მოსამზადებლად. ყველაფერი წინასწარ უნდა იყოს მომზადებული.

ბ) მოკლე, ნათელი და აღქმადი ახსნა და ინსტრუქცია, რომელსაც მასწავლებელი იძლევა სამუშაოს დაწყებამდე და არ იმეორებს დავალების შესრულებისას. არ არის საჭირო კლასთან ზედმეტი საუბარი. გ)მაქსიმალური, რა თქმა უნდა ასაკობრივ ჭრილში წარმოდგენილი, საყრდენი აქტიური აზრობრივი საქმიანობისა.

დ) მასწავლებლის ფაქიზი და ფრთხილი დამოკიდებულება კლასის ყურადღებისადმი. ხმამაღალი შენიშვნები ცალკეული მოსწავლეებისადმი, მაშინ, როცა მთელი კლასი უკვე მუშაობს, დაგვიანებული დამატებითი ახსნა, უმიზნო სიარული არღვევს მოსწავლეთა შეკრულ ყურადღებას.

ე) საგაკვეთილო თემისა და მიზნების შესატყვისი სამუშაოების მრავალფეროვანი სახე და ფორმა. სასწავლო აქტივობებში ყველა მოსწავლის ჩართვა არა მხოლოდ წერილობით, არამედ ზეპირ სავარჯიშოებში, თითოეული მოსწავლის ინიციატივის აქტივაცია.

ვ) სპეციალიზირებული სავარჯიშოებისა და დიდაქტიკური თამაშების გამოყენება.

დაწყებით საფეხურზე, როგორც აღვნიშნეთ, მოსწავლეთა ყურადღება ძირითადად **პასიური, უნებლიე** სახით ვლინდება, მაგრამ იგი, როგორც ასეთი, განვითარებადია. მის განვითარებას ასტიმულირებს სკოლაში სწავლის დაწყება. იმდენად, რამდენადაც უნებლიე ყურადღება დაფუძნებულია ინტერესზე, ბუნებრივია, ყველა მასწავლებელი ცდილობს თავისი გაკვეთილი ააგოს მხოლოდ მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით და სახალისო რესურსების გამოყენებით. საჭიროა იმის გააზრება, რომ მოსწავლეებს სწორედ დაწყებით საფეხურზე უნდა გამოუმუშავდეთ უნარ-ჩვევა იყვნენ ყურადღებიანები იმ მასალის მიმართაც, რომელიც არ იწვევს მათ უშუალო ინტერესს, არ არის სახალისო და თავშესაქცევი; წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოცენდება გასათუთებული, ნებიერი ყურადღება და ჩვევა ყურადღებით მოეკიდნონ მხოლოდ მათთვის საინტერესო მასალას. მოსწავლე ვეღარ შეძლებს ნებისმიერი ყურადღების მობილიზებას იმ შემთხვევებში, როცა ქცევის გარკვეული ელემენტები უშუალო ინტერესს არ იწვევენ. ჯერ კიდევ კ. დ. უშინსკი გვაფრთხილებდა ამის შესახებ: „რა თქმა უნდა, როცა გეგმავთ სახალისო გაკვეთილს, არ უნდა გეშინოდეთ იმისა, რომ ბავშვები მოიწყენენ, მაგრამ გახსოვდეთ, სწავლის დროს ყველაფერი ვერ იქნება თავშესაქცევი, უთუოდ არსებობს მოსაწყენი ელემენტები და უნდა არსებობდეს კიდეც. ასწავლეთ ბავშვებს აკეთონ არა მხოლოდ ის, რაც მათთვის სახალისოა, არამედ ისიც, რაც არ ეხალისებათ, - კმაყოფილება იგრძნონ თავიანთი მოვალეობის შესრულებით.“ უშინსკი ხაზს უსვამდა, რომ მხო-ლოდ უნებლიე ყურადღება არ არის საკმარისი, ნებისმიერ ყურადღებასთან მისი თანამოქმედების გარეშე, ის შეიძლება იქცეს სულის ავადმყოფურ მდგომარეობად, უსუსურ, ზარმაც აქტივობად, რომელიც მუდმივად ითხოვს რაიმე საინტერესოს.

უნებლიე ყურადღების სტაბილურობა, ნების-

მიერი ყურადღების განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს დაწყებით საფეხურზე მოსწავლის წარმატებული სასწავლო პროცესისთვის. ლ. ს. ვიგოტსკი აღნიშნავდა, რომ სასწავლო პროცესის აგება მხოლოდ უნებლიე ყურადღებაზე, შეცდომაცაა და შეუძლებელიც. პედაგოგიურ პროცესი საჭიროებს გამოვიყენოთ უნებლიე ყურადღება და განვავითაროთ ნებისმიერი. მისი კვლევების მიხედვით, ნებისმიერი ყურადღების ჩანასახები ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში გვხვდება და ნელ-ნელა, საფეხურეობრივად ვითარდება. 6 წლიდან ყურადღების აქტიური, ნებისმიერი ფორმა სულ უფრო შესამჩნევი და დამახასიათებელი ხდება ბავშვისათვის, რასაც ასაკობრივ მახასიათებელთან ერთად განაპირობებს მისი სასკოლო ცხოვრების წესი და მასწავლებლის დროული და გონივრული ძალისხმევა. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური, როგორც ფსიქოლოგები მიუთითებენ, განსაკუთრებით სენზიტიურია ნებისმიერი ყურადღების განვითარებისა და აღზრდის თვალსაზრისით.

ნებისმიერი ყურადღების განვითარებაზე გავლენას ახდენს რეჟიმი და სისტემურობა. დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში მიზანმიმართულად მუშაობის უნარის გამომუშავებას. თავდაპირველად მოსწავლეებს მიზანს უსახავს და დახმარებასაც აღმოუჩენს მიზნის მიღწევაში (თუ ეს აუცილებელია) მასწავლებელი(მშობელი, მეურვე...). მაღალი საფეხური ნებისმიერი ყუ-რადღებისა არის მოსწავლის უნარი დამოუკი-დებლად იხელმძღვანელოს დასახული მიზნე-ბით. ნებისმიერი ყურადღების განვითარება ბავშვებში ხდება უფროსების მიერ დასახული მიზნის შესრულებიდან თავისი დასახული მიზნის შესრულებისკენ ეტაპობრივად გადანაც-ვლებაში. უმცროსკლასელს გარკვეული ხარი-სხით შეუძლია თავად დაგეგმოს თავისი ქმედება. სიტყვიერად ჩამოაყალიბოს რა და როგორი თანმიმდებრობით უნდა შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო. დაგეგმარება უპირობოდ ავითარებს ბავშვის ნებისმიერ ყურადღებას. დაწყებით საფეხურზე ნებისმიერი ყურადღების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული სწავლისადმი პასუხისმგებლობისა და მოტივაციის განვითარებასთან. ყურადღების ნებელობითი რეგულირების შესაძლებლობები რამდენადმე შეზღუდულია. თუ საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლებს შეუძლიათ ყურადღება გაამახვილონ უინტერესო და რთულ მასალაზე იმ შედეგის მისაღწევად, რომელიც მომავალში უნდა მიიღონ, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები მხოლოდ ახლო შედეგზე არიან ორიენტირებულნი (ქების დამსახურება, ათიანის პერსპექტივა, წამახალისებელი აქტივობები და ა. შ.) უმცროსკლასელთა ნებისმიერი ყურადღების შორეული მოტივაციის აღზრდა მათი ასაკობრივი მახასიათებლების შესაბამისად, ახლო და შორეული მიზნების ერთმანეთთან დაკავშირების გზით შეიძლება. მაგალითად, შორეული მოტივაცია, გავხდე ადამიანებისთვის სასარგებლო, შეიძლება შევაუღლოთ ახლო მიზანთან, წარმატებით გადავიდე მომდევნო კლასში. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, უახლოეს მოტივთან, მივიღო მასწავლებლისგან შექება.

პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ყოველი კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური მაჩვენებელი საშუალებას იძლევა მისი ყურადღების გარკვეული თვალსაზრისით, კონკრეტული მოცემულობის ნიშანდობლივ ზღვრამდე განვითარებისა. ამასთანავე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სპეციალურად ორგანიზებულ გარემოს. სასკოლო ცხოვრების დაწყებითი საფეხურის მისია ყურადღებასთან მიმართებაში არის ის, რომ მოსწავლეს, ასაკობრივი საზღვრების გათვალისწინებით, გამოუმუშავდეს საკუთარი ყურადღების მართვის, კონკრეტულ შემთხვევაში მისი საჭირო დონემდე შენარჩუნების და შესასრულებელი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ყურადღების თვისებებით მოქნილად ოპერირების უნარი.

დაწყებით საფეხურზე, ყურადღების განვითარების მიმართულებით ეფექტურად მუშაობის თვალსაზრისით, მასწავლებლებისთვის საინტერესოა ყურადღებიანობის 4 მდგომარეობა:

1) ნამდვილი ყურადღება, როცა მოსწავლე უმკლავდება ყურადღების გადამხრელ ფაქტორებს, მთელი არსებით არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში და მისი ყურადღებიანობის მაღალ მაჩვენებელს შეესაბამება მისი პოზა და მიმიკა;

2) მოჩვენებითი ყურადღება, როცა მოსწავლეს აქვს ე. წ. საქმიანი პოზა და მიმიკა, მაგრამ მის გარეგნულ მახასიათებლებს არ შეესაბამება მისი ყურადღებიანობის მაჩვენებელი, იმყოფება ყურადღების გადამხრელი ფაქტორების (შინაგანი, გარეგანი) ზეგავლენის ქვეშ და საგაკვეთილი მასალის გარშემო დასმულ კითხვებს ვერ პასუხობს;

3) ნამდვილი უყურადღებობა, როცა მოსწავლეს არ აქვს საგაკვეთილო მზაობა და მისი პოზა და მიმიკა აშკარად ამჟღავნებს მის უყურადღებობას;

4) მოჩვენებითი უყურადღებობა, როცა მოსწავლეს ყურადღებიანობის გარეგნული ნიშნები ნაკლებად აქვს გამოკვეთილი, მაგრამ ყურადღებიანობის მაჩვენებელი აქვს მაღალი, რასაც მოწმობს კონკრეტული საგაკვეთილო მასალის გარშემო დასმულ კითხვებზე მათი ადეკვატური

პასუხები.

მოსწავლეთა ყურადღების ფორმირებისა და მართვის თვალსაზრისით, დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით საგულისხმოა როლი და მნიშვნელობა თვალსჩინოებისა, რომელიც საგაკვეთილო პროცესში ჩართულია სპეციალური პედაგოგიური ამოცანით - ვიზუალურად წარმოჩენით მარტივად აღსაქმელი გახადოს კონკრეტული საგაკვეთილო შინაარსი. თვალსაჩინოება რომ ეფექტური იყოს, მან არ უნდა მიიქციოს უმცროს-კლასელთა გადაჭარბებული ყურადღება. აზროვნებითი აქტივობის სამიზნე უნდა იყოს არა თვალსაჩინოების მკვეთრი ვიზუალური შინარსი, არამედ ის პედაგოგიური შინაარსი, რომლითაც უნდა სწვდეს ლოგიკურ კავშირებს. დაკვირვება ცხადყოფს, რომ რაც უფრო მკვეთრი, მდიდარი და მრავალფეროვანია თვალსაჩინოება, მით უფრო ძნელია მისი შინაარსიდან ლოგიკურ კავშირებზე ყურადღების გადატანა (მაგ.: ჩვეულებრივი ჩხირების დათვლა უფრო მარტივია ფსიქოლოგიურად, ვიდრე უცხო და უნიკალური საგნების).

როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული თითქმის ყველა პრობლემა იკვეთება ყურადღების ფენომენთან. როცა ვსაუბრობთ ყურადღების განვითარებასა და ფორმირებაზე, ვითვალისწინებთ დიმიტრი უზნაძის, ჟან პიაჟეს, ლევ ვიგოტსკის კონცეპტუალურ დებულებებს. ცხადია, ყურადღების ამა თუ იმ სახის განსავითარებლად საჭიროა გარკვეული ასაკობრივი მზაობა; სკოლამდელ ასაკში, როგორი ჩარევაც არ უნდა განვახორციელოთ, ბავშვს ვერ განვუვითარებთ სრულყოფილ ნებისმიერ ყურადღებას, მაგრამ საბაზო და საშუალო საფეხურზეც არ გვექნება ამ თვალსაზრისით სასურველი შედეგი, თუ დაწყებით საფეხურზე არ ჩავატარებთ მიზნობრივ აქტივობებს და როგორც დ. უზნაძე იტყოდა არ მოვახდენთ ყურადღების, როგორც ფსიქოლოგიური აქტის, ფუნქციობის ტენდენციის რეალიზაციას.

იმდენად, რამდენადაც ყურადღება წარმოადგენს ზოგადპიროვნულ მახასიათებელს, მისი განვითარებისთვის არ არის საკმარისი მარტოდენ წვრთნა-გავარჯიშებაზე გათვლილი აქტივობები; საჭიროა ისეთებიც, რომლებიც მოსწავლეებში შექმნის სათანადო დისპოზიციებს, განწყობებსა და დამოკიდებულებებს. ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ყურადღების აღზრდა-განვითარებაზე ორიენტირებული ინტერვენციები შესაძლოა, დაიგეგმოს სამი მიმართულებით:

1. ასაკობრივი საფეხურის შესაბამისად მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება;

2. მოსწავლეებში სათანადო ემოციური დამოკიდებულებების შექმნა;

3. საკუთრივ ყურადღების წვრთნა-განვითარება.

სავარაუდო აქტივობებად, შესაძლოა, წარმოვადგინოთ:

1. კლასთან მუშაობა ყურადღების მაკორექტირებელი სავარჯიშოებით და დიდაქტიკური თამაშებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ყურადღების წვრთნა-განვითარებას და ყოველ კონკრეტულ მოსწავლესთან მიმართებაში ყურადღებიანობის ინდექსის აწევას.

2. კლასში მოსწავლეების ყურადღების მაჩვენებელთა რამდენადმე გათანაბრების მიზნით, ყურადღების შედარებით დაბალი მოცემულობის მქონე მოსწავლეთა მცირე ჯგუფთან დამა-ტებითი შეხვედრები და მათზე მორგებული მაკორექტირებელი სავარჯიშოებით მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს კლასში დაგეგმილი ინტერვენციების კომფორტულად და ეფექტურად წარმართვას დრო-ისა და ხარისხის თვალსაზრისით.

3. ინდივიდუალური შეხვედრები ზოგიერთ, ყურადღების განსაკუთრებით დაბალი კოეფიციენტის მქონე მოსწავლესა და მათ მშობელთან მიზეზებისა და მათი მოშთობის გზების ძიების მიზნით..

4. სახალისო მინი-ლექციის ჩატარება თემაზე „რა არის და როგორია ყურადღება?“ რაც მოსწავლეებს გააცნობიერებინებს, თუ რას წარმოადგენს ის, რის განვითარებაზეც უნდა იყვნენ ორიენტირებულნი. ცნობიერი დამოკიდებულება (რა თქმა უნდა ასაკის შესატყვისი) პროცესისადმი ხელს შეუწყობს მათი მოტივაციისა და ჩართულობის ამაღლებას ამ მიმართულებით და უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას.

5. დისკუსია თემაზე: „რატომ და როგორ უნდა ვიმეგობრო ყურადღებასთან“ ან „მე და ჩემი ყურადღება“, მოსწავლეებს დააფიქრებს წარმატებული აკადემიური მდგომარეობის მიღწევაში ყურადღებიანობის მნიშვნელოვნებაზე და შეუქმნის გარკვეულ ქცევით მზაობას იმასთან დაკავშირებით, რომ ყურადღება გავარჯიშებადი და განვითარებადია, რის ფონზე უფრო თავდაჯერებულები გახდებიან ამ მიმართულებით.

8. აქტივობა „ჩვენ ვუსმენთ სიჩუმეს“ ხელს შეეწყობს მოსწავლეებს ყურადღების კონცენტრაციისა და ინტენსივობის გავარჯიშებაში.

9. ლექციური ტიპის შეხვედრა მშობლებთან, რომელიც მოამზადებს ფონს მოსწავლეთა ყურადღების განვითარებაში მშობლების ჩართულობის გაზრდისათვის, რაც უზრუნველყოფს ამ მიმართულებით მუშაობის წარმატებას.

ყურადღების განვითარების პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ყველზე ეფექტურ, მრავალი

კვლევითი სამუშაოს საფუძველზე შემუშავებულ ვერსიად მიჩნეულია ყურადღების განმავითარებელი სპეციალიზირებული სავარჯიშოებისა და დიდაქტიკური თამაშების გამოყენება; მათ სტრუქტურაში შერწყმულია ტიპური თამაშისა და ტიპური სწავლის, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმების, ელემენტები. სასწავლო ინდექსის შინაარსი, ცხადია, იცვლება იმის მიხედვით, თუ რა გვაქვს მიზნად დასახული. დიდაქტიკური თამაშისა და სპეციალიზირებული სავარჯიშოების ადგილის განსაზღვრა საგაკვეთილო პროცესში მოითხოვს მათ კლასიფიცირებას საგაკვეთილო მიზნისა დიდაქტიკური ამოცანის შესატყვისობის საფუძველზე. ერთი და იგივე თამაშისა თუ სავარჯიშოს მორგება/გამოყენება შეიძლება სხვადასხვა შინაარსობრივ მასალასთან მიმართებაში. მოსწავლეთა ყურადღების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების შესრულებისას გასათვალისწინებელია ტემპიც. მუშაობის ძალიან სწრაფი ან ნელი ტემპი ერთნაირად უსარგებლოა ყურადღების სიმტკიცისა და კონცენტრი-რებისთვის. ოპტიმალურია საშუალო ტემპი, რომელიც მით უფრო დაბალია, რაც უფრო პატარები არიან.

ყურადღების განმავითარებელი სპეციალური სავარჯიშოებისა და დიდაქტიკური თამაშების პროცესი შეიძლება წარიმართოს ორი მიმართულებით:

1. გამოყენება სპეციალური სავარჯიშოებისა, რომლებიც ორიენტირებული იქნება ყურადღების ცალკეული ძირითადი მახასიათებლების წვრთნა/გავარჯიშებაზე.

2. გამოყენება სავარჯიშოებისა, რომლებიც ორიენტირებული იქნება ყურადღების, როგორც მთლიანპიროვნული მახასიათებლის წვრთნა/გავარჯიშებაზე. ამასთან, საჭიროებისანებრ, შესაძლოა ჩატარდეს, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობა. ყოველი აქტივობა მოითხოვს მონაწილეთა განსაზღვრულად მინიმალურ ან მაქსიმალურ რაოდენობას, რის გათვალისწინებაც უნდა მოხდეს აქტივობის ორგანიზებისას.

პედაგოგიური პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თუ სწავლების პროცესი კარგად არის სტრუქტურირებული და მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის ათვისების შესაძლებლობები ნორმის ფარგლებშია, მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მდგომარეობის მიზეზი ცალსახად უყურადღებო-ბაა; შესაბამისად, ნამდვილად ღირს დაფიქრება იმაზე, ხელეწიფება თუ არა მასწავლებელს მოსწავლეთა ყურადღების განვითარებაზე მუ-შაობა და რამდენად შეიძლება შეიცვალოს მოსწავლეთა აკადემიური მდგომარეობა, თუ მასწავლებელი შეძლებს მათ დახმარებას აღნიშ-ნული მიმართულებით. ამასთან, ერთობ აქტუ-ალურია, დაწყებითი საფეხურის ფონზე იდენ-ტიფიცირებული პრობლემა საბაზო და საშუალო საფეხურზეც, რადგან უფროსკლასელებში ნე-ბელობით განპირობებული ყურადღებიანო-ბის მართვაში სწორედ იმიტომ არსებობს წინა-აღმდეგობები, რომ თავის დროზე დაწყებით საფეხურზე არ მოხდა მათი გადალახვა; დღეს, უფროსკლასელთა გარკვეული ნაწილის დაბალი აკადემიური მოსწრება და სწავლაზე გულის აცრუება, შესაძლოა, სწორედ სასწავლო პროცესში ყურადღების მართვის უუნარობით იყოს გამოწვეული.

დასკვნა

ამრიგად, ყურადღება, როგორც ფსიქიკური ფუნქცია, სწავლა-სწავლების პროცესის არსებითი მნიშვნელობის ფაქტორია, გავარჯიშებადია და განსავითარებლად მოითხოვს ქმედით პედაგოგიურ ჩარევას. შესაბამისად, მასწავლებელი მოვალეა ფლობდეს გარკვეულ ცოდნას ყურადღების რაობისა და განვითარების ასაკობრივად განმსაზღვრელ კანონზომიერებათა შესახებ.

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე ყურადღების აღზრდა-განვითარების მთლიანი დინამიკური სტრუქტურა აღმზრდელისა და აღსაზრდელის სპეციფიკურ აქტივობათა ურთიერთმიმართებას ეფუძნება, კერძოდ, მოსწავლის ყურადღების ფსიქო-ფიზიკური ანუ ე.წ. „ინსტრუმენტალური“ შესაძლებლობებისა და სათანადოდ ორგანიზებული და მიზანმიმართულად სისტემატიზირებული პედაგოგიური გარემოს თანხვედრის შესაძლებლობას. სასკოლო ცხოვრების დაწყებითი საფეხურის ერთ-ერთ ძირითად მისიას წარმოადგენს სწორედ ის, რომ მოსწავლეს, ასაკობრივი საზღვრების გათვალისწინებით, გამოუმუშავდეს საკუთარი ყურადღების მართვის, კონკრეტულ შემთხვევაში მისი საჭირო დონემდე შენარჩუნების და შესასრულებელი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყურადღების თვისებებით მოქნილად ოპერირების უნარი. ამ უკანასკნელის მისაღწევად ნამდვილად არ არის საკმარისი მხოლოდ ზრდის ბუნებრივ ტემპთან შეუღლებული და დატუქსვა-შეგონებაზე დაფუძნებული სასწავლო თუ ყოფითი აქტივობები. საჭიროა, ერთის მხრივ, სასწავლო მასალის მიწოდება ზუსტად განსაზღვრული (მოსწავლის ინდივიდუალურ-ასაკობრივი და მასალის შინაარსობრივ-სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინება) წესით იმგვარად, რომ მოსწავლემ შეძლოს შეაკავოს და დათრგუნოს თავის ცნობიერებაში აღმოცენებული შემთხვევითი გამღიზიანებლები და მეორეს მხრივ, გამოყენება ყურად-

ღების განმავითარებელი სპეციალი-ზირებული სავარჯიშოებისა და დიდაქტიკური თამაშებისა, რომელთა სტრუქტურაშიც შერწყმულია ტიპური თამაშისა და ტიპური სწავლის, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმების, ელემენტები. ამასთან, წარმოადგენს რა ზოგადპიროვნულ მახასიათებელს, ყურადღების განვითარებისთვის სასურველია აგრეთვე ისეთი აქტივობებიც, რომლებიც მოსწავლეებში შექმნის სათანადო დისპოზიციებს, განწყობებსა და დამოკიდებულებებს.

კვლევები ადასტურებს, რომ სასკოლო სწავლების დაწყებით საფეხურზე ყურადღების განვითარებასა და აკადემიური უნარების ფორმირებას შორის არსებობს დადებითი კორელაცია და შესაბამისად, მოსწავლეთა ყურადღების განვითარებაზე ზრუნვას ცალსახად მოჰყვება ცალკეული აკადემიური უნარ-ჩვევების და ზოგადი აკადემიური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიჩაიშვილი თ., უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებები, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1991.
2. კაკაბაძე ვ., უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლის ყურადღების აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, პედაგოგიური ფსიქოლოგია, „განათლება“, თბილისი, 1973
3. მოსიავა ალ., ყურადღების აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხები, პმი გამომცემლობა, თბილისი, 1950.
4. უზნაძე დ., პედაგოგიური თხზულებანი, „კოლორი“, თბილისი, 2005.
5. უშინსკი კ. დ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, ტომი II. 1950.
6. ფრანგიშვილი ა., სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები, „განათლება“, თბილისი, 1969.
7. Ананьев Б. Г., Воспитание внимания у школьников, М: «Бук-мастер“, 2003.
8. Выготский Л. С., Развитие высших форм внимания в детском возрасте, М: „Педагогика“, 1976.
9. Гальперин П. А., Экспериментальное формирование внимания М:„Педагогика“, 1974.
10. Гоноболин Ф. Н., Внимания и его воспитание, М:„Педагогика“, 1972.
11. Горбач М. С., Психологические основы воспитания внимания, М: Просвещение, 1992.
12. Люблинская А. А., Детская психология, М: Просвещение, 1971.

The problem of Developing Attention at the Elementary Level of General Education

Nana Bokuchava, PhD Student
Georgian Technical University

Summary

Issues of formation and development of students' attention at the primary level of general education are among the topical problems of modern pedagogical science and practice. The so-called "clip awareness", which in the perception of the world does not require the analysis of information, sustainability of attention and activation of the will. This phenomenon has particularly affected the easily vulnerable psyche of the elementary school student. Excessive and inappropriate consumption of computers, televisions and mobile phones further increases the distraction and hinders the natural development of attention as a mental function, which together has a negative impact on the rhythm of students' school life and academic performance. The pedagogical practice shows that no matter how well-structured, organized, diverse, saturated with visual resources and loaded with fun activities, the teacher will not achieve his goal - to properly assimilate the learning material - if the students' attention is not sustained.

Attention is the first condition for fruitful mental work and pedagogical influence. "If you put a piece of wood on the wall, you will fall all the way down," says the proverb. Such a wall is the head of a careless child for every caregiver" (4:72).

The fact that the main condition for a successful learning activity is attention, both teachers and parents, but work in this area is considered less necessary and not infrequent, only those students who need serious help in terms of attention development remain in the throes of attention.

It should be taken into consideration that the lower level of the optimal attention so called span. Inattention is the inability (and not behavior) of students and is primarily manifested in their inability to focus on the content of the lesson, the requirements of the teacher, and their own behaviors. Pupils do not seem to see and do not understand what they need to remember and assimilate, not because they have deficiencies in psycho-physical characteristics and educational skills, but because the qualitative-quantitative index of their attention has a normal coefficient corresponding to the age level. The edge is below.

The following questions must be asked in relation to primary school students: What is and what should be the current level of students' attention? Is the "age rate" of growth and lesson activities sufficient to pay attention to the demands of the student on the age-learning environment?

For the existence of the act and what are the consequences of this act? Where does the maximum limit of attention go to students who have a high academic achievement and therefore a relatively high rate of attention? What opportunities do low-achieving students have in terms of attention development? By finding answers to these and similar questions and finding ways to solve potential problems, it will be possible to develop students' attention to some extent, to alleviate more or less the difficulties caused by low attention span, and therefore to create appropriate psychological comfort in developing academic skills; Especially since attention is practicable and in this or that particular case its low index does not represent a state of fatal inattention. When there is not enough natural development for the formation of attention, the so-called. "Age tempo" and fragmentary traits of attention coupled with the assimilation of the teaching material in the teaching process, it is necessary to carry out specially organized work, purposeful / appropriate activities with pedagogical-psychological intervention of its formation process (special training exercises and special training exercises).

At the specified educational stage replacing learning as a basic form of behavior with attention as a mental function brings many new demands: to place the necessary learning content in the student's consciousness, to maintain the achieved result to a certain level and then, following the new needs, to quickly prepare the conditions for the necessary information. The described opportunities develop in students gradually, step by step. From this point of view, observation of the age dynamics of the primary school education process (grades I-IV) shows a lower rate than the norm of attention, which leads to maladaptation of students, negatively affects the performance of educational and labor activities, which is often accompanied by discipline. It is often the case that even in the fifth-sixth grade, there is a lack of the necessary level of any (intentionally) attention and learning activities are carried out only against the background of involuntary attention; This is when the formation of certain elements of attention should still occur with preschoolers. Primary level of general education. The main target of the psychological-pedagogical development of learning is the nebulous processes. The student learns to manage his / her functions, including attention, slowly and step by step. One of the main tasks in the process of forming attention is to develop a habit called "being attentive". Frequent production of any acts of attention in the form of exercise facilitates the development of such a habit. Based on the exercise, the habit of being attentive is formed, which later becomes a personal characteristic of the student.

Such a personal characteristic is a guarantee that, if necessary, the attention will be purposefully activated and concentrated on the contents and activities that the learning environment and the need for the formation of academic skills offer the student.

By raising the attention index, the teaching-learning process becomes effective and impressive; Reduce the likelihood of making mistakes, which will encourage and motivate the student to have confidence in their own abilities and be focused on success; Improving the ability to deal with distracting factors will allow the student to be able to optimally organize his / her actions and maintain a more or less stable pace of his / her learning needs.

Keywords: Attention, Development, School, Elementary, Pupil, Teacher, Education, Didactic games, Achievement.

გენდერული კვოტა თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში

ლელა ბუსხრიკიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვეობის დაკვირვება ცხადყოფს, რომ მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა თან-დათან ეტაპობრივად აღიარეს, რომ რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყანა, მასში უფრო მეტად არის გათვალისწინებული სქესთა თანასწორუფლებიანობა და თანაბარი ჩართულობა. პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის ხელისშემშლელი არაერთი ფაქტორი არსებობს, მათ შორის: სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიური და ბოლოს, კულტურული ფაქტორები, სწორედ ეს ასპექტები გვხვდება ხშირად ამა თუ იმ ქვეყანაში ქალის როლის განმსაზღვრელი და მათი ჩართულობის შემაფერხებელიც კი. თუმცა ბოლო ათწლეულების მანძილზე გაიზარდა ქალის ინტერესები, სწორედ მათი პოლიტიკაში გააქტიურებისთვის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს წარმოადგენს კვოტირების სისტემა. დემოკრატიული ქვეყნის განვითარებისთვის გენდერული თანასწორობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. სხვადასხვა მკვლევარი, მეცნიერი თუ პოლიტოლოგი კვოტირების საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. ზოგადად, მთელი ქვეყნის მასშტაბით საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს. აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია ქალთა კვოტირების საკითხის ძირითადი მახასიათებლები. ასევე აქცენტი კეთდება განვითარებული ქვეყნების ისტორიულ გამოცდილებაზე, თუ როგორ იქნა მიღებული და დამკვიდრებული კვოტები. სწორედ ამ კვოტირების სისტემის დამსახურებაა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა.

შესავალი

დღესდღეობით საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. საზოგადოება კვლავ ცხოვრობს სტერეოტიპულ გარემოში, სადაც, უმრავლეს შემთხვევაში, ქალის მიმართ ოჯახში ძალადობა გამართლებული ქმედებაა; მაღალია ადრეულ ასაკში ქორწინების რიცხვი, ქალები წარმოადგენენ უმცირესობას გადაწყვეტილების მიღების დონეზე და ხშირია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით უფლებადარღვევის შემთხვევები. თუმცა საქართველოს კანონმდებლობით გენდერული თანასწორობა უზრუნველყოფილია კონსტიტუციით და დარეგულირებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით.

პოლიტიკის სფეროში გენდერის ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის და სტრუქტურების შექმნის პროცესში გამოცდილებას, ცოდნას და ქალთა და მამაკაცთა ინტერესებს, ამ პოლიტიკის განხორციელებასა (ეროვნული და საერთაშორისო ოპერაციების გათვალისწინებით) და შედეგების შეფასებას აერთიანებს. გენდერის დიფერენციაციის არსებობა უდავოა, მაგრამ სადავოა გენდერზე დაფუძნებული ძალაუფლებისა და რესურსების განაწილების შეფასების და კრიტერიუმების სამართლიანობა.

ისმის კითხვა: რა ფაქტორები განაპირობებენ ბარიერის შექმნას ქალთათვის პოლიტიკური კარიერული ზრდისთვის და კვოტირებათა სისტემის დამკვიდრების შემთხვევაში გაიზრდება თუ არა ქალთა ჩართულობა სახელმწიფო მმართველ ორგანოებში? არსებობს ჰიპოთეზა, რომ, რაც უფრო დაბალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, მით უფრო ნაკლებად არიან ქალები წარმოდგენილნი პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე იკვეთება ორი მნიშვნელოვანი ცვლადი: დამოუკიდებელი და დამოკიდებული. დამოუკიდებელი ცვლადი: ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, უარყოფითი სოციალური განწყობა, არსებული კულტურა და ტრადიციები. დამოკიდებული ცვლადი: ქალთა მცირე როლი ქართულ პოლიტიკაში.

ცნობილია, რომ ქალები შეადგენენ მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტს და მიუხედავად ამისა, უკიდურესად მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი სამთავრობო ორგანოებში, სახელმწიფო ორგანოებში გადაწყვეტილების მიმღებთა შორის და პოლიტიკაში. ქალები შედარებით უუფლებო მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ და სამყაროში, სადაც მამაკაცები დომინირებენ, ნათლად არის გამოკვეთილი საზოგადოების მასკულინური ხასიათი.

ტრადიციულ საზოგადოებებში, რომელთაც მნიშვნელოვანწილად საქართველოც მიეკუთვნება, საზოგადოებრივი ცხოვრება მამაკაცის კუთვნილ სამოქმედო ასპარეზად აღიქმება. თანასწორობის

საკითხები, გენდერული მოვალეობები და უფლებები განსხვავებულია ამ ორ სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში ქალთა მცირე რაოდენობამ მაინც წარმატებას მიაღწია განათლების, სამართლის, ეკონომიკის, სპორტისა თუ ხელოვნების სფეროებში, თავდაცვის სისტემაში როგორც საქართველოში ისე სხვა თუნდაც განვითარებულ ქვეყნებში ქალები მაინც ცოტანი არიან [1].

საქართველოში დღესდღეობით ბევრ ოჯახში ოჯახის მარჩენალის ფუნქცია ქალებს აკისრიათ. ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ ქალებს გარკვეული სახის ძალა შესძინა, თუმცა ეს ახალი სიტუაცია ტრადიციულ გენდერულ როლებს ვერ ცვლის და ქალების ძირითად საქმიანობად პარალელურად კვლავ რჩება ოჯახზე ზრუნვა - საოჯახო საქმეები, ბავშვების მოვლა და ა. შ. იმ ქალების უმრავლესობა, რომლებიც ოფიციალურ სექტორში არიან დასაქმებული, მუშაობენ სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვისა და მსუბუქი წარმოების დარგებში დაბალანაზღაურებად სამუშაოზე. შრომის ბაზარზე არსებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ გენდერულ სეგრეგაციას ნათელს ხდის ქალების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე ეკონომიკის ნაკლებად შემოსავლიან დარგებში [2. 25].

თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას, გამოყოფს სხვადასხვა ფაქტორს, რომელთაც ცენტრალური როლი ეკისრებათ ქალთა კვოტირების საკითხში, ესენია:

1. ქალთა განათლების ხარისხის განსაზღვრა ანუ მათი წიგნიერების დონე;
2. ქალთა სოციალური აქტივობა, ანუ როგორ არის ქალი ჩართული სამოქალაქო პროცესებში;
3. ქალების წარმომადგენლობა მენეჯერულ პოზიციებზე, მათი ადმინისტრაციული და მმართველობითი პოზიციონირება;

მეოთხე და ყველაზე მნშვნელოვანი ასპექტი - ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა.

აღნიშნული პრობლემატიკა საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებისა და ანალიზის საგანი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გახდა. ეს პერიოდი კი დაკავშირებულია მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნებთან. ამ პროცესების გენდერულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შესწავლა და განზოგადება საშუალებას იძლევა, შემუშავებული იქნეს ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალის რესოციალიზაციას, საზოგადოებაში მისი როლისა და სტატუსის ამაღლებასა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიების ჩამოყალიბებას.

საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები და ეროვნული მექანიზმები, ქალების ისტორიული და თანამედროვე სოციალური მდგომარეობის ანალიზი სხვადასხვა ქვეყანაში ასაბუთებს, რომ ქალების პრობლემები ინტერნაციონალური ხასიათისაა და გამოიხატება ყოველი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონით და რომ ამ პრობლემების რეალიზაცია მოითხოვს არა მხოლოდ ყოველმხრივ ახალ მიდგომას ქალის მიმართ, არამედ სახელმწიფოს და კანონების მხარდაჭერასაც.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ საქართველოში გენდერული დისბალანსის და კვოტირების პრობლემის ძირითადი მახასიათებლები, უპირველესად, მნიშვნელოვანია კვოტირების ცნების განსაზღვრა, რომელსაც ყველაზე ნათლად გვთავაზობს დრუდ დალერუპი, იგი ხაზს უსვამს გენდერული კვოტის მახასიათებლებს, რომელიც წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ ნორმას პოლიტიკურ ინსტიტუციებში - საკანომდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში - ქალთა მონაწილეობის გასააქტიურებლად, რაც ეფექტური საშუალებაა გენდერული თანასწორობის მისაღწევად. მთელს მსოფლიოში ქალთა 30-პროცენტიანი წარმომადგენლობა ითვლება ე.წ. „კრიტიკულ მასად“, რომელიც საშუალებას აძლევს ქალებს, როგორც ინტერესთა ჯგუფს, სახელმწიფო პოლიტიკაზე საგრძნობი გავლენა მოახდინონ.

გაეროს 1990 წლის ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების რეკომენდაციის თანახმად - 30-პროცენტიანი კვოტირება განიხილება. კვოტირების სისტემა დროებითი, იძულებითი, ხელოვნური ღონისძიებაა, მაგრამ, რადგანაც ქალთა ჩართვა სახელმწიფოს მმართველ სტრუქტურებში მრავალ ბარიერთანაა დაკავშირებული, კვოტირება, როგორც იძულებითი ზომა, ამ ბარიერების გადალახვას ემსახურება. კვოტის მთავარი იდეაა, რომ არ მოხდეს ქალთა იზოლაცია პოლიტიკური პროცესებისგან. ქალის როლის გაძლიერების ტენდენციას აყალიბებს კრისტიან ველზელი და ემი ალექსანდრე, რომლებიც ნაშრომში აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებენ ქალის უფლებამოსილებისა და მათი როლის გაზრდაზე ზემოქმედებას, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა:

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;

- სქესთა შორის თანასწორობის დამოკიდებულების გაზრდა, რომ გარდაქმნას ეკონომიკური განვითარების კულტურულ პროცესში ადამიანის განვითარება;
- ისტორიული მემკვიდრეობა საზოგადოების კულტურული და პოლიტიკური ტრადიციებიდან გამომდინარე;
- ინსტიტუციური ფაქტორები [3].

რადგან პოლიტიკაში ქალთა რიცხვი ნელა იზრდება, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქალები მოითხოვენ ეფექტური მეთოდების გამოყენებას პოლიტიკაში გენდერული ბალანსის მისაღწევად. კვოტა ერთ-ერთი ასეთი ეფექტური მექანიზმია, რომელიც საშუალებას იძლევა ნახტომისებურად გავზარდოთ პოლიტიკოს ქალთა რაოდენობა. ამიტომ გენდერული თანასწორობის ბევრი მომხრე კვოტებს იმედით უყურებს. ამავე დროს კვოტების სისტემა ბადებს ბევრ სერიოზულ კითხვას და, ხშირად, ძალიან სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება. რა არის კვოტების განხორციელების საუკეთესო გზა? რა არგუმენტები არსებობს კვოტების დასაცავად და მის საწინააღმდეგოდ. კვოტირების ეფექტური და წარმატებული ნიმუშია შიდა პარტიული კვოტები. ასეთი კვოტები გამოიყენება ჩრდილოეთის ქვეყნებში, სადაც ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში ყველაზე მაღალია (2006 წლის მონაცემებით შვედეთის პარლამენტში ქალები შეადგენდენ 40%-ს, ნორვეგიაში 38%-ს, ფინეთსა და დანიაში 34%-ს). უნგრეთის სოციალისტურ პარტიას დაწესებული აქვს 20% კვოტა ქალებისათვის. ლიტვის სოციალდემოკრატიულ პარტიას აქვს დაწესებული კვოტა - მინიმუმ 1/3 ორივე სქესისათვის.

საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებს სხვადასხვა ინსტიტუტების საშუალებით ქმნიან. გაეროს ფარგლებში ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც კრძალავენ დისკრიმინაციას და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეას მოიცავენ, არის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. კონვენცია კერძო და საჯარო სექტორს ერთნაირად ეხება და კრძალავს პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას შრომისა და დასაქმების სფეროში. კონვენციის პირველი მუხლი აყალიბებს დისკრიმინაციის ცნებას და ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობს: ყოველგვარ განსხვავებას, დაუშვებლობას, ან უპირატესობას სქესის ნიშნით, რომელიც იწვევს შრომისა და დასაქმების სფეროში შესაძლებლობების ან მოპყრობის თანასწორობის დარღვევას. CEDAW გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონკრეტულად არ არეგულირებს შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში სელექციისა და გასაუბრების ეტაპს. თუმცა, კონვენციის მე-11 მუხლი წევრ სახელმწიფოებს ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის გარანტიების შექმნას ავალდებულებს. კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა სამუშაოზე აყვანისას დამსაქმებლის მიერ კანდიდატებს შორის შერჩევის ერთნაირი კრიტერიუმების გამოყენება, რასაც თან ახლავს დაწინაურების თანაბარი შესაძლებლობების შექმნა. წლების მანძილზე, ბევრი რამ გაკეთდა ქალთა დაცვისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით მთელ მსოფლიოში. გამყარდა და უფრო სრულყოფილი გახდა გაეროს ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქართველომ აიღო ვალდებულება, შეასრულოს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რამაც გარკვეული პოზიტიური ზეგავლენა იქონია საქართველოში ქალთა როლის გაძლიერებაზე, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში, ისე მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების მოგვარების პროცესებში მათ ჩართვაზე.

ქალთა მოძრაობა - ქალთა პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალები სულ უფრო ფართოდ ებმევიან შრომით საქმიანობაში და მომუშავეთა 40%-ს შეადგენენ. მათი მიერ იქმნება მატერიალური და სულიერი ღირებულებების 1/3. ქალთა ჩაბმამ ცხოვრების ყველა სფეროში გაამწვავა ბევრი პრობლემა, რომელიც საზოგადოებაში მათ მდგომარეობასთან, საკუთარი უფლებების დასაცავად ქალების გააქტიურებასთან არის დაკავშირებული. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, სადაც ქალთა და მამაკაცთა საერთო განათლებასა და პროფესიონალურ მომზადებაში სხვაობა დიდი არ არის, ეკონომიკური გარდაქმნის ზოგიერთ სექტორში მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა და არასტაბილური დასაქმების ტენდენცია ქალთა შორის. მთელ მსოფლიოში შეინიშნება დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებაში. ხშირად ქალები, რომლებსაც სპეციალური განათლება აქვთ ვერ შოულობენ სამსახურს სპეციალობის მიხედვით. გარდა ამისა, ქალები შეზღუდულნი

არიან ცოდნისა და ჩვევების მიღებაში, რამაც მათი პროფესიონალიზმის ზრდა უნდა უზრუნველყოს. ბევრი სასწავლო პროგრამა ისევე მხოლოდ მამაკაცების ინტერესებზეა ორიენტირებული. ასეთი მიდგომა აღრმავებს უთანასწორობას, აძლიერებას დისკრიმინაციულ ტენდენციებს და აკნინებს მოსახლეობის ქალთა ნაწილის თვითშეგნებას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი განაპირობებს ქალთა მოძრაობის გააქტიურებას. სხვადასხვა ქვეყნის ქალები სხვადასხვა ფორმით გამოდიან უმუშევრობის, ინფლაციის, შეიარაღების, მზარდი სახელმწიფო ხარჯების, გენდერული უთანასწორობის და სხვ. წინააღმდეგ და იბრძვიან თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობებისათვის, პროფესიონალური მომზადებისა და შემდგომი ზრდისათვის საერთაშორისო ფორუმები - ქალთა მოძრაობის ერთობლივი პროგრამის გამომუშავების მნიშვნელოვანი ფაქტორი ქალთა მასობრივი დემოკრატიული მოძრაობა საერთო დემოკრატიული მოძრაობის შემადგენელი ნაწილია. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს დაარსდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია. ქალთა მოძრაობის ისტორიაში ეს იყო პირველი მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაცია. იგი გამოხატავდა მთელი პლანეტის ქალების სასიცოცხლო ინტერესებს: გამოდიოდა ქალთა ემანსიპაციის, თანასწორუფლებიანობის, განიარაღების, მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისულებისა და დემოკრატიის მოთხოვნით. 1967 წელს გაეროს გენერალური ასამლეის მიერ მიღებული დეკლარაცია ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ სწორედ მისი საქმიანობის შედეგი იყო ისეთ ქალთა საერთაშორისო ორაგნიზაციებთან ერთად, როგორებიცაა ქალთა საერთაშორისო საბჭო, იურიდიული პროფესიების ქალთა საერთაშორისო ფედერაცია, ქალთა საერთაშორისო ალიანსი და სხვ.

ქალთა მოძრაობის განვითარებასა და განმტკიცებაში უდიდესი როლი ითამაშეს მსოფლიო კონფერენციებმა, რომლებიც ქალთა მდგომარეობას ეძღვნებოდა. პირველმა კონფერენციამ, რომელიც მეხიკოში ჩატარდა (1975 წ.) მიიღო მოქმედების გეგმა, რომლის საფუძველზეც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა ქალთა საერთაშორისო ათწლეული (1975-1985). ათწლეულის რეალიზაციის მსვლელობისას 1979 წელს გაეროს გენერალურმა ასამლეამ მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ. მეორე მსოფლიო კონფერენცია შედგა კოპენჰაგენში 1980 წელს. მან მიიღო მოქმედების პროგრამა ქალთა ათწლეულის მეორე ნახევრისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯანდაცვის, განათლების და დასაქმების პრობლემებს.

1985 წელს ნაირობიში შედგა მესამე მსოფლიო კონფერენცია, რომელიც ქალთა ათწლეულში ჩატარებულ მუშაობისა და მისი შედეგების განხილვას მიეძღვნა. მეოთხე მსოფლიო კონფერენცია (პეკინი 1995 წ.), ისევე როგორც წინა კონფერენციები, ჩატარდა თანასწორობის, მშვიდობის, განვითარების დევიზით. დღის წესრიგში ჩართულ იქნა ძალადობის პრობლემაც. კონფერენციამ განსაზღვრა ქალთა მოძრაობის განვითარების პრესპექტივები შემდგომ წლებში, მიიღო „მოქმედების პლატფორმა“, რომელშიც აისახა საკვანძო პრობლემები, სტრატეგიული მიზნები და მსოფლიოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები [4].

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს ქალისა და მამაკაცის პარტნიორობა. პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა და მონაწილეობა პოლიტიკის სუბიექტობის ფუნდამენტალური მახასიათებელია, ხოლო მისი დეფიციტი კი - სოციალური მოწყვლადობის პირველადი პროდუქტი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ქალთა როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, სამწუხაროდ, ქალთა მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში კვლავაც დაბალი რჩება.

საქართველომ მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით 134-ე ადგილიდან 106-ე ადგილზე გადაინაცვლა. საქართველოს დღევანდელი მთავრობის 13 წევრიდან მხოლოდ 4-ია ქალი, პარლამენტის 150 დეპუტატიდან კი 30 ქალი. აღნიშნული მაჩვენებლები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყანა შორს დგას თანამედროვე დემოკრატიის იმ მოდელისგან, რომლის მიხედვითაც, არ არსებობს დემოკრატია გენდერული თანასწორობის გარეშე. გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში ჩატარებული კვლევაში წარმოდგენილია საზოგადოებრივი დამოკიდებულებები ქალების პოლიტიკაში ჩართვასთან მიმართებაში. საზოგადოების დამოკიდებულებები და შეხედულებები ამა თუ იმ სფეროსთან ან საკითხთან დაკავშირებით დიდწილად განპირობებულია იმით, თუ რამდენად აქტიური შეხება აქვთ საზოგადოების წევრებს ამ სფეროსთან.

გენდერული კვოტა მსოფლიოში აპრო-

ბირებული მეთოდი და ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის ყველაზე ეფექტური მექანიზმია. გენდერული კვოტა საქართველოში დღეს ბევრი მოქმედი პოლიტიკოსი მამაკაცისთვის აღიქმება, როგორც მათი პოლიტიკიდან განდევნისა და გაძევების ინსტრუმენტი, თუმცა, მამაკაცებს უჭირთ იმის გაანალიზება, რომ პოლიტიკაში ქალთა რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა თითოეული კაცი პოლიტიკოსის დონემდე კი არ დადის, არამედ ის მოსახლეობის 54%-ის ინტერესების ასახვის შესაძლებლობას უკავშირდება. 2014 წელს, NDI-ის დაკვეთით, „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა“ (CRRC) საქართველოს მასშტაბით განახორციელა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელიც ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას შეეხებოდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 64% ფიქრობს, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობა არ არსებობს, ხოლო გამოკითხულთა 68%-მა კი პარლამენტში სავალდებულო კვოტირების შემოღებას დაუჭირა მხარი. აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მზადაა, უფრო მეტი ქალი იხილოს პოლიტიკაში. სწორედ აღნიშნული პრობლემის დასაძლევად, თანასწორი შესაძლებლობების მიღწევის ერთადერთ, უალტერნატივო საშუალებად, პოლიტიკური პარტიებისთვის სავალდებულო კვოტირების შემოღება მიგვაჩნია, რაც პოლიტიკურ პარტიებს იძულებულს გახდის, საარჩვენო სიების 30% ქალებით დააკომპლექტონ.

არსებულ პოლიტიკურ სისტემებში ბევრი დაბრკოლებაა ქალთა პოლიტიკაში წინსვლისათვის, კერძოდ:

- ♦ პოლიტიკური ცხოვრება და სახელმწიფო სტრუქტურები მასკულინური მოდელისაა;
- ♦ პოლიტიკურ არენაზე მამაკაცები დომინირებენ, ისინი განსაზღვრავენ პოლიტიკური თამაშის წესებს და პოლიტიკოსის შეფასების სტანდარტებს;
- ♦ პოლიტიკა დაფუძნებულია „გამარჯვება-დამარცხებისა“ და შეჯიბრისა და კონფრონტაცის მოდელზე და არა ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობასა და კონსენსუსის მიღწევაზე;
- ♦ კანდიდატ ქალებს პარტიების მხრიდან ნაკლები მხარდაჭერა აქვთ, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა.

სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტების საქმიანობის გამოცდილება ადასტურებს, რომ პარლამენტში ქალთა პროცენტულ რაოდენობას გავლენა აქვს საკანონმდებლო პროცესზე. როდესაც პოლიტიკის განსაზღვრისა და ფორმირების პროცესში ქალები არიან ჩართულნი, ეს პირდაპირ აისახება იმ საკითხების გააქტიურებაზე, რასაც შესაბამისი გამოცდილების არქონის გამო მამაკაცები პრიორიტეტად არ/ ვერ აქცევენ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკის ფორმირების პროცესში ინფორმირებული მონაწილეობა და განსხვავებული პერსპექტივებისა და გამოცდილებების სინთეზი, რასაც საბოლოოდ სწორედ შინაარსზე აქვს გავლენა. ასე მაგალითად, პარლამენტში ქალთა 20%-იანი წარმომადგენლობისას კანონმდებლები სერიოზულად იწყებენ იმ კანონპროექტებზე მუშაობას, რომლებიც ბავშვთა ინტერესებს ეხება; 30%-იანი წარმომადგენლობის შემთხვევაში, განიხილება და მიიღება ის კანონები და სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ქალთა ინტერესებიდან გამომდინარეობს; ხოლო 40-50%-იანი წარმომადგენლობის დროს მიიღება მაღალი პასუხისმგებლობის ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სახის გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას [4].

ქართულ კონტექსტში გვჭირდება სისტემა, სადაც ქალს ექნება შანსი, დაწინაურდეს და პოლიტიკაში ქალების წარმომადგენლობა უფრო მრავალფეროვანი გახადოს. დღეისათვის არსებული სისტემური ბარიერები მხოლოდ ერთეული ქალებისთვის ხდის შესაძლებელს პოლიტიკაში მოხვედრას. ამის შედეგი ხშირად ისაა, რომ პოლიტიკაში მოხვედრილი ქალები აღარ ახდენენ იდენტიფიცირებას ქალებთან, როგორც ჯგუფთან. ქალი წარმომადგენლების მიერ ქალების ინტერესების დაცვა კვოტირების გამოწვევას წარმოადგენს, თუმცა ამ გამოწვევის პასუხი სწორედ სისტემის ცვლილებაა - სისტემამ უნდა შეუწყოს ხელი მეტი ქალის მოსვლას, და ამავდროულად, სისტემამ უნდა წაახალისოს ის ქალები, რომლებსაც ცვლილების მოხდენა სურთ. ასეთი ქალების გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე ყოფნა გაუმჯობესებს წარმოდგენებს ლიდერი ქალის შესახებ, მეტი ქალისთვის გახდება სამაგალითო და ეტაპობრივად, ქალების წარმომადგენლობის გასაუმჯობესებლად კვოტირების საჭიროება მოიხსნება კიდეც [5].

ზემოთ ხსენებული სისტემური ბარიერების დასაძლევად ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფმა ინიციატივა შეიმუშავა, რომელიც გენდერული კვოტების საკანონმდებლო

დონეზე ინიცირებას ისახავს მიზნად. ინიციატივა არჩევნებში მონაწილე პარტიებისთვის/საარჩევნო ბლოკებისთის 50%-იანი გენდერული კვოტის დაწესებას გულისხმობს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ 150 საპარლამენტო მანდატი თანაბრად გაიყოფა ქალებზე და კაცებზე: 50%-იანი კვოტა არ ნიშნავს 75 ქალს პარლამენტში.

საქართველოს პარლამენტი პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 დეპუტატისგან შედგება. სავალდებულო კვოტა კი მხოლოდ პროპორციულ სიაზე ვრცელდება. შესაბამისად 50%-იანი კვოტა უდრის დაახლოებით 38 დეპუტატ ქალს 150 წევრიანი პარლამენტიდან. მოსახლეობას სურს, იხილოს მეტი ქალი პოლიტიკაში როდესაც კვოტირებაზე, როგორც ინსტრუმენტზე ვმსჯელობთ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოქალაქეებში იზრდება მოთხოვნა, იხილონ ქალების უკეთესი წარმომადგენლობა პოლიტიკაში. უფრო მეტიც, მოსახლეობის ნახევარზე მეტს სურს, მეტი ქალი იხილოს პოლიტიკაში და ფიქრობს, რომ პარლამენტში ქალი დეპუტატების რიცხვის გაზრდა დადებითად იმოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე.

კვოტების წარმატებულ სისტემას მოსდევს პარტიების მიერ აქტიური პოლიტიკის წარმოება კვალიფიციური კანდიდატი ქალების მოსაზიდად; კვოტების განხორციელებას პარტიისათვის შემდეგი დადებითი მხარეები აქვს:

- პარტიას ემატება ახალი რესურსი, იზრდება პარტიაში აქტიური წევრი ქალების რიცხვი;
- პარტია უკეთ მუშაობს ამომრჩეველ ქალებთან, შესაბამისად, იზრება პარტიის მხარდამჭერ ქალთა რიცხვი.

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ კვოტების შემოღებას თან სდევს გარკვეული სიძნელეები: კვოტების შემოღება იმისთვისაა საჭირო, რომ ქალები გააძლიეროს, მაგრამ თუ ქალები უკვე გარკვეულ ძალას არ ფლობენ, კვოტების შემოღებას ვერ მიაღწევენ, რადგან, როგორც წესი, კვოტების დაწესება გაფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ მიმართული პოლიტიკის განხორციელება საქართველოში სახელმწიფო დონეზე ეფექტური გენდერული პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობის მიღწევის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, აგრეთვე, ამ სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კოორდინირებას.

საქართველო „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კონვენციას“ 1994 წელს მიუერთდა. 1995 წელს კი, პეკინში გამართულ ქალთა IV მსოფლიო კონფერენციაზე შეუერთდა იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც შეთანხმდნენ, შეემუშავებინათ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა 36 პეკინის პლატფორმის ცხოვრებაში გასატარებლად, მაგრამ დღემდე ამ მიმართულებით საქართველოს მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადაუდგამს.

საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბების შემდგომი ეტაპი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიწყო. მუშობა ორი მიმართულებით წარიმართა: ადგილობრივი ქალთა ორგანიზაციების კოალიციის ერთმა ჯგუფმა მთავრობას წარუდგინა ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კომისიის შექმნას, ხოლო გაეროს განვითარების პროგრამის ახალამოქმედებულმა პროექტმა „გენდერი და პოლიტიკა“ მიზნად დაისახა პარლამენტის სპიკერთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩამოყალიბება. ორივე მიმართულებით გაწეული დიდი ძალისხმევის შედეგად, საქართველოში პირველად მივიღეთ ისეთი მდგომარეობა, როცა გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე სტრუქტურა არსებობს ხელისუფლების როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო შტოში.

2006 წლის 24 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სახელმწიფო გენდერული კონცეფცია. პარლამენტის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში გენდერული თანასწორობა რეალურ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამგვარად, გენდერული თანასწორობა უკვე აღიარეს, როგორც ათასწლეულის განვითარების გამოწვევების (MDGS) გასაღები. გენდერული თანასწორობა არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს, ეს აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ შევქმნათ უკეთესი მომავალი, დავძლიოთ გლობალური სიღარიბე, დავამარცხოთ ექსტრემიზმი და მივაღწიოთ ეკონომიკურ ზრდას, მშვიდობასა და კეთილდღეობას მთელს მსოფლიოში. თუკი ჩვენი საზოგადოების მიერ ამ ურთიერთკავშირების გაცნობიერება მოხდება, საქართველოში გენდერული თანასწორობის გულშემატკივართა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ქალთა უფლებები, მამაკაცებთან ერთად, თანაბარ

პირობებში, სრულფასოვნად ჩაერთონ ქვეყნის პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში, წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას. ეს უფლებები აღიარებულია საერთაშორისო და რეგიონული სამართლის ისეთი ინსტრუმენტებით, როგორიცაა „ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია“, „საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, „კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, „გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 1325 ქალები მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ და ა.შ. [6].

2016 წლის ზაფხულში ჟენევაში, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის სესიაზე ქართული წარმომადგენლობაც იმყოფებოდა. სესიაზე კომიტეტის წევრებმა მიმართეს ხელისუფლების წარმომადგენლებს რეკომენდაციით, რომლის მიხედვითაც, პირველი – სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რომ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა უსწრაფესად აღმოიფხვრას, და მეორე – იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საგანგაშოდ დაბალია, 38 სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სავალდებულო კვოტების შემოღებაზე, რათა ეს პრობლემა გადაიჭრას. რატომ მაინცდამაინც სავალდებულო გენდერული კვოტები, მაშინ როდესაც სხვა გზებიც არსებობს პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისა? როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ე.წ. წამახალისებელი ფაქტორები ამ პრობლემის მოსაგვარებლად არ მოქმედებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს სავალდებულო გენდერული კვოტირების იურიდიული მექანიზმი. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ აწესებს მხოლოდ ნებაყოფლობით, ფინანსურ წამახალისებელ ნორმას, რომლის მიხედვითაც, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, მიიღებს 30%-ის ოდენობით დანამატს, თუკი მის მიერ წარდგენილ სიაში კანდიდატთა ყოველ ათეულში ერთიმეორისგან განსხვავებული სქესი იქნება წარმოდგენილი, სულ მცირე, 30%-ით. როგორც არაერთმა საპარლამენტო თუ ადგილობრივმა არჩევნებმა გამოავლინა, აღნიშნული ნორმა არასაკმარისია გენდერული ბალანსის მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებლად. სწორედ ამიტომ მოითხოვენ ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისიდან ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები საარჩევნო კოდექსში ცვლილებასა და გენდერული კვოტირების შემოღებას. გენდერული კვოტა პოლიტიკურ ინსტიტუციებში ქალთა მონაწილეობის გასაძლიერებლად კანონით განსაზღვრული ნორმაა და უმეტეს შემთხვევაში მოიაზრება როგორც დროებითი ზომა, რომელიც გენდერულ თანასწორობასა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის გაძლიერებას ემსახურება. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში საარჩევნო სისტემაა, ქალთა უფლებადამცველები ფიქრობენ, რომ სავალდებულო გენდერული კვოტირების შემთხვევაში პროპორციული საარჩევნო სისტემა ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის კუთხით საუკეთესო შედეგს აჩვენებს. რაც შეეხება პროცენტულ მაჩვენებელს, გენდერული კვოტირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები თანხმდებიან, რომ პარტიულ სიაში ყოველი მეორე წარმომადგენელი ქალი უნდა იყოს, ანუ 50% განსხვავებული სქესისა.

ქალთა პოლიტიკაში ჩართულობას უმეტეს შემთხვევაში აფერხებს მათი სოციალურ-ეკონომიკური ფონი. სწორედ სოციალური ფონის გამოსწორებისა და გაუმჯობესების შემთხვევაში გაძლიერდებიან როგორც ქალები, ისე კაცები და მიეცემათ მათ შესაძლებლობა საკუთარი სიტყვა თქვან პოლიტიკურ არენაზე. მნიშვნელოვანია, არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებიც ქალთა საკითხებზე მუშაობენ. მათ ძალიან დიდი და კარგი საქმე გააკეთეს, რომ დღეს ქალთა საკითხები პოლიტიკურ დღის წესრიგში დგას.

პირველ რიგში ქალთა კვოტირების პრობლემასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გამოვყავით ეკონომიკური განვითარების დონე და ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში. ეკონომიკური დემოკრატიის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განმტკიცების გზაზე ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად განვიხილავთ ქართული სახელმწიფოს სისუსტეს, მთლიანად ქვეყნისა და მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეს. ტერმინი „ეკონომიკური განვითარება“ ხშირად როგორც ეკონომიკურ ლიტერატურაში, ისე პრაქტიკაში გაიგივებულია ტერმინთან – „ეკონომიკური ზრდა“. ეს გამოწვეულია იმით, რომ წარსულში ჩვენთან ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ცვლილებები ძლიერ ნელა, თითქმის შეუმჩნევლად მიმდინარეობდა და ამიტომ, ძირითადი აქცენტი ეკონომიკური ზრდის თემატიკაზე იყო გადატანილი. იგივე დამოკიდებულება იყო საზღვარგარეთაც, ვიდრე განვითარებული ქვეყნები პოსტკომუნისტური განვითარე-

ბის სტადიაში არ შევიდნენ. ჩვენთან ეკონომიკური განვითარების პრობლემების კვლევას დღესაც ნაკლები ყურადღება ეთმობა. ამ შემთხვევაში ჩვენ ეკონომიკური განვითარების დონე შესაძლოა გავზომოთ უმუშევრობით. ქალთა რეპრეზენტაცია და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოაგენს განვსაზღვროთ ქალთა ჩართულობა, ხოლო შემდგომ ქალთა ჩართულობის დონე გავზომოთ სხვადასხვა პარტიებში ქალების წარმომადგენლობით. დემოკრატიულ სისტემაში, სადაც საკითხები ხმის მიცემისა და უმრავლესობის პრინციპით წყდება, ქალთა მონაწილეობის ეს მაჩვენებელი მცირე და უძლური მექანიზმია რაიმე სახის გადაწყეტილებაზე გავლენის მოსახდენად.

სწორედ ამ მიზეზით, მნიშველოვანია ქალთა რაოდენობრივი წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გაზრდა პოლიტიკაში, რის საშუალებასაც პარტიული სიები უნდა იძლეოდეს. პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გააცნობიერონ თავიანთი როლი და პასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის წახალისების კუთხით, როგორც თავიანთ შიდა სტრუქტურებში, ასევე არჩევით ორგანოებში. მათ უნდა გააძლიერონ შიდა დემოკრატია, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულობა, ლეგიტიმაცია და და-იწყონ იმ ზომების მიღება, რაც ქალთა მონაწილეობას წაახალისებს. შიდა პარტიულმა რეგულაციებმა უნდა უზრუნველყოს ქალთა სრულფასოვანი ჩარ-თულობა პარტიულ ცხოვრებაში. ქალების მიერ პარტიის სტრუქტურასა და რესურსებზე სრულ-ყოფილი და თანასწორი ხელმისაწვდომობის უზ-რუნველსაყოფად, მიღებული უნდა იქნას ისეთი სპეციალური ზომები, როგორიცაა პარტიაში მოხალისეობრივი პარტიული ქვოტების შემოღება, კანდიდატების შესარჩევი კომისიის გენდერულად დაბალანსება, გენდერულად ნეიტრალური შესარჩევი კრიტერიუმების დაწესება, პარტიული რესურსების ქალი კანდიდატებისაკენ მიმართვა და სპეციალური ტრეინინგ-პროგრამები და ა.შ.

ქალები თანამედროვე საზოგადოებაში თავისუფალი და საუკეთესო ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ ისინი აქტიურად ჩაებმებიან ახალ ცხოვრებაში, ეზიარებიან და გაითავისებენ ახალ ღირებულებებს, თუ მოხდება მათი რეალური ემანსიპაცია და ამ ამოცანის გადასაჭრელად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკას ქალთა საკითხში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხომერიკი ლ. „გენდერი და პოლიტიკა“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ., 2006.
2. „გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში“, თბ., 2014
3. http://sapari.ge/wp-content/uploads/2016/05/genderdisrciminacia-shromit-urtiertobebshi.pdf
4. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები 2015, თბილისი http://www2.unwomen.org//media/field%20office%20georgia/attachments/publications/2015/convention%20on%20elimination%20of%20violence%20recommendqations%20(1).pdf?vs=1641
5. Amy C. Alexander, Christian Welzel (პეკინის სამოქმედო პლატფორმა, გაეროს კონვენცია ,,ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”, და სხვ.), 2003.
6. ყუფუნია თ. „გენდერული კვოტა უკეთესი პოლიტიკისთვის“
7. http://www.feminism-boell.org/ka/2015/04/22/genderuli-kvota-uketesi-politikistvis 22 აპრილი, 2015 (გადამოწმებულია, 04.06.2015);
8. პატარაია ბ., „კვოტები - ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესების ეფექტური მეთოდი“, 15.12.2014 http://liberali.ge/(გადამოწმებულია, 05.06.2015);

Gender Quota in Modern Georgian Politics

Lela Buskhrikidze, PhD student
Georgian Technical University

Summary

Achieving gender equality remains one of the most serious human rights challenges in Georgia today. Society still lives in a stereotypical environment where, for the most part, domestic violence against women is a justified action; the number of early marriages is high, women are a minority at the decision-making level, and there are frequent cases of violations of gender identity and sexual orientation. However, Georgian equality provides for gender equality in the Constitution and is regulated by various legislative acts.

Gender mainstreaming in the policy-making process combines experience, knowledge, and the interests of women and men in the implementation of national policies and structures, the implementation of these policies (taking into account national and international operations), and the evaluation of results. The existence of gender differentiation is indisputable, but the fairness of the assessment and criteria for the distribution of power and resource-based distribution is debatable.

The question is: what are the factors that create a barrier for women to political career growth and if the establishment of a quota system increases the involvement of women in government? There is a hypothesis that the lower the economic development of a country, the less women are represented in politics. Therefore, two important variables emerge: independent and dependent. Independent variable: economic development of the country, negative social mood, existing culture and traditions. Dependent variable: The small role of women in Georgian politics.

Women are known to make up more than half of the world's population and yet they are represented in extremely small numbers in government bodies, among state decision-makers, and in politics. Women make up the majority of the relatively disenfranchised population, and in a world dominated by men, the masculine nature of society is clearly evident.

Keywords: Rights protection, Domestic violence against women, Involvement, State, Politics.

პიარის მნიშვნელობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმატებული საქმიანობისთვის

თამარ დავითულიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია საზოგადოებასთან ურთიერთობის და პიარის როლი მნიშვნელობის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმატებული საქმიანობისათვის.

ძალიან მნიშვნელოვანია თვითმმართველობის დაწესებულებებს აქტიური ურთიერთობა ჰქონდეთ საზოგადოებასთან,ხდებოდეს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR-ის) უმთავრესი მიზანი არის - მივაღწიოთ წარმატებულ ურთიერთობებს საჯარო დაწესებულებასა და საზოგადოებას შორის

დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფო ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციაში საზოგადოებასთან.

საზოგადოებასთან ურთიერთობა (Pablik Relation) ეს არის კომუნიკაციური ტექნოლოგიის სისტემა, რომელიც აერთიანებს პრაქტიკულ საშუალებებს, ტექნიკას და მეთოდიკას. ის დაფუძნებულია ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ჟურნალისტიკის, ეკონომიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, რეკლამის, პოლიტოლოგიისა და სხვა მრავალი მეცნიერების ბაზაზე.

PR-ის მთავარი იდენტიფიკაციურ იგამოხატულება არის ინფორმაციის შექმნა და მისი უფასო გავრცელება. PR არის მმართველობის ფუნქცია, რომელიც ხელს უწყობს, დამყარდეს ურთიერთსასარგებლო ჰარმონიული კავშირი, ურთიერთგაგება და კეთილმოსურნეობა საზოგადოებასა და ორგანიზაციას შორის, რაზეც არის დამოკიდებული დაწესებულების წარმატება და წარუმეტებლობა.

ჩემი ინტერესის სფეროს წარმოადგენს პიარი სახელმწიფო დაწესებულებებში, კონკრეტულად, მუნიციპალიტეტებში. მართალია, პიარის სამშობლოდ ამერიკა ითვლება, მაგრამ სამთავრობო პიარის სამშობლო უდავოდ ინგლისია.

საქართველოს კონსტიტუციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით თვით მმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი „მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომ – მუნიციპალიტეტის ორგანოები), რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. მუნიციპალიტეტი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.[1]

საზოგადოებასთან ურთიერთობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მმართველობებისთვის, რადგან მათთვის არსებითია საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღება და საკუთარ მომსახურეობაში საუკეთესო ფასეულობებისა და სტანდარტების უზრუნველყოფა; სტანდარტების გაზომვასა და ფასეულობების დადგენაში კი საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობაა საჭირო, რაც შეუძლებელია მმართველობის მხრიდან საგულისხმო პიარ - ძალისხმევების გარეშე. ფაქტიურად, ადგილობრივი მმართველობისათვის საზოგადოებასთან ურთიერთობა მის მიერ საკუთარი ქმედებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაა. თუმცა, ადგილობრივი მმართველობა ორმხრივი კომუნიკაციის დამყარებასა და მიღებული კომენტარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებასაც უნდა ცდილობდეს. საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტი (InstituteofPublicRelations) განმარტავს პიარს, როგორც "გეგმაზომიერ და მუდმივ ძალისხმევებს დამყარდეს და შენარჩუნდეს კეთილი ნებისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო ორგანიზაციასა და მის გარემოცვას შორის". ეს განმარტება, მისი ფართო გაგებით, ისევე კარგად მიესადაგება ადგილობრივ მმართველობებს, როგორც ნებისმიერ სხვა ორგანიზიაციას.

საკვანძო სიტყვები :,,პიარი", ..კომუნიკაცია", ,,საზოგადოება",,ტექნოლოგიები" ,,რეკლამა", ,,ინფორმაცია" და სხვა,.

შესავალი

აღნიშნულ სთათიაში შევეცდები განვმარტო, რა შეცდომები არ უნდა დაუშვას პიარ-სპეცია-

[1] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 19/02/2014 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

ლისტმა, გამოცემა “All Business”-მა გამოაქვეყნა. გამოცემის აზრით ეს არის 10 ნაბიჯი, რომელიც პიარ სპეციალისტმა არ უნდა გადადგას :

1. დროის არასწორად გადანაწილება – ამ სფეროში, ხშირად დროის ეფექტურად გადანაწილებაა ყველაზე დიდი პრობლემაა.

2. ცუდი სასაუბრო ენა – ჟარგონებით ან სპეციფიური ტერმინებით შთაბეჭდილებების მოხდენა შეუძლებელია. გამოიყენეთ მარტივი სასაუბრო ენა.

3. ცუდად დაწერილი პრეს-რელიზი – იგულისხმება წერისას დაშვებული შეცდომები, გაუმართავი წინადადებები და სტრუქტურა.

4. მოვლენებზე თვალყურის “ცუდად” დევნება – თუ გსურთ თქვენი კარგად გაიგონ, მზად იყავით დამატებითი შეკითხვებისთვისაც

5. ზომაზე მეტი რეკლამა და დისკუსია – გინდა, რომ იყო პოზიტიური, მაგრამ გადაჭარბებული სარეკლამო ინფორმაცია აღძრავს ეჭვს და უბრალოდ გამაღიზიანებელია.

6. პრეს-რელიზი ყოველგვარი მიზნის გარეშე – ეს დაახლოებით ბიჭისა და მგლის ისტორიას გავს, რომელიც მგლისგან ხსნას ითხოვდა და მართლა რომ მოვიდა მგელი, ყურადღება აღარავინ მიაქცია. თუ რელიზში მითითებული არ იქნება მთავარი მიზანი და ყოველ ჯერზე ასეთი სახით გააგზავნით, საბოლოოდ მას აღარავინ წაიკითხავს.

7. როცა თავად არ ეცნობი ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალ-გაზეთებს – პრესისთვის მუდმივად თვალყურის დევნებით ყოველთვის ინფორმირებული ხარ რა ხდება. ეს ორმაგ სარგებელს მოგიტანს. პირველი, შეგიძლია როგორც ადგილობრივი, ისე მსოფლიო მოვლენები შენს ღონისძიებას დაუკავშირო და მეორე, თავი არიდო დროში ცუდად გათვლილ მედია რელიზებს.

8. გეგმის ნაკლებობა – საზოგადოებასთან ურთიერთობა რთულია ყოველგვარი გეგმის გარეშე, როცა არ იცი რა იქნება შემდეგი ნაბიჯი. ყველაფერი უნდა განსაზღვრო სად, როდის და როგორ გააგრძელებ მოქმედებას. ასევე უნდა იყო მოქნილი და გქონდეს სათადარიგო გეგმა, იმ შემთხვევითვის თუ რომელიმე არ იმუშავებს.

9. არავითარი დახმარება! – ბევრი კომპანია უმარავ ფულს ხარჯავს ძვირადღირებული პიარ სააგენტოების დაქირავებაზე, რომელიც უბრალდო არ სჭირდებათ. თუმცა, ზოგი მხოლოდ საკუთარი ძალებით ცდილობს ყველაფრის გაკეთებას, ეს მეორე უკიდურესობაა და საჭიროა “ოქროს შუალედის” მოძებნა.

10. ერთ სივრცეში დარჩენა – ხშირად ბიზნესის წარმომადგელნები მხოლოდ ერთსა და იმავე მედია საშუალებებს ირჩევენ საკუთაირი თავის წარმოსაჩენად . არა და არსებობს ბევრი “სივრცე”, სადაც შეიძლება რომ ყურადრება მიიპყრო.

ძირითადი ნაწილი

კარგი პიარ პრაქტიკოსი კარგად აანალიზებს ორგანიზაციას, პოულობს პოზიტიურ მესიჯს და ამ მესიჯს პოზიტიურ ისტორიად აქცევს. როდესაც ნიუსი ცუდია, მან უნდა იპოვოს ყველაზე კარგი ფორმულირება, რომელიც დაწესებულებას დამატებით საფრთხეებს აცილებს თავიდან.

სახელისუფლებო PR-ს მნიშვნელოვანი და სპეციფიკური ამოცანების გადაჭრა უხდება, ამიტომ იგი უნდა იგებოდეს სერიოზულ ,,

ინფორმაციის გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და ობიექტურობა სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს, რომელსაც იცავს უამრავი საერთაშორისო კონვენცია, პაქტი თუ ხელშეკრულება, სწორედ საზოგადოების ინფორმირებულობა განსაზღვრავს სახელმწიფოში მოქალაქეების უფლებას და თავისუფლებას.

საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთნდობის ხარისხის ამაღლებისა და გამჭვირვალე და ღია მმართველობის პრინციპების დამკვიდრებისთვის აუცილებელი წინაპირობაა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. მოქალაქეებმა საჯარო დაწესებულების საქმიანობისა და მათ მიერ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დანერგილი სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიიღონ. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია თითოეულ საჯარო დაწესებულებას მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებული ჰქონდეს საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარების სტრატეგია, რომლის გათვალისწინებითაც მოხდება კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება და განისაზღვრება ერთი ან რამდენიმე წლის მანძილზე განსახორციელებელი ღონისძიებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობა ორგანიზაციაში მმართველი რგოლის განუყოფელი ნაწილია, მასზეა დამოკიდებული ორგანიზაციის იმიჯისა და რეპუტაციის შექმნა და შენარჩუნება, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები გეგმავენ და ანხორციელებენ ორგანიზაციის მნიშვნელოვან საკომუნიკაციო სტრატეგიებს, წყვეტენ ორგანიზაციაში არსებულ პრობლემებს და ეხმარებიან ორგანიზაციას მიზნების მიღწევასა და ცნობადობის შექმნაში, რაც მათ მონაწილეობას და რჩევა-დარიგების ფუნქციას სძენს მართვის

უმაღლეს რგოლში..

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტები ყველაზე უკეთ უნდა იცნობდნენ თავიან /დაწესებულების/ ხელმძღვანელებს, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რითიც განისაზღვრება, ფაქტობრივად, მედიასთან ურთიერთობა, რომელიც დამოკიდებულია არა მარტო ორატორულ ნიჭზე, არამედ ურთიერთობების ცოდნაზე, სანაცნობო წრეზე და ა.შ.. „წარმატებული და ხალხისათვის საყვარელი ლიდერები, ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მიიჩნევდნენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან ურთიერთობაში გულწრფელობა და დარწმუნების ხელოვნების ცოდნა. როგორც აშშ-ს პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ თქვა: „იდეების ნაკადი, ინფორმაციის საფუძველზე გაკეთებული არჩევანი, კრიტიკა, ყველა ეს მოსაზრება, რომელსაც პოლიტიკური დემოკრატია ემყარება, ძირითადად ინფორმაციის მიწოდებას, კომუნიკაციას ეყრდნობა“. „ხელისუფლება იმდენად დიდ ინფორმაციას ფლობს, რომ მას ამ ინფორმაციის მიწოდების ეფექტიანი სისტემა სჭირდება და სწორედ ეს არის პრესმდივნის ფუნქცია“,- ამბობს პრეზიდენტ ბილ კლინტონის ყოფილი პრესმდივანი მაიკ მაკკარი - „პრესმდივანი ჰგავს კორესპონდენტს, რომელიც შიგნით მთავრობაში მუშაობს და აგროვებს საზოგადოებისათვის ინფორმაციას. პრესმდივნის ფუნქცია სწორედ ის არის, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია გადასცეს საზოგადოებას“ (ჩარკვიანი, 2011: 78,79]. სახელმწიფო სტრუქტურებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ორმაგი ფუნქცია აკისრიათ: დაიცვან სახელმწიფო სტრუქტურების პოზიცია და საზოგადოებას გადასცენ სახელმწიფო სტრუქტურებზე დადებითი ინფორმაცია, მცდარი ინფორმაციაა გაასწორონ და ისე მიიტანონ საზოგადოების ყურამდე, აგრეთვე შეაგროვონ პრესისასთვის ინფორმაცია, სახელმწიფო სტრუქტურების ის განცხადებები, რომელიც უნდა გაშუქდეს, ხშირად საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი ჟურნალისტის ადგილსაც იკავებს. განვიხილოთ კიდევ ერთი ძლიერმოქმედი მექანიზმი საზოგადოებაზე ზეგავლენის თვალსაზრისით და ეს არის ინტერნეტი. XXI საუკუნე, შეიძლება ითქვას, ინტერნეტის ეპოქაა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს ეფექტური ფუნქციონირება, უპირველეს ყოვლისა, ის არის ინფორმაციის გავრცელების არხი, საკომუნიკაციო გარემო, ისეთივე როგორც რადიო, ტელევიზია, რეკლამა და ა.შ. ინტერნეტი მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომლითაც შეგვიძლია ინფორმაცია მიზნობრივ აუდიტორიამდე ყველაზე სწრაფად და იაფად მივიტანოთ. მას საკმაოდ დიდი მომხმარებელი ყავს, ამიტომ უფრო დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია ინფორმაციის მიღება-გაცვლის სახით. ინტერნეტში საზოგადოებასთან ურთიერთობას დიდი უპირატესობა აქვს და მეტწილად ეს არის ოპერატიულობა. მაგალითისთვის, მოვიყვანოთ ტელევიზიისა და ინტერნეტის ურთიერთმიმართება. ტელევიზიას ინტერნეტთან შედარებით გაცილებით დიდი აუდიტორია ჰყავს, მაგრამ ტელევიზია ვერ იღებს საზოგადოებისგან უკუკავშირს სატელეფონო ინტერაქტიული გამოკითხვების გარეშე, ინტერნეტში კი ინტერაქტიულ რეჟიმში მუშაობა მარტივადაა შესაძლებელი. შესაბამისად, ეფექტურობაც ინტერნეტმა იტვირთა. დღეს ნებისმიერი ასაკის ადამიანი აქტიურად თანამშრომლობს ინტერნეტ სივრცესთან, სოციალურ ქსელებში, იყენებს კომუნიკაციის ფორმად, ღებულობს ინფორმაციას და კმაყოფილდება ამით. დღეს ჩვენ თუ ვკითხავთ საზოგადოებას, საიდან, რა გზით ღებულობს ინფორმაციას, პასუხებში ინტერნეტი ჭარბობს. დღეს უწყვეტი კავშირი პიარსპეცილისტს, პრესსამსახურებსა და სხვადასხვა უწყებებთან ოპერატიულად სწორედ ინტერნეტის მეშვეობითაა შესაძლებელი. საზოგადოებასთან ურთიერთობა წინასწარგანზრახული პროცესია, რადგან იგი აკვირდება, აანალიზებს გარემოს და საზოგადოებას - მათ განწყობებსა და დამოკიდებულებებს, ქმნის და ამზადებს საზოგადოებასთან ურთიერთობის პირობას და პლატფორმას კომუნიკაციის განხორციელებისათვის, იგი წინასწარ განსაზღვრავს იმ ტენდენციებსა და მიდგომებს, რომელიც მომავალში იმუშავებს კომპანიის იმიჯსა და რეპუტაციაზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობა მისი განვითარების ყველა ეტაპზე ასოცირდებოდა სანახაობასთან, პიარი ქმნის სანახაობას, საინტერესო და შემოქმედებით მოვლენებს, რათა მიიქციოს ყურადღება კომპანიის პროდუქტის ან საქმიანობის მიმართ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მუშაობის მთავარი პრინციპი დაფუძნებულია საზოგადოების ინტერესებზე, რადგან ეს დარგი საზოგადოების ინტერესებზე დგას.

ამრიგად PR მენეჯერი უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრის შესწვლით დაკავბული და მათი კვლევების შესაბამისად მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირება კომპანიის ინტერესებთან მიმართებაში.

სპეციალისტები თვლიან, რომ მზა ფორმულების ცოდნის მიუხედავად, სპეციალური თვისებები და უნარებია საჭირო. პიარ სპეციალისტს უნდა ახასიათებს:

ლოგიკური აზროვნება, ძლიერი ხასიათი, კრეატიულობა, ანალიტიკური აზროვნება, ადვილად ადაპტირებისა და რამდენიმე პრობლემასთან ერთდროულად გამკლავების უნარი. აუცილებელია სოციალური მეცნიერებების ცოდნა, მოქნილობა, იუმორი და დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის უნარი.

მთლიანობაში, პიარის ფუნქციების ცოდნასა და მისი ინსტრუმენტების სწორად გამოყენებას მოაქვს წარმატება.

პიარის სწორი გამოყენებით ვცდილობთ დავარწმუნოთ ჩვენი აუდიტორია, რომ მხარი დაუჭირონ ჩვენს პოზიციას და აღიარონ ჩვენი მიღწევები და წარმატებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციფიკა დაგეგმარების გარეშე არ არსებობს. დაგეგმვა ამ დარგში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან დაგეგმილი და უწყვეტი ძალისხმევა იძლევა მხოლოდ ხელშესახებ შედეგს.

სახელისუფლებო PR-ს მნიშვნელოვანი და სპეციფიკური ამოცანების გადაჭრა უხდება, ამიტომ იგი უნდა იგებოდეს სერიოზულ ,,კომუნიკაბელურ ბიუჯეტზე" დაყრდნობით, რომელიც საზოგადოების მართვის მდგრადობისათვის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ნებისმიერ ქვეყანაში სამთავრობო სტრუქტურებს უნდა ესმოდეთ, რა სიძნელეებთან ექნებათ საქმე, თუ მათი მოღვაწეობა (რაგინდ პოზიტიური უნდაიყოსიგი) არ იქნება გაგებული და დროულად მიღებული საზოგადოებისათვის. რაც მეტია საზოგადოების მიმღებლობისათვის დახარჯული „საკომუნიკაციო ხარჯები", მით მეტია მისი ნდობის მოპოვების მოლოდინი. ეს კი მყარი გარანტიაა სტაბილური გარემოსათვის, სადაც რეფორმების გატარებაც მეტ-ნაკლებად მშვიდად და კონსტრუქციულად წარიმართება.

სამთავრობო დაწესებულება, მისი პიარი სერიოზულად უნდა იყოს დაინტერესებული საკუთარი სტრუქტურების, ღონისძიებებისა და პროექტების მაქსიმალური წარმოჩენით, საზოგადოებისნებისმიერი წევრისა თუ ორგანიზაციისათვის მათი გასაგები ფორმით მიწოდებით. საზოგადოებასთან მუდმივი კონტაქტი, მისი გაანალიზება და შეფასება სამთავრობო სტრუქტურებს მისცემს რეალური სურათის შექმნის საშუალებას და თავიანთი მეთოდების დახვეწის საფუძველს. ეს პროცესი უნდა იყოს ცოცხალი, რომელიც მოწოდებული იქნება ისეთი მოდელის ჩამოყალიბებისიკენ, სადაც ურთიერთკავშირი საფუძველს ჩაუყრის ახალი ტიპის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორც საზოგადოებაში, ასევე, სამთავრობო სტრუქტურებში. ეს კი PR-ის უმთავრესი ამოცანაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?fbclid=IwAR0nHQv7GkasPJuf0GMa4Vq8cHM5Pxsag2S-gNCZHkksOLkj1vwbCjAG9JGw&publication=61
2. https://ninablle.wordpress.com/2018/03/07/the-journey-begins/
3. https://lemons.ge/ka/blog/49-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98/8-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-2
4. https://pragenti.wordpress.com/2011/05/14/pr%E2%80%93%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95/

The Role of Public Relations for the successful operation in Local Government

Tamar Davituliani PhD student
Georgian Technical University

Summary

The article discusses the importance of the role of public relations and PR in the successful functioning of local governments.

It is very important for self-governing institutions to have an active relationship with the public in order to exchange information based on real facts.

The main goal of public relations (PR) is to achieve successful relationships between the public institution and the public.

A state based on democratic principles is obliged to be in active communication with the public.

Public relations is a system of communication technology that combines practical tools, techniques and methods.

It is based on psychology, sociology, journalism, economics, management, marketing, advertising, political science and many other sciences.

The main identifying expression of the Public Relations is the creation of information and its

free distribution. Public relations is the function of governance that helps to establish a mutually beneficial harmonious relationship, mutual understanding and goodwill between the community and the organization, on which the success and failure of the institution depends.

My area of interest is PR in state institutions, specifically in municipalities.

It is true that America is considered to be the homeland of PR, but the homeland of government PR is undoubtedly England.

According to the Constitution of Georgia and the Code of Local Self-Government, the governing unit is a municipality. The municipality has elective representative and executive bodies (hereinafter referred to as municipal bodies), registered population and has its own property, budget, revenues. The municipality is an independent legal entity under public law.

The Public Relations is especially important for local governments as it is essential for them to make the best decisions and ensure the best values and standards in their services; The involvement of the general public in the measurement of standards and the establishment of values is necessary, which is impossible without significant PR efforts by the government. In fact, for a local government, Public Relations is about informing the public about its own actions. The Public Relations is especially important for local governments as it is essential for them to make the best decisions and ensure the best values and standards in their services; The involvement of the general public in the measurement of standards and the establishment of values is necessary, which is impossible without significant PR efforts by the government. In fact, for a local government, Public Relations is about informing the public about its own actions. However, local governments should also try to establish two-way communication and take the comments received into account in the strategic planning process. The Institute of Public Relations defines PR as "the planned and sustained efforts to establish and maintain an atmosphere of goodwill and mutual understanding between the organization and its surroundings." This definition, in its broadest sense, applies just as well to local governments as any other organization.

Keywords: "PR", "Communication", "Society", "Technologies", " Advertising", " Information ".

ენობრივი ბარიერი, განათლების პრობლემა საქართველოში მყოფი ეთნიკური უმცირესობებისთვის

ანი კიკნაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია არის ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემის შესახებ. ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პრცესებში, მნიშვნელოვანი ფაქტორია არაერთი საკითხის გადასაჭრელად. მთავარი წინაპირობა, რაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მეტი სოციალიზაციისთვის სჭირდებათ, სახელმწიფო ენის ცოდნა და ხარისხიანი განათლების მიღებაა. ვერც ერთი და ვერც მეორე კომპონენტი, დამოუკიდებლად ვერ მიიღწევა, ცალკეული პოზიტიური მაგალითები კი ამ მხრივ ქვეყანაში არსებულ პრობლემურ ფონს ვერ ცვლის. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC), სოციალური სამართლიანობის ცენტრის კვლევებისა და სახალხო დამცველის წლიური ანგარიშებით (2019-2021) ვრწუმნდებით, რომ სახელმწიფოს ძალისხმევა არასაკმარისია. დღემდე განხორციელებული პროექტები არაეფექტურია და ვერ აღმოჩნდა მოქნილი მექანიზმი იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულიყო ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი მდგომარეობა და შესაბამისად ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობა.

ცხადია, მხოლოდ სახელმწიფო პროგრამები ვერ იქნება პრობლემის მოგვარების გარანტი და მასშტაბური სამუშაოს გაწევაა საჭირო, მათ შორის მედიის მხრიდან, თუმცა პირველ რიგში საჭიროა სწორად იყოს გაანალიზებული პრობლემის არსი და მისი მოგვარების აუცილებლობა. ეთნონაციონალური კონტურები საკმაოდ მუქია, არამხოლოდ ეთნიკური უმცირესობებისთვის, არამედ ურავლესობისთვისაც. მათი მიკუთვნებულობა, დიდწილად ეთნოტერიტორიული მისწრაფებებით არის გამოწვეული რის კვალსაც საბჭოთა კავშირამდე მივყავართ.

გამოიკვეთა, რომ სახლემწიფო პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობებში ენობრივი ბარიერის მოხსნისა და მათთვის სრულფასოვანი განათლების მიღების პროცესში ფრაგმენტულია და საჭიროებს მეტ სისტემურობას. იმის გათვალისწინებით, რომ განათლების სამინისტროს პროგრამებმა და პროექტებმა, განხორციელების პროცესში კიდევ უფრო მეტი პრობლემა გამოკვეთა, ჩნდება აუცილებლობა, რომ საკითხი მეტად სიღრმისეულად არის შესასწავლი.

სტატიაში ასევე განხილულია, რა ეფექტიანობით ხასიათდება სახელმწიფოს მიერ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განხორციელებული ძალისხმევა და რა წინაღობებთან უწევთ გამკლავება სკოლის მოსწავლეებსა თუ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, რათა შეძლონ ქართული ენის შესწავლა და პრაქტიკაში მისი გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, განათლების სისტემა, სახელმწიფო პოლიტიკა, სოციალიზაცია, საგანმანათლებლო პროექტები, სახლმწიფო ენა.

შესავალი

საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა მრავალფეროვანია. ძირითად უმცირესობათა შორის არიან აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, ქურთები, იეზიდები, ასირიელები, ებრაელები, რუსები და უკრაინელები. ასევე ქისტები, რომლებიც ჩრდილოკავკასიის ჩეჩნების მონათესავე ხალხია და აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში სახლობენ. საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის ფარგლებში, განსაკუთრებით საყურადღებო ამ მხრივ 2 რეგიონია ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი სადაც შესაბამისად აზერბაიჯანული და სომხური მრავალრიცხოვანი თემია დასახლებული. ქვემო ქართლი აზერბაიჯანის მოსაზღრე რეგიონია, სამცხე-ჯავახეთი კი სომხეთს ემიჯნება.

ერთის მხრივ ქართული მოსახლეობა სეპარატიზმის საფრთხეებს ხედავს, რადგან ხშირ შემთხვევაში არსებობს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ არც თუ ისე კეთილგანწყობის მაგალითები და დამოკიდებულებები, მეორეს მხრივ კი თავად ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფები ეთნკური იდენტობის საფრთხედ მიიჩნევენ ქართულ მოსახლეობასთან შერწყმას. ამ დამოკიდებულებებს ბევრი ფაქტორი განაპირობებს.

ძირითადი ტექსტი

საბჭოთა კავშირში კონსტიტუციურად გაწერილი იყო განათლების მიღება მშობლიურ ენაზე, რამაც რესპუბლიკებში განაპირობა სკოლების

გახსნა უმცირესობათა ენებზე. მაგალითად, საქართველოში, საშუალო განათლების მიღება 8 ენაზე იყო შესაძლებელი. ამის პარალელურად, საბჭოთა პოლიტიკის ნაწილი იყო ორენოვანი პოლიტიკის დანერგვა, რაც რესპუბლიკებში ნაციონალურთან ერთად რუსულ ენაზე მეტყველებას გულისხმობდა. მთავარი მიზანი, რომ ჩანაცვლებულიყო ნაციონალური ენები მიღწეული ვერ იქნა, თუმცა საბჭოტა კავშირის მასშტაბით, რუსული ენა პრაქტიკულად გადაიქცა საკომუნიკაციო ენად. იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოთა კავშირში რუსული ენის გარეშე განვითარება და წინასვლა პრაქტიკულად ჭირდა, ეთნიკური უმცირესობებისთვის, მაგალითად საქართველოში პრიორიტეტი რუსული ენის ცოდნა იყო და არა ქართულის. ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის (სტატუსი 1978 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით განისაზღვრა) მნიშვნელობა არაქართულ სკოლებში, პრაქტიკულად ნულს უტოლდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ეთნიკურმა უმცირესობებმა საქართველოს-მოქალაქეობა მიიღეს, წინ წამოიწია ენობრივი ბარიერის პრობლემამ.

ეთნიკური მრავალფეროვნება, საქართველოს მაგალითზე ლინგვისტურ მრავალფეროვნებსაც ნიშნავს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სწორი პოლიტიკა ინტეგრაციის ეფექტიანი შედეგების მისაღწევად. საქართველოში მყოფ ეროვნულ უმცირესობათა უდიდეს ნაწილს, არ შეუძლია ან უჭირს ქართულად საუბარი, მათთვის მშობლიურ ენებს კი ჩვენს ქვეყანაში სტატუსი არ აქვთ, ამიტომ საჯარო სივრცეში მათი ან მათთან კომუნიკაციის ენა რუსულია, უარეს შემთხვევაში კი ვერბალური კონტაქტი შეუძლებელია.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის კუთხით სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები უმნიშვნელო იყო და სიმბოლურ ხასიათს ატარებს ახლაც. ეს ყველაზე კარგად, არჩევნების დროს, ეთნიკუარდ დასახლებული რაიონების და სოფლების მიერ, ხელისუფლების მიმართ გამოხატულ ლოიალურ პოზიციებში ჩანს. დამოუკიდებლობის დღიდან აქამდე, საკანონმდებლო ორგანოში ეთნიკური აზერბაიჯანელები და სომხები ყოველთვის არიან წარმოდგენილი, თუმცა მათი როლი კანონშემოქმდებით საქმიანობაში პრაქტიკულად ნულია და უფრო მეტიც, მათმა უმრავლესობამ სახელმწიფო ენის ცოდნაც ვერ გამოავლინა.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში 150 დეპუტატს შორის, 11 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. პარლამენტში არცერთ მათგანს, ერთხელაც კი არ ჰქონია საკანონმდებლო ინიციატივა ან უბრალოდ პოზიცია, რომელიც უშუალოდ ეთნიკურ უმცირესობებს შეეხებოდა ან მათი პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებით იქნებოდა ნაკარნახევი. შესაბამისად, სკეპტიციზმი, რომელიც უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ხშირად თავს იჩენს გარკვეულ მოვლენებთან არის კორელაციაში და მეტად საყურადღებოა.

მაგალითად, იმის მიუხედავად, რომ ქართული პასპორტები აქვთ და შესაბამისად საქართველოს მქოალაქეები არიან, სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანული და სომხური ეთნოსის წარმომადგენლები, თავს არა საქართველოს, არამედ სომხეთის და აზერბაიჯანის მოქალაქეებად მიიჩნევენ. მეტიც, დასაქმების მაძიებლები ხშირად სწორედ აზერბაიჯანში, სომხეთში ან უარეს შემთხვევაში რუსეთში ეძებენ სამსახურს და ეს სულაც არ არის მხოლოდ ეთნიკური უმცირესობათა ჯგუფების და წარმომადგენლების პრობლემა ან არჩევანი.

CRRC-ის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 92%-მა განაცხადა, რომ საქართველოს მოქალაქე ქართულად უნდა ლაპარაკობდეს. ახლა განვიხილოთ, როგორია სახელმწიფოს მიდგომა საკითხის მიმართ და არის თუ არა განათლების პოლიტიკა ამ მხრივ მორგებული ეთნიკურ უმცირესობებზე.

ქვეყნის მთავრობის მხრიდან არაერთი გაცხადებული პოლიტიკის მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესი ინერტულად წარიმართა. დღეისათვის, საქართველოში დაახლოებით 208 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა არსებობს და ასევე 89 არაქართულენოვანი სექტორი, სადაც განათლებას რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე იღებენ. ჯამურად არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში 52 000-მდე მოსწავლეა აღრიცხული.

საკითხის მკვლევარები, პრობლემატურ ჩამონათვალს შორის, აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი მთავარი წინაღობა არაქართულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა არასათანადო კვალიფიკაციაა. სწორედ აქედან გამომდინარე, მათი დიდი ნაწილი, ვინც არაქართულენოვანი სკოლა დაასრულა, ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით დაბალ საფეხურზე იმყოფება.

სახელმწიფოს პროგრამები ამ მხრივ 2005-06

წლიდან იღებს ათვლის სათავეს. ამის მიუხედავად, პროექტები, რომლებიც არაქართულენოვან სკოლებში, ქართულის, როგორც მეორე ენის, შესწავლის პროცესს ეფექტურს გახდიდა, შედეგების მიხედვით, წარმატებულ პროექტებად არ ითვლება. გამონაკლისის სახით შესაძლოა განვიხილოთ „1+4 საგანმანათლებლო პროგრამა". საშეღავათო პოლიტიკა 2010 წლიდან დაინერგა და გულისხმობს გარკვეულ კვოტას არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. პროგრამა ითვალისწინებს ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებას სომხურ აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე და სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. ახალგაზრდები 1 წლის განმავლოვაში გადიან ქართულ ენაში მომზადების კურსს და შემდგომ 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ გამოცდის გარეშე მიიღონ პირველი დონის უმაღლესი განათლება და შეარჩიონ თავადვე საბაკალავრო პროგრამა. ეფექტიანობის საზომი ალბათ მარტივი სტატისტიკური მაჩვენებლებია. 2010 წელს, ანუ ამოქმედებიდან პირველ წელს პროგრამით ისარგებლა 247-მა ახალგაზრდამ, 2018 წელ კი მათი რიცხვი 1231 სტუდენტამდე გაიზარდა.

განათლების სამინისტროს მცდელობამ, რომ ქართული ენის ეფექტიანი სწავლების, პარალელურად, უმცირესობების ენების შენარჩუნების მიზნით მულტილინგვური რეფორმა წამოეწყო და არაქართულენოვან სკოლებში შეეტანა ქართული, როგორც სწავლების დამატებითი ენა, არაერთი პრობლემა გამოავლინა. მათ შორის, სასწავლო პროგრამა, რომელიც არაეფექტიანი გამოდგა, სირთულეები გამოიწვია საგაკვეთილო ცხრილების მოწესრიგებამაც და გამოიკვეთა პედაგოგთა დაბალი ანაზრაურების პრობლემა. უფრო კონკრეტულად კი, მულტილინგვური განათლების მოდელი ენისა და საგნების შერწყმას გულისხმობს ისეთ დისციპლინებში, როგორიც მათემატიკა ან საბუნებისმეტყველო საგნებია. ამგვარი სწავლება მასწავლებელთა დამატებით შრომას მოითხოვს, რისთვისაც საჭიროა მოტივაცია და წახალისება.

ეთნიკური უმცირესობების საცხოვრებელი გარემო ძირითადად მონოეთნიკურია. ბავშვები, რომლებიც ამგვარი სივრციდან სკოლაში მიდიან, პრაქტიკულად პირველად ეხებიან ქართულ ენას. ისინი იწყებენ ქართული ენის შესწავლას და კლასიდან კლასში უკვე ქართულენოვან საგნებს. სასკოლო გარემო თითქმის ერთადერთი სივრცეა, სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვებს ქართულთან აქვთ შეხება. ოჯახებში მათი მეცადინეობა, განსაკუთრებით მცირეწლოვნობის პერიოდში, როცა ბავშვები დხმარებას საჭიროებენ, თითქმის არავის შეუძლია. პრობლემა უფრო მძაფრი ხდება, როდესაც მასწავლებელთა ნაწილიც ვერ ფლობს ქართულ ენას სრულყოფილად. ბავშვები კი დამოუკიდებლად სახელმძღვანელოებს სათანადოდ ვერ მოიხმარენ.

პრობლემატური საკითხი, ვერც 2009 წელს დაწყებულმა პროგრმამ გადაჭრა, როდესაც ქართულენოვანი დამხმარეები ეთნიკური უმცირესობების სკოლებში განამწესეს. სოციალური სამართლიანობის ცენტრმა კვლევა ჩაატარა. აქედან ირკვევა, რომ მოსწავლეთა შედეგებში, რომლებთანაც ქართულენოვანი დამხმარე მასწავლებლები მუშაობდნენ, მნიშვნელოვანი წინსვლა არ გამოვლენილა. ამას გარდა, კონსულტანტ-მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობების მხოლოდ 15%-თან უწევდათ მუშაობა.

სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ბილინგვური სწავლების მოდელზე საუბარი, განათლების სისტემაში უკანასკნელი ათწლეულია მიმდინარეობს. ამ ძალისხმევის მიუხედავად, მკაფიო პრობლემად ისევ რჩება ორენოვანი სახელმძღვანელოები, შედეგზე ორიენტირებული სწავლების მოდელის შემუშავება, სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა და მულტილინგვური მასწავლებლების მომზადება.

სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშის მიხედვით, რომელიც 2021 წლის პერიოდს მოიცავს, 2 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არაფერი შეცვლილა, მთავარ პრობლემად გამოყოფილია ერთიანი კონცეპტუალური მიდგომისა და ხედვის არარსებობა. კვლავ დღის წესრიგში დგას ბილინგვური სისტემისთვის პედაგოგების მომზადება, სკოლების უზრუნველყოფა ადეკვატური სასწავლო პროგრამებითა თუ დამხმარე სახელმძღვანელოებით.

ენობრივი ბარიერის დაძლევის გარდა, მნიშვნელოვანია, ქართულ და აგრეთვე არაქართულენოვან სკოლებში ინტერკულტურული განათლების პროგრამების შექმნა, რათა სკოლა იყოს მინიმალური უნარებისა და კომპეტენციების განვითარების არეალი ბავშვებისთვის, კულტურათშორისი კონტაქტის დროს.

თუკი ამერიკელი სოციოლოგის მილტონ ბენეტის მოსაზრებას დავეყრდნობით, ინტერკულტურული მგრძნობელობა სულაც არაა ბუნებრივი მოცემულობა. ის ექვს ფაზას მოიცავს.

1. ეთნოცენტრული ფაზა, რა დროსაც სხვაობათა უარყოფა ხდება

2. სხვაობათაგან თავდაცვა
3. სხვაობათა მინიმიზაცია
4. სხვაობათა მიმღებლობა
5. სხვაობათა ადაპტაცია
6. სხვაობათა ინტეგრაცია

ინტერკულტურული მგრძნობელობა სხვების კულტურების და ემოციური დამოკიდებულებე-ბის გააზრდებას გულისხმობს. შესაბამისად, ინტერ-კულტურული განათლებაა ის შესაძლებლობა, რო-მელიც დაეხმარება მოსწავლეებს დაიწყონ შეცვლა კულტურათშორისი ურთიერთობების ნეგატიური გამოვლინებების. ამ შემთხვევაში, ბუნებრივ პრო-ცესად გადაიქცევა უმცირესობების აღიარება/ აღქმა სახელმწიფოს სრულფასოვან წევრებად და პირიქით, უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის გაადვილდება ინტეგრაცია.

დასკვნა

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო პოლიტიკა, მაქსიმაულრად უნდ აიყოს ორიენტირებული, ეთნიკური უმცირერსობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებას შეუწყოს ხელი როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად. სახელმწიფო ენის ცოდნა მნიშვნელოვნად გაამარტივებს კომუნიკაციის გზებსა და გახსნის მეტ შესაძლებლობებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის დასაქმდნენ, დაისახონ გრძელვადიანი მიზნები და წვლილი შეიტანონ საკუთარი ცხოვრების და სახელმწიფოს განვითარებაში. ამ მხრივ, საქართველოში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები ხელშესახებ ეფექტს ვერ იძლევა, რაც პირდაპირ მიგვანიშნებს რომ ძალისხმევა უნდა გაიზარდოს, უნდა გაჩნდეს მეტი მოტივაცია თავად უმცირესობათა კომპაქტურად დასახლებულ არეალშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი - ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამების მიხედვით, თბილისი 2014
2. რუსუდან ამირეჯიბი, კახა გაბუნია - საქართველოს უმცირესობები: ინტეგრაციის გზაზე არსებული ბარიერების ნგრევა; კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, ივნისი 2021
3. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2019
4. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2021
5. შალვა ტაბატაძე, ბილინგვური განათლების პროგრამები; 2010
6. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) - ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები -2020

Language barrier, the problem of education for ethnic minorities in Georgia

Ana Kiknadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article reviews the problem of knowing the state language in regions densely populated by national minorities. Involvement of ethnic minorities in public life and processes is a key factor in resolving a number of issues. The main prerequisite, which is needed for more socialization of the representatives of ethnic minorities is knowledge of the state language and gaining quality education. Neither one nor second component can be achieved independently and separate positive examples cannot change the problematic background of existing the country in this regard.

According to the study of Caucasus Research Resource Center (CRRC), Center for Social Justice and the annual reports of the Public defender (2019-2021), we start to believe, that the efforts of the state are insufficient. The projects implemented to date have been ineffective and failed to be a flexible mechanism to significantly improve the linguistic situation of ethnic minorities and consequently, their involvement in the public life of the country.

It is clear, that state programs only cannot be the guarantee for the solution of the problem and performance of large-scale work is needed, including from the media, though first of all it is necessary to properly analyze the essence of the problem and the need to solve it. Ethno-national contours are quite dark, not only for ethnic minorities but also for the majority. Their belonging is largely caused by ethno-territorial aspirations, which leads to the Soviet Union.

It has been revealed, that the state policy is fragmentary in the process of removing the language barrier in ethnic minorities and obtaining full education and it requires more systematization. Taking into consideration, that the programs and projects of the Ministry of Education, have revealed more problems during the implementation process, there is a need for the issue to be studied in more depth.

The article also reviews, what is the effectiveness of the effort implemented by the state in the regions populated by the national minorities and what obstacles do schoolchildren or students of higher education institutions have to deal with in order to be able to study the Georgian language and use it in practice.

Keywords: Ethnic Minorities, Education System, State Policy, Socialization, Educational Projects, State Language.

თამბაქოს მოხმარების, როგორც ადიქციური ქცევის ფსიქოლოგია

ეკა კორძაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება თამბაქოს მოხმარების, როგორც ადიქციური ქცევის პრობლემას. სტატიაში მოყვანილია თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობის მძიმე დარღვევებისა და სიკვდილობის სტატისტიკა და ნაჩვენებია ამ მხრივ ძალიან საშიში ტენდენციაროგორცმსოფლიოში,ისეგანსაკუთრებით საქართველოში. სტატიაში ახსნილია, რომ მცდარია შეხედულება თითქოსდა თამბაქოს მოწევა მხოლოდ ჩვევაა და მოყვანილია არგუმენტები, რომლითაც დასტურდება რომ თამბაქოს მოხმარების ადიქციური ბუნება აქვს. სტატიაში განხილულია ადიქციური ქცევა სამი სხვადასხვა თეორიით. ეს თეორიებია: 1) ბიოსამედიცინო, რომლის მიხედვითაც, ადიქციის სინონიმი არის ,,დამოკიდებულება" და მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ იგი განმარტებულია როგორც პერიოდული და ქრონიკული ინტოქსიკაციის მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი ან ქიმიური ნივთიერებების განმეორებითი მოხმარებით. ბიოსამედიცინო მიდგომა ადიქციას ხსნის ქიმიური ნივთიერების ე.წ. ,,დამაჯილდოვებელ სისტემაზე"ზემოქმედებით და ე.წ. ,,დოფამინური" და ,,ენდორფინული" თეორიებით. 2) სოციოკულტურული, რომელიც ადიქციას სოციალურ გადახრად და საზოგადოების დაავადებად წარმოგვიჩენს (ეს თეორიები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა) და 3) ფსიქოლოგიურით, რომელიც ჩამოყალიბდა მხოლოდ მე-20 საუკუნეში და რომელიც ბიოლოგიური და სოციალური განწყობის ფონზე ადიქციის ჩამოყალიბებაში ფსიქოლოგიურ ფაქტორს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. სტატიაში ნაჩვენებია, რომ სხვადასხვა ფსიქოლოგიური მიმართულებები ხაზს უსვამენ ადიქციური ქცევის ჩამოყალიბებაში ამა თუ იმ პარამეტრის როლს. ასეთ პარამეტრებად კი განიხილება: პიროვნული თავისებურებები, მოტივაცია, ქცევა, ოჯახური ურთიერთობები და სხვა. სტატიაში გაანალიზებულია ფსიქოლოგიური მიდგომები, თამბაქოს მოხმარების, როგორც ადიქციური ქცევის შესასწავლად, თამბაქოზე დამოკიდებულება ახსნილია ძირითადი ფსიქოლოგიური მექანიზმებით და გამოყოფილია რამდენიმე სპეციფიური მახასიათებელი. სტატიაში ახსნილია თუ რა ხდის ისეთ ადიქციურ ქცევას, რომელსაც თამბაქოზე დამოკიდებულება ქვია სოციალურად ტოლერანტულს.

საკვანძო სიტყვები: ადიქციური ქცევა, მოწევა, ფსიქოლოგიური მიდგომა.

შესავალი:

დღეისათვის მსოფლიოში 1.1 მილიარდი მწეველია, ხოლო თამბაქოს მოხმარება სიკვდილის ერთ-ერთ წამყვან მიზეზს წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, თამბაქოს მოხმარების შედეგად ყოველწლიურად 7 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება მსოფლიოში. მე-20 საუკუნეში თამბაქომ 100 მილიონი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში 21 საუკუნეში თამბაქოს მიზეზით 1 მილიარდი ადამიანი გარდაიცვლება.

თამბაქოს მოხმარება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, კიბოს, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებებისა და დიაბეტის ძირითადი რისკ-ფაქტორია; იგი მნიშვნელოვნად ამწვავებს ასთმის შეტევებს ბავშვებში. ამ დაავადებებს უკავშირდება სიკვდილის შემთხვევების დაახლოებით 60% მსოფლიოში, 85% ევროპაში და 94% საქართველოში.. მსოფლიოში თამბაქოს უკავშირდება სიკვდილის შემთხვევების დაახლოებით 10%; საქართველოში კი სიტუაცია ამ მიმართულებით ბევრად უფრო ტრაგიკულია - ეს მაჩვენებელი 22%-ს შეადგენს.

ნიკოტინი თამბაქოს კვამლის შემადგენილი ნაწილია, ფარმაკოლოგიური თვისებებით, სწორედ ის წარმოადგენს მოწევაზე დამოკიდებულების ფორმირების ერთერთ მთავარ ფაქტორს. თამბაქოს მოწევა მასტიმულირებელ და რელაქსაციურ მოქმედებას ახდენს ორგანიზმზე, მისი სისტემების ფუნქციონირებაზე, აჭიანურებს სტრესით გამოწვეული ფსიქიკური და ფიზიკური დარღვევების განვითარებას, რაც ნაწილობრივ ეხმარება მწეველებს უფრო ადვილად გაუმკლავდნენ სტრესულ სიტუაციებს. ეს ანტისტრესული ეფექტი იწვევს თამბაქოზე დამოკიდებულების შემდგომ ზრდას.

ძირითადი ნაწილი

ტრადიციულად სიგარეტის მოწევა განიხილებოდა როგორც მავნე ჩვევა, ხოლო მავნე ჩვევის ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი არაჯანსაღი ქცევა,

რომელიც მეორდება და არ კონტროლდება ადამიანის მიერ. ცუდი ქცევისაგან თავის დასაღწევად, მის გასაკონტროლებლად, საკმარისია მხოლოდ ამ ქცევის გათვითცნობიერება. თამბაქოს მოწევის მავნე ზემოქმედების შესახებ ინფორმირებულობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მწეველმა უარი თქვას მასზე, ამიტომ მოწევა უნდა ჩაითვალოს არა მავნე ჩვევად, არამედ დამოკიდებულებად_ადიქციად.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი კონცეფცია და თეორიაა, რომელიც ცდილობს ახსნას სხვადასხვა ტიპის ადიქციური ქცევის ფენომენი. დღევანდელ დღეს ადიქციის პრობლემისადმი სამი ურთიერთშემავსებელი მიდგომა არსებობს. ორი მათგანი, ბიოსამედიცინო და სოციოკულტურული ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, ხოლო მესამე-ფსიქოლოგიური, მე-20 საუკუნის დასაწყისში. ბიოსამედიცინო მიდგომით, ადიქციის სინონიმია ,,დამოკიდებულება", რომელიც ჯანმო-ს მიერ განიმარტება, როგორც პერიოდული ან ქრონიკული ინტოქსიკაციის მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია ბუნებრივი ან ქიმიური ნივთიერებების განმეორებითი მოხმარებით. ბიოსამედიცინო მიდგომით, ადიქცია აიხსნება თავის ტვინის ლიმბურ ნაწილზე, ე.წ ,,დამაჯილდოვებელ სისტემაზე" ქიმიური ნივთიერების ზემოქმედებით, ასევე ე.წ ,,დოფამინური" და ,,ენდორფინური" თეორიებით.

სოციოკულტურული მიდგომით, ადიქცია სოციალური გადახრა, საზოგადოების დაავადებაა. ე. ფრიდსონის დევიაციის სოციოლოგიისადმი მიძღვნილ ნაშრომების თვალსაზრისით, ადამიანის სხვადასხვა სახის ადიქციური ქცევა ასახავს მის სოციალური ურთიერთობების დარღვევას. სხვადასხვა კვლევებით გამოვლენილია სოციალური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა სახის ადიქციის გავრცელებას. ამ ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია შემდეგი: სოციალური კატასტროფები, კრიზისები, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოების შინაგანი დაძაბულობი ხარისხზე, მოსახლეობის მიგრაცია, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მრავალფეროვნება და მათი ხელმისაწვდომობა, ალტერნატიული გასართობი საშუალებების არარსებობა, დაშინებისა და აკრძალვის მეთოდებზე დამყარებული ტრადიციული პროპაგანდის სისტემის არაეფექტუ-რობა, ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავად მოხმარების კულტური ტრადიციები და მოდა მათზე , ოჯახებში და ახალგაზრდულ ჯგუფებში ადიქციის მაღალი მაჩვენებელი.

ადიქციის სოციოკულტურული მოდელების მომხრეები თვლიან, რომ ფსიქოქტიური ნივთიერებების ეფექტები დამოკიდებულია არა იმდენად მათ ქიმიურ თვისებებზე, არამედ იმ პირობებზე რომლებშიც ხდება მათი მიღება და ეს ნორმატიულად განპირობებულია. სოციალური ნორმა არის იტორიულად გამომუშავებული, განზოგადებული სოციალურად მისაღები განწყობებისა და ქცევების სპეციფიკური მოთხოვნები, რომლებიც ჯგუფის მიერაა ჩამოყალიბებული, მანიფესტირებულია ან ფარული სახით არსებობენ. სოციოკულტურული მიდგომის ერთერთი სახეა,თომას სასის (1920-2012წ)მიერ შემოთავაზებული ჩვევის ანუ ,,ცხოვრება-პროცესის მოდელი". ავტორი ამტკიცებს რომ ადიქცია მეტაფორაა, ცხოვრებაზე გამოგონილი ამბავია, რომლის გაჩენის ერთადერთი მიზეზი ჩვევაა, რომელიც წლების მანძილზე ცხოვრების სურათში იქსოვება. თ. სასის მიერ მოწოდებული მოდელი გამორიცხავს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შედეგად გამოწვეულ რაიმე სახის დარღვევას და წარმოაჩენს მას როგორც მითოლოგიურ წარმონაქმნს, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

ფსიქოლოგიური კონცეფციის მიდგომით, ადიქციის ჩამოყალიბებაში ბიოლოგიური და სოციალური განწყობის ფონზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. სხვადასხვა ფსიქოლოგიური მიმართულებები ხაზს უსვამენ ამა თუ იმ პარამეტრის როლს, როგორიცაა: პიროვნული თავისებურებები, მოტივაცია, ქცევა, ოჯახური ურთიერთობები და სხვა.

ადიქტების ყველაზე გავრცელებული პიროვნული ნიშნებია, ქცევის სფეროში: ეგოცენტრიზმი კომუნიკაციში, სხვა ადამიანებისადმი ინტერესის ნაკლებობა, პრობლემების გადაჭრის მცდელობის ტენდენცია ფანტაზიის სამყაროში შესვლით, იმედგაცრუებაზე ერთი ტიპის რეაგირება, სირთულეებთან ადეკვატური გამკლავების უუნარობა, სურვილების შეუსაბამობა შესაძლებლობლებთან, გარშემომყოფთა დადანაშაულებისადმი მიდრეკილება. აფექტურ და მოტივაციურ სფეროში: ემოციური არასტაბილურობა, დაბალი ფრუსტრაციული ტოლერანტობა და შფოთვისა და დეპრესიის სწრაფი აღმოცენება, არაადექვატური, ხშირად დაბალი თვითშეფასება, აგრესიულობა, სოციოფობია, მომავლის შეგრძნების დარღვევა, სუსტი თვითკონტროლი, სურვილების დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებისკენ სწრაფვა და სხვა. კოგნიტური სფეროს მხრივ: არაფორმირებული აბსტრაქტულ-ლოგიკური, რეფლექსური ფუნქციები, მკაფიო ცხოვრებისეული მიზნების, პრინცი-

პების, ღირებულებების, ინტერესების, მორალური ცნებების არარსებობა, კოგნიტური დამახინჯება აფექტური ლოგიკის სახით.

თამბაქოსადმი დამოკიდებულების, როგორც ადიქციური ქცევის ახსნა შესაძლებელია ფსიქოლოგიური მექანიზმებით. გამოყოფენ თამბაქოს მოწევის რამდენიმე სპეციფიურ მახასიათებელს: 1) თამბაქოს მოწევის დასაწყისი დაკავშირებულია არასასიამოვნო შეგრძნებებთან. ადამიანთა ნაწილი, რომლებმაც განიცადეს უსიამოვნო შეგრძნებები, აღარ განაგრძობს კვლავ თამბაქოს გასინჯვას, ნაწილი კი, რომელთაც აქვთ ჩვევა დისოცირდნენ საკუთარი სხეულიდან, აგრძელებენ მოწევას. 2) მოწევის დაწყება, როგორც წესი ითვალისწინებს სხვის მონაწილეობასაც. როცა ორი ან მეტი ადამიანი ერთად ეწევა, თითქოსდა სიმბოლოების ურთიერთგაცვლა ხდება. 3) მოწევა, როგორც ქცევითი აქტი რიტმულია. სუნთქვა რეგულირდება, ექცევა ცნობიერი კონტროლის ქვეშ. ეს იძლევა დროის ფლობის, საკუთარი თავის, სხეულის კონტროლის ილუზიას.მოწევის რიტმულობა იძლევა მომავლის პროგნოზირების ილუზიას, ამიტომ ხშირად მოწევის სუბიექტურ სარგებლად ასახელებენ რელაქსაციის, სტრესის შემსუბუქების, და დამამშვიდებელ ეფექტს.

თამბაქოზე დამოკიდებულება არ იწვევს მკვეთრად გამოხატულ ფსიქიკურ დარღვევებსა და პიროვნულ ცვლილებებს, რაც ამ ტიპის ადიქციურ ქცევას სოციალურად ტოლერანტულს ხდის. მკვლევარები თვლიან, რომ მოწევის პროცესი პიროვნების შინაგანი დისბალანსისა და კონფლიქტის გარეგანი გამოხატულებაა. არა ნიკოტინის ფიზიოლოგიური ეფექტი, არამედ მოლოდინების, რეალური საჭირო-ებებისა და მოტივების ფსიქოლოგიური პროექცია მოწევის ფსიქოფიზიოლოგიურ ფონზე ქმნის იმ შინაგან სურათს, რასაც ადამიანი ნიკოტინის ზემოქმედებას მიაწერს. თავად ადამიანისთვის ეს მექანიზმი გაუთვითცნობიერი რჩება, რაც საზოგადოებაში აჩენს მითს ნიკოტინის განსაკუთრებული თვისებების შესახებ.

დასკვნა

ამრიგად, თამბაქოს მოწევა ადიქციური ქცევაა, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ფსიქოლოგიური თავისებურებანი: პიროვნების განვითარების დეფორმაცია (ფსიქოდინამიური მიდგომა), ქცევის დარღვევა, რომელიც განვითარდა დასწავლის გზით (ქცევითი მიდგომა), ირაციონალური დეზადაპტაციური წარმოდგენები და ინფორმაციის არაადეკვატური გადამუშავება (კოგნიტური მიდგომა), თვითაქტუალიზაციის დაბლოკვა (ეგზისტენციალურ-ჰუმანური მიდგომა), ოჯახში სოციალიზაციის დეფექტი, ოჯახური ურთიერთობების დისფუნქცია (ოჯახური ფსიქოლოგია). სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორიებით, ადიქცია პროტესტია საზოგადოებრივი ნორმების მიმართ, ოჯახში სოციალურ-ადაპტაციური პოტენციალის არარსებობისა და ოჯახში სოციალიზაციის დეფექტის შედეგია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამბაქოს კონტროლის პოლიტიკა და კანონის აღსრულება; გზამკვლევი. 2018 წ გვ.2;
2. Дальке Р., Дальке М. Психология курения. – СПб.: Весь, 2010. – 176 с
3. .Девиантология: Хрестоматия / [автор-составитель Ю.А. Клейберг]. – СПб. : Речь, 2007. – 412 с
4. Змановская Е. В. Девиантлогия. Психология отклоняющегося поведения. – М.: Академия, 2006. – 412 с.
5. Максимова Н. Ю. Психологическая профилактика алкоголизма и наркомании несовершеннолетних: учебн. пособие [для студентов вузов]. – Ростов-на-Дону: Феникс, 2012. – 384 с
6. . Bilano V, Gilmour S, Moffiet T, et al. Global trends and projections for tobacco use, 1990-2025: an analysis of smoking indicators from the WHO Comprehensive Information Systems for Tobacco Control. – Lancet 2015; 385. – P. 966-976. 13. Lancet T. What will it take to create a tobacco-free world? – Lancet 2015; 385. – P. 915.
7. Renteria E, Jha P, Forman D, Soerjomataram I. The impact of cigarette smoking on life expectancy between 1980 and 2010: a global perspective. Tob Control 2016; 25 – P. 551-570.
8. . WHO. NCD Global Monitoring Framework. World Health Organization. – http://www.who.int/nmh/global_monitoring_ framework/en

Psychology of Tobacco Consumption as an Addictive Behavior

Eka Kordzadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article is devoted to the problem of tobacco use as an addictive behavior. The article provides statistics on severe health disorders and deaths caused by tobacco use and there is a very dangerous trend in this regard both in the world and especially in Georgia. The article explains that the misconception that smoking is a habit is indeed a misconception, and argues that it has an addictive nature to tobacco use. The article discusses addictive behavior with three different theories. These theories are: 1) Biomedicine, according to which addiction is synonymous with "dependence" and is defined by the World Health Organization as a condition of periodic and chronic intoxication caused by repeated use of natural or chemical substances. The biomedical approach explains the addiction of the so-called chemical. Influence on the "reward system" and the so-called With "dopamine" and "endorphin" theories. 2) Sociocultural, which presents addiction as a social deviation and a disease of society (these theories were still developed in the 19th century). 3) Psychological, which was formed only in the 20th century and which attaches crucial importance to the psychological factor in the formation of addiction against the background of biological and social attitudes. The article shows that different psychological directions emphasize the role of this or that parameter in the formation of addictive behavior. Such parameters are considered: Personal characteristics, motivation, behavior, family relationships and more. The article analyzes psychological approaches to the study of tobacco use as an addictive behavior, explains tobacco dependence through basic psychological mechanisms, and singles out several specific characteristics. The article explains what makes addictive behavior, which tobacco addiction is called socially tolerant.

Keywords: : addictive behavior, Smoking, psychological approaches.

სოციალური ურთიერთობების მნიშვნელობა ინკლუზიურ განათლებაში

ეკა ნინოშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანატოლებთან ურთიერთობა რომ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვების პიროვნული და სოციალურ განვითარებაში ამას ყველა მეცნიერი ერთხმად აღიარებს.

ერთმანეთთან ურთიერთობით ბავშვებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ და გამოიყენონ ისეთი უნარჩვევები როგორიცაა: თანამშრომლობა, კომპრომისზე წასვლა, ემოციის კონტროლი და სხვა.[1] თანატოლები ხშირად უწევენ ერთმანეთს სოციალურ და ემოციურ მხარდაჭერას, რაც მათი განვითარებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის სოციალურ-ემოციური განვითარება და პოზიტიური, კოოპერაციული სოციალური ურთიერთობები გადაჯაჭვულია და ერთი მეორეს აძლიერებს.[2]

ადრეულ ასაკში ბავშვები თანატოლებთან ურთიერთობისას ბევრად მეტს სწავლობენ, ვიდრე ზრდასრულებთან.[3] ბავშვობის ასაკში სოციალურ ურთიერთობებში წამყვან ფორმად ხშირად მეგობრობა გვევლინება, რომელიც სხვადასხვა ასაკში სხვაგვარად ყალიბდება. პიაჟეს განვითარების სტადიებზე დაყრდნობით აღწერენ როგორ იცვლება ბავშვების შეხედულებები მეგობრობასთან დაკავშირებით. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის მეგობრობა თუ სიტუაციურია და თამაშის დროებით პარტნიორებთან დაკავშირებულ ურთიერთობად განიხილება, დაწყებითი ასაკის ბავშვისთვის უკვე სტაბილური და ორმხრივი ურთიერთობის სახეს იძენს, ხოლო მოზარდობაში თანატოლთა კოლექტივი უკვე შიდა სამყაროს ცენტრი ხდება, სადაც მათი ურთიერთობათა სისტემა მეტად სტრუქტურირებული, გამძლე და ხანგრძლივია.

გამომდინარე იქიდან, რომ თანატოლები გან-საკუთრებული სახით ახდენენ გავლენას ბავშვის პიროვნებაზე, მის სოციალურ ქცევაზე, ურთიერთობათა ფასეულობასა და სისტემაზე, ურთიერთობის პროცესში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ფაქტორთა ის მრავალფეროვნება, რომელიც აყალიბებს და გავლენას ახდენს ამ ურთიერთობებზე. მაგალითად, როდესაც საქმე ეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების და მათი თანატოლების ურთიერთობას, ასაკობრივი თავისებურებების გარდა ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს კონკრეტული მდგომარეობითვის დაახასიათებელი სპეციფიკა, რომლის ცოდნა/გათვალისწინება აუცილებელია კონსტრუქციული ურთიერთობებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია იმ გარემო პირობების გათვალისწინება რომელმაც ხელსაყრელი პირობები უნდა შექმნას ამ ურთიერთობებისთვის და სხვა. სსსმ მოსწავლეები და მათი თანატოლები ურთიერთობისას ბევრ რამეს სწავლობენ იმის შესახებ, თუ რა არის სოციალურად მიღებული ან მიუღებელი ქცევა, გამოიმუშავებენ თვითრეგულაციის უნარს, განსხვავებული შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე ადამიანებთან ურთიეთობით ხელი ეწყობა ემპათიის უნარის განვითარებას და ა.შ ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში ქმნის იმ რესურსს, რაც წარმატებული სოციალიზაციის წინაპირობად გვევლინება.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ურთიერთობები, ასაკობრივი თავისებურებები, ინკლუზიური განათლება.

შესავალი

ჯანსაღი სოციალური და ემოციური განვითარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება ეხმარება ბავშვებს არა მხოლოდ მეგობრების შეძენაში, არამედ ემოციური კომპეტენციის, კონფლიქტის გადაჭრის, ემპათიის უნარის განვითარებაში და ა.შ ამიტომ ინკლუზიური განათლების პროცესმა, როდესაც განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროების მქონე ბავშვებს მისცა შესაძლებლობა ესწავლათ ერთ სივრცეში და ურთიერთობა ჰქონოდათ თანატოლებთან არსებითი როლი ითამაშა მათი სოციალური უნარ/ჩვევების ჩამოყალიბება/განვითარებაში, თუმცა ეს პროცესი ცალმხრივად სარგებლიანი არ ყოფილა ამ ბავშვებისთვის. ინკლუზიურმა განათლებამ ასევე მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა მათი თანატოლების სოციალური უნარების განვითარების თვალსაზრისითაც.

[1] http://www.portage.ge/)(სოციალური და ემოციური უნარების სწავლება)
[2] Hawkins, Smith&Catalano, 2004.
[3] Fabes et al., 2006.

ძირითადი ნაწილი

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მიმდევრები თვლიან, რომ ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს სხვა ადამიანების შეფასება და დამოკიდებულება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებთან და მოზარდებთან მიმართებაში, რადგან სწორედ ამ დროს ეყრება საფუძველი მათი პიროვნების ფორმირებას. კ. როჯერსის აზრით,როცა ადამიანს უპირობოდ იღებენ და აფასებენ, ემპათიით უსმენენ, ის სწავლობს საკუთარი განცდების უკეთ აღქმასა და სწორად გაგებას, რაც შემდგომში ძალიან ეხმარება მის საზოგადოებაში ინტეგრაციას. ინკლუზიური განათლება სწორედ ასეთ უპირობო მიღებზე დაფუძნებული მიდგომაა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის სოციალური განვითარება ჩვილობიდან იწყება არსებით მნიშვნელობას ბავშვის სოციალური განვითარებისთვის მაინც საბავშვო ბაღი და სკოლა ინარჩუნებს. ეს არის გარემო, რომელშიც საგანმანათლებლო ფუნქციის გარდა ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევა დაამყაროს პირდაპირი კონტაქტი თანატოლებთან და უფროსებთან. სწორედ საბავშვო ბაღსა და სკოლებში არსებული გარემო, ,,განსხვავებულის" მიმართ დამოკიდებულება და თანატოლებს შორის არსებულ სოციალურ ურთიერთობების ხარისხი განაპირობებს ინკლუზიური განათლების წარმატებულობას.

ამერიკელი ფსიქოლოგის რ. სელმანის (Selman, 1980) სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების თეორიის მიხედვით შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად სოციალური უნარ-ჩვევებიც ეტაპოვრივად ვითარდება. სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება კი მჭიდროდაა დაკავშირებული როლური უნარ-ჩვევების მოვლენათა სოციალური კონტექსტის სხვადასხვა პერსპექტივიდან, სხვადასხვა კუთხიდან ხედვის და შეფასების უნარის განვითარებასთან. ამ ყველაფერის სწორედ ინკლუზიური განათლება უზრუნველყოფს, ეს არის პროცესი, რომელიც ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს დაინახონ მოვლენები სხვა ადამიანების პერსპექტივიდან, განსხვავებულ კონტესტში. რაც ხელს უწყობს მათი ემპათიის უნარის განვითარებას. სოციალური პერსპექტივის განვითარების საწყის საფეხური კი სწორედ ბავშვის საბავშვო ბაღში წასვლის პერიოდს („არადიფრენცირებული პერსპექტივის დანახვა," 3-დან 6 წლამდე) ემთხვევა, ეს ის ეტაპია, როდესაც ბავშვები რეალურად იწყებენ მიკროსოციუმიდან (ოჯახიდან) მაკროსოციუმში გასვლას და სოციალიზაციის პროცესს. სოციალური ურთიერთბების განხილვისას არის ერთი საინტერესო ნიუანსი, რომელიც უნდა იქნას აგრეთვე გათვალისწინებული არის ე.წ სოციალური უნარების დეფიციტი. ამ თავისებურებების შესახებ ცოდნა და მათი გათვალისწინება საჭიროა ბავშვების კონსტრუქციული ურთიერთობის ფორმირებისთვის. მაგალითად, სოციალური ურთიერთობების სირთულეებს შეიძლება შვხვდეთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებთან, რაც ენობრივი და კომუნიკაციური უნარების დარღვევით ან არავერბალური ინფორმაციის გაგების სირთულით შეიძლება იყოს განპირობებული, ხოლო აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებს შესაძლოა ჰქონდეთ სოციალური ნიშნების გაგების სირთულეები, სოციალური ურთიერთობის სირთულეები ახასიათებთ აგრეთვე ADHD სინდრომის მქონე ბავშვებსაც, რომელთაც ახასიათებთ ურთიერთობაში მოუქნელობა-უხეშობა, იმპულსური ქცევები, წესების დაცვის სირთულე და სხვ. ამ ყველაფერმა კი მნიშვნელოვნად შეიძლება გაართულოს თანატოლებთან ურთიერთობები და გაზრდოს მათი იზოლაციის რისკი.[1]

გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვები დიდ დროს ატარებენ საბავშვო ბაღსა და სკოლაში, ეს სივრცე უნდა გახდეს სწორედ ამ ბარიერის დაძლევის მთავარი საყრდენი, სადაც ბავშვების სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებისათვის ოპტიმალური გარემო შეიქმნება. საკლასო ოთახი მთავარი სოციალური კონტექსტს წარმოადგენს დაწყებით კლასში, მასწავლებელი კი ავტორიტეტის მქონე პირს, რომელიც ქმნის კლიმატს კლასში და აწესებს სოციალური კომუნიკაციის წესებს.

რაც შეეხება მოზარდობის პერიოდს სკოლის გარემო ფართოვდება და შედარებით რთულ ხასიათს იღებს. მოზარდები სკოლას აღიქვამენ, როგორც სოციალურ სისტემას, რომელსაც ზოგჯერ ემორჩილებიან, ზოგჯერ კი პირიქით უპირისპირებიან. განვითარების ამ ეტაპზე თანატოლებთან ურთიერთობა და მათი აზრი წამყვანი ხდება. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს სკოლა, სადაც ბავშვი თანატოლებთან ერთად თავისი დროის დიდ ნაწილს ატარებს. სკოლა სერიოზულ გავლენას ახდენს პიროვნების განვითარებასა და მის ღირებულებათა ფორმირებაზე, ეს არის ადგილი, სადაც საზოგადოებრივი რესურსებისა და ძალების კონსოლიდაცია უნდა მოხდეს და შეიქმნას ყველა განსხვავებული საჭიროებისა და შესაძლებლობის

[1] Carlson & Mann, 2000; Hodgens, Boldizar , 2000

მქონე მოსწავლისათვის უსაფრთხო სასკოლო გარემო, რადგან პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მნიშვნელოვანი პირობას წარმოადგენს.

დასკვნა

ბავშვებთან კონსტრუქციული სოციალური ურთიერთობების აუცილებელია ასაკის სპეციფიკის გათვალისწინება, რადგან ეს ცოდნა გვეხმარება განვსაზღვროთ სხვადასხვა უნარების განვითარების, მათ შორის სოციალური უნარ-ჩვევები განვითარების დონე, რაც საშუალებას მოგვცემს ვივარაუდოთ კონკრეტულ ასაკში ბავშვებს შორის ურთიერთობების რა თავისებურებებს უნდა ველოდოთ.ასევე მნიშვნელოვანია სასწავ-ლო პროცესში ჩართულობასთან ერთად თანატო-ლებს შორის არსებული ურთიერთობები რომელიც შესაძლოა იყოს როგორც დამხმარე/ თანამშრომ-ლური, ისე იზოლირებული, ან მეგობრული და კონფლიქტური და სხვა. ამ საკითხის მოსაგვა-რებლად კი თუ გავითვალისწინებთ ა.ბანდურას ,,სოციალური დასწავლის თეორიას". ადამიანები სწავლობენ სხვა ადამიანებზე, ანუ მოდელებზე დაკვირვებით, ამიტომ ბავშვები, რომელთაც შე-საძლოა აღენიშნებოდეთ სოციალური ურთიერ-თობებში გარკვეული სირთულეები, თანატოლთა გარემოში მათ ქცევებზე დაკვირვებით მეტად ეფექტიანად დაეუფლებიან იმ უნარ-ჩვევებს რაც მათი სოციალიზაციის პროცესს შეუწყობს ხელს და შექმნის პროდუქტულ გარემოს მათი პიროვნული განვითარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი მ., ლაღიძე ა., პაჭკორია თ.,., ,,ინკლუზიური განათლება - გზამკვლევი მასწავლებლებისათვის", თბილისი, 2009
2. განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი.წიგნზე მუშაობდნენ: სიმონ ჯანაშია და სხვ. - 2008. ნაწ. 2:
3. იმედაძე ნ, ჯანაშია ნ, გორგოძე ს ,,განვითარებისა და სწავლის თეორიები'', მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008;
4. ისაკაძე თ., ,,ყველა ბავში განსაკუთრებულია" გზამკვლევი მშოლებისთვის თბილისი, 2010;
5. Beuhl D., ,,Classroom Strategies for Interactive Learning". Newark, Delaware: The International Reading Association, (3rd edition), 2009;
6. Hornby G., „Inclusive special education, Evidence-based practices for children with special needs and disabilities"2014;
7. Social functioning difficulties in ADHD: Association with PDD risk
8. Clin Child Psychol Psychiatry. 2009 Jul; 14(3): 329–344.
9. Social relationships of pupils with special educational needs in the mainstream primary class: Peer group membership and peer-assessed social behaviour.2010 European Journal of Special Needs Education 25(4):413-429

The importance of social relations in inclusive education

Eka Ninoshvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

All scientists unanimously acknowledge that relationships with peers play an important role in children's personal and social development.

In relationships, children are given the opportunity to learn and use skills such as: cooperation, compromise, emotion control, etc.1 Peers often provide social and emotional support to each other, which is very important for their development. It can be said that a child's socio-emotional development and positive, cooperative social relationships are intertwined and reinforce one another.

Children learn much more in relationships with their peers at an early age than with adults.3 Childhood is often the leading form of social interaction in childhood, forming differently at different ages. Based on the developmental stages of Piaget, they describe how children's views on friendship change. For preschoolers, friendship is situational and is considered a relationship with temporary play partners, for a primary school child it already looks like a stable and reciprocal relationship, and in adolescence the peer group becomes the center of the inner world where their relationship system is highly structured, resilient and long lasting.

Because peers have a particular influence on a child's personality, social behavior, relationship values, and system, the relationship process must take into account the diversity of factors that shape and influence that relationship. For example, when it comes to the relationship between students with special educational needs (SEN) and their peers, in addition to age peculiarities, the specifics of a particular situation should not be overlooked, which knowledge / consideration is necessary for constructive relationships. It is also important to consider the environmental conditions that should create favorable conditions for these relationships and so on. Students in SSSM and their peers learn a lot in a relationship about what is socially acceptable or unacceptable behavior, develop self-regulation skills, develop empathy skills in relation to people with different abilities and needs, etc. All of this ultimately creates the resource that Is a prerequisite for successful socialization.

Keywords: social relationship, age characteristics, inclusive education.

გენდერული ძალადობის პრობლემა

სოფიო ფაჩულია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ვაჟა გურგენიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩვენი ცხოვრების წესი, გარკვეულწილად კი აღზრდის სისტემა და ის მოთხოვნები, რასაც საზოგადოება და საერთოდ ტრადიციული მსოფლმხედველობა უყენებს ადამიანს არცთუისე ცუდად უჭერს მხარს გენდერულ ძალადობას. ქართულ რეალობაზე დაკვირვებით ოჯახში ძალადობის გამოვლინებები თვალშისაცემი გახდა თავისი ინტენსივობით. აღსანიშნავია ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალი ჩაგრულ პოზიციაშია, მისი უფლებები დარღვეული და ფაქტიურად უგულებელყოფილია. ქალთა მიმართ ძალადობას სერიოზული თანამდევი უარყოფითი გამოვლინება აქვს არა მხოლოდ მსხვერპლი ქალების ფიზიკურ თუ ემოციურ მდგომარეობაზე, არამედ იგი უშუალო კავშირშია და შეიძლება ისიც ითქვას, რომ პირდაპირ ახდენს გავლენას ბავშვებზე, ოჯახზე და სრულიად საზოგადოებაზე. ძალადობა გამოიხატება იმაშიც, რომ ქალებს წაერთვათ უფლებები საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართვის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველო სერიოზულ ნაბიჯებს დგამს გენდერულ ძალადობასთან ბრძოლაში, ქალების უმეტესობა თავს დაუცველად გრძნობს.

წეს-ჩვეულებები, რომლებიც მავნე ტრადიციებიდანაა შემორჩენილი კონკრეტულად მიემართება ძალადობის ფორმებს, რომლებსაც იმდენად ინტენსიური ხასიათი აქვს, რომ კულტურული პრაქტიკის სახეს ღებულობს. სწორედ ამ მიზეზით ხდება მიღებული სოციუმისთვის. ახალგაზრდა ქალები არიან სწორედ ის კატეგორია, რომლებიც ასეთი ქმედებების უმთავრესი მსხვერპლი ხდებიან, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულთა შორის შესაძლოა მამაკაცებიც აღმოჩნდნენ. ძალადობის ასეთი გამოხატულება იმ გარემოში ცხდება, რომელშიც ქალებსა და გოგონებს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები აქვთ. ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭება ეხება ვაჟების კულტურულ უპირატესობას ქალიშვილებთან მიმართებით, რაც გამოიხატება აბორტის სქესობრივი ნიშნით შერჩევითობაში, მდედრობითი სქესის ჩვილთა მკვლელობასა თუ მიტოვებაში, ასევე ქალიშვილების მიმართ ცუდად მოპყრობაში. ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდება, იძულებითი ქორწინება და ბავშვთა ქორწინება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება და სხვა მავნე ტრადიციები სწორედ რომ აფერხებს ძალადობის პრევენციისთვის გასატარებელი ღონისძიებების ეფექტურობას.

აშკარაა ისიც, რომ ჩვენი ცხოვრების წესი, გარკვეულწილად კი აღზრდის სისტემა და ის მოთხოვნები, რასაც საზოგადოება და საერთოდ ტრადიციული მსოფლმხედველობა უყენებს ადამიანს არცთუისე ცუდად უჭერს მხარს გენდერულ ძალადობას.

საკვანძო სიტყვები: გენდერული სტერეოტიპები, გენდერული ძალადობა, გენდერული უთანასწორობა, ძალადობის ფორმები

შესავალი

ყველა მოვლენა საზოგადოების ცხოვრებაში ურთიერთდაკავშირებულია, თან ცალკეულ სფეროში გამოვლენილი პრობლემა მისი კავშირისა და მიმართებების ანალიზს მოითხოვს ცხოვრების სხვა სფეროებთან, რადგანაც აშკარაა, რომ ის, როგორც წესი შემთხვევით არ ჩნდება, მისთვის მდგომარეობა მწიფდება, საყრდენი და საფუძველი ყოველთვის ეძებნება საზოგადოების ცხოვრების საბაზისო სისტემებში. კარგი იქნება, რომ სწორედ ამ ჭრილიდან შევხედოთ გენდერულ ძალადობას, როგორც პრობლემას საქართველოში. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ძალადობის პრობლემა ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად გვევლინება. ქართულ რეალობაზე დაკვირვებით ოჯახში ძალადობის გამოვლინებები მკვეთრად თვალშისაცემი გახდა თავისი ინტენსივობით. გამოკვეთილად ფიქსირდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალი ჩაგრულ პოზიციაშია, მისი უფლებები დარღვეული და ფაქტიურად უგულებელყოფილია. ქალთა მიმართ ძალადობას სერიოზული თანამდევი უარყოფითი გამოვლინება აქვს არა მხოლოდ მსხვერპლი ქალების ფიზიკურ თუ ემოციურ

მდგომარეობაზე, არამედ იგი უშუალო კავშირშია და შეიძლება ისიც ითქვას, რომ პირდაპირ ახდენს გავლენას ბავშვებზე, ოჯახზე და სრულიად საზოგადოებაზე. ძალადობა გამოიხატება იმაშიც, რომ ქალებს წაერთვათ უფლებები საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართვის მიმართულებით. ასევე მკვეთრადაა გამოხატული ოჯახში ცოლსა და ქმარს შორის ძალადობის ფორმატში, სადაც ქმარი ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად ან სექსუალურად ძალადობს ცოლზე. რაც შეეხება ქალების მხრიდან მამაკაცებისადმი ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რასაც შეიძლება ძალადობაც ეწოდოს, გამოიხატება იმაში, რომ ცოლის საყვედური ქმრის მიმართ სამსახურის თუ უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობის გამო სისტემატიური ხასიათის მატარებელია. რაც შეეხება ძალადობას, ის მრავალნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: გაუპატიურება, ტრეფიკინგი, იძულებით პროსტიტუციაში ჩაბმა, ფიზიკური შეურაცხყოფა, იძულებითი სქესობრივი ურთიერთობის დამყარება, იზოლაცია, გამოკეტვა, იძულებით ქორწინება, მოძალადის მხრიდან დამამცირებელი სახელით მიმართვა მსხვერპლის მისამართით, არასასიამოვნო ინციდენტები, რასაც ჩვეულებრივი წყვილი მარტივად გაართმევს თავს, პრობლემურ წყვილში კი ძალადობის სისტემის ჩამოყალიბებას და გამყარებას უწყობს ხელს.

ძირითადი ნაწილი

ოჯახში ძალადობა არ კარგავს აქტუალობას, მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარ ტაბუდადებულ თემად ითვლება ჩვენს სოციუმში შესაბამისად საჯაროდ განხილვა მიუღებლად მიაჩნიათ. საზოგადოების ერთი ნაწილისთვის არაა რთული ჩასწვდეს საკითხის სიღრმეს და გაითავისოს მისი სერიოზულობა, რასაც ვერ ვიტყვით მეორე ნაწილზე, რომელსაც მიაჩნია, რომ „ოჯახური პრობლემები მხოლოდ ოჯახში უნდა მოგვარდეს და არ უნდა გავიდეს მის გარეთ“. ამგვარი სტერეოტიპული შეხედულებების მიუხედავად, დღეს უკვე აშკარად შეინიშნება ამ სტერეოტიპების მსხვრევის ტენდენცია. ჯერ კიდევ საზოგადოებაში, სადაც დომინირებს მოსაზრება, რომ ოჯახი საკრალური ადგილია, სადაც ჰარმონიასა და ურთიერთგაგებაში უნდა ცხოვრობდნენ და ამის საპირისპიროდ რაიმე ტიპის ძალადობასთან ან კონფლიქტთან უწევთ პირისპირ დარჩენა, მიუღებლად მიაჩნიათ ოჯახის საქმის გარეშე პირთა ჩარევით მოგვარება, რაც ოჯახს სახელს შეულახავს, "ჩირქს მოსცხებს". ამგვარი მოსაზრებებით გაჯერებული საზოგადოება განაპირობებს ქალების ამტანობას მამაკაცისგან ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობის ჭრილში. ქალები ხომ ამ პოზიციიდან „დამთმობი და ყველაფრის ამტანი არსებები არიან“.

აშკარაა ისიც, რომ ჩვენი ცხოვრების წესი, გარკვეულწილად კი აღზრდის სისტემა და ის მოთხოვნები, რასაც საზოგადოება და საერთოდ ტრადიციული მსოფლმხედველობა უყენებს ადამიანს არცთუისე ცუდად უჭერს მხარს გენდერულ ძალადობას.

ტერმინი **„გენდერული ძალადობა“** უპირველეს ყოვლისა გამოიყენება, რათა ხაზი გაესვას მთელს მსოფლიოში სტრუქტურულ განსხვავებას სქესის მიხედვით ქალებსა და მამაკაცებს შორის, რაც ქალებს ძალადობის მრავალი ფორმის საფრთხის წინაშე აყენებს. როგორც ეს შეთანხმებული იყო ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაციაში (1993 წელი), იგი მოიცავს ქმედებებს, რომლებიც ადამიანს აყენებენ ფიზიკურ, ფსიქიურ ან სექსუალურ ზიანს ან ტანჯვას, ასეთი ქმედებების მუქარას, იძულებას და თავისუფლების შეზღუდვას, იქნება ეს საჯარო თუ პირად ცხოვრებაში. ეს ტერმინი ასევე გამოიყენება ზოგი სუბიექტის მიერ სექსუალური ძალადობის ზოგიერთი ფორმის აღსაწერად, რომელიც მიმართულია მამაკაცების წინააღმდეგ და/ან წარმოადგენს მიზანმიმართულ ძალადობას ლგბტი/ GBTI თემის წინააღმდეგ იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული ძალადობა დაკავშირებულია მასკულინიზმის გენდერულად უსამართლო ან გენდერული იდენტობის ნორმებთან“ (IASC 2015).)[1]

ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორი უპირველესად არის გენდერული უთანასწორობა. მაგალითად, მაშინ, როდესაც ქალთა უფლებები დარღვეულია, საპირისპირო სქესის მიმართ არ არის დაცული გენდერული თანასწორობა. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ძალადობის გამოვლინებას. ხელშემწყობად კი ხშირად დამოკიდებულებები გვევლინება - დამოკიდებულება ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე, აზარტულ თამაშებზე, ასევე ინტერნეტზე. მათი ზეგავლენით ხდება, რომ პირი ავლებს ძალადობას სხვის მიმართ. ძალადობის ხელშეწყობაზე ასევე მოქმედებს საზოგადოებაში მყოფი ინდივიდებიც. ისინი მათი ნაკლები ჩართულობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მოქალაქეობრივი იდეების ნაკლებობით ხელს უწყობენ

[1] გენდერული ძალადობა საქართველოში კავშირი კონფლიქტებს, ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და მომსახურებას, 2017 რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი / მსოფლიო ბანკი/გვ.20

ძალადობის გამოვლენას.[1] ცხადია, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ყველგან ერთნაირად ძლიერად და იდენტური ფორმებით არ ვლინდება, არამედ ატყვია „მშობლიური“ ხელწერა, კულტურის ზეგავლენა და სპეციფიკა როგორც დაღი. მნიშვნელოვანი ამ ყველაფრის ფონზე ის კი არ გახლავთ, რომ ხმამაღლა ვიყვიროთ - ეს პრობლემა ჩვენთან კავშირში არ განიხილება, არამედ დაგვაფიქროს იმაზე თუ რა შეიძლება განვიხილოთ მაპროვოცირებელ ელემენტად როგორც ინდივიდში, ასევე საზოგადოებაში სრულად. ჩვენი მსოფლმხედველობით, წინასწარ გააზრებული პოზიციით შევძლოთ წინააღმდეგობა გავუწიოთ ჩვენს ირგვლივ გამეფებულ ძალადობის ყველა ფორმის გამოვლინებას, მათ შორის გენდერული ძალადობისაც. გენდერული ძალადობის 3 ტიპიური ფორმა არსებობს: ფიზიკური, სექსუალური და მორალური, რომელშიც ფსიქოლოგიური ნაწილიც შედის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სიმძიმით ძალადობის მორალური ფორმა არანაკლებ მტკივნეულია საზოგადოებაში მაინცდამაინც აქტუალურად არ მიიჩნევა, ალბათ იმიტომ, რომ ფიზიკურად ვერ შეიგრძნობენ.

გენდერულ ძალადობას თავისი ფორმა მიეცა საქართველოში რაც მასკულინურ-პატრიარქალურ საზოგადოებაში ჩვეულებრივი მოვლენაა ასიმეტრია ოპოზიციაში ქალისა და კაცის სახით.

,,ქალის მიმართ ძალადობა“ მოიცავს ნებისმიერი ძალადობის აქტს, ჩადენილს სქესობრივი ნიშნის საფუძველზე, რომელიც ქალს აყენებს ან რომელმაც შეიძლება მიაყენოს ფიზიკური, სექსუალური ან მორალური ზარალი და ტანჯვა, ანდა მუქარას, რომელიც მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილ აქტებს, იძულება ან თავისუფლების თვითნებური შეზღუდვა საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში. 1993 წელს გაერომ მიიღო სპეციალური დეკლარაცია ,,ქალის წინააღმდეგ ყოველგვარი ძალადობის აღმოფხვრის შესახებ”; 1994 წელს გაერომ დანიშნა სპეციალური მომხსენებელი ქალის წინააღმდეგ ძალადობის ფაქტებზე (ფაქტების შეგროვება და ინფორმაციის დამუშავება),[2] რაც მოიცავს ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქიკურ ძალადობას, რომელსაც ადგილი აქვს ოჯახში ცემის, სექსუალური იძულების ჩათვლით. ძალადობას, რომელიც აზიანებს ქალის სასქესო ორგანოებს და სხვა ტრადიციული ძალადობის სახეებს, რომლებიც მორალურ ან ფიზიკურ ზიანს აყენებენ ქალებს. ძალადობა, რომელიც დაკავშირებულია ექსპლუატაციასთან.[3]

ისევ აქტუალურია და პრობლემად რჩება სექსუალური დანაშაულის კუთხით არსებული კანონმდებლობა. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში „გაუპატიურების“ ხარვეზიან ნორმაში (მუხლი 137) ცვლილებების შეტანას, რაც უარყოფითად აისახება მომავალში. რაც შეეხება ტრეფიკინგთან ბრძოლას კვლავ დაბალია როგორც შემთხვევათა გამოვლენის მაჩვენებელი, ისე სერვისებით მოსარგებლე პირთა რაოდენობა.[4]

გამოწვევად რჩება სექსუალური შევიწროების პრობლემა, რომელიც, ძირითადად, დასაქმების ადგილას და სამედიცინო მომსახურების მიღებისას ვლინდებოდა. სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კვლავ პრობლემად რჩება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების მდგომარეობა, რომლებიც დადგენილი ვადის მიღმა ორსულობის შეწყვეტისას კვლავ საკანონმდებლო დაბრკოლებას აწყდებიან. ამავე ანგარიშში დაფიქსირდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის დისკრიმინაციული პრაქტიკის არსებობა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისას, კერძოდ უმეტესწილად მოკლებული არიან ქალი ექსპერტის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას.[5]

ძალადობა საკუთარი თავის და სხვების მიმართ შესაძლებელი ხდება დეფიციტური მეტაკოგნიტური და სიმბოლური უნარების ფონზე. ეს ნიშნავს იმას, რომ მოძალადე ადამიანების უმრავლესობას არ შესწევს უნარი, ობიექტის კოგნიტურ ან ფსიქოლოგიურ სიბრტყეზე აღქმის. (Fonagy&Target, 1996; Mc Dougall, 1986).

2018 წლის 6 მარტის კვლევის შედეგები საქართველოში ოჯახში ძალადობისა და არაპარტნიორის მხრიდან ჩადენილი ფიზიკური და სექსუალური ძალადობის გავრცელების, ასევე ქალებისა და კაცების მიერ გენდერისა და ძალადობის აღქმისა და გაცნობიერების შესახებ მონაცემებს იძლევა. ახალი ეროვნული კვლევის თანახმად საქართველოში შვიდიდან ერთი ქალი ოჯახში ძალადობას განიცდის. გარდა ამისა, პირველად საქართველოში კვლევამ ქვეყანაში

[1] ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია გადამოწმებულია 18.01.2022, გვ 8-10;

[2] ყიფშიძე ლ., ძალადობა ოჯახში და ქალთა სოციალური პრობლემები // ალმანახი №7 [ადამიანის უფლებათა დაცვის სამართალი], – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, – 1998

[3] გაფრინდაშვილი ქ., ფხაკაძე რ., ძალადობა ოჯახში, [გენდერული პრობლემატიკა საქართველოში],– ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი,– თბ.,2002

[4] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2020; გვ. 10

[5] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2020; გვ. 168

სექსუალური შევიწროებისა და დევნის გავრცელების შესახებ მონაცემებიც გამოააშკარავა. 2017 წელს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევის თანახმად თუ ძალადობის ყველა ფორმას გავაერთიანებთ, ოთხიდან ერთ ქალს საქართველოში ცხოვრების პერიოდში განუცდია გენდერული ნიშნით ძალადობა. როგორც ირკვევა ქალებსა და კაცებს ურთიერთობებში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით მაღალი მიმღებლობა აქვთ. კვლევით რესპოდენტების მხრიდან სქესისა და სექსუალური ძალადობის შესახებ გაუმართლებელი შეხედულებების დაფიქსირებას ჰქონდა ადგილი. გამოკითხულთა შორის ქალების თითქმის 1/4, რაც 22%-ს და კაცების 1/3, რაც 31%-ს შეადგენს მიაჩნია, რომ გარკვეულ გარემოებებში მისაღებია ცოლის ცემა. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქალების 1/4-ს, რაც 23%-ს და კაცების 2/4-ს, 42%-ს შეადგენს სჯერა, რომ ცოლი ქმარს მაშინაც კი უნდა დაემორჩილოს, როცა მისი მოსაზრება მიუღებელია. ამ ფონზე დადებითი ტენდენციებიც იკვეთება. იმ ქალების პროცენტულმა რაოდენობამ, რომლებმაც პოლიციის ინფორმირება მოახდინეს ინტიმური პარტნიორის მხრიდან გამოვლენილი ძალადობის ფაქტის შესახებ 2017 წელს 18% შეადგინა. 2009 წელს კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1.5% იყო. 2009 წელს დაფიქსირებული 78%-დან 2017 წელს 33%-მდე შემცირდა იმ ქალების პროცენტული ოდენობა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა პირადი საკითხია და სხვები არ უნდა ჩაერიონ.[1]

როგორც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა შესახებ საქსტატის მონაცემებით ირკვევა საქართველოს მასშტაბით მოძალადე ქალთა რიცხვი 2015 წლის მდგომარეობით 185 მოძალადე/2301 მსხვერპლი ქალია, როცა 2283 მოძალადე/337 მსხვერპლი კაცი, 2020 წლისთვის კი მოძალადე ქალთა რაოდენობა 1519-ს შეადგენს (5 ერთეულით დაიკლო რაოდენობამ 2019 წელთან შედარებით), მსხვერპლ ქალთა რაოდენობა კი 7573-ს შეადგენს (2019 წელთან შედარებით 94 -ით მეტია), რაც შეეხება მოძალადე მამაკაცების რიცხვს 7197-ს შეადგენს (2019 წელთან შედარებით 167-ით მეტია), მსხვერპლი მამაკაცების რიცხვი 1571-ია (2019 წელთან შედარებით 10 ერთეულით მეტია).[2]

აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წელს საქართველომ ევროპის საბჭოს გრევიოს კომიტეტს წარუდგინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის განხორციელების პირველი ანგარიში. ქალებს მიაჩნიათ, რომ გენდერული ძალადობისგან თავის დასაცავად ვერავის მიმართავენ დახმარების თხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველო სერიოზულ ნაბიჯებს დგამს გენდერულ ძალადობასთან ბრძოლაში, ქალების უმეტესობა თავს დაუცველად გრძნობს. ისინი ვერ იღებენ რაიმე მნიშვნელოვან დახმარებას პოლიციისგან, რელიგიური ორგანიზაციებისგან, იურიდიული სისტემისგან, მომსახურების მიმწოდებლებისგან ან საკუთარი ოჯახებისგან.[3]

აუცილებელია საზოგადოების იმ დამოკიდებულებების შეცვლა, რომლებიც გენდერულ საფუძველზე ქალთა მიმართ ძალადობას უწყობენ ხელს. ამისთვის საჭიროა ხელი შევუწყოთ პოზიტიური იდეების გავრცელებას იმის თაობაზე, თუ რა არის „მამაკაცური ქცევა“, სათანადოდ გაშუქდეს მედიის მიერ ძალადობა და ქალის სექსუალიზაცია. საჭიროა კანონმდებლობის გადასინჯვა და ეფექტურად განხორციელება, და იმის უზრუნველყოფა, რომ დამნაშავეებმა არა მხოლოდ პასუხი აგონ, არამედ ასევე დაბალანსდეს ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალაუფლებაზე დაყრდნობილი ურთიერთობები დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ქალების გაძლიერების გზით[4].

განსაკუთრებით დამძიმდა პანდემიის პირობებში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მდგომარეობა, რომლებიც მოძალადეებთან ერთ დახურულ სივრცეში პირისპირ აღმოჩნდნენ, გაიზარდა ძალადობის რისკები და შემცირდა შემთხვევათა გამოვლენის შესაძლებლობა.

გაეროს კვლევის შედეგად გამოვლინდა და შესამჩნევად გაიზარდა პანდემიის დროს ოჯახში ძალადობის ზრდის ფაქტები,კერძოდ გამოკითხულთა 20%-მა (ქალების 23%-მა და კაცების 17%-მა) დაადასტურა, რომ თავად განუცდია ან სმენია ოჯახში ძალადობის მომატებული შემთხვევების შესახებ. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საზოგადოებაში არსებული სოციალური

[1] წყარო: საქსტატი, ოჯახში ძალადობის საკითხებზე განხორციელებული ცხელი ხაზის მონაცემები.

[2] წყარო: საქსტატი, მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძლადეთა შესახებ რეგიონების მიხედვით 2015-2020 წლის მდგომარეობით. (მოძალადე/მსხვერპლი ქალი/კაცი ერთეული შემთხვევები).

[3] გენდერული ძალადობა საქართველოში კავშირი კონფლიქტებს, ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და მომსახურებას, 2017 რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი / მსოფლიო ბანკი/ გვ.73.

[4] ჰაგემან-უაითი და სხვები, (2010), “ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალებისა და ბავშვების მიმართ და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ძალადობას - მრავალდონიანი ინტერაქტიული მოდელი“, ევროკომისია, ქალებისა და ბავშვების მიმართ და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ძალადობის აღმოფხვრაზე მიმართული კვლევა ეროვნული კანონმდებლობის სტანდარტიზაციის შესაძლებლობებისა და საჭიროებების შეფასების გზით, ევროკავშირის გამომცემლობა, ლუქსემბურგი; ლ. კელი და ჯ. ლოვეტი (2012)

სტიგმა ამცირებს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ დაუფარავად საუბრის ალბათობას. როგორც ირკვევა საქართველოს მოსახლეობას აკლია ინფორმირებულობა ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მხრივ არსებულ სერვისებზე. საგულისხმოა ისიც, რომ ქალთა 40%-მა იცის ფსიქოლოგიური დახმარების მომსახურებაზე, მაგრამ სამი ქალიდან მხოლოდ ერთს სმენია თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების შესახებ. კაცების შემთხვევაში კი კვლევაში მონაწილეთა თქმით ცნობიერება კიდევ უფრო დაბალია. ოჯახური ძალადობის მხრივ არსებულ სერვისებზე ცოტა რამ იციან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა და უმაღლესი განათლების არ მქონე პირებმა.[1]

საქართველოში მოსახლეობის 82% აცხადებს, რომ ძალადობა პრობლემაა, რომელიც უნდა აღმოიფხრას. ეს წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებასთან, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა დისციპლინური ზომაა (45%), თუმცა იმასაც ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ამ პრობლემის დაძლევის ნება არსებობს.[2]

დასკვნა

წეს-ჩვეულებები, რომლებიც მავნე ტრადიციებიდანაა შემორჩენილი კონკრეტულად მიემართება ძალადობის ფორმებს, რომლებსაც იმდენად ინტენ-სიური ხასიათი აქვს, რომ კულტურული პრაქტიკის სახეს ღებულობს. სწორედ ამ მიზეზით ხდება მიღებული სოციუმისთვის. ახალგაზრდა ქალები არიან სწორედ ის კატეგორია, რომლებიც ასეთი ქმედებების უმთავრესი მსხვერპლი ხდებიან, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულთა შორის შესაძლოა მამაკაცებიც აღმოჩნდნენ. ძალადობის ასეთი გამოხატულება იმ გარემოშიც ვლინდება, რომელშიც ქალებსა და გოგონებს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები აქვთ. ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭება ეხება ვაჟების კულტურულ უპირატესობას ქალიშვილებთან მიმართებით, რაც გამოიხატება აბორტის სქესობრივი ნიშნით შერჩევითობაში, მდედრობითი სქესის ჩვილთა მკვლელობასა თუ მიტოვებაში, ასევე ქალიშვილების მიმართ ცუდად მოპყრობაში. ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდება, იძულებითი ქორწინება და ბავშვთა ქორწინება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება და სხვა მავნე ტრადიციები სწორედ რომ აფერხებს ძალადობის პრევენციისთვის გასატარებელი ღონისძიებების ეფექტურობას.

"ზოგადად, სტერეოტიპების შექმნა ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელია. ეს არის ის გზა, რომლის მეშვეობითაც ადამიანების გარკვეული კატეგორიებისთვის და ჯგუფებისთვის მიკუთვნებას ვახორციელებთ, რასაც ხშირად ქვეცნობიერად ვაკეთებთ, ნაწილობრივ იმისთვის, რომ ჩვენს გარშემო არსებული სამყარო უფრო მარტივად წარმოვაჩინოთ"[3]

გენდერული სტერეოტიპების ასახვა როგორც განზრახ, ასევე გაუცნობიერებლად, კანონმდებლობაში, პოლიტიკასა თუ პრაქტიკაში, ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების უფრო ღრმად დამკვიდრებას იმისათვის, რომ გატარდეს პრევენციული ზომები, საჭიროა ხელი შეეწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, განათლების მიღებას, ტრენინგებს და დამნაშავის მკურნალობის პროგრამების განხორციელებას. გენდერულ საფუძველზე ძალადობის აღმოფხვრაზე მიმართული ზომები ვერ იქნება ეფექტური დამოკიდებულებების გარდაქმნის გარეშე.

[1] "საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული მდგომარეობის სწრაფი გენდერული შეფასება", რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შვედეთისა და ნორვეგიის მთავრობების ხელშეწყობით განახორციელა. 2021

[2] ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები, გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა, 2013.

[3] რ. კუკი და ს. კიუზაკი (2010), გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბება: ტრანსნაციონალური სამართლებრივი პერსპექტივები, პენსილვანიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ფილადელფია,გვ 1.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გენდერული ძალადობა საქართველოში-კავშირი კონფლიქტებს, ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და მომსახურებას, 2017 რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი / მსოფლიო ბანკი/ გვ.20, გვ.73.
2. ყიფშიძე ლ., ძალადობა ოჯახში და ქალთა სოციალური პრობლემები // ალმანახი №7 [ადამიანის უფლებათა დაცვის სამართალი], – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, – 1998. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია, (ხელმისაწვდომია 18.01.2021-ის მდგომარეობით), გვ 8-10;
3. გაფრინდაშვილი ქ., ფხაკაძე რ., ძალადობა ოჯახში, [გენდერული პრობლემატიკა საქართველოში],– ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი,–თბ.,2002.
4. ჰაგემან-უაითი და სხვები, (2010), "ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალებისა და ბავშვების მიმართ და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ძალადობას - მრავალდონიანი ინტერაქტიული მოდელი", ევროკომისია, ქალებისა და ბავშვების მიმართ და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ძალადობის აღმოფხვრაზე მიმართული კვლევა ეროვნული კანონმდებლობის სტანდარტიზაციის შესაძლებლობებისა და საჭიროებების შეფასების გზით, ევროკავშირის გამომცემლობა, ლუქსემბურგი; ლ. კელი და ჯ. ლოვეტი (2012)
5. "საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული მდგომარეობის სწრაფი გენდერული შეფასება", რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შვედეთისა და ნორვეგიის მთავრობების ხელშეწყობით განახორციელა. 2021.
6. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები, გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა, 2013.
7. „სტამბოლის კონვენცია" (2014 წლის 1-ლ აგვისტო). საქართველომ აღნიშნულ კონვენციას ხელი მოაწერა 2014 წლის 19 ივნისს, ხოლო მისი რატიფიცირება მოახდინა 2017 წლის 5 აპრილის #543-IIს დადგენილებით (ძალაშია 2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან);
8. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია: სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლი, ევროპის საბჭო National Gender Based Violence&Health Programme
9. რ. კუკი და ს. კიუზაკი (2010), გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბება: ტრანსნაციონალური სამართლებრივი პერსპექტივები, პენსილვანიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ფილადელფია, გვ 1.
10. Fact Sheet N23, Harmful Traditional Practices Affecting the Health of Women and Children. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2020;

The Problem of Gender-Based Violence

Sophio Pachulia, PhD student
Georgian Technical University

Summary

Our lifestyle, partially the upbringing system and the demands that society and the traditional worldview in general place on people, measurably support gender-based violence. By observing Georgian reality, the manifestations of domestic violence have become noticeable due to their intensity. We should also mention the cases when a woman is in an oppressed position, her rights are violated and virtually neglected. Violence against women has a serious accompanying negative impact. Violence, not only on the physical or emotional condition of the women victims, but it is also directly related and can be considered to have a direct impact on children, the family and society as a whole. Violence is also manifested in the deprivation of women's right to engage in public activities. Although Georgia has taken serious steps to combat the gender-based violence over the past ten years, most women still feel vulnerable.

Rituals surviving from pernicious traditions specifically deal with forms of violence that are so intense in nature that they take the form of cultural practices. It is for the reason that it becomes acceptable to society. Young women are precisely the category that becomes the main victims of such actions, although men may be among the victims. This expression of violence also occurs in environments where women and girls have equal rights and opportunities. Boy preference refers to the cultural superiority of boys over daughters, which manifests itself in sex-selective abortion, the killing or abandonment of female infants, and abuse of daughters. Health hazards, forced and child marriages, female genital mutilation and other harmful practices undermine the effectiveness of measures to prevent violence.

It is also clear that our way of life, to some extent the system of education and the requirements that society and the traditional worldview in general place on people, do not poorly support gender-based violence.

Key words:: Gender stereotypes, gender-based violence, gender inequality, forms of violence

დევიაციის რისკ-ფაქტორების მოქმედებაზე სწავლის მოტივთა განსხვავებული გავლენა

ლაშა ჩეკურიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ადამიანსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაზე, აგრეთვე პიროვნების ქცევის თავისებურებებსა და განვითარებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ინდივიდუალური მოტივები, რაც შეიძლება იყოს ნებისმიერი ისეთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ინდივიდის აქტივობას. მათ შორის მოთხოვნილებები, მისწრაფებები, განცდები და ა.შ.

პიროვნების სოციალურად მნიშვნელოვანი თვისებების სტაბილური სისტემის უზრუნველყოფასა და ცხოვრებაში, მისი საქმიანობის წარმატებაში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სწავლის მოტივებს. რომლებიც უმეტესწილად განსაზღვრავენ ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის, გადასვლებს ინდივიდუალურიდან სოციალურისკენ და სოციალური სტრუქტურიდან პიროვნულ ურთიერთობებსა და გარემო სიტუაციაზე მიზანშეწონილ ინდივიდუალურ რეაქციათა სისტემაზე.

სწავლაში წარმატებისათვის, ნიჭთან მიმართებით, მოტივაციას უპირატესი მნიშვნელობა აქვს. რამდენადაც მისი მეშვეობით შესაძლებელია გარკვეულ პირობებში უნარ-შესაძლებლობათა ნაკლებობის რამდენადმე კომპენსირება და შედეგად შესაძლოა მაღალი აკადემიური მოსწრება. ხოლო მაღალი ნიჭიერება ვერ რეალიზდება თუ ინდივიდუალურ დონეზე არ არის ძლიერი მოტივაცია.

ვინაიდან მინიმალური დაინტერესების გამო, გარეგანი ფაქტორებით განპირობებულ სწავლას პირველივე შესაძლებლობისთანავე ბავშვები თავს ანებებენ, სწავლის მოტივაციაში წამყვანია ბავშვის ცნობისმოყვარეობა, რომელიც სოციალური გარემოს მიერ თუ არ არის დათრგუნული და ან უგულვებელყოფილი, გადაიზრდება ცოდნის მოყვარეობაში, რაც სწავლის მოყვარეობის საფუძ-ველია. ასეთ პირობებში ძლიერდება სწავლის მზაობა და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულობა, რაც თავისთავად ხელს უწყობს ბავშვის შემდგომ განვითარებას და სათანადო სასწავლო-აღმზრდელობით გარემოში შემეცნების მოთხოვნილების რეალიზებით, საგნობრივ ცოდნასთან ერთად ინდივიდუალურ დონეზე ვითარდება სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

საყურადღებოდ მიგვაჩნია, რომ ბავშვებში შემეცნებითი ინტერესების პირობებში გამოვლენილი „მიღწევის მოთხოვნილება“ გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც განმავითარებელი მოტივი. რამდენადაც ასეთ დროს, ბავშვი სასწავლო რესურსების შემოქმედებითად დამუშავებას იწყებს და სათანადოდ ითავისებს ძალდაუტანებელი მზაობით.

რამდენადაც პიროვნება სოციალური ფაქტორებისაგან ყალიბდება და მისი სოციალიზაცია საზოგადოების გავლენით ხდება, სააღმზრდელო გარემოში ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებისადმი სათანადო ყურადღების და მხარდაჭერის არ არსებობა გამორიცხავს სწავლაში მისი მთელი ინტელექტუალური უნარით ჩართულობას და ხშირ შემთხვევაში სოციალურ ცხოვრებაში აყალიბებს შეუქცევად პრობლემებს.

განმავითარებელი პროცესებისა და დამოკიდებულებების მიღმა დარჩენილი ინდივიდუალური შესაძლებლობების განსხვავებები, თავიდანვე დევიანტური ქცევის განმსაზღვრელია.

ისეთ მოცემულობაში, როცა ბავშვის უნარს ჩამორჩება მისი აკადემიური წარმატების დონე, გადამწყვეტია პრობლემის დროული იდენტიფიცირება და ფსიქო-პედაგოგიური დახმარების გაწევა. ვინაიდან, მხოლოდ ბავშვის სასწავლო-აღმზრდელობით გარემოში ყალიბდება ის ცოდნა და თვისებები, რაც განაპირობებს ადამიანის შემდგომ განვითარებას და ინდივიდისა და საზოგადოების საუკეთესო ინტერესების რეალიზებას.

საკვანძო სიტყვები: ბავშვი, ქცევის მოტივები, კომპენსატორული მექანიზმი, სოციალიზაცია, მოთხოვნილებათა უგულვებელყოფა, დევიაცია.

შესავალი

ადამიანის განვითარების არცერთ პერიოდში არ ხდება ისეთი ღრმა და მრავალმხრივი ცვლილებები, როგორიც გარდამავალ ასაკში. ცხოვრების ამ პერიოდში იწყება ის ბიოლოგიური და ფსიქიკური (ინტელექტუალური, ემოციური, ხასიათობრივი...) ცვლილებები, რომლებსაც გადაჰყავთ ადამიანი ბავშვობიდან ზრდასრულობაში. ამიტომაც უწოდა გარდამავალ ასაკს ჟან ჟაკ რუსომ „მეორე დაბადება“, ხოლო ედ შპრანგერმა მოზარდობას უწოდა „კაცობრიობის მუდმივი რენესანსი“ და

მოზარდთა ყოველი ახალი თაობა გაფრთხილებას, მზრუნველობას, ხელის შეწყობას საჭიროებს ზრდასრულობისკენ სწორი სვლისათვის.

როგორც არსებული სამეცნიერო ლიტერატურა გვიჩვენებს, თითოეულ მოზარდთან ნეგატიური მომენტების გამოკვეთა და სიჭარბე დამოკიდებულია სოციალური გარემოს თავისებურებებზე, მემკვიდრეობით მონაცემებზე, სასწავლო-აღმზრდელობით გარემოსა და მოზარდის თვითაღზრდის ტენდენციაზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მოზარდის ყველა უარყოფითი ქცევა ასაკობრივი და წარმავალია თუ აღმზრდელობითი გარემო ითვალისწინებს და გაგებით ხვდება, უხეში მეთოდებით არ ცდილობს, დაძლიოს მისი სიჯიუტე, პირადი მაგალითით უჩვენებს გონივრული დათმობის, კომპრომისული ქცევის უპირატესობას. სხვა შემთხვევაში ბავშვის ნეგატიური მიდრეკილებები შესაძლოა, გამყარდეს, იქცეს პიროვნულ თვისებად და შეაფერხოს მისი წარმატება. მას კი საამისოდ ხელშეწყობა სჭირდება, რომ არ წავიდეს იმ გზით, რომელიც ცუდ გავლენას მოახდენს როგორც მის პიროვნულ განვითარებაზე, ასევე გარშემომყოფებთან ურთიერთობებზეც.

ძირითადი ნაწილი

ბავშვის მთლიანობით გონებრივ-პიროვნულ განვითარებაზე და არა მხოლოდ სწავლის ხარისხზე, განსხვავებულ გავლენას ახდენს და ქცევის თავისებურებებს განაპირობებს მისი მოტივები. ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლი, დიმიტრი უზნაძე, მოტივს ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველს უწოდებს. „ფიზიკურად ერთი და იგივე მოქმედებებით გამოხატული ქცევა, ფსიქოლოგიურად იმდენივე განსხვავებული ქცევაა, რამდენიცაა მოტივი, რომელიც მას აზრსა და მნიშვნელობას აძლევს“ [1: 221].

ჩვეულებრივ, სწავლა-აღზრდისა და ცხოვრების ნორმალურ პირობებში, განვითარების წამყვანი ქცევის მოტივებია - სკოლამდელ ასაკში თამაშის მოტივები, სასკოლო და სტუდენტურ პერიოდში განვითარების წამყვანია სწავლის მოტივები, ხოლო ზრდასრულებთან - შრომის მოტივები. ქცევის ეს ფორმები თავისთავად ერთმანეთისგან იზოლირებული არ არის და ხშირად ერთმანეთში გადადის. ამიტომ, სასწავლო-აღმზრდელობითმა გარემომ უნდა უზრუნველჰყოს, რომ მათი ურთიერთშეჭრა არ არღვევდეს ასაკის შესატყვისი განვითარების წამყვანი ქცევის პრიორიტეტულობას.

რამდენადაც ცხოვრების ობიექტური პირობებითა და საჭიროებებით განპირობებული მოტივებია ძირითადად ადამიანის ქცევის წამყვანი, სწავლის მოტივებს იმდენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი საქმიანობის წარმატებისათვის. იმ ფაქტორების შესწავლამ, რომლებიც განაპირობებენ სწავლაში წარმატების მიღწევას, აჩვენა, რომ ამ მხრივ პირველ ადგილს იკავებს ნიჭი, უნარ-შესაძლებლობანი, მეორეს - მოტივაცია და მესამეს - სწავლის პირობები, სწავლების ხარისხი. თუმცა, შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენა სწავლაში წარმატებისათვის, გარკვეულ პირობებში, დანარჩენ ორთან შედარებით მოტივაციის უპირატესი მნიშვნელობა. აღმოჩნდა, რომ ნიჭიერებასა და მოტივაციას შორის რთული ურთიერთკავშირია; გარკვეულ პირობებში, ძლიერ მოტივაციას შეუძლია უნარ-შესაძლებლობათა ნაკლებობის რამდენადმე კომპენსირება, რის შედეგადაც შესაძლოა სწავლაში მაღალი წარმატების მიღწევა. პირიქით კი, კომპენსატორული მექანიზმი არ მოქმედებს ანუ მაღალ ნიჭიერებას არ შეუძლია სუსტი მოტივაციის კომპენსირება და მაღალი აკადემიური წარმატების უზრუნველყოფა შესატყვისი ძლიერი მოტივაციის გარეშე. ამაზე მეტყველებს იერკ-დოდსონის კანონიც, რომელიც აჩვენებს, რომ სასწავლო საქმიანობაში მოტივაციის მზარდი გაძლიერება შესაბამისად მუდმივად იწვევს წარმატების ზრდასაც, მაშინ როცა სხვა სახის საქმიანობებში მოტივაციის ზრდის გარკვეული ზღვარის მიღწევის შემდგომ საქმიანობაში წარმატების ზრდა აღარ ხდება და შეიძლება პირიქით, დაქვეითებაც კი მოჰყვეს. „ქცევა განისაზღვრება მოტივაციით ბევრად მეტად, ვიდრე უნარით. ფსიქოლოგების, პედაგოგების ძირითადი ამოცანაა მოახდინონ თავიანთი ძალების კოცენტრირება მოტივაციის შეფასებაზე“ [3: 133].

მოტივად შეიძლება იქცეს ყველა ფაქტორი, რომელიც განაპირობებს სასწავლო აქტივობის განხორციელებას, მათ შორის მოთხოვნილებები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის დამოკიდებულებას გარესამყაროსა და სოციალურ გარემოზე; აგრეთვე მიზნები, ინტერესები, მოვალეობის გრძნობა, განწყობები, სიამაყის გრძნობის არსებობა იმის გამო, რომ კარგი მოსწავლეა, სურვილი მიიღოს მაღალი შეფასება და შექება, ან თავიდან აიცილოს გაკიცხვა და დასჯა მასწავლებლისგან, მშობლებისგან და ა.შ.

დიმიტრი უზნაძის მიხედვით, სწავლა, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმა, ხორციელდება შემეცნების მოთხოვნილების საფუძველზე. გარკვეული ასაკიდან ბავშვში თავს

იჩენს ინტელექტუალურ ძალთა ფუნქციობის მოთხოვნილებით გააქტიურებული ცნობისმოყვარეობა ინტენსიური შეკითხვების სახით და მისი სისტემატურად დაკმაყოფილების შემთხვევაში, ცნობისმოყვარეობა ცოდნისმოყვარეობაში გადაიზრდება, ცოდნისმოყვარეობა კი სწავლისმოყვარეობის საფუძველია; ამგვარად, თავის მიერ დასმულ შეკითხვებზე აღმზრდელის ადეკვატური რეაგირების გავლენით (ანუ, როცა მისი ინტერესი არ დათრგუნეს და უპასუხოდ არ დატოვეს) ბავშვში, დამოუკიდებლად, ბუნებრივად, იქმნება სასკოლო სწავლის მზაობა და ძლიერდება საკუთარ ძალებში დარწმუნება, რაც ხელს შეუწყობს მის წარმატებას სწავლაში. შეკითხვების დასმა და მათზე პასუხის მოძიება ანუ ცნობისმოყვარეობა ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას ემსახურება და ამ გზით მისი განვითარების სხვა მხარეებსაც განსაზღვრავს. „ცნობისმოყვარეობა არის ბავშვის შემოქმედებითად განმავითარებელი ისეთი ძალა, რომელიც სტიმულს ჰქმნის პიროვნული ზრდისა და განვითარებისთვის. ცნობისმოყვარეობის დათრგუნვა კი იწვევს პასიურობას, უინტერესობას, რაც ინტელექტუალურ და პიროვნულ სიჩლუნგეში შეიძლება გადაიზარდოს“ [7: 312]. ცნობისმოყვარეობა ისეთივე როლს ასრულებს ადამიანის ინტელექტუალურ განვითარებაში, როგორიცა აქვს ვარჯიშს ფიზიკურ განვითარებაში.

დიმიტრი უზნაძე სასწავლო მასალისადმი პირდაპირი, შემეცნებითი ინტერესის, თეორიული მოთხოვნილების სააფუძველზე აღძრულ სწავლას უწოდებს ნამდვილ, შინაგან სწავლას და ანიჭებს უპირატესობას სწავლის სხვა სახეებთან შედარებით ბავშვის სრული გონებრივი და პიროვნული განვითარებისათვის, განსაკუთრებით სკოლაში სწავლის წლებში და აღნიშნავს, რომ „ნამდვილ სწავლას, სწავლას, როგორც ქცევის დამოუკიდებელ ფორმას (განსხვავებით ქცევის სხვა ფორმებისაგან), აქვს თავისი სპეციფიკური მოტივი. ეს არის ცოდნის მოთხოვნილება“ [3: 27].

ამასთანავე, დიმიტრი უზნაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნამდვილი სწავლის შედეგი მხოლოდ ის კონკრეტული ცოდნა კი არ არის, რომელიც სწავლით შევიძინეთ, არამედ, უმთავრესი მიღწევაა ის, რომ სწავლის პროცესში განვითარდა სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, ჩვენ ვისწავლეთ, როგორ უნდა სწავლა [2: 444].

პერსონალისტური ფსიქოლოგიის სისტემის შემქმნელმა, ვილჰელმ შტერნმა ასეთ სწავლას უწოდა ინტროცეფცია, რომლის დროსაც ხდება სასწავლო მასალის არა უბრალოდ მიღება-დამახსოვრება, არამედ ხდება მისი შემოქმედებითად გადამუშავება და გათავისება. ასეთი სწავლა მეტად ფაქიზი და ადვილად მოწყვლადი გონებრივი პროცესია. მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მოსწავლის სულიერი სისტემის სრული სპონტანობით, სწავლისადმი ხალისიანი და ძალდაუტანებელი მზაობით. მხოლოდ ამ დროს შეიძლება ამოქმედდეს ცნობიერების ის ქვეზღურბლური პროცესები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ სწავლაში შემოქმედებითი აქტის ჩართვისათვის და სასწავლო მასალიდან გამომდინარე ზნეობრივ ღირებულებათა გათავისებისათვის [11: 294].

აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის, რომ ბავშვებში შემეცნებითი ინტერესების უპირატესობის შემთხვევაში, ვლინდება მიღწევის მოთხოვნილება, რაც ავტომატურად დგება ძირითადად მათ სამსახურში, იმ მისწრაფებით, რომ რასაც აკეთებენ, გააკეთონ იმდენად კარგად, თვითონ და სხვებსაც რომ მოეწონოთ, რადგან „მიღწევის მოთხოვნილება ყოველთვის სხვა მოთხოვნილებასთან შერწყმულად მოქმედებს და ყოველი მოქმედების წარმატებისათვის ერთნაირად იღწვის“ [5: 122, 169]. ამიტომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწავლის პროცესში ამ მოთხოვნილების, როგორც მოტივის გამოყენება.

ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაშიც განასხვავებენ ნამდვილ, შინაგან სწავლას (აბრაჰამ მასლოუ, კარლ როჯერსი და სხვები), რაშიც იგულისხმება გარეგანი იძულებისაგან თავისუფალი, საკუთარი ნებით და არჩევანით ჩართულობა, ჩაღრმავება სწავლის პროცესში და გარეგან, წახალისებისა თუ იძულების საშუალებებით წარმართულ სწავლას, რომელსაც ბავშვის შინაგანი დაინტერესება არ ახლავს, ან დაინტერესება იმდენად მინიმალურია, რომ როგორც კი საშუალება მიეცემათ თავს ანებებენ სწავლას. ასეთი სწავლის პიროვნული ეფექტი უარყოფითი, ან მინიმალურია, რადგან ბავშვი ნორმალურად ვითარდება მხოლოდ იმ სახის აქტივობაში, რომელშიც იგი ხალისით და მონდომებითაა ჩართული [8: 173].

ჩვეულებისამებრ შემეცნებისა და წარმატების მოტივები განაპირობებენ ადამიანის გაცნობიერებულ და რაციონალურ ცოდნას, რაც ცალსახად დადებითია. მაგრამ, ყოფაში ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებისადმი ყურადღებისა და მხარდაჭერის არ არსებობა ხელს უწყობს ისეთ სწავლას, რომელშიც ის მთელი თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებით არ არის ჩართული და ხშირ შემთხვევაში, ასეთი

გავლენით არრეალიზებული შესაძლებლობების მძიმე შედეგები იმდენად გვიან ვლინდება, რომ ადამიანი ვეღარ ახერხებს პრობლემების შემცირებას. ამასთან ერთად, შესაძლებელია პიროვნება იყოს განათლებულიც, კულტურულიც, მაგრამ იდენტობის იდენტიფიკაციისა და თვითიდენტიფიკაციის ხარისხი იყოს იმდენად დაბალი, რომ საქმიანობის, კომუნიკაციის, ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავებისა და ახალი ინფორმაციის მოპოვების უნარი არ შესწევდეს.

ამერიკელი სოციოლოგები ედვინ ლემერტი, ჰოვარდ ბეკერი და სხვები ამტკიცებენ, რომ მოქმედების „ნეგატიურობა“ არ არის გამოწვეული მისი შინაგანი შინაარსით, არამედ იმით, თუ როგორ აფასებენ სხვები ასეთ ქმედებას და რეაგირებენ მასზე. ისინი გადახრას ხსნიან არა როგორც ინდივიდის ან ჯგუფის მახასიათებლების ერთობლიობით, არამედ როგორც გადახრების მქონე და გადახრების არმქონე პირებს შორის ურთიერთქმედების პროცესით [12, 13, 14].

ქართველი ფსიქოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, შალვა ჩხარტიშვილის მიხედვით, ქცევის სტრუქტურას პიროვნება თითქმის ყოველთვის ცნობიერების საშუალებით არკვევს და მოქმედების განმსაზღვრელ გეგმას ადგენს. ადამიანს შეუძლია ქცევის განვითარებამდე წინასწარ, შინაგანი აქტივობის გზით, ერთმანეთთან მიმართებაში მოიყვანოს მოთხოვნილება, საკუთარი შესაძლებლობანი, სიტუაციური მომენტები და მოქმედების განმსაზღვრელი გეგმის ცნობიერებიდან განწყობაში გადასვლის შემდგომ, თვითონ განწყობა იღებს გეგმის შესატყვის სტრუქტურას და იწყებს ქცევის რეალიზებას. ამასთანავე, გარესინამდვილის მოვლენების მიმართ ადამიანის ნებელობა მათ გაცნობიერებამდეც კი შეიძლება ჩამოყალიბდეს და მოთხოვნილებების, მიზნებისა და მორალური პრინციპების სახით შემდგომ იქცეს ცნობიერების განმსაზღვრელ ფაქტორებად [19: 85-90].

ადამიანის მზაობას ასევე განსაზღვრავს მაღალნიჭიერი პირების ობიექტივაციის შემთხვევებზე აგებული განწყობებიც, რომლებიც შემდეგ გადაეცა სხვა ადამიანებს უკვე მზა ფორმულების სახით და მათი შეძენის წყაროს წარმოადგენს აღზრდა და სწავლა [20: 325].

ამიტომ მიგვაჩნია, ბავშვი სოციალურ ცვლილებებთან ადაპტაციისა და ახალ გარემოებებში სხვა ადამიანებთან თანამშრომლობისათვის ცხოვრებისეული სირთულეების დასაძლევად სათანადოდ რომ მომზადდეს და სამომავლოდ შეძლოს საკუთარი ნიჭისა და უნარების განვითარება და პოტენციალის რეალიზება, აუცილებელია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმართული იყოს ინდივიდუალური ურთიერთობებისკენ, ბავშვების მოქმედების, უმოქმედობისა და ემოციებისაკენ, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოთხოვნილებებისა და სოციალური მდგომარეობის შესაბამისად, მათი დაკმაყოფილების, ინტერესების რეალიზების შესაძლებლობების გაცნობიერება და გონიერი, სოციალურად მიზანშეწონილი ქცევის მოტივე-ბის ჩამოყალიბებით, მოცემულ სოციალურ სიტუაციაში მოქმედებისთვის საჭირო სტაბილური მიდრეკილება.

რამდენადაც, ადამიანი ვითარდება გარემოს გაგებიდან,საკუთარითავისგაგებისკენდაშემდგომ გლობალურ სისტემაში და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის გაგებისკენ, ამასთანავე, ინდივიდებს საზოგადოება აყალიბებს, ხოლო თავის მხრივ, საზოგადოებას ინდივიდები ჰქმნიან და თითოეული ადამიანი თავის „მე“-ს აშენებს სხვა ადამიანების აღქმულ რეაქციებზე დაყრდნობით, რომელთანაც აქვს ურთიერთობა, როგორც კი ბავშვი სოციალიზაციის ნორმალური პროცესიდან „ირიყება“ მისი ინდივიდუალური საჭიროებებისა და სწავლის მოტივების განმსაზღვრელი ფაქტორების უგულვებელყოფით, ასეთი მოცემულობით მიღებული შესაძლებლობების განსხვავებები იმთავითვე გავლენას ახდენს დევიანტური მოქმედების ბიოლოგიური და ფსიქო-სოციალური რისკ-ფაქტორების რეალიზებასა და ინდივიდუალურ დონეზე დევიაციის ჩამოყალიბებაზე. რაც ეჭქვეშ აყენებს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და აზარტული თამაშების თავიდან არიდების ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობას.

დასკვნა

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისეთ პირობებში, როდესაც ინდივიდუალურ შესაძლებლობებს ჩამორჩება წარმატების დონე, გადამწყვეტია მიზეზების გამოვლენა და ბავშვისთვის დროული ფსიქო-პედაგოგიური დახმარების გაწევა. ვინაიდან, ბავშვები დიდად არიან დამოკიდებულნი იმაზე, თუ როგორ მიაწვდის მას სასწავლო-აღმზრდელობითი გარემო მისთვის, სწორი ზრდა-განვითარებისთვის, იმ აუცილებელ ცოდნას და ქცევის წესებს, რაც მისი შემდგომი წინსვლისთვის მეტად მნიშვნელოვანი გახდება. ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო-სააღმზრდელო გარემოში მოზარდებში

თვითაქტუალიზაციის და თვითრეალიზაციის მისწრაფებების პროვოცირებისა და განვითარების ხელშეწყობა მათი სოციალიზაციის იმგვარად უზრუნველსაყოფად, რაც შემდგომ განსაზღვრავს მათ პირად და მეტნაკლებად თავიანთი შეტანილი წვლილით საზოგადოების პროგრესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე დ. შრომები, ტ. III-IV, თბ., 1964
2. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბ., 2003
3. ფრანგიშვილი ალ. სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები, განათლება, თბ., 1969
4. ჯაფარიძე მ. განათლების ფსიქოლოგია, თბ., 2005
5. ჩხარტიშვილი შ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974
6. მუსერიძე-ჯავახიშვილი თ. განათლების ფსიქოლოგიის საკითხები, თბ., 2013
7. მუსერიძე-ჯავახიშვილი თ. ინკლუზიური განათლების ერთი ფსიქოლოგიური ასპექტი, თბ., 2016
8. ვულფოლკი ა. განათლების ფსიქოლოგია, თბ., 2009
9. Реан А. А., Коломинский Я. Л. Социальная педагогическая психология, Питер, 1999
10. Крайг Г. Психология развития, Питер, 2004
11. Strunz h. g. von K. Pädagogische Psychologie für Höhere Schulen, Munchen, Basel, 1962
12. Lemert Edwin M. Human Deviance, Social Problems, and Social Control, Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall, 1967
13. Lemert Edwin M. Crime and Deviance: Essays and Innovations of Edwin M. Lemert, 2000
14. Becker H. Outsiders: studies in sociology of deviance, N.Y.: The Free Press, 1963
15. ბერძენიშვილი ა. კლასიკური სოციოლოგიური თეორიები, თბ., 2013
16. ბერძენიშვილი ა. თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები, თბ., 2019
17. ჩეკურიშვილი ლ. ნარკომანიის პირველადი პრევენციისა და ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციის ბიოლოგიური და ფსიქო-სოციალური საფუძვლების თავისებურებები მეცნიერულ-თეორიულ კონტექსტში. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, 2020 წ. №39 გვ. 63-74
18. Ядов В.А. Личность как предмет изучения, Социальная психология: История. Теория, Эмпирические исследования, Ленинград, Изд-во Ленингр. ун-та, 1979
19. ჩხარტიშვილი შ. განწყობა და ცნობიერება. „მეცნიერება“, თბ., 1975
20. უზნაძე დ. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები. შრომები ტ. 6, თბ., 1977
21. ბერძენიშვილი ა. კლასიკური სოციოლოგიური თეორიები, თბ., 2013
22. ბერძენიშვილი ა. თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები, თბ., 2019

Learning motives on the action of deviation risk factors
Different influences

Lasha Chekurishvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The relationship between a person and a society, as well as the characteristics and development of a person's behavior are particularly influenced by individual motives, which can be any of the factors that determine an individual's activity. They have two needs, aspirations, feelings, and so on.

Learning motives play an important role in ensuring a stable system of socially important qualities of a person and in the success of his / her activities in life. Which largely determine the transitions of a person as a member of society from the individual to the social and from the social structure to personal relationships and a system of individual reactions appropriate to the environmental situation.

In order to succeed in learning, motivation is paramount in relation to talent. As far as it is possible to compensate for some of the lack of skills under certain conditions and as a result possibly high academic achievement. And high talent can not be realized if there is no strong motivation at the individual level.

Because of the minimal interest in learning due to external factors, children give up learning at the earliest opportunity. In such conditions, the readiness for learning and self-confidence in one's own abilities is strengthened, which in itself contributes to the further development of the child and by realizing the needs of cognition in a proper educational environment, develops the necessary learning skills at the individual level.

Consider that the “need to achieve” identified in children in terms of cognitive interests should be used as a developmental motive. It is at such times that the child begins to process learning resources creatively and to master them with unwavering readiness.

As a person is formed from social factors and his socialization is influenced by society, the lack of proper attention and support to the individual needs of the child in the upbringing environment precludes his involvement in learning with all his intellectual ability and often creates irreversible problems in social life.

Differences in individual capabilities left behind in developmental processes and attitudes are determinants of deviant behavior from the outset and makes the effectiveness of institutional mechanisms of its prevention unreliable.

In a situation where a child's ability is below the level of his / her academic success, it is crucial to identify the problem in a timely manner and provide psycho-pedagogical assistance. Whereas, only in the educational environment of a child is the knowledge and qualities formed, which contribute to the further development of a person and the realization of the best interests of the individual and society.

Keywords: child, behavior motives, compensatory mechanism, socialization, neglect of needs, deviation.

კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა თბილისის ისტორიული ნაწილის განვითარების ჭრილში

ირინა ცერცვაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ირაკლი კალანდია, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კულტურული მემკვიდრეობის ცნების, მნიშვნელობისა და ღირებულებების ასპექტები. ამ სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზი, თბილისის ისტორიული ნაწილის პრობლემატიკა, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა.

ჩვენი მიზანია, საზოგადოების ინფორმირებულობა, ცნობიერების ამაღლება კულტურული მემკვიდრეობის არსისა და თბილისის ისტორიული ნაწილის მნიშვნელობის, მისი ფორმირების შესახებ.

კულტურული მემკვიდრეობა გენეტიკური გამოცდილების, ცოდნისა და კეთილდღეობის წყაროა, რომელსაც გაშიფვრა, გაცხადება, მომავალი თაობისათვის გადაცემა სჭირდება. ეს ცნება პიროვნების იდენტობას და საკუთარ თავში რწმენას განაპირობებს. 1897 წელს, ილია ჭავჭავაძე წერდა: „დღეს, მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა“

კულტურული მემკვიდრეობა ადამიანის არსებობის, მისი სამყაროსადმი დამოკიდებულების გამოხატულება, ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული გარემოა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სახეს და თაობიდან თაობაზე გადაცემული ღირებულებების ერთიანობას წარმოადგენს.

მემკვიდრეობა, ნებისმიერი ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული განვითარების ანარეკლია, რომელიც არ არსებობს სოციუმისა და კულტურის ფართო კონტექსტის გარეშე.

თავდაპირველად, კულტურული მემკვიდრეობის ცნება, მხოლოდ ისტორიული და მხატვრული ღირებულების მქონე ძეგლებს აღნიშნავდა. მე-20 საუკუნეში მემკვიდრეობის ცნებამ მოიცვა ყველაფერი, რაც კი ადამიანის, საზოგადოების ქვეყნის განვითარების გარკვეულ ეტაპს შეიძლება ასახავდეს. მისი მთავარი მახასიათებელი ნამდვილობა - ავთენტურობაა.

კულტურული მემკვიდრეობა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომელიც ხელოვანს უსაზღვრო ასპარეზს, შთაგონებას, ფართო ხედვასა და შემოქმედებით თავისუფლებას უვითარებს.

ადამიანმა შეცვლა გარემო, რომელმაც გავლენა იქონია ადამიანის შემოქმედებაზე. ამიტომ ცნება „მემკვიდრეობა„ იხმარება, როგორც კულტურული, ისე ბუნებრივი ძეგლების აღსანიშნავად. ზოგი ძეგლი აერთიანებს ორივეს და განეკუთვნება ე.წ. „შერეული მემკვიდრეობის„ კატეგორიას.

კულტურული მემკვიდრეობა განსაზღვრავს სოციალური ჯგუფების თვითმყოფადობას. იგი ადგილობრივი თემის, ერისა თუ ქვეყნის ისტორიული, მხატვრული, ესთეტიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ღირებულებების მატარებლია. სოციალური ჯგუფები საკუთარ იდენტობას/ თვითმყოფადობას კულტურული მემკვიდრეობის: მატერიალური და არამატერიალური ძეგლების მეშვეობით ინარჩუნებს.

თბილისის ისტორიულ ნაწილში აღმართული უამრავი ძეგლი სიმბოლოა ქართული კულტურისა და მემატიანე - ქალაქის ისტორიის, განვითარების, ტრადიციის.

ვფიქრობთ, ინფორმაციული ხასიათის შემცველი იქნება კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობისა და ქალაქის ურბანული პოლიტიკის განხილვა თბილისის ისტორიული ნაწილის განვითარების ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: კულტურული მემკვიდრეობა, ძველი თბილისი, ურბანული, ძეგლები, ტრადიცია, თაობა.

შესავალი

კაცობრიობის შექმნის დღიდან ნებისმიერი ერის თუ ხალხის ყოველი სულიერი და მატერიალური განვითარების მატიანე სიმბოლოა მარადიულობისა და წარმოადგენს კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელ ნაწილს - კულტურულ მემკვიდრეობას.

საქართველოს კანონი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ აღნიშნულ ტერმინს შემდეგნაირად განმარტავს: „კულტურული მემკვიდრეობა - კულტურის ის ნაწილია, რომელმაც საზოგადოების განვითარების პროცესში: დაიმკვიდრა, შეინარჩუნა და აღადგინა ფასეუ-

ლობის მნიშვნელობა და რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას„ ნუსხა, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნება ვრცელია. მასში შედის ადამიანის ხელით შექმნილი, ასევე ბუნების (ლანდშაფტური) ძეგლები. ასეთ ნიმუშებს სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას ენიჭებათ ძეგლის სტატუსი, რაც იწვევს მათზე კანონის მოქმედების გავრცელებას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხორციელდება, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე.

1972 წლის, 16 ნოემბერს „UNESCO" - ს მიერ (გაერთიანებული ერების, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია 1946წ) გენერალურ კონფერენციაზე, პარიზში მიღებული იქნა კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია), რომელიც რატიფიცირებული იქნა 20 სახელმწიფოს მიერ და მას შემდეგ 188 ქვეყნის ყველა ღირებული და მნიშვნელოვანი 800 - ზე მეტი კულტურის თუ ბუნების ძეგლი ირიცხება მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია ეფუძნება პრინციპს, რომ არსებობს გამორჩეული ღირებულების კულტურული და ბუნების მემკვიდრეობა, რომელთა დაცვა, კონსერვანცია და მომავალი თაობისათვის შენარჩუნება არა მარტო ქვეყნის მოვალეობაა, სადაც ის აღმოცენდა არამედ მთელი საერთაშორისო საზოგადოების.

კონვენციის ძირითადი საზრუნავია ის ფაქტი, რომ იზრდება საფრთხე კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების და გაქრობის, რომელიც განპირობებულია როგორც დროის ფაქტორით, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გამო. საერთაშორისო ორგანიზაცია პასუხისმგებლობას ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრებს, თუმცა აღიარებს მათ მონაწილეობასა და ჩართულობის აუცილებლობას.

მსოფლიო მემკვიდრეობის მენეჯმენტს ახორციელებს მსოფლიო მემკვიდრეობის ბიური, არასამთავრობო ორგანიზაცია "ICOMOC".

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია აფუძნებს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხას, რათა შეარჩიოს საერთაშორისო მნიშვნელობის „გამორჩეულად უნივერსალური ღირებულების მქონე კულტურისა და ბუნების ძეგლები“

მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანი ძეგლები უნდა აკმაყოფილებდეს საკმაოდ რთულ კრიტერიუმებს.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის ფარგლებში, შექმნილია არამატერიალური მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი სია, რომელშიც წარმოდგენილია ოთხი ქართული ნომინაცია: ქართული მრავალხმიანობა (2001 წელს ქართული მრავალხმიანობა UNESCO-ს მიერ აღიარებული იქნა როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრი); ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი (შეტანილ იქნა 2013 წ); ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა (შეტანილ იქნა 2016 წ); ქართული ჭიდაობა (2018 წ).

ძირითადი ნაწილი

თბილისი ურბანული მემკვიდრეობის ბრწყინვალე ნიმუშია, რომელშიც ბუნებრივად არის შერწყმული ქართული საცხოვრებელი, გეგმარებითი სტრუქტურა. ქალაქის გამორჩეულობას განსაზღვრავს თავისებური ლანდშაფტი. მიუხედავად მნიშვნელოვანი ჩარევებისა, შენარჩუნებულია ქალაქის თავდაპირველი კავშირი გარემოსთან. ამ არეალში არსებული ბუნების ძეგლების ხუროთმოძღვრულ აქცენტებს წარმოადგენს: ნარიყალას ციხე და მეტეხის ტაძარი.

ისტორიული თბილისი წარმოადგენს XIX საუკუნის ურბანულ ქსოვილს. ძველი თბილისი საკმაოდ ადრე იქნა აღიარებული განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე უბნად. 1920 - იან წლებში მას „ნაკრძალად„ მიიჩნევდნენ; 1934 წელს შემუშავებული თბილისის პერსპექტიული განვითარების I გენერალურ გეგმაში (ავტორები: არქიტექტორები: ი. მალოზომოვი, ზ. ქურდიანი, გ. ლეჟავა) ძველი თბილისი გამოცხადდა „სამუზეუმო ექსპონატად„ იგი მოიცავდა - ნაწილობრივ შუა ბაზრის (ლესელიძის ქ) მეიდნის (ვახტანგ გორგასლის მოედანი) და ხარფუხის ტერიტორიას.

საქართველომ, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის წევრმა ქვეყანამ 1999 წლის, დეკემბერში, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს წარუდგინა ორი ძეგლის ნომინაცია: ვარძიახერთვისის ისტორიული ნაწილი და თბილისის ისტორილი ნაწილი. ნომინაცია მოიცავდა შემდეგ დოკუმენტაციას: ძეგლის ისტორია, მნიშვნელობა, ავთენტურობა, ძეგლის კონსერვაციული განვითარება.

იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში, მსოფლიოს მასშტაბით 1153 ძეგლია შეტანილი, მათ შორის 0,4% საქართველოს ძეგლებია: სვეტიცხოველი (1010-1029წ.წ.);

ჯვრის მონასტერი (586-604წ.წ.); სამთავროს მონასტერი (XI ს); გელათის მონასტერი (XII ს); ზემო სვნეთი - ჩაჯაში; კოლხეთის ტროპიკული ტყეები და ჭაობები (კოლხეთის დაბლობი).

ისტორიული თბილისი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე წარსდგა: ძეგლი წარმოადგენს ფასეულობათა მნიშვნელოვან ურთიერთგაცვლას (არქიტექტურა, მონუმენტური ხელოვნება..); ძეგლი მოიცავს კულტურულ ტრადიციებსა და ცივილიზაციის ნიშნებს, რომელიც დღესაც არსებობს; ღირსშესანიშნავი ნაგეობიბს ტიპია, რომელიც კაცობრიობის ისტორიის მნიშვენლოვან ეტაპს ასახავს; ძეგლი, როგორც ტრადიციული საცხოვრისის გამორჩეული მაგალითია. თბილისის ისტორიულმა ძგელმა ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილა, გარდა ერთისა - მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში წარდგენილი მდგომარეობა და მენეჯმენტი უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის შესრულების სახელმძღვანელო პრინციპებს. მიუხედავად თბილისი აკმაყოფილებს ავთენტურობის ტესტს, „ICOMOS„ - ის მისიამ ძეგლის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები: აუციელებლია შეიქმნას: სათანადო საკანონმდებლო გარემო, მართვის სტრუქტურა, ძეგლის რეაბილიტაციის, რესტავრაციის და ნომინირებულ არეალში ცვლილებებზე კონტროლის დაწესებისათვის აუცილებელი სახელმძღვანელო პრინციპები.

ქალაქი, რომელსაც 1500 წელზე მეტი ისტორია აქვს, მტრის შემოსევების დროს არაერთხელ დაიწვა და დაინგრა. თბილისი, ბოლოს 1795 წელს სპარსელებმა მიწასთან გაასწორეს. თუმცა, ყველაფერი რაც მიწის ზევით იყო დაინგრა, ხოლო სარდაფები გადარჩა. ქალაქის განახლება ამ სარდაფებიდან დაიწყო. თბილისის ქარვასლები ძირითადად კალაში, დაახლოებით სიონის ტაძრის ირგვლივ იყო კონცენტრირებული. შემორჩენილთაგან უმრავლესობა XIX საუკუნის II ნახევარშია აგებული და სტრუქტურული ერთგვაროვნებით ხასიათდება.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია თეკლეს ქარვასლის სახელით ცნობილი ნაგებობა (სიონიქ ქ. #13/40) იგი სპარსელებისგან დანგრეული „მეფის ფუნდუკის„ ადგილას არის აშენებული და ერეკლე მეფის ასულს თეკლე ბატონიშვილს ეკუთვნოდა. ნაგებობა ეკლექტურია. მისი ფასადები ევროპულ-მავრიტანული, კლასიცისტური სტილის ნიშნებს შეიცავს.

მნიშვნელოვანია ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქალაქის მდგრადი ურბანული ფორმების გამოვლენა, ცვლილებების შესწავლა. თბილისის განაშენიანების წარსული თუ თანამედროვე საკითხების შეჯერება. მის ავთენტურობის შენარჩუნებაზე მუდმივი ზრუნვა და განვითარება.

დასკვნა

კულტურული მემკვიდროების ძეგლების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ მას აქვს სოციალური ხასიათი, წარმომადგენლობითია, რომელიც კეთდება საზოგადოებისთვის, ადამიანების მიერ და გადაეცემა მომავალ თაობას. მისი მნიშვნელობა მდგომარეობს, არა მხოლოდ კულტურულ მანიფესტაციაში, არამედ ისტორიული მემკვიდრეობის ღირებულებაში. კულტურული მემკვიდრეობა უნდა ემსახურებოდეს კულტურული იდენტურობის განმტკიცებას.

თბილისისს არქიტეტურული სახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ქალაქის კულტურამ, ტრადიციამ, მდებარეობამ. თბილისისთვის ყოველთვის დამახასიათებლი იყო ეკლექტიკა, სტილის შერევა. ქალაქის ურბანული განვითარების დროს დიდ როლს თამაშობდა ისეთი ნიუანსები, როგორიც არის: რელიეფი, რაკურსები, ზედხედი მთაწმინდიდან. სწორედ ეს ქმნის თბილისის გამორჩეულ ხიბლს.

თბილისის სარესტავრაციო სამუშაოების მიმდინარეობის დროს, მნიშვნელოვანია ზედმიწევნით, სრულად იყოს შესწავლილი ამა თუ იმ შენობის თითოეული დეტალი, საარქივო მასალებზე დაყრდონიბით მოხდეს მისი აღდგენა, რაც მთავარია მისი ავთენტური მასალის გამოყენებით. გათვალისწინებული უნდა იქნას: უბნის იერსახე, მისი განაშენიანება, შენობათა მასშტაბები, ისტორიული და კულტურული ტრადიციები; ქალაქის კოლორიტულობის განსმსაზღვრელი ელემენტები: აივნები, არშია-მოაჯირები, რიკულები, დეკორატიული ორნამენტები.

თბილისის ისტორიულ ნაწილს უფლება აქვს ისარგებლოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით და შეასრულოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის რეკომენდაციები. მნიშვნელოვანია, რომ თბილისის ისტორიულმა ნაწილმა, „ახალი სიცოცხლის„ მინიჭების პირობებში, არ დაკარგოს ყველაზე მთავარი - ავთენტურობა, რაც თბილისის გამორჩეულ და თვითმყოფად სახეს ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. გოშაძე. მ. თევზაძე: „კულტურული მემკვიდრეობის დამცველის გზამკვლევი„ ქ.თბ. 2017 წ;
2. მ. კარბელაშვილის ს. კინწურაშვილი, ნ.ჯანბერიძე „თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი„1958წ.
3. თბილისის ისტორიული ნაწილის მენეჯმენტის გეგმის სტრატეგიული მიმართულებანი; ICOMS საქართველოს ეოვნული კომიტეტი;
4. საქართველოს კონსტიტუცია,1995წ;
5. მ.ფიდენი, ი. იუკილეტო, მსოფლიო მემკვიდრეობის ღირშესანიშნაობათა მართვის სახელმძღვანელო ICCROM, UNESCO,ICOMOS.1998 წ.
6. https://www.interpressnews.ge/ka/article/333138-tbilisis-istoriuli-na
7. http://contest.procurement.gov.ge/files/5513d24124c28.pdf

The importance of cultural heritage in the development of the historical part of Tbilisi

Irina Tsertsvadze, PhD student
Georgian Technical University

Irakli Kalandia, Professor
Georgian Technical University

Summary

The article discusses aspects of the concept, significance and values of cultural heritage, analysis of the current situation in this field, problems of the historical part of Tbilisi, international and national legislation.

Our goal is to raise public awareness, raise awareness about the essence of cultural heritage and the importance of the historical part of Tbilisi, its formation.

Cultural heritage is a source of genetic experience, knowledge, and well-being that needs to be deciphered, declared, and passed on to future generations. This notion implies a person’s identity and self-belief. In 1897, Ilia Chavchavadze wrote: "Harness is the stongest today, labor and the cherish, storage, patronage of work".

Cultural heritage is an expression of a person's existence, his / her attitude towards the world, a historically established cultural environment that defines the appearance of a country and represents the unity of values passed down from generation to generation.

Heritage is a reflection of the social, economic, cultural development of any country, which does not exist without a broad context of society and culture.

Initially, the concept of cultural heritage referred only to monuments of historical and artistic value. In the 20th century, the concept of heritage encompassed everything that could even reflect a certain stage in the development of a person, a country, a society. Its main characteristic is authenticity.

Cultural heritage is characterized by great diversity, which develops the artist's boundless arena, inspiration, broad vision and creative freedom.

Man has changed the environment, which has influenced human creativity. Therefore, the concept of "heritage" is used to denote both cultural and natural monuments. Some monuments combine both and belong to the so-called. "Mixed heritage" category.

Cultural heritage defines the identity of social groups. It carries the historical, artistic, aesthetic, political, social and other values of a local community, nation or country. Social groups maintain their identity through cultural heritage: tangible and intangible monuments.

Numerous monuments erected in the historical part of Tbilisi are a symbol of Georgian culture and a chronicler - the history, development and tradition of the city.

We think that the discussion of the importance of cultural heritage and the urban policy of the city in the context of the development of the historical part of Tbilisi will be informative.

Keywords: cultural heritage, old Tbilisi, urban, monuments, tradition, generation.

გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

დავით გოცირიძე

სიკვდილის მსახვრალი ცელის ქნევას ისე შეგვაგუა ჩვენმა ყოველდღიურობამ, რომ მის შემზარაობას ადეკვატურად ვეღარც ვრეგირებთ, მის ყოველ შემოტევას ბედსშეგუებული მორჩილებით ვხვდებით და ამ ფონზეც კი ისე ულმობელად წაგვრის ხოლმე ძრირფას ადამიანს, რომ ჩვენი გონება ვერ ურიგდება გარდაუვალობას და ჯიუტად ეწინააღმდეგება მომხდარს. სწორედ ამგვარად ვერ შეჰგუებია ჩვენი არსება ძვირფასი მეგობრის, კოლეგის, თანამოაზრის, მოქალაქისა და მამულიშვილის დავით გოცირიძის ამქვეყნიურიდან წასვლას, არა და აგერ უკვე რამდენიმე თვეც კი გასულა...

დათო გოცირიძე იყო ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის რუსისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რუსეთის განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

დათო გოცირიძე დაიბადა 1952 წლის 30 მარტს, ქ. თბილისში, 1974 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1978 წელს - თსუ ასპირანტურა; 1979-1987 წწ. იყო თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, 1987-2006 წწ. თსუ რუსული ენის კათედრის გამგე, სადისერტაციო საბჭოს წევრი, 2006-2009 წწ. - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულების ხელმძღვანე-ლი. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, 2009 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი.

1981 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1987 წელს სადოქტორო დისერტაციები; გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10 მონოგრაფია.

დ. გოცირიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული 150-ზე მეტ საერთაშორისო და რეგიონული კონ-

ფერენციების მუშაობაში, მიწვეული იყო საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ლექციების კურსების წასაკითხად (ფლორენციის უნივერსიტეტში), გერმანიაში (იენისა და საარბრუკენის უნივერსიტეტებში), შვედეთში (სტოკჰოლმის, გოტლანდის უნივერსიტეტებში), ჰოლანდიაში (ამსტერდამის უნივერსიტეტში), რუსეთში (სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში), აზერბაიჯანში (ბაქოს სლავურ უნივერსიტეტში), მერილენდის უნივერსიტეტში (აშშ), სალონიკის (საბერძნეთი), ტოკიოს (იაპონია), ალ-ფარაბის (ყაზახეთი) უნივერსიტეტებში.

დ. გოცირიძე აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო გრანტებსა და პროგრამებში უცხოეთსა და საქართველოში. იგი ხელმძღვანელობდა საერთაშორისო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტებს, იყო მსოფლიო კონგრესების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციისა; იყო ათზე მეტი სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, მათ შორის სტუ „განათლების“; 50-ზე მეტი სამეცნიერო მონოგრაფიისა და წიგნის რედაქტორი; თბილისისა და ბათუმის უნივერსიტეტბში კითხულობდა ლექციებს გამოყენებითი რუსისტიკის, ტექსტის ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ენისა და კულტურის სემიოტიკის, თარგმანის თეორიის, თარგმანის ისტორიის, კოგნიტური ლინგვისტიკის, რუსული ენის ფუნქციური გრამატიკის მიმართულებით.

წლების მანძილზე დ. გოცირიძე ხელმძღვანელობდა დოქტორანტების მომაზადებას. მას მომზადებული ჰყავს 4 მეცნიერებათა დოქტორი, 28 მეცნიერებათა კანდიდატი, 58 აკადემიური დოქტორი; იყო 51 სადოქტორო და 12 საკანდიდატო დისერტაციების ოპონენტი და რეცენზენტი.

სხვადასხვა წლებში დ. გოცირიძე დაჯილდოვდა 5 სახელმწიფო და სამეცნიერო ჯილდოებით: ღირსების ორდენით, პუშკინის საერთაშორისო მედლით, მიენიჭა ლენინგრადის უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია და თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პრემია.

დ. გოცირიძე იყო ღირსეული მოქალაქე, მამულიშვილი, შესანიშნავი ოჯახის მამა, მეუღლე და პაპა, სამშობლოს აღუზარდა დიდებული ვაჟკაცები ზურაბი და გიორგი. ისინი წარმატებით აგრძელებენ მამის მიერ გაკვალულ გზას - იღწვიან განათლებისა და მცნიერების ასპარეზზე. ზურაბ გოცირიძე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დ. გოცირიძე უდროოდ წავიდა ჩვენგან, განუხორციელებელი დარჩა არა ერთი პროექტი, ჩანაფიქრი... დატოვა დიდი სიცარიელე და დიდი ტკივილი ახლობელთა, მეგობართა გულებში და კიდევ... დატოვა კვალი წარუხოცავი ღირსეული ადამიანისა, მეცნიერისა, პედაგოგისა და მოღვაწისა, დატოვა ნაღვაწი, რომლის მნიშვნელობას და ღირებულებას მომავალი უფრო ცხადად წარმოაჩენს.

სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუ ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტი

ჟურნალ „განათლება“ რედკოლეგია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატია აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: მარცხენა – 30 მმ, ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

აუცილებელია ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილ იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე. უცხოურ ენაზე დაწერილი ნაშრომის ტექსტი იწყება რეზიუმეთი იმ უცხოურ ენაზე რა ენაზეც არის თვითონ ტექსტი.

ნაშრომის სტრუქტურა:

1. **სტატიის სათაური;**
2. **ავტორის/ავტორების სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა.**
3. **რეზიუმე ქართულ ენაზე ან იმ ენაზე, რა ენაზეც არის სტატია (მინიმუმ 230 სიტყვა);**
4. **საკვანძო სიტყვები (მინიმუმ 4-5 სიტყვა);**
5. **შესავალი**
6. **ძირითადი ნაწილი**
7. **დასკვნა**
8. **ლიტერატურა**
9. **რეზიუმე ინგლისურ ენაზე (მინიმუმ 300 სიტყვა)**

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ნახაზებისა და ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი აუცილებლად უნდა იყოს TIF ფორმატში;
- ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შერულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს;
- გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი 6, სართული 8, ოთახი 805 ბ.
ტელ.: 599-557-993; E-mail: ganatleba2018@gmail.com.

ჟურნალი „განათლების“ ყველა ნომრის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ლინკზე:
https://gtu.ge/Journals/newsletters/